

ჯემალ მეხრიშვილი

ყალბულობს  
ფორუნდისა

# ჯემალ მეხრიშვილი, კითხულობს ქალუნდაური

დიზაინერი  
თეა აკობია

*Designed by*  
Thea Akobia

© ჯემალ მეხრიშვილი, კითხულობს ქალუნდაური, 2014  
Jemal Mekhrishvili, criticism, 2014

© „საუნჯე“, გამომცემელი ვაჟა წონკოლაური  
SAUNJE publishing house, Vazha Tsotskolauri  
ISBN 978-9941-451-40-9



[saungeo@gmail.com](mailto:saungeo@gmail.com)

დაბეჭდილია გამომცემლობა „საუნჯის“ სტამბაში  
Printed in Tbilisi, Georgia. By SAUNJE publishing house

# ლია წერილი

## გიორგი (იური) პიპილევიშვილს

გაგონილაა, – იძახდა –  
ასრე აგდება რკულისა?!  
**ვაჟა-ფშაველა**

იქ საფრთხე რამე არ დაგემართოს,  
ბლაჭიაშვილი იქ იმყოფება.  
**ილია ჭავჭავაძე**

ბატონი გიორგი (იური)! და აპა, მოხდა ის, რაც ადრე  
თუ გვიან, ალბათ, მაინც მოხდებოდა და რასაც ჩემი მწერლუ-  
რი გუმანითა და გარდაუვალი პოლემიკის თავის ამრიდებლის  
ტანჯვიანი მოლოდინით თავიდანვე ვგრძნობდი: მწერალ **რევაზ**  
**მიშველაძის\*** შემოქმედებისადმი მიძღვნილი თქვენი სახოტბო  
წერილების უსასრულო ციკლიდან ამ უკანასკნელმა, „მწერლის  
გაზეთის“ 2013 წლის აგვისტო-სექტემბერში გამოქვეყნებულმა  
წერილმა, „**მწერალი, რომელიც ცხოვრებას გვასწავლის**“, მოთ-  
მინების ფიალა ამიღსო, რამაც ეს ლია წერილი მოიყოლა.

პირდაპირ განსაცვიფრებელია: უბრალო დამთხვევაა თუ  
ესეც უფლის ნება იყო – თითქოს ეს თქვენი ყიფური სტატია და  
განსაკუთრებით კი მისი იმპერატიული სათაური არ კმაროდა,  
ამავე ნომრებში ზედ დამატებით „ნოველის“ რუბრიკით თვით  
**რევაზ მიშველაძის** წყალწყალა ტექსტებიც გამოქვეყნდა, რა-  
მაც ჩემს წარმოსახვაში ოდნავ აალებულ სათუო ლია წერილის  
იდეაზე პირდაპირ ნავთი გადამისხა და უკან დასახევი ყველა  
გზა-ბილიკი ხელმწიფურად ჩამიხერგა!!! ოლონდ ერთ რამეზე  
მეთანალრება გული: დღეს **რევაზ მიშველაძის** ირგვლივ ცხარე  
პოლემიკური ვნებათაღელვა ბობოქრობს და ვაითუ ეს ჩემი წერ-  
ილი ფეხისხმასაყოლილი, სასაცილოდ გულმოცემული ლიტერ-

\* ხაზგასმა ყველაგან ავტორისეულია.

ატურული გოშის უკადრის წევნებავად და ამ ვნებათაღელვის ნაწილად მიიჩნიონ! ამიტომ ღმერთის წინაშე სამშობლოს დაფიფიცავ: მის შექმნას არავისთან და არაფერთან არანაირი საძრახისი შეხეპა-კავშირურთიერთობა არ გააჩნია და დღევანდელ ქართულ მწერლობაში რანაირი ამინდი და ვითარებაც უნდა ყოფილიყო, ერთმანეთს წაბმული ბუნებრივი მოვლენების ზეგაფლენით ის მაინც დაინერებოდა, რათა შელაბული ჩემი მწერლური კრედიტი და ღირსება შეძლებისამებრ დამეცვა.

გარდა ამისა, რაცი ჩვენში ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოება ჯერ ჩამოყალიბების მტკიცნეულ პროცესშია, ბევრი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს და ამიტომ ვერც წარმოუდგენიათ, ერთმა მწერალმა მეორე მწერლის შემოქმედებაზე ან რომელიმე კრიტიკოსის წერილზე უარყოფითი მოსაზრებები გამოთქვას თუ მათ მისთვის რამე არ დაუშავებიათ!!! წარმოგიდგენიათ?! ამიტომ აქ თავდამამცირებელი განცხადების გაკეთებაც მიწევს: ბ-ნო გიორგი (იური), ცხოვრებაში ჩვენ ერთმანეთისთვის ხომ თვალიც არ მოგვირავს, ხოლო რევაზ მიშველაძესთან, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან და „მწერლის გაზეთის“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარესთან მაკავშირებს ყოვლად მკრთალი ურთიერთობა, ერთმანეთისთვის პირადულად ოტისოდენაც არაფერი გვიწყენინებია და საერთოდ, ჩვენი გზებიც არასოდეს გადაკვეთილა! თუმცა, ღმერთო ჩემო, ანდა, სად, როდის, რისთვის და როგორ უნდა გადაკვეთილიყო: სად – რევაზ მიშველაძე, სად – მე... მაგრამ დავუშვათ და ჩვენ შორის ოდესმე მართლაც მწვავე დაპირისპირება ყოფილიყო – ნუთუ ამის შიშითა და ეჭვით ერთმანეთს პირუთვნელად ვეღარაფერი უნდა ვუთხრათ?!

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), რევაზ მიშველაძისადმი მიძღვნილი თქვენი უსასრულო და ერთფეროვანი სახოტბო წერილები მკითხველებისთვის თანდათან იმიტომ კი არ ხდება თავშესაწყენი, ამოჟინებულ ფავორიტს ამდენს რომ აქებთ და აქებთ,

**არამედ ვერ ასაბუთებთ, რისთვის აქებთ!!!**

ეს კი განაბეზრებ მკითხველებში ბუნებრივ უკურეაქციას იწვევს: ნათქვამია, **ბევრი „მაამო“ ხარს გააგიუებს!** მაგრამ, როგორც ჩანს, რ. მიშველაძის ფანატიკოს მაქებრებს რუსული ანდაზა უფრო გხიბლავთ: „**მასლომ კაშუ ნე ისპორტიშ!**“

სწორედ ამ მანკიერი მეთოდით თქვენისთანა შესანიშნავმა კრიტიკოსებმა და ქართულ მწერლობას ანგარებით ატორლიალებულმა შემთხვევითმა პირებმა იმდენი ქენით, რომ რ. მიშველაძეს დააკარგვინეთ რეალობის გრძნობა და ნამდვილ ლიტერატურულ ნარკომანად აქციეთ: როგორც ხელიდან წასულ ნარკომანს აღარ შეუძლია არსებობა ყოველდღიური ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ულუფის გარეშე, ეტყობა, ისე რ. მიშველაძესაც უკვე ვეღარ წარმოუდგენია თავისი მწერლური ყოფნა-ცხოვრება თუ ერთგულ „მგალობელთა“ წრეგადასული ქება-დიდება რულისმომგვრელ იავნანურად არ ჩაესმის!

რად ლირს თუგინდ „**მწერლის გაზეთის**“ 2013 წლის სექტემბრის ნომრის სრულ გვერდზე გამოქვეყნებული საქართველოს მწერალთა კავშირის პრესცენტრის ხელმძღვანელის, მანანა გორგიშვილის ინტერვიუ განსვენებულ პოეტ **ჯემალ ჩახავასთან**, სადაც რევაზ მიშველაძეს ისეთი ფაცხაფუცხით აცხადებენ ცოცხალ კლასიკოსად, თითქოს საქმე სახრინავზე ყოფილყო მიმდგარი და ლუკმანატრულ საწყალ მწერალს პენსიის დასანიშნად მარტო ეს ცნობაღა ჰკლებოდა!!!

ეგ კიდევ რა არის – რ. მიშველაძის ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსტამბავ (!) ოცდახუთომეულის წარმოსახვით (!) სვეტზე დროშასავით აფრიალებული „**მწერლის გაზეთი**“ ათასხუთას-წლოვან ქართულ მწერლობას მუშტმოღერებით ტუქსავს, დასცინის, ანამუსებს თუ ემუქრება. მოუსმინეთ და გაუძელით.

**„მითხარით, რევაზ მიშველაძის გარდა ვინ გამოსცა 25 ტომი?!"**

აბა, აქ ვის ამოელება კრინტი: ცურტაველს, რუსთაველს, სულხან-საბა ორბელიანს, დავით გურამიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ალექსანდრე ყაზბეგს, ვასილ ბარნოვს, დავით კლდიაშვილს, შალვა დადიანს, ნიკოლორთქიფანიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, ლეო ქიაჩელს, დემა

შენგელაიას, გალაკტიონს, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძეს, ოთარ ჩხეიძეს, ჭაბუა ამირეჯიბს, თამაზ ჭილაძეს, ნოდარ დუმბაძეს, რევაზ ინანიშვილს, ლადო მრელაშვილს, ნოდარ წულეისკირს, რევაზ ჭეიშვილს, გურამ გეგეშიძეს, გურამ დოჩანაშვილს თუ სხვა რომელიმე ქართველ მწერალს?!

აი, რა მოსდევს ლიტერატურულ ნარკომანობას!!!

თავისი პატრონის ყოვლისმძღვისთვის გაგულისებული „მწერლის გაზეთი“ ხელისუფლების წარმომადგენლებს და ქართველ მწერალთა დიდ უმრავლესობას თან ყურსაც უნევს და ისაყვედურება.

**„არ გაგიკვირდეთ და, ხელისუფლების წარმომადგენლებს კი არა, რევაზ მიშველაძე მწერალთა 3 პროცენტსაც არა აქვს წაკითხული“.**

ერთააა.. ასე მაინც თქმულიყო: არ ექნება წაკითხულიო, თორები!.. თვალისმომჭრელად მობზრიალე ქება-დიდების კარუსელისაგან ბრუდასხმულ „მწერლის გაზეთს“ თავისი პატრონისადმი აქ კი ნამდვილი დათვური სამსახური გამოიუვიდა: შენს ნაწარმოებებს ხელისუფლების წარმომადგენლები კი არა, თუკი თანამოკალმეთა 3 პროცენტიც კი (!!!) არ კითხულობს, მაშინ ცოცხალი კლასიკოსი კი არა, საერთოდ, რაღა მწერალი ყოფილხარ?! თან გაკვირვებას ინვევს გაზეთის წინდაუხედაობა: ბრალი რომ დასდონ, მაჩვენებელი განზრახ გაგიზრდია და ან ეგ 3 პროცენტი საიდან გამოითვალეო, ნეტავი ერთი მაცოდინა, რა ბასუხი ექნება?! თუმც ვინ ჩასწვდება ლიტერატურულ ნათელმხილველთა გულთმისნობასა და გამოთვლის საიდუმლოებას!

და რაკი „მწერლის გაზეთს“ გული დასწვია **რ. მიშველაძის** ნაწარმოებების მკითხველთა დაბალპროცენტიანობით, იქნება მის მიზეზიც გამოეკვლია. რა გაეწყობა, ჩემი მოკრძალებული შესაძლებლობის ფარგლებში აქ ცოტას მეც წავეხმარები.

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), სამწუხაროდ, ვერც თქვენ გაუძელით ცდუნებას – **რევაზ მიშველაძის** მაქებართა დაფნის გვირგვინი სხვამ არვინ შეიხვედროსო და ამ ისედაც უკიდურესად

დაძაბულ-დამუხტულ ვითარებაში გაოგნებულ მკითხველებს ამისთანებში გამობრძმედილ მოკრივესავით შეუწყალებლად სდრუზეთ ცულით ნაჩირკნი წერილი!

ოლონდ არ იფიქროთ, საიმედო, ბარაქიან და თავის ადგილას შეუცვლელ ისეთ იარაღს, როგორიც ცულია, ვწუნობდე! პირიქით: ჩემს სოფლურ წარმომავლობასაც რომ თავი დავანებოთ, პროფესიით ისტორიკოსი ვარ და ყოფილ საბჭოთა იმპერიაში მოგზაურობისას ჩემთვის ბევრჯერ უჩვენებიათ რუსული ჭკუა-გონებით ხელთუქმნელ შედევრად მიჩნეული ხახვისთავა ეკლესიები, ერთი ობოლი ლურსმანიც რომ არსად აჭდევია და ძველ ოსტატებს მხოლოდ ცულით დათლილი ხეებით შეუკრავთ!

ჰოდა, კრიტიკის სფეროშიც თუ თქვენი ერთადერთი იარაღი ცულია, მაშინ ისე მაინც ააფხავეთ, წამნაში იღებდეს, თორემ, მომიტევეთ და, ძნელი მისაღებია დალაბრა ცულით „ნათალი“, უკიდურესად სქემატურ-ტენდენციური სტატია, თანაც გამაღიზიანებელ-გამომწვევი სათაურით „**მწერალი, რომელიც ცხოვრებას გვასწავლის**“, რითაც ცამოწმენდილზე განსაცვიფრებელი გაბედულებით ცხოვრების შემსწავლელი მიშველაძისეული მუდმივმოქმედი კურსები დაარსეთ, მთელი საქართველოს (თუ მთელი მსოფლიოს?!?) მოსახლეობას გზაბნებულ უპატრონო ფარასავით მასში უკარით თავი და თითოეული ჩვენთაგანი თქვენგან ნაქები კუმირის მონაფეხებად გამოგვაცხადეთ!

აი, სწორედ ამანაც გამოიწვია ჩემი პროტესტი! ოლონდ ნუ იფიქრებთ, ზარმაცი, ცულლუტი, ხასიათმოუტეხელი ანდა თავდაჯერებული მწერალი-მონაფე ვიყო და რისამე სწავლას უკვე ზედმეტად ვთვლიდე ანდა **რ. მიშველაძის** მონაფეობას ვუკადრისობდე. არამც და არამც! პირიქით, კარგად მაქვს შეგნებული, რომ ერთი მცირემცოდნე, უმნიშვნელო მწერალი ვარ და ამიტომ რამე სასიკეთოს სწავლა არასოდეს არავისგან დამთაკილებია. ამის ცოცხალ მაგალითებსაც მოგიყვანთ.

მეითხველი საზოგადოებისთვის მაშინ სრულებით უცნობი პროზაიკოსის, თელაველი მაყვალა მიქელაძის ნოველამ „**წაროელი მეპირ**“ (უკრნალი „ოლე“, 2005 წ. N4) და დებიუტანტ

**ინა არჩუაშვილის** მოთხოვამ „ბილიკი“ (ჟურნალი „ლიტპალი-ტრა“, 2009 წ., N7) იმდენი რამ მასწავლა და იმზომ აღმაფრთოვანა, რომ საკუთარი ნაწარმოებების წერა აღარც კი მაგონდებოდა, სანამ ორივე შედევრისადმი მიძღვნილ ჩემს წერილებს „გვეტყვიან... გვეუბნებიან!..“ („ლიტერატურული საქართველო“, 2007 წ., 13 ივლისი და ჟურნალი „ოლე“, 2008 წ., N4) და „ჯადოსნური ბილიკები“ (ჟურნალი „ქართული მწერლობა“, 2010 წ., N6) დაბეჭდილს არ ვიხილავდი!

არც ის იფიქროთ, როგორც დიდი ომის გამოუცხადებლად დაწყებისას ხდება ხოლმე, თქვენ მიერ ტოტალური მობილიზაციის ყაიდაზე რ. მიშველაძის მონაფეებად გაწვეული მთელი ქართველი ხალხის სახელით ვლაპარაკობდე. არა, ეს ჩემთვის მეტისმეტად მძიმე ტვირთი იქნება! თანაც, ვინ იცის, რამდენმა მოქალაქემ რ. მიშველაძის შემოქმედებით მართლაც ისწავლა ან ახლა სწავლობს ანდა მომავალში ისწავლოს ცხოვრება. მაშ, ვის რა უფლება აქვს ცეტურად ჩაერიოს მწერალი-მასწავლებლისა და მკითხველი-მონაფის ნებაყოფლობით ურთიერთობაში?!

და, თითოეული მკითხველი-მოწაფე ყველაფერში თავისით გაერკვეს!

ამრიგად, მე მხოლოდ საკუთარი სახელით გამოვდივარ!

ჩემს შემთხვევაში კი საქმის ვითარება ცოტა სხვაგვარად არის. მას აქეთ, რაც მშობლიური ენა ღმერთად გავიხსადე, ჩემთვის მთავარი უკვე ის კი არ არის, რას მასწავლიან – ცხოვრებას... ხვნა-თესვას, მკას, თიბგას, ვაზის გადაწვენას, რანდვას, ღვინის დაყენებას, კოვზის გამოთლას, მიცვალებულის გაპატიოსნებას, სხვლას, ხმიადის გამოცხობას, ცხენის დალაგმვას (ეს კარგად დაიხსომეთ!), თაიგულის შეკონვას, საქონლის მომწყემსვას, მხატვრულად აზროვნებას, წერის სტილს, სიუჟეტის შეკვრას, კომპიუტერთან მუშაობას თუ, ვთქვათ, „მაუზერის“ დაშლა-ანყობას, არამედ როგორი ქართულით მასწავლიან!!!

რევაზ მიშველაძემ თავისი ენით, მხატვრული აზროვნების ყაიდითა და წერის სტილით რამე მასწავლოს კი არა, მწერლურ სფეროში რაც რამ მისწავლია, ლამის ისიც დამავიწყოს ანდა

ბევრი რამ უეცრად საეჭვოდ მომაჩვენოს ხოლმე და მოულოდ-ნელობისგან ელდანაკრავი სანამ ჩემი სიმართლის გასარკვევად ლექსიკონებსა და სხვადასხვა წყაროებს გადავქექავდე, მანამ ასე საწამებელ ჩარხზე გაკრული მიყოლიოს!

ეს ბოროტ ცილისწამებად ჩამეთვლება თუ მის დამტკიცებას მაინც არ შევეცდები.

ოლონდ აქ მკითხველები თავს ნუ შეიშინებენ – რა გაუძლებს მწერლის ოცდახუთტომეულის კრიტიკულ მიმოხილვას! ტყუილუბრალოდ ნურავინ შეძრნუნდება: მლაშე ტბის ქიმიური ანალიზის დასადგენად არ არის აუცილებელი საკვლევაძიებო სამსახურმა ეს ტბა მთლიანად ამოხაპოს და კვლევით ინსტიტუტთან ავტოცისტერნების უსასრულო კოლონა გაჭიმოს – ქიმიურ ლაბორატორიაში ასგრამიანი საქსე რეტორტის მიტანაც იკმარებს, რა-მეთუ თრიოდე წვეთშიც კი სწორუტყუვრად ვლინდება საკვლევი სითხის სრული ბუნება და ქიმიური შემადგენლობა!

ბ-ნო გიორგი (იური), მიკერძოებაში რომ არ ჩამითვალოთ, განზრახ შეგირჩევიათ რ. მიშველაძის აღრეული პერიოდის სუსტი ტექსტებით – თუკი ამგვარი მკრეხელური აზრის გამოთქმას მაპატიებთ და თან საერთოდ, მიგაჩნიათ, რომ თქვენს კერპს თავისი შემოქმედების რომელიმე ეტაპზე შეიძლება სუსტი ნაწარმოებები ჰქონდეს! – ამიტომ შევეხები მხოლოდ და მხოლოდ „**მწერლის გაზეთის**“ 2013 წლის აგვისტო-სექტემბრის ნომრებში გამოქვეყნებულ ტექსტებს, ვინაიდან ისინი დაწერილია სწორედ ახლა, როცა ავტორი თავისი გამოცდილების, მხატვრული შესაძლებლობებისა და მწერლური დიდების მწვერვალიდან გადმოგვყურებს!!!

\* \* \*

„**მწერლის გაზეთის**“ 2013 წლის აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა რ. მიშველაძის „**შეთქმული?**“ (არადა, შინაარსისა და ავტორის მცდარი პოზიციის მიხედვით ირკვევა, რომ სათაური კითხვა-ძახილს საჭიროებს – „**შეთქმული?!**“).

ნოველა ეხება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორის (1720-1798) მიერ პაატა ბატონიშვილის (დახ. 1720-1765) სიკვ-

დილით დასჯას, ხოლო რ. მიშველაძის მიერ ამ დასჯის ნამდვილი მიზეზების სრული უცოდინარობის გამომჟღავნებას თუ დღევანდელ მწვავე პოლიტიკურ მოვლენებთან სპეკულაციურად მისადაგებულ ვითომ „მომგებიან“ იაფვასიან ტაკიმასხარაობას.

ვინ იყო პატარა ბატონიშვილი? ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის (1655-1737) უკანონო შვილი, რომელიც მამასთან ერთად 1724 წელს რუსეთში აღმოჩნდა. აյ მან შეისწავლა სამხედრო საქმე, კერძოდ, არტილერია, მაგრამ არსად უმსახურია. მამის გარდაცვალების შემდეგ მთავრობამ ყოველწლიურად 300 მან. პენსია დაუზიშნა. მან 1747 წელს ითხოვა საქართველოში გაეშვათ ან შესაბამის სამსახურში გაემწესებინათ. 1749 წლის იანვარში რუსეთიდან გაიქცა, ქ. კენიგსბერგში ჩავიდა და პრუსიის მეფეს, ფრიდრიხ მეორე დიდს (1712-1784) ქვეშევრდომობა და სამსახური სთხოვა. რაკი ცივი უარი მიიღო, ვარშავის, ბუქარესტის, კონსტანტინეპოლისა და არზრუმის გავლით 1752 წელს თბილისში, ერეკლე მეორესთან ჩავიდა, რომელმაც საარტილერიო დარგის წამოწყება დაავალა.

მე-18 საუკუნის შუა პერიოდი საქართველოს ისტორიაში უდიდესი პოლიტიკური ძვრებით აღინიშნა. ერეკლე II 1744 წელს ჯერ კახეთის, ხოლო ქართლის მეფის, თავისი ღვიძლი მამის, თეიმურაზ მეორის (1700-1762) გარდაცვალების შემდეგ იგი ქართლის მეფეც გახდა. ამას კი წინ დიდი მოვლენები უსწრებდა: ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ (1747) მამა-შვილმა თბილისი ირანელებისაგან გაათავისუფლა, თავიანთ ბატონობას დაუმორჩილეს და დახარკეს განჯისა და ერევნის სახანოები... ქართლ-კახეთში ერთმეფობის დამყარება საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისკენ გადადგმული სანატრელი ნაბიჯი იყო.

სწორედ ამ პერიოდში, 1765 წელს პატარა ბატონიშვილის მეთაურობით მოწყობილი შეთქმულება კი წარმოადგენდა ერეკლე მეორის გამაერთიანებელი პოლიტიკის წინააღმდეგ თავად-აზნაურთა რეაქციული (!) ნაწილის ხანგრძლივი ბრძოლის ერთ-ერთ სახითათო ეპიზოდს.

შეთქმული მიზნად ისახავდნენ ერეკლე მეორის მოკვლას

და ქართლში პაატა ბატონიშვილის გამეფებას. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ კახეთის სამეფო შტოს წარმომადგენლის – ერეკლე მეორის ქართლშიც გამეფებით. არადა, ერეკლეს დედა, თამარი, ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ასული იყო! სინამდვილეში კი შეთქმულებს არ მოსწონდათ სამეფო ხელისუფლების გაძლიერება, ერეკლე მეორის ცენტრალისტური პოლიტიკა.

შეთქმულების გამულავნებისთანავე ერეკლემ დამნაშავენი შეაპყობინა, სასამართლოს გადასცა და მომჩივნის როლში თვითონ გამოვიდა. შეთქმულნი კანონისამებრ დაისაჯნენ: პაატა და დავით ბატონიშვილებს თავები მოჰკვეთეს, ელიზბარ თაქატაქიშვილი ცეცხლში დაწვეს, დანარჩენებსაც სხვადასხვა სასჯელი შეუფარდეს.

აი, ასეთია წყაროებზე დაფუძნებული სინამდვილე. რ. მიშველაძე კი დღევანდელი რუსული აგრესით განაწამები ჩვენი საზოგადოების გულმოსაგებად თუ სხვა რამ მიზნითა და მიზეზით თავგადაკვლით ცდილობს მოგვაჩვენოს, რომ ერეკლე მეორის წინააღმდეგ 1765 წლის შეთქმულებისა და პაატა ბატონიშვილის სიკვდილით დასჯის ერთადერთი მიზეზი თურმე ამ უკანასკნელის... „**ანტირუსული განწყობილება**“ ყოფილა და მეტი არაფერი! უფრო მეტიც: ავტორმა თავის ნოველას რაკი ასეთი კითხვისნიშნიანი და ამდენად, დამაეჭვებელი სათაური მიაკერა – „შეთქმული?“ – გამოდის, რომ 1765 წელს ერეკლე მეორის წინააღმდეგ არც შეთქმულება ყოფილა, არც დასჯილ პაატა ბატონიშვილს უმეთაურნია მისთვის და საერთოდ, შეთქმულთა ბუდე, „**მარკოზაშვილის დარბაზიც**“ მემატიანეთა ურცხვი მონაჩიმახი ყოფილა!

რად ლირს თუგინდ ტექსტის დამაგვირგვინებელ წინადადებაში გაცხადებული ავტორის მრწამსი.

„**მე მგონი ისტორიამ დაამტკიცა, რომ პაატა ბატონიშვილი მართალი იყო**“.

გესმით?!

ასე და ამრიგად, რ. მიშველაძის აზრითა თუ სურვილით, ერეკლე მეორე, რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთიან დაკავშირებით, როგორც ამბობენ ხოლმე, „**უფრო ნაკლები**

**ბოროტება“** ჩაიდინა და ურიცხვ მტერთაგან ილაჯგაწყვეტილი ერთი მუჭა ქართველობა სრულ ფიზიკურ განადგურებას ააც-დინა, თურმე ბეცი ბოლიტიკოსი, სისხლისგუდა მეფე და ის-ტორიის წინაშე პირშავი მოღვაწე ყოფილა, ხოლო შეთქმულთა მეთაური, პაატა ბატონიშვილი, ერეკლეს მოკვლა და ქართლის ტახტზე წამოსკუპება რომ ეწადა – რაც ისედაც დაქუცმაცე-ბულ, დაუძლურებულ საქართველოს უარესად დააქუცმაცებდა და დააუძლურებდა! – ქრისტეს მტრედი, განტევების ვაცი და ისტორიის წინაშე პირნათელი პიროვნება!

აბა, აქ რაღა უნდა თქვას ან ენას გახეტებულმა მკითხ-ველმა, როცა ქალალდი და ნოველის ავტორი ამტანობა-გამ-ძლეობაში ერთმანეთს არსად წაუვლენ!..

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), ახლა ტექსტის მხატვრულ-ენობრივ მხარეს შევეხოთ.

ნოველის პირველივე, პანია აბზაცმა ელდა ელვის ნაწყვეტებივით ზედიზედ დამაყარა და გამაშტერა. აი, როგო-რია პირველი წინადადება.

„ერეკლე მეორე ელჩებს-ელჩებზე აგზავნიდა პეტერ-ბურგში“.

ამ ნათელ, თუმც დამახინჯებული სინტაქსით აკინძულ წინადადებაში რა საჭირო იყო დეფისი?!

„ნინო კაბას კაბაზე იკერავდა“, „თამადა ჭიქას ჭიქაზე გვა-ცლევინებდა“. „ელენეს მაჭანკალი მაჭანკალზე მოსდიოდა“ და ა.შ. ვისაც ელემენტარული მართლწერა ესმის, ის უმაღლ დაგვყ-აბულდება, რომ ეს და მსგავსი წინადადებები არსად არ საჭ-იროებს დეფისას!

გარდა ამისა, ერეკლე II კახეთის მეფე 1744 წელს გახდა, ხოლო პაატა ბატონიშვილი რუსეთიდან 1749 წელს გაიპარა. პოდა, სრული უმეცრობაა მე-18 საუკუნის ამ ხუთიოდე წელს ასეთი შეუსაბამობა მიანერო. ერეკლე მეორე პეტერბურგში ელჩებს ელჩებზე აგზავნიდა და ეს ხმა რუსეთში მცხოვრებ პაატა ბატონიშვილსაც მისწვდია.

პეტერბურგში ელჩების გზავნა და რუსეთთან დახლოება უფრო მოგვიანებით – 70-80-იანი წლებიდან დაიწყო, რასაც 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი მოჰყვა.

ამ პირველ წინადადებას ახლა ასეთი წინადადება მოსდევს.

„რუსთ ხელმწიფეს თხოვდა“. მერე კიდევ მეორდება „სარუსეთო დახმარებას თხოვდა“.

ამხელად გრამატიკული კატეგორიებით მსჯელობას თავი დავანებოთ – ავტორს მშობლიური ენის სიფაქიზისადმი სმენადობა ისე როგორ უნდა ჰქონდეს მოჩლუნგებული, რომ ვერ გრძნობდეს: აյ მის მიერ ყელში აპეურწაჭერილ და მომაკვდავივით ახრიალებულ სიტყვას „თხოვდა“, აშკარად აკლია ასოს „ს“ სუნთქვა და ღვთაებრივი მუსიკალობა! მით უმეტეს, ეს სიტყვა ყოველდღიურ ყოფაში წარამარა ჩაგვესმის: ტელეფონთან სთხოვეთ, სტუმრებს სთხოვეთ!.. იმას სთხოვეთ!.. ამას სთხოვეთ!.. ეს სთხოვეთ!.. ის სთხოვეთ!..

ახლა პირველივე აბზაცის მესამე წინადადების ჯერი დგება.

„...თორემ უკვე სისხლისგან ვიცლებით და დღედღეზე ან სპარსეთი გადაგვყლპავს ან ოსმალეთიონ“.

გაკვირვებას იწვევს ავტორის მიერ გამომუდავნებული ორთოგრაფიული კატეგორიების გაუკულმართებული ცოდნა: სადაც საჭირო არ არის, დეფისს მეცამეტე გოჭივით გამოატყვრენს ხოლმე, ხოლო საცა მართლა საჭიროა, იქ უდეფისოდ უხმარია „დღე-დღეზე“.

ავტორს მშობლიური ენისადმი სავალდებულო მუსიკალური სმენადობის აშკარა პრობლემა სჭირს, ის კი, სამწუხაროდ, აინუნშიც არ არის!

„ეს ხმა რუსეთში მცხოვრებ პაატა ბატონიშვილსაც მიწვდა“. რანაირი ქართულია მიწვდა – უნდა იყოს მისწვდა!

„აწრიალდა პაატა: ე, მანდ ერეკლემ ქართლ-კახეთის ბედი ნაჩქარევად არ გადაწყვიტოსო“. ემანდ ზმინისწინია და იხმარება მითითებისას, გაფრთხილებისას – აქაც სწორედ ამ მიზნით იყო მოხმობილი, მაგრამ ავტორმა რატომღაც მას „ე“ მტარვალურად ჩამოაგლივა და თან უადგილო მძიმითაც გამიჯნა, ეს გამარტოებული „ე“ ისევ

თავის დედაფუძეს რომ არ დაბრუნებოდა!

რუსეთში მცხოვრები პაატა ბატონიშვილი რ. მიშველაძის სქემატური სურვილით გუნებაში აი, როგორ მსჯელობს.

„ახალგაზრდა, პოლიტიკაში ჯერ გამოუცდელი ჩემი დისწული, მართალია, უშიშარი მებრძოლია, მაგრამ მე რომ გვერდით ვეყოლები მრჩევლად, უკეთ განსჯის ქვეყნის წონასწორობასაო“.

ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელია, პაატა ბატონიშვილი ერეკლე მეორეს ახალგაზრდას რომ უწოდებს, როცა ორივენი თითქმის თანატოლები იყვნენ! თანაც „პოლიტიკა“ მაშინ ასე ყოველწუთიერ სახმარ სიტყვად ჯერ ვერ იქნებოდა დამკვიდრებული. ინფორმაციის გავრცელება-მოპოვების იმდროინდელ პირობებში საეჭვოა, პაატა ბატონიშვილს ასე დაბეჯითებით სცოდნოდა ახალგამეფებული ერეკლეს, როგორც „უშიშარი მებრძოლის“ სახელი და ამბავი. ერეკლეს დიდი მებრძოლისა და მხედართმთავრის სახელი მერე და მერე გაუვარდა და თვით ფრიდრიხს დიდამდეც ჩააღწია!

ასევე უსუსური მსჯელობის ბეჭედი აზის დამახინჯებული სინტაქსით შეკონინებულ „პაატა ბატონიშვილისეულ“ ფრაზას: „**მე რომ გვერდში ვეყოლები მრჩევლად**“.

პაატა ბატონიშვილი საქართველოში ჩამოსვლას თუ მოახერხებდა და ერეკლე მეფეც მას მართლა მრჩევლად დაინიშნავდა, აქედან თავისთავადაც ცხადია, სულ „გვერდში“ ეყოლებოდა, თორემ, აბა, მეფის მრჩეველი იალალებზე მეცხვარედ ხომ არ წავიდოდა, მერე შიკრიკებს მის ჩამოსაყვანად წარამარა ცხენფრენით ერბინათ?!

და რაც მთავარია, ავტორი ვერ გვისაბუთებს, პაატა ბატონიშვილი, რომელიც არც ერთ უწყებაში არ მუშაობდა და არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, რის საფუძველზეა დარწმუნებული, ერეკლეზე მეტი რომ იცის „პოლიტიკაში“, ხოლო თუ საქართველოში ჩასვლას მოახერხებს, მეფე მას უეჭველად მრჩეველად დაიყენებს!

რ. მიშველაძეს სულ არ ანალვლებს, აზრის სრულყოფილად გადმოცემას უნაკლო სინტაქსით ანემსილი წინადადებები

რომ სჭირდება. აი, ამის ერთ-ერთი მაგალითი: პაატა ბატონიშვილი აღმოსავლეთ ევროპისა და ოსმალეთის გავლით რის ვაი-ვაგლახით საქართველოში ჩამოაღწევს.

„ხედავთ, რამდენი უწვალია... პაატა ბატონიშვილს, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო.“

„რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო“ კი არა, არამედ უნდა იყოს „სამშობლოში რომ დაბრუნებულიყო“, ვინაიდან მაქვემდებარებელი კავშირი „რომ“ ამ შემთხვევაში უნდა განსაზღვრავდეს არა „სამშობლოს“ – რაც ისედაც იგულისხმება! – არამედ დაბრუნება-დაუბრუნებლობის ძნელად მისაღებ გადაწყვეტილებას და უკიდურესად ხიფათიან მგზავრობას!

„ერეკლე ფიქრობდა, უფლისნული ჩემს მიერ რუსეთისაკენ ალებულ გეზს მოიწონებს.“

ეჰ, რამდენჯერ ითქვა და დაინერა – უნდა იყოს ჩემ მიერ, მაგრამ ამ ყბალია შეცდომამ ქართულ მწერლობასა და მრავალ-ფეროვან პრესაში პირდაპირ მოუწეველი სარეველას სახე და ხასიათი მიიღო!

ნოველის მიხედვით, პაატა ბატონიშვილი პირად საუბარში ყველას „ნამლავდა“ – რუსეთის ნდობა არ იქნებაო! ეს კიდევ არაფერი – აქ უსმინეთ, რა ხდება!

„დარბაზის სხდომაზეც კი უპირისპირდებოდა პატარა კახს, როცა ეს უკანასკნელი რუსეთის იმპერატორის მიმართ (უნდა იყოს იმპერატორისადმი. ჯ.მ.) ახალ აჯა-თხოვნას წაუკითხავდა დარბაზის ერს“.

მკითხველი შტერდება, აქ ავტორს ანწყო რატომ გადააქვს მყოფადში: თხოვნას ერეკლე დარბაზის ერს ოდესმე, მომავალში კი არ წაუკითხავდა, არამედ ახლა, ანწყო დროში უკითხავდა და აგერ, პაატაც ამავე დროის მიხედვით უპირისპირდებოდა!

რას ეხდება ფარდა? მნერალი უმარტივეს ულვლილებაშიც კი ვერ ერკვევა! მაშ, აქ რაღა მხატვრულობაზე ლაპარაკი შეიძლება?

ავტორი სულ არ ცდილობს, ამა თუ იმ სცენის ეტაპები, მომენტები თუ დეტალები იყოს ერთმანეთიდან გამომდინარე, ბუნებრივი თანმიმდევრობით გადაბმული და მხატვრულ დამაჯერებლობამდე აყვანილი.

სიკვდილმისჯილი პაატა ბატონიშვილი სატუსალოს  
საკანშია გამომწყვდეული.

„მამლის ყივილამდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი, პატი-  
მარს რომ მოახსენეს – შენთან საუბარი მეფემ ისურვაო.“

კი მაგრამ, მეციხოვნებმა საიდან შეიტყვეს, მეფემ პა-  
ტიმართან საუბარი რომ ისურვა – ერეკლეს წინდანინვე ინტერ-  
ვიუ ჩამოართვეს თუ რა იყო?! რაკი მეფე თავისი მცველებით  
პატიმრის საკანს მოულოდნელად თვითონ მოადგა, როგორც  
მცველები, ისე მეციხოვნები უტყუარი და გარდაუვალი ფაქ-  
ტის წინაშე აღმოჩნდნენ. ამიტომ პატიმრისთვის უნდა ეთქვათ,  
არა ეს, თანაც დამახინჯებულსინტაქსიანი ფრაზა „შენთან  
საუბარი მეფემ ისურვა.“ არამედ დროსა და გარემოებისათვის  
ზედგამოქრილი სათქმელი „მეფეს შენთან საუბარი სურს!“

და აქვე, ზედმობმით რ.მიშველაძე აი, რა სასწაულებრივ  
რამეს გვამცნობს. „სიკვდილმისჯილს, რა თქმა უნდა, არ ეძინა.“

გასაკვირია სწორედ! „რა თქმა უნდა“ და მაშ, რაღა საჭი-  
რო იყო ამ წინადადებით ტექსტის უაზროდ დამძიმება, ისევ  
უკან მიბრუნება და მკითხველის გულისყურის გადალლა: ეს  
ავტორის შეხსენების გარეშეც გვახსოვდა, პაატა ბატონიშვილს  
რომ არ ეძინა და მღვიძარე იყო, თორემ წელან მეფის სურვილს  
მძინარეს რომ არ მოახსენებდნენ?!

რ. მიშველაძე პატიმრის საკანში ერეკლეს შესვლას აღწერს.

„ორიოდე წუთში პარმალზე ერეკლე გამოჩნდა.

მეფემ ჯერ პატიმარს შეხედა, მერე მცველებს შეავლო თვა-  
ლი და... გამშრალი(უნდა იყოს მშრალი. ჯ.მ.) ხმით თქვა:

– გადით.

შუბოსნები გავიდნენ, კარი ლია დარჩა“.

აქ ავტორს ერთმანეთში არევია პარმალი და ზღურბლი.

პარმალი – აიგანი, დერეფანი. ზღურბლი – კარის ქვეშ  
გადასასვლელზე დადებული დირე.

ერთი სიტყვით, როგორც დავინახეთ, ერეკლე პარმალზე  
კი არ გამოჩნდა, არამედ ზღურბლს გადააბიჯა და აგერ „პატი-  
მარს შეხედა.“

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ორ ნოველაშიც გამომულავნდა რ. მიშველაძის მეტად სამწუხა- რო ერთ-ერთი მხატვრული ნაკლი: თავისი ფანტაზიით გამოძ- ერნილ მრავალრიცხოვან პერსონაჟებსაც რომ თავი დავანე- ბოთ, იგი საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ პიროვნებებსაც გულარებინად ასახელებს და ასახელებს ხოლმე, მაგრამ მერე თავს იოტისოდენადაც აღარ იწუხებს, რათა მათი მოქმედება, მეტყველება, ლექსიკა, სინტაქსი თუ ყოფაქცევაც მოცემული ეპოქისა და ამ ისტორიულ პირთა ბუნების, მრწამსის, იერარქიის შესაბამისი გამოუვიდეს!

აյ ავტორს თითქოს საბედისწერო ილუზია აცდუნებს: მკითხველებზე სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენად ამა თუ იმ სახელგავარდნილი პიროვნების მარტო მშრალი დასახელებაც კი მხატვრულ ფონს სულ ლივლივ-ლივლივით გაიყვანს!

ამაში არაერთხელ დავრწმუნდებით!

მკითხველებს აღარ გადავლი ნაშუალამევს სიკვდილ- მისჯილის დილეგში შესულ ერეკლესა და პაატა ბატონიშვილს შორის თითიდან გამოწოვილი სექმატური პაექრობის სრული ციტირებით, რომელიც, ცხადია, საქართველოს მომავალს ეხება.

უდრევი ბატონიშვილისგან ერეკლე ლამის თავს იცავს.

„ – შენ როგორ ფიქრობ, დავითი და თამარი არ ეძებდნენ მეზობელთა მფარველობას?“

ახლა პაატა ბატონიშვილის პასუხიც მოისმინეთ.

„ – ეძებდნენ, ოლონდ თავისუფლების ხარჯზე არა!“

თუკი გამოჩნდება ისეთი წიგნიერი, ოლონდ სამართლიანი ოპონენტი, რომელიც საჯაროდ განაცხადებს, ამნაირი სინტაქსით ფრაზის ავება არამცთუ იმ დროს და თანაც ქართლ- კახეთში, არამედ თუგინდ დღეს შეიძლება ჩაითვალოს გამართულად და მისაღებად, კრინტსაც აღარ დავძრავ: გულხელდაკრეფილი გავუჩერდები და ავტორის უსამართლოდ გაკრიტიკებისთვის რამდენიც უნდა, იმდენი მაფურთხოს პირისახეში!

ერეკლე მეფე თავდაჯერებული პაატა ბატონიშვილის შეგონებას ლამობს.

” – განსჯა იოლია. რამდენჯერ მითქვამს შენთვის, აბა, ჩემს ადგილას წარმოიდგინე თავი-მეთქი.“

რა შუაშია აქ ეს ჭკუაზე შემშლელი „თავი-მეთქი?!“ რო-  
მელი გამართული მოქართულე დაიჯერებს, უპრალო ხალ-  
ხის წიაღში გამოზრდილი პატარა კახი სინტაქსს ასე ულვთოდ  
დაგვიმახინჯებდა! აქ მართლა ერეკლე || კი არა, მისი სქემა-  
ტური ფანერის მაკეტს უშნოდ ამოფარებული ენის უცოდინარი  
ავტორი გველაპარაკება!

მოცემულ ფრაზაში სხვათა სიტყვის ნაწილაკი „მეთქი“  
თავს, შუბლს, ტვინს, ფეხს, ცხვირს თუ მხარბეჭს კი არ ეხება  
და ეკუთვნის, არამედ ქართული ენის ჯადოქრის, ზმნის მოქმე-  
დებას: ადამიანის გონების მოძრაობას, დასკვნის გამოტანას,  
შესედულების შეცვლას, გარკვეული აზრის ჩამოყალიბებას –  
ამ შემთხვევაში კი სიტყვას „წარმოიდგინე“, ვინაიდან, როგორც  
ავტორისეული მსჯელობიდან ჩანს, ერეკლე თურმე ადრეც ბევრ-  
ჯერ ცდილა, რათა ბატონიშვილისთვის თავისი თავი მეფის ადგ-  
ილას წარმოედგენინებინა!!! ამიტომ ამგვარი ლექსიკური მარ-  
აგით ამ ფრაზას ერეკლე მეფე, ალბათ, ამ ყაიდაზე აკინძავდა.

” – განსჯა იოლია!.. რამდენჯერ მითქვამს შენთვის, აბა,  
თავი ჩემს ადგილას წარმოიდგინე-მეთქი!“

ბარემ ერეკლეს დასკვნითი ფრაზის სინტაქსიც მოვის-  
მინოთ.

” – დავუტოვოთ ეს ყველაფერი განსასჯელად შთამომავლებს.“

სახელოვან მეფეს აქ კი ვერ დავყაბულდები: ენის სინ-  
მინდე დღენიადაგ თუ არ დავიცავით, „განსასჯელად შთამო-  
მავლებს“ ალარაფერი დარჩებათ!!!

ახლა აქ მოუსმინეთ, რ. მიშველაძე პაატა ბატონიშვილს  
რას უწოდებს.

„ტყვემ გაუბედავად გამოხედა.“

კი მაგრამ, სიკვდილმისჯილი პაატა ბატონიშვილი,  
ერეკლე მეორის ბიძა რანაირი ტყვეა?!

იძულებული ვარ, სრული თვალსაჩინოებისათვის ნორჩ  
მკითხველებს ამ სიტყვის მნიშვნელობა ქეგლიდან ზუსტად  
გადმოვუწერო.

**ტყვე** – 1. ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი ან მშვიდობიანი მოსახლე. 2. გადატ. ვისიმე (რისიმე) მონა-მორჩილი, ვინმეთი (რამეთი) მოხიბლული, დატყვევებული.

აქ ყველაფერი ნათელია და პაატა ბატონიშვილი ტყვე კი არა, არამედ **მსჯავრდადებული**, **სიკვდილმისჯილი**, **დამნაშავე**, **ტუსალი**, **პატიმარია!**

ახლა სიკვდილმისჯილის საკნის კარის მეტამორფოზას დავუკვირდეთ.

„**კარი** გაიღო. ჯერ ორი შუბოსანი მცველი შემოვიდა. მცველები რკინის **კარის** (უნდა იყოს **კარს**. ჯ. მ.) იქით-აქეთ (უმჯობესია აქეთ-იქით. ჯ. მ.) დადგნენ. ორიოდე წუთში... ერეკლე გამოჩნდა. მეფემ ჯერ პატიმარს შეხედა, მერე მცველებს შეავლო თვალი და... გამშრალი (უნდა იყოს მშრალი. ჯ. მ.) ხმით თქვა:

– გადით.

შუბოსანნი გავიდნენ. **კარი ლია დარჩა**“.

აქ ყველაფერი გასაგებია – საკანს **ერთი კარი აქვს**, ჰქონია!.. ერეკლე და პაატა ბატონიშვილი ვერაფერზე თანხმდებიან და მეფის ნასვლის დროც დგება.

„**პაატას მხარზე ხელი დაადო, მერე კარებისკენ გააბიჯა**“.

გასაკვირია, წელნდელი ის **ერთი კარი ასე უეცრად რანაირად გახდა კარები?**! ანდა, საკანს თავიდანვე მართლაც **რამდენიმე კარიც** რომ ჰქონდა, აბა, დავუფიქრდეთ, ერთი ადამიანი ერთდროულად მაინც რამდენი **კარებისკენ გბიჯებას შეძლებს?**!

ერთი სიტყვით, მწერალს არა აქვს ყურადღების მოდუნების წუთისოფელი, რაშიც ეს მაგალითიც დაგვარნმუნებს.

„**რიყეზე მტკვარში ჩაყინული ნავები მოჩანდა**“.

ნავები თუკი **მტკვარში** იყო ჩაყინული, მაშ, **რიყეზე როგორლა გამოჩნდებოდა?**! ხოლო თუ ნავები მართლა „**რიყეზე**“ მოჩანდა, **მტკვარში** რანაირად იქნებოდა „**ჩაყინული?**“

მაშ, რა ხდება? რა და, ავტორს ერთმანეთში აერია თან-დებულები. თან სასვენი ნიშანი, მძიმეც გამორჩენია. „**რიყეს-თან, მტკვარში ჩაყინული ნავები მოჩანდა**“.

\* \* \*

დადგა 1765 წლის 15 დეკემბერი – ერეკლე მეფის ნინა-ალმდეგ შეთქმულთა დასჯის დღე.

„ავლაპრის ხიდზე ტევა არ იყო.

თბილისის მოქალაქენი მეფისკარის (უნდა იყოს მეფის კარის ან სამეფო კარის. ჯ.მ.) შეთქმულების მონაწილეთა დასჯის სანახავად მოიჩიქაროდნენ.

შემაღლებულზე სამეფო დარბაზის წევრები და სახელმწიფო სამხედრო რაზმის სარდლები იდგნენ.“

გაოგნებას იწვევს ავტორისეული თხრობის ბუნდოვანი სტილი: ეს შეთქმულება „მეფისკარმა“ კი არ მოაწყო, არამედ პაატა ბატონიშვილმა და მისმა ორასიოდე რეაქციონერმა თანამზრახველმა, თვით „მეფისკარისა“ და სასიკვდილოდ გამეტებული ერეკლეს ნინააღმდეგ რომ იყო მიმართული!

ანდა, როგორი მოსასმენია, ქართლ-კახეთის სამეფოს შეიარაღებულ რაზმზე იხმარო თანამედროვე ოფიციალური ტერმინი „სახელმწიფო სამხედრო!“ ეს კიდევ არაფერი: აქამდე ვინმეს რომელიმე სამხედრო სახელმძღვანელოსა თუ ენციკლოპედიაში, ომების ისტორიაში, საჯარისო წესდებაში ან მხატვრულ ლიტერატურაში ამოეკითხა ანდა სადმე გაუგონია მაინც, რომ „სახელმწიფო სამხედრო რაზმს“ სათავეში სარდალი და მით უმეტეს, „სარდლები“ დგომოდნენ?! ჯერ ერთი, თუგინდ თანამედროვე ზესახელმწიფოს და მეტადრე იმდროინდელ დასუსტებულ ქართლ-კახეთის სამეფოს სად ეყოლებოდა ისეთი მრავალრიცხვანი კონტიგენტი, რომ თითოეული „სამხედრო რაზმის“ სათავეში „სარდლები“ ჩაეყენებინათ?! ანდა, ნებისმიერ სახელმწიფოს ამგვარი ფუფუნების შესაძლებლობაც რომ ჰქონდეს, მებრძოლთა ერთ მუჭა რაზმს რა ჯანდაბად უნდა „სარდლები“ – ეს ხომ სრულ დომხალს გამოიწვევდა არამარტო რაზმებში, არამედ მთელ ლაშქარში, არმიაში და აქედან, ბრძოლებისა და ომების პროცესსა და შედეგზე!

გეჩვენებათ, რომ თავისი მტერ-მოყვარე მაქებარ-მადიდებელთაგან გულმოცემული ავტორისთვის ჭეშმარიტება ის კი არ არის, რაც საყოველთაფა მიღებული, არამედ რასაც

ქართული პროზის რაინდი თავად მიიჩნევს!

„ბორკილების ჩხარუნით შემოიყვანეს დამნაშავენი და სამ-  
თავრო კარვების წინ სამრიგად ჩაამწკრივეს“.

სრულებით გაუგებარია, აქ რა მოსატანი იყო ეს „სამთავ-  
რო კარვები?“

ამ დროისთვის მთელ საქართველოში ოთხი – ოდი-  
შის, გურიის, აფხაზეთის და სვანეთის სამთავრო იყო, ხოლო  
ქართლ-კახეთის სამეფოში არავითარი სამთავრო არ არსებობდა!

მაში, ავტორმა 1765 წელს თბილისში საიდან ან ვისთვის  
ჩადგა „სამთავრო კარვები“, მით უმეტეს, როცა წელან აგერ, რა  
გვაუწყა: სამეფო დარბაზის წევრები და სახელმწიფო სამხედრო  
რაზმის სარდლები შემაღლებულზე იდგნენო!

\* \* \*

დაბორკილ პაატა ბატონიშვილს სადაცაა, თავი უნდა  
მოჰკვეთონ, მაგრამ ჯალათი დარჩიო ტაბაღლვი არა და არ  
ჩანს! სეირის მოსურნე ბრბო ღელავს, ხოლო მანდატურთუხუ-  
ცესი ეკლებზე ზის, ვინაიდან სასჯელის აღსრულება ერეკლეს  
სწორედ მან უნდა ახაროს!

„უკვე თორმეტი სრულდებოდა (ხედავთ, მაშინაც კი ყვე-  
ლაფერი სულ საათის წიკწიკზე ჰქონიათ ანყობილი! ჯ.მ.) და  
მანდატურთუხუცესი ჩექმის დეზებს „პოლკას“ მოცეკვავესავით  
უკაკუნებდა.“

შეცდუნებული მკითხველი აქ ვეღარ გარკვეულა – იცი-  
ნოს თუ იტიროს?! კი მაგრამ, რას ნიშნავს „ჩექმის დეზები?“  
დეზები დეზებია – დანიშნულების, ფორმის, ზომისა თუ წო-  
ნის მიხედვით ნუთუ არსებობს ჩექმის დეზები, წვივსაკრავის  
დეზები, ქალმის დეზები... თავკაუჭა დეზები, მოკლე დეზები,  
გრძელი დეზები... კალოშის დეზები, ბოტასის დეზები... ნახ-  
ევარგირვანქიანი დეზები, გირვანქიანი დეზები... სალაშქრო  
დეზები, სანადირო დეზები... შტიბლეტის დეზები, მოკასინის  
დეზები, ჩუსტის დეზები, მესტის დეზები... მორკალული დეზე-  
ბი... სავარჯოში დეზები და ა.შ.?!

ასევე მთლად დილეტანტურია აქ მანდატურთუხუცე-  
სის „პოლკას“ მოცეკვავესთან ამგვარი ნაძალადევი შედარე-

ბა. ეს ჩეხური სამეჯლისო ცეკვა XIX საუკუნის დასაწყისში გავრცელდა სლოვაკიაში, სერბიაში, უნგრეთსა და ავსტრიაში, ხოლო მთელ ევროპაში ამავე საუკუნის 40-იანი წლებიდან გახდა პოპულარული, როგორც ცოცხალი, მსუბუქი და მარტივი ტიპის წყვილთა ცეკვა, რომელიც სულ არ ითვალისწინებდა თავანყვეტილი ჰუსარების ჩექების ბრახაბრუხსა და დეზების ყურთასმენის წამლებ ულარაულურს!

ჰოდა, სად ერეკლეს დეზებიანი მანდატურთუხუცესი და სად – ჩეხური წყვილთა მსუბუქი სამეჯლისო ცეკვა „პოლკა?!” თანაც დეკემბრის ლაფსა და თოვლ-ჭყაპში საეჭვოა დეზებს კაკუნის ხმა გამოეცა!

\* \* \*

### „ცივმა ოფლმა დაუცვარა შუბლი ჩოხოსან ოფიცერს“.

ორი მიზეზის გამო აქ მკითხველი შეიძლება დეპრესიაში ჩავარდეს. ჯერ ერთი, ავტორს არ ძალუძს გამართული, მადლიანი ქართულით გვაუწყოს: ჩოხიან ოფიცერს შუბლი ცივმა ოფლმა დაუცვარაო. არა, გაუკულმართებული სინტაქსის ტყვემ აზრის მტყივნეული გადმოცემა მაინცდამაინც ბოლოდან უნდა დაიწყოს, როცა რაიმე მხატვრული ეფექტის მისაღწევად სულ არ იგრძნობა ამის აუცილებლობა! მეორეც, ავტორი ისე ყინჩად გაიძახის სიტყვას „ოფიცერი“, თითქოს ფრიდრიხის დიდის ან ნაპოლეონის არმიაზე გველაპარაკებოდეს! ამ ეპოქის საქართველოში სახალხო ლაშქრის შეკრება გაწერით ან კომლზე კაცის დაძახებით ხდებოდა. მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გავლენით და მოწინავე ქვეყნების წაბაძვით ერეკლე მეფე დარბაზის დასტურით 1774 წელს დაშეუდგა რეგულარული ჯარის მკრთალი წარმონაქმნის მინამს-გავსი მუდმივი ლაშქრის ანუ მორიგი ჯარის შექმნას.

სიტყვა „ოფიცერი“ არც მაშინ ჭაჭანებდა და ლაშქარს უშუალოდ მეფისადმი დამორჩილებული სამხედრო მოხელეები – სარდრები, მინბაშები და უზბაშები განაგებდნენ. ათიოდე წლის შემდეგ ქვეყნის რეაქციული ძალების საერთო მცდელობის შედეგად მორიგე ლაშქარიც (დაახლ. 5 000 მეომარი) შემ-

ცირდა, ბოლოს კი იგი უცხოტომელთა დაქირავებულმა ჯარის სახეობამ შეცვალა.

ერთი სიტყვით, საქმეში ჩაუხედავ ავტორს მეტისმეტად ნაადრევი გამოუვიდა მე-18 საუკუნის შუახანს ქართლ-კახეთის სამეფოს სახალხო ლაშქარში **ოფიცრის** ჩინის შემოღება!

\* \* \*

ჯალათი დარჩო ტაბალოვი თურმე უამბოდ არ აგვიანებს – საქმე ჩაწყობილსა ჰგავს! მართლაც: ერეკლეს პაატა ბატონიშვილი შეუწყალებია და სანამ „უდისციპლინო“ ჯალათი ადგილზე გამოცხადდება და თავის მოვალეობას აღასრულებდეს, მანამ შეწყალების ამბავი მსაჯულებს შიკრიკის პირით სასწრაფოდ უნდა აცნობონ!

აღფრთოვანებულ-აღელვებულ სახლთუხუცესს ამ მიზნით დიდებულთა დასტა აუდევნებია.

**„საშიკრიკო ყაზარმაში შევარდნენ“.**

ჯერ ერთი, უნდა იყოს **შეცვივდნენ**. თანაც მეფისა და სასახლის მცველები, ალბათ, იქვე, იმდროინდელი თბილისის-თვის დამახასიათებელ საცხოვრებელში იდგომილებდნენ და არა თანამედროვე გაგებით ნაგულისხმევ ტრადიციულ ყაზარმებში. ესეც რომ არა, ერეკლე მეფეს მაინც რამდენი შიკრიკი უნდა ჰყოლოდა, რომ მათვის საგანგებო „**საშიკრიკო ყაზარმა**“ გამოეყო ანდა აეშენებინა?! არ ვიცი, მაშინდელ წყაროებში ნუთუ სადმე დასტურდება ტერმინი „**საშიკრიკო ყაზარმა**“?

ერთი სიტყვით, მეფის შეწყალება ისნის სასახლეს მთლიანად ააფორიაქებს.

**„ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ შეიწყალებდა! – წამდაუწუმ იმეორებდა სოლომონ ლიონიძე“.**

ბ-ნო გიორგი (იური), ეს რომ წავიკითხე, ცოტა გაწყდა, ელდისგან ტვინში სისხლი არ ჩამექცა, ვინაიდან ამ ცნობამ უეცრად ეჭვქვეშ დააყენა ჩემი, როგორც ისტორიკოსის, საქართველოს ისტორიის ცოდნის მარაგი და მახსოვრობა!

მე უბედურს რატომღაც ასე მახსოვდა: **სოლომონ ლიონიძე (1741/54-1818)** ერელკე მეფეზე 30-35 წლით უმცროსი

იყო. იგი თელავში იზრდებოდა და იქვე ეუფლებოდა სომხურ, სპარსულ, თურქულ, რუსულ ენებს და მხოლოდ 80-იან წლებში ე. ი. პატარა ბატონიშვილის სიკვდილით დასჯიდან 20-25 წლის მერედა გახდა ქართლ-კახეთის სამეფო კარის მსაჯული – მდი-ვანბეგი (1801 წლამდე).

ჰოდა, აბა, როგორი წარმოსადგენია, 1765 წელს 45 წლის ერეკლე მეფეს 13-15 წლის ყმანვილი სოლომონი მსაჯულად ჰყოლოდა!

ბ-ნო გიორგი (იური), შეიძლება შემნიშნოთ ან ხუმრულად დამცინოთ კიდეც: შე კაი კაცო, თუკი ეგენი იცოდი, ელდა რაღამ მოგვგარაო!

ჰმ! აბა, მოდი და ელდა-შიშს ნუ წაედებინები, როცა მე, ერთი მცირემცოდნე, ფანატიკურ თავდაჯერებას მოკლებული უმნიშვნელო ლიტერატორი ვარ, ხოლო ყოველივე ამას ბრძანებს ცოცხალ კლასიკოსად, ქართული პროზის რაინდად და „ქართული კულტურის ამაგდარად“ გამოცხადებული მწერალი!... შოთა რუსთაველის, სახელმწიფო, ჩვენი და უცხო ქვეყნების აუარებელი ჯილდო-პრემიების მფლობელი!.. მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი ავტორი!.. პროფესორი, დოქტორი, ლექტორი... მწერალთა კავშირის ერთ-ერთი სტაუინი ხელმძღვანელი!!!

ამდენი ჯილდო-პრემია-წოდებებით დახუნძლულ რ. მიშველაძესაც რომ თავი დავანებოთ, თქვენ თვითონაც აგერ, როგორ იწყებთ მისდამი მიძღვნილ წერილს, „მწერალი, რომელიც ცხოვრებას გვასწავლის“: იმის მაგიერ, მაშინვე მწერლის ნაწარმოებების ავკარგიანობის პირუთვნელ გარჩევას შეუდგეთ, გამოცდილ მოკრივესავით რ. მიშველაძის ულერადი პრემია-რეგალიების ჩამოთვლით ჯერ მკითხველის მსუბუქ ნოკაუტისებურ გაბრუებას ცდილობთ, რათა მერე თქვენ მიერ ალვლენილი ქებათა ქება სათანადოდ დამუშავებულმა მკითხველებმა სახარებასავით უკრიტიკოდ მივიღოთ და ვირწმუნოდ!

„შოთა რუსთაველის პრემიისა და მრავალი სხვა სახელმწიფო და ლიტერატურული პრემიების ლაურეატის, ქართული პროზის რაინდის რევაზ მიშველაძის სრულ ნაწარმოებთა ოცდახუთტომეულის მეოთხე ტომი ჭეშმარიტად საუკეთესო ნიმუშებს შეიცავს“.

მაშ, რაღა გასაკვირი უნდა იყოს, რომ მსგავსი შემთხ-

ვევისას მოულოდნელობის ელდა უმაღ მიმორჩილებს და მაშინვე ასე მომეჩვენება ხოლმე: მე უბედურს თურმე ხეირიანად არაფერი მცოდნია და მხსომებია, ხოლო ცოცხალი კლასიკოსის და ცოცხალ კლასიკოსზე ნათქვამი ყოველი სიტყვა კი ძირს დაუშვებელია!

ჰოდა, ამგვარი მერყეობისთვის გამკიცხონ კი არა, ღირსებადაც უნდა ჩამითვალონ, სულიერად მაინც რომ არ ვეცემი, საჭირო წყაროებს ვამონმებ და ჩემს სიმართლეს დავიდასტურებ ხოლმე! მაგრამ ეს მდგომარეობას როდი მიმსუბუქებს! პირიქით, უფრო უარეს სატანჯველში ვვარდები, ვწარდან აქ პირვანდელ ელდას ახლა კიდევ უფრო მსუსხავი განცდა, აღშფოთება ენაცვლება – როგორ შეიძლება ყველაფერზე ასე ვარაუდით, ზერელედ, ალალბედზე ლაზღანდარულად წერა!!!

ბ-ნო გიორგი (იური), 1979-81 წლებში საქართველოს „მონკავშირის“ პრეზიდიუმის ეგერად ვმუშაობდი. რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში დატრიალებული რამდენიმე ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ პრეზიდიუმის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ცხონებულმა ნიკო მგელიაშვილმა „მონკავშირის“ წევრად გახდომის მსურველი ახალბედებისთვის ერთნობიანი საკანდიდატო ვადა შემოიღო – მონადირის ბილეთის გაცემისა და სანადირო თოფის შეძენის უფლების გარეშე. უთოფიარალო კანდიდატებს სტაუირება ჯერ გამოცდილ მონადირებთან, უშუალოდ ნადირობის პროცესში უნდა გაევლოთ და თან ზედმინევნით შეესწავლათ პრეზიდიუმის მიერ ახლებურად შედგენილი „მონადირის სამახსოვრო“, რომელიც ერთ-ერთ ამგვარ გამაფრთხილებულ პარაგრაფსაც შეიცავდა: რაიმე სისხლიანი ტრაგედია რომ არ დატრიალდეს, ტყე-ველად გასულმა მონადირემ გარკვევით თუ ვერ დაინახა მოსანადირებელი ნადირ-ფრინველი, ისე სასტიკად ეკრძალება ფაჩუნზე ვარაუდით სროლა!!!

გამაოგნებელი სიზუსტით იგივე ეხება მხატვრულ ლიტერატურასაც!

სამწუხაროდ, რ. მიშველაძე „ფაჩუნზე“ ისეთი უდარდელი ალალბედურობით „ისვრის“ ხოლმე, თითქოს ცოცხალ კლასიკოსად და ქართული პროზის რაინდად შერაცხული მწერალი კი არა,

პროვინციული გაზეთის დაშტამპული ლიტმუშაკი იყოს, ზევიდან დავალებით რაღაც სასწრაფო იუმორესკას რომ წერს!

კეთილი, ქართლ-კახეთის სამეფო კარზე სოლომონ ლიონიძის მოღვაწეობის თარიღები რ. მიმველაძეს უმოწყალოდ აერ-დაერია და ჯერ 13-15 წლის ყმაწვილი შუახანს გადაცილებულ ერეკლეს მსაჯულად დაუყენა, მაგრამ ეს რაღას მივაწეროთ?

შეწყალების ცნობამ პაატა ბატონიშვილს დროზე რომ მიუსწროს, ისნის სასახლის „საშიკრიკო ყაზარმაში შევარდნილი“ სოლომონ ლიონიძე, სახლთუზუცესის თანაშემწე და რამდენიმე დიდებული რიყეზე გასაგზავნ შიკრიკს ამზადებენ და აქ ავტორი აი, რას წერს.

**„ფეხდაფეხ მისდევდა სოლომონ ლიონიძე ამხედრებულ შიკრიკს“.**

ბოლოს და ბოლოს ჩემს პიროვნულ მოთმინებას თუ კოლეგიურ ხათრიჯამობასაც თავისი საზღვრები და ამტანობა გააჩინია! მხატვრულ-ლიტერატურული ლირებულებებისა და საკუთარი მწერლური ლირსება-გემოვნების ასე წამდაუწუმ შეურაცხყოფა მაიძულებს ამგვრი ტექსტის კითხვისას გზადაგზა ჩამოყალიბებული შეხედულება პირუთვნელად გამოვამზეურო: რევაზ მიშველაძე ჩემს თვალში ხშირად ემსგავსება მწერალთა კავშირის ნებიერა უფლისწულს, თავის ერთადერთ მიზნად მკითხველების გაწამება რომ დაუსახავს!

მაშ, მართლა ალარ არის მხატვრულად ჭვრეტა-განსჯის უმინიმალურესი უნარი: მხოლოდ **ამხედრებულს** ფეხდაფეხ როგორ უნდა გაჰყვე ან გამოუდგე?!

რას ნიშნავს **ამხედრებული?** ლექსიკონი გვეუბნება: **ცხენზე შემჯდარი.**

ჰოდა, ცხენზე შემჯდარი კაცი შეიძლება ერთხანს, კარგა ხანს, დიდხანს ან მთელი დღეც სულ ასე უძრავად იდგეს და ერთ ადგილას გაჩერებულ ცხენოსანს ადამიანი **„ფეხდაფეხ“** სად, როგორ, რანაირად უნდა გაჰყვეს თუ მისდევდეს?!

ავტორს იმდენი მხატვრული მოაზრების შნო თუ ლექსიკური მარაგი არ აბადია, რომ ამ ამხედრებულმა შიკრიკმა ჯერ

ცხენი დაძრას, გაანავარდოს, დააოთხოს, გაქუსლოს, გააჭენოს და თუ ეს მართლა აუცილებელია, მეფის მსაჯული მერელა დაადევნოს!

ამდენი კურიოზული ლაფსუსების აღრიცხვა-გარჩევით საკუთარი თავი თანდათან მე თვითონვე რომ მეზრზინება, ვინ იცის, მკითხველებისა და მით უმეტეს, გულნატყენი თუ დამდურებული ოპონენტების თვალში რალა ვიქები, მაგრამ რა ქვას ვახალო თავი, როცა საკითხი ღმერთების ენის სიწმინდისა და მხატვრული ღირებულებების დაცვას ეხება, ავტორმა კი არ იცის, არ ესმის ანდა არც ანალვლებს და ამიტომ არავითარ ანგარიშს არ უწევს იმდროინდელი ფეოდალური საქართველოს იერარქიული ღირსებისა და ეთიკეტის ნორმების სუბორდინაციულ დაცვას.

აბა, მაშინდელ სინამდვილეში ამაზე უფრო კარიკატურულ-სამარცხვინო სურათის წარმოდგენა შეიძლება: ცხენფრენით მიმავალ შიკრიკს – უკან ფლოქვთაგან გამონატყორცნ თოვლ-ჭყაპისა და ლაფის კოშტების შლეიცს რომ მიიყოლებს! – ტანსაცმლის კალთებაფრიალებული მეფის ბრძენი მსაჯული მათხოვარივით, ცეტი ბიჭივით თუ ოლიმპიელი სპრინტერივით ფეხდაფეს დასდევნებოდა!!! კი მაგრამ, რატომ, რისთვის? ეს რას მოიტანდა?! ხოლო ეს თუ მართლა აუცილებელი იყო, ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქში, თანაც მეფის სასახლესთან მეორე კაცისთვის ნუთუ ერთი ჯაგლაგი ცხენი მაინც არ გამოინახებოდა?! ეჰ, ჯაგლაგი რა საკადრი-სია, დარახტულ ყარაბაღულს ან არაბულსაც მოართმევდნენ, მაგრამ ეს ავტორმა ვერ მოიაზრა, არც აინტერესებს და მკითხველებს ყურით მოთრეული ლათაიებით იყოლიებს, ვინაიდან, როგორც ჩანს, მისთვის უკვე მთავარია არა მიუღწეველი მხატვრული თხრობის სიზუსტე, სიფაქიზე და მკითხველის მომსყიდველი დამაჯერებლობა, არამედ გარკვეული რაოდენობის ფურცლების, თავების, ტომების შესავსებად სტახანოვური იერიშობანა, რათა უხარისხობა რაოდენობით გადაიფაროს!

ბ-ნო გიორგი (იური), ამ სცენაში ავტორის სრული უცოდინარობა, უპასუხისმგებლობა თუ უდარდელობა თავის მწვერვალს აი, სად აღწევს. თქვენ, როგორც რ. მიშველაძის

მეხოტბეთუხუცესი, ადვილად გაიხსენებთ, რიყეზე გასაგზავნ  
შიკრიკს სოლომონ ლიონიძე რას აპარებს.

„ – იჩქარე, მეფემ პაატა ბატონიშვილი შეიწყნარა! თვალის  
დახამხამებაში რიყეზე უნდა გაჩნდე! პირდაპირ მთავარმოსამარ-  
თლეს უნდა აცნობო!“

არადა, რ. მიშველაძის მიერ ალალბედად გამოგონილი ეს  
უცნაური მოხელე „მთავარმოსამართლე“ ანუ მდივანბეგი, მსა-  
ჯულთუხუცესი თვითონ... სოლომონ ლიონიძე იყო!!!

კეთილი! მართალია, ავტორს ისტორიის ცოდნის საფა-  
ნელი არ ეყო და სოლომონ ლიონიძე მეფის მსაჯულად 20-25  
წლით ადრე დანიშნა, მაგრამ თვითონ ხომ არ იცოდა, ამგვარ  
აბსურდულობაზე ფეხი რომ მოისხლიტა! ჰოდა, რა გამოდის?  
რიყეზე ორასიოდე შეთქმული უნდა გაასამართლონ და სასტი-  
კად დასაჯონ, ამ დროს მეფის მსაჯულთუხუცესი სოლომონ  
ლიონიძე კი... ისნის სასახლის „საშიკრიკო ყაზარმაში“ დარბის  
და შიკრიკს „მთავარმოსამართლესთან“ ანუ... თავის თავთან (!)  
სიტყვას აპარებს, მერე კი გაჭერებულ შიკრიკს ჭკუათხელივით  
თავქუდმოგლეჯით გამოეკიდება!

აქ ფარდა აეხადა ავტორის ჩვევად ქცეულ ზერელო-  
ბას: ყურმოკვრით კი გაუგონია, სოლომონ ლიონიძე ერეკლე  
მეორესთან რომ „მუშაობდა“, მაგრამ ის კი ალარ სცოდნია,  
სად, როდის, რა თანამდებობაზე და ცნობილი ისტორიული  
პიროვნება ნოველაში ასე ალალბედად შემოჰყავს!

**პოეზიისაგან** განხსხვავებით, **პროზა** მსგავს „ფაჩუნზე  
სროლას“ ვერ ითმენს და ვერც ვერასოდეს მოითმენს. მაგა-  
ლითად, **პოეტი** თამამად აცხადებს: **რომელი მეფე ერეკლე მე**  
**ვარ, ანდა, სოლომონ, მსაჯული მისიო!** შეიძლება პოეტმა სულ  
არ იცოდეს სოლომონ ლიონიძის ცხოვრება-მოღვაწეობის ზუს-  
ტი თარიღები, პერიოდები და სხვადასხვა წვრილმანები, მაგ-  
რამ ეს უცოდინარობა აქ არ გამომჟღავნდება, ვინაიდან ამ  
კონტექსტში მარტო მეფისა და მისი ბრძენი მსაჯულის ლირი-  
კულ-ეფექტური ხსენებაც კმარა!!! მაგრამ როცა პროზაიკოსი  
ეპიკური სიდინჯით მოგვითხრობს, ეს ამბავი 1765 წლის 15  
დეკემბერს მოხდაონ და თან ამავე დროს აქ სოლომონ ლიონიძე-  
საც ამოქმედებს და ალაპარაკებს, როცა მაშინ ის ჯერ მხო-

ლოდ ყმაწვილი იყო, თელავში იმყოფებოდა და მეფის მსაჯული ოცდაათიოდე წლის შემდეგლა გახდა, ეს უკვე სრული კრახი და კატასტროფა!!!

მოკლედ, შიერიკი კი აფრინეს, მაგრამ ერთი ფეხით დააგვიანდება: გაუჩინარებული ჯალათის მაგივრობა „წინა-მასწარა“ გიორგი ქსნის ერისთავს გაუწევია და პაატა ბატონი-შვილისთვის თავი საკუთარი ხმლით მოუკეთია.

ეს ამბავი ერეკლე მეფეს მეტისმეტად დაამწუხრებს.

„ბარბაციო შევიდა თავის სასახლეში და მეორე დღეს გა-რეთ არ გამოსულა. წახემსებაზეც კი უარი თქვა. ქსნის საერი-სთავო გააუქმა და თავის შვილებს დაუნანილა“.

გაკვირვებას იწვევს ავტორის მიერ ისტორიული ფაქტების ამგვარი თვითნებური თუ რაღაც თვითმიზნური გა-დაკეთებ-გადმოკეთება – ერეკლემ ქსნის საერისთავო პაატა ბატონიშვილის სიკვდილით დასჯიდან ცხრა წლის შემდეგ (!) გააუქმა და თანაც სულ სხვა მიზეზით.

ბ-ნო გიორგი (იური), ამ ტექსტზე მსჯელობას აქ ვწყვეტ, ოღონდ მასში გველგესლასავით განაბულ ერთ ენობრივ ზაღს, რომელიც ათასწლეულის საშინელებად მიმაჩნია, ცოტა მოგვი-ანებით შევეხები.

\* \* \*

რ. მიშველაძეს თავის ანუ „მწერლის გაზეთის“ 2013 წლის სექტემბრის ნომერში ზედმიყოლებით გამოქვეყნებული მეო-რე ტექსტისთვისაც „უქიმერონის ციხე“ – რომელიც რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის, გოტოლბ პაინრის ფონ ტოტლებენი-სა (1715-1773) და იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის (1735-1783) ხანმოკლე ურთიერთობას ეხება – ნოველა უნოდებია. მაგრამ იმას აღარ უფიქრდება ანდა, ჩირადაც არ უღირს: ნამდ-ვილი ნოველის ბუნება მოითმენს თუ არა რაგინდარა ამბებისა და ისტორიული ფაქტების სტიქიურ დახვავებას და თხრობის ამგვარ ოღროჩოლრო სტილს.

ჩემი აზრით, ეს არის არა ნოველა, არამედ სამეცნიერო ნაშრომის, ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენ-ტის მშრალი საკურსოს, მოთხოვნის, რომანის, უკბილი იუ-

მორესკისა და ახალბედა სამხედრო კორესპონდენტის ნაჩქარევი დოკუმენტური ნარკვევის აქა-იქ ამოგლეჯილი პასაჟების კონგლომერაცია.

სულნასული დებიუტანტივით აქ ავტორს თავი ვერ შეუკავებია დამღუპველი ცდუნებისაგან, რათა ე. წ. ნოველაში, რომელიც მხოლოდ გაზეთის გვერდნახევარია და თანაც, უკვე როგორც წესი, მსხვილი კორპუსით აწყობილი, ტოტლებენის ფრანგი ადიუტანტის, **შარლ დე გრაი დე ფუას** წიგნიდან ამოღებული მოზრდილი აბზაცებით ორჯერ არ „მოგვხილოს“, სოციალურ-ეკონომიკურად გაპარტახებულ საქართველოს და სოლომონ I-ის უნუგეშო მდგომარეობას რომ ეხება, რომელიც, დე ფუას დაკვირვებით, თურმე „ყაჩალების წინამძღოლს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელმწიფე“.

ეს ვრცელი ისტორიული ცნობები თავისთავად უაღრესად საინტერესოა, მაგრამ კაპას დედოფალს დამსგავსებული ნოველის ბუნება-ხასიათი და მხატვრულობა მსგავს მეტოქეობას რომ ვერ ითმენს?!

ავტორი რაკი ასე მოხიბლულა თვალდაკვირვებული ფრანგის ჩანაწერებით, მაშინ ამდგარიყო და გამონაკლისას სახით პატარა ისტორიული ნარკვევი დაეწერა! დარწმუნებული ვარ, ლექტორსა და დოქტორ კაცს ეს უფრო საინტერესო გამოუვიდოდა – ამ შემთხვევაში ნოველას რაღას ერჩიოდა?!?

ახლა კი რა შეგვრჩა ხელში? ისტორიის ანალებიდან ამოქექილი უნიკალური ცნობებით იმდროინდელი საქართველოს სავალალო სინამდვილეში გადატყუებული მკითხველი ისე ითრგუნება, მერე მასზე სულ აღარ ზემოქმედებს ე. წ. ნოველად შემოტყუებული წყალწყალა თხრობა და უზუსტო მხატვრულობა!

ქრესტომათიის მიხედვით, ბოლოს და ბოლოს, რა არის, როგორი უნდა იყოს ნოველა?

მისთვის დამახასიათებელია მარტივი სიუჟეტი, პერსონაჟთა უკიდურესი სიმცირე, მოთხრობისაგან განსხვავებით მასში ძალზე შეეუმშულადაა ნაჩვენები ყოფითი დეტალები, გარემო, ხასიათის ფორმირების პროცესი; ნოველისთვის უცხოა აღნერითი მომენტები, აქცენტი გადატანილია მოვლენის რომელიმე მხარის, პერსონაჟის ერთ-ერთი თვისების გამოკვეთაზე, რაც

განაპირობებს თხრობის ლაკონიზმს და მოქმედების ექსპრესიას. კომპოზიციურად ნოველა უკიდურესად შეკრულია. კვანძის გახსნა და შეკვრა სწრაფად ხდება. ფინალი, რომელიც ხშირად მოულოდნელი შედეგით ხასიათდება, მკითხველის მძაფრემოციებს იწვევს.

ავტორს კი ეს არ ესმის ან თავისას მაინც არ იშლის. აჲა, თქვენც მოუსმინეთ!

„ტოტლებენს მეორე ადიუტანტიც ჰყავდა. ეს გახლდათ საქართველოში რუსეთის საქმეთა რწმუნებული ანტონ მოურავოვი. იგი გვარ-ტომით წმინდა წყლის ქართველი გახლდათ. მკითხველს ვთხოვ, „მოურავოვი“, „მურავიოვში“ არ აერიოს. მოურავოვი ქართველია, მურავიოვი რუსი...“

ერთჲა! რ. მიშველაძე აქ უკვე მკითხველების შეურაცხყოფაზე გადადის, რადგან მათ ისე მიმართავს, თითქოს საქმე დებილებთან ჰქონდეს – თქვე შტერებო, ერთმანეთში არაფერი აურიოთ: მოურავოვი მურავიოვი არ გეგონოთო! კი მაგრამ, რატომ უნდა ჰქონებოდათ – სად მოურავოვი, სად მურავიოვი?!

მნერალი თუკი ამგვარ დედაბრულ შიშსა და ეჭვიანობას წაელებინება, ემანდ შეცდომით არავის რა ეგონოსო, მაშინ პანია, შეკრულ ნოველას კი არა, უღიმღამო რომანსაც კი ველარ მოაპას თავს და სულ ამგვარ ურთიერთდამამცირებელ ჩიჩინსა და ბიბლიოგრაფიულ განმარტებებს უნდა გადაჰყეს!!! თუ აღარ დაიშლიდა, ამ ანტონ მოურავოვის ვინაობა სქოლიოში ორიოდე სიტყვით განემარტა და ეგ იქნებოდა! მაგრამ ავტორი, დროებით რომ დაუვინწყია ნოველაში „თავისი“ მხატვრული სათხრობი ანდა შეიძლება გამოკვეთილი სახით ჯერ არც კი ჰქონდა წარმოდგენილი და ამიტომ იძულებული იყო სულ ასე გზადაგზა ნაპოვნ-ნარჩევი ფრაგმენტებით ეკონიქებინა, ვერა და ვერ შელევია ამ ანტონ მოურავოვის გენეალოგისა და ბიოგრაფიული დეტალების დაწვრილებით გადმოცემის დილეტანტურ ცდუნებას.

„ანტონ მოურავოვი რომანიზ თარხან-მოურავის შვილია (უნდა იყოს „შვილი იყო“. ჯ. მ.), ხოლო რომანზი, არც მეტი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), არც ნაკლები, გიორგი სააკაძის უმცროსი

ვაჟის (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), იორამის შვილიშვილი. რომანოზი 1724 წელს ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა მოსკოვში (არადა, ვახტანგ VI და მისი მრავალრიცხოვანი ამალა პირდაპირ მოსკოვს არ წასულა. მათი მარშრუტი მეტად რთული აღმოჩნდა: ასტრახანი, პეტერბურგი, მოსკოვი, მერე ისევ ასტრახანი... ჯ. მ.) და იმის შემდეგ, როგორც ვახტანგის ამალის წევრთა უმეტესობა (უმეტესობა კი არა, თითქმის ყველა! ჯ. მ.) რუსეთში დასახლდა. დიდი მოურავის (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), გიორგი სააკაძის პატივსაცემად ანტონმა „მოურავოვი“ აირჩია გვარად. შევიდა რუსებელმწიფის სამსახურში, მოიპოვა...“ და ა. შ. და ა. შ.!...

ცხადია, მეტად საინტერესოა რომელიღაც წყაროდან გადმოწერილი ეს ისტორიული ცნობები, მაგრამ ავტორს რომ ნოველა ჰქონდა ჩაფიქრებული და არა სამეცნიერო ნარკევი ან ისტორიული რომანი?! მაში, როდემდე გასტანს ისტორიის მრუმე ლაბირინთებში დოკუმენტური ბორიალი და როდისლა დაიწყება რუბრიკით შეპირებული ნოველის მოსახდენი ავტორისეული ხალასი თხრობა, ლაკონიზმი და მიმზიდველი მხატვრულობა?!

თანაც ავტორმა თუკი მოურავოვ-მურავიოვის განსამარტავად ამდენი ინვალა, საცა სამართალია, მაშინ ტოტლებენის შესახებაც უნდა გავეფრთხილებინეთ: ემანდ ლმერთი არ გაგინყრეთ და ეს ტოტლებენიც რუსეთში ვახტანგ VI-თან ერთად წასული, მერე იქ დასახლებული და ანტონ თარხან-მოურავოვის მსგავსად გვარგადაკეთებული ტეტელოშვილი ან ცნობილი მოჭიდავის, ტოტიკაშვილის შორეული წინაპარი არ გეგონოთ: იგი რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი იყო, წარმოშობით გერმანელი, რომელიც სხვადასხვა დროს მსახურობდა საქსონიის, პოლანდიის, პრუსიისა და რუსეთის არმიებში. შეიძლიანი იმის დროს (1756-63) რუსეთის სამსახურში ჩადგა და თავი გამოიჩინა კუნერსდორფის პრძოლაში (1759), მაგრამ 1761 წელს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს და სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა, რის აღსრულებასაც პეტრე III-ის სიკვდილმა შეუშალა ხელი... ეკატერინე მეორემ შეიწყალა და რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 იმის დროს იგი იმერეთის

მეფის დასახმარებლად გასაგზავნი რაზმის მეთაურად დანიშნა. 1769 წლის აგვისტოში ტოტლებენი ერეკლე II-ს დაუკავშირდა და დახმარება აღუთქვა. სექტემბერში კი იმერეთში გადავიდა და თურქებთან ბრძოლაში ჩაება, მაგრამ ოქტომბერში ისევ ქართლში დაპრუნდა. 1770 წლის აპრილში მან ქართლ-კახეთის ჯართან ერთად ახალციხისკენ გაილაშქრა, მაგრამ 19 აპრილს აწყურთან ერეკლე II მიატოვა, ისევ იმერეთში გადავიდა და თურქებისაგან შორაპნის, ცუცხვათის, ბალდადის და ქუთაისის ციხეების გათავისუფლბაში მიიღო მონაწილეობა. ამის მერე...“ და ა. შ. და ა. შ.!...“

საქართველოს ბედუკულმართი ისტორიით გულდამწვარი ჩვენი მკითხველები არც ამგვარი ლექციისას ამოიგლესდნენ ყურებს, მაგრამ ნოველას რომ თავისი ფორმა და ხასიათი აქვს?! თუმც უკვე გვიანია ამაზე გოდება და ჯობია დარჩენილ ტექსტს მივხედოთ.

ნოველის პირველივე, ოთხსტრიქონიანი აბზაცი მკითხველის გაკვირვებას და ბუნებრივ ირონიულ ლიმილს იწვევს.

„1769 წლის 29 ივლისს ტოტლებენი ერეკლე მეორის თხოვნით იმერეთისკენ გამოეშურა, რათა სოლომონ პირველს თურქების გარეკვაში დახმარებოდა“.

არდა, წყაროებიდან ცნობილია და ეს ქართულ ენციკლოპედიაშიც არის აღნიშნული, რომ ტოტლებენი ქართლიდან იმერეთში სექტემბერში გადავიდა და გაუგებარია, ავტორმა ეს ვადა უკან ორი თვით რა მიზნით გადმოსწია?!

გარდა ამისა, ტოტლებენი, ეს ცივგონებიანი გერმანელი, ის მხედართმთავარი არ იყო – თანაც იმპერიის ცენტრიდან და ფარგლებიდან ამსიშორე მანძილით დაშორებული! – ერეკლესა თუ სხვა ვისიმე თხოვნა-კარნახით ერბინა და ეომა! იგი მხოლოდ იმპერატორის კარზე საგანგებოდ შემუშავებული საიდუმლო ინსტრუქციებით მოქმედებდა! ეს აშკარად გამოჩნდა ასპინძის ბრძოლის წინაც, როცა თვითონ ერეკლე II მოულოდნელად მიატოვა და უკან გამობრუნდა.

ირონიულ ლიმილს კი აი, რა იწვევს: რ. მიშველაძე ისეთი რიხით გვაუწყებს, ტოტლებენი იმერეთისაკენ გამოეშურაო, თითქოს იმ დროს თვითონაც მეფე სოლომონ პირველის გვერ-

დით თუ არა, იმერეთში მაინც ყოფილიყო! უნდა იყოს „იმრე-  
თისკენ გაეშურა“.

მესამე, ხალტურულად შეხანხლულ რვასტრიქონიან აპ-  
ზაცს რ.მიშველაძის მწერლური ღირსებისთვის ყოველმხრივი  
კრახის მეტი არაფერი მოაქვს.

ქართლიდან იმერეთისკენ გეზალებულ თავის რაზმს პაპ-  
ანაქების მიზეზით ტოტლებენი გზადაგზა ხშირ-ხშირად ასვენ-  
ებს. ახლა ნახეთ, ამ დროს რა ხდება ხოლმე.

„ოტბოის“ დაძახებისთანავე ჯერ ცხენები ჩამწკრივდებოდ-  
ნენ მტკვრის პირას ფრუტუნით და ენით ლაგმის ჩხრიალით“.

ავტორი ვერა და ვერ გარკვეულა უდვლილების ფორმასა  
და ბუნებაში, ამიტომ აზრადაც არ მოსდის, მადლიანად გვითხ-  
რას – ჯერ ცხენები მწკრივდებოდნენ! არა, ანმყო რატომძაც  
მყოფადში უნდა გადაიტანოს! ხოლო რაკი აღარ დაუშლია,  
ისიც ვერ მოუაზრებია, ბოლოში დაამატოს ნაწილაკი „ხოლმე“,  
რომელიც მოქმედების მრავალგზისობას გამოხატავს!!! თანაც  
ეს ველური მუსტანგების რემა ხომ არ იყო, თავის ნებაზე „ჩამ-  
წკრივებულიყვნენ“ – ნუთუ კავალერიის ცხენები თავ-თავიან-  
თი მხედრის ნებას, ლაგამსა და ლაშერულ წესრიგიანობას არ  
ემორჩილებოდნენ?! ამ სცენაში გასაკვირად იგნორირებულია  
მხედრების როლი! არადა, ცხადია, ცხენები თავისით კი არ  
„ჩამწკრივდებოდნენ“, არამედ ვითარებით ნაკარნახევი წესითა  
და რიგით მათ მხედრები ამწკრივებდნენ!!!

ეს „ენით ლაგმის ჩხრიალით?“ მსოფლიოს ყველა ქვეყნისა  
და დროის ნებისმიერი ჟანრის ლიტერატურაში აქამდე ვინმეს  
სადმე თუ წაუკითხავს: ცხენი ლაგამს ენით „აჩხრიალებდეს?“

კავალერიის გამოწვრთნილი ცხენი აკვანში ჩაარტახებუ-  
ლი ცხრა თვის ჩვილი ხომ არ არის, ენით ლაგამი... ჩხრიალა-  
სავით „აჩხრიალოს?“ ავტორს ან იქნებ ცხენიც ლოქოსავით  
უკბილო ჰერონია?!

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ორიოდე წელი  
გმწყემსობდი და ღვთის წყალობა, ეს მაინც კარგად ვიცი: და-  
ლაგმვისას თუ ლაგმის ხვრისას ჭკვიანი პირუტყვი ენას ქვედა  
ჩანას მთელ სიგრძეზე ლაფანივით გააკრავს ხოლმე, ლაგამსა და

კბილებს შუა რომ არ მოუხვდეს, თორემ სულ სახინკლესავით დაეკეპება! თითქოს ილბლად, მწყემსების მიერ დახევას სწორედ მაშინ გადარჩენილი, 1953 წელს გამოცემული წიგნი „**მეცხენის ცნობარი**“ დღემდე შემომრჩა, რომლის ასმესუთე გვერდიდან იწყება ქვეთავი – „**ცხენის ასაკის გამოცნობა კბილებით.**“

რ. მიშველაძე თუ დაინტერესდება, იქიდან შეიტყობს, რომ ცხენს აქვს საკერი კბილები, ძუძუთა კბილები, მუდმივი სახრავი კბილები და საქერე კბილი. ჰოდა, ცხენი ლაგამს ენით კი არ „აჩხრიალებს“, არამედ კბილებით ხრავს ხოლმე, რათა როგორმე წაიგდებინოს და სადმე ბალახი გამოწინებოს!

წელანდელი „**ჩექმის დეზებისა**“ არ იყოს, ქართული პროზის რაინდად წოდებულმა ავტორმა სარაინდო საგნების – **დეზებისა და ლაგმის** ადგილი, დანიშნულება და თვისება მაინც ხომ უნდა იცოდეს?!

ბ-ნო გიორგი (იური), არ დაგიმალავთ – თუმც როგორ შეიძლება ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, მსგავსი ვითარებისას მწერალმა მწერალს თავისი გულისტკივილი თუ გულწრფელად სათქმელი რამ უნამუსოდ დაუმალოს! აქ უკიდურესად აღმაშფოთა არა ავტორის მიერ ცხენის დალაგმვასთან დაკავშირებულმა უმეცრებამ, არამედ ელემენტარული მიხვედრა-გამოცდილების უქონლობამ: შე კაი კაცო, როცა იცი, ცხენისა და ცხენსაკაზმისა არა გაგებება რა, მატრაკეცა დებიუტანტივით „**დილისტატობის**“ საილუსტრაციოდ მეცამეტე გოჭივით რას გამოატყვრინე ეს „**ენა**“ – ნუთუ აქ მეითხველი ვერ უნდა დაიხმარო?!

„კი მაგრამ, როგორ?“ – ამას მხოლოდ მიამიტი ბავშვი იკითხავს. როგორ და დაწერე: „**ცხენი ლაგამს ხრავდა**“. ჰა, თუგინდ „**აჩხრიალებდა**“ და ბრძენმა მკითხველმა ისედაც იცის, ცხენი ლაგამს კბილებით რომ ხრავს ხოლმე და არა ენით, ღრძილებით, ჩანებით, სასით, ჩიჩვირით, ნესტოებით, ყურებით, ნიდაოთი, ფაფრით თუ ფლოქვებით!

კარგი, მერე, მერე რა ხდება?

„**ცხენებს რომ დაარწყელებდნენ, მერე რუსის სალდათები** შეე-სეოდნენ მიტოვებულ სოფლებს და ცაში ფრინველი, ხოლო მინაზე შემწიფებული თავთავი თუ პანტა-ჭერამი არ გადაურჩებოდათ“.

ჰმ, „არ გადაურჩებოდათ!“ ისევ ის დამახანჯებული უღვლილება და აწყოს სტიქიურად გადატანა მყოფადში! ავტორს ვერც ახლა მოაფიქრდა, ამ წინადადების დასასრულს მაინც დაესვა დამაგვირგვინებულ ჭანჭიკივით მოსახდენი „ხოლმე!“ თან აზრობრივადაც სრულიად აბსურდულია ავტორის მონადირულ-დარდიმანდული მსჯელობა. საკითხი შინაურ ფრინველებს რომ ეხებოდეს, კიდევ მესმის, მაგრამ რა ლოგიკური კავშირულთ-იერთობაა ცის ლაჟვარდებში მოფრენალ გარეულ ფრინველებსა და... მიტოვებულ სოფლებს შესეულ სალდათებს შორის – ის გარეული ფრინველები მთელი დღე ნუთუ მხოლოდ იმ მიტოვებულ სოფლებს დაპფარფატებდნენ?! ეგეც არ იყოს, იმ შორეულ 1769 წელს რუსის სალდათები მაინც რა იმისთანა ოპტიკურსამიზნიანი შაშხანებით იქნებოდნენ შეიარაღებულნი და თანაც ყველა მათგანი ხელაუცდენებული სნაიპერი როგორ იქნებოდა, რომ ცაში ფრინველსაც კი არ აჭაჭანებდნენ! ანდა, ექნებოდათ კი ტყვია-ნამლის ისეთი მარაგი და მისი განუკითხავად ხარჯვის უფლება, რომ... მოკლედ უაზრო გაზვიადებაც ეს არი, აი!

**ჭერამი** შეუ ზაფხულის ხილია, **პანტა** – შემოდგომის და მათი ასე ერთად, თანაც ადგილშეცვლით გვერდიგვერდ დასახელება ვერავითარ მხატვრულ ეფექტს ვერ იძლევა!

თუმც პანტის ჯავრი ვიღას აქვს, ბ-ნო გიორგი (იური), როცა თქვენმა კერპმა პურის შემოსვლის დროც კი სალაზღანდაროდ გაიხადა – შემწიფებული თავთავიო! რას ნიშნავს **შემწიფებული?** რაც **შემწიფდა** – **ცოტათი დამწიფებული.** ჯეჯილი კი მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისისკენ ზრდას ამთავრებს, მერე მწიფდება და ივნისის ბოლოდან მკაც იწყება ხოლმე! სხვა რაც უნდა იყოს, შირაქელ კაცსა და თანაც სასკოლო არდადეგებისას კომბაინის მეცეცხლურად ნამუშევარს, ეს მაინც დამეჯერება. ესეც არ იყოს, რა არის ივლისის ხალხური სახელწიფება? **მკა-თა-თვე!!!** რ. მიშველაძე კი ყანას 29 ივლისისათვის მხოლოდ რომ „**შეამწიფებს**“, საკითხავია, საბოლოოდ როდისღა უნდა დამწიფდეს და დახორბლდეს? ამგვარ „აგრონომს“ რომ ვუყუროთ, მომკა-განიავებასაც ველარ მოვასწრებთ და წლის სარჩო იქნებ სულაც თოვლქვეშ მოგვიყვეს!!!

ერთი სიტყვით, ტექსტი თვითონ შემოგვლადადებს, რომ ავტორი არაფერს არ უფიქრდება, არაფრის კოორდინირებას არ ახდენს, არაფერი არ აშინებს, არაფერი არ ანალვლებს – ის მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ფურცლების შევსების მოწაფური სიბეჯითითაა თავდავიწყებული!... თანაც აქ ერთ-გვარი შეუსაბამობაც იგრძნობა. აგერ, რას წერს ტოტლებენის ფრანგი ადიუტანტი, დე ფუა.

„60 ვერსი ისე განვლეთ, რომ კაცი არ შეგვხვედრია. რამ-დენიმე ნასოფლარი ადასტურებდა მხოლოდ, რომ ეს ქვეყანა დასახლებული ყოფილა.“

მაშინ გასაკვირია, ეს „შემწიფებული თავთავი“ თავის დროზე ვინ დათესა ან ვისთვისლა დაითესა?!

\* \* \*

რ, მიშველაძე ანტონ მოურავოვის წარმატებულ კარი-ერას გვიხატავს.

„შევიდა რუსთხელმწიფის სამსახურში, მოიპოვა სამეცნ კარის ნდობა და აი, „საქართველოში რუსეთის საქმეთა რწ-მუნებულის“ ხალათსაც გამოჰკრა ხელი“.

ხალათს მუსულმანურ სამყაროში, მაგალითად, ირანის შაჰინშაჰი რომელიმე თავისი ნანდაურ ერთგულ მოხელეს უწყ-ალობებდა ხოლმე, ჰეტეროურგში კი, რომანოვების დინასტიის იმპერატორებთან ხალათებსა და ახალუხებს რა უნდოდა – მუნდირი მაინც ეთქვა! ანდა, ამ ანტონის თანამდებობას რად უნდოდა ბრჭყალებში მომწყვდევა?!

\* \* \*

სადაცაა სოლომონ პირველის რაზმი თუ ამაღა და ტო-ტლებენის მხედრობა ერთმანეთს პირველად უნდა შეხვდნენ.

„ტოტლებენმა ჭოგრიტი ადიუტანტს გადააწყდა, შეხედე ერთი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), შეიარაღებული (უნდა იყოს შეი-რაღებულები ან შეიარაღებულნი. ჯ. მ.) არიან, (აქ მძიმე ზედ-მეტია. ჯ. მ.) თუ არაო“.

„ადიუტანტმა დაამშვიდა, არა მგონია (აქ მძიმე უნდოდა.

ჯ. მ.). თავდასხმას აპირებდნენ, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდოდა. ჯ. მ.). ქართველები არც ისეთი სულელები არიან (აქაც მძიმე უნდა. ჯ. მ.), ორმოცდათი კაცით ოთხიათასიან ჯარს შეებრძოლონ, (აქ მძიმის ნაცვლად წერტილი უნდოდა. ჯ. მ.). დიახ, თქვენო აღმატებულებავ, ორმოცდათიც არ იქნებიან.“

დე ფუას მადლობის მეტი რა ეთქმის ქართველების ასეთი დადებითი შეფასებისთვის, ოლონდ ეგაბა – ადიუტანტი, ტოტლებენთან ერთად საქართველოში პირველად რომ შემოდგა ფეხი, რის საფუძველზეა ასეთი თავდაჯერებული?! გარდა ამისა, ამ ფრანგი ადიუტანტის რელაციის მიხედვით, ტოტლებენი იმრეთისკენ 2000 მეომრით მიემართებოდა და ნოველაში ეს ციფრი როგორ ან რისთვის გადაიქცა 4000 ჯარისკაცად?! ან რანაირი ქართულია: „ორმოცდათიც არ იქნებიან?“ უნდა იყოს: „ორმოცდათიც არ იქნება.“

ტოტლებენი რაღა გენერალი და გერმანელი იქნება თუ ტაქტიკურ სიფრთხილეს არ გამოიჩინს.

„ – შევჩერდეთ და დაველოდოთ, რა ვიცი... რა ვიცი... ეშმაკს თვალი არა აქვსო. (აქ დეფისიც უნდოდა. ჯ. მ.) – ჩაილაპარაკა ტოტლებენმა.“

ეშმაკს თუ თვალი არ ექნება, ის რაღა საშიში იქნება! „ეშმაკს თვალი არა აქვს“ კი არა, თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თემანის“ მიხედვით „ეშმაკს თვალი არ უჩას“ ანუ სიფრთხილე გვმართებს, ვინ იცის, რა მოხდესო.

სოლომონ I თავისი ამალით შეჩერებული რუსთა მხედრობისკენ მასპინძლურად გაემართება.

„მოვიდნენ და ფეხის განზე გადგმით, დოინჯშემოყრით წინ გაუჩერდნენ გენერლებს.“

სინტაქსს შევეშვათ! გენერალი თვითონ ტოტლებენი იყო და კიდევ მაინც რამდენი „გენერლები“ შეიძლება ჰყოლოდა ან რად უნდოდა იმდენი „გენერლები?“

ავტორი გულითადობის გამოსახატავად მკერდზე ხელმიდებულ სოლომონ მეფეს გვიხატავს.

„ – მივესალმებით რუსების ჯარის მობრძანებას გენერალ ტოტლებენის წინამძლოლობით.“ – თქვა მკლავებზე

**აკრეფილ ჩოხოსანმა, შავულვაშა ახალგაზრდა კაცმა.“**

კი მაგრამ, მკითხელმა აქ რა იგულისხმოს – ამ ჩოხოსანს მკლავებზე რა ჰქონდა აკრეფილი: ყურთმაჯები თუ სხვა რამე?! ავტორს აქ თუ მართლა ყურთმაჯების თქმა სურდა, მაგრამ ეს სიტყვა გამორჩა, მაშინ ყველაფერი თავდაყირა დგება: **ყურთმაჯა არის ჩოხის (კაბის) ხალვათი სახელო, რომელიც მთელ სიგრძეზე, იღლიდიდან მაჯამდე თავისუფლად არის ჩამოშვებული.**

ჰოდა, გაუგებარია, მკლავებზე ჩამოფარებული ყურთმაჯები კაცმა ისევ მკლავებზე რანაირად უნდა შეიყაროს – იქ მათ რა გააჩერებს?! აქ დახმარებას გაგვიწევს მშვენიერი სიტყვა, **ყურთმაჯშეყრილი** – ვისაც ყურთმაჯები მხარბეჭზე აქვს აწეული, გადაყრილი...

ეპ, რუსთა მხედრობის წინამძღოლს სოლომონ I კი ღირსებისამებრ მიესალმა, მაგრამ კუშტი ტოტლებენი წყენას ვერ მალავს: თვითონ სოლომონ მეფემ რატომ არ იკადრა მოსვლაო.

რუსეთში აღზრდილ ანტონ მოურავოვს, ქართული მაინც რომ არ დავიწყებია, სოლომონ პირველი ყველაფერს უცებ აუხსნის. სახტად დარჩენილ გიორგი სააკაძის შთამომავალს წებოვანი მწუხარება ეუფლება.

„ – კი, (ნეტავი აქ მძიმე რად უნდოდა?! ჯ.მ.) მაგრამ (მძიმე აი, აქ უნდოდა! ჯ.მ.), ჩემიანები ხართ და არ გეწყინოთ. ასე როგორ წარგადგინოთ, რას იტყვის ეს კაცი (აქ კითხვა-ძახილი უნდოდა. ჯ.მ.)?! სამეფო ტოგას რომ თავი დავანებოთ, ერთი ხელი ნორმალური ტანსაცმელი რა გაჭირდა, მეფეო, თქვენთვის (აქ წერტილი კი არა, კითხვა-ძახილი უნდოდა. ჯ.მ.)?!”

ამგვარი ტექსტები მკითხელს პირდაპირ სულიერ-ფიზიკურ სატანჯველში აგდებს, ვინაიდან ენის უცოდინარ თუ მოჩქარე ავტორს არ ძალუდს თვით უმარტივესი ვითარების თუგინდ მოსათმენი ქართულით გადმოცემა.

ამ პასაუის პირველივე წინადადებაც ამის სავალალო დასტურია.

**„კი მაგრამ, ჩემიანები ხართ და არ გეწყინოთ“.**

**მართლაცდა „კი მაგრამ!!!“**

რას ნიშნავს კავშირი „მაგრამ?“ იგი ერთმანეთს უპირისპირებს საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვებს და წინადადებებს.

მაგალითად მოყვანილ მიშველაძის წინადადებაში კი ამ „კი მაგრამ?“-ს რა საერთო აქვს ან ჩემიან-შენიანობასთან ან წყენინება-არწყენინებასთან?!

ავტორი ვერ ხვდება, რომ ეს ნაადრევად ჩაჩრილი „კი მაგრამ?“ უნდა შეხებოდა უცხო გენერლის და მისი ამაღლის წინაშე ქართველი მეფისათვის შეუფერებლად გამოწყობილი სოლომონის წარდგენის უხერხულობიდან გამომდინარე ზნეობრივ სატანჯველს!

ამიტომ ამ სიტყვებისა და წინადადებების გრაფომანული დომხალი სულ სხვანაირი აზრობრივ-სინტაქსური თანმიმდევრობით უნდა დალაგებულიყო!

თან ასე ცამონებრდილზე ავტორმა აქ რისთვის გამოატყვრინა **ტოგა**, რომელიც ძველი რომის მოქალაქეთა ზედა – გრძელ, თეთრ წამოსასხამს წარმოადგენდა! ესეც რომ არა, მალე მეითხველი თავად განსჯის, სოლომონ პირველს ექნებოდა თუ არა გრძელი, თეთრი წამოსასხამის ფრიალ-ფლასუნით რონინის წუთისოფელი!

ჰოდა, ახლა აქ ამ „ტოგას“ უმეცრული ხსენება ვის დავაბრალოთ: ანტონ სააკაძე-მოურავოვს თუ რევაზ მიშველაძეს?!

მოკლედ, სოლომონი თავის თანამოძმეს ყველაფერში აქაც ხელად გაარკვევს. ანტონსაც სხვა აღარაფერი დარჩენია.

„ანტონმა წარუდგინა სოლომონ მეფე ტოტლებენს და თან გულდასმით აუსნა, რომ მეფის ეს დაგლეჯილ-გაცეოთილი ჩოხა მასკირება-შენილბვისთვის, (აქ მძიმე სულ არ იყო საჭირო. ჯ.მ.) სპეციალურად მოეძებნა, რათა თურქებს ვერ ეცნოთ, ხოლო აბეზარ მთხოვნელებს ზედმეტად არ შეეწუხებინათ.“

ისევ ის ნაცნობი ზერელობა, იუმორისტული სტილი, ხალტურული იერიშობანა! თან აქ ავტორი მე-18 საუკუნის პერსონაჟებს ისეთი ლექსიკით ამეტყველებს – „ნორმალური“, „სპეციალურად“, „მასკირება-შენილბვისთვის“ – თითქოს შტურმბანდფიურერის, ოტო სკორცენის (1908-1975) სპეცრაზმელები ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, 1943 წლის 29

ივლისს პიტლერის დავალებით საგანგებოდ რომ მოფრინავდნენ იტალიელი პარტიზანების მიერ დატყვევებული, აბრუცის მთებში გამოკეტილი მუსოლინის გასათავისუფლებლად! ან რა საჭირო იყო ერთის მაგიერ ორი სიტყვის ხმარება, როცა „მასკირება-შენილბვა“ ერთსა და იმავეს ნიშნავს! ასევე სრული მხატვრული უგულისყურობის ნიმუშია სოლომონ მეფის ჩოხაზე ნათქვამი ეს „დაგლეჯილ-ჩამოცვეთილი“.

ჩოხა თუკი მართლა „დაგლეჯილი“ იყო და თან პირველ რიგში ამ სიტყვას იხმარებდა, მაშინ აქ რაღა მოსატანია „ჩამოცვეთილი?“ უკვე „დაგლეჯილ“ ჩოხას სადღა, როგორლა უნდა ეტყობოდეს ჩამოცვეთილობა?

სევდიან კომიზმს იწვევს ავტორის მიერ „აბეზარი მთხოვნელებისგან“ სოლომონ მეფის დაცვა, თითქოს იგი რაიალმას-კომის ახალბედა თავმჯდომარე იყოს და ყოველდღიურად სისხლი ჰქონდა გამშრალი „აბეზარი მთხოვნელების“ მიღება-გასტუმრებით! არადა, აგერ, როგორია ამ ფრანგი ადიუტანტის თვალით დანახული სოლომონ პირველის ყოფნა-მდგომარეობა.

„სოლომონს არც ერთი ქალაქი არ გააჩნია. დაახლოებით 150 კაცით ტყეში ლტოლვილი, იგი 15 დღეზე ხანგრძლივად ერთსა და იმავე ადგილას არ ბანაკდება იმის შიშით, თურქებმა რომ არ მოიხელოთ. თვით თავის ხელქვეითებში დაეჭვებული, იგი ყაჩალების წინამძლოლს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელმწიფეს“.

აბა, ამგვარ პირობებში რომელ „აბეზარ მთხოვნელებზე“ ლაპარაკი შეიძლება ანდა როგორი წარმოსადგენია ტყე-ლრეში გრძელი, თეთრი რომაული „ტოგით“ მოხეტიალე, თურქთაგან შეჭირვებული მეფე?!

ტოტლებენი ბოლოს და ბოლოს ირწმუნებს, მის წინ რომ მართლა იმერეთის მეფე დგას.

„ – გასაგებია... გასაგებია... (აქ დეფისიც უნდოდა. ჯ.მ.).  
– ტოტლებენმა კივერის შიგნით მათრახის ტარით კეფა მოიფხანა და სოლომონ პირველს ხელი ისე გაუნიდა, როგორც სოფლიდან ჩამოსულ ლარიბ ნათესავს ჩამოართმევდა გაქსუებული რუს-გერმანელი ჩინოვნიკი“.

ბ-ნო გიორგი (იური), ეს რომ ჩავიკითხე, რ. მიშველაძის

ნაწარმოებების კითხვისას უკვე კარგად გათავისებული ელდა, ეჭვი, შიში, აღშფოთება და კოლეგიური პაექრობის უინი ერთ-მანეთის მიყოლებით მეუფლებოდა! ამიტომ მოსახლენ დროს ეროვნულ ბიბლიოთეკას ვესტუმრე და „სამხედრო ენციკლოპედია“ ავაშრიალე, ოლონდ კაცურად დამიჯერეთ: არა იმიტომ, ავტორი ერთი შეცდომაში დამეჭირა, არამედ კივერთან დაკავშირებული ჩემი ცოდნა-მახსოვრობა შემემონმებინა და თუ ლმერთი გადმომხედავდა, გამოჩერჩეტების შიში მომეშორებინა!

პოლონური სახელწოდების სამხედრო ქუდი, კივერი არის მრგვალი, მაღალი, ბრტყელი თხემით, ტყავითა და მაუდით მკვიდრად ნაკერი. ბრძოლაში და ლაშქრობისას მდგრადობის შესანარჩუნებლად გააჩინა შესაკრავი სანიკაპე ლვედი. კივერი ევროპის არმიებში XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. რუსეთის არმიაში 1803-81 წლებში ხმარობდნენ. თუმც გვარდიისა და სამხედრო სასწავლებლების კურსანტთათვის 1906-17 წლებში ხელახლა შემოიღეს.

როგორც ვხედავთ, მე-18 საუკუნის შუა წლებში ჩვენმა ავტორმა თავისი უცოდინარობით ტოტლებების კივერი ძალიან ნაადრევად დაასურა. თუმც მე ეს დიდად არც მაღლვებს, ვინაიდან საქმე ავტორის მხატვრულობასთან, უფრო სწორედ, მხატვრული ჭვრეტა-აზროვნების უქონლობასთან მაქვს.

ბ-ნო გორგი (ოური), ო, როგორ მშურს პოლიტიკოსების, ერთმანეთს უკომპრომისო ტელედებატებში რომ იწვევენ ხოლმე! მსგავს პაექრობაზე არც მე ვიტყოდი უარს, ოლონდ ერთი პირობით: ჩემი ოპონენტი, რევაზ მიშველაძე კინოსტუდიაში ნათხოვარი მათრახითა და ზუსტად თავისი ზომის კივერით მოსულიყო! ეს კივერი სამხედრო წესისამებრ დაეხურა, ნიკაპქვეშ ლვედითაც შეეკრა და მერე ტელემაყურებლებისთვის მსხვილი პლანით ეჩვენებინათ, როგორ მოახერხა ტოტლებენმა, რომ

„კივერის შიგნით მათრახის ტარით კეფა მოიფხანა.“

მეორის თავზე მჭიდროდ შემოტემასნილი და სანიკაპე ლვედითაც გამაგრებულ კივერქვეშ მათრახის ტარს კი არა, ხშირი ლესვისაგან გალეული დანის წვერსაც ძლივს შევატარებთ! ხოლო თუ მათრახის ტარით უხემად ვიძალავებთ, კეფას რომ

მივწვდეთ, შეიძლება ღვედი გავუწყვიტოთ, თვითონ კივერი კი უეჭველად მოგვძვრება და ძირს დაგვივარდება! ამიტომ ავტორს თუ ასე სურდა, ტოტლებენისთვის მათრახის ტარით მაინცდამაინც კეფა მოეფხანინებინა, მაშინ რაღაც ამდაგვარი რამ უნდა ეთქვა: „ტოტლებენმა კივერი მოიხადა და მათრახის ტარით კეფა მოიფხანა“. ხოლო რაკი ეს ვერ მოიფიქრა ან კივერის მოხდა არ აკადრა, ასეთ შემთხვევაში ქეჩის, კისრის, ნიკაპის, ლოყის, სანარბულის, ბაკენბარდის, ყელის მოფხანით შემოფარგლულიყო და ეგ იქნებოდა! თორემ.....

რ. მიშველაძე არც ამ ტოტლებენის შემთხვევაში (და საერთოდ, არც არავის შემთხვევაში!) ღალატობს თავისი მოუ-შორებელ ჩვევას: თვინიერი მეითხველის უეჭველი თანადგომის იმედით ისტორიულ პიროვნებას თამამად კი ასახელებს, მაგრამ მერე სულ აღარ ირჯება, მისი ყოფაქცევა თუ სიტყვა-პასუხიც მისი შესაფერისი გამოიუიდეს!

მართალია, სხვადასხვა მიზეზის გამო ქართველთა ისტორიულ მეხსიერებაში ტოტლებენი უარყოფით პიროვნებად ჩარჩა, მაგრამ ამის გამო ნუ დავკარგავთ ობიექტურად განსჯის უნარს: ვინ დაიჯერებს, მეაცრი გერმანული წესრიგიანობით აღზრდილს და მთელი თავისი სიცოცხლე ბრძოლებში ნაწრთობ გენერალს – თვით ერეკლე მეორესაც ქედმაღლურად რომ ექცეოდა, ხოლო რ. მიშველაძემ წელან უკვე დაგვანახა, სოლომონ მეფეს როგორი დამადლებით მიაწოდა ხელი! – ამ ერთი მუჭა ჩამოგლეჯილ-ჩამოკონკილი მასპინძლების წინაშე ასე მუჟიკურ-პირუტყვულად „კივერის შიგნით მათრახის ტარით კეფა“ კი არა, თუგინდ ხელით ტანის რომელიმე წერტილი მოეფხანა!!!

საერთოდ, მთელ ნოველაში, განსაკუთრებით კი იმ ადგილას, მათრახიანი ტოტლებენი ჰაერში გამოკიდებული მკრთალი კარიკატურა! ავტორმა დილეტანტური შემთხვევითობით გენერალს მათრახი კი დააჭერინა, მაგრამ მერე ერთი ობილი, თუგინდ შაბლონური შტრიხიც კი ვერ მოაფიქრდა, რათა იგი კონკრეტულ ადგილას წარმოსადგენი გამხდარიყო! ამიტომ მკითხველიც ვეღარ გარკვეულა, ეს მათრახიანი ტოტლებენი სად იგულისხმოს: ცხენზე, ეტლში, ქვეითად მომავალი,

საკაცებზე თუ ბალდახინზე დაბრძანებული! თან ცოტა ეჭვ-საც იწვევს: გენერალი დონელი კაზაკი იყო, სოფლის მამა-სახლისი თუ ჩიჩიკოვის მეეტლე, მათრახი სქეროდა! ამ ეჭვს ისიც აძლერებს, რომ ნოველის ბოლოს ავტორი ტოტლებენს ქუთასიდან ქართლისაკენ „**სამხედრო ეტლით**“ გაამგზავრებს! ცხადია, პერსონალური ცხენიც ეყოლებოდა, მაგრამ არა მგო-ნია, ცხენის გასაფიცხებლად დეზებიან გენერალს ჯიგიტივით თან მათრახიც ეტლაშუნებინა, ვინაიდან მისი თანამდებობა, მოვალეობა, ღირსება და ნოველაში აღნერილი სცენები ჭე-ების აუცილებლობას არსად ითხოვს!

თუმცა, ვინ იცის, ავტორი აქ იქნებ მართალია: **ტოტლე-ბენი** კი არა, **ადოლფ ჰიტლერი**, როგორც ცნობილია, ცხენზე რომ არასოდეს მჯდარა, თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში აბობოქებულ პოლიტიკინგებზე თურმე ხშირად კრაგებითა და მათრახით დაიარებოდა!...

სოლომონ მეფესთან დამადლებული მისალმებისას ასევე მეტად აბსურდულია ტოტლებენის მედიდურობის ახსნა „**გაქ-სუებული რუს-გერმანელი ჩინოვნიკის**“ ნიშნით: ამგვარი გულზ-ვიადი პიროვნებები ნებისმიერი ერისა და თანამდებობის პირთა შორისაც ბლომად არიან!...

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), ჩარაგანწყვეტილი ადამიანურად უნდა გაგენდოთ: ნამდვილი ჯოჯოხეთია ამ ტექსტების კრიტიკული მიმოხილვა, ვინაიდან გაბდლვრიალებულ კორიდაზე ხამად შე-დებული ხარივით წარამარა შეშდები და ვეღარ გადაგინწყვეტია, საიდან ან როგორ, რა თანამიმდევრობითა და ფორმით დაიწყო თუ განავრძო ფეტვივით მიმობნეული ეს ამოდენა გრამატი-კული, ენობრივი, სტილისტური, ორთოგრაფიული, პუნქტუ-აციური, ისტორიული თუ აზრობრივი შეცდომების აღრიცხ-ვა-გარჩევა!... ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, გამიგოთ და ძმურად მაპატიოთ ტვირთმორეული ერთი უმნიშვნელო ლიტ-ერატორის წამიერი ჩაჩოქება და ხარული შებლავლება... მეტი ჩარა აღარ დამრჩენია – რაკი დავიწყე, ისევ უნდა განვაგრძო!...

ავტორი სოლომონ მეფისდროინდელ ქუთაისს გვიხატავს.  
„იგი ორმეტრიანი კუდლით და მინათხრილით იყო დაცული.“

ვისა არ უნახავს ან არ სმენია მაინც თხრილი და მინაყრილი ანუ დაყრილი მინისაგან შემაღლებული ადგილი, მაგრამ ვერც ერთი ლექსიკონი ვერ გვიხსნის, რას ნიშნავს ეს მინათხრილი.

რუსთა მხედრობის დაბანაკებას რომ მორჩებიან, სოლომონი ტოტლებენს თხუთმეტიოდე თანმხლები პირით ქალაქარეთ, თავის სამეფო სასახლეში – ოქროს ჩარდახში სავახშმოდ და საბრძოლო გეგმებზე სათათბიროდ მიიწვევს. ოლონდ აქ მკითხველი, ცოტა არ იყოს, ცბუნდება: წელან ტოტლებენთან პირველი შეყრისას სოლომონმა თავისი ჩამოკონკილობა და ტყე-ლრეში დამალობანა იმის შიშით ახსნა, თურქებს არ ეცნოთ და შეეპყროთ, ახლა კი რუსებს ოქროს ჩარდახში არხეინად მასპინძლობს და ვითომც არაფერი!

აქ ისევ ავტორი გვშველის!

„რაღაც დაუწერელი კანონის წყალობით, თურქები ოქროს ჩარდახს თავს არ ესხმოდნენ.“

აგაშენათ ღმერთმა! ჰოდა, ამგვარი დაუწერელი კანონით გულმოცემული სოლომონ მეფე როგორც კი შეიტყობს, გამართული ქართულით მოლაპარაკე ანტონ მოურავოვი თურმე გორგი სააკაძის პირდაპირი შთამომავალი ყოფილა, ნამეტანი გაიხარებს და მურავალე მუსაიფა გაუბამს.

„თან მსახურებს სუფრის განყობის დაჩქარების განკარგულებას აძლევდა.“

ეს ხომ მთლად შეუფერებელია! კი მაგრამ, სოლომონი მეფე იყო თუ მსახურთუხუცესი, ამგვარ წვრილმანებში თავად რომ ჩარეულიყო?! ნუთუ სასახლის კარზე სუფრის განყობის მოთადარიგე-გამნესრიგებელი არავინ ეყოლებოდა, მეფის წინასწარი მითითებისამებრ საიმისოდ ის გარჯილიყო, თვითონ სოლომონს კი საპატიო სტუმართან მეფური საუბარი შეუფერებლად განეგრძო!

„ – ერთს ვიტყვი ახლა მე, – მიუბრუნდა მეფე მოურავოვს,  
– ეგენი რომ დათვრებიან, მერე სამხედრო თათბირი კი არა, ერთმანეთის ცნობა გაუჭირდებათ. ხომ არ ეწყინებათ, მივჯდეთ ეგერ

(აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ჩემს პალატაში და მოვილაპარაკოთ. **შენ უფრო იცი, რომ აჯობებს ასე“.**

რანაირი გაუკულმართებული სინტაქსია „ერთს ვიტყვი ახლა მე“. ნუთუ მეფე მართლა ამგვარი ჯაგლაგი სინტაქსით იმეტყველებდა?! ან რაღა საჭირო იყო ეს „მე“, როცა ზმნა „ვიტყვი“ ისედაც გვიხსნის, რომ რამის მთქმელი მხოლოდ პირველი პირი იქნება და სხვა ვერავინ! ხოლო თუ აქცენტის გაძლიერება და თავისი პიროვნების მნიშვნელობის ხაზგასმა სურდა, მაშინ ასე მაინც ეთქმევინებინა: „**მე ახლა ერთს ვიტყვი**“.

ან სოლომონ მეფეს ასე ზედმიწევნით ჯერ საიდან უნდა სცოდნოდა, „**ეგენი**“ თუ დათვრნენ, მერე ერთმანეთის ცნობა გაუჭირდებათო?! მე მგონია, აქ რ. მიშველაძეს ამ სფეროში თავისი მდიდრული ცოდნა-დაკვირვება სოლომონ მეფეზე დილეტანტური სულნასულობით გადააქვს! ანდა, მეფე რატომ არის დარწმუნებული, რომ მკაცრ სამხედრო მუშტროვეკას გამოვლილი ტოტლებენი თავის ხელქვეითებს უგვანოდ გალეშვის უფლებას მისცემდა. პირიქით, წყაროებიდან ცნობილია, რომ პედანტი გერმანელი სულ უმნიშვნელო გადაცდომისთვისაც კი ნებისმიერი წოდების ხელქვეითებს ზურგში ბადრაგით აგზავნიდა, სადაც სასჯელის სხვადასხვა ზომა ეფარდებოდათ! ან რა ქართულია **მივჯდეთ?** ავტორი ნუთუ იმასაც ვეღარ ხვდება, რომ უნდა იყოს „**მივსდეთ!**“ თანაც ისევ ის გაუკულმართებული, ჯაბახანა სინტაქსი: „**რომ აჯობებს ასე**“. აქ მაკავშირებელი „**რომ**“ ეკუთვნის არა მჯობინობას, არამედ მოქმედების ფორმის შერჩევას – ასე, ისე, იმნაირად, ამნაირად, სხვანაირად თუ რანაირად! ამიტომ აზრი სრულყოფილი რომ გამოსულიყო, ციტატის კუდი ამგვარ აწყობას ითხოვდა. „**შენ უფრო გეცოდინება, ასე რომ აჯობებს**“.

აქ კი ავტორი თავისი უკიდურესი დაუკვირვებელი მსჯელობით სოლომონს მეტისმეტად დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებს: მეფე ასე რატომ უნდა ყოფილყო დარწმუნებული, ქართულ სტუმარმასპინძლობასთან დაკავშირებით მოულოდნელად წამოჭრილი ერთ-ერთი ფაქიზი საკითხის სწორედ გადაწყვეტის გზა საქართველოში პირველად მოხვედრილმა

მოურავოვმა „უფრო იცის“, ვიდრე თვითონ – მეფე-მასპინძელმა?! ეს კიდევ არაფერი! ავტორმა აგერ, წელან ისეთი არ-სათქმელი წამოაყრანტალებინა, რომ მეტხელის თვალში მეფე ჭკუასუსტ მატანტალამდე ჩამოაქვეითა: **ხომ არ ეწყინებათ, ჩვენ დალკე რომ „მივჯდეთ“ და მოვილაპარაკოთ!**

ამას სულელის მეტი ვინ იკითხავდა!!!

**ჰმ, ხომ არ ეწყინებათ!** ავტორი რომელ წყენასა ან წყენინებაზე მიგვანიშნებს თუ ღმერთი გნამთ!!! აბა, წარ-მოიდგინეთ: იმერეთის მეფე და წარმოშობით ქართველი მოურავოვი ცალკე პალატაში ცერცეტულად „**მივჯდნენ**“ და რაღაც თათბირი გააპან, მეფის სასახლეში პირველად მიწვეუ-ლი, თავქარიანი მასპინძლისგან უყურადღებოდ მიტოვებული ტოტლებენი და მისი საპატიო ამალის წევრები კი ბაიყუშე-ბივით ისხდნენ და სოლომონის ჩამოკონკილ, რუსული ენის უცოდინარ ხელქვეითებს უცქირონ, თან მოთმინებით იცადონ, მოუაზრებელ-წინდაუხედავი იმერეთის მეფე და ტოტლებენის მეორე ადიუტანტი, წარმოშობით ქართველი მოურავოვი, რო-დის გაათავებენ თავიანთ ენაზე მამაპაპურ ჭუკჭუეს, რომ მერე იქნებ ამათაც მოპხედონ!!!

გაგონილა ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, ილაჯგაწყვეტი-ლი საქართველოს დასახმარებლად მოვლენილი მაღალი რანგის სტუმრებისადმი მეფის მიერ მიყენებული მეტი დამცირება, შეურაცხყოფა და აბუჩიობა?!

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), რა ვქნა, ისევ სინტაქსს უნდა შევეხო, ვინაიდან სინტაქსი თუ ყირამალაა გადატრიალებული, მაშინ აზრი სრულყოფილად ვერ გადმოიცემა, რაც ნაწარმოე-ბის მხატვრულობას სულ აბუნდოვნებს.

ტოტლებენი და სოლომონ მეფე მომავალი ბრძოლის სტრატეგიას ამუშავებენ.

„**მერე დაიწყო სოლომონ პირველმა – თურქებს სამას კაცზე მეტი არ უნდა ჰყავდეთ უქიმერიონის ციხეშიო.**“

აქ ავტორის კილო ისეთი გამოკვეთილი აქცენტით

ბოლოვდება „უქიმერიონის ციხეში“-ო, თითქოს მოთათბირეთა თავსატეხი და სამარჩიელო, მაგალითად, ეს იყოს: თურქებს ის სამასიოდე მეომარი მართლა სად შეიძლება ჰყოლოდათ – უქიმერიონის ციხეში თუ ვთქვათ, ბახტრიონის ციხეში! ანდა, თურქებზე იყოს მსჯელობა თუ, მაგალითად, ხაზარებზე!

არა! აქ მტრის ვინაობა-ეროვნება და ციხის მდებარეობა-სახელწოდება თავიდანვე გარკვეული იყო და ამიტომ ახლა ამის გადამოწმება-დაზუსტებით ტვინს აღარავინ იქცყლეტს!

მოთათბირეთა საგონებელ-სამკითხაო სულ სხვა რამეა: თურქებს უქიმერიონის ციხეში სამასიოდე მეომარი ეყოლებათ თუ არ ეყოლებათ, რათა მომავალი ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკაც მოწინააღმდეგის მებრძოლთა რაოდენობის გათვალისწინებით ააგონ!

ამიტომ საჯმის ვითარება მნიურვალესავით ამგვარი სინტაქსით ნათქვამს ითხოვს.

„უქიმერიონის ციხეში თურქებს სამას კაცზე მეტი არ უნდა ჰყავდეთ.“

დამაგვირგვინებელ სიტყვას, ცხადია, ტოტლებენი იტყვის.

„მე ხვალვე ვიწყებ იერიშს... დასავლეთის და სამხრეთ დასავლეთის მხრიდან დილის რვა საათზე ოთხი ბატარეა ერთ-დროულად გახსნის ცეცხლს.“

გენერლის ლაკონური სტრატეგია მისასალმებელია, თუმც, სამწუხაროდ, არ სცოდნია, „სამხრეთ-დასავლეთი“ დეფისით რომ იქნება. ასევე არც ის სცოდნია... თუმც როგორ შეიძლება ეს არ სცოდნოდა, მაგრამ როგორც ტყვე-პერსონაჟი, იძულებულია რ. მიშველაძის უცოდინარობა უსიტყვოდ გადაიბრალოს: „სამხედრო ენციკლოპედიის“ მიხედვით, ბატარეა, როგორც საცეცხლე და ტაქტიკური ქვეგანაყოფი, რუსეთში მე-18 საუკუნის მიწურულს დაინერგა და ისიც მხოლოდ საველე არტილერიაში. თანაც თავიდან ენოდებოდა ასეული და არა ბატარეა. დასავლეთ ევროპის არმიებში ბატარეა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გახდა მუდმივი საშტატო ტაქტიკური და ადმინისტრაციული ერთეული.

მაგალითად, ფრანგებსა და ავსტრიელებს შორის 1809 წელს ვაგრამთან გამართულ ბრძოლაში ნაპოლეონს (170•000 ჯარისკაცი, 584 ქვემეხი) ჯერ მხოლოდ ორი ბატარეა ჰყავდა, შესაბამისად 60 და 104 ქვემეხით. ბოროდინოს ბრძოლაში (1812 წ.) რაევსკის ერთადერთი ბატარეა მხოლოდ 18 ქვემეხს ითვლიდა!

დროში ამგვარ სხვაობასაც რომ თავი დავანებოთ, ტოტლებენს ჯერ საიდან უნდა ჰყოლოდა ოთხი ბატარეა, როცა სულ 3-4 ქვემეხი გააჩნდა! თან იმ ქვემეხებსაც ფსიქოლოგიურ-პროპაგანდისტული როლი უფრო ეკისრებოდა, ვიდრე სტრატეგიული!

„ტოტლებენმა თავისი სიტყვა შეასრულა.

მთელი დღე უშენდა რუსული ბატარეა უქიმერიონის ციხეს ცეცხლს.“

საარტილერიო კანონადისას სინტაქსისთვის სადღა მცხელა!... ეტყობა, წინადღით ტოტლებენმა მართლა დაიტრაბახა ანდა რაღაც მიზეზით გადაითქმირა ოთხივე ბატარეას ერთდროულად ამოქმედება. თუმც შეიძლება რევაზ მიშველაძემ ერთ ბატარეამდე შეაკვეცინა. რატომ? აი, რატომ!

„სოლომონ მეფე თავისი ამალით როონის ჭალიდან შესცეკროდა ამ საშინელ სანახაობას.“

ორიოდე პრიმიტიული ქვემეხის ხველას ჩვენი მეფე ასე რომ შეუკრთუნებია, მაშინ რაღა დაემართებოდა, ტოტლებენის გუშინდელი დაპირებისამებრ, ოთხივე ბატარეას ერთდროულად რომ ექუსა! ბარემ პარალელებიც გავავლოთ: მაშინდელი რუსული ქვემეხი, რაღაც თორმეტგირვანქიან (ანუ ხუთ კილოგრამამდე) ჭურვს ისრის მანძილზეც რომ ძლივს ისროდა, თუკი ასეთ „საზარელ სანახაობას“ წარმოადგენდა, ნეტავი რაღა დღეში იქნებოდნენ მონინაალმდეგეთა ჯარისკაცები, 1942 წლის ივნისში ვერმახტის სახელგანთქმული ფელდმარშის, ერიჳ ფონ მანშტეინის არმია მსოფლიოში ყველაზე შორსმტყორცნი და დიდი ყალიბის ზარბაზნით „გუსტავი“ ალყაში მომწყვდეულ სეგასტოპოლს 7•100 (შვიდიათას ასი) კილოგრამიან ბეტონსან-გრევ და ფუგასურ ჭურვებს რომ უშენდა!!!

რ. მიშველაძე ისე უაზროდ გაიძახის: მთელი დღე უშენდ-

აო, თითქოს იგივე მანშტეინის დამკვრელ არმიაზე გველაპა-რაკებოდეს, რკინიგზითა და გრძელი ავტოკოლონებით დღე-დაღამ დაუძინებლივ რომ მარაგდებოდა, რათა რაც შეიძლება სწრაფად აეღოთ ყირიმის ნახევარჯუნძული და მერე ბლიც-რიგულად გაჭრილიყვნენ ვოლგისა და ბაქოს ნავთობის საბა-დოებისკენ!!!

ბ-ნო გიორგი (იური), აბა, დავუფიქრდეთ: დარიალის ხეო-ბიდან საქართველოსკენ გადმომავალი გზა – რუსეთის იმპერი-ის სამხედრო უწყებამ მაშინდელი ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში 1803 წლიდან რომ დაიწყო აქა-იქ გაფართოება, ხოლო ჯვრის უღელტეხილის (2. 379 გ.) მშენებლობა მხოლოდ 1851-61 წლებში განხორციელდა! – ჯერ დღესაც როგორი ხი-ფათიანია და 1769 წელს ვინც იცის, რაღა იქნებოდა: იქ სამხე-დრო კორპუსის მოძრაობა, ალბათ, სარისკო ალპინისტურ გა-დასვლას ეფარდებოდა! თანაც ტოტლებენს სტეფანწმინდაში სულ 150 ჯარისკაცი ჰყავდა, ხოლო მასთან შესაერთებლად ყიზლარიდან წამოსულ რემნიკოვს – 300. ჰოდა, ამ კონტი-გენტით, თანაც ამგვარ პირობებში რა იმდენი ტყვია-წამლის გადმოტანა უნდა მოეხერხებინათ, რომ მერე უქიმერიონის ციხისთვის ქვემეხები „მთელი დღე“ ანგარიშმიუცემლად ებრახ-უნებინათ?! „მთელი დღე“ კი არა, რომ მიეყოლებინათ, უფ-სკრულებიან გზაზე ტანჯვა-წვალებით გადმოტანილ თავიანთ მწირ მარაგს, ალბათ, ორიოდე საათშიც სულ ამოლევდნენ და მშრალზე დარჩებოდნენ! მოგვიანებით ასპინძისკენ მიმავალ-მა ტოტლებენმა რომ დაინახა, ერთ-ერთ რომელილაც ციხის ვეებერთელა ლოდებით ნაგებ კედლებს მისი პრიმიტიული ქვემეხები ვერაფერს აკლებდა, ოთხიოდე გასროლის შემდეგ ცეცხლის შენყვეტის ბრძანება გასცა! რევაზ მიშველაძე კი – მთელი დღე უშენდაო! ეხუმრებით?! ბრძოლის წარმოების პრუ-სიულ სამხედრო დოქტრინაზე აღზრდილი ტოტლებენი, თანაც იმპერიის ფარგლებს გარეთ ამხელა მანძილით დაცილებული, უაზრო ემოციებს აყოლილი ქარაფშუტა კაპრალი კი არ იყო, მასპინძელთა თავმოსაწონებლად თავისი ქვემეხები „მთელი დღე“ უანგარიშმოდ ეგრუუნებინა!...

\* \* \*

„ქონგურებზე თურქ მეთოვფეთა წითელი ქუდები სამიზნე-სავით მოჩანდა“.

გასაკვირია: მრავლობითით ნახმარი „წითელი ქუდები“ „სამიზნესავით“ თუ „სამიზნებიცით“ გამოჩნდებოდა?!?

„თურქებმა მთავარ ქონგურზე თეთრი დროშა გადმოკიდეს“.

ქონგური კოშკია, გუმბათი, ჭიშკარი, კიბე თუ შესასვლელი, ავტორი „მთავარს“ რომ უწოდებს?! ეს სიტყვა მხოლოდ მრავლობითით იხმარება, ქონგურები ანუ ციხესიმაგრის გალავანზე, კოშკზე დაშენებული სვეტები, ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული.

ჰოდა, აქ როგორ უნდა განსაზღვრო, რომელია „მთავარი ქონგური?“!

არ შეიძლება ასე ზერელე-ალალბედზე წერა!...

„ტოტლებენმა მენინავე ფეხოსნებს იერიშზე წასვლა უბრძანს“.

რაღა დროს ფეხოსანია, დღეს ვიღა ხმარობს ადამიუამინდელ ფეხოსანს – უნდა იყოს ქვეითები, თანაც იერიშზე კი არ მიდიან, არამედ გადადიან! წელანდელი კივერისა და ბატარიასი არ იყოს, ავტორისგან გასასაცილოებულ გერმანელ გენერალს ეს მაინც ეცოდინებოდა!

ჩემი მწირი სამხედრო ცოდნა-დაკვირვებით კი ტოტლებენი აქ არც იერიშზე გადასვლის ბრძანებას გასცემდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თავისი რაზმით ციხეს ერტყა და უბრალოდ, „იერიშზე წასვლის“ სივრცე, აზრი და პერსპექტივა არ არსებობდა: მსგავს გარემოში ციხესიმაგრის აღებას იერიშით კი არა, შტურმით შეეცდებიან ხოლმე!!!

ტოტლებენი თურქებს ემუქრება.

„ – ხვალ გამოცდიან... რუსული ხიშტების ძალას“.

რისხვამორეულ გენერალს მეორე სიტყვაში „ს“ გადაეყლაპა, ავტორმა კი ეს ვერ შენიშნა!

„გენერალ კარგ ხასიათზე იყო“.

მე კი მტკიცედ მწამს, გენერალი კარგ გუნებაზე იქნებოდა! ავტორს ერთმანეთში ერევა გუნება და ხასიათი და არ

იცის, რომელი როდის სახმარია.

**გუნება** სათუთი სულიერი განწყობილებაა, ადვილად ცვალებადი განწყობა, თუგინდ უმნიშვნელო შინაგან-გარეგანი ფაქტორებიც რომ ზემოქმედებს.

**ხასიათი** კი ადამიანის სულიერი ცხოვრების მთლიანი და მყარი ინდივიდუალური წყობაა, მკვეთრად გამოხატული თავ-ისებურება.

„თურქულმა ბატარეამ ცეცხლი გახსნა და რუსული რაზმი ფერდობს შეადუღა“.

კარგი რა, კაცო, მართლა ალარ არის ბატალური სცენების შეთხვის ზომიერება?!“

აქ ავტორი ისეთი თავდაჯერებით წერს, რაზმი ფერდობს შეადუღაო, თითქოს მეორე მსოფლიო ომში ვარშავის, ბრესტის ციხესიმაგრის, სევასტიონის, სტალინგრადის, დრეზდენის, ჰამბურგისა და რაც მთავარია, ბერლინის ერთდროულ საარტილერიო-სავაიაციო ჯოვანეთურ დაბომბვაზე გველაპარაკებოდეს! მე-18 საუკუნის შუა წლებში ოთხიოდე რალაც კუსტარული ქვემეხითა და ოთხ-ხუთკილოგრამიანი უსუსური ჭურვებით – ზოგიერთი მათგანი რომ ხან არც კი ფეთქდებოდა ხოლმე! – სად რა უნდა „შეგედულებინა?!“

უქიმერონის ციხესიმაგრეში გამაგრებული თურქები და ზედ მიმდგარი ტოტლებენი ერთმანეთს თოფ-ზარბაზნებით ეპაკექრებიან. რუსების მოსაცდუნებლად თურქებს ქონგურებშუა ჯოხებზე ოსტატურად დამაგრებული ჩალმიანი ჩუჩელები გამოუკიდიათ.

ახლა რ. მიშველაძეს მოვუსმინოთ.

„ქონგურებზე თურქ მეთოვეთა წითელი ქუდები სამიზნე-სავით ჩანდა. „ახლა მაინც მოიხადონ ამ კვდარძალლებმა ეს წითელი ბუხარ-ქუდები“ – ფიქრობდა მეფე“.

თვით ამ პანია ციტატაშიც კი ყველაფერი უაზროდ და უპასუხისმგებლოდ არის შეთითხნილი. ავტორი „ბუხარ-ქუდებს“ დეფისით რომ წერს, ნუთუ ისიც არ იცის, დეფისი მაკავშირებლის „და“ მაგიერ იხმარება?! მიშველაძისებურად კი რა გამოდის? ბუხარა და ქუდები! არადა, ამგვარ ქუდს ეწოდება

ბუხარული ქუდი, ბუხრის ქუდი – ცხვრის ტყავის (ყარაყულის) მაღალი ცაჩადგმული ქუდია და ეს სახელი მიიღო შუა აზის ქალაქ ბუხარას (უზბეკეთი) მიხედვით. თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუხრის ქუდი ძალიან ძვირი და თან იმდროინდელ პირობებში უფრო ძნელი ხელმისაწვდომიც იქნებოდა, საეჭვოა, თურქებს თავიანთი უსაყვარლესი, ათადანბაბადან შესისხლხორცებული და თან რელიგიურ თავისებურებასთან დაკავშირებული მშობლიური ჩაღმა „ბუხარ-ქუდებზე“ გაეცვალათ!

ამასაც თავი დავანებოთ: ვინმეს სადმე უნახავს ჯერ უნახველი საოცრება – **ნითელი ყარაყული?!?** მაში, რევაზ მიშველაძეს რაში დასჭირდა მისი დებიუტანტური განითლება?! ეს, აღბათ, არც ანალვლებს: მთავარია, რომ ცოცხალმა კლასიკოსმა და ქართული პროზის რაინდმა ასე ბრძანა, მისი მოთაყვანე კრიტიკოსების სახოტბო სტატია-კეტებით ტვინდაბეგვილმა მკითხველებმა კიდევ ყველაფერი ეჭვმიუტანლად უნდა იწამონ და თავი მონური მორჩილებით უკანტურონ!

თან დააკვირდით, სოლომონ | სულელი რომ გამოუვიდა. რაკი მეფეს ჩაღმიანი ჩუჩელები ანუ „ბუხარ-ქუდები“ ნამდვილი მეომრები ჰერნია, მაშინ ავტორმა რილასთვის წამოატორტლინა ეს სულელური ფრაზა: **ახლა მაინც მოიხადონ ეს ბუხარ-ქუდებიო!?** კი მაგრამ, ორმხრივი სროლისას თურქ მეომრებს ეს რას მოუტანდა – ამ ბუხარულ ქუდს შეიძლება ფინდიხის ერთი ნამცეცი მაინც შეეკავებინა ან ჭრა შეერბილებინა, ხოლო მისი მოშვლების შემთხვევაში კი თავში მიყენებული ჭრილობის სიღრმე-სირთულის ალბათობა უფრო არ გაიზრდებოდა?! ხოლო აქ სოლომონ მეფეს, უფრო სწორედ, რ. მიშველაძეს თუ თურქ მეციხოვნეთა „ბუხარ-ქუდების“ ანუ ჩაღმების თვალში საცემი სინითლე ჰქონდა მხედველობაში, მაშინდელი უხრახნოლულიან თოფს სროლის ისეთი რა მანძილი ექნებოდა, რომ მსროლელი წითელქუდა მეციხოვნეს ზუსტად დაუმიზნებდა, ხოლო უქუდო თავს საერთოდ, თვალს ვერ მიუწვდენდა და ვეღარც ნიშანში ამოიღებდა?!

სად არის ლოგიკა, საღი აზრი, ტექსტის მხატვრულობა, მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობა?!!..

\* \* \*

„ოქროს ჩარდახის ვიწრო შუკაში ცხენების ფლოქვთა ცემა წამიერად გაისმა და მაშინვე მიწყდა“.

აბა, როგორ არ აღგაშფოთებს მწერლის ამგვარი უნალვლულ-დილეტანტური აზროვნება! თუკი „ცხენების ფლოქვთა ცემა“ მოულოდნელად კი არა, თურმე მხოლოდ „წამიერად“ გაისმა, მაშინ ბუნებრივად იბადება გამახეტებელი კითხვები, ან ასე „წამიერად“ საიდანლა გაისმა ანდა მერე „მაშინვე“, იმავწამიერად (!!!) როგორ, რანაირადღლა უნდა შეწყვეტილიყო – ცხენებს უეცრად პეგასის ზემძლავრი ფრთები გამოესხათ და მხედრებიანად ლამეულ ზეცაში აფრინდნენ თუ როგორ წარმოუდგენია ავტორს?!

ო, ჩვენს მთვლემარე ლიტერატურულ კრიტიკას როგორ მოუხდებოდა პირდაპირი ტელედებატები!...

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლო ამ ნოველაშიც გამოიკვეთა რ. მიშველაძის ერთ-ერთი, მკითხველის გასაშტერებელი მწერლური ნაკლი, რომლის მსგავსი ათასხუთასწლოვანი ქართული მწერლობის რომელიმე რიგიან ავტორთან კი არა, თუგინდ უიმედო, მაგრამ შეუპოვარ და ხელხვავიან გრაფომანთანაც კი არ შევხვედრივარ! აი, ეს ნაკლი: როგორც თვითონ ავტორი, ისე მისი ნებისმიერი ეპოქის, ასაკის, ეროვნების, თანამდებობის, ჭკუა-გონების, სოციალური მდგომარეობის, გამოცდილების, თავგადასავლის, სვე-ბედის, ზნეობის, განათლების თუ მრწამსის მქონე აურაცხელი პერსონაჟებიც აბსოლუტურად სულ ერთნაირი წყალწყალა ლექსიკითა და ერთნაირად გაუკულმართებული სინტაქსით აზროვნებენ და მეტყველებენ!!!

პირდაპირ საკვირველიდან გამოდიხარ – ავტორი ამას მაინც როგორ ახერხებს!!!

ავილოთ თუგინდ სოლომონ მეფე. რ. მიშველაძე, თითქოს პროზაიკოსი კი არა, რომელიღაც დაწესებულებაში სარევიზიოდ გაგზავნილი საინვენტარიზაციო კომისიის წევრიაო, მეფეს სატა-

ბელო ნივთივით მხოლოდ ასახელებს და აღრიცხავს, მაგრამ მერე გზადაგზა თავს სულ აღარ იწუხებს, იგი სისხლსავსე პერსონაჟი გამოუვიდეს! ამიტომ სოლომონ პირველის ლექსიკას, სინტაქსასა და ყოფაქცევას არაფერი სცხია არც მეფის, არც იმ ეპოქის!

ავტორი მეფეს გუნებაში ასეთ რამეს ასიბრძნებინებს: უქიმერონის ციხეში გამაგრებულმა ქვემეხებიანმა თურქებმა ქვემეხებიან ტოტლებენს მედგარი წინააღმდეგობა რომ გაუწიონ, ვაითუ ბრმა ჭურვებით ბაგრატის ტაძარიც დაინგრესო. ამიტომ რუსების მალულად შუალამისას თურქ მეციხოვნებთან თავის შუაკაცებს აგზავნის: რუსები ნამეტნავად შეიარაღებულები არიან, წინააღმდეგობას აზრი არა აქვს და თავს ტყუილუბრალოდ ნუ წაიხდენთ – ციხიდან ფარულად გაიკრიფენით და თავს უშველეთო.

ჰოდა, ამ შუაკაცებს – გოგიტასა და ვაციას მე-18 საუკუნის შუა წლებში იმერეთის მეფე აი, ასეთნაირი სინტაქსით მიმარტავს.

„ – უნდა წახვიდეთ ახლავე ციხისთავთან, ბიჭებო!“

ეს არის ქართული ენისა და მეტყველების მადლი, ბუნება, ლაზათი და შესაძლებლობა?!“

ჩიქორთულად მოლაპარაკე მეფე თავისას არ იშლის.

„ – თუ ხოსროვ ფაშა გამოვიდა თქვენთან შეხვედრაზე...“

რანაირი, სად ნასწავლი და დამახსოვრებული ქართულია „თქვენთან შეხვედრაზე?“!“ ამნაირი დღევანდელი ჩიქორთულობა მაშინდელ მეფეს კი არა, თბილისის ამჟამინდელ ჰაერდახმულ ყავახანებში გამოზრდილ წყალწალებულ ეპიგონნაც კი არ ეპატიება – „თქვენთან შესახვედრად“ მაინც დაეწერა! საერთოდ კი, სულაც არ იყო საჭირო აქ სიტყვების „თქვენთან შეხვედრაზე“ ხმარება და „გამოვიდაც“ იკმარებდა, ვინაიდან ციხისთავი თუ მართლა გამოვიდოდა, მათი შეხვედრაც მოხდებოდა! თანაც ავტორმა კავშირი „თუ“ ხოსროვ ფაშას წინ ყოვლად უაზროდ დაასკუპა – იგი მიუთითებს გარკვეულ პირობაზე, რომელსაც რაღაც შედეგი უნდა მოჰყვეს! ამიტომ აქ რ. მიშველაძეს ისე გამოუვიდა, თითქოს სოლომონ მეფეს იმ შემთხვევაში იმის მეტი არაფერი აღონებდა: თუ ხოსროვ ფაშა გამოვა, საქმე

ხომ სასიკეთოდ წატრიალდება! მაგრამ თუ მუსტაფა ფაშა ან აბდულა ფაშა გამოვიდა, მაშინ ყველაფერი შავ-და-უკუღ-მა წარიმართება და შუაკაცებსაც სულ სხვანაირად მოქცევა მოეთხოვებათ!

არადა, აქ ერთადერთი ციხისთავი ხოსროვ ფაშაა და თუ ციხისთავი გარეთ გამოვიდა, ის უეჭველად ხოსროვ ფაშა იქნებოდა და სხვა ვერავინ! ამიტომ აქ კავშირი „თუ“ ციხისთავის ვინაობის გარკვევას კი არ უნდა შეხებოდა, არამედ ურთიერთ-შორის ნდობა-უნდობლობასა და ციხისთავის გარეთ გამოსვლა-გამოუსვლელობის განუჭვრეტელ მოლოდინს!!!

ერთი სიტყვით, მეფის ნასაზრი გასაგებად რომ გადმოცემულიყო, წინადადებას ამგვარი დასაწყისი მაინც უნდა ჰქონოდა.

„ხოსროვ ფაშა თუ გამოვიდა ხოსროვ ფაშა...“ ან „თუ გამოვიდა ხოსროვ ფაშა...“ თან დააკყირდით, ავტორის მიზეზით სოლომონ მეფე როგორი ცხოვრების უმეცარი გამოდის: ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, მთელი დღე ერთმანეთთან სასტიკად ნაბრძოლები, თანაც იმ შუალამისას ხოსროვ ფაშა იყადრებდა ან გაბედავდა ციხის გარეთ ცხვირის გამოყოფას, რამე ხიფათში ან მახში რომ გაბმულიყო თუ პირიქით – მოულოდნელად გამოჩენილ საეჭვო შუაკაცებს შიგნით შეაყვანინებდა?!“

ბ-ნო გიორგი (იური), აბა, რომელი ოპონენტი გაუძლებს ცდუნებას, რათა სრულად არ მოიყვანოს ხოსროვ ფაშასთან მისაგზავნი შუაკაცების დამრიგებელი სოლომონ მეფის ჩიჩი... უკაცრავად, სეფესიტყვა! ოლონდ ვინც ამ „დარიგებას“ ბოლომდე ვერ გაუძლებს და რომელიმე მონაკვეთზე თავს მიანებებს, ეს, ჩემი აზრით, ქართული მწერლობის ანდა ლიტერატურული იდეალებისა და ღირებულებების ღალატად არ ჩაეთვლება. მაშ, ასე!

„—ნუ გეშინიათ. ციხისთავს ხოსროვ ფაშას მე კარგად ვიცნობ. უთხარით, სოლომონ მეფემ გამოგვგზავნა-თქო და ეს ჩემი სამეფო ბეჭედი უჩვენეთ, – მეფემ ბეჭედი წაიძრო და კაციას გადააწოდა, – უთხარით, რუსებს ხუთი ათასი სალდათი და ოცი ბატარეა ჟყავთ-თქო. წინააღმდეგობა უაზროა-თქო. სოლომონ მეფეს უნდა სიცოცხლე შეგინარჩუნოთ-თქო. გამოენისას ზედა მხრიდან საიდუმლო გასასვლელით, რომელიც კაკლის ხესთან,

ყორეშია ამოშენებული და იოლი გასანგრევია, გადით ციხიდან და თან წაიღეთ თქვენი ავლა-დიდება-თქო (უნდა იყოს ავლა-დიდება. ჯ. მ.). თან დაუმატეთ: სოლომონ მეფემ შემოგითვალათ, განძეულობიდან, რომელიც ჩვენი ძარცვით დააგროვეთ, ჩვენ იმდენი დაგვიბრუნეთ, რამდენადაც სიცოცხლე გილირთ-თქო. – სოლომონ მეფემ ეს ბოლო სიტყვები ძლივს გააგონა შეთქმულთ.

– რომ არ დაგვიჯერონ? – გოგიტა ფრიად შეჩევიფე-ბულ-შეეჭვებული ჩანდა.

– დაგვიჯერებენ, სხვა გზა არა აქვთ. თუ ხოსროვ ფაშა გამოვიდა თქვენთან შეხვედრაზე, ხოსროვი ვაჟკაცია და მე-ფის სიტყვას ენდობა. თუ არადა, მერე რაც მოუვათ, თავის თავს (უნდა იყოს „თავიანთ თავს“. ჯ. მ.) დააბრალონ. რიბირაბოს ნუ დაელოდები-თქო, გააფრთხილე თურქები, დროზე შეჰკარით (უნდა იყოს შეჰკარით. ჯ. მ.) ბარგი და მოუსვით აქედან-თქო. ჩვე-ნი მცველები გარეთ დაგხვდებიან და გზას გიჩვენებენ-თქო. თან დაამატეთ, არც სოლომონს უნდოდა რუსების შემოსვლა, მაგრამ დრომ მოიტანა-თქო“.

შემირცხვენია გლახა ჭრიაშვილი!... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ავტორი ელემენტარულ გამოცდილება-ოსტა-ტობასაც ვერ ავლენს, სოლომონის ეს გულშესაწუხებელი არ-თილულუ-ჩართილულუ ზღვრამდე დაწუროს და ავტორისეული თხრობით გვაუწყოს, ხოლო დანაბარევისთვის მეტი წონის მი-საცემად ბოლოში მეფეს ერთი-ორი მეფური ფრაზით ლეკუ-რი სიტყვა ათქმევინოს!... რ. მიშველაძემ აქ სოლომონ მეფე „თქო“-ჭურვების სატყორცნ ახალგამიოგონილ ლიტერატურულ ჰაუბიცას დაამსგავსა – მკითხველის გამომათაყვანებელი, ეს უაზრო „თქო“ ერთმანეთის მიყოლებით მართლა ჰაუბიცისებუ-რად ათვერ (!), „ფეთქდება!“

ახლა პირუთვნელად განვსაჯოთ: ეს პანია ნოველა კი არა, მხატვრული ლიტერატურის სხვა რომელი უანრი აიტანს „თქო“-ჭურვების ამგვარ უაზრო ცვენას?!

ან რანაირია ენა და სინტაქსი? ეს არის არა ცოცხალი, ხალხის სალაპარაკო ენა, არამედ დოცენტის, გრაფომანის, კონსპექტის, პარტიული კრების ოქმის, სასოფლო საბჭოს თავ-

მჯდომარის, ავტოინსპექტორის თუ კლასის დამრიგებლის სტილის იძულებითი ნარევი, რომელზეც ჩვენი ავტორის პერსონაჟებისა და მათ მსგავსთა გარდა სხვა არავინ ლაპარაკობს!

\* \* \*

წინ უარესი გველის! ზოგჯერ იბნევი და უცებ ველარ გაგირჩევია, უბრალოდ გეჩვენებათ, რომ ეს სოლომონ მეფე კი არა, ჩვენი თანამედროვე, ხელიდან წასული ნარკომანი თუ თავაწყვეტილი გარენარი იგინება.

„ახლა მაინც მოიხადონ ამ კვდარძალლებმა (უნდა იყოს მკვდარძალლებმა. ჯ. მ.) ეს ნითელი ბუხარ-ქუდები...“ „დამინ-გრევენ ბაგრატის ტაძარს, (აյ მძიმე არ უნდოდა. ჯ. მ.) ე, (გა-საკვირია: ან აქ რად უნდოდა მძიმე?! ჯ. მ.) შობელძალლები (უნდა იყოს მშობელძალლები. ჯ. მ.).

მართალია, რ. მიშველაძის ძალდატანებით სოლომონ მეფე აქ თავის მტრებს, თურქებს აგინებს, მაგრამ ავტორს ეს როდი აძლევა იმის უფლებას, გონიერაში ალალბედად რანაირი სააღანძლავი სიტყვაც წამოუტივტივდება, მეფესაც ის წამოაყ-რანტალებინოს! აქ დახვენილი მხატვრული ტაქტიანობა და სი-ტყვების დაკვირვებით შერჩევა იყო საჭირო! მსგავს შემთხვევა-სა და ვითარებაში, მით უმეტეს განსხვავებული რწმენისა და ეროვნების მტერს უფრო აშ სიტყვებით ახსენებენ ხოლმე: **რჯუ-ლძალლი, სალავათძალლი, სალავათგამქრალი, სალავათდასაქცევი, ჯიშძალლი, სალავათგამოცულილი, ჯიშგასაქრობი და სხვა.**

საკუთარი წანარმოებიდან ამის საილუსტრაციო მაგალი-თის მოყვანას ორი მიზეზი მიმსუბუქებს.

ჯერ ერთი, წარმოუდგენელია, 14 წლით ადრე მცოდნო-და, ეს 2013 წელს საპოლემიკოდ დამჭირდებოდა და ამიტომ სიტყვა „**სალავათძალლი**“ განზრას მეხმარა ნოველაში „ეშმაკის წავარნა“, რომელიც პირველად 1999 წელს გამომცემლობა „ნაკადულთან“ არსებულ „**სალიტერატურო გაზეთში**“ (მთ. რე-დაქტორი ოთარ ჭელიძე) დაიბეჭდა. 2003 წელს კი გამომცე-მლობა „**ინტელექტის**“ მიერ დასტამბულ წიგნშიც „**ნაკურთხი მარილი**“ შევიტანე.

მეორეც, ჩემისთანა უმნიშვნელო მწერალიც რომ გრძნობს ამა თუ იმ პერსონაჟისა და სიტუაციისთვის მოსახლე-ნი სალანდავი სიტყვის შერჩევის თავისებურებას, იქ ცოცხალ კლასიკოსად და ქართული პროზის რაინდად წოდებულ ავტორს სიტყვა-ფრაზასთან უფრო რაინდული მიდგომა მოეთხოვება!

ბაზალეთის ბრძოლაში დამარცხებულ გიორგი სააკაძეს გეზი ოსმალეთისკენ უჭირავს. ერთი ფეხისხმასაყოლილი ცხე-ნიანი ჭაბუკი, „სთამბულში“ მოხვედრა რომ აუკვიატებია, ოტე-ბელთ შორიახლოს მალულად ასტორლიალებია. მესხეთის საზ-ლვართან შენიშნავენ, გიორგი სააკაძე თავისთან მოაყვანინებს და ცივად აუხსნის: ახლავე მიატრიალოს ცხენი და ისევ თავის კარ-ფუძეს დაუბრუნდეს!!!!

ჭაბუკით უეცრად მოხიბლული რაზმელები კი შეეცდები-ან, დიდ მოურავს როგორმე შეაცოდონ და თან გაიყოლონ, თო-რემ ის თავისას მაინც არ დაიშლის და „ჩვენს დევნაში **სალავ-ათძალლ** თურქ ავაზაკებს სადმე ჩაეკაფვინება“-ო.

ოპონენტები მე თუ ანგარიშში ჩასაგდებად არ ჩამთ-ვლიან, ქეგლიდან მართლა დიდ მწერლებს დავიმოწმებ: **სალავათდასაქცევი** შიო არაგვისპირელსა აქვს ნახმარი, ხოლო **სალავათძალლი** – სოფრომ მგალობლიშვილს და **ანასტასია ერი-სთავ-ხოშტარიას**. ხოლო თუ არც ეს იკმარებს, მაშინ ორი აბ-ზაცის შემდეგ გენიოსს დავიხმარებ!

ქრისტიანი სოლომონ მეფე მკვდრებისა და მშობლების ასეთ როყიო ლანძღვას, ალბათ, მოერიდებოდა თუგინდ იმი-ტომ, რომ თურქების ამგვარი ლანძღვა იმავდროულად თავისი გარდაცვლილი მშობლებისა და სხვა ახლობელთა შეურაცხყო-ფაც იქნებოდა!

იმ დუხტირ, მაგრამ დღევანდელობასთან შედარებით გაცილებით პატიოსან ეპოქაში თუ როგორ უფრთხილდებოდ-ნენ ქართველი კაცის ქრისტიანულ ზნედაცულობას, ნათლად გვიდასტურებს „ერეკლე მეორისა და ანტონ კათალიკოსის 1767-68 წლების განჩინება“ (მოკლედ იხ. ქართული ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 183), რომლის მიხედვითაც სხვადასხვა მიუღებელ და დანაშაულებრივ ქმედებასთან ერთად არამცთუ ადამიანიშვი-

ლის, არამედ „პირუტყვის უშვერი გინებაც“ იკრძალებოდა!!!

თუგინდ ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ალუდა ქეთელაური“  
სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ჩაბმული ალუდა და  
მუცალი გავიხსენოთ. მიუხედავად იმისა, ისინი მირონცხებული  
მეფები ან თუგინდ დიდგვაროვნები კი არა, უბრალო მთიელე-  
ბი არიან, იმ უკიდურესად გავარვარებულ ვითარებაშიც კი  
მათი ურთიერთსალანძლავი ლექსიკა ორად ორ სიტყვას არ  
შორდება: სიტყვა „ბეჩავო“ ერთხელ არის ნახმარი, „რჯულ-  
ალლო“ კი ცხრაჯერ (!) მეორდება!!!

აბა, ახლა წარმოვიდგინოთ, რა დღეში ჩავარდებოდა  
ამ ორი მორკინალი ვაჟაცის ზნეობა-ადამიანობა, ნაწარმოე-  
ბის მხატვრულობა და ავტორის ლირსება, უკიდურესად აღგ-  
ზნებულ ალუდასა და ტყვეით სასიცვდილოდ დაჭრილ მუცალს  
ერთმანეთისთვის განუკითხავად რომ ეგინებინათ მკვდრები,  
ცოცხლები, მშობლები, ცოლ-შვილი, ცოლ-დედა, დები, კეთილე-  
ბი, პატარძლები, გვარში გასათხოვრები და ა.შ.

რ. მიშველაძე კი თავის ე. წ. ნოველაში ბოლოს და ბო-  
ლოს იმერეთის მეფეს ხატავს, უფრო სწორედ, ეწადა დაეხატა!  
თუმც, ვინ იცის, ალბათ, ჰერინა, რომ ლირსებისამებრ დაგ-  
ვიხატა! არადა, ლანძლვას ვიღა დაეძებს – მეფემ საერთოდ არ  
იცის გამართული ლაპარაკი, მეფე გასაგები ქართულით ვერ  
მეტყველებს!!!

სოლომონი უქიმერონის ციხიდან რუსების მალულად  
თურქებს ნაძარცვითურთ რომ გააპარებს, ხოლო ხახამშრალი,  
ალშფოთებული და ქართველებზე სამუდამოდ გულაცრუებული  
ტოტლებენი ქართლში დასაბრუნებლად ქუთაისს მეორე დღესვე  
ისე დატოვებს, „რომ მეფე სოლომონ პირველს არ გამომშვი-  
დობებია“, ამ უკანასკნელს ანუ სოლომონ მეფეს თურმე რახა-  
ნია ასეთი აზრი უტრიალებდა: შემოსეული თურქები იმერეთში  
დიდხნობამდის იმიტომ ბოგინობენ ხოლმე, რომ ჩვენს ციხ-  
ესიმაგრეებში მშვენივრად სახლკარობენ! აქედან დასკვნა:  
უქიმერიონის, ბალდათის, შორაპნისა და ცუცხვათის ციხეები  
პირწმინდად უნდა დაანგრიონ და იმერეთიც მოისვენებს! დიახ,  
მაგრამ გარემოცვას ხომ სჭირდება საამისო შემზადება! ჰოდა,

მეფე თავისიანებს აი, რანაირი ქართულით მიმართავს.

„ – როგორ ფიქრობთ, თქვენ, უქიმერიონში, რომ ასი წელი იჯდნენ თურქები, რისი ბრალია?“

ბ-ნო გიორგი (იური), თქვენი ფალავანთფალავანის ამგვარი წინადადებები, აპზაცები და მთლიანი ტექსტები პირდაპირ ტვინს მინაყავს და ჩემს პანანკინტელა მწერლურ წარმომსახველობას ისე მიფიტავს, რომ წანაკითხით გატანჯული, იმწუთას საკუთარ თავს მტკიცე, თუმც მერე ლაჩრულად შეუსრულებელ ფიცს დავუდებ ხოლმე – რევაზ მიშველაძის ნაწერებს აღარასოდეს წავეკარო-მეტეი! მაგრამ სად გავექცე თქვენისთანა სტაჟიანი მეხოტბე-პროპაგანდისტების მიერ მოშვებული რევლამის ნიალვარს, პროფესიულ ცდუნება-ინტერესს და ავტორისადმი კოლეგიური პატივისცემის შეგნება-მოვალეობას?!

ჰოდა, თქვენი კერპი ნუთუ ამაშიც ველარ ერკვევა: თურქები იჯდნენ თუ ისხდნენ?! ან რა საჭირო იყო პირველი და მესამე მძიმე?! და საერთოდ, აქ გატარებული აზრის გადმოსაცემად ეს წინადადების რანაირი დასაწყისია: „როგორ ფიქრობთ, თქვენ, უქიმერიონში...?!!“ აქ ისე გამოდის, თითქოს რაღაც ბუნებრივი მოვლენების, ფსიქოლოგიური განწყობილების თუ ჯადობაზობის გავლენით სხვადასხვა ციხეებსა და ადგილებში სულ სხვადასხვანაირი იყოს სოლომონ მეფის დიდებულთა ფიქრის დონე, ხარისხი, მასშტაბი, შედეგი!!!

ცოცხალმა კლასიკოსმა და ქართული პროზის რაინდმა კი არა, თუგინდ არაფრით გამორჩულმა დებიუტანტმა ეს აზრი ნუთუ ასე მაინც ვერ გამოხატოს.

„თქვენ როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია, თურქები უქიმერიონში ასი წელი რომ ისხდნენ?“

ან

„თურქები უქიმერიონში ასი წელი რომ ისხდნენ, თქვენ როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია!“

ერთი სიტყვით, რ. მიშველაძის მიერ წაქეზებული სოლომონ I ციხეების პირნმინდად დასანგრევად თავის დიდებულებსაც დაიყაბულებს.

„1769 წლის 8 აგვისტოს უქიმერიონის ციხეს კაჟის უროე-

**ბით ქართველები შესეოდნენ“.**

შესევით კი შესევიან, მაგრამ არ იკითხავთ, როგორ ირჯებიან?! ორო!

**„ჯერ გაუბედავად ზანტად იქნევდნენ უროებს, მერედამერე (უნდა იყოს მერე და მერე. ჯ.მ.)...“**

ბოლოს და ბოლოს რა არის მწერლობა, მწერლური ნიჭი? სიტყვის მნიშვნელობის ზუსტი ცოდნა, მისი მხოლოდ თავის დროსა და ადგილზე ხმარება, სათქმელის მხატვრული სიფაქიზით გადმოცემა!

აյ კი რა მხატვრულობაზე ლაპარაკი შეიძლება, როცა ალალბედა ავტორი ერთმანეთის გვერდიგვერდ ისეთი გასაკვირი დილეტანტობით ხმარობს ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული მნიშვნელობის ზმნისართებს – „გაუბედავად“ და „ზანტად“, რომ ჩაფიქრებული სურათის წარმოდგენა შეუძლებელი ხდება და ტვირიგაბრუებულ მკითხველს ეჩვენება – მხატვრულ ნაწარმოებს კი არ კითხულობს, არამედ რაღაც კოშმარულ სიზმარში ყურყუმალობს!!!

რას ნიშნავს ზმნისართი გაუბედავად? მორიდებით, მოკრძალებით, ფრთხილად.

რას ნიშნავს ზმნისართი ზანტად? ნელა, მძიმედ, აუჩქარებლად; უნდობრად, უხალისოდ.

როგორც ვხედავთ, გაუბედაობა და ზანტობა სულ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებია და, ცხადია, მათი გამომწვევი მიზეზი, მიზანი და მოტივიც სულ სხვადასხვანაირი იქნება: თუკი მუშები უროებს გაუბედავად იქნევდნენ, იქ სიზანტე რაღა სახსენებელია, ხოლო თუ მართლა ზანტად იქნევდნენ, მაშინ სიზანტეს სიფრთხილესთან რა ხელი აქვს?!

თუგინდ მონათესავე მნიშვნელობის ზმნისართებიც რომ ყოფილიყო, რ. მიშველაძეს ეს რანაირი ქართული გამოსდის – „გაუბედავად ზანტად იქნევდნენ?!” ავტორს აქ პირველ სიტყვასთან თუგინდ მძიმეც დაესვა „გაუბედავად, ზანტად იქნევდნენ“, ეს ზმნისართები შინაარსობრივად ერთმანეთისგან იმდენად განსხვავებულია, რომ აზრის გადმოცემა და მხატვრული სურათი მაინც უიმედოდ განწირულია!

მაშ, რ. მიშველაძეს რაღა რჯოდა და თავს ხიფათში რაზე იგდებდა – ამდგარიყო და აქედან ერთ-ერთი ზმნისართი აერჩია ან ფრაზა სულ სხვანაირად აემარცვლა! პმ, ძალლის კუდიც სწორედ მანდ მარხია!...

ასეა თუ ისე, „კაჟის უროებით“ შეიარაღებული ქართველები ციხეს თანდათან ანგრევენ. აი, როგორია ტექსტის ბოლო წინადადება.

„საუკუნოვან ქონგურებს მიწაზე ჰყორიდნენ.“

გასაკვირია: ტრადიციული დუღაბით მკვიდრად ნაგებ „საუკუნოვან ქონგურებს“, ალბათ, ბულდოზერიც რომ ვერ ან ძლივს მოანგრევს, ის მუშები ისეთი რა ბაყბაყდევები იყვნენ, თანაც პრიმიტიული „კაჟის უროებით“ აღჭურვილნი – ქონგურებს წვალებ-წვალებით კი არ შლიდნენ, არამედ თი-თო-ოროლა შემორტყმით „მიწაზე ჰყორიდნენ!“ გამოდის, რომ უქიმერიონის ციხე ბალდების მიერ აყალოთი ანაგები ხუხულა ყოფილა და მეტი არაფერი!

დაუკვირვებელ-უნალვლელი ავტორი ვერ ხვდება, რომ უნგრეველ ქონგურებსაც სულ ნაწილ-ნაწილ, თითოეული სიპი-სა თუ ლოდის მომტვრევა-მოგლეჯით უნდა დაშლა! ან აქ რაღა საჭირო იყო „მიწაზე?!“ თავისთავადაც ცხადია, „ქონგურებს“ თუ ჩვეულებრივ ნანგრევს ძირს ანუ მიწაზე ჩამოყრიდნენ, აბა, კოსმოსში ხომ არ აყრიდნენ?! თანაც უნდა იყოს ყრიდნენ და არა ჰყორიდნენ!

„მუშა ხარაჩოდან აგურებს ყრის“. „გაციებული გიგლა თავის დაიკოს სურდოს ჰყორის“. \*

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), რ. მიშველაძის აჩქარებული, დაუფიქრებელ-დაუკვირვებელი თუ იაფფასიან იუმორისტულ ლაზ-ლანდარობას მიმსგავსებული ზერელე თხრობა ზოგჯერ მკითხველის შეურაცხოფამდე მიდის.

გამწყრალ-გაბუტული ტოტლებენი თავისი რაზმით ქუთაისიდან ისევ ქართლისკენ მიემართება.

„სამხედრო ეტლში იგი გზადაგზა კარნახობდა შიკრიკს ხე-

## **ლმწიფე იმპერატორისადმი გასაგზავნ პატაკა“.**

ახლა არამარტო რევაზ მიშველაძის შემოქმედების თაყვანისმცემლებსა და მოსალოდნელ ოპონენტებს, არამედ წებისმიერ დაინტერესებულ მოხალისე მკითხველს თუ მოსეირეს ამგვარი ცდის ჩატარებას ვთავაზობ. საქართველოში თითოთ საჩვენებელი ავტოსტრადის სანიმუშო მონაკვეთზე ყველაზე რბილამორტიზატორებიანი მსუბუქი, თანაც ნათელსალონიანი ავტომობილით ეტლის სიჩქარით გაიაროს, სანერად მომარჯვებული პატარა დაფა და ქაღალდი რომ არ დაესვაროს, ტრადიციული მელან-კალმის მაგიერ პასტის კალამი იხმაროს და რაიმე ტექსტის დაწერას შეეცადოს! მერე შედარებისთვის კინოსტუდიაში ნაქირავები „სამხედრო ეტლით“ მეთვრამეტე საუკუნეს მისადაგებული ოღონჩილრო გზით ირახრახოს, თან სამელნე და კალმისტარიც ანუ ბატის ფრთა იმ ეპოქისდროინდელი იქონიოს და ვნახოთ ერთი, რას დაწერს და საბოლოოდ რა გამოუვა?!

ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, იმდროინდელი გზების (უფრო სწორედ უგზობის!) პირობებში, თანაც მგზავრის ტვინისა და გულ-მუცლის სადღვები დახურულ-ჩაბნელებული ეტლის ჯაყჯაყ-რახრახში ვინმეს ვისიმე ნაკარნახევი გარჩევით მოესმინა და იმპერატორის საკადრისი საგანგებო პატაკი დაეწერა კი არა, ალბათ, პირთან მათარასაც ვერ მიიტანდა, ხოლო რომც მიეტანა, თავის გემოზე ვერ მოიმორჩილებდა – კბილ-ტუჩებს დაიზიანებდა და წყალსაც სულ ზედ ჩამოისხამდა!

აი, ამგვარ პირობებში რ. მიშველაძე რა პატაკების დაწერაზე გველაზლანდარავება – მართლა და მართლა ალარ არის მხატვრულობისა და უდანაშაულო მკითხველისადმი ელემენტა-რული პატივისცემისა თუ პასუხისმგებლობის გრძნობა?!

როგორ, აკურატული გერმანელი გენერალი უზარმაზარი, თან კიდევ და კიდევ მზარდი იმპერიის განათლებულ მბრძანებელს – დასავლეთევროპელ განმანათლებლებთან რომ ჰქონდა მიმოწერა! – ეკატერინე მეორეს (1729-1796), რომელმაც პეტრე მესამეს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი გაუუქმა და ისევ სამხედრო მწყობრს დაუბრუნა, სადღაც კავკასიის უხეტმახეტ გზებზე მორახრახე ეტლში გაურჩეველი ბატიფეხურით ნა-

ჯღაბნსა და მელნით დასვრილ-დათხუპნილ პატაკს შეჰკადრებ-და?! ჰმ!!! თუგინდ სხვადასხვა წიგნებში ნანახი იმდროინდელი სამხედრო პირებისა თუ უანდარმების მიერ სათანადო უწყებებ-ში გაგზავნილი საიდუმლო პატაკ-მოხსენებათა ფოტოასლები გაიხსენეთ – კაცს განცციფრებაში მოიყვანს სუფთა, უნაკლო, თითქმის სტამბურ შრიფტს მიმსგავსებული აკადემიური კა-ლიგრაფია და თხრობის ლაკონურ-ანალიტიკური სტილი!

რ. მიშველაძე კი... სწორედ ამაზეა ნათქვამი: ბალლო, რადა ჩხნავიო, გამყავ და იმიტომაო!..

ავტორმა ან საიდან ისიბრძნა, რომ პატაკებს შიკრიკებს აწ-ერინებდნენ?! ფიცხელ, ჯომარდსა და მამაც, მაგრამ იმ დროის კვალობაზე ადვილი შესაძლებელი იყო, სულაც წერა-კითხვის უცოდინარ ახალგაზრდა შიკრიკს პატაკ-მოხსენებების წერასთან რა ხელი ჰქონდა – მას ზეპირი დანაბარები თუ დალუქული პა-კეტი დანიშნულების ადგილამდე სულ ცხენებეთქებით და შესა-ძლებლობის ფარგლებში, უხილათოდ უნდა მიეტანა!!!

აი, რა იყო შიკრიკის მოვალეობა!!! ხოლო მსგავს გარემო-ში საჭირო საბუთებს კი, როგორც წესი, თან საგანგებოდ წაყ-ვანილ გამოწვრთნილ კანცცლარისტ-მწერლებს აწერინებდნენ!!!

გარდა ამისა, მოყვანილ ციტატაში რაღა საჭირო იყო სრულიად ზედმეტი და უაზროდ ნახმარი პირველი სიტყვა „სამხედრო?“ რაკი ქვემებით შეიარაღებული ტოტლებენი თა-ვის საექსპედიციო სამხედრო რაზმს მეთაურობდა, აქ ყეყეჩიც კი თავისით მიხვდება, რომ შესაფერისი ეტლიც (თუკი ამიერ-კავკასიაშიც მართლა ეტლით დაიარებოდა!) „სამხედრო“ იქნე-ბოდა – აბა, გოროზი გენერალი ყარაჩოხელებისა და კინტო-მე-არლნეების ღია ფაეტონით ხომ არ იქანავებდა?!

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), წელანდელი დაპირებისამებრ ისევ იმ პირველ ნოველას, „შეთქმული?“ მივუტრიალდები. აქ ერთ ადგილას ავტორის მიერ გამომულავნებული საშინელი, მკითხვ-ელის ჭკუაზე შემშლელი უმეცრობა ისეთი ძალით აფეთქებს და ანგრევს როგორც ქართული ენის ბუნებას, ისე ამ ენაზე მოაზ-

როვნე-მოლაპარაკე ადამიანების ცნობიერებას, რომ გადატან-ითი მნიშვნელობით მასთან შედარებით ჰიროსიმას ატომური აფეთქება, ალბათ, ასანთის დანესტიანებული ღერის უშედეგო „ჩხივ“-ად მოგვეჩვენება!

სიკვდილმისჯილი პაატა ბატონიშვილის დილეგში ნაშუ-ალამევს ერეკლე || შედის და თავის ბიძას გვერდით მიუჯდება. „ორივენი კარგა ხანს დუმდნენ.“

– **მაშ ასე? ბიძავ?**

ტყვემ გაუბედავად გამოხედა.

– რაზე ბრძანებ, მეფევ ბატონო?

– **ასე ისურვე?! ბიძაჩემო?“**

ერეკლეს ამ ორივე უმოკლეს და უმარტივეს ფრაზაში – „**მაშ ასე? ბიძავ?**“ და „**ასე ისურვე?! ბიძაჩემო?**“ – რა საჭირო იყო პირველი კითხვის ნიშნები და ძახილის ნაშანი?

აյ ფარდა აქხადა შემაძრწუნებელ სინამდვილეს: ავტორი განდობილი ვერ არის ქართული ენის ბუნებასა და თავისებუ-რებას. არ გააჩინია ენის სრულყოფილი სმენა და ფრაზისთვის სასუნთქი ფილტვების ჩადგმის ხელოვნება!.. იგი ვერ გრძნობს თავის მიერვე გამოძერნილი ყველაზე უმოკლესი და უმარტივე-სი ფრაზის ჩვილ ბავშვისებურ უმანკო სუნთქვას და თოთო მაჯის პულსირებას!.. ამიტომ იძულებულია, საბედისწერო ვარაუდითა და ალალბედურობის ბილიკით იაროს!..

ავტორის მიერ ნაგულისხმევი აზრი სწორედ რომ გავ-იგოთ, ერეკლეს პირველ ფრაზაში სასვენი ნიშნები ამნაირად უნდა განლაგებულიყო: „**მაშ, ასე, ბიძავ?**“ ან კითხვა-ძახილით: „**მაშ, ასე, ბიძავ?!**“ და მაშინ ნათქვამიც ქართული ენის ჯანსაღი ჰერით ისუნთქებდა, მოქნილობა არაგვის კალმახისა და ენათ-ლებოდა და აზრიც დახორცლებულ-დასრულებული ექნებოდა!

რ. მიშველაძემ კი რა ჩაიდინა? აუცილებელი მძიმის გა-რეშე დაწერილ „**მაშ ასე**“-ს უადგილო კითხვის ნიშანი ქორ-ფა ყელში ფოლადის წვერმახვილი ჩანგალივით ამოუყარა და კაჩხაზე ბოლში გამოსაყვანა ძეხვივით ჩამოკიდა, მერე კი ზედ-მიყოლებით უკვე ფუნქციადაკარგული (!) „**ბიძავ?**“ გვერდზე გონების წამლები უაზრობით მიუკიდა.

**„ – მაშ ასე? პიძავ?“**

მეორე ფრაზასაც ზუსტად ასევე მოექცა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეტი „დამაჯერებლობა-მხატვრულობისთვის“ პირველ კითხვას ძახილის ნიშანიც მიუწერა.

**„ – ასე ისურვე?! პიძაჩემო?“**

აյ ორივე ფრაზა უჰაერობისაგან გულსაკლავად ხრიალებს, იხრჩობა, სულს დაფავს!..

ბ-ნო გიორგი (იური), მერწმუნეთ ადამიანურად, მთელი ეს ხანი მეც ამ ჩამომხრჩვალი ფრაზების გვერდით ვეკიდე, ვხროტინებდი, ვიხრჩობდი და ველოდი, რომ ვინმე მადლიანი აქედან „ჩამომხსნიდა“ ანუ ქართული ენის ბუნების ამგვარი ჯალათური წამებით აღშფოთებული ჩემზე უფრო წონიანი მწერალი ან თუგინდ რომელიმე ლვთისნიერი მკითხველი შეძრნუნდებოდა და ხმას აიმაღლებდა!.. მაგრამ როცა შევატყვე, მშველელი არსაიდან ჩანდა, მეც ვეღარ გავუძელ მეტ წამებას: ძალ-ღონე მოვიკრიბე და გადავწყვიტე, ეს სულის მღაფავი ფრაზები და საკუთარი თავიც ამ წვერმახვილი ჩანგლებიდან როგორმე ისევ მე თვითონ ჩამომეხსნა.

**ამ ღია წერილმაც ამიტომ შეიგვიანა!**

არადა, ფოლადის წვერბასრი ჩანგლებიდან ჩამოხსნილი ამ ორი, უღვთოდ გაგუდულ-დასახიჩრებული ფრაზის დაცვა და მათზე მსჯელობის ლოგიკური გაგრძელება შეიძლება საბედისწეროდ შემომიტრიალდეს: რომელიმე ოპონენტმა ჩემს შემდგომ წასაზრს ცუდლუტური კუდი გამოაბას და საქართველოს ერთ-ერთ მხარეს სამკედრო-სასიცოცხლოდ დამაპირისპიროს! მაგრამ როცა საკითხი ქართული ენის სიწმინდესა და მის დაცვა-გადარჩენას ეხება, ჯანდაბას ჩემი თავი – რაც უნდა, ის შემამთხვიონ, ოღონდ ჭეშმარიტების დადგენა მოხერხდეს!

ჰოდა, ამასთან დაკავშირებით აი, ახლა რანაირმა ცნობისწადილმა დამიწყო წამება, ბ-ნო გიორგი (იური)!

გამორჩეულ ნიჭითცხებულ მწერალს მშობლიურ კუთხეს რომ უქებენ, ასე ამბობენ ხოლმე: სწორედ იქაურმა ხალხმა შეათვისა ძარღვაზე ქართულის მადლი და მარილიო და სხვ. და სხვ.

ეს მართლაც ასეა, მაგრამ თუ რომელიმე ავტორი ენის

წინაშე უღვთოდ სცოდავს, ნუთუ მაშინ მისი მშობლიური კუთხე არაფერ შუაშია, მას არავითარი „პასუხი“ არ მოეთხოვება?!

ბოლოს და ბოლოს **რევაზ მიშველაძე** ციდან ხომ არ ჩამოფრინდა – ქართული ენის ლექსიკური მარაგი, მეტყველების ბუნება და კულტურა, ფრაზის ფილტვი და სუნთქვის რიტმი მან ხომ არ შექმნა და დააკანონა?! მაშ, როგორ დავიჯერო, თავის მშობლიურ კუთხეს **რ. მიშველაძის** მწერლური ცნობი-ერებისა და გამართული ქართულით აზროვნება-მეტყველების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი არ ეთამაშა?!

ჰოდა, იმ კუთხესა და ხალხში, სადაც **რევაზ მიშველაძე** დაიბადა, აღიზარდა და სიჭაბუკის წლებიც იქვე გაატარა, ნუთუ მეტყველების ყაიდა, ტემპი, რიტმი, პაუზა, დიქცია, აქცენტი და აქცენტუაცია, ტონი და კილო ისეთნაირია, რომ უეჭველად ასეთი მახრინბელა სულშეხუთვით აზროვნებენ, მეტყველებენ და წერენ კიდეც!

„გშია? შვილო?“

„მაკრატელი სად შეინახე?! ლია?“

„თბილისში რომ ჩახვალ? დამირეკავ?! კოტე?“

„ეგ რატომ? არ შემატყობინე? ვანო?!“

„აპა? ვის მოვკითხო?! ლანა?“

„მაგაზე თავიდანვე? რატომ არ იფიქრეთ? დაო?!!“

„ვინ მეტყვის? სად ბინადრობს? ლომი?“

„მაშ მიდიხარ? მამა?“ და ა.შ.

ხოლო თუ მწერლის მშობლიური კუთხე არაფერ შუაშია, მაშინ მით უფრო გამახეტებელია – ამდენი ჯილდო-წოდება-პრე-მიების მქონე მწერალმა და თანაც მეცნიერმა კაცმა საიდან და როგორ ან რისთვის გამოიგონა ფრაზის ასეთი გუდვა?!...

წერა-მეტყველების ამგვარი ყაიდა რომ დამკვიდრდეს, ქართული ენა ხომ სულ გადაგვარდება და ერთმანეთს ხეი-რიანად ვეღარაფერს გავაგებინებთ!...

ჰოდა, იმის მაგიერ **რ. მიშველაძეს** ამგვარ საშინელ ნა-კლოვანებებზე კეთილშობილური პრინციპულობით მიუთი-თონ, მწერლებისა და კრიტიკოსების ერთი ნაწილი ამდგარა და თავიანთი ზღვარდაუდებელი, მლიქვნელურ-ანგარებიანი

ქება-დიდებითა თუ იაგოსებური ბოროტმოხარულობით ავტო-  
რის „განარკომანების“ მეტს არაფერს ცდილობენ: ცოცხალი  
კლასიკოსი, ქართული პროზის რაინდი, ქართული კულტურ-  
ის ამაგდარი, მშვიდობის დესპანი... მწერალთა დარბაზის  
ჭყონდიდელი, მწერალთა კავშირის სახლთუხუცესი... ქარ-  
თული ლიტერატურის ბერმუხა... ფრაზის დურგალი... ნოვე-  
ლის კალატოზი... ქართული კრიტიკის სანტექნიკოსი... ქა-  
რთული სიტყვიერების მოლარე... პატრიარქი... ჯადოქარი...  
ვარსკვლავთმრიცხველი... მესვეური... ქურუმი... სარდალი...  
საჭურველთმტვირთელი... მეციხოვნე... მრჩეველი... კორიფე...  
ბელადი... უგვირგვინო მეფე... გუთნისძედა... კიდევ რაღაცის  
კავალერი... დამრიგებელი... ნათელმხილველი... წინასწარმე-  
ტყველი და ათასგვარი უსარგებლო, სულელურ-დონკიხოტური  
ზედნოდებები!...

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), ახლა სანამ უშუალოდ თქვენს წერ-  
ილს შევეხებოდე, რა ვქნა, გული არ მიშვრება, რათა თქვენდა-  
მი ჩემი პირადი განცდების განსაკვითრებელი მეტამორფოზის  
შესახებ ალალად არ გაგენდოთ.

ამ ღია წერილის იდეის ჩასახვის წამიდან და მისი ტან-  
ჯვიანი დაწყებისასაც იმზომ ვიყყავი ალშფოთებულ-დაძაბული,  
რომ რაღა დაგიმალოთ და, მიუხედავად იმისა, ჩვენ ერთმანეთს  
საერთოდ არ ვიწნობთ, კრიტიკული სფეროს ტრადიციულ  
ოპონენტად კი არა – რაკი სწორედ თქვენმა წერილმა მოახდი-  
ნა ჩემი მწერლური ცნობიერების პროვოცირება და ამსიმძიმე  
საჯილდაო ლოდს უკანდაუხევლად შემაჭიდა! – ღმერთო, შეგ-  
ცოდე და, ლამის მოსისხლე მტრად მესახებოდით!

მაგრამ მერე და მერე, ადამიანური გაგება-თანაგრძნო-  
ბის სანეტარო იმედით იმდენი ლიტერატურულ-კრიტიკული  
გულისტკივილი გაგანდეთ და გაგიზიარეთ, რომ წელანდელი  
„მოსისხლე მტერი“ ახლა ყველაზე სანდო სულიერ მეგობრად  
მეჩვენებით, თუმც იმაშიც კი არ ვარ დარწმუნებული, გექნე-  
ბათ თუ არა სამისო დრო, სურვილი და განწყობილება, ვიღაც

ჯ. მეხრიშვილის ამხელა ღია წერილი ზედაპირული თვალგადა-კვრის ღირსად მაინც ჩააგდოთ!

ოლონდ ამგვარი გულახდილობა უკადრის თავმოკატუნებაში არ ჩამომართვათ, რათა პოლემისტის სიჩაუქე იქნებ მოგიდუნოთ, როგორმე თავი შეგაცოდოთ და თუ პასუხს გადაწყვეტით, შეძლებისდაგვარად დამზოგოთ.

არამც და არამც!!!

ქართული მწერლობის ერთ-ერთი, წამებაგამოვლილი ჯარისკაცის პირდაპირობით გეუბნებით: ვულკანის მოთუხთუხე ლავასავით მონოლილი სათქმელი ისე მთუთქავდა და მიმაქანებდა, რომ ამაზე ფიქრის დრო სულ აღარ მრჩებოდა – ეს ღია წერილი თქვენზე როგორ იმოქმედებდა!

აქედან გამომდინარე, თუკი მწერლურ-ჯარისკაცური ღირსება გამარინა, პასუხის შემთხვევაში თქვენგანაც ხომ ამასვე უნდა ველოდე?! ასე რომ, მე ყველაფრისათვის წინდანინვე მზად ვარ! აქ მთავარია, ჭეშმარიტების მარცვლის ძიება-პოვნაში „მუნდირის ღირსების“ გაფრთხილების ადამქამინდელი უკადრისი მიზეზით ერთმანეთს ხელი კი არ შევუშალოთ, არამედ სხვებისთვისაც სამაგალითო დიდსულოვნებით დავეხმაროთ, ვინაიდან საბოლოოდ ჩვენ სამთა – **თქვენ, რევაზ მიშველაძესა და ჩემ შორის არავინ აღმოჩნდება დამარცხებული ამ სიტყვის ვულგარულ-პროვინციული გაგებით და გაიმარჯვებს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ჭეშმარიტება!**

რისთვის დამჭირდა ამხელა და ამგვარი შესავალი? აი, რისთვის!

ბ-ნო გიორგი (იური), რასაც ახლა ვიტყვი, შეიძლება ამანქვეყნის საქილიკო გამხადოს, მაგრამ აღარც გაჩუმება შემიძლია და თან უკვე გვაინიც არის. „**მწერლის გაზეთის**“ 2013 წლის აგვისტო-სექტემბრის ნომრებში დაბეჭდილმა თქვენმა წერილმა „**მწერალი, რომელიც ცხოვრებას გვასწავლის**“, მე ასეთი შთაბეჭდილება შემიქმნა: თითქოს თვით განვებამ ინება, რათა თქვენ მწერალ რევაზ მიშველაძის ყველაზე პატიოსანი, ერთგული, პრინციპული, გულითადი და თავგადადებული, მაგრამ... **შენილბული** კეთილმოსურნე ყოფილყავით!!!

ცხადია, როგორც თქვენ, ისე მკითხველ საზოგადოება-საც გაუკვირდება – თუ ასეა, მაშინ ჟესანილბავი რაღა უნდა გქონოდათ?!

ჩემი სუბიექტური ვარაუდი ასეთია: ადრე, ოდესლაც თქვენ მიერ მეგობრულად გაზიარებული ზეპირი სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები რ. მიშველაძემ ახლოსაც არ გაიკარა, თავის გაზიარები ამის დაბეჭდვაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტი იქნებოდა! ან მსგავსი არაფერი ყოფილა და მწერლის ნაწარ-მოებების ამოდენა ნაკლოვანებებზე ბოლოსლა აგებილათ თვალი. მაგრამ რ. მიშველაძემ თავის ერთგულ გარემოცვას საეჭვო დიდების იმსიმალლე მოლაყლაყე პიედესტალზე ააყვანინა თავი, რომ ახლა მის შემოქმედებაზე კრიტიკული წერილ(ებ)ის გამოქვეყნება – მით უმეტეს თქვენგან, მისი ერთ-ერთი თანა-მიმდევრული მეხოტბისაგან! – უკვე აბსურდულად გესახებათ! მაგრამ როგორც ჭეშმარიტი კრიტიკოსი და მოქალაქე, რაკი გული შეგტკივათ როგორც ლიტერატურული ლირებულებების, ისე თვით რევაზ მიშველაძისათვის, იძულებული გამხდარხართ ამ უკანასკნელის თვალის ასახელად დემონური ხერხისთვის მიგემართად: ზემოხსენებელ თქვენს ვრცელ წერილში რევაზ მიშველაძის ცოცხალი კლასიკოსობისა და ცხოვრების სწორუ-პოვარი მასწავლებლის ღვთივბოძებული უფლების „ნათელსაყ-ოფად“ მისი შემოქმედების მხატვრული სფეროდან სამაგალი-თო ნიმუშების საფარველით განზრას მოგყავთ გრაფომანული ციტატა-მაგალითები, რათა ბოლოს და ბოლოს ვინმეს მოთ-მინების ფიალა ავსებოდა და ჩრდილში თავისთვის მწოლიარე, ოღონდ უსამართლოდ კეტნადრუზი ძალლივით აგეყეფ-აგელ-ავლავებინათ, რაც აგერ, მართლა ასეც მოხდა!!!

ბ-ნო გიორგი (იური), მკითხველებს თქვენი წერილის და-საწყისს შევახსენებ.

„შოთა რუსთაველის პრემიისა და მრავალი სხვა სახელ-მწიფო და ლიტერატურული პრემიების ლაურეატის, ქართული პროზის რაინდის რევაზ მიშველაძის სრულ ნაწარმოებთა ოცდახ-უთტომეულის მეოთხე ტომი ჭეშმარიტად საუკეთესო ნიმუშებს შეიცავს. თითოეული მათგანი გამოირჩევა ცხოვრებისეული რე-

**ალიზმითა და მხატვრული ოსტატობით“.**

რაკი რ. მიშველაძე „გვასწავლის“, რომ ცხოვრება ზნეობრივი პრინციპების ბოლომდე ერთგულად დაცვაა, ამის საილუსტრაციოდ ყველაზე მკაფიო მაგალითად თქვენ გულდაგულ მოგყავთ ნოველის „ამკლები“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ამ უანრისთვის კი ერთობ შეუფერებელი მოცულობის მონოლოგი. აი, ისიც!

„მე ჩემი სიმართლით ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე. არ ვემდური ჩემს თავს, რომ იცოდეთ. მართალია, ერთი შეხედვით უბედური ვჩანვარ, მაგრამ ჩემი თავი ძალიან მიყვარს. უკასრებელი არ მიკისრია. რომ იცოდეთ ის, არასოდეს არ მიმიცია. ბოლმითა და შეურაცხყოფით გული არ გამიგლევია. რანაირი კაცი ვარ, იცით? სახვალიოდ და საგაისოდ არაფერს რომ არ იტოვებს ამ ქვეყანაზე. ჩიტები ვართ ამ ქვეყანაზე, ჩიტები. ვინც ეს არ იცის, ვერაა მისი საქმე კარგად. შეიძლება კარგი არაფერი ჩამიდენია დღემდე, მაგრამ ყველაფერი გულის ძახილით მიკეთებია. მე დამნაშავე კაცს მეძახიან და ვარ კიდეც დამნაშავე. თუ ვინმეს ვაწყენინე ჩემი საქციელით, მხოლოდ იმ დროს, როცა სხვა გზა არ იყო ან იყო და მე ვერ ვხედავდი. გამოგიცდიათ ხანდახან ასეთი წუთი? ახლა თუ ამ წუთში ეს არ გააკეთე, გული გაგისკდება ყუმბარასავით. ახლა ფიქრის დრო აღარ არის, ან ასე უნდა ქნა, ან უნდა მოკვდე“.

ბ-ნო გიორგი (იური), როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უთავბოლო ციტატა-აბდაუბდაშიც გამოაშკარავდა რ. მიშველაძის გამოუსწორებელი, ან უკვე „ლირსებად“ ჩამოყალიბებული და მკითხველის სისხლის გამშრობი ზადი – რაკი არ ძალუძს თავისი აურაცხელი პერსონაჟების „როლში შესვლა“ და მათი ბუნებრივი სათქმელის მხატვრული გააზრება-გადადნობა და დამაჯერებლად გადმოცემა, ამიტომ ვითომც აქ არაფერიაო, მისდევს და გამაოგნებელი შეუკრთომლობით ყველას მაგიერ თვითონ ლაპარაკობს!!! თუმც ეს ფანდი ისეთივე ადამშამინდელია, როგორც თვით ლიტერატურა! მაგრამ ლაპარაკიც არის და ლაპარაკიც – მაგალითად, ბევრი ენამოხერხებული ლიტერატურული შულერი თავისი პერსონაჟების მაგიერ მოკალული სიტყვების ისეთ კუდჭანარას ააყენებს ხოლმე, მკითხველები კი არა, ამ ეშმაკობას ხშირად ბევრი მწერალიც ვერ უხვდება!

ჯანი გავარდეს, მკითხველები რ. მიშველაძესაც დიდსულოვნად მოუთმენდნენ თავისი პერსონაჟების ნაცვლად ამდენ ლაპარაკს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ იგი თავის თავსაც კი პირდაპირ მარწუხით აძრობს რაგინდარა სიტყვებს და ისეთი გამომწვევი განუსჯელობით ახვავებს არამარტო აზრობრივად გადაუბმელ ბუნდოვან ფრაზებს, არამედ ლოგიკურადაც ერთ-მანეთის გამომრიცხველ დებულებებს, თითქოს ერთადერთი სანუკვარი მიზანი ამოძრავებდეს – შეურაცხყოფილი მკითხველი ან სამუდამოდ შემოიფრთხოს ანდა იქნებ როგორმე ააღრინოს და აიჯანყოს!!!

ჯერ ერთი, ამხელა დაბეტონებული მონოლოგის ენას ჩაუკვირდით – ვინ დაიკერებს, რომ ხალხის წიაღიდან გამოსული, მრავალ ჭირვარამნაჭამი პერსონაჟი ამგვარი ბუნდოვან-გატყულარჭული ენით ილაპარაკებდა?! ჰმ! ამ ყაიდის ადამიანების მეტყველება შეკუმშული, სხარტი, აზრიანი, სადა, ცოცხალზე ცოცხალი, ხოლო თითოეული ფრაზა ყასბის დანასავით ხშირი ლესვისაგან გაელვარებულ-გააღმასებულია!

აქ? ეს არის არა ნამდვილი ნოველის ლექსიკა, სინტაქსი, მსატვრული ფაქტურა და ცოცხალი თხრობა, არამედ ლიტერატურული მედავითნის თავშესაწყენი ტუტუნი, ჰუმანიტარული სფეროს ერთ-ერთ დარგში დაბერებული გონებაჩლუნგი მკვლევარის მიერ პრიმიტიულად წარმოდგენილი რაღაც სასურველი უტოპიური მოდელის დოცენტური ენით ჩამოყალიბების სევდის შემომყრელი წარუმატებელი მცდელობა!

მკითხველს პირდაპირ ზნეობრივი სატანჯველი ეუფლება, როცა ცხადი ხდება, რ. მიშველაძე რა შეუწყალებლად აწვალებს კალამჩასობილ თავის დაუცველ „ტყვეს“ ანუ პერსონაჟს, რომელიც უკვე ვეღარსად წაუვა და ამიტომ იძულებულია, ავტორის უთავბოლო, უტიფრად დაძალებული მსჯელობა ხათრიანი კაცის მორიდებულობით თვითონ დაიბრალოს, თავის თავზე აიღოს, როგორც ეს კრიმინალურ სამყაროში ხდება ხოლმე!

აგრე, ჯერ რას იკვეხნიდა: მე ჩემი სიმართლით ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე, არ ვემდეური ჩემს თავს... ჩემი თავი ძალიან მიყვარს და უკადრებელი არ მიკადრებიაო! ეს სქემატურ-იდიოტურად

თავშეყვარებული კაცი კი მოულოდნელად საჯის ლავაშივით გა-  
დატრიალდება და ახლა სულ საწინააღმდეგოს გაიძახის.

„შეიძლება კარგი არაფერი ჩამიდენია დღემდე, მაგრამ  
ყველაფერი გულის **ძახილით** (თუ კარნახით?! ჯ. მ.) მიკეთებია.  
მე დამნაშავე კაცს მეძახიან და ვარ კიდეც დამნაშავე“.

ელაპარაკეთ!.. ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!

ენის სიწმინდეს, სინტაქსის ბუნებრიობასა და მხატვრუ-  
ლობას ვიღა დაეძებს, ოღონდ აქ ელემენტარული ლოგიკის  
ნამცეცი მაინც ყოფილიყო! კაცი თუ დამნაშავეა და ამას  
თვითონვე აღიარებს, მაშინ რაღა აზრი, დამაჯერებლობა და  
მიმზიდველობა შეიძლება ჰქონოდა მის ნედანდელ იდიოტურ  
თავმოწონებას: ჩემი სიმართლით ვცხოვრობ, თავს არ ვემდუ-  
რი (?!), საკუთარი თავი ძალიან მიყვარს (!!!) და უკადრისი არ  
მიკადრებიან!

ღმერთო, რას არ წაიკითხავ! როგორ, დანაშაულის ჩა-  
დენა უკადრებლად აღარ ითვლება?! კაცი თუ დამნაშავეა და  
ამას თავისი ნებითვე აღიარებს, მაშ, რაღა სინდისითა და პირი-  
თლა უნდა იძახოს: **თავს არ ვემდურიო და მით უმეტეს, ჩემი თავი**  
**ძალიან მიყვარს!**

ბ-ნო გიორგი (იური), აქ ავტორისა და მის მიერ  
დაშინებულ-დაბრიყებული, სქემატური პერსონაჟის მაგიერ  
სირცხვილით მე ვიწვებოდი და ვიტანჯებოდი ამ განაცხადზე –  
„ჩემი თავი ძალიან მიყვარს!..“

ასევე სრულებით არაბუნებრივი და აქედან, მხატვრუ-  
ლად უშედევოა ზედიზედ გამეორებული ეს პეიტრული „რომ  
იცოდეთ“, „რომ იცოდეთ!“ ან როგორ გავით თუგინდ ამგვარი  
ბუნდოვანი მსჯელობა.

„რანაირი კაცი ვარ, იცით? სახვალიოდ და საგაისოდ  
არაფერს რომ არ იტოვებს ამ ქვეყანაზე.“

სრული ქაოსი და მკითხველის დამაბნეველ-გამანამებელი  
იწილო-პიწილო! ჯერ დროთა რანაირი სტიქიურ-ალალბედური  
შეპირისპირებაა – „**სახვალიოდ და საგაისოდ!**“ სად ხვალ, სად  
გაისად! ანდა, რა ხვალ და რა კიდევ გაისად?! გზაკვალარეულმა  
მკითხველმა აქ რა იგულისხმოს: ავტორი თუ პერსონაჟი „**სახ-**

**ვალიოდ თუ საგაისოდ**“ რას „არ იტოვებს“ – აუცილებლად შეს-ასრულებელ სამუშაოს, ნაკისრ ვალდებულებებს, რამე ზნეო-ბრივ მოვალეობას, კომუნალურ გადასახადებს, ვისიმე ფულად ვალს, დანაზოგს თუ ნაარმალ ქონებას? ან რაღა საჭირო იყო ეს ზედმეტი „ამ ქვეყანაზე“: პერსონაჟი რამეს თუ დაიტოვებდა ან არ დაიტოვებდა, ისედაც ცხადია, ეს „ამ ქვეყანაზე“ მოხდებოდა და არა, ვთქვათ, პლანეტა მარსზე ან იუპიტერზე! თანაც ამას აგერ, ჯერ წინ უსწრებდა და მერეც მეორდება ეს უადგილო „ამ ქვეყანაზე!“ ნეტავი რა საჭირო იყო მისი ასე სამჯერ ზედიზედ დაძახება, როცა ისედაც ცხადია: როგორც ამ პერსონაჟის, ისე მკითხველების თუ ნებისმიერი მოქალაქის ყოველგვარი საქმი-ანობაც, სწორედ „ამ ქვეყანაზე“ ხდება და არა სადმე სხვაგან!

ანდა, რანაირად შეიძლებოდა, სიტყვებთან „ვარგი“, „ვარ-გისი“ ხმარებულიყო სიტყვა „ჩამიღენია“, რომელიც უპირატე-სად ცუდი, ულირსი, საძრახისი რამის ჩადენას გულისხმობს!

წარსულში დანაშაულის ჩამდენმა მთავარმა პერსო-ნაჟმა თავის გამართლების მიზნით ენაჩავარდნილ პატიოსან მსმენელებს როგორმე რომ აუხსნას გამოუვალი გარემოე-ბით გამოწვეული გარდაუვალი დანაშაულის ჩადენის მომენ-ტის ყოვლისმძლეობა, აგერ, რას ეკითხება... არა, არა, უფრო სწორედ, კითხვას აი, რანაირად სვამს!

### „გამოგიცდიათ ხანდახან ასეთი წუთი?“

აქ ალარ ვიცი, როგორ მოვიქცე! ვიცინო, ვიტირო, უფრო გავკერპდე თუ ეშმაკს შევაფურთხო: ეს გაშუალებული საბედ-შაო ლია წერილი ნაფხრენებად ვაქციო და ყველა მოვასვენო – უდანაშაულო მკითხველებიც, საქმეში ყელამდე ჩაფლული პა-ტიოსანი ოპონენტებიც, საკუთარი გატანჯული თავიც!..

პერსონაჟი ასე მაინც რომ კითხულობდეს: „გამოგიცდი-ათ ოდესმე ასეთი წუთი?“ ან „ცხოვრებაში ერთხელ მაინც თუ გამოგიცდიათ ასეთი წუთი?“, მაშინ ავტორს ყველაფერი ბუნე-ბრივ-დამაჯერებელი გამოუვიდოდა! მავრამ ასეთი საზარელი წუთი მსმენელებს თუკი ხანდახან ე. ი. დროგამოშვებით, დრო-დადრო, ხანგამოშვებით ადრეც გამოუცდიათ და „ხანდახან“ ახლაც სცდიან, მაშინ რაღა აზრი და მხატვრული ეფექტილა

უნდა ჰქონდეს კითხვის ამგვარ შინაარსს, როცა მსმენელები შეიძლება შემკითხველზე უფრო საშინელი დამნაშავეები, რე-ციდივისტები თუ თოკიდან აწყვეტილები აღმოჩნდნენ!

ბ-ნო გიორგი (იური), კაცურად მერწმუნეთ, ცრემლის მოდენამდე ცოცხალ არსებასავით შემებრალა ამ ფრაზაში უადგილოდ ნახმარი საცოდავი ზმნისართი „ხანდახან“. რატომ? ახლავე აგიხსნით, ოლონდ ჩემებურად, გლეხურად.

ჩემს მწერლურ წარმოდგენაში ერთმანეთს განსაცვიფრებლად ჰქვანან სკა და წინადადება. როგორც დილით, ჰაერის გათბობისთანავე ფუტკრები გაიშლებიან ხოლმე ველ-მინდვრად, რათა სკაში ნექტარი შეიტანონ და თაფლი დააგროვონ, ისე თი-თოეულმა სიტყვა-ფუტკარმაც დანარჩენი ფუტკარ-სიტყვების მხარდამხარ თავისი წილი „ნექტარი“ უნდა შეიტანოს წინადადებაში ნაგულისხმევი აზრის სრულყოფილად გასაცხადებლად!

ხშირად ტრაგედია ხდება: ზოგიერთი გზააპნეული ფუტკარი ყვავილნარის მაგიერ ვისიმე ლია სარკმელში შეფრინდება ხოლმე! მოჩქარე ბინადარი, გზაარეულ ფუტკარს რომ ვერ ამჩნევენ ან მასთან სალაციცოდ არა სცალიათ, სარკმელს კეტავენ და თავ-თავიანთ საქმეზე მიიჩქარიან! დილის მზით შემთბარ მინას მიწებებული ის საწყალი ფუტკარი კი მთელი დღე შეუპოვარი ბზულით თავს იკლავს, მაგრამ ვერ გაუგია - გარეთ რატომ ველარ გასულა?! ასე წვალობს, ილება, იქანცება და ბოლოს შეიძლება ძირს ფეხებაშვერილი დაეცეს! ხოლო სალამომდე თუ ცოცხალი გადარჩა და ვინმე სადმე კი არ მიასრისა, არამედ სარკმელი გამოულო და გარეთ გაფრენაში სამადლოდ წაეხმარა, კიდევ მადლობა უფალს!!!

წინადადებაში უაზროდ და უფუნქციოდ ჩაჩრილი სვეკრული სიტყვაც ვისიმე ოთახში შეცდომით შეფრენილ ფუტკარს ემსგავსება - ვერავითარ აზრ-„ნექტარს“ ვერ მატებს დანარჩენი სიტყვა-ფუტკრების საერთო მონაგარს და სინდისის ქენჯნისაგან შესაბრალისად „აბზუვლებული“, ისევ გარეთ „გა-ფრენას“ ლამობს! მაგრამ ნამდვილი ფუტკრისგან განსხვავებით, ალალბედად ნახმარი ამგვარი სიტყვა-ფუტკარი სამუდამოდ განწირულია - იქ მანამდე იჯდება და იბზუვლ-იგლოვებს,

სანამ ამქვეყნად ეს ტექსტი იარსებებს!!!

ჰოდა, გზაარეულ ფუტკრებით სავსე ოთახს დამსგავსებულ ბევრ ახალგამოსულ მხატვრულ წიგნსა თუ უურნალ-გაზეთში ზედმეტი სიტყვა-ფუტკრების ისეთი ზუზუნ-გუგუნი დგას ხოლმე, რომ დაკვირვებულ მკითხველს ლამის თავის ქალა გაებზაროს!...

ერთი სიტყვით, მთელ ამ ციტატაში ისეთი შეუპოვარი წყლის ნაყვა მიძინარეობს, რომ ტვინატკებულ მკითხველს შეიძლება უეცრად თოფის წამლის, გასრესილი აქშნის ან ხრუკის სუნიც კი ეყნოსოს!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ავტორი ბოლომდე ვერა და ვერ ჩასწვდენია ქართული ენის ოქროს ბურჯის, ზმინის ჯადოქრულ შესაძლებლობას, მისი გამომსახველობის ექსპრესიულობას და შესაძლებლობას, რომელსაც იგავმიუწვდომელი სრულყოფილებით შეუძლია წარმოგვიდგინოს **მოქმედება!!!** რ. მიშველაძე კი აი, რას წერს.

**„თუ ვისმე ვაწყენინე ჩემი საქციელით...“**

ეს ღვთის ბაგეთაგან ანასხლეტი ზმნა „ვაწყენინე“ თავისთავადაც გამოხატავს პირველი პირით მოლაპარაკე პერსონაჟის რაღაც სააუგო მოქმედებას – ვიღაც(ექშ)ისთვის რაღაც რომ უწყენინებია! აქ სრული სინათლე და გარკვეულობაა! მაგრამ რ. მიშველაძე, რაკი ვერ არის დაუფლებული თხრობის სიფაქიზეს და თან ქართული ზმნის სასწაულებრივ მოქნილობასაც არ ენდობა, აგერ, „**დამხმარე ძალად**“ რა გულშესაწუხებლად გამოატყვრინა ეს ყოვლად უსარგებლო და უადგილო „ჩემი საქციელით!“

აბა, განვსაჯოთ: მე თუ ვინმეს ვაწყენინე, აქ თავისთავადაც ცხადია, რომ მხოლოდ „**ჩემი საქციელით**“ ვაწყენინებდი, მხოლოდ **ჩემი საქციელით** შემეძლო წყენინება, თორემ გულითაც რომ მომენადინებინა, ვინმესთვის „**სხვისი საქციელით**“ როგორ, რანაირად უნდა მეწყენინებინა?!?

ესე იგი, რა გამოდის? წერით გართულ რ. მიშველაძეს ბრძოლის ველზე გულდაგულ გამოჰყავს ყველაზე ულალატო და სწორუპოვარი მეომარი, **ზმნა**, მაგრამ ენის უცოდინარობით გამოწვეული ეჭვიანობის მიზეზით მაშინვე საშუალებას

უსპობს, რომ თავისი განსაცვიფრებელი შესაძლებლობა მთელი სრულყოფილებით „სხვის“ დაუხმარებლად გამოავლინოს! ანდა, ამას როგორ გამოავლენდა, როცა „დამხმარე ძალის“ ილუზიით წატყუებულმა მერყევმა ავტორმა წინ ტანკაზინაალმდეგო უზარმაზარ კუთხოვან ბეტონიტივით დაუხვედრა ეს გადაულახავი „ჩემი საქციელით“, რასთან შეჯახებისასაც ზმნა დაიმტვრა და დაინიუალიდდა!!!

ეს კი დაახლოებით იგივეა, სცენაზე გამოყვანის წინ გენიალურ ბალერინას ფეხებზე თუგინდ კილოგრამიანი ჰანტელები დავაკრათ! აბა, ასეთ პირობებში რა ქნას იმ უბედურმა ბალერინამ, როგორ გვიჩვენოს თავისი ჯადოსნური ხელოვნება?!

ო, ბატონო გიორგი (იური), ყოველივე ამან ერთი ამბავი გამახსენა და თავს ვერ ვიკავებ, თქვენც და, ცხადია, მკითხველებსაც არ გაუზიარო.

ერთხელ ერთი სოფლის ოჯახში სტუმრობა მომიხდა. მთელი ჯალაბობა ბაღში გრძელ ტაბლას შემოსხდომოდა და ხილს მიირთმევდნენ. სუფრასთან მეც მიმიწვიეს და უცრად ჩამოვარდნილ საყოველთაო სიჩუმეში იქვე, ლელვის ქვეშ მიდგმულ რამდენიმე სკამიდან რალაც საეჭვო ხაზგასმით სწორედ ბოხვერა კუსტარულ ტაბურეტზე მიმითითეს.

ტაბურეტს მსუბუქად დავწვდი, მაგრამ რომ ავწიე, იმსიმიმე აღმოჩნდა, მაჯა მეტკინა და კინალამ ხელიდანაც გამივარდა. ეს რა არის-მეთქი, ვიკითხე შეცბუნებულმა.

ეტყობა, ისინიც სწორედ ამას ელოდნენ, რადგან ჩვეულებად ქცეულმა სიცილ-ხარხარმა ითვეთქა! კისკისით აძაგდავ-ბულმა დიასახლისმა წარბით ერთგვარი სიამაყითაც კი მანიშნა სკამის გამკეთებელ ცამეტიოდე წლის კბილებგადმოყრილ ბიჭუნაზე, რეგვნული თავმოწონებით რომ შემომლიმოდა: მაგარი რომ გამოსვლოდა და ალარასოდეს დაიშალოს, ნახევარი ფუთი ლურსმანი ეხმარებინაო!!!

სამწუხაროდ, რ. მიშველაძესაც ხშირად, განსაკუთრებით კი ზმნასთან მიმართებაში, იმ ყმანვილივით ემართება: გული არ უძლებს „მეტი სიმკვიდრისათვის“ ფრაზას „ზედმეტი ლურსმანი“ თუ არ დააჭედა! არადა, ვერ ატყობს, რომ ეს

ისედაც სრულყოფილსა და მკვიდრ ფრაზას კიდევ დამატებით ზესიმევიდრეს კი არ სძენს, არამედ პირიქით – საბედისწეროდ ამძიმებს და გალიზიანებული თუ იმედგაცრუებული მკითხველის ნარმოსახვაში ტყვიის ბურთულასავით ძირავს!

ბ-ნო გიორგი (იური), ზუსტად ზედგამოჭრილი კიდევ ერთი მაგალითისთვის რ. მიშველაძის მრავალტომეულის ქანც-გამცლელი ფურცვლა არ დაგვჭირდება – ის თქვენსავე წერილშია, სადაც ნოველას „სპირიდონი“, როგორც სანიმუშოს, გამოწვლივით მიმოიხილავთ. სრული სიცხადისათვის მკითხველებს ჯერ თქვენეულ მსჯელობას მოვასმენინებ.

„ადამიანის ღირსებათა შორის მწერალი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება პიროვნებაში საკუთარი პოზიციის ქონას. საკუთარი პოზიციის მქონე კაცისათვის უცხოა პრინციპი „რა ჩემი საქმეა“. ეს გულგრილების პოზიციაა. გულგრილობისთვის დიდ ღირსებად ითვლება თუ სხვის საქმეში არ ერევა და ამბობს „რა ჩემი საქმეა“. ასეთი გულგრილობა სხვა ადამიანების ბედის მიმართ საზოგადოებას გადააგვარებს. მაგრამ რ. მიშველაძის ნოველა „სპირიდონი“ მკითხველი არასოდეს არ დაეშვება „რა ჩემი საქმეა“-ს დონემდე. ნოველა „სპირიდონი“ კაცურ ცხოვრებას ასწავლის მკითხველს.

თბილისში მიმავალი მგზავრები შროშის გზაზე „მანე-თიან პაზართან“ შეჩერდებიან. სპირიდონი სოკოთი მოვაჭრე და-ძმას გამოელაპარაკა და ურჩია, გამოტანილი სოკო არ გაეყიდათ, რადგან იგი შხამიანია და ვინც იყიდის, მოიშხამებაო. ბავშვებმა არად ჩააგდეს შემთხვევითი მგზავრის რჩევა. შემდეგ სპირიდონმა გულდასმით აუხსნა, რატომაა ეს სოკო შხამიანი და მომავალშიც როგორ გაერჩიათ ერთმანრთისგან შხამიანი და ქამა სოკო...“

ახლა რევაზ მიშველაძის მთავარი პერსონაჟის, სპირიდონის ჯერი დგება, თუმცა იმ საწყალს ვინ მიანიჭებს მაგ ბედნიერებას, თავისი შეხედულებისამებრ გველაპარაკოს – იძულებულია მკითხველებს ავტორის დამახინჯებული სინტაქსით შეკონინებულ ნინადადებებში თათარიახნად დაშტამპული მსჯელობა გაუხმოვნოს. მოუსმინეთ!

„ქამა სოკოს ასეთი ყვითელი ზურგი არა აქვს. შენ კი არა, შენზე უფროსებსაც ბევრს ეშლება. ოქვენ ეს სოკო გაიხსენეთ აბა, ხის ქვეშ კი არ მოგიკრევით, მშრალ ადგილზე აკრიფეთ. ხომ ხე-დავთ, ძირი რომ აქვს მოშავებული. ქამა სოკოს ძირი არ უშავდება. ბავშვები მაინც ვერ დააჯერა ამ სწავლებით“.

ახლა სტერილიზებული პინცეტით მოყვანილი ციტატის ბოლო წინადადება – „**ბავშვები მაინც ვერ დააჯერა ამ სწავლებით**“ – კრიტიკული ლაბორატორიის საკვლევ მინაზე ფაქიზად გამოვაცალკევოთ და პროფესიულად განვსაჯოთ: რა საჭირო იყო წინადადების ბოლოში ამ გრაფომანულ-დილეტანტური „**ამ სწავლებით**“ მიკერება?! ავტორს მხატვრული თხრობის ელემენტარული კულტურისა და მის ნიუანსებში ფაქიზად წვდომის უნარი რომ გამოეჩინა, დამაგვირგვინებელი წერტილი სწორედ ამ დამლუპველი ფრაზის წინ უნდა დაესვა და მაშინ ყველაფერი მართლა მწერლურად გამოუვიდოდა! მაგრამ რაკი სათანადოდ ვერ არის განდობილი ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს და მხატვრული გააზრების საჭირო დონეს, თავისი შაბლონური ჩვეულებისამებრ, თავდაზღვევისა და მეტი „სიმკვიდრისათვის“ აგერ, ამ წინადადებასაც ბოლოში თავისი კალამ-ჩაქუჩით თავ-დაჯერებულად სთხლიშა ფართოთავიანი ორზომა უსარგებლო „ლურსმანი“ – „**ამ სწავლებით**“, რითაც მშვენივრად დაწყებული წინადადება უცებ პროფესიონის კრების ოქმსა თუ პარტიულ-ბიუროკრატიულ მიმოწერას დაამსგავსა!

საგონებელში მაგდებს ავტორის უგულისყურობა, უდარ-დელი თუ საერთოდ, თავისსავე ნაწარმოებში ამბების, მო-მენტების, მოვლენებისა და დეტალების კოორდინირების აუცილებლობის აღმაშფოთებელი უგულებელყოფა! აბა, გაიხ-სენეთ: ეს სპირიდონი წელან ბავშვებს მეთიღურად რომ უხსნი-და, ასწავლიდა, არიგებდა და ანამუშებდა, ეს ხომ მკითხველებ-მა(!) წაიკითხეს, გაიაზრეს, დაიმახსოვრეს, გაითავისეს... იციან, ენდობიან ავტორს და მეტი რაღა ქნან იმ უბედურებმაც?!

მაშ, რაღა საჭირო იყო გულმავინყურად ისევ უკან მი-ტრიალება, შეხსენება და შეურაცხმყოფელი ჩიჩინი – „**ამ სწავლებით?!**“ დაიცა და, ეს „**ამ სწავლებით**“ რომ აღარ ეხმარა,

ავტორს ნუთუ მართლა ასე სწამს: მისი პერსონაჟის ამხელა ტირადის მომსმენი მყითხველები მაინც ვერაფერს მიხვდებოდნენ და განბილებულები რ. მიშველაძეს ხელებს ბეცურად გაუშლიდნენ – კი მაგრამ, სპირიდონს ის ბავშვები როდის, რით, როგორ, რანაირად უნდა დაეჯერებინაო?!

გარდა ამისა, ეს უსარგებლოდ მიღურმული „ამ სწავლებით“ ნოველის დედაიდეას აორტოტებს, სულ აბუნდოვნებს და მკითხველსაც აბნევს, ვინაიდან აქ უკვე ისე გამოდის, თითქოს სპირიდონს შეამიანი სოკოს გამყიდველი ამ მოზარდი და-ძმის შეუსმენლობა კი არ აწუხებდეს, არამედ თავისი „ამ სწავლებით“ ზეგავლენის ხარისხი აეჭვებდეს: მართალია, მან ბავშვები ვერ დააჯერა „ამ სწავლებით“, მაგრამ ვინ იცის, „იმ სწავლებით“, „სხვის სწავლებით“, „სხვანაირი სწავლებით“ თუ „სხვისი სწავლებით“ იქნება და რამე შეესმინათ!!!

არადა, აქ სპირიდონს თავისი „ამ სწავლების“ ეფექტურობა კი არ აფიქრებს და აეჭვებს, არამედ სულ სხვა ნაღველი ნაღვლავს – გაძალლებული ცხოვრების გაუკულმართებით ზნეობადასახიჩრებული მოზარდები საერთოდ, შეუსმენლები რომ გამხდარან და მათზე ვერავისი და ვერანაირი „სწავლება“ უკვე ვეღარ ჭრის!!!

ეტყობა, ავტორსაც უზურში სწორედ ეს ედო, მაგრამ გასაგებად რომ გადმოიცა, ერთი პეტვი მხატვრული საფანელი აღარ იყო. ეს ნაკლი მას ხშირად ამსგავსებს ხელში ატატებულ ცამეტიოდე თვის ენაამოუდგმელ ჩვილს, სერვანტში ჩაწიკნიკებული ჭურჭლეულისაკენ ქორფა ხელს ჟინიანი ჩხავილით რომ იწვდის, მაგრამ მისი დანაწევრებული ბგერა-მარცვლების მიხედვით პატრონები ჯერ ვერ ხვდებიან, მათ აჩხავლებულ ნებიერას მაინც რომელი მათგანის მოხელთება სურს! ამიტომ ჭურჭლის კარადიდან სხვადასხვა ნივთების გამოლება-შეთავაზებას მანამდე განაგრძობენ, სანამ ჩაჩუმებული ჩვილის ჟინიანობა არ დაკმაყოფილდება!!!

გვინდით, ვაზვიადებ? ამის დამადასტურებელი კიდევ ერთი საშინელი მაგალითი ამავე ციტატაში ქლორით მოწამლული თევზივით გულალმა ამოყირავებულა და უაზროდლა ტივტივებს.

უკიდურესად აღმფოთებული, მაგრამ გარეგნულად მაინც მოთმინებით აღჭურვილი სპირიდონი შხამიანი სოკოთი მოვაჭრე და-ძმას აგერ, რას ეუბნება.

„თქვენ ეს სოკო გაიხსენეთ აბა, ხის ქვეშ კი არ მოგიკრეფი-ათ, მშრალ ადგილზე აკრიფეთ.“

დააკვირდით აქ ავტორი თავისი მთავარი პერსონაჟის გულისტყვილის გამოსახატავ ჭეშმარიტ სათქმელს ისეთი ჩი-ქორთული უაზრობით ამახინჯებს, შეიძლება მკითხველს სისხლი გაეყინოს!

ჯერ ერთი, რას ნიშნავს, რანაირი ქართულია „თქვენ ეს სოკო გაიხსენეთ აბა?!“ და რაც მთავარია, სიკვდილის მატარებელ შხამიან სოკოს რაღა გახსენება უნდა ან როგორ-და და რილასთვის უნდა გაიხსენონ, როცა პერსონაჟებსაც და ავტორისაგან გატანჯულ მკითხველებსაც ცხვირნინ უწყვიათ!!!

მაშ, რა ხდება? ჭურჭლეულის კარადასთან წინდაუხედავად მიყვანილი ჩვილისა არ იყოს, ჩვენი ავტორიც კალამს რას უწყვდის და რისთვის წვალობს უშედეგოდ?

აი, რისთვის! სასოწარკვეთილებამდე მისული სპირიდონი უკანასკნელ ცდასა თუ იმედსღა ებლაუჭება, სოკოსთან დაკავშირებული თავისი ცოდნა-გამოცდილების უეცარი გამომზეურებით შეუსმენელი ბავშვები იქნებ როგორმე გონიერ მოიყვანოს და გაუთვალისაჩინოოს – სულ ადვილი შესაძლებელია, მათ დანაშაულებრივ ვაჭრობას საზარელი ტრაგედია მოჰყვეს!

ჰოდა, სწორედ ამიტომ სურს, რომ დანაშაულებრივ საქციელში კუდით დაჭერილმა და-ძმამ გაიხსენოს არა თვით ეს სოკო – კიდევ ვიმეორებ, მას რაღა გახსენება უნდა?! – არამედ ამ სოკოს მოკრეფის დრო, ადგილი, პროცესი და დანაშაულებრივი მიზან!!!

ამიტომ აქ წინადადება უნდა დაწყებულიყო არა ერთ-მანეთში უაზროდ აკეპილ-დაკეპილი სიტყვებით ალალბედად შედგენილი სინტაქსით: „თქვენ ეს სოკო გაიხსენეთ აბა“, არამედ რაღაც ამდაგვარად მაინც: აბა, (კარგად) გაიხსენეთ – თქვენ ეს სოკო სად, რატომ და როგორ მოკრიფეთო და სხვ. და სხვ. მაგრამ ავტორი ამას ვერ მიხვდა ან უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი

ამგვარი მახინჯი სინტაქსისთვის თავი ვეღარ დაუღწევია!..

გარდა ამისა, გაკვირვებას იწვევს რ. მიშველაძის „სოკოთ-მცოდნეობა“: ვინა თქვა ან სად წერია, რომ ქამა სოკო თუ ნებისმიერი სხვა საკვებად ვარგისი სოკო მხოლოდ „**ხის ქვეშ**“ (?)! გვარობს, ხოლო „**მშრალ ადგილზე**“ კი არ ჭაჭანებს და იქ მარტო შხამიანი სოკო იზრდება?! ეჰ, მწყემსობისას თითქმის მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი გაზაფხულის პირველი წვიმებისთანავე, ვინ იცის, რამდენი ქამა სოკო მომიკრეფია ალაზან-ივრისპირეთის „**მშრალ ადგილებზე**“ ანუ საძოვრებზე, წარაფის აყოლება, კორდზე, მდელოზე, ტყის პირას, ჩირგვნარში...

ნოველა დასასრულს უახლოვდება.

„**სპირიდონმა მიიღო სრულიად ორდინალური გადაწყვეტილება: თავად შეისყიდა ეს სოკო და ხრამში გადაყარა**.

სპირიდონის ეს გადაწყვეტილება ორდინალური კი არა, დღევანდელი გაუცხოება-გულგრილობის პირობებში სწორედაც რომ არაორდინალურია. თანაც ეს უცხო, აქა-იქ ნათრევი სიტყვა მხატვრული ტექსტის ფაქტურას ისე აჰკვრია, როგორც ბოსტნიდან მოპრუნებული პატარძლის აპრეშუმის კაბის კალთას ღორის ბირკა. მაგრამ აქ უმთავრესი სულ სხვა რამეა! ნოველის დამაგვირგვინებელი წერტილიც აქვე უნდა დალურსმულიყო!!!

დიახ, მაგრამ რევაზ მიშველაძეს გული როგორ მოუთმენს, თუ თავის ჩივეულებისამებრ ამ სრულებით შეკრულსა და დასრულებულ თხრობა-სიუჟეტს მეტი „**სიმკვრივე-დამაჯერებლობისთვის**“ თან ლექტორის, დოცენტის, დებიუტანტის, ხატის ქადაგის, გრაფომანის, მწერალთა კავშირის ხევისბერის, დედაბრის, ფრიადოსანი მონაფის, საანგარიშო-საარჩევნო კრების მთავარი მომხსენებლის, კლასის ხელმძღვანელის, მფრინავი მიტინგის ორატორის, მედავითნის თუ ღმერთმა უწყის, კიდევ ვისთვის დამახასიათებელი „**მეცნიერულ-განმარტებითი**“ რეზიუმეც (!!!) არ მიაყოლა!!!

აბა, ამას რომელი მკითხველი და მით უმეტეს, მწერალი მოითმენს და მოუწონებს?! მოუსმინეთ!

„თავისი საქციელი კი ასე აუხსნა მძღოლს: „შხამიანი სოკოა; შეეშალათ ბავშვებს. ვასწავლე, მაგრამ ჩემი არ გაიგონეს. არადა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), იყიდდა ვილაცა და მოიწამლე-ბოდა. ასე არ ჯობია? (რა ჯობია ასე – ვილაცის მოწამვლა?! ჯ.მ.). მართალია (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ.მ.), რვა მანეთი გა-დავაგდე, მარა ვილაცას ხიფათი ავაცილე, ვილაცა გადავარჩინე. საქმე არაა ეს?“

ქნელი გასარკვევია, რ. მიშველაძის ამგვარი დილეტან-ტიზმი სათავეს საიდან იღებს: უნიჭობიდან თუ მკითხველი-სადმი პათოლოგიური უნდობლობიდან. ხშირად თხრობას ისე წარმართავს და მით უმტეს, ისე ასრულებს ხოლმე, თითქოს ეს ყველაფერი მსოფლიო ლიტერატურით ნასაზრდოები ცივ-ილიზებული საზოგადოებისთვის კი არა, გონიერივად დაქვე-ითებული და თანაც სრულებით უნიგნური მკითხველებისთვის ჰქონდეს გათვალისწინებული! ამიტომ როგორც გადაწმინდავ-ებულ და საგანგებოდ შესანახი ღვინით სავსე ქვევრის თავს მიწით საიმედოდ დატეკინიან ხოლმე, ისე „თადარიგიან“ რ. მიშველაძესაც ვერ მოუთმენია თუ ლაკონურ თხრობასა და დაპურებულ-დასრულებულ ამბავს თავდაზღვევის მიზნით აღმაშვოთებელ ჩიჩინში გადასული მეცნიერის, პეიტარის, მაჭანკალის, დალალის, ჭრიაშვილის თუ მომრიგებელი მო-სამართლის „რეზიუმეც“ არ მოაყოლა და კეთვაახდილ მკითხ-ველს მაგრად ნაზელი ძარღვიანი გრაფომანული აყალოთი თავი „საიმედოდ“ არ შემოუგლისა!!!

აგრე, თუგინდ აქ მოყვანილ ციტატებს დავუკვირდეთ. შეუსმენელ ბავშვებთან ჯერ სპირიდონის უშედეგო საუბრით, ბოლოს კი ამ უკანასკნელის მიერ შხამიანი სოკოს მთლიანად შესყიდვით და ხრამში მისი გადაყრით ყველაფერი მშვენივრად ითქვა და ნოველამაც მთელი თავისი ბუნებრიობით აქვე დაის-რულა თავი!!! მაგრამ ავტორი ამას ვერ ხვდება, ანდა, შიშის ქარი უქრის: ვაითუ ამოღენა გარჯამ უქმად ჩაუაროს და შტერ-მა მკითხველებმა ვერაფერი გაუგონ! ეხუმრებით?! ამიტომ შეუ-კრთომლად იწყებს (ლმერთო!) წამის წინ ბუნებრივად დასრულე-ბული ნოველის ამბის, იდეისა და თავისი „გმირობის“ ხელახალ

ცოხნას, ჩაცოხნას, ამოცოხნას, უწვრილეს ნაწილაკებად დანა-მცეცებას და გულმოდგინე ლეჭვით ყველაფრის გაწყალებას: კი მაგრამ, ვიღას რას მატებს ავტობუსის მძღოლისთვის ამგვარი სქემატურ-დილეტანტური, დამამცირებელი ახსნა-განმარტების მიცემა, როცა ეს ყველაფერი უკვე მიღიონობით მეტაველს ეუწყა?! ხოლო თუ ავტორი მხატვრულ თხრობას ამგვარ მიმართულებას მისცემდა, მაშინ ეს ავტობუსის მგზავრებისთვისაც უნდა მოეთხო!... ან იქნებ უკანასკნელი რეისის იმედით იმ ბაზრობაზე სულაც გვიანობამდე დარჩენილიყო – ყველა გამვლელ-გამომვლელი ავტობუსის მგზავრებისა და ადგილობრივი მოვაჭრებისთვისაც მოკლე-მოკლე ლექციები წაეკითხა!.. არც ეს იქნებოდა ურიგო, სოფლის სკოლასა და გამგეობაშიც აერბინა და ყველას პირუთვნელად გამოსაუბრებოდა!.. უჰ, ტელევიზიზა?! სულ დამავიწყდა: ყველაფერს აჯობებდა, რომელიმე ტელეარხი გამოეძახებინა და მწვავე პრობლემაზე გადაცემა გადაეღოთ!.. ეე, რაც მთავარია, ავტორს გამორჩა: ხუმრობა ხომ არ იყო, პუმანიზმის სამსხვერპლოზე კაცმა რვა მანეთი (!) თვალდაუხამახებლად მიიტანა! პოდა, საკუთარი თავი ბარემ სახელმწიფო ჯილდოზეც წარედგინა და ეგ იქნებოდა – მე შენ გეტყვი, არ იმსახურებს თუ რა?!

ო, პირდაპირ ამაზრზენია ეს პრიმიტიული ნაყალბევი, ვინაიდან ამ მართლაც კეთილი საქმის შემოქმედი, მისი შემფასებელი, პოზიორული პროპაგანდისტი, დასკვნების გამოტანი და საზოგადოების ძალდაძალ სინდისზე შემგდებიც ერთი და იგივე, ავტორის მიერ გაქეზებულ-გაბრიყებული სქემატური პერსონაჟია, რომლის ბოლო, დებილურ-დამადლებულმა მჭლე კითხვამ ღირსების მქონე, მაგრამ მოთმინებადაშრეტილი მკითხველი ლამის ააღრიალოს.

### **„საქმე არაა ეს?“**

არის, ბ-ნო სპირიდონ, როგორ არ არის – მაგას რაღად უნდა პროვინციულ-გრაფომანული კითხვა და ჩიჩინი?! მაგრამ ეს „საქმე“ სინდისიერი მკითხველის თვალში გულის ამრევ სახეს იძენს, ვინაიდან მხატვრული დამაჯერებლობის არაფერი სცხია და ავტორის თითოდან ნაძალადევად არის გამოწოვილი!

მოკლედ, ეს არის არა ლიტერატურა, არამედ ანტილიტერატურა, ლიტერატურის ვულგარიზაცია!

აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა დღეში აღმოჩნდებოდა ნანარმოების მხატვრულობა, აუსტერლიცის ბრძოლაში დროშის გადარჩენის მოსურნე, სასიკვდილოდ დაჭრილი ანდრეი ბოლკონსკი ანდა ტარიელ მკლავაძის მკვლელი სპირიდონ მცირიშვილი მიმველაძისეული სპირიდონივით მერე თავიანთი ჩანადენის ამგვარ „აუცილებელ დამატებით“ ახსნა-განმარტებას რომ შესდგომოდა!..

ერთი სიტყვით, ამ ნოველაშიც გამოიკვეთა რ. მიშველაძის მიერ ოდითგანვე კარგად დამუშავებული და სპორტს-მენისებური სიჩაუქით შეთვისებული შაბლონური მხატვრულ-სიუჟეტური „ფინტი“: უფრო რაიონული გაზეთისათვის მოსახლეები რომელიმე აქტუალურ, მუდმივ, მიმდინარე თუ სეზონურ მწვავე პრობლემას სატყუარასავით წამოსწევს და წინვერმახტის სახელგანთქმულ ტანკივით „პანთერა“ გაუშვებს ხოლმე ღრმა რწმენითა თუ საბედისწერო მოლოდინით – ეს „პანთერა“-პრობლემა თავისი თვალში საცემი სიმწვავე-აქტუალურობით თავისთავად მხატვრულობასაც გაიყოლებს!!!

შედეგი ხშირად სამწუხარია: უხელოვნოდ მიბმულ-მიკონინებული და მალევე მომწყდარი მხატვრულობა სადღაც გზისპირა შამპნარში ნაღვლიანად ყუნტია, ხოლო შეშველი მწვავე „პანთერა“-პრობლემა კი მტკვერანადენ შარაგზაზე თავისთვის რიხიანად მიგრუსუნებს, ხოლო ეკიპაჟის მეთაური ვერ ხვდება, ანდა, თავს იტყუებს, ვითომ ვერ ვხვდებიო, ზედ რომ აღარაფერი უბიათ!!!

თუმც ავტორს რას ვერჩი, ბ-ნო გიორგი (იური), როცა ამ ნოველის თქვენულმა შეფასებამ ფანტასტიკის სფეროში გადამტყორცნა, ვინაიდან მხატვრული ნანარმოების მსგავსი ინტერპრეტაცია ჩემს სიცოცხლეში სიზმრადაც არ მომზმანებია!

სასურველად მიიჩნევთ რა, ეს ნოველა სასკოლო სახელმძღვანელოებშიც შეიტანონ, აგერ, რას აცხადებთ.

„ნოველა „სპირიდონი“ ქართული საყმანვილო ლიტერატურის შენაძენია. იგი სავსებით აკმაყოფილებს საყმანვილო

ნაწარმოების უმთავრეს ნორმებს: შემეცნებითი ნოველა ასწავლის მკითხველს ქამა და შხამიანი სოკონების გარჩევის წესებს, რომელიც თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, როგორ მოკრიფოს ის, მეტადრე მოხმარების დროს“.

ჯერ ერთი, სპირიდონის ზერელე ახსნა-განმარტება სრულიადაც ვერ იძლევა საკვებად ვარგისი და შხამიანი სოკონების ერთმანეთისაგან უშეცდომოდ გარჩევის გარანტიას. ამიტომ მკითხველებს ვაფრთხილებ – მის „შემეცნებით“ სწავლებას ბრმად ნუ მიენდობიან!

მეორეც, რას ნიშნავს, როგორ გავიგოთ ეს „**მეტადრე მოხმარების დროს?**“

სოკოს ყველა ყოველგვარი „**მეტადრეს**“ გარეშეც მხოლოდ ერთადერთი მიზნით – საკვებად მოხმარებისთვის კრეფს და არა, ვთქვათ, კედელზე ჩარჩოთი ჩამოსაკიდებლად, ბალიშის დასატენად, ფეხსაცმლის სალანჩედ ანდა კოსმოსში უცხოპლანეტელებისთვის გასაგზავნად!

ჰოდა, სოკოს მოკრეფისას აუცილებელი ცოდნა-სიფრთხილე თუ ვერ გამოვიჩინეთ, თავი მოვიწამლეთ და ვინმე სხვაც მოვწამლეთ, მერე ეს „**მეტადრე**“ რაღას გვიშველის?!

და რაც ყველაზე გამაოგნებელია: თქვენი ამ მოსაზრები-სამებრ, მხატვრული ლიტერატურის მიზანსა და მშვენიერებას თუკი მრავალდაწერვან ცნობარამდე („სპრავოჩიკ“-ამდე) ჩამოვაქვეითებთ, რათა ადამიანებმა ერთმანეთისაგან უშეცდომოდ განასხვაონ, მაგალითად, ქამა სოკო და შხამიანი სოკო, ძაბრი და ძაბრა სოკო, წერო და წეროს სოკო, კალმახი და კალმახა სოკო, გოგრა და ნესვი, ყურძენი და ძალლყურძენა, ვაშლი და მაჟალო, პანტა და დათვის პანტა, ურო და უროხვედა, ტაბიკი და თავტაბიკი, ბუხარი და ალიბუხარი, ქინძი და ქინძისთავი, მუხა და ქვამუხა, მეხრე და თავმეხრე, ცხენი და ცხენთევზა, სარჩული და ალისარჩული, ლორი და ლოროტოტო, ქორი და ქორცქვიტა, ნიორი და ძალლნიორა, ქერი და ქერიფქლა, ყვავისფრჩხილა და ყვავისმხალა, შვრია და შვრიუკა, ცოცხანა და ცოცხმაგარა, ძირმწარა და ძირტკბილა, წიწმატი და წიწმატურა, თუთა და ხარათუთა, კბილი და ცხენისკბილა,

ცუგა და ცრუცუგა, ბალბა და ბალბალუკა, თავშავა და თავცე-ცხლა, ვირისტერფა და ხარისფაშვა, მაყვალი და ძალლმაყვალა, ტყავი და ცხრატყავა, ხარისშუბლა და ხარისჩლიქა, ქორი და ძელქორი, ქინძი და ქინძარა – მაშინ ამგვარი ლიტერატურა გინდ ყოფილა, გინდ – არა!!!

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), მეორე წერილში თავდაჯერებით აცხადებთ.

„რევაზ მიშველაძე მხატვრული სიტყვის ოსტატია. ამის ერთი საიდუმლო, ჩვენი აზრით, იმაშია, რომ ის თითოეულ სიტყვას სწორედ იმ ადგილს უძებნის ფრაზაში, სადაც ყველაზე უღერადი და მრავალფეროვანია.“

მრავალფეროვანი?.. ჰმ! ჩემი აზრით კი ნებისმიერ „მრავალფეროვან“ სიტყვას ზუსტად თავის დროსა და ადგილას ხმარებით მწერალმა ოსტატურად უნდა შეუსხიპოს ეს „მრავალფეროვნება“ და შეუნარჩუნოს მხოლოდ და მხოლოდ ის ერთადერთი უმთავრესი მნიშვნელობა, რასაც სათხრობის კონტექსტი და მხატვრულობა მოითხოვს! ხოლო ჩემ მიერ მარტო მისი ბოლო ორი ნოველიდან ამოკრეფილი სხვადასხვა სახის ენობრივი ლაფსუსების ნაწილიც კი სულ თქვენი შეგონების საპირისპიროს ამტკიცებს: რ. მიშველაძეს ქრონიკულად ღალატობს სიტყვის გრძნობა და აქედან გამომდინარე, მხატვრული თხრობის კულტურა და სიფაქიზე. უკვე მოყვანილი მაგალითების სიმცირემ რომ არ დაგაღონოთ, თქვენგანვე ნაქებ ერთ-ერთ ტექსტს შევეხები, რომელზეც სიამაყით აცხადებთ.

„ცხოვრებას გვასწავლის ნოველა „ვისი იყო გზა“.

ნოველის თემა და იდეა ისეთი აქტუალურია, გამართული ენითა და შესაშური მხატვრულობით რომ ყოფილიყო შესრულებული, შეიძლება ვინმეს მართლა რაღაც ესწავლა, მაგრამ...

ცოლშვილიან გოჩას საყვარელი გაუჩენია, ქ-ნი ნუნუ, რომელიც ბევრისგან განსხვავებით იმას კი არ ცდილობს, მამრს ოჯახი დაუნგრიოს, არამედ ყოველ ღონეს ხმარობს, როგორმე შეუნარჩუნოს. ჰოდა, აგერ, რას უუბნება.

„ – შენი ბუდე და სამტრედი გაქს“.

აქ რ. მიშველაძეს გრამატიკის უმარტივესი ელემენტი – არ-სებითი სახელის ბოლოსართიც კი ეძღვება! რანაირი ქართულია სამტრედა? თუ მიშველაძისეულ ამგვარ „რეფორმას“ გავატარებთ, მაშინ ამიერიდან უნდა ვიხმაროთ არა სამტრედე, საპატვნე, სა-ფუტკრე, საკვიცე... არამედ სამტრედი, საპატვნი, საფუტკრი, საკვიცი, საძმრი, საკარაჟი, საკირი, საპატი, საქათმი, სალორი, სახბორი, საერბო, საფქვილი, სასიმინდი და ასე უსასრულოდ!

თანაც რაღა „ბუდე და სამტრედი“ – ეს „სამტრედიც“ ანუ სამტრედე განა იგივე ბუდე არ არის?!

ახლა აქ ვნახოთ, რა ხდება! ამ გოჩას კანონიერ მეუღლეზე გული რომ არ აეყაროს, კეთილშობილების განსახიერება ნუნუ ცოლის ნახელავსაც უქებს.

„შემეშინდა რომ ვნახე შენი ცოლის დაუთოვებული თეთრეული, მშვიდად ჩანიკნიკებული კარადაში“.

კერ ერთი, რანაირი ქაჯური სინტაქსია ეს:

„შემეშინდა რომ ვნახე შენი ცოლის დაუთოვებული თეთრეული“, რომელიც განაწამები მკითხველის გონიერაში ხამი მძღოლის მიერ უწესივროდ გადართვისას სიჩქარეთა კოლოფის კბილანების ხრიალ-ლრჭიალივით გაისმის! თანაც მსგავს ვითარებაში ნუნუს არ კი უნდა შეშინებოდა, პირიქით – შეშურებოდა, განცვიფრებულიყო, ალფროთოვნებულიყო, ალტაცებულიყო!..

ნინ უარესი გველის! ნებისმიერი ნორმალური მკითხველი თავისით მიხვდება, რას გულისხმობს ციტატის კუდი, რომელიც თეთრეულს ეხება – „მშვიდად ჩანიკნიკებული კარადაში“.

აქ ნუნუ მოხიბლულა ანუ „შეშინებულა“ გოჩას მეუღლის ნახელავის **შე-დე-გით!!!**

ავტორი? თვითონ ავტორი კი, სიტყვის გრძნობა რომ არ გააჩნია და თან არც იმას ცდილა, ამ უმარტივეს მხატვრულ სიტუაციაში მაინც გარკვეულიყო, მისთვის დამახასიათებელი იუ-მორისტული ზერელობით ყურადღებას ამახვილებს **პრო-ცეს-ზე!!!** – მშვიდად ჩანიკნიკებულიო! მაგრამ სად შედეგი სად პროცესი?!

ახლა ნებისმიერმა ოპონენტმა განსაჯოს: კი მაგრამ, ამ ნუნუმ როდის უყურა თავისი საყვარლის მეუღლის მიერ

თეთრეულის „ჩაწიკნიკების“ პროცესს და საიდან უნდა სცოდნოდა, მან ეს თეთრეული „**მშვიდად**“ ჩააწინიკა თუ **ფაცხაფუცხით?**! მაგრამ რა ქნას ამ საწყალმა ქალმაც, როცა ალალბედა ავტორმა პირში ნაძალადევად ჩასჩარა ეს სრულებით უადგილო სიტყვა „**მშვიდად?**“

ერთი სიტყვით, ნუნუს თეთრეულის „ჩაწიკნიკების“ **პროცესისთვის** არ უყურებია! მაშინ გასაკვირია: ასეთ შემთხვევაში **შედეგის** ნაგვიანევი ნახვით როგორ უნდა განესაზღვრა მისი „ჩაწიკნიკების“ **პროცესის** ხასიათი?! ეს სრულებით შეუძლებელია, ვინაიდან რაღაცაზე ან ვიღაცაზე გაანჩხლებულმა დიასახლისმა შეიძლება თეთრეული „**მშვიდად**“ კი არ „ჩაწიკნიოს“, არამედ სულ ნივილ-კივილით, წყევლით, შფოთვითა და ვაი-უშველებლით ჩაალაგოს, მაგრამ ისეთი ხელგაწაფული იყოს, რომ მის ნახელავს თვალი ვერ მოვწყვიტოთ!!!

ანდა, პირიქით: ყოველმხრივ მოსვენებული, განწინასწორებული, საღნერვებიანი და გულდინჯი დიასახლისი თეთრეულის დაუთოვებას და კარადაში მის დაბინავებას იქნება მთელი დღეც მოუნდეს, მაგრამ ისეთი ხელთუყარი, ბოდოშა, ლაფარი, ფეთუშმი და დაუდევარი იყოს, მისი ნახელავის ერთმა შეხედვამ მაშინვე გუნება წაგვიხდინოს!

მეტი თვალსაჩინოებისთვის ყოფითი მაგალითები მოვიყვანოთ.

კარგმა კერძმა სტუმარი ნუნუსავით რომ „**შეაშინოს**“, როგორ ფიქრობთ, იგი თავის აღფრთოვანებას რომელი ფრაზით გამოხატავს: „ო, რა **მშვიდად** გაკეთებული ჩობანყაურმაა!“ თუ „ო, რა **გემრიელად** გაკეთებული ჩობანყაურმაა!“

ვისიმე ახალი აგარაკის კედლებმა რომ მოგხეიბლოს, ოქროსხელიანი კალატოზისადმი აღტაცება-პატივისცემის ნიშნად ენის წვერზე რა წამოგვიტივტივდება: „დედა, რა **მშვიდად** აყვანილი კედლებია!“ თუ „დედა, რა **უნაკლოდ** (ლაზათიანად, **სწორედ, მკვიდრად...**) აყვანილი კედლებია!“

მოკლედ, ავტორს აქ აქცენტი თეთრეულის ჩალაგების გამომხატველ უხილავ და უსარგებლო **პროცესზე** კი არა, თავისი საყვარლის აღმაფრთოვანებელ საბოლოო **შედეგზე** უნდა

გადაეტანა და ეს გამოეხატა რომელიმე ჯადოქრული ზმნისართით – ლაზათიანად, მშვენივრად, ლამაზად, წყობისად, ფაქიზად, სუფთად, კოხტად, მიმზიდველად, მოხდენილად, შნოიანად, საუცხოოდ, ოსტატურად, მომხიბლავად, წარმტაცად, თვალწარმტაცად, საქმის ცოდნით, განაფულად, საქმიანად, უწუნოდ და ა.შ.!.. მაგრამ ავტორი ამას ვერ მიხვდა და როყიოდ ნახმარი სიტყვით „მშვიდად“ მთელი პასაური ურემვით გრაფომანულ ტლაპოში შეაგორა და ასე დაგვიტოვა!..

ბ-ნო გიორგი (იური), როგორც ერთ რიგით პროზაიკოსს და მკითხველს, საგონებელში მაგდებს რ. მიშველაძის თხრობის ერთ-ერთი ნაკლი თუ უცნაურობა: იგი ხშირად არც თავის თავს ენდობა, არც მკითხველებს!

ამის მაგალითსაც თქვენივე მეორე წერილიდან ამოვიღებ, ასერიგად რომ ალუფრთოვანებიხართ რ. მიშველაძის მიერ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ხიტიას პორტრეტს.

„პიჯაკის შიგნით (ჯობია პიჯაკევეშ. ჯ. მ.) შავი სატინის ახალუხი უჩანდა და თავზე კრაველის ბოხოხი ეხურა. ფეხზე ყვითელი ლაკის (უნდა იყოს ლაქის. ჯ. მ.) ტუფლები (ო, ღმერთო, ტუფლები!.. დღეს, ალბათ, რომელიმე დებიუტანტს და თუ ეცმება ტუფლები, რიგიანი მწერლები ხომ დიდი ხანია, რაც ფეხსაცმელებით დაიარებიან! ჯ. მ.) რომ სცმოდა...“

ამგვარი უნდო სტილი და ლექსიკა ხომ მკითხველების შეურაცხოფაა – თავზე!.. ფეხზე!.. ფეხზე!.. თავზე!..

ერთი რ. მიშველაძის გულში ჩამახედა, რათა გამეგო: აქ რომ არ ეხმარა ეს „თავზე“ და მადლიანად ეუწყებინა, „კრაველის ბოხოხი ეხურა“-ო, ნეტავი როგორ წარმოუდგენია, ყეყერი მკითხველების აზრით, ამ ხიტიას ბოხოხი თავს გარდა მაინც სად შეიძლება კიდევ ხურებოდა: ცხვირზე, ნიკაპზე, მხარზე, ლოყაზე, იდაყვზე, შუბლზე თუ... თუმც აქ ჩამოთვლის შეწყვეტაა საჭირო!..

ზუსტად იგივე ეხება ფეხსაც... უკაცრავად, „ტუფლებსაც!!!“

თუმც რა დროს ბოხოხი და „ტუფლებია“ თუ ღმერთი გწამთ, როცა ერთ-ერთი პასაურის გახსენება ახლაც კი ბალანს მიშლის და მაურუოლებს, ხოლო პირველად რომ წავიკითხე,

ცოტა გაწყდა, გულშეღონებული არ გადავბრუნდი! ვიცი, მისი შეხება ამჯერადაც სულს შემიხუთავს, მაგრამ ჩემს თავს აღარა ვჩივი – მგრძნობიარე მკითხველები მებრალება. ამიტომ ყველას ვაფრთხილებ – მომდევნო პასაჟების გარჩევას შინაგანად შემართულები შეეგებონ!

ბ-ნო გიორგი (იური), სიტყვა ისევ თქვენ უნდა მოგცეთ.

„რევაზ მიშველაძის ნოველების მხატვრული მხარე სპეციალური კვლევის თემაა (რაღა სპეციალური – უმთავრესიც სწორედ ესაა! ჯ. მ.). ჩვენს წინაშეა (უნდა იყოს „ჩვენ წინაშეა“. ჯ. მ.) მხატვრული თვალსაზრისით ორიგინალურად მოაზროვნე მწერალი. დავიწყოთ პერსონაჟის პორტრეტის ხატვის ხელოვნებით.

პერსონაჟის პორტრეტის ხატვის განსხვავებულ ტექნიკას ვხედავთ რევაზ მიშველაძის ნოველებში. მხედველობაში გვაქვს პორტრეტის ხატვის დინამიური (უნდა იყოს დინამიკური. ჯ. მ.) სტილი და მკითხველის ჩართვა პერსონაჟის პორტრეტის ხატვაში“.

მკითხველები ახლავე შეიტყობენ, რაში მდგომარეობს რ. მიშველაძის მიერ აღმოჩენილი პერსონაჟის პორტრეტის შექმნის „გენიალური“ ტექნიკა და „ხატვის დინამიური სტილი!“ თან აქ იმასაც დავამატებ, რომ პროფესიონალური ინტერესით წაცდენილი, თავის დროზე ავტორთან ერთად მეც, როგორც მკითხველი, ტუტუცურად ჩავერთე „პერსონაჟის პორტრეტის ხატვაში“, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა!

ახლა მე რევაზ მიშველაძის მიერ პერსონაჟის პორტრეტის დახატვის „ნოვატორულ“ მაგალითს მოვიყვან, მკითხველებს კი ხელახლა ვაფრთხილებ, ამას ფსიქოლოგიურად მომზადებული შესვდნენ, რამე რომ არ დაემართოდ! მზად ხართ?

„გაიხსენეთ თქვენს ნაცნობთა შორის ყველაზე გამხდარი კაცი. ახლა იმაზე უფრო გამხდარი წარმოიდგინეთ და ვანო მატარაძის ცოცხალ წონას ძალიან დაუახლოვდებით“.

ცოცხალი წონა! ღმერთო, ადამიანიშვილის მიმართ ეს აზრად როგორ უნდა მოგივიდეს! ამ ტერმინს ხორცულობინატებსა და პერიფერიის ბაზრებში, საქონლის სასაკლაოებზე ხორცის მაზანდის დაზუსტებისას ხმარობენ ხოლმე – ცოცხალი

**წონა თუ დაკლულიო?!** ჩიდარმა პირუტყვის ყიდვა-გაყიდვა თუ ცოცხალი წონით კი არა, **დაკლული წონით** ისურვა, საცოდავ პირუტყვს საღასები იქვე წამოაქცევენ, ყელს თვალის დახამხამებაში გამოჭრიან და ოთხში ამოიღებენ ხოლმე!!!

ჰოდა, კაცზე რომ იტყვი, **ცოცხალი წონაო**, იქ ამის პარალელურად მისი დაკლული წონაც იგულისხმება!!! ადამიანს კი საამისოდ ვინ გაიმეტებს ან ვის რაში უნდა სჭირდებოდეს მისი ამგვარი წონის დაზუსტებაც?!.. ოოო! პირველად ეს ადგილი რომ წავიკითხე, ისეთი სულშეხუთვა დამეუფლა, თითქოს გვერდულად წამოქცეულს, ხელფეხგათოკილს და მტკივნეულად კისერგადაგრეხილს, ზედ ყასბები მასხდნენ და პირფართო ლაპლაპა დანით ყელს მღადრავდნენ!..

როგორც ძალიან ბევრი წყალწყალა, უფიქრალ-უნაღვლელად შედგენილი პასაჟი, ისე ამ ვანო მატარიძის პორტრეტის „ხატვის დინამიური სტილი“ ფარდას ხდის რ. მიშველაძისეული თხრობის დებიუტანტურ-დამაღონებელ მანერას: პერსონაჟის ამგვარი დახასიათებისთვის ავტორს ზუსტად ზედმობმითვე აგერ, კიდევ რა მიუკონინებია!

„**სიმაღლით მეტრი და სამოცდათორმეტი იყო, ორმოცდათვრამეტ კილოგრამს იწონიდა**“.

ჯერ ერთი, აქ პერსონაჟის გარეგნობის ამსახველ მხატვრულ ხერხს დასაწყისშივე თუკი ამგვარი მშრალი ციფრული მონაცემებით შევცვლით, ის რაღა ლიტერატურა იქნება! თუმცი მსგავსი ხერხი, ოღონდ თავის ბუნებრივ დროსა და ადგილას გამოყენებული, ახალი, მოულოდნელი ან მიუღებელი როდია. პირიქით! თუგინდ რუსული და მსოფლიო კლასიკის მშვენება, ნიკოლოზ გოგოლი ავილოთ. ტარას ბულბასა და ბურსადან შინ დაბრუნებულ მის ლილ ვაჟებს – ისტაპსა და **ანდრეს** ვაჟკაცური შეხვედრა-დიალოგით მწერალი ჯერ ისტატურად გაგვაცნობს, ხოლო მამა უფროს შეილთან კაზაკური კრივით გულს რომ მოიჯერებს და ახლა უმცროსს მიადგება, სნეული დედა ასე ესარჩილება.

„ – საბრალო ბავშვს ამოდენა გზა გამოუვლია, დაღლილ-დაქანცულა (ეს ბავშვი ოცი წლის ახმახი იყო, სრული სა-

**უენი სიმაღლე ჰქონდა (ე.ი. 2 მ და 13 სმ. ჯ.მ.), საწყალს ახლა დასვენება უნდა... ის კი ჩასციებია – მეკრივეო!“**

ან თუგინდ მეორე დღე გავიხსენოთ, როცა ტარასი შვილებითურთ სეჩში გასამგზავრებლად თავის ცხენს, ეშმაკას მოაჯდება.

**„ეშმაკა დამფრთხალი უკან გახტა, რადგან იგრძნო ოცუუ-თიანი სიმძიმე ჩასუქებული, ზორბა ბულბასი“.**

გოგოლის რომანის ამ პასაუებში სიმაღლისა და წონის დასახელება თუგინდ ერთობ გაზვიადებულიც, ბუნებრივად ერწყმის თხრობის სტილსა და პერსონაჟების პორტრეტებსაც, მაგრამ ჩვენი შემთხვევისას – თანაც პანაზინა ნოველაში! – გაოგნებას იწვევს მწერლის მხატვრული ინტუიციის კატასტროფული უქონლობა!!!

აბა, დავუფირდეთ: დასაწყისიდანვე რაღა მხატვრული მიზანი და ეფექტი უნდა ჰქონოდა მკითხველებთან იაფფასიან ლიტერატურულ ხიბლიხევანჯარას და დავაღების მიცემით მათ-თვის სისხლის გაშრობას – აბა, გაიხსენეთ თქვენს ნაცნობთა შორის ყველაზე გამხდარი კაცი... ახლა იმაზე უფრო... მერე იმაზე უფრო!.. და მაშინ მაინც დაუახლოვდებითო!.. თან ეს შეურაცხმყოფელ-სადისიტური „ცოცხალი წონა“ – თუკი დასაკლავ პირუტყვთან გატოლებული საწყალი პერსონაჟის წონა-სიმაღლეს ბოლოს სულ სანტიმეტრებითა და გირვანქობით თვითონვე ჩაგვიკაკლავდა!!!

რა გამოვიდა? მიმნდობი მკითხველები რ. მიშველაძემ ჯერ წაცდინა, წანარმოების პერსონაჟის პორტრეტის შექმნის პროცესში ჩააბა და სახელდახელო დავაღებით ტვინი აჭყლეტინა, ბოლოს კი უღმრთოდ დასცინა მათ კეთილშობილურ ნდობას და თითოეულის წარმომსახულობის შედეგი გულგრილად გადახაზა – ყველა მათგანისათვის იძულებითი საცოდნელი „თავისი“ ციფრები დაასახელა!!!

ახლა რომელი გიუი აიჩემებს, რომ ავტორის მიერ წაცდენილი ათიათასობით მკითხველის ფანტაზიით წარმოდგენილი ვანო მატარიძისეული პარამეტრებიც ზუსტად ავტორის მიერ დასახელებულ ციფრულ მონაცემებს დაემთხვეოდა?!

ბევრს გაუკვირდება: მაშ, ავტორს რაღა რჯოდა – ნოველის მხატვრულობისთვის ასწილ არ აჯობებდა, ის საკუთარი ბუღალტრული ციფრები სულ არ დაესახელებინა და თითოეული მკითხველი თავის ბუნებრივ წარმონადგენთან წინდახედულად დაეტოვებინა?! ჰო, მაგრამ აქ საჭირო იყო ხალასი მწერლური ტალანტი და მხატვრული ტაქტიანობა და არა თავდაჯერებულ-ნაქეზებული ავტორის დუქნურ-იუმორისტული ლაზლანდარობა და მიეთმოეთი!..

გარდა ამისა, აქ ავტორს არამარტო მხატვრული, არამედ ყოფითი წინდაუხედაობაც გამოუჩინა! თავისი პერსონაჟის მეტისმეტი სიგამხდრის ნათელსაყოფად მაინცდამაინც წარმატებით ვერ შეურჩევია მისი სიმაღლისა და წონის სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენი შეფარდება – ცხოვრებამ ადამიანის სიგამხდრის ისეთი და იმდენი მაგალითები იცის, რომ მის ფონზე ავტორის მიერ დასახელებული ზომა-წონით ვანო მატარიძის აგებულება სრულებით ბუნებრივად მოგვეჩვენება!

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), მეორე წერილში თქვენ საგანგებოდ აღნიშნავთ.

„რევაზ მიშველაძე მხატვრული სიტყვის ოსტატია... სიტყვების დალაგების სისტემითა და გამოყენების ხასიათით სიტყვა ხდება ემოციური და ქმნის ცხოვრების სინამდვილის სახე-სურათს“.

თუ არ ვცდები, აქ ერთგვარ გაუგებრობას და „უაზრო გამეორებას ქმნის თქვენ მიერ მოხმობილი ტერმინები – „სიტყვის დალაგების სისტემა“ და მათი „გამოყენების ხასიათი“.

სიტყვების დალაგება და გამოყენება განა ერთი და იგივე არ არის!?

სიტყვებს თუ გამოვიყენებთ, ეს თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ რაღაც სასურველი სინტაქსური ფორმით მათ კიდეც ვალაგებთ, თორემ თუ საჭირო სიტყვებს არ გამოვიყენებთ, მაშინ რაღა გვექნება დასალაგებელი?! ანდა, პირუკუ: აზრის გამოსახატავად თუ რომელიმე სიტყვებს დავალაგებთ, ეს თავ-

ისთავად მათი **გამოყენებაც** გამოდის! ასე არ არის?

ამის მიუხედავად, მე მაინც გიხვდებით, რისი თქმაც გწა-  
დიათ და რათა ნათელყოთ, როცა „**სიტყვა ხდება ემოციური**  
და ქმნის ცხოვრების სინამდვილის სახე-სურათს“, საგანგებოდ  
მოგყავთ რ. მიშველაძის ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი „**მარ-  
გალიტები**“. აი, პირველი მათგანი.

„**წუხელის ცოტა იწვიმა და დაყრიდა მწყერს**“.

სინტაქსა ამჯერად მაინც აღარ შევეხები, რადგან მეშინ-  
ია, მკითხველებს მოთმინების ფიალა არ ავუვსო (თუკი ჯერ  
კიდევ არ ავსებიათ!) და ასოკირკიტასი არ იყოს, სინტაქსკირკი-  
ტა არ შემარქვან, თუმც არა მგონია, ამგვარი საპატიო ზედ-  
ნოდების ღირსი ვიყო!.. ჰოდა, აქ ავტორი ისე ჩიქორთულად  
გაიძახის – **დაყრიდაო**, თითქოს წვიმა მაკე ღორი, ძალლი, ფარ-  
დულის ნოქარი ანდა, ვთქვათ, თვითმცლელის მძლოლი იყოს,  
ხოლო მწყერი – გოჭები, ლეკვები, ხურდა ფული, შეშა ან აგუ-  
რი, სადმე რომ დაყარონ!

ანდაზისა არ იყოს, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო  
გვარი მისიო, ეს უწყინარზე უწყინარი სანადირო ფრინველი  
მთელ თავის სიცოცხლეს ბალაბბულაბში, ნათესებსა და ბუჩქ-  
ნარში ატარებს. ამიტომ „**ცოტა**“ წვიმა კი არა, თვით ნარღვნაც  
კი ვერ ჩამოყრ.... უკაცრავად, ვერ „**დაყრის**“ – ან სად და როგორ  
უნდა „**დაყაროს**“, როცა ისედაც თავის მუდმივ სამყოფელში, მი-  
ნაზე, ბუნებრივ საფარშია „**დაყრილი!**“ ხოლო ავტორს თუ შე-  
მოდგომობით მწყრის გადაფრენის სეზონი აქვს მხედველობაში,  
ამ დროს იგი წყნარ ღამეს ირჩევს და თავისი უტყუარი ფრინ-  
ველური გეშით როგორც კი იგუმანებს ამინდის მოსალოდნელ  
გაუარესებას, თავშესაფარებლად მაშინვე მინაზე ეშვება ხოლმე!

კეთილი! დავუშვათ და მიმტრინავი მწყერი „**ცოტა**“ წვი-  
მას მართლაც „**დაყარა**“ – მერე ეს ვის რას მისცემდა, რა  
არის აქ პერსონაჟის განსაკუთრებული აღტაცების მიზეზი  
და მოტივი: ეს „**დაყრილი**“ მწყერიც ნაქარი ვაშლი და მსხალი  
ხომ არ არის, ვისაც მოესურვება, დილაადრიან ვეებერთელა  
კალათებით მიჰყვეს და სულ სათითაოდ წამოკრიფოს?! მოუ-  
ლოდნელი ავდრისაგან სადმე შემთხვევით „**დაყრილი**“ მწყერი

მაშინვე საკვებს ეძებს ხოლმე, თან ცოტა ხნით ისვენებს კიდეც და მერე სულ იმის ცდასა და მოლოდინშია, რაც შეიძლება მაღე დატოვოს დაწვიმული იძულებითი თავშესაფარი და თავ-ის გრძელ გზას დაეშუროს!..

ჰოდა, ამგვარად „დაყრილ“ მწყერზე სიბნელეში თო-ფით ნადირობა, ცხადია, უპერსპექტივოა, ხოლო სადმე დაგე-ბულ კაკანათში თითო-ოროლა თუ გაება ან გრძელი ფიჩოჩის მიქნევ-მოქნევით რამდენიმე ცალი ჩამოაგდეს, ეს პერსონაჟის ხელმოსაცემ იმედად ან რამედ ლირებულ მხატვრულ მიგნებად ვერ ჩაითვლება!

შემდეგი ერთ-ერთი „სანიმუშო მარგალიტი“ ამნაირია.

„ლიმილი ელვის სისწრაფით მოიცილა“.

მერე, რა არის ამაში განსაკუთრებული, გასაკვირი და მით უმეტეს, სანიმუშოდ მისაჩნევი?

მწერალმა თუ არ იხმარა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი წინადადებები, მაგალითად: „ქალმა გესლიანი მზერა ელვასავით შემომაკვესა“. „ამის გაგონებაზე კაცს წამოგდებული შუბლი ავად ჩაეკოხა“. „ქარი მთელი ლამე ავსულივით ტიროდა, ნარიურაჟევს კი სადღაც ხევში ჩაკვდა“. „ვაჟის მხურვალე შემოხედვამ ქალიშ-ვილს ჩახურული გული უცებ გაუსხივიანა“. „დედამთილი რძლის კაჭკაჭისებურ ლაქლაქს ტუჩაპრუნვით ისმენდა და ჩამომჭკნარი პირისახე თანდათან ემანჭებოდა“. „სავსე მთვარემ აინია და მაღე გორს იქით გადაგორდა“ და სხვა მისთანანი, აბა, ისე ნაწარმოები როგორ უნდა აიგოს!?

ჰოდა, თუ ასე წავა საქმე, მაშინ რომელიმე მწერლის ბრძანა თაყვანისმცემელ კრიტიკოსს თავისი „შეუდარებელი“ კერპის ნებისმიერი ფრაზა თუ მეტაფორა შეიძლება ნამდვილ მარგალიტად მოეჩვენოს ან განზრახ მიიჩნიოს და მერე შეუპოვრად შეეცადოს, როგორმე ეს მკითხველებსაც შეატყუოს, როგორც, მაგალითად, აი, ეს წუნსაკრავი გამოთქმა, რომელიც ჩანასახშივე უნდა ჩასწორებულყო ან ახლა გასჩუმებოდნენ და „სანიმუშო მარგალიტის“ სახით შარაზე მაინც არ გამოეჭენებინათ!

„კარს ურდული დაადო და მესპორტლოტოე ქუჩას შეატყვა“.

ახლა ეს „მესპორტლოტოე“ მარტოკა დავტოვოთ,

ვინაიდან დარწმუნებული ვარ, გზას თავადაც გაიკვლევს, ჩვენ კი რ. მიშველაძის მიერ ფუნქციადამახინჯებულ **ურდულს** ვუშველით!

კი მაგრამ, **ურდული** კარს რანაირად უნდა დავადოთ – **ბოქლომია** თუ რა?!

რა არის **ურდული?** ქეგლის პასუხი მოკლე და ნათელია. კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი გარდიგარდმო გასაყრელი კეტი.

ურდულის დანიშნულება და მისი გამოყენების წესი ლექსიკონში შეტანილი მშვენიერი სიტყვებითაც დასტურდება – **ურდულგაყრილი, ურდულწაგდებული!**

„**ცხოვრების სინამდვილის სახე-სურათის**“ ამსახველი შემდეგი მაგალითი ხომ კაცს პირდაპირ პატარა ლექციის წაკითხვას აიძულებს.

„**ჩემნაირი კაცი აღდგომაა ახლა ავტოინსპექტორი-სათვის. ერთ ას მანეთს ისე ამაფცქვნის, რომ სიტყვას არ შემაბრუნებინებს.**“

ჯერ ერთი, ნათქვამის მოარული შინაარსი და მეტადრე მისი გადმოცემის ფორმა ძალიან გაცვეთილია, ამიტომ არავითარ მხატვრულ სიახლეს და მით უმეტეს, სისხარტეს არ შეიცავს. ამიტომ უხერხულიც კი იყო მწერლური ოსტატობის ნათელსაყოფად მისი მოყვანა. პირიქით, იგი ჩემისითანა უმნიშვნელო მწერლისთვისაც კი აუტანები ხდება შემდეგ ნაკლოვანებათა გამო.

პირველ წინადადებაში სინტაქსი პროვინციულად არის დამახინჯებული, რის გამოც სამარჩიელო ხდება, ვინ ან რა არის უადგილო ადგილას ნახმარი ზმინისართის „**ახლა**“ ზუსტი ადრესატი: „**ჩემნაირი კაცი**“, რაღაც კონკრეტული სიტუაცია თუ ავტოინსპექტორი? თანაც პირველი წინადადების ბოლოს დილეტანტურად დასმული წერტილი სრულებით გაუგებარს ხდის – „**ჩემნაირი კაცი**“ ახლა ავტოინსპექტორისთვის რატომ ან როგორ უნდა იყოს აღდგომა?!

მართალია, ამის გაშუქება მეორე წინადადებაში ხდება, მაგრამ აზრობრივი გადასვლა მხატვრულ-ლოგიკური და ბურე-

ბრივ-სრულყოფილი რომ ყოფილიყო, ამ ორ წინადადებას შორის „მტრული“ წერტილი კი არ უნდა ჩაღურსმულიყო, არამედ „კეთილმეზობლური ურთიერთსამიმოსვლო ხიდი“ ანუ მისი უდიდებულესობა ტირე გადებულიყო! ასევე იგრძნობა „რომ“-ის ზედმეტობაც, ხოლო „სიტყვას“ აშკარად აკლია სადღაც „წატეხილი“ ნაწილაკი „ც“. ახლა ორივე ვარიანტი ერთმანეთს შეადარეთ და განსაჯეთ.

„ჩემნაირი კაცი ახლა ავტოინსპექტორისთვის აღდგომაა – ერთ ას მანეთს ისე ამაფცევნის, სიტყვასაც არ შემაბრუნებინებს.“

დროისა და მკითხველის მოთმინების დაზოგვის მიზნით დანარჩენი „მარგალიტების“ კომენტირებას აღარ შევუდგები – მხოლოდ გადმოვიწერ და მათ შეფასებას თუგინდ ახალბედა ავტორების დაკვირვების ანაბარად დავტოვებ.

„სეირის მაყურებელთა ღრიანცელი მუზეუმის ფანჯრებს მიაწყდა და საფიჩნიას აღმართზე გაიშალა“. „ხელოვნების ნაკვერჩლები კარგა ხანია ღვიოდა ფათუშას გულში, მაგრამ როგორც კი დედა გახდა, არტისტობის უინი ნელ-ნელა დაინავლა მის არსებაში“. „ისევ გაირბინა სიცილმა სვეტებს შორის“.

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), ნებით თუ უნებლიერ ჯიუტად ცდი-ლობთ, რადაც უნდა დაგიჯდეთ, რევაზ მიშველაძის პიროვნება და მისი შემოქმედება მთელ ქართველ ხალხს, მკითხველ საზოგადოებას ნატანჯ ქედზე პირდაპირ კოლონიურ ულელივით ძალდაძალ დაადგათ!

რა მაძლევს ამგვარი უმძიმესი ბრალდების საფუძველს?

ჯერ იყო და საკუთარ წერილს – თანაც დენთით სავსე თავლია კასრს დამსგავსებულ ვითარებაში! – მეტისმეტად ამბიციურ-იმპერატიული, გამომწვევ-გამალიზიანებელი და მეტადრე საფუძველმოკლებული სათაური უწოდეთ: „მწერალი, რომელიც ცხოვრებას გვასწავლის“, რითაც რ. მიშველაძე სულ ცოტა, მთელი საქართველოს მამა-მასწავლებლად, ჩენ ყველანი კი მის შეგირდებად გამოგვაცხადეთ! მაგრამ ესეც გცოტავებიათ და ცხვრის ფარად წარმოდგენილ თუ ცხვრის

ფარად გადასაქცევი დამყოლი საზოგადოების სრული დაკაბალება-დაყმევებისა და რ. მიშველაძის მწერლურ-კოლონიური უდლის უკვე ოფიციალურ დონეზე გასაფორმებლად წერილის დასასრულს აგერ, ახლა რანაირ დასკვნას აკეთებთ.

**„ერთი სიტყვით, ჩვენი თაობა გარკვეული აზრით, რევაზ მიშველაძის დროში ვცხოვრობთ.“**

ამ განსაცვიფრებელმა ეპოქალურმა ახალმა ამბავმა – თანაც დამახინჯებული ქართულით ნაუწყებმა! – უეცრად განმაიარალა და დიდი ხნით კამეჩის რქაში ნაცხოვრებს დამამსგავსა: „ჩვენს თაობას“ თურმე მიშველაძისეული „დროითა“ და კალენდრით უცხოვრია, მე კი, საკუთარ ქერქში გამოხვეული, აქამდე აზრზეც არა ვყოფილვარ და ახლალა ჩამყვირეს ყურძი! გაგონილა მეტი სიბნელე?!

მეც სხვა რაღა დამრჩენია, გარემოება მავალდებულებს უკიდურესად მოკრძალებული ვიყო, თორემ მთელი „ჩვენი თაობის“ სახელით რომ გავძედო კრინტის დაძვრა, ვინ იცის, კოლექტიური დამცინაგი სიცილ-ხარხარი, კილვა-ჭორვა და თავ-აწყვეტილი სტვენა-ყიუინა მოვიმკო: ვინა ხარ, შე ნაშუადღევს გამოღვიძებულო, რომელი საბძლიდან გამოხეტებული გაგრია, ამ ქვეყნის ინჩიბინჩი რომ არ გცოდნია – დიდი ხანია, რაც ჩვენ რევაზ მიშველაძის დროითა და კალენდრით მშვენივრად ვცხოვრობთო!

თუკი მართლა ასეა და აქაც ჩიჩიკოვისებური რამე ოინი არ იმაღება, აბა, საპირისპიროს სათქმელად ენას რაღა დამასველებინებს – რევაზ მიშველაძის „დროში“ ნებაყოფლობით მცხოვრები ყველა მოქალაქე დაე, ღმერთმა ბოლომდე თავის გემოზე აცხოვროს!

ერთი სიტყვით, წელანდელი არ იყოს, ახლაც მარტო ჩემი სახელით ლაპარაკი მომინევს.

როგორც ერთი რიგითი ქართველი, მე მხოლოდ იმ უსასტიკეს დროში და დროით ვცხოვრობ, რაც ბედისნერამ ჩემს გაუბედურებულ სამშობლოს და სადუღარზე მომდგარ მაჭრის ქვევრს დამსგავსებულ მსოფლიოს არგუნა! ხოლო რაც შეეხება მწერლურ-შემოქმედებითი თვალსაზრისით ნაგულისხმევ

„დროს“, აქაც მხოლოდ ჩემი პანაწყინტელა მხატვრული სამყაროთი შემოფარგლულ დროში ვცხოვრობ და **რევაზ მიშველაძის** კი არა, თანამედროვე მსოფლიოს ასერიგად სახელგავარდნილი არც ერთი პოპულარული მწერლის „დროში“ ცხოვრება არც მიცდია, ვინაიდან ამის სურვილი არ მიგრძვნია!

ასე და ამრიგად, ბ-ნო გიორგი (იური), ჩვენს საზოგადოებაში თქვენ მიერ ახალალმოჩენილი ერთ-ერთი ბედნიერი ფენის – რ. მიშველაძის „დროში“ მცხოვრები „ჩვენი თაობის“ სახელით ერთ საკამათო სიტყვასაც ვერ შემოგბედავთ! ამიტომ თქვენი პატივისცემის ნიშნად პოლემისტის მოკლე დაშნას თქვენს ფერხთით ამხელად მორჩილად დავასვენებ და საპაექრო ბარიერს თავდადრეკითა და უკუსვლით დავტოვებ.

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), ცხოვრების მასწავლებლისა და ახალი კალენდრის შემომღებ მწერალზე ამდენი ხომ იხოტბეთ და იხოტბეთ, ნერილის მინურულს კი ერთგან თქვენი კილო და მსჯელობა უკვე რევაზ მიშველაძის შემოქმედებით ზე-შთაგონებული ქურუმის ქადაგებასავით მონარნარებს.

„აფორისტული ხასიათის შეგონებები ყველა მწერალთან და მათ შორის რევაზ მიშველაძესთან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მწერალი, რომელიც ცხოვრებას გვასწავლის, ყოველ ნაწარმოებში უნდა გვთავაზობდეს გონივრულ შეგონებებს.“

ამის ნათელსაყოფად ცხოვრების მასწავლებელი მწერლის შემოქმედებიდან საგანგებოდ ამოგიკრევიათ ყველაზე სანიმუშოდ მიჩნეული 15 აფორიზმი.

ბ-ნო გიორგი (იური), თქვენ მიერ აფორიზმებად მონათლული და მათი მსგავსი სხვა გამონათქვამები რ. მიშველაძის ნაწარმოებებში ადრეც ბლომად შემხვედრია. მიუხედევად იმისა, ხშირად გაოგნებული დავრჩენილვარ მათი პრიმიტიულობითა და ძალნატანი „მხატვრულობით“, კრიტიკული კრინტის დაძრა აზრადაც არ გამივლია. ხმას, ალბათ, არც ამ შემთხვევაში ამოვილებდი, ეს თქვენი წერილი სხვა რომელიმე ლიტერატურულ ორგანოში მაინც რომ გამოგექვეყნებინათ. მაგრამ

თითოდან გამოწვილ ამ ეპიგონურ-გრაფომანულ, თანაც ენობრივ-სტილისტურად გაუმართავ, დაშტამპულ აბდაუბდას თქვენ აფორიზმებად გვასაღებთ, ხოლო მისი ავტორი, რ. მიშველაძე კი თავისავე გაზეთში დამშვიდებული სინდისით ბეჭდავს, მაშინ ეს თქვენი – ორივეს მიერ ერთმანეთთან კარგად შეთამაშებული შეუპოვრობა ემსგავსება ერთობლივად გამოჩირკნილ ლიტერატურულ-კოლონიურ ნედლ ულელს, რაც სინდისიერი მკითხველისა და თუგინდ ჩემისთანა პანია მწერლის პირადი ლირსების შეურაცხყოფად და თქვენი საკუთარი თავდაჯერებულობის განსამტკიცებლად ყასიდად მინიშნებულ გამოწვევად აღიქმება! ამიტომ მეც მეტი გზა აღარ დამრჩნია – ჩემი რუდუნების ერთადერთი სფეროს, ლიტერატურული ლირებულებებისა და მწერლური ლირსების დასაცავად წელან თქვენ წინ მორჩილად დადებულ საპოლემიკო დაშნას ისევ დავწვდები და თრაკიელი გლადიატორივით<sup>1</sup> სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიპრძოლებ.

პირველი „აფორიზმი“ ამგვარია.

**„თურმე რაც ახალგაზრდა ხარ და ბერდები, ჭკუას არავინ გამოგიცვლის.“**

უჰ, თქვა რუქამ არაკი!... კი მაგრამ, სად გაგონილა, ვინ ნახა ან ჯერ ვისთვის „გამოუცვლიათ“ ჭკუა, რომ ვინმე ამ გულუბრყვილო იმედით დაარხეინებული ინვეს, იჯდეს ან იდგეს და ბიუროკრატიული მოთმინებით იცადოს, ასაკოვნიბით თუ მცონარობით როცა სულ გამოყეყჩდება, მოვლენ ან თვითონ მას მიიყვანენ სადაც საჭიროა და გამოლაყებულ ჭკუას ახალნაყიდო, მაგრამ დეფექტური მიქსერივით თუ მტვერსას-რუტივით ხელად ახალთახლით გამოუცვლიან! აბსოლიტურად შაბლონურ-როყიო წამონაძახი!

თანაც ენის უცვლინარობით, მიშველაძისეული მახინჯი სინტაქსითა და უადგილოდ ნახმარი მაერთებელი კავშირით „და“, ეს გამონათქვამი აზრობრივადაც ყველა ფეხით მოიკოჭ-

<sup>1</sup> **თრაკიელი გლადიატორი** – იგულისხმება სპარტაკი (გარდ. ძვ. წ. 71 წ.) ძველ რომში მონათა უდიდესი აჯანყების ბელადი, წარმოშობით თრაკიელი. ეპრძოდა რომაელ დამპყრობლებს, ტყვედ ჩავარდა და გლადიატორად განაწესეს.

ლებს: თუკი „რაც ახალგაზრდა ხარ“, აბა, ამავე დროს, ამის პარალელურად (!) თან როგორდა უნდა ბერდებოდე?!

რაღაც ამ ყაიდაზე მაინც თქმულიყო: სანამ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ არაფერს უფიქრდები და თანდათან (შეუმჩნევლად...) ბერდები, მაშინდა (მერელა...) ხვდები (გეხილება თვალი...) და სხვ. და სხვ. ხოლო ერთი საშინელი შეცდომის გამო ეს გამონათქვამი აფორიზმად კი არა, ჩვეულებრივ გამართულ წინადადებადაც ვერ ჩაითვლება, ვინაიდან აქ ეს „**თურმე**“ წინ სრულებით აბსურდულად უზის ფრაზას „**რაც ახალგაზრდა ხარ!**“

ნაწილაკი „**თურმე**“ იხმარება ისეთი ამბის, მოვლენის გადმოცემისას, რასაც თვითონ მთქმელი არ დასწრებია, რაც მთქმელს არ უნახავს!

აბა, რა დასაჯერებელია, რომ ამის მთქმელი „**რაც ახალგაზრდა ხარ!**“ თავის ახალგაზრდობას... არ დასწრებოდეს, თავისი ახალგაზრდობა... არ ენახოს!

აი, რა მოსდევს ენის უცოდინარობას, სინტაქსის სიფაქიზის უგულებელყოფას, გარკვეული ფურცლების კონვეირულ შტამპვას და მხოლოდ საკუთარი მაქებრების იმედზე ყოფნას!

მოკლედ, ეს ვითომ აფორიზმი ოდნავ მაინც ნათელი რომ ყოფილიყო, ნაწილაკი „**თურმე**“ უნდა შეხებოდა არა „**რაც ახალგაზრდა ხარ**“, არამედ გამოლაყებული ჭკუის გამოუცვლელობით გამოწვეულ უიმედო, უშედეგო და თავდამამცირებელ გოდებას: **მერე თურმე ჭკუას არავინ გამოგიცვლისო!!!**

ბ-ნო გიორგი (იური), ამ „აფორიზმიდან“ გამომდინარე ყველა ნაკლი ერთბაშად რომ გამითვალსაჩინოვდა, მოულოდნელმა თვალახელამ შემაძრნუნა, ვინაიდან ყველაფერი ელვისებურად გაცხადდა: ჩვენს სამეულს, ქართული მწერლობის ნებაყოფლობით მსახურებს – **რევაზ მიშველაძეს, გიორგი (იური)** ბიბილეიშვილს და **ჯემალ მეხრიშვილს** ერთმანეთისა არაფერი ესმით და გაეგებათ: მავანთაგან ცამდე აწეული რევაზ მიშველაძე მისთვის ჩვეული თავდაჯერებით მისთიბავს და ალაპმა უწყის, რაებს გაიძახის! თქვენ, მისი შემოქმედებით მოჯადოებული, რევაზ მიშველაძეს ცხოვრების მასწავლებლად გვინიშვათ! მე? მე კი ხიფათნაგრძნობი ზღარბივით ლიტერატურულ

ჯაგნარში შიშით ვიბლუნძები და ამასლა ვცდილობ – ამგვარი ნაწერების კითხვამ ისიც არ დამავინყოს, რაც აქამდე ვიცოდი! ამიტომ ნუ დამზრახავთ, ბ-ნო გიორგი (იური): მე უჟველად ამომშალეთ თქვენ მიერ ექვსიოდე თვის უკან დაარსებული ცხოვრების შემსწავლელი რევაზ მიშველაძისეული მუდმივმოქმედი კურსებიდან!...

მიშველაძისეულ მხატვრულ ტანსაცმელში ჰაიპარად გამოხვეული შემდეგი „აფორიზმი“ ასე ჟღერს.

„კაცი იმიტომ ჰქვია, რომ იმედით ცოცხლობს.“

ღმერთო!... ეს ხომ უხეიროდ გალამბული ადამქამინდელი ხალხური მოარული გამონათქვამია – კაცი იმედით ცოცხლობსო!

ახლა აქ უსმინეთ, რ. მიშველაძე სულყველას რის ცოდნას გვავალდებულებს!

„იცოდეთ ყველამ – ერთადერთი ხასიათზე ყოფნა.“

ამ ჩიქორთულსა და კუდმოკვეცილ „აფორიზმში“ ყველაფერი გაუგებარია: სტილიც, აზრიც, სინტაქსიც, ქვეტექსტიც, იდეაც, სურვილიც, მორალიც!

კი მაგრამ, ნორმალური ადამიანისთვის ცხოვრებაში, სიცოცხლესა თუ ყოველდღიურობაში რატომ უნდა იყოს ანდა როგორ უნდა იყოს მაინცდამაინც მარტო ეს „ერთადერთი ხასიათზე ყოფნა?!“ მარტო ეს „ერთადერთი“ უშველის, აცხოვრებს და გადაარჩენს?! მაშ, რაღას აშავებს, მაგალითად, შრომისმოყვარეობა, შთაგონება, ალმაფრენა, სიბეჯითე, დიდსულოვნება, წარმომსახველობა, ოცნება, განსჯადობა, გულწრფელობა, ულალატობა, სამართლიანობა, პირმთქმელობა, მოვალეობა, დაფიქრება, სულიერი სიმტკიცე, სათნოება, სიმხნევე, ურთიერთმომთხოვნელობა, პრინციპულობა, მეგობრობა, თვითორწმენა, სიყვარული, გულმოწყალება და ასე უსასრულოდ!

თუმც აქ მთავარი ნაკლი სხვაგან იმალება: წელანდელი ტოტლეპენის ხასიათისა არ იყოს, მწერალს ერთმანეთისგან ვერა და ვერ განუსხვავებია გუნება და ხასიათი! ამიტომ ვერც ხვდება, რომელი სად, როდის და რანაირ კონტექსტში უნდა იხმაროს! იძულებითი განმეორება მკითხველებმა იქნებ მაპატიონ.

გუნება სათუთი სულიერი განწყობილებაა, ადვილად

ცვალებადი განწყობა, თუგინდ უმნიშვნელო შინაგან-გარეგანი ფაქტორიც რომ იწვევს და ცვლის.

**ხასიათი** კი ადამიანის სულიერი ცხოვრების მთლიანი და მყარი ინდივიდუალური წყობაა, მკვეთრად გამოკვეთილი თავისებურება.

ჰოდა, გამჩენმა ვისაც რანაირი „მყარი“ **ხასიათი** დაანათლა, მოსწონს თუ არ მოსწონს, მთელ თავის წუთისოფელსაც ამგვარი ხასიათით გალევს და თავიც რომ მოიკლას, როცა როგორ მოეპრიანება, სხვადასხვანაირ სასურველ „**ხასიათზე ყოფნას**“ ვერასდიდებით ვერ შეძლებს!!! მაგრამ რ. მიშველაძეს ამავე კონტექსტით „**გუნებაც**“ რომ ეხმარა, აფორიზმი მაინც არ გამოუვიდოდა, ვინაიდან **უგუნებობით** განაწამებ მილიონობით ადამიანს იმის მოსმენა კი არ სურს, რომ „ერთადერთი გუნებაზე (კარგ გუნებაზე... ხასიათზე, კარგ ხასიათზე) ყოფნაა“ – ამის ფასი და სიამოვნება ყველამ უმიშველაძეოდაც კარგად იცის! – არამედ როგორ ვმართოთ ამ ცხოვრების თავბრუდამხევევი ტემპით დადღაკული ჩვენი ბუნება, რომ ადვილად გავუმკლავდეთ გუნება-განწყობილების წამხდენ აურაცხელ მიზე-საბაბს და „**ერთადერთი ხასიათზე ყოფნა**“ ვუზრუნველყოთ!

აი, ამ კუთხით მწერალი თუ რამე სხარტ აფორიზმს გამოჩარხავდა, მაშინ მას არამარტო აღფრთოვანებით წაიკითხავდნენ, არამედ უეპრო რეცეპტივით უბის წიგნაკშიც ჩაინტერდნენ!...

მეოთხე „აფორიზმი“ ხომ ხელიხელსაგოგმანებელია!

**„სადლეგრძელოს სიჩქარე არ უყვარს.“**

არადა, ბევრ გაჭინურებულ სადლეგრძელოს რამდენი მოსუფრალისთვის თავბედი უწყევლინებია: ნეტავი ფეხი მომტებოდა და აქ არ მოვხისფეხებულიყავიო!... ან ამას არ წამოეწყონალვლის გამასიებელი ამსიგრძე ტირადა ანდა დროზე მაინც დააყენოს საშველიო!... გარდა ამისა, აქ „**სადლეგრძელოს**“ ნაცვლად ჩაესვათ, მაგალითად, მწვერვალზე ასვლა და მწვერვალიდან დაშვება, გულის ქირურგიული ოპერაცია, ქალის ალერსი და მისი დაუფლება, ოლიმპიელი მშვილდოსნისა თუ ტყვიით მსროლელის ფინალური დამიზნება, საკაბის გამოჭრა, ფარმაკოლოგის საქმიანობა, განსასჯელისთვის განაჩენის გამოტანა, სახი-

ფათო ზონის განაღმვა, მოყინულ ულელტეხილზე მისაბმელიანი ავტომობილით გადავლა, ასმეტრიანი ტრამპლინიდან მოთხილ-ამურის გადმოშვება, პარაშუტით გადმოხტომა, ცათამბჯენის მშენებლობისთვის პროექტის შედგენა და დამტკიცება, სისხლის ანალიზის გასინჯვა და რა შეიცვლება? არაფერი!

ჰოდა, ასე თუ მიჰყვებიან, კაცი ერთი დღის განმავლობაში ამგვარი „აფორიზმების“ თუგინდ აგურის სისქე ტომს შეხანხლავს!

შემდეგი „აფორიზმიც“ თავისი წინამორბედის იდენტურია.  
**„სიკეთეს მოდა არ გააჩნია“.**

ვააპ! ავტორი ამას მაინც როგორ მიხვდა, ა?!.. ბარაქალა, ბარაქალა!.. მოდა არ გააჩნია ასევე არც სიყვარულს, სიძულვილს, მრისხანებას... ხვნა-თესვას, ვაჭრობას, ადამიანურ გატაცებას, ძილსა და მოსვენებას, შემოქმედებით აღმაფრენას, მიცვალებულის დასაფლავებას, ნადირობას, ჭამა-სმას, თიბვას, ტრანსპორტის მოძრაობას, საქონლის მომწყებსვას, ავადმყოფთა მკურნალობას, სათნოებას, ჭირნახულის აღება-დაბინავებას, გადასახადების გადახდას, სანოვაგის შეძენას, კეთილმეზობლურ ურთიერთობას, ერთმანეთზე ზრუნვას, ხელმოსაცემი სამუშაოს ძებნა-რჩევას... მერე? ეეეჲ!..

ეს „აფორიზმი“ ხომ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ გაუგონარ და წარმოუდგენელ ამნისტიასავით ულერს. მოუსმინეთ!

**„ციხე იმათთვისაა, ვისი სწორ გზაზე დაყენება ჯერ კიდევ შეიძლება“.**

ესეც ასე! ამინ და კირიე-ელეისონ! სისხლის სამართლის ყველაზე ურთულესი სფერო უკვე საბოლოოდ მოგვარებულია, ვინაიდან მიშველაძისეული ამნისტია-„აფორიზმი“ გასაგებად განმარტავს: ციხე იმათთვისაა, ვისი გამოსწორება და სწორ გზაზე დაყენება ჯერ კიდევ შეიძლებაო.

ეგ ჰო, მაგრამ ის გამოუსწორებელი რეციდივისტები, რომელთა „სწორ გზაზე დაყენება“ უკვე შეუძლებელია? აპ, მაგას რაღა კითხვა უნდა: ციხეებში საიმათო ადგილი სად არის, როცა გამოსწორების იმედის მომცემი დამნაშავეებიც ვერსად დაგვიტევია! აქედან, გამოუსწორებელმა რეციდივისტებმა თა-

ვისუფლად უნდა ისეირნონ და თავ-თავიანთი ბოროტება გუნე-ბაშერჩევით თესონ!!!

აბა, რაღა გასაკვირი იქნება თუ მთელი მსოფლიოს ხე-ლიდან წასული კრიმინალ-რეციდივისტები ამგვარ „აფორ-იზმ“-ამნისტიას თავისი ავტორის პორტრეტიანად მეტყველდება მოისვირინგებენ და რევაზ მიშველაძის პატივსაცემად ციმბირ-ულ ყიამეთისასაც კი გულგადალელილები ივლიან!..

მეშვიდე „აფორიზმი“ ქართველი კაცის ბუნებას გვიხას-იათებს.

„ჩვენი კაცის ამბავი მოგეხსენება (აქ ორი წერტილი ან ტირე უნდოდა. ჯ. მ.) – სამ დღეს რომ მოწყდება (უნდა იყოს მოსწყდება. ჯ. მ.) ცოლ-შვილს, სამოთხეშიც რომ იყოს, შინისაკ-ენ მოუწეს გული“.

ეს ჩიქორთულად გადმოცემული „აფორიზმი“ მე დაახ-ლოებით ასე გავიგე.

„ჩვენი კაცის ამბავი ხომ იცი – ცოლ-შვილს სამიოდე დღი-თაც რომ მოსწყდეს და თუგინდ სამოთხეში მოხვდეს, გული მაინც შინისაკენ მოუწევს“.

ავტორს ამაში მეც ვეთანხმები, მაგრამ ასეთი მარ-ტო „ჩვენი კაცი“ როდია – ყველა ეროვნების ლვისნიერი და ცოლ-შვილის მოცოდომადღე კაციც ასეთივეა.

შემდეგი „აფორიზმი“ შექსპირისებურად სიკვდილ-სი-ცოცხლის მარადიულ პრობლემას ეხება.

„თუ სიკვდილის არ გეშინია, არა გიშავს (აქ აშეარად აკ-ლია კითხვითი ნაცვალსახელი „რა“. ჯ. მ.), მთავარია (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), სიკვდილის შიში დათრგუნონ“.

გასამტერებელი მსჯელობა და ლოგიკა: ვიღაც კაცს რაკი სიკვდილის არ შინებია, მაშასადამე, სიკვდილის შიში უკვე დათრგუნული ჰყოლია და ეგ არი! მაშ, მიშველაძე იმ საწყალ სიკვდილს რაღა ხელახლა ათრგუნვინებს – ერთხელ დათრგუნ-ვა არ იქმარებდა?!

კვლავ ყურით მოთრეულ, ლუგუმ პარალელებზე წამოსკ-უპული „აფორიზმი“.

„რა არი სახლი უკაცოდ და მთაი უბალახოდ“.

ჯერ ერთი, რანაირად შეიძლება ამგვარ როყიო პარალელებზე ასე ხალტურულად აფორიზმის დაფუძნება: სად სახლი და კაცი, სად – მთა და ბალახი?! ხოლო რაკი ავტორს მაინც არ დაუშლია და საქმე ბალახთან დაუჭერია, მაშინ ამ „მთაი“-ს ნაცვლად მართლა საბალახო ადგილი – იალალი, საძოვარი, ველი, ველ-მინდორი, მდელო, კორდი, ყორული, ბოკერი, ხოდაბუნი, წარაფი, ყამირი, ნაკორდალი, ბუსნო, გასაღევარი, საბალახო, ტაშირი ან სხვა მსგავსი რამ მაინც დაესახელებინა, თორემ მკითხველებმა ამ „მთაი“-ს გაგონებაზე იქნებ კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის, ჰიმალაის, აპალაჩის თუ კორდილიერების კლდოვანი ფერდობები წარმოიდგინონ, სადაც ბალახი კი არა, წარუნა თოვლიც ვერ იკიდებს ფეხს!

თანაც ამგვარი იაფფასიანი მეთოდ-პარალელებით „აფორიზმების“ ხანხვლა რომ დავამკვიდროთ, მაშინ ფეხისხმასაყოლილი დებიუტანტები თუ მოურჯულებელი გრაფომანები მოსდგებიან და ქართულ ლიტერატურაში „აფორიზმების“ გაუვალ ყორეებს შეახოხოლავებენ: „რა არის მთიელი უხანჯლოდ და ოჯახი – უყანწოდ“. „რა არის საქათმე უმამლოდ და „ტოიოტა“ უსიგნალოდ“. „რა არის ზარაფხანა უმონეტებოდ და პატარძალი უსამკაულოდ“. „რა არის არისტოკრატიული ოჯახი უყავოდ და მიყრუებული სოფელი უყვავოდ“, „რა არის ვაზი უსაროდ და ქალი უქმროდ“. „რა არის „მერსედესი“ უბენზინოდ და „პარკერის“ უძვირფასესი ავტოკალამი უმელნოდ“. „რა არის ბერიკაცი უკპილებოდ და როიალი უკლავიშებოდ“. „რა არის მარანი უქვევრებოდ და ქალი უმკერდოდ“. „რა არის მგლიანი სოფელი უთოფოდ და ქალაქის კვარტალი უექთნოდ“. „რა არის არწივი უფანგებოდ და „მაუზერი“ უვაზნებოდ“ და ასე უსასრულოდ: რა არის... რა არის... რა არის!..

მეათე „აფორიზმი“ მოქალაქის „პოპულარობის“ თავისებურ ფორმას გვიყალიბებს.

„ქალაქს რალაცად უნდა ულირდე, რომ შენზე იჭორაოს“.

ბ-ნო გიორგი (იური), მომიტევეთ, მაგრამ რაკი ამგვარი ენა და სინტაქსი სატანჯველში მაგდებს, ამიტომ ჯერ „ჩემს“ ენაზე გადავითარგმნი და კომენტარს მერელა გავაკეთებ.

**„ქალაქს რამედ უნდა ულირდე, შენზე რომ იჭორაონ“.**

ვაი ამგვარ ღირებულებას, თუკი პიროვნულ ღირსებებს ან რაიმე ხელობა-საქმიანობასთან დაკავშირებულ შენს მიღწევებს კი არ გიქებენ, არამედ ქალაქის ჭორხაბარები გაბურთავებენ!..

თავისი შემდეგი „აფორიზმით“ რ. მიშველაძეს გაუგო... გაუგონარი კი არა, წარმოუდგენელი გლობალური განათლების რეფორმა განუხორციელებია – ჩვენი პლანეტის უკლებლივ ყველა „ადამიანისთვის“ კალმისტარი დაუჭერინებია და წერად დაუსვამს. მოუსმინე!

**„ადამიანები გულწრფელნი ზოგჯერ თავიანთ უკანასკნელ სტრიქონებშიც კი არ არიან“.**

მონაფური აჩქარებით ნახმარი ეს ზოგადი „ადამიანები“ მკითხველებს ნამდვილ თავსატეს უჩინს, ვინაიდან შეუძლებელია ამის ამოცნობა – რევაზ მიშველაძის მიერ არაგულწრფელობაში დადანაშაულებულთა კატეგორიაში ვინ და ვინ უნდა ვიგულისხმოთ: მწერლები, პოეტები, დრამატურგები, კრიტიკოსები, მეცნიერები, მკვლევარები, სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკოსები, მემატიანეები, მოგზაურები, ბიოგრაფები, მემუარისტები თუ მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის სრულებით უცნობი რიგითი „ადამიანები“, ერთმანეთს სასიყვარულო ან რაიმე საქმიანობასთან დაკავშირებულ მდარე-მდარე ნაბარათევებს რომ სწერენ ხოლმე?! ხოლო აქ ავტორი თუ მთელი დედამიწის „ადამიანებს“ გულისხმობს, მაშინ ვინ დაიჯერებს, რომ ჩვენს პლანეტას გლობალური წერის პანდემია შეჰქოდეს და „ადამიანები“ წერის მეტს ალარაფერს აკეთებდნენ – ვინ იცის, რამდენი მიღიონობით „ადამიანი“ მოითვლება, თავის სიცოცხლეში ერთი სტრიქონიც რომ არ დაუწერია!

ანდა, ავტორი რატომ გაუკირვებია ამ „ადამიანების“ უკანასკნელი სტრიქონების არაგულწრფელობას?! ვის ვისა და ისეთ მწერალს, მეცნიერსა და ნომენკლატურულ მუშაქს, როგორიც რევაზ მიშველაძეა, კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ შექსპირისა არ იყოს: ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არისო, ასევე არაგულწრფელი „ადამიანებიც“ არაგულწრფელი იქნებიან თავ-თავიანთ როგორც უკანასკნელ, ასევე პირველ,

მეორე... მეშვიდე... მეასე... შუალა, ბოლო და საერთოდ, ყველა სტრიქნში!!!

მომდევნო „აფორიზმი“ კაცობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს გვიყალიბებს.

„კაცი იმით ხარ კაცი თუ რა სახელი და გამავლობა გახლავს“.

სხვა ყველაფერს თავიც რომ დავანებოთ, ჯერ საერთოდ მხატვრული თხრობა და მით უმეტეს, აფორიზმის სხარტი ბუნება, ნათელი სტილი და ლაკონური ხასიათი როგორ მოითმენს ამგვარ უსუსურ ენაბრგვილობას – „კაცი იმით ხარ კაცი?!“

რ. მიშველაძეს მაინც რა მიუჩინევია კაცობის ერთადერთ თუ უპირველეს კრიტერიუმებად? სახელი და გამავლობა. ეს ბოლო სიტყვა კუთხურია (იმერ.) და ასე განიმარტება – **გავლენა, ავტორიტეტი.**

აქ ყველაფერი ნათელია. „სახელითა და გამავლობით“ კაცობის კატეგორიაში, ცხადია, თავისუფლად მოხვდება ცნობილი საერო და სასულიერო მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, გამორჩეული შემოქმედი, ხელოვანი თუ სპოტსმენი... სანდო პოლიტიკოსი, ჯიბესქელი ქველმოქმედი, წარმატებული ბიზნესმენი, გულისხმიერი მეცენატი, სოფლის თავი კაცი... ქურდული სამყაროს ავტორიტეტები? ჰმ, რაკი საქმე **გამავლობაზეა** მიყვანილი, მათ რომ **გამავლობა** აქვთ!.. თუმც იმათ მოვეშვათ და ერთი ესეც ვიკითხოთ: ამქვეყნად რამდენი უარავრაო, პიროვნელიანი კაცია, მათი არსებობა საზოგადოებამ არც კი იცის და არავითარი „**სახელი და გამავლობა**“ არ გააჩნიათ, მაგრამ თავ-თავიანთ უმნიშვნელო ადგილას სამედო ჯარისკაცებივით ჩალურსმულები, სამშობლოს პატიოსნად, უანგაროდ და უპრეტენზიოდ ემსახურებიან!

საინტერესოა, ამგვარ უმნიშვნელო და უჩინო ხალხს მიუდგება თუ არა კაცობის განმსაზღვრელი მიშველაძისეული არშინი: „კაცი იმითა ხარ კაცი თუ...?!”

ყველაზე თარსრიცხვიანი, რიგით მეცამეტე „აფორიზმის“ გარჩევის მოლამემ ხომ ჯერ თავზე რცხილის წნელი უნდა შემოიჭიროს!

„**შენი ამ ქვეყანაზე ერთ დროს არსებობა რომ ვერავისთვის**

**დაგიმტკიცებია, რა ხარ ახლა, ის მითხარი შენ, თვარა „ეს ვიყავი“ გრამაფონშია“.**

ბ-ნო გიორგი (იური), როდემდე და სადამდე?! რომელ ცოცხალ კლასიკოსობანასა და პროზის რაინდობაზე ლაპარაკილა შეიძლება ამ ზეჩიქორთული „შენი ამ ქვეყანაზე ერთ დროს არსებობა“-ს შემდეგ? ბოლოს და ბოლოს მე, ერთი უმნიშვნელო მწერალიც კი ვხვდები და ნუთუ თქვენ, გენიალური კრიტიკოსი (ოთხიოდე გვერდის შემდეგ მთელ საქართველოს ავუხსნი, სად იელვა თქვენმა გენიალობამ!) ვერ გრძნობთ, რომ თქვენს ამოჩემებულ კუმირს საერთოდ არ გააჩნია ენობრივი სმენა, სინტაქსის ალლო, მხატვრული თხრობის სიზუსტე და მისი მაგდენი ქებით პირს ტყუილუბრალოდ იცვეთო?

ამ ღია წერილის წერამ ისე გამომასავათა, სუფრაგაშ-ლილი, მაგრამ წუთებდათვლილი მშიერი მომაკვდავივით ვეღარ გავრკვეულვარ, რას შევახო ხელი თუ მზერა! აი, თუგინდ აქედან დავიწყოთ: ავტორი მოქმედებას რაკი აწმყოთი გვისურათებს „ვერავისთვის დაგიმტკიცებია“-ო, მაშინ რაღა სახსენ-ებელი იყო ეს მკითხველის ტვინის გამბურღავი „ერთ დროს?!“ აქ ისე გამოდის, თითქოს ცოცხლად დამარსულ პერსონაჟს იქ, საიქიოში დამხვდომი, თანაც სასწაულებრივად გაცოცხლებული და გარსშემოხვეული შარიანი მკვდრებისთვის თუ უდრეკი მსაჯულებისთვის ვეღარ დაუმტკიცებია აქ, სააქაოს ანუ „ამ ქვეყანაზე ერთ დროს“ თავისი არსებობა თუ ამ არსებობის რაღაცით გამორჩეული მნიშვნელობა!!!

ღმერთო, ამგვარი თუკის ნამტვრევების მსგავსი აბდაუბდისაგან კაცი შეიძლება შეიშალოს!

აბა, ჩაუკვირდეთ: „**შენი ამ ქვეყანაზე ერთ დროს**“ არსებობას რაღა დამტკიცება უნდა, თუკი პერსონაჟი ურნწმუნო ოპონენტებს წინ უზის, სუნთქავს, მეტყველებს და რაღაცის დამტკიცებას ლამობს! დაუფიქრებელ-დაუკვირვებელი ავტორისაგან თავგზადაკარგულმა უბედურმა პერსონაჟმა შეიძლება „**ერთ დროს**“ თავისი ცნობილი, განთქმული, საარაკო და მქუხარე, ოღონდ ან უკვე ჩავლილი, გადაქუხებული, გამქრალი, კვალნაშლილი, ყველასაგან მივინყებული დიდვინმეობა ვეღარაფ-

რით დაამტკიცოს, მაგრამ მის არსებობას – ჯერ კიდევ ცოცხალი, მსუნთქავი, მეტყველი, მოძრავი და ხელშესახები კაცის არსებობას! – რაღა დაამტკიცება სჭირდება?!

ან აյ რანაირი აზრობრივ-ლოგიკური გადაბმაა: თუკი „შენი ამ ქვეყანაზე ერთ დროს არსებობა რომ ვერავისოთვის დაგიმტკიცებია“, მაშინ ეს რითი და როგორლა უნდა ახსნა თუ დაამტკიცო – „რა ხარ ახლა, ეს მითხარი შენ?“

„ეს მითხარი შენ!“ – ო, ამგვარად მოცოდვილებულმა ფრაზამ შეიძლება მგელივით აგაყმუვლოს! აი, ქართული ზმის ჯადოსნური შესაძლებლობის უპატიებელი უცოდინარობისა თუ მისდამი გამოჩენილი პათოლოგიური უნდობლობის კიდევ ერთი სავალალო-სამარცხვინო მაგალითი!

ეს დალოცვილი ზმია „მითხარი“ თავისთავად გულისხმობს და ღვიძლ დედასავით იავნანურად ჩაგვჩურჩულებს პირველ პირთან პირისპირ მოსაუბრის აღმნიშვნელ მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელსაც – „შენ!“ მაგრამ რაკი ავტორი ბოლომდე ვერ არის განდობილი მშობლიური ენის ზმის ბუნებას, მოქნილობასა და შესაძლებლობას, ამდგარა და ამ მოკლე, უმარტივესი და ისედაც ნათელი ფრაზისთვის „ეს მითხარი“ უსარგებლო ზედმეტი ლურსმანივით დაუჭიდებია „შენ!“ თუმც „დაუდევრობით“ მაინც გამორჩენია კიდევ ერთი „ლურსმანი“ ანუ პირველი პირის ნაცვალსახელის მხოლობითი რიცხვი „მე!“

აი, აი, აი! ქართული პროზის რაინდს ეს როგორ გამოეპარა – ფრაზა მაშინ უფრო დახორბლებული, სრულყოფილი და ძარღვიანი გამოუვიდოდა: „ეს მითხარი შენ მე!“ ან „მე ეს მითხარი შენ!“ ანდა „ეს მითხარი მე შენ!..“

ბ-ნო გიორგი (იური), არ იფიქროთ ვხუმრობდე... არა, მაგას როგორ შემოგყადრებთ!.. ან რა დროს ხუმრობაა – ალმწოთებისგან ლამის თვითაალებით ჩავიწვა: მჭადივით სახელდახელოდ შეხანხლულ ე. ნ. მხატვრულ წიგნებში, პერიოდულ ლიტერატურულ პრესასა თუ ზეპირმეტყველებაში უმეცართაგან დაბრიყვებულ ქართულ ზმნებს ეს ამოდენა უადგილოდ ნაროში ნაცვალსახელები ისე უმოწყალოდ ეხვევა და

ნესტრავს, როგორც მზისგულზე დაბმულ ანგელოზისთვალება ბუჩინას აპეზარი ბუზანკალები – „ახლავე მომეცი ეგ შენ მე!“ „ეს მე რატო არ მითხრა მან?!“ „მაშინ შენ ხვალვე დამირეკე მე!“ „არა, არა – ამას ის გეტყვის შენ!..“ აქ ასევე გაოცებას იწვევს: წინდახედულმა მწერალმა რანაირად შეიძლება აფორიზმი დაასრულოს აქა-იქ ნათრევი, უმოწყალოდ გაცვეთილ-გაუხეშე-ბული ვულგარული გამონათქვამით „თვარა „ეს ვიყავი“ გრამა-ფონშია!“

ეს იმდენად შეურაცხმყოფელია, რომ მკითხველს ეწვენ-ება: ბოლო სიტყვის „გრამაფონი“ მაგიერ „გრაფომანი“ ხომ არ უნდა იყოსო!..

თავის შემდეგ „აფორიზმში“ რ. მიშველაძე ავადმყოფის ფსიქიკასაც ეხება.

„ავადმყოფობა სწორედ მაშინაა დამარცხებული, როცა მის დავინწყებას იწყებენ“.

არა, არა ჩანს საშველი: ისევ ის მიშველაძისეული უნ-ალვლელობა, ზერელობა, კლასიკოს-რაინდულობა და აქედან გამომდინარე, აზრობრივ-ლოგიკური ქაოსი და უმაღლ თვალში საცემი წინააღმდეგობა!

აბა, რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს, რომ ავადმყ-ოფობის „დავინწყების დაწყებით“ კი არა, თუგინდ მისი სრული დავინწყებით ავადმყოფობა მარცხდებოდეს?!

„დავინწყების დაწყება“ კი არა, მაგალითად, ზოგიერთ გე-ნიოსსა თუ ცნობილ შემოქმედს ისეთი იგავმიუწვდომელი სუ-ლიერი სიფოლადე და შემართება გამოუჩენია, რომ რომელიმე უკურნებელი სენი ან უკვე გამოუბრუნებლად დასაძირკვლებუ-ლი ავადმყოფობა სულ დაუგინებია, რათა თავისი დათვლილი დღეები და ენერგიის ნაწრეტი გედის სიმღერისთვის მიეძლვნა! მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ამგვარი „დავინწყებით“ მისი ავადმყოფობაც დამარცხებულა! რანაირად? მოურეველ ავადმყ-ოფობას თავისი საქმე მაღლ მაინც ბოლომდე მიუყვანია!!!

ანდა, პირიქით: ბევრ პაციენტს რომელიმე საშინელი სენით ან თუგინდ იპოქონდრიით მიყენებული სულიერი ტრავმა თუ პათოლოგიკური შიში სიკვდილამდე გაჰყოლია, მიუხედავად

იმისა, რომელიღაც ეტაპზე სრულყოფილად გამოსაღებულა!..  
ჰმ! ავადმყოფობის „დავინების დაწყებით“ ავადმყოფო-  
ბაც მართლა რომ მარცხდებოდეს, ხომ წარმოგიდგენიათ, მაშინ  
რა იქნებოდა?!

და აპა, ბოლო, მეთხუთმეტე „აფორიზმის“ ჯერიც დადგა!  
„ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა კარგად ცხოვრობ“.

დღევანდელი გაძალლებული ყოფნა-ცხოვრების პირობებ-  
ში აქ თუ მარტო რომელიმე ან რამდენიმე პერსონაჟი და თვი-  
თონ ავტორია ნაგულისხმევი, ეს საზოგადოების დაცინვა და  
შეურაცხყოფაა, ხოლო რ. მიშველაძე თუ მთელი საქართველოს  
გატანჯული მოსახლეობის სახელით გველაპარაკება, მაშინ აქ  
რა იყო საბრძნო-სააფორიზმო?!

ამგვარი ტლანქი, სწორხაზოვანი გამონთქვამები აფორ-  
იზმებად რომ ვაღიაროთ, ვინ იცის, რამდენი თანამედროვე  
მოცლილი, ახალი „რუსთაველი“ შეუდგეს „აფორიზმების“  
კონვეირულ ბეჭვას: „ფული მაშინ არის კარგი, როცა შინ დას-  
ტა-დასტა გინწყვია“. „რეანითელი და საფერავი მაშინ არის კარ-  
გი, როცა საშაპალნიანი და სამოცკოვანი ქვევრები გილი-  
ცლიცებს“. „ყიდამეთში სეირნობა მაშინ არის სასიამოვნო, როცა  
თბილი ფეხსაცმელ-ტანსაცმელი გაცვია“. „ჩაქაფულისთვის  
ბატკნის ფეხსოს დასახსრება მაშინ არის აფვილი, როცა ფხაბა-  
რი დანა გიჭირავს“. „ნერა მაშინ არის კარგი, როცა შეშლილი  
კი არა, უხმაურო მეზობლები გყავს“. „მგელზე ნაღირობა მაშინ  
არის კარგი, როცა თოფს კარტეჩის მძლავრი მიტანა, თანაბარი  
გაშლა და ლრმა ჭრა აქვს“. „შემოქმედებითი მუშაობა მაშინ არის  
კარგი, როცა სათნო მეუღლე გყავს“. „ლიტერატურული ორგა-  
ნოს რედაქტორია მაშინ არის კარგი, როცა მას შურგაუკარებელი  
რედაქტორი ჰყავს“. „ავტოკალამი მაშინ არის კარგი, როცა უნ-  
აკლოდ გემსახურება“. „მელანი მაშინ არის კარგი, როცა ნალექს  
არ იკეთებს და თან ღვთაებრივ სურნელს აფრქვევს“... „ცხოვრე-  
ბა მაშინ არის კარგი, როცა ყველა მეტ-ნაკლებად ხეირიანად  
ცხოვრობს“. „ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა შენ ირგლივ  
თვალამოლამებული მშიერ-ტიტვლები არ დაბორიალებენ“. „ცხ-  
ოვრება მაშინ არის კარგი, როცა ყოველ ნაბიჯზე ხელგაშვერილი  
მათხოვრები არ უსსედან“. „ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა  
ქუჩა-მოედნებზე უსაქმურ-უმუშევართა ბრბოები არ იხილვება“. „ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა...“

ეპ, კაცი თავის რჯულს თუ გადაუდგება, რა გამოულევს  
ამგვარ „აფორიზმებს?!“..

\* \* \*

ბ-ნო გიორგი (იური), ჩემს „ლვიძლ“ საქმიანობას ანუ პროზის უანრს თუმც დროებით, მაგრამ მაინც იძულებით მოწყვეტილსა და ჭინჭარივით მსუსხავი პოლემიკის ბურანში წასულს, თქვენი წერილის ერთ-ერთმა სტრიქონმა მოულოდ-ნელად თავით ტერფამდე ელვასავით დამირბინა და ახლა ვეღ-არც გამიხსენებია, რამდენიმე წამით, ალბათ, გამთიშა კიდეც: თქვენი სახით თურმე გენიალურ კრიტიკოსს შევპაექრებივარ, უფალმა კი ბოლოსდა ამიხილა თვალი!!!

თქვენ ერთადერთ სტრიქონში ყველასათვის თვალის ამხ-ელი ისეთი გენიალური უბრალოებითა და სიზუსტით ხსნით რევაზ მიშველაძის შემოქმედების არსა და ხასიათს, რომ ამგ-ვარი ლაკონური და ამომწურავი მინიშება-აღმოჩენა ყველა დროის ყველაზე სახელოვან კრიტიკოსთა შორის სამართლი-ანად გითავისუფლებთ საპატიო ადგილს!!!

ოლონდ ნუ დამზრახავთ და ამას კი ვერ ვხვდები: ეს მართლა თქვენით აღმოაჩინეთ და შეგნებული გქონდათ, ამო-ჟინებულ კერპზე ასეთი პირუთვნელი რამის თქმას რომ აპირებ-დით თუ იმნუთას გენიალური ზეშთაგონებით შეპყრობილი, არა-ფრის აზრზეც არ იყავით: თქვენს პატიოსან ხელზე ღმერთსაც ევლო ხელი და თავად უზეშთაესმა დაგანერინათ! თუმც ეს რო-გორ უნდა გაირკვეს ან ამის გარკვევას რაღა აზრი და მნიშვნ-ელობა შეიძლება ჰქონდეს, როცა ეს უკვდავი სტრიქონი მთელ საქართველოს თქვენი საკუთარი გაარ-სახელით მოეფინა!

ეს არის არა ჩვეულებრივი, თუგინდ მართლა გენიალუ-რი ლიტერატურულ-კრიტიკული სტრიქონი, არამედ დაბრენ-ებული დიდოსტატის მიერ უხინჯოდ გამოწყეპილი ბაჯალო ოქროს პანაწყინა გასაღები, რომელიც ამიერიდან ქართული ლიტერატურული კრიტიკის ხავერდგადაკრულ სტენდზე ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას იქნება დავანებული!

ეს ჯადოსნური ოქროს გასაღები უსიკვდილოდ უნდა ითხოვოს და მოიმარჯვოს ყველა იმათგანმა, ვინც კი ოდესმე მწერალ რევაზ მიშველაძის მხატვრულ-ლიტერატურულ სამ-ყაროში პირუთვნელი კრიტიკული კვლევა-ძიებისთვის შეპი-ჯებას განიზრახავს და ამავე დროს თან თუკი არ ენდომება იქ ალალბედური ხელის ფათურ-ცეცებითა და ქანცგამწყვეტი უგზო-უკვლო წონიალით თავი გაიტანჯვოს!

აი, ის სტრიქონიც!

„ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს არც უცხოეთში ტურ-ისტად გასაგზავნი კაცის შერჩევის საკითხს“.

ჰმ, „საკითხებს“, არა?!?

ჰოდა, ძალლის კუდიც სწორედ მანდ მარხია!!!

მხატვრული ლიტერატურის ლვთივმომადლებულ მიზან-სა და მშვენიერებას რ. მიშველაძე პარტიულ-პროფესიულულ კრებებზე გასატან მწვავე „საკითხებს“ ვულგარულ გაშიშვლებამდე რომ აქვეითებს, ხოლო სასურველი რაოდენობის ტომების შესავსებად მხატვრულობის თვალსაზრისით მისდევს და იაფურად ახუჭუჭებს, სწორედ ეს არის „მწერლის გაზეთის“ სანალვლებელის უმთავრესი მიზეზიც.

„ხელისუფლების ნარმომადგენლებს კი არა, რევაზ მიშველაძე მწერალთა 3 პროცენტსაც არა აქვს წაკითხული“.

აგერ „უცხოეთში ტურისტად გასაგზავნი კაცის შერჩევის საკითხს“ განხილვის მიშველაძისული სტილი და მხატვრულობა.

„ვინ შეარჩია საპარიზოდ, რა უნდა ამას პარიზში, თავის მოქრის მეტს რა ხეირს დაგვაყრის ამნაირი, „პერსონა“.

სამწუხაროდ, მწერლის ეს სამართლიანი აღშფოთება მარტო ტურისტულ „საკითხს“ კი არა, ჩვენი ცხოვრება-მოღვაწეობის უკლებლივ ყველა დარგსა და „საკითხს“ ეხება!..

ბ-ნო გიორგი (იური), დასასრულ, ყველასათვის ადვილად გასაგები ეს თქვენი გენიალური და ნათელი აღმოჩენა, ალბათ, საქართველოს მწერალთა კავშირის რუპორს, „მწერლის გაზეთსაც“ აუხელს თვალს და როგორც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ნარმომადგენლების, ისე ქართველი მწერლების 97-98 პროცენტისათვის დამიზნებული საყვედურის ზარბაზნის უზარმაზარ ლულას იქნებ ახლა მაინც შეუცვალოს მიმართულება.

კეთილი სურვილებით  
ჯემალ მეხრიშვილი

დედოფლისწყარო

1-31 დეკემბერი, 2013 წელი

## ერთი იდეის ისტორია

ქორები ნადავლს არავის უნანილებენ.  
ერნესტ პემინგუეი

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს თბილის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულმა ხალხური პოეზიის საღამოებმა საყოველთაო მოწონება და აღფრთოვანება რომ გამოიწვია, ზედმოყოლებით ერთხელ ტელევიზიით გამოსვლისას ამ საღამოთა ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, ვახუშტი კოტეტიშვილმა მაყურებლებს ყელმოლერებით აუწყა: როგორც კი განვიზრახეთ ხალხური შემოქმედებითი საღამოების გამართვა, აბა, მაშინვე წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, იოსებ ჯლუთაშვილთან ჩავედით!

გასაკვირია: ამგვარი ღონისძიების ორგანიზატორები ჯერ მიდიან არა კაფიების კლასიკურ მხარეებში – ფშავ-ხევსურეთში, ხევსა და თუშეთში, არამედ ქიზიყის რაიონში და ისიც ერთ კონკრეტულ პიროვნებასთან, კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, იოსებ ჯლუთაშვილთან!

საქმეში ჩაუხედავ, მაგრამ გონიერაგახსნილ კაცს უეჭველად დაებადება ბუნებრივი კითხვა: კი მაგრამ, რატომ მაინც დამაინც იოსებ ჯლუთაშვილთან?

აი, რატომ!

\* \* \*

ჯემალ მეხრიშვილმა თსუ ისტორიის ფაკულტეტი 1969 წელს დაამთავრა და ისევ წითელწყაროს რაიონს დაუბრუნდა. იქ ჯერ საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ მდივნად მუშაობდა, მერე რაიგაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქტორის მოადგილედ.

იმხანად საკავშირო მასშტაბით ქუხდნენ წითელწყაროს რაიონის სოფლების: ზემო მაჩხაანის, ჯაფარიძის, ზემო ქედისა და გამარჯვების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სო-

ციალისტური შრომის გმირები – ნიკო მამაიაშვილი, ნიკო ყოჩიაშვილი, არსენ კობაიძე, ვანო ფიროსმანაშვილი.

ესენი იყვნენ არა მარტო რეჟიმის მიერ ხელშეწყობილი და პროპაგანდისტული მიზნით საგანგებოდ წინ წამონეული საკოლმეურნეო მოძრაობის ტიპური კოლოსები, არამედ ამავე დროს მართლა უბრალო ხალხის წიაღიდან გამოსული, ცხოვრებისეული ჭირ-ვარამისა და მიწის საიდუმლოებათა მცოდნებრძენი გლეხეკაცები...

\* \* \*

1975 წლის იანვრის ბოლოს ჯ. მეხრიშვილმა „მნათობის“ რედაქციაში მოთხრობა მიიტანა. რედაქტორი გიორგი ნატროშვილი ამოუხსნელი სიხარულით შეეგძა, თუმც ახალგაზრდა მწერალს მაშინვე ცივი წყალი გადაავლო – მოთხრობა ისე შეჭყუნა უჯრაში, არც კი დაუხედავს: დღეს შენთან მე თვითონ ვაპირებდი დარეკვას და აპა, ღმერთმა შენი ფეხით მოგიყვანა! კარს მომდგარი საკავშირო 25-ე პარტყრილობის შესახვედრად საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანებზე ზევიდან ნარკვევების გამოქვეყნება დაგვავალეს. ჰოდა, ზემო ქედის კოლმეურნობის თავკაცზე, არსენ კობაიძეზე შენზე უკეთ ვინ დაწერს – თქვენებურია, კარგად გეცნობებაო.

იმედგაცრუებული ჯ. მეხრიშვილი ქუჩაში რომ გამოვიდა, უეცრად დემონურმა აზრმა უელვა: პარტიისა და „კარს მომდგარი“ საკავშირო ყრილობის ჯინაზე დაეხატა არა საკოლმეურნეო მშენებლობის ტრაფარეტული რეინაბეტონის ტლანქი კოლოსი, არამედ თავისივე მოძმეებს შორის მოსაქმე ერთი ჩვეულებრივი მინის შვილი, ცოცხალი ქართველი კაცი, რომელიც ამავე დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარეც იყო! ამიტომ რაკი ისედაც კარგად იცნობდა როგორც თვით არსენ კობაიძეს, ისე მის საქმიანობას, წითელწყაროში რომ დაბრუნდა, ზედმეტად ალარ შეანუსა: მაშინვე ჩაუჯდა და აქეთობას მატარებლის გაბმულ რუზრუზში თავისი ფანტაზით გამოგონილ – ოლონდ რეალურს მიახლოებულ! – ამბებზე დაყრდნობით ერთ დღე-ლამეში დაწერა მოთხრობის ყაიდის ნარკვევი „შენი მინა...“, რომე-

ლიც 1975 წლის „მნათობის“ მე-3 ნომერში დაიბეჭდა.

ამ ნარკვევს მაშინვე შეეხო მწერალი რევაზ ჯაფარიძე („ლიტერატურული საქართველო“, 1975წ. , 18 ივნისი).

„ცალკე უნდა გამოვყო ახალგაზრდა ავტორის, ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევი. ავტორი ისე ხელშესახებად, რელიეფურად, საქმის ცოდნითა და ტემპერამენტით გვიხატავს გმირის სულიერ სამყაროს, ძნელია მის მიმართ პატივისცემითა და მოკრძალებით არ განიძისჭვალო“.

ამავე ნარკვევს კრიტიკოსი ჯუბქერ თითმერიაც გამოეხმაურა („ლიტერატურული საქართველო“, 1976 წ. , 27 თებერვალი).

„საყურადღებოა ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევი „შენი მინა...“ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს არის მოთხობა... აბა, არსენ კობაიძის შრომითი გმირობის ამბავი ვის არ სმენია?! რამდენი რამაა დაწერილი ამ სამაგალითო მშრომელ კაცზე! მაგრამ ჯ. მეხრიშვილმა არსენ კობაიძე გვიჩვენა ყოფაში, გვიჩვენა მხიარულების დროს, გვიჩვენა თანასოფლელებთან პურის ჭამისას, ძმაკაცებში ხუმრობა-თავშექცევის დროს... არავითარი სქემა, არავითარი ტრაფარეტი. უსმენთ ადამიანს, გვერათ მისი, გწამო...“

ჯ. მეხრიშვილის ეს ნარკვევი ფორმით ორიგინალურია, დაწერილია ძარღვიანი ქართულით...“

\* \* \*

რაიონს კოლმეურნეობათა სხვა შესანიშნავი თავმჯდომარებიც ჰყავდა, ოლონდ ეგაა, მათ ეს წელან დასახელებული ოთხი გოლიათი ჩრდილავდა.

ერთ-ერთი მათგანი იყო ვეტერან თავმჯდომარეებთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდა, ქვემო ქედის კოლმეურნეობის თავკაცი იოსებ ჯლუთაშვილი.

რაც მართალია, ქვემო ქედის კოლმეურნეობა სამეურნეო მაჩვენებლებით ვერ ბრწყინავდა, მაგრამ არც ბოლო რიგში იდგა, ხოლო მისი მესვეური, იოსებ ჯლუთაშვილი თავისი პიროვნული ღირსებით არაფრით ჩამოუვარდებოდა უფროს კოლეგებს, ხოლო ზოგიერთი თვისებით მათ სჯობნიდა კიდევ! ჰოდა, 1976 წლის ივლისში ჯ. მეხრიშვილმა წითელწყარო

რომ მიატოვა და საცხოვრებლად თბილისში გადავიდა, გულში ხინჯად გაჰყვა – გოლიათთაგან უკან მიყენებულ ამ შესანიშნავ თავმჯდომარესა და გამორჩეულ პიროვნებას რესპუბლიკურ პრესაში ერთი კუდმოკვეცილი ნარკვევიც ვერ შეაწია...

\* \* \*

1978 წლის 20 აპრილს, ხუთშაბათს, ჯ. მეხრიშვილმა უურნად „მნათობის“ მთავარ რედაქტორს მოთხრობა მიუტანა.

გასაკვირია, ახლაც 1975 წლის იანვრის შემთხვევა განმეორდა: **გიორგი ნატროშვილმა** მოთხრობა უჯრაში დაუმწყვდია და ახალი დავალება მისცა – შედარებით უცნობ, რომელიმე შირაქელ თავმჯდომარეზე „ერთი შენებური“ ნარკვევი უნდა დამიწერო. თან წააქეზა.

- მივლინებაში თუგინდ მთელი თვით გაგიშვებ!

ოზაანელს მტკიცნეულად შეუკრთა ოდესალაც გულში ჩარჩენილი ხინჯი და ჯადოსნური აღამფრენა დაეუფლა – აი, ახლა კი ჩამოჰკრა **იოსებ ჯლუთაშვილის** საათმაცო!

- კეთილი, მოვიფიქრებ და ამ დღეებში მოვალ.

- ოღონდ არ დაიგვაანო!

რედაქციიდან ისევ რუსთაველზე რომ გამოვიდა და აპრილის ჰაერი ეყნოსა, გულატოკებით იგრძნო – ოდესალაც, სადღაც დაგროვილ-გადანახული სათქმელი მეწყერივით როგორ მოუზვავდა! ახლა საჭირო იყო მისი შეკავება, გადადნობ-გადმოდნობა და გამოკვეთილ ყალიბში მოქცევა! ოღონდ მივლინებაში ხეტიალის წუთისოფელი არ ჰქონდა – მეუღლე მუშაობდა, თერთმეტი თვის გიორგი კი მის ანაბარას იყო. ეგეც რომ არა, რა ჯანდაბად უნდოდა მივლინება და სამეურნეო დავთარ-უწყისების თავ-შესაწყენი ქექვა, როცა მის წარმოსახვაში ჯერ კიდევ ცოცხლად იყო შემონახული იქაური გარემო, ამბები, სულისკვეთება! კი მაგრამ, მარცვლეულის, წველადობისა და პირუტყვის სულადობის მაჩვენებლები?! ოჰ, ეს ფუნქციონერების მეტს ვის რაში აინტერესებს?! მთავარია ადამიანი – მისი ხასიათი, ვნებები, ხინჯი, ღირსება, ცხოვრებისეული გეში!...

მწერალი მაშინვე მთავარ ფოსტაში შევიდა და რაიონში

დარეკა, რათა შეეტყო – იოსები ისევ თავმჯდომარეობდა თუ არა...

თვრამეტგვედიანი ნარკვევი „შირაქელი თავკაცი“ სამ დღეში დაწერა. გიორგი ნატროშვილი ჯერ განცვიფრდა – რატო მივლინებისთვის არ მოხვედი, ასე უცებ როგორ მოას-ნარი წითელწყაროში წასვლა-წამისვლა ანდა, დაწერა! ხოლო როცა შეიტყო, მწერალს თბილისიდან ფეხიც არ გაედგა და იოსებ ჯლუთაშვილს ტელეფონითაც არ გამოლაპარაკებოდა, შიშმა აიტანა – ეს რამ გაგაბედინა, ემანდ რამე ხათაბალაში არ გავეხვიოთო.

ოზაანელმა დაამშვიდა და დაარწმუნა – მსგავსი არაფერი იყო მოსალოდნელი და ყველაფერს თავისი თავზე იღებდა. დამშვიდებულმა რედაქტორმა ნარკვევი ავტორის თვალწინ ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა, მოუწონა, უურნალის ტექნიკურ რედაქტორს, რუსუდან ჩაკვეტაძეს მაშინვე გაატანა სტამბაში და 1978 წლის ივნისის ნომერში დაიბეჭდა კიდეც!

\* \* \*

ნარკვევს წარმოუდგენელი წარმატება ხვდა. მას კრიტიკოსი გივი ვარდოსანიძე გამოიხმაურა (ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1979 წ., №2). გთავაზობთ შემოკლებით.

„.... ინტერესით იკითხება ახალგაზრდა მწერლის, ჯემალ მეხრიშვილის „შირაქელი თავკაცი“. რა განაპირობებს ამას? ცოცხალი, ბუნებრივი ენა, სადა, დახვეწილი სტილი, შეკუმშული კომპოზიცია, ცოცხალი, დამაჯერებელი დიალოგები, მოხდენილი თქმები და სხარტულები, რაც მოხერხებულად არის ჩართული თხრობაში...“

ჩანს, ჯემალ მეხრიშვილი კარგად იცნობს სოფლის ცხოვრებას, საერთოდ, მის ადამიანებს. მას შეუძლია მხატვრული შტრიხებით წარმოაჩინოს ხასიათის არსებითი თვისებები, ცხოვრებაში და ადამიანებში შენიშნოს მთავარი, არსებითი...“

ნარკვევის რვა ქვეთავიდან მკითხველებს განსაკუთრებით თურმე ერთ-ერთი მათგანი, „კაფია, კაფია!“ მოსწონებოდათ.

ჯ. მეხრიშვილი, როგორც სოფლად დაბადებულ-გაზრდილი და თანაც ნამწყემსარი, კარგად იცნობდა რაიონს და

კერძოდ, ქედელთა ყოფა-ცხოვრებასაც. ასევე იცოდა, რომ იოსებ ჯლუთაშვილი ენამახვილი და მოსათმენი სკაბრეზული კაფიების დიდოსტატი იყო და ვინმე თუ სიტყვას უტიფრულად გაუტრიზავებდა, სხარტ პასუხს შეუყოყმანებლად უბრუნებდა!

აქედან გამომდინარე და ამაზე დაყრდნობით, მწერალმა თვითონ შეთხზა და თავმჯდომარეს ათქმევინა მისთვის ცნობილი ამბებისა და შემთხვევების ამსახველი კაფიები, სოფელსა და კოლმეურნეობის ჭირ-ვარამს, ადამიანურ ურთიერთობებს რომ ეხებოდა.

აი, ის ქვეთავიც!

### კაფია, კაფია!..

**იოსებ ჯლუთაშვილი** პოეტი კაცია. მართალია, პოეტის კვალობაზე ლექსების კრებული არ გამოუცია, მაგრამ ის მაინც ნიჭითცხებული პოეტია. თანაც ისეთი კი არა, ლექსთან რომ ცოდვილობენ და ზღვა მელან-ქალალდს აფოლებენ. არა! ექსპრომტად, სხარტად – კაფიაზე მაქვს ლაპარაკი!

შირაქელები მთიდან ჩამოსახლდნენ. მრავალგვარ ზნე-ნირთან ერთად მათ კაფიის შნო და სიყვარულიც ჩამოიტანეს. თვით ჯლუთაშვილი ხომ პირველი მოკაფიავეა. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან თუ სოფლისთავი და პირველი კაცი ხარ, კაფიაობაშიც პირველი უნდა იყო, თორემ თუ ჩაგჭრეს თანასოფლელებმა, მერე მორჩა: გინდა მჯდარხარ კაბინეტში, გინდა არა – შენს თავმჯდომარეობას ადრინდელი ზავთი და ლაზათი აღარ ექნება.

მეითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს კაფია კაფიისთვის უნდოდეთ და ეს უბრალოდ მოსწრებული სტროფებით ჟონგლიორობა იყოს. არა! კაფიით მშრომელს აქებენ, დალლარას – ანამუსებენ, მეტიჩარას – კილავენ, კახპას – არცხვენენ, მავნე ტრადიციებს დასცინიან, ცხოვრებას ილამაზებენ. ამას ქვემოთ დავინახავთ.

ერთ უბირ დედაბერს, რომლის შვილიშვილი ოქროს მედლის კანდიდატი იყო სკოლაში, ეგონა, რაკი იოსები სოფელს

თავკაცობს, ყველაფერზე განუკითხავად მიუწვდება ხელიო და ქუჩაში რომ შემოხვდა, კაფია შეაგება.

თუ ნანას დაეხმარები  
მიაღებინებ მედალსა,  
დაგიკლამ დუმიან აზმანს,  
ზედ მიგიყოლებ დედალსა!

ჯლუთაშვილს გაეცინა და არ დაუგვიანა.

ასე იცოდე, მოხუცო,  
ასე უთხარი ნანასაც:  
თვითონ მიიღოს მედალი  
მე ჩემით დავკლავ ტანასა!...

ერთი ახალგაზრდა მევენახე ჭკუას კარგავდა „ჟიგულისთვის“, მაგრამ რიგით ჯერ არ ერგებოდა, ამიტომ თავმჯდომარის დანამუსება გადაწყვიტა და ერთხელ, საერთო კრების დაწყებამდე, როცა ხალხით იყო გაჭედილი კანტორის ეზო, კიბეზე ამავალ იოსებს შესძახა.

„ჟიგულ“ მამეცი, იოსებ,  
მოგიკრებ ვარდის კონასა!  
თუ ვარდი არად გილირს და  
ქრთამს მოგცემ შენსა წონასა!

იოსებმა გადმოსძახა.

მოგართმევ, თუკი ჰექტარზე  
მიიღებ ათსა ტონასა!

ეს იყო კაფიაც, გამოწვევაც, ვალდებულების ზეპირი გაფორმებაც, რომელსაც ქალალდი და ბეჭედი აღარ სჭირდებოდა – დამსწრე ხალხზე საიმედო ბეჭედი რაღა უნდა ყოფილიყო. ახალგაზრდამ არ დაზოგა ძალ-ლონებ, თავისზე გაპიროვნებული თითოეული ჰექტრიდან ათ ტონაზე მეტი ყურძენი მიიღო. თავ-მჯდომარემაც ურიგოდ გამოაყვანინა „ჟიგული“...

გადაბმულმა უძილობამ და ნიადაგ მინდორ-მინდორ მგზავრობამ ერთხელ ისე დაქანცა იოსები, რომ უეცრად ცუდად გახდა და მეგობრებმა თბილისში გააქანეს. ეს რომ შეიტყვეს სოფლის თითო-ოროლა მუქთამჭამელმა სვავებმა, დრო იხელთეს, ჩავიდნენ მეძროხეობის ერთ-ერთ ბრიგადაში და ძმაკ-

აც ბრიგადირს მანამ უჩიჩინეს, სანამ ერთი მსუქანი ურწანი არ დააკვლევინეს.

იოსებს საავადმყოფოში დასაწოლი არა აღმოაჩნდა რა, მესამე დღესვე ქვემო ქედში გაჩნდა და ფერმებს ძელქორივით ჩამოუარა. მოქეიფეთა ბრიგადას მიადგა და რასა ხედავს: ნედლი ტყავი დერეფანში გდია, უპატრონოდ მიყრილ თავ-ფეხს ლუშის ბუზები ეხვევა; ბინიდან შეღვინიანებული ხალხის ყაყან-როხროხი მოისმის.

მოქეიფებმა ფანჯრიდან იოსები რომ დალანდეს, ელდა ეცათ და დერეფანში მდუმარედ გამოიშალნენ.

ერთმა მათგანმა კაფიით სცადა რისხვის აცილება.

ტყავს შუბლშაკრული ნუ უცქერ,

ცუდ ამბავ არა მაჟხდაო...

კაცო, საიდან მახვედი,

შენზე თქვეს, ვითამ მაჟკვდაო!

თავმჯდომარემ დაკლული ძროხის ბუზებდახვეულ  
თავ-ფეხზე მიუთითა.

საიქიოდან მავდივარ,

ძროხის დამკვლელი... მავჰკლაო!

მოქეიფენი თვალთმაქცურად ახარხადნენ – რა მოსწრე-  
ბულად მოგვიჭერი სიტყვაო, მაგრამ არაფერმა უშველათ: თავ-  
მჯდომარემ ერთიორად დააწერათ ძროხა... .

წითელწყაროში ერთი კაცი ცხოვრობს, რომელიც ერთ  
იჯრაზე ათ ბოთლ ლვინოს ისე უბრალოდ სვამდა (ახლა თურმე  
კუჭის ტკივილი კლავს და წვეთს ველარ იკარებს), როგორც  
თქვენ ერთი ფინჯანი ყავა გადაჰკრათ; ამიტომ მეტსახელად  
ათლიტრიანს ეძახდნენ. ამ კაცმა ახირება და კვეხნა იცოდა:  
გინდა თუ არა, შენც უნდა დალიოო; აი, მე რამდენსა ვძაბრავო.

ერთხელ ისა და ჯდუთაშვილი ერთად მოხვდნენ პურობა-  
ზე. სუფრას ამშვენებდა განთქმული ტიბაანური მწვანე. უკეთეს  
ლვინოს ვერც ინატრებდით. იოსები რაღაც არ იყო სმის გუნე-  
ბაზე. ათლიტრიანი, ჩვეულებისამებრ, აუხირდა, დალიეო, მა-  
გრამ რაკი ვერას გახდა, გაბრაზდა და კაფიით დაურახრახა  
შირაქელ თავმჯდომარეს.

რამდენ ყანწს ავაყირავებ,  
იჯექ, შორიდან თვალეო,  
ღვინოა ბრძენთა სასმელი,  
ჯლუთას რად უნდა მწვანეო!

უხერხული დუმილი ჩამოწვა. იოსებმა შენიშნა.  
ვიცი და მეც ეგ მაწუხებს,  
რომ ზოგჯერ ბრიყვნიც სვამენო.

სიცილმა იფეთქა. ყველაზე მეტს თვით ათლიტრიანი  
როსტოკებდა. შუა სიცილშილა მისვდა, რომ „ბრიყვმი“ სწორედ  
ის იგულისხმეს და ენა ჩაიგდო მუცელში...

საზოგადოდ ცნობილია, რომ კოლმეურნეობისა და სასო-  
ფლო საბჭოს თავმჯდომარეები ერთმანეთს ზოგჯერ ხუმრო-  
ბით კრიჭაში უდგანან ხოლმე და უყვართ ერთიმეორის გავილ-  
ვა. ჰოდა, ერთხელ საბჭოს თავმჯდომარე, ალექსი ლუბიანური  
აუხილდა იოსებს: შინ დაგვპატიჟე და ყელი დაგვილბეო, თან  
კაფიაც მიაყოლა.

სად მალავ მაგდენ ჯამაგირს,  
რა არი შენი მიზანი,  
ბოლო დროს ხალხმა შაგატყო  
ნუნურაქობის ნიშანი!

იოსებმა დამრიგებლურად მიუგო.  
რად გინდა ლუგუმი ლექსი,  
არც გინდა მიეთმოეთა,  
ბინინტურაი ქოხსა წნავს,  
გიჯობს უნახო პროექტი!

ხალხი სიცილისაგან დაიხოცა. ერთმა სოფლელმა ბინა  
საშინლად დამახინჯებული პროექტით აიშენა, რისთვისაც  
საბჭოს თავმჯდომარე რაოკომის ბიუროზე გვარიანად შეახ-  
ურეს და იოსებმაც სწორედ ეს გაუხსენა...

ერთ კოლმეურნე ქალს მეათეკლასელი გოგო ჰყავდა,  
რომელსაც სწავლაზე წელი სწყდებოდა და სულ ბიჭებისკენ  
ეჭირა თვალი. ერთხელ ეს ქალი გამოეცხადა თავმჯდომარეს:  
რაც ფული მერგება, მომეცით, გოგო თბილისს უნდა წავიყვანო  
მოსამზადებლადო.

ჯლუთაშვილმა ჭკუაზე დაარიგა: ათი კლასიც ძლივს დაამთავრა, ჯობია ჯერ კოლმეურნეობაში იმუშავოს, რათა სიჯეილითა და გამოუცდელობით თავში საცემი საქმე არ დაგმართოს. დედამ თითქოს დაიჯერა შეგონება, უკანვე გაბრუნდა, მაგრამ თავისთავზე ისევ მიადგა იოსებს: შვილს უსწავლელს ვერ დავაგდებ, რაც ფული მერგება, მომეციო.

მეტი რა ჩარა ჰქონდა თავმჯდომარეს – ნაშრომს ხომ არ დაუჭერდა?!

- შენი ნებაა, აპა!

რეზოლუციით ჩახუჭუჭებული განცხადება ხელთ რომ იგდო, ქალი კაფიის გუნებაზე მოვიდა.

ფულ არ მენანვის, იოსებ,

ბზესავით ვუზამ ბნევასა...

საფილოლოგედ ვამზადებ

ისწავლის ენის ქნევასა!

იოსებმა სინანულით მიუგო.

მარტო მაგას თუ დასჯერდა

მადლი შავსწიროთ ზენასა!

გამოხდა ხანი და იოსების შიში გამართლდა: იმ სასიკვდილე ახტაჯანამ... ეჲ, თუმცა, ჯობია, ერთი ბრიგადირის ამბავი გავიხსენოთ.

კარგა ხნის წინათ ქვემო ქედის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ერთ-ერთ ბრიგადას სათავეში ედგა ერთი ავყია, ქარაფშუტა და მკვეხარა კაცი, გვარად ჩოხელი. ეს კაცი თავის ჭკუაში ჩასპანდობდა, ცხვარ-მეცხვარე კი ბედის ანაბარა ჰყავდა მიგდებული. ბრიგადას მეცხვართა დენადობა ღრღნიდა. ღჯუთაშვილი ყველაზე გამოცდილ მწყემსებს ჩოხელს უგზავნიდა, მაგრამ აკრაკსა და ლოთს დიდხანს ვინ გაუჩერდებოდა! მოკლედ, ბრიგადა დაშალზე იყო. სხვა წამალი რომ არა გამონახა რა, გამგეობის კრებაზე, რომელსაც ცეკას ინსპექტორი და პარტიის რაიონმის პირველი მდივანიც ესწრებოდა, თავმჯდომარემ წინადადება წამოაყენა, ულირს ბრიგადირი მოეხსნათ. ამან სულ გადარია ისედაც გადარეული ჩოხელი. რაკი დაატყო, ჩემი საქმე წასულიაო, წამოხტა და გულის მოსაფხანად თავმჯდომარეს დაუტატანა.

ისე მკაცრად მთხოვ, იოსებ,  
თითქმ მიგებდე ნოხებსა,  
რა შავასმინო, მითხარ, მწყემსს,  
ჯიუტს, ბრიყვსა და ოხერსა!

ნამიერი დუმილი... და.

მწყემსები მიტომ გარბიან,  
ფხა რომ არა აქვს ჩოხელსა!!!

დაბეჭდა იოსებმა.

ბრიგადირი მოხსნეს...

\* \* \*

**გიორგი ნატროშვილის** სიხარულს ბოლო და საზღვარი არ უჩანდა!

ჯ. მეხრიშვილი რამდენჯერაც უნდა მისულიყო „**მნათობში**“ თუ მწერალთა კავშირში შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რე-დაქტორს სულ ამ ნარკვევზე სურდა ლაპარაკი, ვინაიდან, რო-გორც ჩანდა, გულალალი მკითხველები არ ულევდნენ საამისო მიზეზსა და მასალას: ვიღა არ მირეკავს და მეუბნება, პირდა-პირ აღტაცებულნი ვართ **ჯლუთაშვილის** პიროვნებით – ისეა დახატული, თითქოს მთელი სიცოცხლე ამ კაცის გვერდით გვეცხოვოროსო... მწერალმა **სულხან ქეთელაურმა** გამანდო, თავმჯდომარის პიროვნებაშ რომანის დაწერა შთამაგონაო... სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმაც დამირეკეს და მადლო-ბა მითხრეს: თქვენი უურნალის გავლენით ამ ზაფხულს შირ-აქში უნდა წავიდეთ და წარკვევში გამოყვანილი პერსონაჟები დავხატოთო... მართლა, არ დამავიწყდეს, თბილისის ერთ-ერთი სამუალო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებე-ლი დამიკავშირდა – დაიცა, აქ სადღაც ჩავიწერე კიდეც მისი გვარ-სახელი და ტელეფონი! – კაფიები ისე მომენტა, მათ განხილვას ზედა კლასებში ორ-ორი გაკვეთილი მივუძღვენიო...

– არა, მართლაც რა იყო ის კაფიები, კაცო, – შვებ-ამოგვრით დააბოლოვებდა ხოლმე გიორგი, – ბევრს კაფია მხ-ოლოდ წარსულის ხილი რომ ეგონა, ჩვენ თვალი ავუხილეთ – ის არ ჩამკვდარა, ისევ განაგრძობს ბრძოლასა და სიცოცხლეს!..

ჰოდა, ვახუშტი კოტეტიშვილი შირაქში ოსებ ჯლუთაშვილს რომ ხლებოდა და თავისი განაზრახი გაენდო, ბუნებრივია, თავისთავად გაცხადდებოდა ყოველი წვრილმანის ასავალ-დასავალი. ამიტომ ოსებს ვაჟკაცურად ეთქვა: მართალია, კაფიები მიყვარს, არ დაგზარდები, ჩამოვალ და მეცვიტყვი რაღაცასო. ოღონდ „მნათობში“ გამოქვეყნებული ის კაფიები, რომლითაც მთელმა საქართველომ გამიცნო, თვითონ ავტორს, ჯემალ მეხრიშვილს ეკუთვნისო. ამიტომ უეჭველად ისიც მოიწვიე და ბარემ სახალხოდ ვალაპარაკოთ იმ ნარკვევის შექმნის იდეასა და ისტორიაზე.

\* \* \*

1979 წლის 14 აპრილია, შაბათი.

თბილისის ფილარმონიის გადაჭედილ დიდ დარბაზში მიმდინარე ხალხური პოეზიის პირველ სალამოს ტელევიზიოთ აჩვენებენ. ერთმანეთს ცულიან და ეჯიბრებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სახალხო მთქმელები.

დარბაზის აღტაცებასა და ოვაციებს ბოლო არ უჩანს.

**ვ. კოტეტიშვილმა ოსებ ჯლუთაშვილიც რომ გამოაცხადა და გრძელებელიანი მიკროფონით სკამებშუა გვერდულად ძლივს მიადგა, მსმენელ-მაყურებელთა გასაკვირად, ოსები არც კი წამოწეულა და ცალყბად მიუგო – მე ცოტა იმნაირი კაფიები ვიცი, აქ არ ითქმება.**

ვახუშტი შეეცადა იხტიბარი არ გასტეხოდა – კოლმეურნეობის თავმჯდომარეს „ცოტა იმნაირი კაფიები“ არ ეკადრებაო და ახლა სხვა მონაწილისკენ გადაინაცვლა...

\* \* \*

ამ ღირსსახსოვარი გადაცემიდან სამიოდე კვირა გავიდა. ერთხელ რუსთაველზე მიმავალი ჯ. მეხრიშვილი მოულოდნელად ოსებ ჯლუთაშვილს შეეჩება – კოლმეურნეობის რაღაც საქმეზე მინისტრთა საბჭოში ჰყოლოდათ დაბარებული.

- რატო არ ესწრებოდი ხალხური პოეზიის სალამოს? – მისალმების ნაცვლად ოსებმა თავისებური წარბშეკვრით მაშ-

ინვე ეს უსაყვედურა.

- მე იქ რა მინდოდა? – გაუკვირდა მწერალს.
- როგორ თუ რა გინდოდა?! – ახლა შირაქელი თავკაცი განცვიფრდა, – ეგ ხალხი შენით მოვიდა აზრზე! თანაც... დაიცა, კოტეტიშვილს შენთვის არაფერი უთქვამს?
- რა უნდა ეთქვა?
- ჰმ! – გულნაკლულად ამოიხვნება შუბლჩაკოხილმა იოსებმა და ჩამოლით მოუთხრო თავის დროზე მასთან ჩასულ ვა კოტეტიშვილთან საუბრის წვრილმანები, – დამაიმედა, უეჭველად იმასაც მოვიწევევ და გამოვიყვანო... ტელევიზორში მაინც გვიყურებდი?

- კი.

- რო არსად ჩანდი და მოგიკითხე, ეგრე მითხრეს: ჩვენ კი შევატყობინეთ, მაგრამ, ალბათ, თვითონ არ ისურვა მოსვლაო! როგორ, ჩემი ხათრით მაინც არ უნდა მოსულიყო-მეთქი, სულ გამიფუჭდა გუნება და ხო დაინახე, არც გამოვსულვარ!.. მართლა არაფერი უთქვამთ?

- არა, კაცო!

- აბა, ელაპარაკე!.. ეეეჲ!..

ისეთი უუმური დუმილი დასადგურდა, სადმე პურის გატეხაზეც არ ჩამოვარდნიათ სიტყვა და ერთმანეთს ნაწყენებივით დაშორდნენ...

ჯ. მეხრიშვილს ეს ამბავი არც გაჲკვირვებია, არცა სწყენია.

მართლაცდა, ხალხური პოეზიის საღამოების ომახიან ორგანიზატორს ხელს რაში აძლევდა, ხალხს შეეტყო, რომ ამ პროექტის უეცარი იდეა ამოუტივტივდათ უურნალ „მნათობ-ში“ გამოქვეყნებული ნარკევიდან, რომლის ავტორი ერთი უმნიშვნელო, ფართო საზოგადოებისთვის სრულებით უცნობი, ქიზიყიდან დედაქალაქში ახალჩამოსული მწერალი იყო!

\* \* \*

გამოხდა ხანი. ხალხური პოეზიის საღამოების გამართვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ერთხელ „მნათობის“ რედაქციაში ჯ. მეხრიშვილმა ახალი მოთხოვნა მიიტანა.

გასაკვირია, თითქოს იოსებ ჯალუთაშვილსა და გიორგი ნატროშვილს პირი შეეკრათ, რედაქტორმაც მაშინვე ეს ჰყითხა!

- ორიოდე თვის წინ ვახუშტი კოტეტიშვილი იყო აქა და შენი მეზობლის ტელეფონი მივეცი... არაფერი დაურეკავს?

- რაზე უნდა დაერეკა?

- აბა, უყურო!.. როგორ თუ რაზე უნდა დაერეკა?! - აფორიაქდა რედაქტორი, - ქვეყანა პირველად ჩვენმა უურნალმა აალაპარაკა-მეტქი!.. ან ავტორი მიიწვიეთ ან უურნალმა მაინც ახსენეთ-მეტქი!... მაგრამ ხედავ, კაცო!

ჯ. მეხრიშვილმა ღიმილი ვერ შეიკავა.

- ბატონი გიორგი, უურნალი გვიხსენონ კი არა, მაგაზეც მადლობელს უნდა ვიყოთ, თუკი „მნათობის“ ეგ ნომრები არ მოუგროვებიათ და მოუსპიათ!

- რას ამბობ, კაცო! - შეფოცდა ნატროშვილი და მისთვის დამახასიათებელი ბავშვურად მომზიბლავი გულუბრყვილობით დაბეჭითა, - არა, არა, ერთხელ შენ და ვახუშტი ერთმანეთს როგორმე უნდა შეგახვედროთ!

- რისთვის?

\* \* \*

ხალხური პოეზიის საღამოებმა თავისი პური ისე მოქამა და გადაიქცა, სულურთხეული გიორგი ნატროშვილიც ისე ალესრულა, ის თავისი სურვილი თუ დაბირება ვერ შეასრულა. თუმც მერე კიდევ ერთხელ შეიქმნა შესაძლებლობა მისი სურვილის განსახორციელებლად. ოლონდ ოციოდე წლის მოგვიანებით და თანაც ცოტა განსხვავებულ ჟანრში.

2002 წელს დაწესდა ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსი „პენ-მარათონი“, რომლის შიურის უცვლელი თავმჯდომარე სიკვდილამდე ვახუშტი კოტეტიშვილი იყო.

იმ წელს ჯ. მეხრიშვილმაც წარადგინა ნაწარმოები, მაგრამ პირველივე ტურში ჩაფლავდა (ეს ნოველა „დედაბერი ფლეიბონის კუთხიდან“ „ლიტერატურულმა საქართველომ“) – –

**რედაქტორი თამაზ წივწივაძე)** დაბეჭდა.

2007 წლის კონკურსში ხელახლა სცადა ბეჭი, მაგრამ უშედეგოდ – ისევ პირველივე ტურში ჩაფლავება! (იქ წარდგენილი ხუთგვერდიანი ნოველა „პატარა კენიგსბერგი“ მერე „ლიტერატურულმა მესხეთმა“ – – რედაქტორი ავთანდილ ბერიძე) დაბეჭდა 2009 წლის ნოემბრის ნომერში.

ერთი სიტყვით, ვახუშტი კოტეტიშვილი და ჯემალ მეხრიშვილი ვერც „პენ-მარათონის“ კონკურსის ტრადიციულ, საქართველოს რომელიმე ედემურ კუთხეში გამართულ რამდენიმედღიან ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს.

ალბათ, ასეთი იყო განგების ნება!

## პირველი და უკანასკნელი შეხვედრა მომავალ... „ქოზეფ ფუშესთან“

თავის დამცირებაა, რომ მისი გვარ-სახელი ვიცი.  
**გოეთე**

1996 წლის 29 ივნისს, შაბათს, პირველად გამოვიდა გაზეთ „კავკასიონის“ ყოველკვირეული ლიტერატურული დამატება „არილი“ (მთავარი რედაქტორი შადიმან შამანაძე).

ამგვარი სიახლით აღფრთოვანებულმა ჯემალ მეხრიშვილმა რედაქციაში მესამე დღესვე, ორშაბათს, წაილო თავისი თორმეტგვერდიანი ნოველა „ჰამბურგის მუსკატი“ და ფოტოსურათი.

რედაქციაში მჩეჭდავი ქალიშვილის მეტი არავინ დახვდა და ნაწარმოებიც მას დაუტოვა.

გავიდა ერთი კვირა. მწერალმა იყიდა ახალგამოსული „არილის“ მეორე ნომერი და მის გასაქავებლად გაზეთის გადაშლაც არ გახდა საჭირო – პირველ გვერდზე მოთავსებული სარეკლამო კოლაჟიდან საკუთარი ფოტოსურათი და ნახატით შესრულებული ნოველის სათაური შემოეფეთა! გადაფურცლა გაზეთი-სასწაული და მე-4-5 გვერდები მთლიანად „ჰამბურგის მუსკატი“ ეჭირა, თან ორი ნახატიც ამშვენებდა!..

რვა წლის შემდეგ, 2004 წელს უურნალ „მნათობის“ რედაქციაში სრულიად შემთხვევით პოეტი ანდრო ბუაჩიძე რომ გაიცნო, მან მაშინვე ეს ნოველა გაუხსენა.

- ჯემალ მეხრიშვილი?! ააა, ვიცი, ვიცი! – ანდროს სახე ალალმა ღიმილმა გაუნათა, – ახლაც მახსოვს თქვენი ნოველა „ჰამბურგის მუსკატი“ – მე მოვამზადე დასაბეჭდად!.. ძალიან მომენტია!. სხვათა შორის, თუ გახსოვთ, ჩემი ლექსებიც იმავე ნომერში გამოქვეყნდა!. კი, კი, ვიცი – შესანიშნავი ნოველა იყო!..

და აქ „არილის“ რედაქტორის ყოფილმა მოადგილემ განსაცვიფრებელი სიზუსტით მოიგონა ნოველის პერსონაჟები და ზოგიერთი საცნაური პასაჟი.

ჯ. მეხრიშვილი მოიხიბლა როგორც პოეტის უნიკალური

მახსოვრობით, ისე მისი კეთილშობილებითა და შურგაუკარებლობით – ბევრი კალმოსნის მსგავსად კრიჭა როდი ეკვროდა სხვისი ნაწარმოების ღირსების აღიარებით!..

ამგვარი სწრაფი წარმატებით გულმოცემული ავტორის უკადრის სულწასულობაში რომ არ ჩამორთმეოდა, ჯ. მეხრიშვილმა თავისი შემდეგი ნოველა „მაგნიტური ქარიშხალი“ რედაქციაში 1997 წლის 16 სექტემბერს, სამშაბათს, მიიტანა და მაშინდელივით მისი დატოვება ახლაც მშექდავთან მოუხდა.

რაკი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არ დაიბეჭდა, მან მხოლოდ მაშინდა, 1999 წლის 10 ივნისს, ორშაბათს, მიაკითხა ნოველას, რომლის ბედ-ილბალი რედაქტორის ახალი მოადგილის, **მალხაზ ხარბედიას** და პროზის განყოფილების გამგის, **ზაზა თვარაძის** ხელთ ყოფილიყო.

– არ ვარგა... არ დაიბეჭდება, – არაკოლეგიალურ-პიუროკრატიული გულცივობით უპასუხა **მალხაზ ხარბედიამ** და ნოველა გულგრილად გადმოუდო მაგიდის ლინგზე, – აი, ბატონმა ზაზამაც წაიკითხა და... თქვენ რა აზრისა ხართ, ბატონ ზაზა?

– აჲ! – ისე ამოიოხრა **ზაზა თვარაძემ**, რომ ზეზელა ავტორისთვის არც შეუხედავს და უმალ იმნაირი თვალაპურობით, გამომეტყველებით, მხრების აჩერითა და ხელების უმწეო გაშლით დაიმუნჯა თავი, თითქოს ქართულ ენაში არ მოიპოვება ისეთი სიტყვები, რედაქციაში შემთხვევით შემოხეტებული ვილაც ჯემალ მეხრიშვილის ნაჯდაბნის სივალალეს სრულყოფილად რომ დაგვისურათებდათ.

– აი, ხომ ხედავთ?! – თავდაჯერებით განუმარტა **მალხაზ ხარბედიამ**, – მეც არ მომეწონა!

„**მერედა, შენ ვინა ხარ, შე ლანირა კო?!**“ – აბუჩადაგდებულ ქიზიყელს ეს ფრაზა ენის წვერზე მაუზერის ჩახმახივით შეუდგა.

ჯ. მეხრიშვილს აქ მხედველობაში ჰქონდა მალხაზ ხარბედიას არა ასაკი, ნორმალური გარეგნობა და მით უმეტეს, მისი პირადი ღირსება, არამედ გულშესაწუხებელი ლიტერატურული უნიჭობა და დაბალი პროფესიონალიზმი, ახალგასრესილი ავტნის მწერლარტე სუნივით რომ იყონსებდა ხოლმე პრესის

ფურცლებზე აქა-იქ გამოჩენილ მის მდარე-მდარე ნაწერ-ნა-თარგმნებში! მაგრამ მწერლობის, საკუთარი თავის, რედაქცი-ისა და თვით რედაქციის მუშაკის პიროვნული პატივისცემის ნიშნად ენის წვერზე დაფრენილი ამგვარი ზედგამოჭრილი ფრაზისაგან თავი შეიკავა და თვალგაყრით ესლა ჰკითხა.

— რას უწუნებთ?

**მალხაზ ხარბედიას** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ დაბნეულა, ნერვიც არ შესტოკებია. ზედვე ეტყობოდა, არა-სასურველი ავტორების შემოფრთხობაში უკვე საკმაო გამოც-დილება დაეგროვებინა.

— რას ვუწუნებ და... — აუღელვებელი მაღალფარდო-ვნებით დაიწყო რაღაცების მიკიბე-მოკიბვა, თვითონაც რომ არ სჯეროდა. მაგრამ ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, როცა თავისი წინასწარგანზრახული ბოლომდე უნდა მიეყვანა!

საწერ მაგიდასთან მოკალათებული ახალგაზრდა მუ-შაკების ცხვირწინ მდგარი ცარიელი სკამი სირცხვილით ლამის აალებულიყო, კადნიერი მასპინძლები თავის მოვალეობას რომ არ ასრულებინებდნენ, დაკითხვაზე შემოყვანილ დამნაშავეს დამსგავსებული ჯ. მეზრიშვილი კი ფეხზე იდგა და ყასიდადლა ისმენდა უაზრო ლათაიებს. მაგრამ ახლა თავისი ნოველისთვის სულ აღარ სცხელოდა!

აბუჩად აგდებულმა მწერალმა უცებ გაისიგრძეგანა, ბოლო ხანებში „**არილი**“ ვისა და რანაირ ნაწარმოებებს ბეჭ-დავდა, გონებაში თავისთავად ამოუტივტივდა თვით **მალხაზ ხარბედიას** უფერული ნაწარმოებებიც, საიდანაც აშკარად ჩან-და, რომ მათი ავტორი ჯერ ვერ იყო განდობილი ქართული ენის, ფრაზისა და სინტაქსის ბუნებას; იმასაც მიხვდა, ასე რა-ტომ და რისთვის ექცეოდნენ და ამგვარ ჯაჭვურ მიხვედრა-ალ-მოჩენებს უეცრად ელდის მომგვრელი თვალახელა მოება: ქარ-თულ მწერლობას **მალხაზ ხარბედიას** სახით მიზანმიმართული ცივსისხლიანი კარიერისტ-ბიუროკრატი ეზრდებოდა, ჩირადაც რომ არ უღირდა ჭეშმარიტი ლიტერატურული ლირებულებანი და საკუთარი უნიჭობის შეგნებით გაჩენილი მტკიცნეული ამ-ბიციების დასაამებლად და კარიერისტული გზის გასაკაფავად

ამიერიდან „არილში“ თუ საერთოდ, სადაც თვითონ იქნებოდა, მხოლოდ თავისი და რამეში გამოსადეგი ავტორების ბამბა უნდა ეჩერიალებინა!

ერთი სიტყვით, ახალგამოჩეკილმა ლიტერატურულმა კუკლუქსკლანელებმა ჯ. მეხრიშვილს არაორაზროვნად აგრძნობინეს: დღეის ამას იქით „არილის“ რედაქციაში მის მოსვლას არავითარი აზრი და შედეგი აღარ ექნებოდა...

\* \* \*

1999 წლის 2 სექტემბერს, ორშაბათს, ჯ. მეხრიშვილს გამომცემლობა „ნაკადულის“ თანამშრომელმა, პოეტმა გივი ჩილუნაძემ დაურეკა: ლიტერატურულ გაზეთს „შარავანდ“ ვაარსებ და პირველი ნომრისთვის რამე მომიტანეო. მჩერალმა „მაგნიტური ქარიშხალი“ ნაულო, რომელიც 1999 წლის 1-15 ოქტომბერის „შარავანდის“ ორ გამლილ გვერდზე დაიბეჭდა.

ეს ნოველა მერე, 2003 წელს გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ უსასყიდლოდ დასტამბულ წიგნშიც „ნაკურთხი მარილი“ შევიდა.

სხვადასხვა დროს ავტორთან შთაბეჭდილებების გაზიარებისას რიგითი მკითხველები თუ თანამოკალმეები უმეტესწილად აღნიშნავდნენ, რომ ეს ნოველა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ბოლო წლების ქართულ მწერლობაში. ვინ იცის!...

უახლესი ქართული მწერლობის პროფესიონალ მკვლევარს ან რომელიმე მოხალისე გულშემატკივარს შეიძლება სურვილი გაუჩინდეს, ჭეშმარიტებაში თავად გაერკვიონ. ამისთვის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისვლა და იმ წლების „არილში“ მ. ხარბეგდიას ლოცვა-კურთხევით გამოქვეყნებული პროზაული ტექსტებისა და ჯ. მეხრიშვილის სსენებული ნოველის წაკითხვა-შედარება იქნება საჭირო.

ცნობისთვის: გაზეთ „არილის“ შიფრია 1266, ჯ. მეხრიშვილის წიგნის „ნაკურთხი მარილი“ ნომერი K/242-369-70/3.

\* \* \*

**P.S. „არილის“ რედაქციიდან ჯემალ მეხრიშვილის სადისტურო გამოსტუმრებიდან გაიღლის 12 წელი და 2010 წლის აპრილის ნომერში „ჩვენი მწერლობა“ (რედაქტორი **როსტომ ჩხეიძე**) რუბრიკით „თქმა მართლისა“ დაიბეჭდება პოეტ ლელა კოდალაშვილის ხუთგვერდზახევრიანი მწვავე კრიტიკული წერილი „რა არის საჭირო იმისათვის, რომ „საბას“ ლაურეატი გახდე“**

წერილში მხილებულია ლიტერატურული პრემიის „**საბას**“ ჟიურის წევრთა უპრინციპო, აღმაშფოთებელი და დანაშაულებრივი საქმიანობა.

ჭეშმარიტების ძიებით დაქანცული ავტორი 36-ე გვერდის პირველი სვეტის მეორე აბზაცში განცვიფრებული კითხულობს.

„სულ მინდა ვინმეს ვკითხო, მაგრამ არ ვიცი, ვის – რატომ არის **მალხაზ ხარბედია უოზეფ ფუშესავით**<sup>2</sup> ყველა მთავრობის უცვლელი მინისტრი, უფრო სწორედ, ლამისაა ყველა კონკურსის ჟიურის უცვლელი წევრი. არანაირად არ ვუკარგავ მას კომპეტენციას, როგორც ლიტერატორს, თუმც ბევრად უფრო კომპეტენტური მოღვაწეებიც მეგულება გნებავთ ჭარბაგ და გნებავთ მასზე უფრო ახალგაზრდა თაობაში. და თანაც რად გინდა ეს კომპეტენცია, თუ „ტუსოვკურ-საბუტილნიკურ“ და

---

<sup>2</sup> **უოზეფ ფუშე** (1759-1820) – ფრანგი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. მიიღო სასულიერო განათლება. 1791 წ. გახდა იაკობინელთა კლუბის წევრი. 1772წ აირჩიეს კონვენტში. ახორს იყო ურონდისტებთან, შემდევ იაკობინელებს მიემზო. ხმა მისცა ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯას. რამდენიმე დეპარტამენტში იყო კონვენტის კომისრად, გამოიჩინა უკიდურესი სიმკაცრე კონტრრევ. ამბობებათა ჩახშობისას. დაუახლოვდა ებროტისტებს. 1794 წ. გარიცხეს იაკობინელთა კლუბიდან. იყო 9 თერმიდორის კონტრრევ. გადატრანსპორტირდა ერთ-ერთი ინიციატივის წარმოშობის შემთხვევაში. 1799 წ. დაინიშნა პოლიციის მინისტრიდ. ხელი შეუწიო ნაპოლეონ I-ს გადატრანსპორტირდა განხორციელებაში. შექმნა პოლიტ. დაზვერვის, პროვოკაციისა და შპიონაჟის განშტოებული სიტემა. ერთ-ერთი პირველი დაეჭვდა იმპერიის სიმტკიცეში და საიდუმლო მოღაპარაკება გამართა დიდ ბრიტანეთთან. ნაპოლეონი მოუხვდა ორმაგ თამაშს და გადააყენა (1810). იმპერიის მარცხის შემდევ მიემზო ბურბონებს. „ას დღის“ (1815) პერიოდში ისევ ნაპოლეონს მხარეზე გადავიდა. ნაპოლეონის მეორედ გადადგომის შემდევ კვლავ უდალატა ნაპოლეონს და მოამზადა ბურბონთა II რესტავრაცია. ლუი XVIII-მ პოლიციის მინისტრად დანიშნა (1815). ულტრარიონიალისტების მოთხოვნით გადააყენეს პოსტიდან. „მეფის მკვლელთა“ წინააღმდევ მიმართული დეკრეტით (1816) საფრანგეთიდან განდევნეს.

სხვა ურთიერთობებსა და კრიტერიუმებს დააყენებ წინა პლანზე  
და დაივიწყებს, სინამდვილეში რა მოსწონს და რა არა“.

ჯ. მეხრიშვილს აქ ერთი რამ ვერ გაუგია: ლიტერატურის  
რიგით ჯარისკაცობას რითი სჯობია ლიტერატურის ამგვარი  
სათაკილო **ჟოზეფ ფუშეობა?**

ეტყობა, ლიტერატურის პატიოსან ჯარისკაცობას პი-  
რუთვნელი თავგადადება, ღირსება და ნიჭიერება ესაჭიროება.

ჰოდა, რა ქნას კარიერისტული ზრახვებით ატანილმა მა-  
ვანმა და მავანმა, თუკი გრძნობს, არც ხალასი ნიჭის ნატამალი  
აბადია და თან სისხლში, გულსა და გონებაში ჩამოთესლებულ  
ფუშესა და ფუშესნაირთა მავნე ბაცილასაც ველარ მორევია!

## ფარაონობას თამაში

არ დაგიდევდა, თუ უკმეხად ედგა დროება!  
ნიკო სამადაშვილი

სიდუხჭირეში ჩავარდნილი მწერალი ჯემალ მეხრიშვილი 2000-02 წლებში ერთ-ერთ პატარა სამშენებლო-სარემონტო ფირმაში შავ მუშად მუშაობდა. ფირმა შეკვეთებს შტურმით ას-რულებდა. ამიტომ მთავარი ინჟინერი შაბათ-კვირასა და საუფ-ლო დღეებსაც არ ცნობდა!

ჰოდა, როგორც კი შეიტყო ნებისმიერი მწერლისთვის სასიხარულო სიახლე – გაზეთ „ახალი ეპოქის“ ყოველკვირეული სალიტერატურო დანართის „ჩვენი მწერლობა“ (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე) დაარსება, გადაწყვიტა, თავადაც ეცადა ბედი – ერთი ახალდაწერილი ნოველა მიეტანა. მაგრამ როგორ? თვითონ დიღმის მასივში ცხოვრობდა, იმუამად კი ავჭალაში მუშაობდნენ – მეტრო „დიდუბიდან“ დილაადრიანად ცალკარა ავტობუსით მიჰყავდათ, საღამოთი კი გვიან მოჰყავდათ! თანაც ამგვარი „წვრილმანისთვის“ დაუყოლიებელი მთავარი ინჟინერი დღეს არ ჩააგდებინებდა, ხოლო თვითნებობისთვის სამუშაოდან გაათავისუფლებდა.

მოულოდნელად იღბალმა გაუჭრა. ერთ დღეს, 2001 წლის 26 თებერვალს, ორშაბათს, ინჟინერს ავჭალის საწყობიდან თავისი „ოპელის“ საბარგულით სასწრაფოდ შვიდი შეკვრა ესპანური კაფელი უნდა მიეშველებინა ვერაზე, ფსანაურის (ამჟამად სოფო ჭიაურელის) ქუჩის №14 საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთ ბინაში მომუშავე სომხის მეკაფელებისთვის და მესამე სართულზე მის ასაზიდად მწერალი იახლა.

ავჭალიდან მუშებმა მწერალს სადილობისთვის სახელდახელოდ მოკრეფილი ფულიც გამოატანეს – ვერის მარკეტები უფრო მრავალფეროვანი იქნება და რამე-რუმეები ბარემ იქიდან გამოგვიყოლეთ.

„ჩვენი მწერლობის“ რედაქციიდან ისრის გასროლის მანძილზე მდებარე ბინის სადარბაზოსთან კაფელი რომ გადმო-

ცალა, გულუკმებმა ინჟინერმა ცივად დაუბარა: მე ეხლა ერთი საათ-ნახევრით ელიავას ბაზრობაზე უნდა გავვარდე! შენ კი ხელოსნებს კაფელი აუზიდე, აქვე იყიდე, რაც გინდა, მერე სასტუმრო „საქართველოს“ წინ ამოდი და იქ დამელოდეო!

მარტო დარჩენილმა მწერალმა კაფელი გულხეთქებით აზიდა და იქვე ახლომახლო მიყუჟულ-მოყუჟულ მინიმარკეტებში საჭირო სურსათ-სანოვაგეც შეიძინა. მერე უბიდან სათუთად ამოილო ფაილში ჩადებული, დაუჭმუჭნავად გადარჩენილი, თავის გერმანულ „ერიკაზე“ სუფთად გადაბეჭდილი ნოველა „თბილი ნაფოტები“ და „ჩვენი მწერლობის“ რედაქციისკენ ფეხმარდად გაეშურა.

ახალდაარსებულ რედაქციას მაშინ ჯერ კიდევ არ ეყენა დაცვის გუშაგები. მეორე სართულზე მოსაქმე თანამშრომლებს ავტორთა სტიქიური მიმოდენით მუშაობაში ხელი რომ არ შეშლოდათ, მათთან შესახვედრად პირველ სართულზე, მისაღებში რედაქციის გარკვეული კატეგორიის მუშაკები თურმე ჯერისამებრ მორიგეობდნენ!

და აი, მშვენიერ, ლურჯთვალა მორიგე ახალგაზრდა ქალბატონს მოულოდნელად შემაკრთობელი სურათი აელინდა: რედაქციის გაკრიალებული მინის კარი უცებ თავდაჯერებით შემოაღო ბრეზენტის ჩამოცვეთილ ტანსაცმელსა და სალდათურ ჩექმები გამოწყობილმა ვიღაც შავრა მუშამ!

მოულოდნელი და თანაც რედაქციისთვის შეუფერებლად ჩაცმული სტუმრის სურსათით სავსე ცელოფნის ვეებერთელა ორმაგი პარკიდან რაკი, ჩვეულებისამებრ, ბოთლებიც არ ყელყელაობდა, მშვენიერმა დიასახლისმა სრულებით ბუნებრივად ჩათვალა, რომ აქვე ახლო, რომელიღაც მშენებლობიდან შესვენებაზე გამოვარდნილი ეს ახალბედა მუშა სასმელებს ეძებდა და მიმზიდველი ფასადით წაცდენილს, უბრალოდ მისამართი შეეშალა. ამიტომ თავისი დაბალი სავარძლიდან მკვირცხლად წამოუდგა და გზა კდემით გადუღობა.

- არა, არა, სასმელები აგერ, გადაღმა იყიდება, - მიმტევებლურად გაუღიმა და სალუქი თითო საითკენლაც გაუშვირა, - აქ რედაქციაა!

- ვიცი. – მშვიდად მიუგო ახალმოსულმა, – ნოველა მოვიტანე. შეიძლება დავტოვო?

„ლმერთო!.. რა გვეშველება!“ – მზერა შეუკრთა დამხვდურ მანდილოსანს, თუმც გამომეტყველებაზე არაფერი დასჩნევია და ბრეზენტიან სტუმარს ნობათი წრფელი ზრდილობით ჩამოართვა.

\* \* \*

ხელნაწერზე ლამაზი ქალბატონის – თურმე მწერალი და მეცნიერი **ინგა მილორავა** რომ ყოფილიყო – ხელის შეხება ჯემალ მეხრიშვილს ჯადოსურად ექცა. სამიოდე დღის შემდეგ შინ დაურეკეს: თქვენი ნოველა შემდეგ ნომერში იბეჭდება და სასწრაფოდ გამოცხადდით რედაქციაში, ჩვენმა კორესპონდენტმა ფოტოსურათი უნდა გადაგილოთო!.. ხელუხლებელი, კორპუსით აწყობილი ნოველა **9-18 მარტის** ნომრის ორ გაშლილ გვერდზე მართლაც დაიბეჭდა, თანაც, როგორც მწერალს მოეჩვენა, ავტორის შეუფერებლად დიდი ფოტოთი და მხატვარ ქეთი შალამბერიძის ორი ფერადი ნახატით!.. ცოტა მოგვიანებით შინ ხელმეორედ დაურეკეს – ჰონორარი გაქვთ ასაღები და ამ დღეებში როგორმე შემოიარეთო!

როგორც მაშინ, ფოტოსურათის გადაღებისას, ინჟინრის ნებართვით ახლაც ელიავას ბაზრობაზე სამშენებლო მასალების საყიდლად წამოსული სამუშაოთა მწარმოებლის სატვირთო ავტომობილს აემგზავრა და ხუთიოდე წუთით შეძლო რედაქციაში შერბენა, ოლონდ იმ განსხვავებით, მაშინ ფოტოსურათისთვის პარკით წამოღებული საგარეო ტანსაცმელი სატვირთოს კაბინაში გადაიცვა, მაგრამ რაკი ეს ამხელად აღარ მოუხერხდა, რედაქციის მუშაკებს ბოდიში მოუხადა სამუშაო ტანსაცმლით გამოცხადებისთვის და ამის მიზეზიც აუხსნა.

„ჩვენი მწერლობის“ პატრონი და რედაქტორი **როსტომ ჩე-ეიძე** პირველად მაშინ დაინახა და გაიცნო. რედაქტორი გულთბილად შეხვდა, დაბეჭდილი ნოველა რედაქციის მუშაკების თანდასწრებით შეუქო და იმედი გამოთქვა, ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდებაო. მერე თავისი ლია კუთხი-

დან, კაბინეტის მაგივრობასაც რომ უწევდა, წამოუდგომლად მოახდინა განკარგულება და უმალ ნარნარით გამოცხადებულმა ახალგაზრდა მანდილოსანმა, ალბათ, რედაქციის ხაზინადარმა, ბუღალტერმა თუ მოლარემ, ავტორს მაგიდის განაკიდზე ზრდილობიანად დაუდი კუთვნილი ჰონორარი – სამი ცალი ჯერ მოუკეცავი ოცლარიანი.

ახლა დასვით ქუდი და გააჩინეთ სამართალი: რა გა-საკვირია, რომ თავისი ლიტერატურული კარიერის მანძილზე ათასგვარ შურ-ბოროტსა და უკაცურობას წვნეულ ჯ. მეხ-რიშვილს ეს ყველაფერი – დაწყებული რედაქციაში ნოველის ჩაბარებით და დამთავრებული რედაქტორის ამგვარი ადამი-ანური მოპყრობით – ნამდვილ სასწაულად მიეჩნია და გული რედაქტორის, მთელი რედაქციისა და მათი მუშაობის სტილის უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით ავსებდა?!

დიახ, მაგრამ..

\* \* \*

„ჩვენმა მწერლობაშ“ თანდათან ფრთები გაიმაგრა და თავისი ლირსეული ადგილი დაიჭირა ლიტერატურულ ორგანოთა შორის. ჰოდა, რაკი უხვად შემოიგროვეს სათავისთაო ავტორები, თაყვანისმცემლები და გულშემატკივრები, წმინდა წყლის ლიტ-ერატურული ლირებულებებისთვის დანთებული კოცონის ალიც თითქოს ჩაუცხრათ... როგორც ჩანდა, რედაქციის ზოგიერთი მუშაკი არცთუ უშედეგოდ ცდილობდა სათავისოდ გამოეყენებინა მდგომარეობა და გაზეთის ლიტერატურული პროცესები თავისი შეხედულებებისამებრ წარემართა... აშკარად დაიწყეს ავტორთა დისკრიმინაციულ-ტენდენციური დიფერენციაცია...

მოგეხსენებათ, ამქვეყნად უნაკლო არავინ არის. ჰოდა, ჭრელი გარემოცვის მლიქვნელურმა ნაწილმა როსტომ ჩხეიძესაც უპოვა თუ გაუჩინა სუსტი ადგილი და მისგან **რედაქტორ-ფარაონის** ხატის გამოძერნას შეუდგნენ!

თავისი საინტერესო მუშაობის პარალელურად რედაქციამ ახდილად მიჰყო ხელი საძრახისსა და თანაც უიმედოზე უიმედო, ძირშივე განწირულ ადამიანინდელ ექსპერიმენტს –

**რადაც უნდა დასჯდომოდათ, მავნისა და მავნის ბაშბა აეჩხო-ალებინათ!!!**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რიგითი თუ ათვალ-წუნებული ავტორებისთვის გაფარაონებულ რედაქტორთან ორიოდე წუთით შეხვედრა და დალაპარაკება ხომ პირდაპირ შეუძლებელი გახდა! რაღა ჩვეულებრივი ლიტგაზეთის ჩვეუ-ლებრივი რედაქტორი და რაღა მესამე რაიხის მბრძანებელი!

სასტიკად გაფრთხილებული გუშაგები ზღურბლს იქით ხომ არ გადაგიშვებდნენ, ხოლო მეორე სართულიდან ჩამო-ქანებული, თანაც კალმისტარმომარჯვებული (სედავთ, აი, ვმუშაობდი, თქვენ კი მაცდენთ!) რომელიმე მანდილოსანი რაღაც მისტიკურ იდუმალებაში გადასული ჩურჩულით პირ-ველში ამას კითხულობდა.

- დაგიბარათ?

როგორც კი გაირკვეოდა, აქ არავის დაუბარებიხართ, მლიქვნელობაში გამოქექილი რედაქციის შიმუნვარი თვალების გაოგნებულ-აღმაშფოთებელ გადატრიალებას თან იმგვარ გა-მომეტყველებასაც შეაშველებდა ხოლმე, რომ უმაღ გეგრძნოთ - თქვენ ყოფილხართ ნამდვილი სეპრე, დაუბარებლად რომ მოთრეულხართ და მეორე სართულზე მყოფი, ღვთაებრივ ფიქრ-ხილვებში ჩაფლული რედაქტორ-ფარაონის შეწუხება მოგგუნებებიათ!

ფარაონთან შეხვედრის ბედნიერება მხოლოდ მას შეიძლება ხვდეს წილად, ვისაც თვითონ ფარაონი ჩააგდებს ამის ღირსად!!!

ბევრი რომ არ გავაჯანჯლოთ, ჯ. მეხრიშვილი იძულებული გახადეს, რედაქტორისთვის ღია წერილით მიემართა. აი, ისიც!

## **ლია წერილი გაზეთის „ჩვენი მწერლობა“ მთავარ რედაქტორს, როსტომ ჩხეიძეს**

**რაღად ველოდო მაისს ან ივნისს.  
ნიკო სამადაშვილი**

2001 წლის 16 სექტემბერს თქვენს რედაქციაში მოვიტანე მოთხრობა „დეპილთა მძევლები“. წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მანდ აღარც მოვსულვარ და არც დამირეკავს მისი ბედ-ილბლის შესატყობად, ვინაიდან არ მინდა ვგავდე იმ აბეზარ ავტორს, რომელიც ოლონდ კი რაც შეიძლება მალე და სხვებზე უფრო ხშირად დაბეჭდონ, რედაქციის მუშაკებს თავ-პირს აჭამს ხოლმე! ამიტომ მასალას ჩავაბარებ თუ არა, მერე რედაქციას კარგა ხანს სათოფეზე აღარ ვეკარები: დამიბეჭდავენ – რა კარგი, დასაბუთებულ უარს მივიღებ და მეტი რა ჩარაა, მასალა უსიტყვოდ უკანვე მიმაქვს! ხოლო თუ დაჩაგვრას მიბედავენ, მაშინ მეც იძულებული ვხვდები, საკუთარი ღირსება და ლიტერატურული ღირებულებები ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში დავიცვა.

ცხადია, ჩემს რჯულს არც ამ შემთხვევაში ვუღალატებდი. წელიწად-ნახევარი გავიდა და მოთხრობა რაკი არ დაიბეჭდა, გადავწყვიტე, მისი ბედი გამერკვია. რამდენჯერმე მოვახერხე თქვენი რედაქციის პროზის განყოფილების გამგის ნახვა, მაგრამ გაივლის ხოლმე დრო და ალმოჩნდება, რომ მისი ახსნა განმარტებები ვალმოსახდელ-ქარაშუტული ყოფილა, დანაპირები – უპასუხისმგებლო და უშედეგო. ამიტომ ახლა თქვენთან შეხვედრას შევეცადე, მაგრამ არც ეს ხერხდება: შეიარაღებული დაცვა თქვენამდე არ მიშვებს, მე კი წუნკალი გოშია არ გახლავართ, რედაქციის კართან დავეყუნტო და მოთმინებით ვიცადო, რედაქციამი როდის მობრძანდებით ან რედაქციიდან როდის გამობრძანდებით, შემთხვევით რომ ვისარგებლო და მაშინ გაგანდოთ ჩემი გულისტკივილი. პა, ჯანი გავარდეს, ლიტერატურის ხათრით თავს თუგინდ აქამდეც დავიმდაბლებდი, ამგვარი უკადრისი ფანდი რედაქტორისა და

მწერლის ცივილიზებული ურთიერთობის შეურაცხყოფად რომ არ მიმაჩნდეს!

ერთი სიტყვით, თქვენი მეოხებით ისევ და ისევ პრო-ზის ან კრიტიკის განყოფილების გამგესთან მიხდება ხოლმე უკვე უაზრობაში გადასული შეხვედრები, ვინაიდან ისინი 40-50 წამის გაელვებისას მისტუმრებენ კარგად დამუშავებულ – შეთვისებული ზოგადი, თავმოსაშორებელი ფრაზებით და თან აღარც ის ახსოვთ და არც აინტერესებთ, წინა შეხვედრაზე რა მითხრეს ან რას შემპირდნენ!!!

ბოლოს და ბოლოს რა ხდება?! ამ ხნის მანძილზე ზოგ-ზოგი პროზაიკოსი 4-5-ჯერ დაბეჭდეთ, მაგრამ მე დაბე-ჭდვას აღარ დავეძებ: დასაბუთებული უარის ღირსადაც კი არ მაგდებთ და როგორც რედაქციის, ისე პირადად თქვენ წინაშე სრულიად უდანაშაულო კაცს აბურიბამდე მიყვანილი ბუნდო-ვან-ორქოფული პასუხებით უდიერად მანამებთ....

ვუკვერდები და რას ვატყობ: თქვენ ზოგ-ზოგ გრაფომან პროზაიკოსს ისეთი საეჭვო დაუინებით იმეორებთ და იმეო-რებთ, რომ უკვე ეჭვი მეპარება როგორც თქვენს რედაქტორ-ულ მიუკერძოებლობაში, ისე თქვენს მსატვრულ-ლიტერა-ტურულ გემოვნებაშიც. ეტყობა, ის ჩემი მოთხრობაც სწორედ მაგ თქვენი ნაკლოვანებების მსხვერპლია.

სულო ცოდვილო, იქნებ ეგ ჩემი მოთხრობა მართლა სანაგვეზეა გადასაგდები, თქვენ ცამდე ალალ-მართალი ხართ, მე კიდევ მტყუანი.

მაშ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?!

რაკი საქმე აქამდე მიგვივიდა, მოდი, გამონაკლისის სახ-ით, ამ ღია წერილთან ერთად დაბეჭდეთ ეგ ჩემი მოთხრობა და თან ზედ სტატიაც აახლეთ. ნუ დამზოგავთ: კრიტიკის ქარცე-ცხლში გამიტარეთ და მთელი საქართველო ჩემზე ახარხარეთ – აი, ჯემალ მეხრიშვილს რა ჰგონია მოთხრობა-თქო!!! ოლონდ მეც მიმოვიხილავ თქვენი გაზითის ზოგიერთ ტექსტს და სიტყ-ვა მომეცით, რომ თქვენთანვე დაიბეჭდება.

გთავაზობთ რა ამნაირ პირობებს, ღრმად მწამს: ჩვენ შო-რის არ იქნება გამარჯვებულ-დამარცხებული ამ სიტყვის შა-

ბლონური გაგებით და გაიმარჯვებს მხოლოდ სამართალი და ლიტერატურული კრიტიკა.

დასასრულ, გეუბნებით სრულიად გულწრფელად – როგორც მამაკაცს მამაკაცი: სულ ადვილად შემეძლო თავი შემეკავებინა ამ ღია წერილისგან და ეგ ჩემი მოთხრობაც ჯანდაბაში გამეგზავნა! მაგრამ აქ უკვე მოთხრობის დაბეჭდვა-დაუბეჭდავობას აღარ ეხება საკითხი. ვგრძნობ, ჩემი ამდენი ხნის დუმილით წება-უნებლიერ მეც მონაწილე ვხდები აღმაშფოთებელი უსამართლობისა, რომლისგანაც შესაძლოა სხვაც ჩემებრ ანდა ჩემზე უფრო უარესადაც იტანჯებოდეს!

აი, რის გამო აღარ ძალმიძს დუმილი და ნათლად მაქვს შეგნებული როგორც ამ ღია წერილის საჭიროება, ისე პირადად ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, მისგან გამომდინარე სავალალო შედეგიც.

მაშ, ვიპაექროდ და თუკი თავს გამიყადრებთ, ბოლოს ძმურად ხელგადახვეულებმა ღიმილით დავტოვოთ საპაექრო ბარიერი, რათა შემოქმედებითი ცხოვრების წვრილმანებ-ში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი თვალნათლივ დარწმუნდეს: ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ლიტერატურული ღირებულებებისთვის მოგვიხდა საპოლემიკო დაშნების შეწკრიალება და არა რაღაც საძრახისი პირადულობის გამო, რომლის ნატამალი ჩვენ შორის არ არის და არც შეიძლება იყოს!

მე ჩემი სათქმელი პირდაპირ გითხარით.

ახლა თქვენზეა სიტყვა.

ჯემალ მეხრიშვილი  
2003 წ. 30 ივნისი.

\* \* \*

ჯ. მეხრიშვილს ეგონა, ლიტერატურულ პაექრობაში პატიოსნად გამოწვეული რედაქტორი ღია წერილს მაშინვე დაუბეჭდავდა და თავის პასუხსაც მოაყოლებდა. მაგრამ გამოვიდა „ჩვენი მწერლობის“ შემდეგი ორი ნომერი, მისი ღია წერილი კი გაზეთის არც ერთ კუნძულში არ ჭაჭანებდა! მაშინ ვითარების გასარკვევად 22 ივლისს, სამშაბათს, რედაქცი-

აში მივიდა. გუშაგმა ფოიეშიც არ შეატარა და მხოლოდ ზევით დარეკა – ესა და ეს ავტორია მოსული და რედაქტორთან შეხვედრას ითხოვსო.

სიმართლის მაძიებელი მწერლის აბუჩად ასაგდებად რედაქციას ასეთი ხერხისთვის მიემართა. ჯ. მეხრიშვილისთვის რომ ეგრძნობინებინათ, მისი რაღაც ნაჯდაბნი დაბეჭდვის კი არა, მეორე სართულზე, დანარჩენი ავტორების მასალების გვერდიგვერდ დების ღირსიც არ იყო, პედანტური თადარიგიანობით ადრევე ჩამოეტანათ და მისალებში, გუშაგების მაგიდის მარჯვენა ქვედა ჭრიალა უჯრაში, სახელოსნო ინსტრუმენტებსა და რაღაც წვრილი, ფერად-ფერადი ელექტროკაბელების ბულულებს შორის ჯალათურად შეეჭყუნათ!

და აი, ახლა პროზის განყოფილების გამგე, სრულიად გასხვანაირებული **მაკა ჯოხაძე** მეორე სართულიდან ძირს რომ ჩამოვიდა, ჯ. მეხრიშვილის მოთხოვნა და ღია წერილი სწორედ იმ გაძალიანებული ღრჭიალა უჯრიდან გამოაძრო და ავტორს უმძრახივით შეაჩერა.

შეხვედრამ სამწუთნახევარს გასტანა. **ჯოხაძემ** ავტორს ცივად განუმარტა: მოთხოვნა უვარესია, თორებ აქამდეც დავბეჭდავდითო.

- მერე, ორი წელი რაღას მაწვალეთ და მალოდინეთ – თავიდანვე გეთქვათ ასე!

მაგრამ პროზის განყოფილების გამგეს სულ არ აინტერესებდა ავტორის აზრი და არგუმენტები – ის წინდანინვე ჩამოყალიბებულ თავის სათქმელს შეუპოვრად აბულბულებდა!

მთელი რედაქცია გაოგნებული და აღშფოთებულია თქვენი საქციელით – არ გვესმის, ბატონ როსტომს ეგ როგორ აკადრეთ ან როგორ გაუბედეთო!

- რაო? დავბეჭდავთ თუ არა?! ღმერთო!.. ჯერ ერთი, ამნაირ ღია წერილს რა დაგვაბეჭდინებს და რომც დავბეჭდოთ, საქვეყნოდ თავი თქვენ თვითონ მოგეჭრებათ! აბა, ყოველივე ამის შემდეგ...

ყველაზე უმთავრესი **მაკა ჯოხაძემ** გასაგებად ჩამოაყალიბა: რედაქტორ-ფარაონის ჩრდილზე წინდაუხედავი დაბიჯებისთვის მათი ლიტერატურული გაზეთის კარი მწერალ ჯემალ

მეხრიშვილისთვის ამიერიდან სამარადისოდ იკეტებოდა!!!

დასასრულ, პროზის განყოფილების გამგემ ავტორს კოლეგიალური რჩევა-დარიგებაც მისცა. გაზეთ „კომუნისტში“ რომ მუშაობდით, რამდენადაც მახსოვს, მშვენიერ რეპორტაჟებს წერდით და ახლა მოთხოვბებს რას გადაჰკიდებიხართ – ისევ რეპორტაჟებს მიუბრუნდითო.

არადა, ღმერთი, რჯული, „კომუნისტის“ რედაქციაში კი არა, ჯ. მეხრიშვილს თავის სიცოცხლეში საერთოდ, ერთი რეპორტაჟიც არ დაუწერია!

აბა, რაღას იზამდა ტყავგამძვრალი ავტორი – გუშაგს უსიტყვო თავდაკვრით გამოესალმა, წამოილო თავისი ხელნაწერები და გზას ყურებჩამოყრილი დაადგა.

სასტუმრო „საქართველოს“ რომ გაუპირისპირდა, უცებდამცინავი სიცილი მოერია: თავადურგვარიანი რედაქტორ-ფარაონი ვიღაც ღამის მეხრეების ჩამომავალს თავს რომ არ გამიტოლებდა და ღია წერილს არ დამიტეჭდავდა, ამდენს კი მე თვითონვე უნდა მიმხვდარიყავიო!... თანაც ფარაონის ჩრდილზე დაბიჯებისთვის ძველ ეგვიპტეში სიკვდილით სჯიდნენ, მადლობა უფალს, მე კიდევ იაფად გადავრჩიო!..

შუა ტროტუარზე დალონებულ-დაძმარებული შედგა – ალარ იცოდა, რა ექნა ჭირად გამხდარი ამ თავისი ნაწერებისთვის! ისევ შინ წაეღო? მაგრამ რა თავში სახლელადღა უნდოდა – ხუმრობა ხო არ იყო, ამხელა პროზაიკოსმა დაუწენა!

„გადავყრი და ეგ იქნება!“ – უელვა უცებდა მძაფრი განცდებისგან გაშოლტილს, ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა. ამიტომ გადაწყვიტა ბარემ აქვე გათავისუფლებულიყო უბედურების მატარებელი ამ ქალალდებისგან! ის იყო, ასწია ხელი სანავეურნაში ჩასაყრელად, რომ უკანასკნელ წამს გლახვულმა მაინც არ დაანება: რაკი გამოსული ვარ, მოდი, მოთხოვბას ახლა „ლიტერატურულ საქართველოში“ მივიტან, ღია წერილს კი შევინახავ – რა იცი, მერე რაში დამჭირდესო.

მართლაც, ღია წერილი მიკეც-მოკეცა და ჯიბეში ჩაიდო. დაჭმუჭნული მოთხოვბა კი მიასწორ-მოასწორა და „ლიტერატურულ საქართველოში“ წაილო. რაკი კორექტორების გარდა ჯერ არავინ მოსულიყო, ხელნაწერი მათ დაუტოვა.

\* \* \*

## მოულოდნელი „პოპულარობა“

ჯ. მეხრიშვილმა თავისი მოთხოვა „დეპილთა მძევ-ლები“ „ლიტერატურულ საქართველოში“ 22 ივლისს მიიტანა, თხუთმეტიოდე დღის შემდეგ კი დედოფლისწყაროში ძმასთან გაემგზავრა – მოენატრა შირაქის ველ-მინდვრებსა და ივრისპირეთში ხეტიალი, იქ შემთხვევით გადაყრილ ჯაფისკაცებთან გამოლაპარაკება...

8 აგვისტოს, პარასკევ ნაშუადლევს „ლიტერატურული საქართველო“ ისევ იმ ფარდულში, ისევ იმავე ლამარა ჯანი-აშვილთან იყიდა, სადაც და ვისგანაც ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ ყიდულობდა ხოლმე.

რაიონებისთვის დამახასიათებელ პატარა, სევდიან ცარი-ლ პარკში ჩამოვადა და პირველ რიგში, როგორც სჩვეოდა, ჯერ პროზას დაუწყო ძებნა, რათა უმაღ შეეტყო – ვის ბეჭდა-ვდნენ, რა იბეჭდებოდა!

საამურად მოშრიალე გაზეთი გადაფურცლა, გადაფურცლა და უცებ მსხვილი სასათაურო შრიფტით ჯადოსნურ იღუმ-ალებაში ახარისხებული ნაცნობი სახელწოდება – „დეპილთა მძევლები“ – შემოეფეთა!

ამდენი ტანჯვა-დამცირების შემდეგ რას წარმოიდგენდა, ამ მოთხოვას საერთოდ ვინმე თუ დაუბეჭდავდა, თანაც ასე მალე!

გაოგნებული მწერალი თვალჩაციებით ჩასჩერებოდა გადაშლილ გაზეთს და გულშემკრთალს უცებ მოეჩვენა: ცხა-დიდან ახლა სიზმარეთში გადადიოდა!

თვალს არ უკერებდა, მსგავსი რამ ჯერ არაფერი შემთხვეოდა! ეტყობა, მავანთაგან დათარსულ მოთხოვას თავისი სვეკრულობა მაინც ფეხდაფეხ სდევდა: უფოტოსურათო ტე-ქსტი გაზეთის ორ გვერდზე გადაჭიმულ-გადაშავებულიყო, ავტორის გვარ-სახელი კი... გამორჩენოდათ!!!

- რა გინდა, ძმაო, ერთ კვირაში არიახული პოპულარობა მოგიტანეთ! – გულიანად იცინოდა მერე გაზეთის მორიგე რედაქტორი, მწერალი თემურ აბულაშვილი, – ჩვენ ვიკითხოთ,

რომ სანამ განმარტებას მივცემდით, პირდაპირ სისხლი გაგვიშ-  
რეს და მთელი კვირა სულ ტელეფონებზე ვეკიდეთ!.. აღელვე-  
ბული მკითხველები წამდაუწუმ რეკლენ როგორც თბილი-  
სიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან: ეს რამე  
სიახლეა?! ამიერიდან პროზაიკოსთა გვარ-სახელები აღარ დაი-  
ბეჭდება და სტილის მიხედვით ჩვენ თვითონ უნდა მივხვდეთ  
მათ ვინაობას თუ რა არისო?! გაგვაგებინეთ, ვინაა ავტორი –  
ეს რა მაგარი მოთხრობააო!.. აბა!.. ამგვარ უეცარსა და ბუნე-  
ბრივ პოპულარობაზე ვერც იოცნებებდი!.. მოკლედ, სამაღარი-  
ჩოდა გაქვს საქმე!.. ჰა-ჰა-ჰა!..

ო, ღმერთო, ღმერთო, რაღა საჭირო იყო იმ ქვეყნად  
ჯოჯოხეთის შექმნა, თუკი ამქვეყნად იარსებებდა მწერლობა!..

## ლეიტოისთვის მაინც გაეგონებინა!

„უნდა ვაღიარო, ნერვებმა მიმტყუნა და  
მართლაც ვიღრიალე. ჯერ იმ კაცს ვაგინე,  
კატოკზე რომ იჯდა, მერე ბრიგადის დანარჩენ  
ნევრებს ვუყვიროდი. ისინი უშედეგოდ ცდი-  
ლობდნენ ჩემს დაშოშმინებას“.

ირაკლი ჯავახაძე

მოთხოვთ „წინასწარმეტყველების გამოუსადეგარი ნიჭი“  
უურნალი „ლიტერატურული პალიტრა“, 2006 წ. №6, გვ. 51.

ნუთუ დამნაშავეა ჯემალ მეხრიშვილი, ახალდაარსებული  
ნებისმიერი ლიტერატურული ორგანო გლახეულს სიხარულითა  
და მწერლური იმედიანობით რომ შეუტოკებს ხოლმე?!

ამჯერადაც ასე მოხდა!

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორ-  
ტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით 2009 წლის მაისის  
ბოლოს გამოვიდა „ლიტერატურული გაზეთის“ პირველი ნო-  
მერი (რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე, რედაქტორის მოადგილე  
უჩა შერაზადიშვილი, უურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი,  
თამთა უურული).

ჯ. მეხრიშვილი, კარგად რომ ვერ იცნობს ანდა არც სურს  
იცნობდეს და ამიტომ დეზერტირივით მუდამ თვალს უხუჭავს  
ლიტერატურული ცხოვრების კულისების ჯადობაზობას, მიამი-  
ტი ბავშვივით მოიხიბლა რედაქტორის წერილის ამ პასაჟით,  
ღმერთის ბაგეთაგან წამოსული, რწმენის ჩამნერგავი ჩურჩუ-  
ლივით რომ ჩაუდიოდა ყურში, გულსა და გონებაში.

„ლიტერატურული გაზეთის“ კარი ლია ყველასთვის,  
ვინც წერს ლექსს, მოთხოვბას, რომანს, კრიტიკულ  
წერილს, ესეს...

ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვისთვისაც  
მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის ლიტერატურულ  
ფერხულში ჩაბმა“.

თუმც მწერალი ცოტა შეაფიქრიანა ამ აქამდე გაუგონარმა უცნაურმა ტერმინმა, „**მაღალი ხარისხის ლიტერატურული ფერხული!**“ ამიტომ გულში ეჭვი ჩაეპარა – ვაითუ რედაქციას ამგვარი „**მაღალი ხარისხის ლიტერატურული ფერხულის**“ მოსახდენი ნაწარმოები ვერ მივუტანო, ისინიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო და მეც თავი გავინაბილო. მაგრამ მწერლური ცდის ცდუნება და იმედი ხომ მოურეველია – მაინც გადაწყვიტა საგანგებო შემთხვევისთვის შემონახული ნოველა, „**პატარა კენიგსბერგი**“ წაელო. თან ერთი სული ჰქონდა, მალე ენახა თბილისის ის ჯადოსნური კუთხე, ხედი, მდებარეობა, ქუჩა, შენობა, რედაქციის კარი, კედლები და ოთახების განლაგება, საცა ახალი ლიტერატურული სული აღმოცენებულიყო!!!

რაკი გაზეთი რედაქციის ადგილსამყოფელს არ იტყობინებოდა და მხოლოდ ტელეფონების ნომრებითა და ინტერნეტული მისამართის მითითებით იფარგლებოდა, დარეკა და უჩა შერაზადიშვილმა მადლიანად აუხსნა, ვაკეში, გალაკტიონის ძეგლის (!!!) უკან ჩამდევარ ყიფშიძის ქუჩაზე რედაქციისთვის როგორ უნდა მიეგნო.

მარტომყოფი, მასალების რედაქტორებით დაკავებული ბ-ნი უჩა მისთვის დამახასიათებელი გადამდები სიმშვიდითა და გულისხმიერებით შეხვდა. ისინი ერთმანეთს ჯერ კიდევ „**ლიტერატურული საქართველოდან**“ იცნობდნენ და მართალია, არაფრით გამორჩეული, მაგრამ უანგარო კოლეგიური ურთიერთობა ჰქონდათ.

- ერთი ხუთგვერდიანი ნოველა მოვიტანე, – მოკლე მისალმება-მოკითხვის შემდეგ ჯ. მეხრიშვილი თავისი რჯულისამებრ მაშინვე საქმეზე გადავიდა, რათა რედაქციის მუშაკი ტყუილუბრალოდ არ მოეცდინა ანდა თავი არ მოებეზრებინა, – ნახეთ... იქნებ გამოგადგეთ.

- რას ჰქვია „იქნებ გამოგადგეთ!“ პირველად ხომ არა გხედავ?! – შემოაგება ბ-ნმა უჩამ, – კარგად მახსოვს „**ლიტერატურულ საქართველოში**“ დაბეჭდილი თქვენი ნოველები!.. მე კი მალევე წავიკითხავ.. მაგრამ აქ მთავარი მაინც რედაქტორია: მას თუ არ მოენონა...

სახლის საწვიმრიდან სითბონაკრავი ყინულის ნატეხ-ივით მოულოდნელად ჩამოვარდნილმა მდუმარებამ და თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე მრავალნაირ სარე-დაქციო უკეთურობას წვნეული პატიოსანი მუშავის აზრიანმა მზერამ ჯ. მეხრიშვილს ელვისებურად ანანა იქ მისვლა, მაგრამ უკვე გვიანი იყო!

\* \* \*

სამ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ „ლიტერატურულ გაზეთში“ მისი ნოველა არ გამოჩნდა. 22 ოქტომბერს, ხუთ-შაბათს, რედაქციაში მისვლა გადაწყვიტა, რათა შეეტყო: თუ საერთოდ, არ ბეჭდავდნენ, მაშინ სხვაგან მაინც წაელო.

რედაქციას რომ მიუახლოვდა, ერთმა შუახანს გადაც-ილებულმა კაცმა მოკრძალებით შეაჩერა: ხომ არ გეცოდინებათ, აქ „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქცია სად მდებარეობსო. ჯ. მეხრიშვილმა აუხსნა და კოლეგა ძმურად აიდევნა, თუმც მოგვიანებით სანანებლად დარჩა, მისი ვინაობის გაგება რომ ვერ მოესწრო – წერილს ესეც თავისებურ მიმზიდველობა-სა და დამაჯერებლობას შესძენდა!

პირველ სართულზე მდებარე ჩამყუდროებულ რედაქ-ციაში სამნი დახვდნენ. უჩა შერაზადიშვილი ხელნაწერს ჩალრ-მავებოდა, ზურგშებრუნებული ჭაბუკი კომპიუტერისტი რალაც ტექსტს კრეფდა, ერთ-ერთი საწერი მაგიდის კუთხესთან უხ-ერხოდ მიმჯდარი ბლვერია ორმოციოდე წლის კაცი კი ისე იც-ქირებოდა, რომ ზედგე ეტყობოდა – მისან არასასურველად მიჩნეულ ავტორებსა თუ შემთხვევით სტუმრებს დასანახად ვერ იტანდა!

- ბატონო უჩა, მაშინდელი ჩემი ნოველის ამბის გასაგებად მოვედი, – მორიდებით დაინყო ჯ. მეხრიშვილმა, – ნეტავი რა გადაწყვიტეთ?... ან დღეს რედაქტორი მოვა, არ მოვა, რომ...

- აი, რედაქტორი! – ბ-ნი უჩა ნელთბილი ღიმილითა და მიმტევებლური კილოთი შეეცადა ჯ. მეხრიშვილის უმეცრო-ბის გაქარწყლებას თუ შერბილებას და ბლვერიას საქმიანად მიმართა, – ბატონო ირაკლი, მწერალი ჯემალ მეხრიშვილია! ამ

სამიოდე თვის უკან მისი ნოველა რომ გადმო...

- არ დაიბეჭდება! – ისე შურმაძიებლურად შესძახა ადგ-ილიდან წამოვარდნილმა რედაქტორმა, თითქოს მთელი სი-ცოცხლე ამ ფრაზის თქმის შესაფერის დროს მოუთმენლად ელოდებოდა. მეორე, უკარო ოთახში გასხლტა, მალე ისევ შემოტრიალდა და ჯ. მეხრიშვილს თავისი ნოველა მაგიდაზე დაუგდო, – არ ვარგა!!!

უეცრად ჩამოვარდნილი სიჩუმე დამოკლეს მახვილს დაემსგავსა.

- რას უწუნებთ?

- რას ქვია „რას უწუნებთ?!“ – ხმააწევით დააკვესა ავტო-რის ამგვარი „შეურაცხმყოფელი“ კითხვით ჩალასავით აპილ-პილებულმა რედაქტორმა და ელვისებურად თავი გაიბრაზა, – არ ვარგა და იმას ვუწუნებ, სხვა რას უნდა ვუწუნებდე?!. ისევ ძველი დრო ხო არა გვონია, აქ ყველას სათითაოდ ჩამოვუჯდე და ვეჩიჩინო – ვის რას ვუწუნებ!.. რაც მომენტობა, დავბეჭ-დავ, რაც არა და – არა!.. მორჩა და გათავდა!... უვარგისია, არ მომენტონა! ახლა?!

- იმიტომ არ მოგეწონებოდათ, რომ თქვენ თვითონ ერთი უიმედო და ეგოისტი გრაფომანი ხართ და რედაქტორის ტახ-ტზეც შეცდომით თუ პროტექციით წამოვასკუპეს! – მედგრად ჩაუკაკლა ჯ. მეხრიშვილმა.

- რა-ააა-ო?! – რედაქტორი კელანაჭამს დაემსგავსა და ჯ. მეხრიშვილისკენ ხელების სასაცილო ფარჩხვა-ქნევით წამოვი-და, – ახლავე გაეთრიე აქედან!.. გაეთრიე-მეთქი, სანამ..

მოადგილე მაშინვე წინ გადაელობა თავის რედაქტორს.

- რა იყო, რა მოგივიდა?! დაწყნარდი!.. გეყოფა!.. სირცე-ვილია! – ბ-ნი უჩა ამ სიტყვებს ისეთი წრფელი განცვიფრუ-ბა-შეშტოთებით ამბობდა, საცა სამართალია, აქ ხამად მოსული ორი ავტორი უეჭველად უნდა დარწმუნებულიყო, რომ მსგავსი რამ რედაქციაში პირველად ხდებოდა! თუმც ჯ. მეხრიშვილი ველარ გარკვეულიყო – ამგვარი სცენები აქ მართლა პირველი თუ ვითომ პირველი იყო!

თაყვანისცემას იმსახურებდა კომპიუტერისტის სანიმუშო

შეუკრთომლობა – ვითომც აქ არაფერიაო, ის ნირშეუშლელად განაგრძობდა თავის ღვიძლ საქმეს. ჯ. მეხრიშვილს მოყოლილი ავტორი განზე მიმდგარიყო და ეტყობა, თავი სიზმარში ეგონა.

მოადგილისგან საიმედოდ გზაგადალობილი რედაქტორი კი ცერცვივით ხტოდა და თავისას გაჰკიოდა.

- მორჩა, წავიდა თქვენი დრო!.. ახალი თაობა მოვიდა!.. ეს გაზეთი დებიუტანტებისაა!..

- მერე, თავიდანვე გეთქვათ ასე – რაღად გინდოდათ იმგვარი მაჭანკლური დემაგოგია – „ლიტერატურული გაზეთის“ კარი ყველასათვის ღია იქნებაო!.. ანდა, რა ეტყობა, რომ ეს გაზეთი მხოლოდ დებიუტანტებისთვისაა?! დებიუტანტების კი არა, თქვენი სასურველი ავტორებისაა!.. დაიცა, ჯერ სად არი – თქვენ დროზე თუ არ მოგაშორეს აქედან, მთელი საქართველო თანდათან დაინახავს, გზას ვისა და რანაირ ტექსტებსაც გაუხსნით!..

- ერთი უყურეთ!.. არა, ვერ ატყობ, რომ სამკურნალო ხარ?! – თავისებურად გაჰკიოდა რედაქტორი, – წადი რა, დროზე იმკურნალე!!!

- ვიმკურნალო?!! – ჯ. მეხრიშვილმა თავისი ნოველა მჭიდროიდ შეგრაგნა და კარისკენ კუდამოძუებული გაეშურა, თუმც ზღურბლთან შეჩერდა და ისევ რედაქტორს წამოუტრიალდა, – თქვენ და მე რამდენიც უნდა ვიმკურნალოთ, მაინც აღარაფერი გვეშველება, ვინაიდან თქვენი გრაფომანული გულუკ-მეხობა და ჩემი ქიზიყური პირმთემელობა განუკურნებელი სენია!

მერე რკინის მძიმე კარი სამუდამოდ გაიხურა და ყიფშიძის ქუჩას თავჩაქინდრული შემოუდგა, **გალაკტიონის ძეგლისთვის** ცრემლმონოლილი თვალებით რომ არ შეეხედა...

ყისმათი იყო თუ რა – სწორედ იმავე საღამოს მოულოდნელად ასპინძიდან „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა, ბ-ნმა **ავთანდილ ბერიძემ** დაურეკა: ნოემბრის ნომრისთვის ერთგვერდიანი პროზა ჰაერივით მჭირდება და თუ რამე გექნება, რუსთაველზე, გამომცემლობა „კოლორში“ მიიტანე და შემატყობინეო.

**„პატარა კენიგსბერგი“** ჯერ „ლიტერატურულ მესხეთში“

დაიბეჭდა, მერე კი 2010 წლის ბოლოს გამომცემლობა „მწიგნობრის“ მიერ დასტამბულ მწერლის სამას სამოცდათოთხმეტგვერდიან კრებულშიც „დარღი“ შევიდა.

თუმც ეს ბევრს არაფერს ნიშნავს! ვინ იცის, „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე იქნებ ცამდე ალალია: ჯ. მეხრიშვილის ხსენებული ნოველა მართლაც გადასაგდებია, მის მიერ თავის გაზეთში დაბეჭდილი პროზაული ტექსტები კი განსაკუთრებული, გამორჩეული, სანიმუშო და თითოთ საჩვენებელი შედევრები!

თუკი ოდესმე ვინმეს შედარება-შეფასების სურვილი გაუჩნდება, ამაზე ადვილი არაფერია: ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ლიტერატურული გაზეთის“ შიფრია 1795, ჯ. მეხრიშვილის წიგნის „დარღი“ ნომერი K 267.402/3.

\* \* \*

თავისი ცხოვრების მანძილზე მწერლური ურთიერთობის მიზეზით მიღებული როგორც სხვადასხვა დროის დიდ-პატარა სულიერი ჭრილობები, ისე 2009 წლის 22 ოქტომბერს „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში მოყენებული იარაც მოუშენდა და ჩაუკორძდა. მაგრამ ოთხი წლის შემდეგ ეს ჩაყრუებული ნაიარევი ისევ გაუხელახლდა და მაშინდელზე უფრო მწვავე ტკივილი და მწუსარება განაცდევინა.

უკრნალში „ჩვენი მწერლობა“ (მთავარი რედაქტორი როსტომ ჩხეიძე) 2013 წლის სექტემბერში (№19) დაიბეჭდა პოეტ ნატა ვარადას „ექსპრესინტერვიუ“ მწერალ ირაკლი ჯავახაძესთან.

ჯერ მოისმინეთ **6. ვარადას** ერთ-ერთი კითხვა და **ი. ჯავახაძის** პასუხი.

„ – როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

- **მწერალი**.

პირდაპირ გასაშტერებელია: ინტერვიური რას ეკითხება და მწერალი კი რას პასუხობს!

სიტყვა „როგორი“ ხომ კითხვითი ნაცვალსახელია და ნიშნავს – რა თვისებისა, რარიგი, რაგვარი, რანაირი. **ი. ჯავახაძის**

**ვახაძე** ამ უმარტივეს ვითარებაშიც კი ვერ გარკვეულა, რას ეკითხებიან და ამ კითხვისთვის რანაირად უნდა ეპასუხა!

ინტერვიუერს რომ ეკითხა: როგორი მწერალი გინდო-დათ ყოფილიყავითო, მაშინ სრულიად ბუნებრივად გამოუვი-დოდა ნებისმიერი ამგვარი პასუხი: ცნობილი, პოპულარული, ეროვნული, დიდი, გენიალური, უპრეტენზიო, უკვდავი, ჩუმი და სხვა. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ამგვარი კონტექსტით დასმული კითხვისთვის მწერალს მწერლად გახდომა-ყოფნის სურვილი ასე უაზროდ მიესადაგებინა?!

დიდი ხანია, რაც ირაკლი ჯავახაძე მწერლად ითვლება, საზოგადოება მას მწერლად იცნობს, სადაც მოესურვება, იქ იძეჭდება, წიგნები აქვს გამოცემული, ინტერვიუებს იძლევა, არ ვიცი, იქნებ ლიტერატურული პრემიებიც ჰქონდეს მოპოვებული და რომელიმე ლიტერატურული კონკურსის ურურის წევრად ანდა თავმჯდომარედაც იყოს ნამყოფი!.. ამხელა ლიტერატურული ორგანოს რედაქტორია!.. ის კი არა, სხვადასხვა წლების კედლის კალენდარშიც არის შეყვანილი – მაშ, მეტი რაღა მწერლობა სურს და კიდევ რაღა მწერლად გახდომა-ყოფნა ეოცნებება?!

ამ შეუსაბამო კითხვა-პასუხიდან აშკარად ჩანს, მას თავისი მწერლობა თვითონვე არა სჯერა და მორცხვი მოზარდივით ეოცნებება, რომ მწერალი ყოფილიყო! ამიტომ აქ იგი ემსგავსება გონებაგაფანტულ კაცს, რომელიც მონდომებით ეძებს იმას, რაც ხელში უჭირავს!!!

ახლა სამი საზარელი პასუხის მოსმენა მოგვიხდება.

„ – თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

- უუმურობა.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- ისევ და ისევ უუმურობა.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- სხვა უუმურებს“.

ამის წამკითხველ მწერალს შეიძლება სისხლი გაეყინოს: თავად უუმური, „სხვა უუმურებს“ რომ ვერ იტანს, აბა, წარმოვიდგინოთ, უდანაშაულო ავტორებისთვის როგორი ასატანი

იქნება ასეთი რედაქტორი, რომლის მთავარი თვისება და მთავარი ნაკლი თურმე **უუმურობა** ყოფილა!!!

**ირაკლი ჯავახაძე „ლიტერატურული გაზეთის“** რედაქტორის თანამდებობის დატოვების მიზეზად ამ თავის პიტალო **უუმურობას** რომ ასახელებდეს, მაშინ ამგვარი საჯარო აღიარება და კეთილგონივრული გადაწყვეტილება ადამიანურობაში ჩამოერთეოდა! მაგრამ როცა აღმაშფოთებლად გაყვინიზებული რედაქტორი თავისი **უუმურობით** გაოგნებულ საზოგადოებას ჭკუასუსტი უფლისწულივით ეპრანჭება, ეს უკვე სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს მრავალეროვან მწერალთა კორპუსისადმი მიშვებული სადიზმი, ცინიზმი, პათოლოგიური ნიშნის მოგება და შანტაჟი – ვინ იცის, რამდენმა იწვნია და მომავალშიც კიდევ რამდენი იწვნევს ამგვარი გაუწონასწორებელი რედაქტორის „სანიმუშო“ **უუმურობას** და „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციას სათოფეზეც აღარ გაუვლის ანდა, საერთოდ, ვერც გაბედავს იქ მისვლას!

მერედა, რატომ, რისთვის, ვისი გულისთვის?!

ეს თუ არ ანალვლებს, ნუთუ არ აფიქრებს მაინც უფალ **ჯავახაძეს?**!

ან ქართველ მწერალთა კორპუსი როგორ ითმენს **უუმური** რედაქტორის მიერ პირისახეში ასე **უუმურად** შემოფურთხებასა და უტიფრულ გამოწვევას?!

ნუთუ ქართველ მწერალთა შორის აღარ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელიც **უუმური**, გულუკმეხი, ფხუკიანი, ავარდნილი, ანჩხლი, უკულმართი, ქედანა, ცუდმედიდი, ეგოსატი, თავნება და თვითრჯული კი არა, ჭეშმარიტი რედაქტორისთვის საჭირო და აუცილებელი ღირსებებით შემკული იქნება!..

უეპ, იმ ანდაზისა არ იყოს: ბალლო, ამდენს რადა ჩხავიო, გამყავს და იმიტომო! აბა, დაუკვირდით, დღევანდელ ქართულ მწერლობაშიც კასტურ-განუკითხაობით გულმოცემული რამდენი თავაწყვეტილი გრაფომანი და ვაირედაქტორი „ღავის“ და ბუქნაობს!..

„ექსპრეს-ინტერვიუს“ ბოლო კითხვა-პასუხი ყველაფერს აგვირგვინებს.

„-თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?!

- მგონია უკვე შევხვდი. დიდად არ მოვეწონე – მიხედე საკუთარ თავსო“.

ჰმ, ირაკლი ჯავახაძე ღმერთსაც რომ კინტოური აგდებით ეკიდება, მაშ, რაღა გასაკვირი უნდა იყოს, ერთ რიგით მწერალს, ჯ. მეხრიშვილი ისე მოპყრობოდა?!?

ღმერთთან შეხვედრა ერის რჩეულთა შორის რჩეულების წილხვედრია და ეს ზეციური ჯილდო სიკვდილამდე კარგად ამახსოვრდებათ ხოლმე!!!

ჰოდა, ღმერთს ირაკლი ჯავახაძისათვის თან თუკი რჩევაც მიუცია, მაშ, რაღა საკადრისი იყო ამ დიადი წამის ასე აგდებულ-კადნიერი „მგონიათ“ მოხსენიება?! თანაც...

თუმც ღირს კი მსჯელობის გაგრძელება?!.

ნანაკითხით გაქვავებული უბედური ჯ. მეხრიშვილი ხილვადაკარგული თვალებით შტერად ჩაჰყურებდა გამომწვევად ყელმოლერებულსა და ხალვათი სავარძლის საზურგის მთელ სიგრძეზე უნაღვლელად მკლავებგადაყრილ ირაკლი ჯავახაძის ფოტოსურათს... იგრძნო, ოთხი წლისწინანდელი იარადან სისხლმა როგორ იწყო გამოჟონვა...

- რა იქნებოდა, ღმერთისათვის მაინც გაეგონებინა. – გაფითრებულმა ესღა ჩაიჩურჩულა, ჟურნალი სადღაც უაზროდ მიდო და მტკიცნეულად მუონავი სულიერი იარის ჩასაყრუებლად სოფელ დილმის უკაცრიელ სანახებში სახეტიალოდ წაჩერჩეტდა.

## გზასაცდენილი პინოვარსკვლავი

სადღაც ეშოვათ კუბო ჯიბგირებს  
და მოეწერათ ზედ ჩემი გვარი.  
ნიკო სამადაშვილი

გადმოდგა სადღვეშელაზე  
ქუჩუმიანი<sup>3</sup> ფარია,  
კითხულობს ქალუნდაური<sup>4</sup>:  
– სად ომობს ჩემი გვარია?  
ბეგენგორს, ქალუნდაურო,  
ომს ება შენი გვარია!..

ხალხური

აბა, რაღა დასამალია ანდა ეს რატომ უნდა იყოს დასამალავი: ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული წიგნის, „გათავისუფლება“ წერას ყველაფრისაგან გამოთიშული და თავის ერთოთახიან ხრუშჩოვულა უჯრაში დაბუნაგებული ჯ. მეხრიშვილი ისეთი ჯადოსნური მიმზიდველობით ჰყავდა შთანთქმული, რომ ალარც ახსოვდა და იმხანად არც აინტერესებდა, რა ხდებოდა არამცთუ ქვეყნიერებაზე, არამედ თვით მის სასიცოცხლო სფეროშიც, ქართულ მწერლობაში.

ის კი არა, საერთოდ, ველარც გრძნობდა თუ მართლა არსებობდა კიდევ სხვა ანუ მიმდინარე დროებაც და მოსახლეობის ბოლო აღწერის მიხედვით თვითონაც მასში ირიცხებოდა – ის მხოლოდ ტანჯული გენიოსის ძნელად მოსახელთებელი და კიდევ უფრო ძნელად გასათავისებელი ნუგეშმნველი ეპოქით სუნთქავდა, აზროვნებდა, მკითხაობდა, იტანჯებოდა! თუმც

<sup>3</sup> ქუჩუმიანი – რასაც ქუჩუმი – სამკაული ფოჩები – აქვს.

<sup>4</sup> ქალუნდაური მამუკა – ხევსური სახალხო გმირი გოგოჭურების გვარისა.

სოფელ გიორგიმინდადან. ებრძოდა მთაში გაბატონების მსურველ ერისთავებს და მოთარეშე მეზოელ ტომებს. მისი გმირობის აღსანშავად ხევსურეთში (ბეგენგორზე) აღმართულია ქვის სვეტი.

ზოგჯერ სუნთქვის შემკვრელი აღმაფრენაც ეუფლებოდა – ამგვარი თავგადადების შემდეგ თვითონაც თითქოს ფიროსმანის ეპოქის პანაკინტელა ნამცეცი ხდებოდა! ამიტომ იშვიათი აუცილებლობის შემთხვევაში მცირე ხნით შინიდან გარეთ გამოსვლისას მის მკვეთრად გასხვანაირებულ მზერასა და ცნობიერებაში მოხვედრილი, ფიროსმანისდროინდელი ყოფა-ცხოვრებისაგან მკვეთრად განსხვავებული წვრილმან-მსხვილმანები: აქა-იქ მიმოფანტული ნაყინისა და მოდური სასუსნავის ჭრელაჭრულა ქალალდები თუ ლუდის ცარიელ-ცარიელი ბოთლები, ქუჩაში ახალდამონტაჟებული ბანკომატები, დაუდევრად მოსროლილი, ძალადაკარგული რაღაც პლასტიკური ბარათები, ქუჩაში შუქნიშნები, კოსმოსს დამიზნებული ვეებერთელა სატელიტური ანტენები, თოფის მანძილიდან მოჩინარი ფერადი ბანერები, ამოდენა უცხოური ავტომობილები, გოთურშრიფტიანი ფირნიშებით წალეკილი შენობათა ფასადები, მოქალაქეთა სტიქიურ-ექსტრავაგანტური ჩაცმულობა და თითქმის ყველა მათგანის ხელში მოციმციმე მობილური ტელეფონები ახლა აღიქმებოდა არა როგორც უკვე თვალშეჩვეული ეპოქალური სიახლეები, არამედ როგორც გამოუტანელი სიზმრის ძნელად დასაჯერებელი წაგლეჯები და რაც უფრო ყველაზე საფრთხილო იყო – ფიროსმანის ზღაპრული სამყაროდან მის გამოსატყუებლად და ყურადღების გასაფანტვად სამაცდუროდ მიმობნეული თვალმახარი, მაგრამ უსარგებლო წვრილმანები! ამიტომ წიგნის წერასთან დაკავშირებულ მის დაფესვიანებულ წინმოფიქრებულში მკვეთრი განსხვევებით გამოწვეული მოულოდნელობისგან ცნობიერებაშემკრთალი და ფიროსმანის საუფლოდან მშიერი კრუხივით ამოფრთხენილი მწერალი ამ დროს, ჩვეულებისამებრ, იმას კი არ ცდილობდა, ქუჩაში გამოსვლისთანავე პირისპირ შემოხლილი სინამდვილის ყოველგვარი გამოვლინება ადრინდებურად ჩვეული ჯეროვნებით მიეღო და წარმოსახვაში თავისი კუთვნილი ადგილი მიეჩინა – ყოველივე ამას რაც შეიძლება, მალე გაქცეოდა, ვინაიდან ახლა უკვე ასე ეჩვენებოდა: ყოველგვარი მოვლენა, ნივთი, სიახლე, საგანი თუ გამოგონება, რაც კი ფიროსმანის დროს არ არსე-

ბობდა, ახლა გენიოს მხატვარზე ამდენი ტანჯვიანი ფიქრით შექმნილი მხატვრული მოდელისთვის მავნებლურად დამიზნებულ სასიკვდილო საფრთხედ ესახებოდა!!!

მსგავს შემთხვევაში ყველაფერი შემოქმედისთვის დამახასიათებელი ბუნებრიობით ხდებოდა. გარეთ გამოსული, სულასწრაფებული მწერალი თავის რაღაც მეორე-მეშვიდეხარისხოვან, მაგრამ აუცილებელ თუ გადაუდებელ საქმეს როგორც კი მოითავებდა, მისთვის იმ გარემოში ყოფნა მაშინვე აუტანელი ხდებოდა და მოუთმენლობით მფეთქავი გული ისევ თავის პატარა, შეჩვეულ სამყოფელში დავანებული ფიროსმანისდროინდელი ანდამატური უამუღლანებისკენ ეწეოდა!!!

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მხოლოდ 2010 წლის 28 ოქტომბერს, ხუთშაბათს და ისიც შემთხვევით შეიტყო ნებისმიერი მწერლის გულის ამაჩქლორებელი ახალი ამბავი: საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობით, თითქმის ორწლიანი მუშაობის შემდეგ გამომცემლობას „ეროვნული მწერლობა“ ზაფხულის ბოლოსვე დაესტამბა „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ ერთომეული და „თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიის“ ორტომეული.

ანთოლოგიაში მოხვედრილ მწერლებს არც ჰონორარი ეძლეოდათ, არც საავტორო ეგზიგმბლარი – ნებისმიერ მსურველს საკუთარი ხარჯით წიგნების შექმნა პირდაპირ გამომცემლობაშივე შეეძლო, ტომი ოცდაათ ლარად!

ანთოლოგიის შესაძენად პირდაპირ ასე წასვლა ჯ. მეხრიშვილმა უპატივებელ წინდაუხედაობად ჩათვალა. ამიტომ ჯერ დარეკვა ამჯობინა. „ალო, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა?“ „დიახ, ბატონო!“ – გაისმა ქალის გამოკვეთილი, თავდაჯერებული ხმა. „თუ არ შეწუხდებით, ერთი ნახეთ, პროზის ანთოლოგიაში ჯემალ მეხრიშვილი შეყვანილია თუ არა?!“ „ჯემალ მეხრიშვილი?! – ქალის ხმამ ეს გვარ-სახელი თითქოს იჩოთირა. მერე მის ბაგეს რაღაც მანძილით მოშორებულ ყურმილშიც მკაფიოდ გაისმა, იქვე ვიღაცას რომ გადაეძრახა, – ჯემალ მეხრიშვილი რეკავს – ანთოლოგიაში ვარ თუ არაო?!“ „არა!“ – უხარისხო ნავთის ლამფის პატრუქევით მოშიშინე ტელეფონის

ყურმილმა ტყვიასავით გადმოაგდო მამაკაცის ერთობ დაშორებული, მაგრამ იოლად გასარჩევი, მოურეველი ნიშნის მოგებით დატენილი კორძიანი ხმა. „არა, არა ხართ, ბატონო!“ – ჩაუსხა-პასხუპა მანდილოსანმა და ყურმილი მოსხეპით დაუკიდა.

მწერლის გონებაში წამიერად მთელმა მისმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ გაიელვა! „**მადლობა უფალს!**“ – სასოებით ამოიჩურჩულა, ტელეფონის ყურმილი ისევ თავის ადგილას დააბრუნა და სიმხნევემოგვრილმა უცებ ისეთი შვებამოგვრით ამოისუნთქა, თითქოს მხრებიდან ფუთიანი ლოდები მოაგდებინესო!

\* \* \*

საქმეში ჩაუხედავ მკითხველებს, ცხადია, გაუკვირდებათ: მწერალი პროზაიკოსთა საძმოს თუკი არ გააკარეს და ცოცხლად დამარხეს, უფალთან სამადლობელი რაღა უნდა ჰქონოდაო?!

აი, რა!

ნებადართული 12-16 გვერდიანი ნაწარმოების ნაცვლად ჯ. მეხრიშვილმა განზრას სუთგვერდიანი ნოველა წარადგინა, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული – ლიტერატურული ჯიბგირები ანთოლოგიაში მის გვარს მაინც არ გააჭაჭანებდნენ და ამ ლირსსახსოვარ ღრნისძიებას მისადმი მხოლოდ სადისტურ-ტერორისტული აქტის განსახორციელებლად გამოიყენებდნენ!

ჰოდა, ახლა პირიქით რომ მომხდარიყო, მაშინ ამას მწერლისთვის უფრო კატასტროფული შედეგი ექნებოდა: მისი შეხედულება-წარმოდგენა გამოდგებოდა სრულიად მცდარი და ავადმყოფური, რომლის ძირფესვიანად შეცვლა-გადახალისებას კოლოსალური სულიერი რესურსების ბუგვა დასჭირდებოდა!

მოვლენებმა კი ნათელყო: ამ კუთხით არაფერი არ ჰქონდა გადასასინჯი და შესაცვლელი – ყველაფერი ისევ იმ ძველი, გამოჯეკლი ლიტერატურული ჯიბგირების მიერ ოდესლაც გაკვალული გზით გრძელდებოდა!..

ხუთიოდე დღის შემდეგ, თავისი წიგნის ერთ-ერთი თავი

რომ დაასრულა, გადაწყვიტა, გამომცემლობაში ასულიყო და ის მაინც ეკითხა: თავისი ნოველა როგორ იპრძოდა ან რა ვი-თარებაში დაღუპულიყო. ეგეც არ იყოს, დისკი და ფოტოსურა-თი მაინც უკანვე წამოელო.

გამომცემლობის თანამშრომელმა, ანთოლოგიათა რედ-კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა, პოეტმა ედუარდ უგულავამ მეორე სართულზე მონდომებით აქოთა ყველა საწერი მაგიდის უჯრები, მაგრამ დისკი მიწას ჩაეყლაპა, ვიღაცის მიერ პირისახ-ეზე ირიბად გადატეხილ ფოტოსურათს კი ადვილად მიაგნეს.

ჯ. მეხრიშვილმა მეორე სართულიდან კიბე რომ ჩამოათა-ვა, გამომცემლობის დირექტორი, ანთოლოგიათა პროექტის ხე-ლმძღვანელი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომ-არის მოადგილე, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი პირველ სართულზე დახვდა – თანამშრომელ მანდილოსნებთან ერთად რაღაც ქაღ-ალდებში იქექებოდა.

უარყოფილი მწერალი ანთოლოგიის პროექტის ავტორს შორიახლო გაუჩერდა და ხმაშეკავებით ჰკითხა.

- ანთოლოგიაში რატომ არ შემიყვანეთ?

**ოთარაშვილმა** ისე უპასუხა, პირისახეზე ნაკვთიც არ შერყევია.

- ვინ ხარ?!.. პირველად გხედავ!!!

ჯ. მეხრიშვილი ახლა კი მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე.

– თქვენ აქ ტყუილად რაზე ცდებით, – მშვიდი დანანებით მიუგო და ამავე კილოზე განაგრძო, – თქვენ ჰოლივუდში მსახ-იობად უნდა „მუშაობდეთ!“ იუდას როლს ისე შეასრულებდით, გრიმი და რეჟისორის მითითებაც არ დაგჭირდებოდათ – მსოფ-ლიო კინოვარსკვლავი გახდებოდით!

მლიქვნელობაში გამოცვეთილმა ქალებმა წამქეზებლუ-რად წამოიწავლეს – უფროსს ეს რა აკადრაო.

- ვინ არის იუდა! – იღრიალა ადგილიდან წამოვარდნილ-მა ოთარაშვილმა და მეხრიშვილს დამუშტული გამოუქანდა. დავით კახაბერი და ედუარდ უგულავაშუაში რომ არ ჩამდგარი-ყვნენ, ვინ იცის, ერთმანეთისთვის იქნებ შემოეკრათ კიდეც.

- მე რას მედავები?! – ყვიროდა ოთარაშვილი, – ჩემგან

რა გინდა, როცა შენი ნაგავი-ნოველა რედკოლეგის ყველა წევრმა დაიწუნა!!!

აბა, ამგვარ ყვირილ-კამათს რა აზრი ანდა შედეგი უნდა ჰქონოდა: ჯ. მეხრიშვილმა უსიტყვოდ დატოვა გამომცემლობა და ფეხით დაუყვა ნუცუბიძის გრძელ ქუჩას. ანთოლოგის ჯავრი სულ აღარ ჰქონდა! მწერალთა კავშირის თავჯდომარის მოადგილემ, პოეტმა (!!!) კაცმა ეს რა იყადრა – პირველად გხედავო! ჰმ!..

მწერლის ფიქრები ახლა გამომცემლობის თანამშრომლებს გადასწვდა – ის საწყლები მაგისთანა დირექტორის ხელში, ვინ იცის, რანაირ სატანჯველში იქნებიან და გონებაში უნებლიერ ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ სტრიქონები წამოუტივტივდა: „გული როგორ არ გერევა, მაგასთან ჯდომა-ყოფნითა?!“.

ამ შემთხვევიდან თვენახევარსაც არ გაევლო, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობაში სხვადასხვა „საგმირო საქმეებისათვის“ ოთარაშვილი გამომცემლობის დირექტორის თანამდებობიდან გადააყენა... გამომცემლობის თანამშრომლებმა მაშინლა – სამწუხაროდ, მაშინლა! – დაიწყეს თავიანთი ყოფილი უფროსის ყველა ნაავაკურობის გამომზეურება და თვითონვე აღიარეს: ანთოლოგისთვის წარმოდგენილ ნაწარმოებებს ჩვენ თვალითაც არ გვაჩვენებდა და ვინც თვითონ სურდათ, ისინი შეიყვანესო...

აი, ასეთია საქართველოს მწერალთა კავშირის მოუშორებელი კარიერისატი თავმჯდომარის, უტიფარი პროვინციელი დემაგოგის, **მაყვალა გონაშვილის** მიერ თავის დროზე მწერალთა კავშირის ერთ-ერთ დიდმოხელედ კვეხნა-ქებით მოყვანილი ოთარაშვილი და მათი მოტანილი წესრიგ-სამართლიანობა!..

## ლევან ბრეგაძის განიაღმური გაელვება

2013 წლის 2 აპრილს, სამშაბათს, ერთ-ერთ გამომცე-მლობაში რამდენიმე მწერალს შემთხვევით კრიტიკოს ლევან ბრეგაძეზე ჩამოუვარდა ლაპარაკი და ყველამ ერთსულოვნად აღნიშნა – დახვეწილი გემოვნების ლიტერატორიაო.

- არაფერიც! – მოულოდნელად მკვახედ შესძახა აქა-მდე უბრად მჯდომარე მწერალმა ჯემალ მეხრიშვილმა, – თა-ნამედროვე ქართველ მწერალთა შორის მე ლევან ბრეგაძეზე უფრო უგემოვნო ლიტერატორი მეორე არვინ მეგულება!!!

მწერლებმა ერთმანეთს გახეტებით გადახედ-გად-მოხედეს. ყველას მუცელში ჩაუვარდა ენა.

- ეგ საიდან დაასკვენით, ბატონი? – ტუჩამრეზით შემოეკითხა ერთი წარბეგბადაკალმული ქალბატონი.

- ახლავე აგიხსნით! – ჯ. მეხრიშვილი კოლეგებს ორა-ტორივით წამოუდგა, – მართალია, მე ამას არ უნდა ვამბობ-დე, ვინაიდან ბატონი ლევანისადმი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ სიმართლეს სად წაუვალთ?! მაშ, მომისმინეთ!

ქიზიყელმა ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო.

- 2006 წლის 16 თებერვალს ჩემი იცდათექვსმეტგვერდ-იანი მოთხრობა „სულელიქმარი ბურუსიდან“ რომელიმე რედაქ-ციაში უნდა მიმეტანა. გამომცემლობა „მერანთან“ შემთხვევით გადაყრილმა მწერალმა თამაზ ხმალაძემ მახარა: საქართველოს მწერალთა კავშირის ახალდაარსებული უურნალის, „ლიტერა-ტურა და ხელოვნება“ პირველი ნომერი გამოსულა!.. ავიდეთ, პროექტის ავტორსა და ხელმძღვანელს, ვაჟა ოთარაშვილს მივულოცოთ და ეგ მოთხრობაც ბარემ იმათ დავუტოვოთ – უკეთეს ადგილს სხვაგან სად დაბეჭდავო. მეც დავუჯერე..

ალაკრულმა მთხრობელმა დაცვარული შუბლი ცხვირ-სახოცით გადაიწინდა.

- ვაჟა ოთარაშვილმა, უურნალის რედაქტორმა მანანა მიქელაძემ და რედაქციის ქრელმა კამპანიამ სამი წელი მატყუა და მაბურთავა, ბოლოს კი გამომიცხადეს – ვერ ატყობ, ჩვენ-თან როგორი შესანიშნავი პროზა იბეჭდება, მაგ ნაგვის გამო-

ქვეყნება როგორ იქნებაო!.. თან ვეღარც მოთხრობა მიპოვეს!.. რაღას ვიზამდი?.. თხლენაჭამივით უსიტყვოდ გამოვბრუნდი და ყისმათის საცდელად მოთხრობის მეორე პირი 2008 წლის 18 დეკემბერს ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქციაში მივიტანე და დავტოვე... **ლევან ბრეგაძემ** კი მავანთა მიერ და-ფურთხებული ჩემი ნაგავი-მოთხრობა 2009 წლის თებერვალ-შივე დაბეჭდა!... თან გაითვალისწინეთ – მაშინ ეს ჟურნალი ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა!

ჯ. მეხრიშვილმა ნამით სული ამოიბრუნა.

– ჰოდა, ვისაც ძალიან გაინტერესებთ, **ოთარაშვილის** ჟურნალში წლების მანძილზე ნაბეჭდ პროზას გულდასმით შეუ-დარეთ **ლევან ბრეგაძის** მიერ დაბეჭდილი ჩემი ის ნაგავი-მოთხ-რობა და მაშინ მიხვდებით, რა ბუნებისა და ლიტერატურული გემოვნების პატრონიც ყოფილა ეგ თქვენი... რა ჰქვია... ისა! მაპატიეთ, ვიზე გვქონდა ლაპარაკი?! უკაცრავად, ჰო, **ლევან ბრეგაძე!!!**

ყველაფერს მიმხვდარმა მსმენელებმა შვებით ამოის-უნთქეს და ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად შეჰქმდიმეს.

## ასეპი და სტალინური შევარდნები

დიდი სამამულო ომის დროს (1941-1945), განსაკუთრებით კი პირველ წლებში, როგორც საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავები, ისე ჩვენი მამაცი მფრინავები საპაერო ბრძოლის ხელოვნების ყველა მაჩვენებლის მიხედვით სავალალიდ ჩამორჩებოდნენ გერმანელებს, რის გამოც სულ რამდენიმე წამის გაელვებისას „ლიუფტვაფეს“<sup>5</sup> მფრინავების, მეტადრე კი სახელგანთქმული ასების<sup>6</sup> იოლი ნადავლი ხდებოდნენ!

უთვალავი თანამებრძოლის დალუპვით, სამშობლოს თავზე ჩამონალილი სასიკვდილო საფრთხითა და რაც მთავარია, უზადოდ მომზადებულ-გამოწვრთნილი გერმანელი მფრინავების ზღაპრული წარმატებით გამწარებული საბჭოთა მფრინავები – ცაში გაბატონებული „ფაშისტი სვავების“ უძლეველობის მითი რომ გაეცამტვერებინათ! – ომის პირველივე თვეებიდან იძულებული შეიქმნენ საპაერო ბრძოლის უკანასკნელი და ყველაზე „საიმედო“ ხერხისთვის მიემართად – ტარანი<sup>7</sup>!!!

ო, ეს კი კარგად აითვისეს ტოტალიტარული იდეოლოგით გამოზრდილმა საბჭოთა მფრინავებმა!

ტარანისას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ლეგენდარული ასი იყავი თუ შტურვალს პირველად უჯექი ან კიდევ გაგარინდა თუ არა საწვავი და ტყვია-წამალი: თავგადადებული საბჭოთა მფრინავი როგორც კი იგრძნობდა წამის ტრაგიკულობას, სრულიად მოულოდნელად გამოუქანებდა თავის მანქანას და გერმანელი მფრინავის „მესერშმიდტს“, „იუნკერსს“,

<sup>5</sup> „ლიუფტვაფე“ (გერ. **Luftwaffe**) – გერმანიის სამხედრო-საპაერო ძალები მესამე რაიხის დროს.

<sup>6</sup> ასი (ფრ. AS) – სახელგანთქმული მფრინავი-გამანადგურებელი, საპაერო ბრძოლის დიდოსტატი, რომელმაც გარკვეული რაოდენობის მტრის თვითმფრინავები ჩამოყარა.

<sup>7</sup> ტარანი (რუს. TAPAH) – მონინაალმდეგის თვითმფრინავის, ხომალდის ან ტანკისთვის დარტყმა კორპუსით.

„ფოკევულფს“ თუ „ჰეინკელს“ პირდაპირ შუბლით მედგრად ეჯახებოდა!!!

უიმედოდ დაზიანებული ანდა აალებული თვითმფრინავებიდან პარაშუტით გადმოხტომასა და გადარჩენას კიდევ თუ მოასწრებდნენ, რა კარგი, არადა ორივე მფრინავი ჰაერშივე ან დედამინაზე დანარცხებისას სასიკვდილოდ იმტვრეოდა ანდა თვითმფრინავის აალებულ ნამსხვრევებთან ერთად იფერფლებოდა!

საბჭოთა მფრინავმა, უმცროსმა ლეიტენანტმა ვიქტორტალალიხინმა (1918-27.10.1941) 1941 წლის 7 აგვისტოს პირველმა გამოიყენა ტარანული დარტყმა მოსკოვის მისადგომებთან. „ფაშისტი სვავი“ კი ჩამოაგდო, მაგრამ, ცხადია, თვითონაც ჩამოვარდა, თუმც სასწაულებრივად მთელი გადარჩა და ისევ მწყობრში ჩადგა. მეორე დღეს, 8 აგვისტოს უმაღლესი მთავარ-სარდლის ბრძანებულებით ვ. ტალალიხინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა!

ტარანის გამოყენებამ საბჭოთა მფრინავებს შორის მასობრივი ხასიათი მიიღო. თუმც გერმანელმა მფრინავებმაც მალევე აართვეს ალლო რუსი „კოლეგების“ ბუნებას, ხასიათსა და საპარო ბრძოლის ამ „მუშიკურ“ ფანდს: ბრძა სასოწარკვეთით შეცყრობილი „ივანე“ როგორც კი ტარანზე გამოექანებოდა, მას ახლოდან ტყვიამფრქვევის მოკლე-მოკლე ჯერით ცხრილავდნენ, მერე კი სასიკვდილო შეჯახებას გვერდს დახვეწილი პილოტაჟით<sup>18</sup> მერცხლისებურად იცილებდნენ! თუმც ამას ყველა გერმანელი მფრინავი ვერ ასწრებდა და ტარანის მსხვერპლი ხდებოდა!

ჯერ ისედაც მართლა მამაც, ხოლო მოწინააღმდეგის თვითმფრინავების გატარნვაში დაოსტატებულ საბჭოთა მფრინავებს ოფიციალურმა პროპრგანდამ სტალინური შევარდნები შეარქვა! მათზე ლეგენდები იქმნებოდა, ხალხი სიმღერებს მღეროდა! მხატვრული ლიტერატურა, კინო, თეატრი, მუსიკა,

<sup>18</sup> პილოტაჟი (ფრ.) – საფრენი აპარატის მართვის ოსტატობა: თვითმფრინავის მანევრირება ჰაერში სხვადასხვა ფიგურის შესრულებით.

სახვითი ხელოვნება ომის შემდეგაც კი საბჭოთა მფრინავების გამითებას განაგრძობდა. განსაკუთრებით თავგამოჩენილი სტალინური შევარდენი ხომ პირდაპირ სახალხო დევგმირის რანგში აჰყავდათ!

რად ლირდა თუგინდ სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი (1970) ივან კოუედუბი (1920-197?), რომლის ანგარიშზე 330 საბრძოლო გაფრენა და 62 ჩამოგდებული თვითმფრინავი ირიცხებოდა!!!

გაგონილა მეტი წარმატება: მტერს ჰაერში 330-ჯერ შეებრძოლო, მაგრამ მაინც ვერაფერი გავნონ, შენ კი 62 (!!!) „ფაშისტი სვავი“ დაანარცხო მიწას! სხვა ვინ შეძლებდა მსგავსი გმირობის გამოჩენას, თუ არა საბჭოთა სტალინური შევარდენი!!!

რკინის ფარდის გამოღმა მომწყვდეულ საბჭოთა ხალხს ეს ყველაფერი მართლაც ასე სწამდა და სჯეროდა!

\* \* \*

ტოტალიტარული რეჟიმის დასამარების შემდეგ ჩვენში მანამდე აკრძალული ლიტერატურა ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომი გახდა და ბევრ რამეს სულ ახლებურად მოეფინა ნათელი.

1973 წელს ლონდონში გამოვიდა ინგლისელი სამხედრო ისტორიკოსის, **მარტინ კალდენის** წიგნი „**Me—109**“. საარქივო მასალებზე დაყრდნობით ნაშრომში ხაზგასმულია, რომ მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) დროს გერმანელი მფრინავები პირველობას არავის უთმობდნენ. მაგალითად, მარტო 94 ასს ჩამოუგდია მოწინააღმდეგეთა 13. 997 თვითმფრინავი, რომელთა უდიდესი ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტზე მოდის!

ავტორი ასევე შედეგიანობის მიხედვით ასახელებს „ლიუფტვაფეს“ იმ სახელგანთქმულ ასებს, ვისაც საპაერო შეტაკებისას მოწინააღმდეგეთა 150-ზე მეტი თვითმფრინავი გაუნადგურებია: პეტერ ფუტმანს ჩამოუგდია 158 თვითმფრინავი, პანს-იოპაიმ მარსელს – 159 (გერმანელი მფრინვებიდან ყველაზე მეტი ინგლისელი პილოტი მას ჰყოლია ჩამოგდებული), გიუნტერ შაკს – 174, მაქს შტოცს – 189, გერმან გრაფს –

202, თეო ვაიზენბერგს – 238, ოტო კიტელს – 267, ერიჳ ბარცხ-ორნს – 301 თვითმფრინავი... ჩამოთვლა შორს გაგვიტყუებს!...

გერმანელი ასების სიას სათავეში უდგას ყველა დროისა და ქვეყნის ყველაზე შედეგიანი, საპაერო ბრძოლების უბადლო დიდოსტატი, ომის დღეებშივე მართლაც ლეგენდადეცეული მაიორი ერიჳ ჰარტმანი (1922-196?), რომელმაც თავისი უსაყ-ვარლესი და შეუცვლელი, ავიაკონსტრუქტორ ვილი მესერშმიდ-ტის (1898-1978) მიერ შექმნილი გამანადგურებლით „Me-109“ 1425 საბრძოლო გაფრენა განახორციელა და მოწინააღმდეგე-თა (უპირატესად საბჭოთა) 352 თვითმფრინავი ჩამოაგდო!

1942 წლის 5 ნოემბერს 20 წლის ახალბედა მფრინავის პირველი მსხვერპლი საბჭოთა „ილ-2“ შეიქმნა. მერე კი მიჰყვა და!.. 1944 წლის მარტო აგვისტოში 78 სტალინური შევარდენი ჩამოაგდო, აქედან 19 მათგანი 23 და 24 აგვისტოს!

**ჰარტმანის** არამცთუ არასოდეს გამოუყენებია ტარა-ნი, არამედ საერთოდ არ სცნობდა საპაერო ბრძოლის ამგვარ ფანდს და ჭეშმარიტი მფრინავი-რაინდისთვის ეს შეუფერებლა-დაც კი მიაჩნდა. დახვეწილმა და საზრიანმა პილოტმა ბევრჯერ აირიდა გამძვინვარებული სტალინური შევარდნის ტარანი, მა-გრამ 1943 წლის აგვისტოში მაინც ტარანით ჩამოაგდეს, თანაც საბჭოთა ფრონტის შუაგულში!

დამტვრეულ-დალენილი „ფშისტი სვავი“ რუსის ჯა-რისკაცებმა სატვირთო ავტომობილის ძარაზე ჭვავის ტომარასავით შეაგდეს და გზა განაგრძეს. სწორედ ამ დროს გერმანელთა მოპიკირე გამანადგურებლების ავიარაზმი გა-მოჩნდა, რუსების პოზიციებს მთიბავი ცეცხლით რომ „ვარცხ-ნიდა!“ შოთერმა და ჯარისკაცებმა მაშინვე თავშესაფრებისკენ მოკურცხლეს, დამტვრეულ-დალენილი გერმანელი მფრინავი კი ლვთის ანაბარად ძარაზევე დატოვეს – დაე, თავისიანები-სავე ტყვიას ემსხვერპლა!

მტრის ავიარაზმი უკან რომ გაბრუნდა, სამალავიდან გა-მომძვრალი რუსის ჯარისკაცები მიადგნენ თავიანთ სატვირთო მანქანას და პირკატა ეცათ – „დამტვრეულ-დალენილი“ გერ-მანელი მფრინავი უკვალიდ გამქრალიყო!!!

სრულებით საღ-საღამათი, მაგრამ მშიერი ჰარტმანი დღისით ტყეში იმაღლებოდა, ღამლამობით კი გზას მიიკვლევდა. თავისი შენაერთი რამდენიმე დღის შემდეგ იპოვა.

განთქმულმა ასმა უკანასკნელი, 352-ე, რუსების თვითმფრინავი 1945 წლის 8 მაისს ჩამოაგდო, მაგრამ რაკი საწვავი აღარ ებადათ, თავისი ესკადრიილის მფრინავებს უბრძანა, თვითმფრინავები დაეწვათ და ამერიკელებს ტყვედ ჩაბარდნენ.

ამერიკელებმა ნებაყოფლობით ტყვედჩაბარებული მფრინავები და მათთან ერთად ლტოლვილი, განამებული გერმანელი ქალები და ბავშვები 16 მაისს საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფალთ გადასცეს!!!

რუსებმა რომ აღმოაჩინეს, ვინ ჩაუვარდათ ხელში, ჰარტმანს ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება დაუწყეს, რათა თანამშრომლობაზე დაეთანხმებინათ და რომელიმე საფრენოსნო სასწავლებელში თავისი ოსტატობა სტალინური შევარდნები-სთვისაც ესწავლებინა! მაგრამ მამაცი ასი ვერასაგზით გატეხეს და ვერაფრით მოხიბლეს – ჰარტმანმა ისევ ტყვეთა ბანაკის ჯოჯოხეთში ყოფნა არჩია!

1955 წელს, როგორც იქნა, გაათავისუფლეს. იგი ქ. შტუტგარტის მახლობლად დასახლდა თავის მეუღლესთან, ურსულა ჰეფჩისთან ერთად, რომელზეც ჯვარი 1944 წლის 10 სექტემბერს, მოკლევადინი შვებულებისას დაინერა და მას აქეთ ერთმანეთი აღარც ენახათ! ურსულა ერთგულად იცდიდა, რადგან სწავლა – განგება ქმარს უეჭველად დაუბრუნებდა!!!

ტყვეობაში გამოფიტულმა ჰარტმანმა როგორც კი მოიკეთა, გფრ-ის ახლშექმნილ სამხედრო-საპარო ძალებს მიაშურა და ავიაგამანადგურებელი პოლკი ჩაბარეს.

სახელგანთქმული ასი ახალგაზრდა კურსანტებს გულმოდგინედ ასწავლიდა საპარო ბრძოლის ხელოვნებას. რაც შეეხება ტარანს, მისი შეხედულება კვლავ უცვლელი დარჩა. ტარანს საპარო ბრძოლის დაბალი ოსტატობის საკომისენსაციოდ ჩადენილ სასოწარკვეთილ თავგანწირვად მიიჩნევდა!!!

\* \* \*

კი მაგრამ, ყოველივე ამას რა კავშირი აქვს ქართულ ლიტერატურასთან?.. რისთვის გახდა საჭირო ამგვარი „სამხედრო-საავიაციო“ გადახვევა?

აი, რისთვის: თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ სივრცეში გრაფომან-სტალინური შევარდნების გამაოგნებელი სიმრავლე და ჰეგემონია ბატონობს, ხოლო ოფიციალური პროპაგანდის რანგში აყვანილი კლანების ყარაჩოხული კრიტიკა კი მათი „საგმირო საქმეების“ უსაფუძვლო ხოტბის მეტს სხვა არაფერს აკეთებს!!! არადა, მათი ფარიკული ნაწარმი აშკარას ხდის, რაოდენ ღატაკია ამოდენა გრაფომან-სტალინური შევარდნების მხატვრული აზროვნების „არსენალი“: მათი ერთადერთი, უსაყვარლესი და შეუცვლელი „მეთოდი“ მხოლოდ ტარანია!!!

მართლაც, ისინი ყველაფერს შმაგი ტარანით ეკვეთებიან და „ჩამოაგდებენ“ ხოლმე: ტექსტის სათაურს, სიუჟეტს, ნაწარმოების თემასა და იდეას, სტილს... არქიტექტონიკას, პროლოგს, ეპილოგს, ექსპრესიას, მეტაფორას, კულმინაციას, ორთოგრაფიას, პუნქტუაციას... ენას... სინტაქსს... მოკლედ, ყველაფერს!!! შედეგი?

იქნებ მეშლება და ობიექტურობის გრძნობა მღალატობს? კეთილი!

უურნალში „ჩვენი მწერლობა“ (2012 წ., N19, სექტემბერი) გამოქვეყნდა ახალგაზრდა პოეტის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ლექსო დორეულის ხუთგვერდიანი მამხილებელი წერილი „აღავერდი თქვენთანა ვარ, ნინიო აღვარო!“

საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ გამართული გურამ რჩეულიშვილის სახელობის ახალგაზრდა მწერალთა კონკურსის ჟიურის წევრების მიერ გამოჩენილი საუკუნის სირცხილითა და თავმოქრით სამართლიანად აღშფოთებული ავტორი ერთგან საერთოდ, სხვა კონკურსებსაც ეხება.

„.... მიმაჩნია, რომ მათი (ამდენი ლიტკონკურსების. ჯ.მ.) არასწორი ორგანიზება, უმთავრესად კი ჟიურის არაპროფესიონალური და უპასუხისმგებლო წევრებით დაკომპლექტება გა-

მოუსწორებელ, ფატალურ შედეგებს იწვევს... კერძოდ, კრებულ-ში „ხარს ვგავარ ნაიალალარს“ თანამედროვე პოეზიის მთელი ნაგავი ასე გულუხვადაა წარმოდგენილი და მეტად საეჭვოა ზოგიერთი გამარჯვებული (გასაკვირია, ავტორს ეს ბოლო სიტყვა ბრჭყალებით რატომ არ უხმარია?! ჯ. მ.) ავტორის ნიჭიერება...“

პოეზია და ნაგავი?! კი მაგრამ, რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის ქვეყნის პოეზიაში ნაგავს რა ხელი აქვს?.. უფრო სწორედ, იქ ნაგავი რატომ და როგორ უნდა მოხვედრილიყო?!

მაგრამ სხვა რას უნდა ველოდეთ ლიტერატურულ სივრცეში თავდაჯერებით მფრენი გრაფომან-სტალინური შევარდნებისაგან, მრავალნაცადი ტარანის გარდა სხვა მხატვრულ ხერხს რომ ვერ ფლობენ და ამიტომ არც სცნობენ!!!

აბა, კარგად დაუკვირდით: ბევრი ლეტერატურული დიდ-მოხელის, რედაქტორის, გამომცემლის, უამრავი კლანურ-კასტური საძმოს თუ გაუფასურებული ლიტკონკურსების შიურის წევრთა მიერ უკადრისი მიზნებით გრაფომან-სტალინური შევარდნებისაგან დაკომპლექტებული, თავ-თავიანთი საავიაციო შენაერთების, ესკადრილიების, პოლკების, რაზმებისა და რგოლების მამაც „მფრინავთა“ მოვალეობა-საქმიანობას – რაკი პათოლოგიურად მოაწყურეს სახელი, დიდება, ჯილდოება, ხოტბა, პრემიება, პრემიები ან თუგინდ კვარტალური პოპულარობა, ღმერთს კი მათთვის ნიჭიერების ნამცეციც არ მიუმადლებია! – ფხიზლად დარაჯობენ ლიტერატურულ სივრცეს, რათა მას ჭეშმარიტი მწერალი-ასი არ მიუახლოვდეს! ხოლო თუ რომელიმე მათგანმა – მით უმეტეს, დიდმოხელეთათვის არასასურველმა! – მაინც შეძლო თუჯისითავიანთა მჭიდრო კორდონის გარღვევა და თავისი დახვეწილი მხატვრული „პილოტაჟით“ მკითხველთა აღფრთოვანება, მაშინვე კრაზანებივით ესევიან, რათა ერთადერთი და უკადრისი მეკობრული ფანდით, გრაფომანული ტარანით როგორმე ძირს დაანარცხონ და კვლავ თავიანთი ჰეგემონია აღადგინონ!!!

„კი მაგრამ, რას ერჩიან – თითოეულ მწერალს ხომ თავი-

სი გზა და ადგილი აქვს ლიტერატურაში?“ – ეს მხოლოდ ყეყე...  
მიამიტს ამოსცდება.

რას ერჩიან და, **მწერალი-ასის** დახვეწილი აზროვნება  
და გამოკვეთილი მხატვრული „პილოტაჟი“ სამარცხვინო შე-  
დარების საშუალებას იძლევა, რაც უფრო ააშეარავებს მამაცი  
გრაფომან-სტალინური შევარდნების ისედაც თვალში საცემ  
გონებრივ სიჩლუნებს და მათი ნაცოდვილარის გულშემზარავ  
უსუსურობას!

აი, რატომ არ სურთ, თანაბარი პირობებისას ლიტერა-  
ტურულ სივრცეში დახვეწილი **მწერალი-ას(ებ)იც** ჭაჭანებდნენ!!!

„**მაშ, ნუთუ ხსნა არსაით არის?**“ – შეიძლება თავისთვის  
კრთომით ამოიჩურჩულოს ნიჭნაგრძნობმა ყმაწვილმა, მწერ-  
ლობა პირველი სიყვარულის მოლოდინივით სუნთქვაშეკერით  
რომ ეოცნებება, საცდელი ტექსტის დასაწერად კი ჯერ მელან-  
ში კალამი არ ჩაუწია.

არის, ყმაწვილო, როგორ არ არის, შენ მაგაზე გული არ  
გაიტეხო, ოღონდ ერთადერთი გზა არსებობს! მწერლობას მთე-  
ლი არსებით უნდა მიეცე და უზადოდ დახვეწო საკუთარი მხ-  
ატვრული „ფრენის“ პილოტაჟი, რომელიც მერე თავის საქმეს  
„უშენოდაც“ გააკეთებს: ჩამოგაგდონ კი არა, პირიქით – ყვავ-  
ყორნებივით შემოხვეული, მწერლობაში მხოლოდ ყბადაღებუ-  
ლი ტარანის იმედზე მყოფი გრაფომან-სტალინური შევარდნები  
ჩაგულისხმებელი მკითხველის თვალში ისეთი არეული პანტა-  
პუნტით დაიწყებენ ცვენას, რომ შენ მათთან უშუალო შეხებაც  
არ მოგიწევს!

**სასახელო ფრენას გისურვებთ, ქართული მწერლობის მო-  
მავალო ასებო!**

## იაგოსა და ოტელოს სინდრომი

რისთვის გამაბა თავის ქსელში სულით და ხორცით?  
შექსპირი, „ოტელო“

მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ იცის შექსპირის (1564-1616) ტრაგედიის შინაარსი და საზარელი დასასრული: **იაგომ უდანაშაულო ოტელოს როგორ აუბნია ცხოვრების გზა-კვალი!**

სავალალოდ, **იაგოსა და ოტელოს სინდრომი** თანამედროვე **ქართულ მწერლობაშიც უსასრულოდ მეორდება და გრძელდება!** ოღონდ აქ იაგოს როლს ასრულებს ლიტერატურული ორგანოს ზოგიერთი **რედაქტორი**, ხოლო გაბითურებულ ოტელოს წარმოადგენს სრულებით **უდანაშაულო პიროვნება**, წერის ნიჭის წატამალიც რომ არა სცხია, იაგო-რედაქტორს კი დემონურად განუზრახავს მისი ვითომდა მწერლად ქცევა!!!

მერედა, რატომ – იაგო-რედაქტორს რამე ჯავრი სჭირს ხოლმე ამ თვალდადგმული ოტელო-მსხვერპლის? არა, არა, რას ამბობთ, პირიქით – ხშირად მისდამი კეთილადაც არის განწყობილი, მაგრამ ამგვარმა იაგო-რედაქტორმაც რა ქნას – ვიღაცაზე ხომ უნდა შეაჩეროს არჩევანი, რაკი ჰაერივით სჭირდება გრაფომანული ტექსტები!!!

რას ჰქვია „**ჰაერივით სჭირდება გრაფომანული ტექსტები?**“ რედაქტორმა ხომ მხოლოდ ნიჭიანი ავტორები უნდა შემოიკრიბოს და შეძლებისდაგვარად რიგიანი წარმოებები ეძებოს, არჩიოს და ბეჭდოს?!“

დიახ, მაგრამ ასე მხოლოდ მშობლიური მწერლობის უანგარი მსახური, ქეშმარიტ რედაქტორად დაბადებული მამულიშვილი იქცევიან და არა გულნამცეცა, მხოლოდ თავისი ეგოისტური ზრახვებით მოქმედი ლიტერატორები! მტრისას, თუ ამგვარი რედაქტორი თან ამავე დროს თვითონაც მწერალია, ოღონდ უფერული და უმნიშვნელო: ეს უკვე მოურეველი შურისა და მის პიროვნებაში ლიტერატურული იაგოს აღმოცენებისთვის უნიყუიერეს ნიადაგს წარმოადგენს!

ამ ყაიდის ვაირედაქტორთა აზრით, თითოეული მწერლის უპირველესი თავსატეხი მკითხველთა ყურადღების მონოპოლიზებაა!!!

აგაშენათ ლმერთმა! ჰოდა, მის ფაბრიკულ ნაწარმოებებს მლიქვნელი გარემოცვის გარდა ჯერ ისედაც არავინ აქცევს ყურადღებას და ახლა კიდევ თავისსავე ლიტერატურულ ორგანოში მავანთა მაღალმხატვრული ნაწარმოებების ბეჭდვასაც რომ მიჰყოს ხელი, მკითხველთა მთელი გულისყური ხომ სულ იმ სიტყვამადლიანი ქმნილებებისა და მათი ავტორებისკენ გადაიხრება – მის თავშესაბაზენ ნაწერებს ვიღა რად ჩაგდებს?! ასე ხომ სულ მთლად ჩრდილში მოიქცევს თავს და ცოცხლად დაიმარხება! მაშ, გიუია, თავის თავს თვითონვე ავნოს?!

ო, რა უსამართლოდ არის მოწყობილი ეს უმადური ცხოვრება და ნუთისოფელი: ამ საყოველთაო გაჭირვებისას თვითონ ლურჯა იმცირებს და გველის ხვრელში ძვრება, თავისი ალმანახი, გაზეთი თუ უურნალი როგორმე რომ ასულდგმულოს, მაგრამ რისთვის? საიდანლაც გამომტყვრალი „ვიღაცის“ დიდება თუ უკვდავება უზრუნველყოს, თავად კი მხოლოდ რედაქტორ-ბურლაკი, რედაქტორ-კომპიუტერისტი, რედაქტორ-ხელმძღვანელი, რედაქტორ-კორექტორი, რედაქტორ-მერიქიფე, რედაქტორ-ცენზორი, რედაქტორ-კარისკაცი, რედაქტორ-მნე, რედაქტორ-ფინანსისტი, რედაქტორ-მომმარაგებელი იყოს, მერე კი ამოდენა ნაჯაფი წყალში ჩაეყაროს და დავინუებაში გაითქვიოს?! ჰმ!!! ეს როგორ?! ასე ხომ... არა!!! ამიტომ არ ჯობია, მავანთა გრაფომანული ნაცოდვილარი ტექსტებით მიმზიდველი ფონი შეუქმნას თავის წიგნებს – იქნება ამგვარი ფანდით მაინც მოაწონოს თავი მისდამი დიდი ხანია გაგულგრილებულ მკითხველ საზოგადოებას!..

აი, მკითხველო, ბედისწერის სასწორი ძალიან ხშირად რატომ იხრება ხოლმე ისევ და ისევ გრაფომანული ტექსტებისკენ!..

მერე, განა გრაფომანულ ტექსტებს კი არ უნდა მოპოვება?

ჰა-ჰა-ჰა! ნუთუ მართლა ასეთი გულუბრყვილო ხართ?.. ეს მადლიანი ნაწარმოებებია სანთლით საძებარი, თორემ გრაფომანული ტექსტების მოზიდვაზე ადვილი რა არის?!!..

შექსპირის ტრაგედიისა არ იყოს, ადამიანის მახეში გაპ-  
მას რა უნდა! ერთი იაგოსებური ბოროტმოხარულობით გა-  
მოთქმული აღტაცება: ვაააჲ, ეს რა დაგიწერია, შენ თურმე  
მწერლად ყოფილხარ დაბადებულიოდ და მერე მორჩა – ჯოჯოხ-  
ეთის კარუსელიც თვალისმომჭრელად დაბზრიალდება!..

ადამიანებო, იყავით ფრთხილად – საკუთარ მოწოდებასა  
და შესაძლებლობებში თავად გაერკვიეთ და შექსპირის ტრა-  
გედიისამებრ იაგო-რედაქტორებს ცხოვრების გზა-კვალს ნუ  
აარევინებთ!..

## გრაფომანული იდიოტიზმი

დღიდან დაარსებისა, უურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ ფურცლებიდან პირდაპირ კოკისპირულად მოსჩქეფს აბსოლუტურად მდარე, ხარაზული ხერხით ერთმანეთის დასწრებაზე ნათითხნი, თვით ტრადიციულ გრაფომანულ ზღვარსაც კი გადაცილებული ისეთი გაურჩეველი აბდაუბდა, რომ არამცთუ მწრალი, არამედ რიგითი მკითხველიც კი თავისდაუნებურად მიდის ბუნებრივ დასკვნამდე: უურნალის მესვეურებს ან მართლა არაფერი გაეგძათ მხატვრული ლიტერატურის და მისი მაღალი დანიშნულების ანდა ამ მხრივ არაფერი დაეწუნებათ, მაგრამ რაღაც საბედისწერო მიზეზისა თუ მიზნის გამო მათი უურნალის „მხატვრულ“ მორევში უმეტესწილად სულ გრაფომანული ნაგავი ტივიტივებს!

ბევრს ენიშნება და, ცხადია, მწარედ გაეღიმება: ასე ცამონმენდილზე მაინც საიდან და როგორ გამოიჩეკა პიტალო მაკულატურის მთხველი ეს ამოდენა თუჯისშუბლიანი „პროზაიკოსი“ და „პოეტი“?! რამ მოაფიქრებინათ მწერლობა, ვინ მიასწავლათ ან როგორ მიაგნეს რედაქციას, ხოლო თუ მაინც მიადგნენ, რედაქციის პრინციპულ-პირუთვნელი, უკრთომელი რჯულმდებლები რატომ არ აკვალიანებენ – მწერლობა არ არის მათი სფერო! ამიტომ ურჩევიათ, სხვა რამ ხელობა-საქმიანობას დროულად მოჰკიდონ ხელი!!!

თქვენც არ მომიკვდეთ! პირიქით: უურნალის ნომრიდან ნომერში ნიაგარასავით დაუძინებლივ მოხუს ყოველგვარი „მხატვრული“ ნაბოდვარი!

უურნალმა აი, ამგვარი ონარით ვიღაცეების თუ რაღაცის ჯინაზე ბოროტმოხარულად შექმნა თანამედროვე „პროზაიკოსთა“ და „პოეტთა“ მრავალრიცხოვანი ურდო, რომელიც თავისზე გაცილებით უკეთესებს უურნალს ახლოს აღარ აკარებს!

**სათუნა თავდგირიძის ტექსტის „კუდარის სიზმარი“ (2011 წ. №12) თავიდან ბოლომდე ეტყობა:** ავტორს საერთოდ არ შეუძლია მხატვრულად აზროვნება და წერა. უფრო მეტიც – ისიც კი არ იცის, რაზე წერს, რას წერს, როგორ წერს, რისთვის წერს!

ეს კიდევ ცოტაა! იგი იმასაც კი ვერ ხვდება, რა გამოუვიდა და შეიძლება თუ არა მისი რომელიმე რედაქციაში მიტანა! მაგრამ რედაქციას მაინც ხომ უნდა ესმოდეს, რას სთავაზობს მკითხველ საზოგადოებას?!

ავტორისა და რედაქციის „შეხმატკილებული“ უმეცრობა-უპასუხისმგებლობა ტექსტის პირველი წინადადებიდანვე ელვისებურ ზენიტს აღწევს!

„ქარის ქროლა ხსნის ყველა გზას. ყველა გზა მისდევს ქარის ქროლას.

ქარი სხვაა, არ ტოვებს კვალს, გზა კი ჭრის მიწასა და ცის კანს და ნაპრალებში იგუბებს ხსოვნას, ხსოვნას ხანდაზმული საგნებისა, მიწაზე დარჩენილი ლმერთებისა და ადამიანებისა, რომელიც ერთმანეთის პირისპირ დგომამ, ბჭობამ და დუმილმა დალალა“.

ნეტავი აქედან ვინმემ რამე თუ გაიგო?

დავიწყოთ პირველი, ყოვლად სულელური დებულების შემცველი წინადადებით.

„ქარის ქროლა ხსნის ყველა გზას“.

კი მაგრამ, ქარის ქროლას გზების გახსნასთან რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს? დაიცა და, ქარმა რომ არ დაქროლოს, მაშასადამე, გზებიც ვეღარ დაიხსნება და ლოდინით ნალველ-გასიებულმა მგზავრებმაც ხანდახან თვეობითაც უნდა უცადონ ზეციურ ჯილდოს – ამოვარდნილი ქარისაგან გზების დახსნას, მგზავრობა რომ დაიწყონ ან ისევ განაგრძონ?!

ქარის ქროლა გზებს კი არ ხსნის (ან რისგან, რითი და როგორ უნდა გახსნას?!), არამედ პირიქით: მისგან ატანილი თუ მოტანილი ნაგავი, მტვერი, სილა, ნისლი, ბურუსი, ჯანდი, სეტყვა, ნამქერი, შხაპუნა წვიმის ფარდა, ზღვის მობობქრე ტალღები, ტოტებჩამოჩეხილი თუ ძირ-ფესვიანად მოგლეჯილი ხეები გზებს კეტავს ხოლმე და იქ გავლა გარკვეული დროით ფერხდება ანდა სულაც შეუძლებელი ხდება!

მაშ, ავტორსა და რედაციის მუშაკებს საიდან დაებადათ ასეთი „გენიალური“ აზრი?

ამ საიდუმლოს „ლიტალიტრის“ მესვეურები, ალბათ,

„კოკა-კოლას“ რეცეპტივით ცხრაკლიტურში ინახავენ!

აი, ხათუნა თავდგირიძის მორიგი „სიბრძნე“.

„ყველა გზა მისდევს ქარის ქროლას“.

ლმერთო, ნუ შემშლი! სად – გზები, სად – ქარი, ერთ-მანეთთან რა აკავშირებთ – „ყველა გზა“ როგორ, რისთვის ან რანაირად უნდა მისდევდეს „ქარის ქროლას?!“

ბრძნული გზებით დასერილ უკიდეგანო სტეპებში, ველ-მინდვრებში, ტრამალებსა თუ პრერიებში დაუღალავად მქროლავმა ქარმა ატმოსფეროში ჰაერის მასების მოძრაობის სიჩქარისა და წნევის მკვეთრი ცვალებადობისგან უცრად ახლა იქნებ კავკასიონის, ჰამირის, ჰიმალაის, კორდილიერების თუ ანდების თვალგადაუწვდენელი მთათა სისტემისკენ გაიქ-შულოს და „ყველა გზა“ ქარს იქ როგორ, რატომ, რისთვის ან რომელი ლოგიკის ძალით უნდა გაეკიდოს?! იქ გზებს რა უნდა? ქარის განუჭრეტელი სავარაუდო მარშრუტების მიხედ-ვით გზებს ვინ გიუ გაიყვანს?!

ავტორი თავის სტიქიაშია.

„ქარი სხვაა, არ ტოვებს კვალს“.

ჯერ ერთი, რა მხატვრულ თუ ინფორმაციულ მიზანს ემ-სახურება ყველასათვის ეს ისედაც ცხადი, ამ შემთხვევაში კი სრულებით უაზროდ წამოროტილი „ქარი სხვაა?“

ჰმ, მარტო ქარია სხვა? თავისთავად ყველაფერი სხვაა!!! მერე?

ნებისმიერი, თუგინდ სულ უმნიშვნელო საგნისა თუ მოვ-ლენის ამგვარად ხსენებას ლიტერატურაში დამაჯერებელი მხ-ატვრული ფონი, თავისი კონტექსტი და ლოგიკური გადასვლა სჭირდება და არა ალალბედურად წამოძახება!

ავტორს ამგვარი „წვრილმანების“ არაფერი გაეგება და გულდაგულ მიტობავს.

„ქარი სხვაა, არ ტოვებს კვალს“.

არა, სხვა გზა აღარ დამრჩენია, ვინაიდან თვით მკ-აცრი სინამდვილე მავალდებულებს, ლიტერატურულ კრიტი-კაში აუცილებელი ტერმინი შემოვილო – გრაფომანული იდი-ოტიზმი!!! ოღონდ არამც და არამც ეს პიროვნულ იდიოტიზმში არვინ აურიოს!

ჰოდა, აბა, ეს სხვა რა არის, თუ არა **გრაფომანული იდ-იოტიზმი**: როგორ, ქარი კვალს არ ტოვებს?! ჰმ! ტოვებს და მერე როგორს!!! ქარი კვალს რომ არ ტოვებდეს, აბა, საიდან გაჩნდებოდა სიტყვა **ნაქარი**: 1. ქარისგან ჩამოყრილი (ხილი). 2. ქარისგან მობერილი, მოტანილი.

თუგინდ გაკვრით მაინც გაიხსენეთ ქარის ნაცელქარი თუ ტრაგიკული ჩანადენი: თოკებიდან ჩამოგლეჯილი სარეცხი და გასამზეურებლად გაკიდებული ტანსაცმელი. მტვრიან ქუჩებში მგორავი ქუდები... ღია დახლებიდან მოტაცებულ-გადაფანტული ათასგარი შეშუდი და ფალასფულასი... ქუჩაში მიმომავალ მანდილოსანთა აფრიალებული კაბები.... დახუნძლული ხეხილის ჩამომტვრეული ტოტები... ჩაწოლილი ყანები, სათიბები, ნათესულობა!... გადაქცეული სკები, სათივეები, ღობეები... გადატვირთული ღია აივნებიდან პანტაპუნტით ნაცვენი საყოფაცხოვრებო ხარახურისგან დაინვალიდებული თუ დახოცილი ადამიანები!... სახურავგადაგლეჯილი შენობა-ნაგებობები... ღიად დარჩენილ თუ დატოვებულ კარ-სარკმლების მიჯახუნ-მოჯახუნებისგან ჩამსხვრეული მინები... აქა-იქ მიხვეტილი ნაგვის, ფოთლისა და ნამქრის ბორცვები... წაქცეული ელექტრობონძებისა და მწვანე ნარგავებისგან დახოცილი ადამიანები და აურაცხელი ზარალი... უშუქოდ დარჩენილი დასახლებული პუნქტები... ჩახერგილი გზები... სადღაც გადაჩეხილი ცხვრის ფარები... საიდანღაც მოტაცებული ნაპერწკლით გაჩენილი და გაღვივებული ხანძრები... ავია და საზღვაო კატასტროფები!... არ კმარა?! ავტორი კი უაზროდ გაიძახის – ქარი კვალს არ ტოვებსო და რედაქციაც კვერს უკრავს!

მოდი და ამისთანა **გრაფომანული იდიოტიზმის** დამწერ-დამბეჭდავებს ნანარმოების მხატვრულ ეშხზე ელაპარაკე!

**მანია ჯანელიძისა და ბესო ხვედელიძის** გემოვნებით გულმოცემული ავტორი ხმალდახმალ მიჰკაფავს.

„**გზა კი ჭრის მიწას და ცის კანს**“.

„**ლიტპალიტრის**“ ტექსტების სერიოზულ მკითხველს პირველ რიგში მორალური სიმტკიცე და ფოლადისებური გამძლეობა მოეთხოვება, რათა არ შეიძალოს!

სრულებით ბუნებრივია – გზა მიწას, ჰა, თუგინდ მიწის კანს ჭრისო, მაგრამ ცას, ადამიანებო, ცას – უსაზღვრო სივრცეს, ატმოსფეროს რა კანი შეიძლება ჰქონდეს ანდა კიდევაც რომ გააჩნდეს, დედამიწიდან იქ გზამ ის კანი როგორ უნდა გაჭრას, გაუჭრას თუ გადაჭრას?! გზას უსამანო ცასთან რა ხელი აქვს, იქ რა ესაქმება: სად დედამიწის მსერავი გზა-ბილიკები, სად – ცა!!!

გიუმაუ გრაფომანულ ულაყზე ამხედრებული ავტორი აღვირს ველარ უჭერს! ანდა, რატომ უნდა დაუჭიროს, ალპათ, დეზებითაც კი ჩხვლეტს – რაც შეიძლება უფრო შორსა და უფრო სწრაფად გამაქროლოს!!!!

„გზა... ნაპრალებში იგუბებს ხსოვნას, ხსოვნას ხანდაზმული საგნებისა, მიწაზე ჩარჩნილი ღმერთებისა და ადამიანებისა, რომელიც ერთმანეთის პირისპირ დგომამ, ბჭობამ და დუმილმა დაღალა“.

აქ მკითხველს გარკვევა უჭირს: გზა არის ბზარ-ნაპრალებით დაშაშრული თუ თვითონ გზა რიგიანია და ავტორი ცალკე, სადღაც არსებულ ნაპრალებს გულისხმობს? მაგრამ გზას ნაპრალებში რა უნდა, იქ შაპარდუხსაც რომ უჭირს ხოლმე ჩაფრენა! ხოლო თუ აქ თვით გზის ნაბზარ-ნახეთქებია ნაგულისხმევი, მაშინ ავტორს მხატვრული სიფაქიზით უნდა ეთქვა – გზა თავის ნაპრალებში ინახავს. მაგრამ მოვეშვათ ამას და ერთი ეს ვიკითხოთ: ეს გზა „თავის“ თუ მთის „ნაპრალებში“ რა „ხანდაზმული საგნების“ ხსოვნას შეიძლება ინახავდეს? მაინც რა უნდა ვიგულისხმოთ ამ როყიოდ ნამოსროლილ მეტისმეტად ბუნდოვან ფრაზაში „ხანდაზმული საგნები?“ ანდა მათ რა შეიძლება აკავშირებდეს გზასთან და მით უმეტეს მის ხსოვნასთან?

გასაკვირია, ეს **გრაფომანული იდიოტობით** დახატული გზაც უპირატესობას რაღა მაინცდამაინც რაღაც აბსურდულ „ხანდაზმულ საგნებს“ ანიჭებს – თუკი ხსოვნაზე მივარდებოდა საქმე, ასწილ უფრო მხატვრულ-ემოციური და დამაჯერებელი არ იქნებოდა, ადამიანების და მეტადრე კი იმ უნლოვანო ახალ-გაზრდების ხსოვნა „ჩაეგუბებინა“, ვისაც მის მკერდზე უვლია

ან გაუვლია, მაგრამ ნაადრევად გამოსალმებიან წუთისოფელს! ეპ, მოვეშვათ ხათუნას „უსამართლო“ გზას და ჩვენი გზა განვაგრძოთ.

ავტორი ისეთი სასაცილო უაზრობით გაიძახის – „მიწაზე დარჩენილი ღმერთებისა და ადამიანებისა“-ო, თითქოს ღმერთი ჯარისკაცი შვეიკი იყოს, მიყრუებულ ხუტორს თავშეფარებული შოლოხოვისეული დეზერტირი, პოლარელი მკვლევარი, სადმე საშოვარზე გადაკარგული დურგალი, რომელიმე ქვეყანაში შეპარული რეგვენი არალეგალი ან სხვა პლანეტიდან ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე რამდენიმე კვირით ჩამოფრენილი ახალბედა ტურისტი, მფრინავი თეთვი რომ დაზიანებია თუ საწვავის მარაგი ვერ გაუთვალისწინებია და სამუდამოდ „ჩარჩენილა“ სადლაც!

ავტორს არ ესმის, რომ წარმოუდგენელია, ღმერთს ვისთანმე მისვლა დაავინყდეს, დააგვიანდეს ან ადრე მივიდეს, სადმე გადაიქაჯოს თუ სადლაც „ჩარჩეს“ – ღმერთი ღმერთა!!!

დასარულ, ავტორს მაინც რისთვის დასჭირდა ამგვარი მხატვრული დაუსაბუთ... უფრო სწორედ, ასეთი გრაფომანული ანგარიშმიუცემლობით დედამიწაზე ღმერთებისა და ადამიანების ამგვარი უცერემონიო პირისპირ დაყენება-დაღლა?

აი, ერთ-ერთი ვარაუდი. ერთმანეთში დომხსალივით არეული აბსურდული აზრების, დებულებებისა და მსჯელობისათვის ნაგვით სავსე ტომარასავით პირი რომ მოეფხუნა და თავიდან მოეშორებინა!!!

აგერ მოუსმინეთ!

„... რომელნიც ერთმანეთის პირისპირ დგომამ, ბჭობამ და დუმილმა დალალა“.

ო, აი, თურმე რა! ხედავთ?!

ნეტავი ავტორს ეფიქრება თუ არა: მის ამგვარ ტექსტთან პირისპირ დოგმა რა დღეში ჩაყრიდა მკითხველებს?!

## ნომენკლატურული დაპუაშვილი

ბეჭერი ჭავის ანალოგია

გამიკვირდა: საიდან სად?!  
სიზმარია? თუ არაკი?  
სად უენევა? სად საჩხერე?  
ვინ ლიზა და ვინ აკაკი?!

აკაკი წერეთელი

გონებაში იმავე წამს სწორედ აკაკის ეს სტროფი წამოუტივტივდა გახეტებულ ჯემალ მეხრიშვილს, 2010 წელს გამოცემულ „თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიაში“ მოულოდნელად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი მაყვალა გონაშვილიც რომ შემოეფეთა: სიზმარია თუ ცხადი?! პროზის ანთოლოგია მიჭირავს თუ პოეზის?! სად პოეტი მაყვალა გონაშვილი, სად პროზა?! როდის იყო, იგი პროზის ჟანრშიც იღვნოდაო?!.

გაბუცებას ახლა სირცხვილის განცდაც დაეწონა: ეტყობა, პოეტი ქალი ადრიდანვე პროზის სფეროშიც მუშაობდა, მე კი თურმე კამეჩის რქაში ვმჯდარვარ და ახლალა შევიტყვეო!

პროფესიულმა ცნობისმოყვარეობამ და კოლეგიურმა პატივისცემამ მაინც თავისი გაიტანა: ჯ. მეხრიშვილმა ჯარისკაცური დისციპლინით მოთოვა მღელვარება და მაყვალა გონაშვილის ტექსტი „ბელურა სალორეში“ უკიდურესი გულისყრიანობით წაიკითხა. მაგრამ ნეტავი არ წაეკითხა!

მთელი ეს თერთმეტგვერდიანი ე. წ. მოთხრობა თითქოს განზრახ, მკითხველის გამოსათაყვანებლად ნაბლარდნი ჩიქორთულ-გრაფომანული ართილულუ-ჩართილულუ გამოდგა!

ეტყობა, ამ ჟანრში უმეცარსა და თანაც პოეზიის ანთოლოგიის გარდა ბარემ პროზის ანთოლოგითაც „გაუკვდავების“ მაცდური სურვილით აცუნდრუკებულ ავტორს მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ აბადია რკინისკუჭიანი პროზის გველეშაპის მადასა და ბუნებაზე! ამიტომ მოთხრობის შეხანხვლაც ისეთივე ადვილი ჰგონებია, როგორც რაღაც მესტვირუ-

ლი კუპლეტებისთვის მოსახდენი რაგინდარა რითმების ხელგა-ნაფული ბეჭვა!!!

თავშესაწყენ ტექსტს, უმეტესწილად ავტორისეული მონოლოგით რომ იჩხლართება, არ გააჩნია რამედ ღირებული თხ-რობის სტილი, კულტურა და ტექნიკა. ამიტომ, ცხადია, ვერც თემის, იდეისა და მთლიანი მასალის მხატვრული დამორჩილება ხერხდება!

მ. გონაშვილი თავის ამ ტექსტში – როგორც ეს საერთოდ, ათადანბაბადან მხატვრულ ლიტერატურაშია მიღებული! – მოვლენათა თანამიმდევრობას და მოქმედ პირთა ურთიერთობას აგებს და ავითარებს არა იქ შექმნილი კონკრეტული სიტუაციის, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და იმწუთიერი გუნება-განწყობილების მკაცრი გათვალისწინებით, არამედ თავისი უსუსური მხატვრული შესაძლებლობისა და წინდანინვე აკვიატებული, თანაც სქემატურ-პრიმიტიულად წარმოდგენილი „ჰუმანისტური“ სურვილების დამღუპველი კარნახით!!!

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ როგორც ახალბედა ნორჩ მომიტინგეს დროშაკი, მასაც ისეთივე, მომბეზრებელი თვით-მიზნურობით მოუმარჯვებია ლუკას სახარებიდან შეცდომით ამონერილი ფრაზა „გიყვარდეს მტერი შენი“ (უნდა იყოს „გიყვარდეთ თქვენი მტრები“) და მთელი ტექსტის მანილზე ჯამბაზური სისხარტით იქნევს აქეთ-იქით, რა არის მკითხველი როგორმე დააჯეროს, რომ ჰუმანურია ნაწარმოები, ვიღაც გოგუცანას მიერ ქმარწართმეული მანდილოსანი და, რაღა თქმაუნდა, თვითონ ავტორიც!!! მაგრამ ვერც ავტორი და ვერც შვიდკაციანი სარედაქტო კოლეგია ვერ ხვდება, რომ ეს არის არა მართლა მხატვრული დამაჯერებლობით ხორცშესხმული, არამედ ჯერ გამოუწვრთნელი, თანაც აჩქარებული გრაფომანის მიერ ყურით მოთრეული კარიკატურული ჰუმანიზმი!

ავტორი პროზაული ნაწარმოების, ამ შემთხვევაში კი მოთხოვთ აგების არქიტექტონიკური საიდუმლოების უმარტივეს ელემენტებსაც რომ ვერ არის განდობილი (ანდა, ასე უეცრად, ცამონმენდილზე რანაირად უნდა განდობოდა, თუკი

მთელი სიცოცხლე ამ უანრში არ იღვწის?!), მონაფური გულმოდგინებით ძალმომრების, რათა როგორმე მიაწებ-მოაწებოს სრულიად ზედმეტი, უსარგებლო და ერთმანეთისათვის უცხო, თანაც ერთმანეთან მხატვრულ-სიუჟეტურად დაუკავშირებელი ეტიუდური ნაგლეჯები! მაგრამ ზედმეტ, თანაც მხატვრულ წებონაუსმელ ფრაგმენტებს ერთმანეთთან რა შეანივთებს?!

აյ ავტორს არ ესმის ანდა არ სურს შეიგნოს ჭეშმარიტი მწერლის ქრესტომათიული საცოდნელი: ეს ქაღალდი იტევს და ითმენს ყველაფერს და არა გამოცდილი მკითხველის გემოვნება და სინდისი!!!

ტექსტის სიუჟეტი თავიდან ბოლომდე ისეთი გაცვეთილი, ადამჟამინდელი სქემატიზმითაა დალდაკრული, რომ თავიდანვე ადვილად იგრძნობა, დილეტანტი ავტორი მოვლენებს როგორ განავითარებს და ბოლო რანაირად დასრულდება!

ყოველივე ამან კი ჯ. მეხრიშვილს ერთი ძველებური ამბავი გაახსენა.

ერთ ქიზიყელ გლეხკაცს ჭაკი გაუჯაგლაგდა და აღ-არაფერში ვარგოდა. ასეთ შემთხვევაში რაკი ჩამობერებულ ცხოველს თოფდასაცემად ვერ იმეტებენ, ტყე-ველად გაუშვებენ ხოლმე, რათა წუთისოფელს სადმე თავისით გამოესალ-მოს ანდა მგლის არჩივი გახდეს. მაგრამ ეს გლეხკაცი ცოტა ქვახარშია იყო და იფიქრა: ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაელევა – მოდი, გავიყვან ბაზარზე და ორიოდე გროშიც რომ შემომაძლიონ, გავატანო. ასეც მოიქცა! ბოდბისხევის ბაზარზე ყოველკირა დაპყავდა, მაგრა ამაოდ: ვინც მივა, აუწევს ჩიჩივირს და – ბებერიაო!

ეს კემუხტი, უკანდაუხეველი გლეხი იხტიბარს მაინც არ იტეხდა და ბაზრობას არ აცდენდა! ბოლოს საცოდავი ჭაკი ისე გამოიწვრთნა, მუშტრის მიერ თავის აწევა და ჩიჩივირზე ხელის შეხებაც აღარ სჭირდებოდა: ვინც მიუახლოვდებოდა, ბებრულ თავს ზანტად აიღებდა, გადალიბრულ თვალებს მილულავდა და უკბილო, ჩამპალ ღრძილებს თავისით უკრეჭდა!!!

„მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ეს ტექსტი ნუთუ მართლა მოთხრობა ჰგონია?! ჰმ!.. ამ ქალს რაკი ელექტრონრედ-

ში უთოს ჩართვა-გამორთვა, პომადით ტუჩების პოხვა, თმის სალებავის თითხნა და მანიკურ-პედიკურისას ფრჩხილების გაწილებაც ეცოდინება, შეიძლება თავი ახლა ფიზიკოს-ქი-მიკოსადაც გამოაცხადოს!.. ეეეპ!..“ – თავშეეკვებით ამოიხრა ჯ. მეხრიშვილმა და უნებურად წამოაგონდა ხალხური ლექსის ნაწყვეტი.

დაბუაშვილი გელაო,  
ეგრე რამ გაგამგელაო?!

### შატაბუტა მოქართულე

ახმეტელი ქალი ვიყავ, ახნეტავი მეო,  
ოცდახუთი წელინადი ოსტატს ვებარეო,  
წემსს ყუნწი საითა ჰქონდა,  
ის ვერ ვისწავლეო!  
**ხალხური**

**მაყვალა გონაშვილის** ყოველგვარ მხატვრულობას მოკ-ლებული ტექსტის „**ბელურა სალორეში**“ უიმედო გრაფომანობა-ზე უფრო მეტად მკითხველს ავტორის (და თავისთავად ცხადია, ამასთანავე სარედაქციო კოლეგიის) მიერ გამომულავნებული ქართული ენის ელემენტარული წესებისა და ბუნების უმეცრო-ბა აოგნებს.

ტექსტის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი უკიდურესად აღელვებული ქართველი თანამედროვე მანდილოსანია. იგი თხ-რობის დასაწყისიდანვე გაავებით მიისწრაფვის თბილისის რო-მელიდაც უბანში მდებარე ერთი ძველნაშენი სახლის სხვენზე მიკუნჭული ხუხულისკენ, სადაც უნდა მიუსწროს და მზად არის თუგინდ შუაზე გაგლიჯოს ვიღაც გოგონა, რომელსაც ოთხ-იოდე წლის უკან ამისთვის თურმე კანონიერი ქმარი აურთმევია თუ წაურთმევია.

მკითხველიც დაყაბულდება, წინ უკიდურესაც დრამატ-ული სცენა გველოდება, რომელიც ავტორისგან პროზაიკოსის

უზადოთ თუ ვერა, რამედ ღირებულ ოსტატობას, ენის ზედმინ-ევნით ცოდნას და დახვეწილ მხატვრულ აზროვნებას მოითხოვს. ახლა თვით მ. გონაშვილს მოუსმინეთ.

„რამდენჯერ უფიქრია იმ ქალთან შეხვედრაზე, **რამდენჯერ ნარმოუდგენია ფიქრი**, როგორ გაუყრიდა თვალს თვალში იმ უნამუსოს“.

სინტაქსიო?! ჰმ, აქ სინტაქსისთვის ვიღას სცხელა!.. აბა, როგორია მხატვრულად და აზრობრივად ეს „უნიკალური“ ფრაზა – „**რამდენჯერ ნარმოუდგენია ფიქრი?**“

მეითხველო, საინტერესოა, თქვენ თვითონ როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი „ფიქრის წარმოდგენა?“ ეს არის მხატვრული პროზა?!?

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ავტორისეულ თხრობაში აზრმიუტანებლად წამდაუწუმ გაიძახის.

„**კიბები** სულმოუთქმელად აათავა“. „როგორ ამოუვლიდა მისი ქმარი ამ **კიბეებს**“. „სულმოუთქმელად დაეშვა **კიბეებზე**“...

კი მაგრამ, ერთი ძველებული სახლის სადარბაზოს მაინც რამდენი „**კიბეები**“ შეიძლება ჰქონოდა?! ან თუგინდ ახალი, თანამედროვე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოებში ვინმეს უნახავს ან შეუძლია წარმოიდგინოს **რამდენიმე კიბე?** რად უნდა, რა საჭიროა ამდენი „**კიბეები**“ – ნუთუ ერთი არ იქმარებს?! მაგრამ აქ იმდენად ეს არ არის მთავარი! კეთოლი, დავუშვათ და იმ ძველისძველი სახლის სადარბაზოს და მის უბადრუკ ჭერს მართლაც რამდენიმე **კიბე** ჰქონოდა, აბა, დაუფიქრდით – ერთი ადამიანი ერთდროულად მაინც რამდენ „**კიბეებზე**“ ავლა-ჩავლას თუ არბენ-ჩამორბენას შეძლებს?!

მაშ, რა ხდება? რა და აქ ავტორს ერთმანეთში ერევა კიბე და **კიბის საფეხურები!!!**

ანდა, რანაირი აზრია გატარებული ამ საკვირველ ფრაზაში: „**როგორ ამოუვლიდა** მისი ქმარი ამ **კიბეებს**“. „მისი ქმარი ამ **კიბეებს**“, უფრო სწორედ, ამ **კიბეს** სხვა რომელიმე სავალით, ხერხითა თუ საშუალებით გვერდზე კი არ „**ამოუვლიდა**“, არამედ თვით ამ **კიბეს ამოივლიდა!!!**

ავტორი კვლავ თავისებურად მიტობავს და არ ესმის, სად

მხოლობითი უნდა იხმაროს, სად – მრავლობითი.

„მისი ქმარი.. როგორ შედიოდა ამ პატარა, ფიცრულ კარებში“.

ახალბედა პროზაიკოსმა ამ ქალის ქმარი წელან ხომ სულ „კიბეებზე“ ზევით-ქვევით არბენინა, ახლა კიდევ ჯადოქარივით ერთდღოულად რამდენიმე კარში გაატარ-გამოატარებს ხოლმე! რატომ? იმიტომ რომ არ იცის მეხუთე კლასელისთვის განკუთვნილი გრამატიკა: არა აქვს მნიშვნელობა, კარი უზარმაზარია თუ პანია, „ფიცრული“ (?)! თუ რკინის, ცალსაგდულიანი თუ ორსაგდულიანი – მაინც კარი ჰქვია! ხოლო თუ მრავლობითით ვიხმარებთ „კარები“, მაშინ უკვე სრულიად სხვადასხვა რამდენიმე კარი იგულისხმება! ხოლო რაც შეეხება სიტყვას „კარები“, ეს დამახინჯებული ფორმა კატეგორიულად უარყოფილა (იხ. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, 1998 წ. გვ. 313, მესამე სვეტი)! საკმარისი იყო, შეეჭვებულ ავტორს ხსენებული ლექსიკონი აეშრიალებინა და ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა! მაგრამ, როგორც ჩანს, უნაღვლელ კალმოსანს მშობლიური ენა და მისი გრამატიკული ნორმები ზუსტად ისეთი ჰგონია, როგორც თვითონ ესმის და წარმოუდგენია!!! ამიტომ რაღა საჭიროა ამ სიმძიმე ლექსიკონებთან ჯაჯგური, მათი შარიშური და უკუფურცვლა!!!

\* \* \*

ეს შურისმაძიებელი ქალბატონი კარდაურაზაც ხუხულაში მედგრად შეალაჯებს. ლოგინში კრუტივით მოხრუსტულ გოგონას სძინავს. ქმარმაძიებელი ქალბატონი ამ მძინარე რაყიფს თავის სიცოცხლეში პირველად რომ ხედავს, ზიზღით დააჩერდება. და აი, აქ ავტორი გუნდებაში რას ათქმევინებს.

„რა ულამაზოა. როგორ გამხდარა. ამაში გამცვალა?“

ავტორი სულ არ უფიქრდება, რას წერს! ამ ქალბატონს ისე აფიქრებინებს „როგორ გამხდარაო“, თითქოს ის ადრევე იცნობდა ამ გოგონას, რომელიც მაშინ თურმე გასუქებული და თვალგულმისასვლელად პირმშვენიერი ყოფილა, მაგრამ გარკვეული დროის ანდა რაღაც მძიმე მოვლენების შემდეგ თვალშისაცემად

ჩამომხმარიყოს! მაგრამ რაკი ამ ქალბატონმა გოგონას პირველად ახლა დაჰკრა თვალი, როგორსაც დაინახავდა და აღიქვამდა, თავისთავად ცხადია, შეფასებაც შესაბამისი მოჰყვებოდა! მოკლედ, აქ ავტორს ამ ქალბატონისათვის უნდა ეთქმევინებინა არა „როგორ გამხდარა“, არამედ „როგორი გამხდარია“ და მაშინ ყველაფერი ბუნებრივად გამოუვიდოდა! ანდა რანაირი ქართულია „ამაში გამცვალა?“ სწორია „ამაზე გამცვალა?“

მასპინძელ გოგონას არ კი სძინებია, თურმე ფილტვების ანთებისგან ვარვარებს. მალე აბოდდება კიდეც და კინავილით წყალს მოითხოვს. სტუმარ ქალბატონს დემოხური აზრი უელვებს: მაგიდაზე დებული თერმომეტრის ვერცხლისწყალი წყლიან ჭიქაში ჩაურიოს და თავის გამამწარებელს სიცოცხლე მოუსწრაფოს! ჩანადენს ვინ გაუგებს, ვერავინ! მაგრამ!.. სამადლოდ ერთ ჭიქა წყალს კი მიაწვდის, თუმც მომაკვდავს მალევე მიატოვებს – ჩემგან რა შეწევნის ღირსიაო! ამიტომ ეს ქალბატონი „სულმოუთქმელად დაეშვა კაბეებზე“, ავლევის ქუჩიდან ლესელიძეზე ჩამოქანდა და თავისუფლების მოედნისკენ შემოემართა.

აქ კი ავტორი თავისი სქემატური სურვილისამებრ უეცრად „ჰუმანურ“ სასწაულს ახდენს.

„გიყვარდეს მტერი შენიო.. ვითარცა...“ – ჩასძახა კეთილმა ხმამ!“

მკითხველი მარილიან ღიმილს ვერ იკავებს, ვინაიდან ეს გოგონა ამ ქალბატონის არანაირი მტერი არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო. იგი ჯერ კიდევ პატარაობისას მიუტოვებიათ მშობლებს, უპატრონოთა თავშესაფარში აღუზრდიათ და თავის დედ-მამას არც კი იცნობს! ახლა რაც შეეხება „ქმრის წართმევას“.

ცხრა აპრილის ღამეს რუსთაველზე მიტინგის სისხლიანი დარბევისას გაზონებში შეყუული ეს გოგონა ვიღაც კაცს გადაურჩენია და გულმკერდზე ახუტებული მოუყვანია ამ პატარა ნაქირავებ ხუსულაში. თავის გადამრჩენელი „რაინდი“ ამ გოგონას რაკი თავდავიწყებამდე მოსწონებია, სულწასულმა ავტორმაც საქმე აღარ გააჯანვალა და იმავე ღამით ორივეს

ბაგა-ბალის აღსაზრდელებივით ერთ ლოგინში უკრა თავი!!! ეს ცრუკაცი თავისი პრესტიჟის შესანარჩუნებლად კანონიერ მეუღლესთანაც გამოჩნდება ხოლმე (არადა, გიკვირთ – ამისთანას 9 პრილის მიტინგზე რა ესაქმებოდა?!), უმეტესწილად კი ამ ქორფა საყვარელთან ნებივრობს!..

პირველ დღესა და შემდეგ დღეებშიც ანთებიან გოგონას მოულოდნებლად გამოცხადებული ეს უცხო ქალბატონი ხან თავისი უცნობი, საზიზღარი დედა ჰელინა, ხანაც ამ საეჭვო სახლს ახლად თავშემოფარებული კეთილი როსკიპი.

აი, სულ ეს არის ამ უცნობი ქალბატონისადმი მისი „მტრობა“, რაც დილეტანტი პროზაიკოსის გრაფომანული ფარტაზის ნაყოფია!..

გოგონა ბოლოს რომ შეიტყობს, ეს ქალბატონი თურმე „იმ“ კაცის კანონიერი მეუღლე, ხოლო თვითონ „რაინდი“, როგორც მას ეგონა, მართლა აფხაზეთის ომში კი არ იპრძის, არამედ კახეთის რაიონების ლვინის ქარხნებს სარევიზიოდ უვლის და უზრუნველად დაქეიფობს, ამ თავის ნაქირავებ სოროს ცივად მიატოვებს და უნიშანგებოდ გადაიქაჯება...

\*\*\*

ერთი სიტყვით, სპეცუალციური „პუმანიზმით“ გატაცებული ავტორი ნამდვილ „მხატვრულ“ სასწაულებს ახდენს: მოულოდნებლად სინდისგალვიძებული ეს ქალბატონი ტელეფონით სასწავლოდ სასწრაფო დახმარების სამსახურს სიცხიანი გოგონას მისამართს ჩააწერინებს და იქვე ალახმალახ გადაწყვეტს, თვითონაც ისევ უპატრონო მომაკვდავის მისახედად გაფრინდეს! ამიტომ თავისუფლების მოედანზე ტაქსის დაჭრას შეეცდება, მაგრამ იღბალი არ გინდათ?!

„როდის გავა ეს რიგი?!.. – გაიფიქრა გაბრაზებით (რა შუაშია აქ გაბრაზება – მსგავს ვითარებაში უფრო ზედგამოჭრილი სიტყვა უნდა დაძებნილიყო! ჯ. მ.), – ჯობდა, ავტობუსს გავყოლოდი, ჩემს აქ დგომაში უკვე მესამემ ჩაიარა“.

ჯერ საერთოდ და მით უმეტეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარისთვის უხერხულია ამგვარი ჩიქორთულობა – სად

ნასწავლი ქართულია ეს „ჩემს აქ დგომაში უკვე მესამემ ჩაიარა“. თუმც წინ უარესი გველოდება.

„ქალმა რიგი მიატოვა, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდოდა. ჯ. მ). ჯერ ნელი ნაბიჯით წავიდა ავლევის ქუჩისკენ, მერე ნაბიჯს აუჩქარა. ბოლოს თითქმის აუჩქარა. ბოლოს თითქმის მირბოდა“.

აქ უკვე ძნელი გასარკვევია, წერისას ავტორს უეცარმა ძილმორევამ შეუსუსტა აზროვნების უნარი თუ მართლა ასე სწამს: ამგვარი აბდაუბდით მხატვრული პროზა მოიქსოვება?! რაღას იძლევა ეს „ბოლოს თითქმის აუჩქარა“, როცა მანამდე აგერ, უკვე დაგვაკვალიანა – „მერე ნაბიჯს აუჩქარა“-ო?! ჰოდა, ამ ქალმა თუკი უკვე „ნაბიჯს აუჩქარა“, მერე ან უკვე აჩქარებულ ნაბიჯს „თითქმის“ როგორდა უნდა აუჩქაროს?! აქ ეს უაზროდ ჩაჩურთული „თითქმის“ ნაბიჯს კი არ აჩქარებს, არამედ პერსონაჟის მოძრაობის ბუნებრიობას თავდაყირა ატრიალებს და გასავათებულ მყითხველს გრაფომანულ ტლაპოში ნესტორებამდე ძირავს!

ან ეს რაღა უბედურებაა ერთმანეთს ბეცურად მიყოლებული „ბოლოს თითქმის... ბოლოს თითქმის?!“ სად არი აზრი, ლოგიკა, მხატვრულობა ანდა მკითხველი საზოგადოების წინაშე სავალდებულო პასუხისმგებლობა?!

აქ უნებლიერ გახსენდება ზოგიერთი ტელეგადაცემა: სხვადასხვა კონტინენტებიდან საქართველოში ორიოდე წლის უკან ჩამოსული ფერადკანი უცხოელები უფრო გამართული ქართულით მეტყველებენ, ვიდრე საქართველოს მწერალთა კავშირის სტაჟიანი თავმჯდომარე!

უკან მიტრიალებული ქალბატონი უკვე სიცხით გათანგული გოგონას ხუხულის ზღურბლთანაა.

„კარი კი არ შეუღია, შეამტვრია!

ნეტავი აქ რა საჭირო იყო ეს გონებამილმური თურმეობითი – შეუღია?! უნდა იყოს შეაღო! თანაც დაუკატავ-გადაურაზავ, მით უმეტეს წელან თავის მიერვე მსუბუქად გამოხურლებარს რაღა შემტვრევა უნდოდა, როგორ უნდა შეემტვრია?! მსუბუქი შეხება და მისი შეჭრიალებაც ერთი იქნებოდა! ეს

**რაიმე კრიტიკული შემთხვევისას დაკეტილ ან ურდულგაყრილ  
კარს შეამტვრევენ ხოლმე!**

\*\*\*

სრულებით ცამონენდილზე, გუნებაშერჩევით ახლა  
პროზის ჟანრში დურაჯივით გადაფრენილი ჩვენი ავტორიც  
ვერ ასცდენია გრაფომანთა ერთ-ერთ ყველაზე საძრახის-  
სა და მკითხველების შეურაცხმყოფელ ზადს: ალალბედად  
მიკიბულ-მოკიბული მისი ტექსტის პერსონაჟები მართლა და-  
მოუკიდებლად, თავიანთი ჭკუა-გონების, მრწამსისა და პროფე-  
სიული ცოდნა-გამოცდილების მიხედვით კი არ მოქმედებენ და  
მეტყველებენ, არამედ ყველას მაგიერ ენამოულლელი ავტორი  
რატრატებს. აი, ამის ერთ-ერთი კლასიკურ-ქრესტომათიული  
მაგალითი.

წელან ამ ქალბატონის მიერ გამოძახებული სასწრაფო  
სამედიცინო დახმარების პერსონალი მოვა. ფილტვების ან-  
თებისგან გავარვარებულ, სიკედილის პირას მივარდნილ გოგო-  
ნას გასინჯავენ და აქ მაყვალა გონაშვილი ექიმს არსათქმელს  
ათემევინებს!

**„საავადმყოფოში წაყვანა არ არის საჭირო. საშიში არაფე-  
რია, ფილტვების ანთება აქვა“.**

ემოციური მკითხველი შეიძლება შეიძლოს: ყურმიუგდე-  
ბელი, ულუკმაპურო, უმედიკამენტებო, უმეთვალყურეო, უპა-  
ტრონო, გონდაკარგულ გოგონას ფილტვების ანთება ბუგავს,  
ორმოცვრადუსანი სიცხე ჭვინს უტრუსავს, ამან კი შეიძლება  
სიცოცხლესაც გამოასალმოს – მეტი რაღა საშიშროება გინ-  
დათ?! ნუთუ უეჭველად ბებუთით გამოფაშვული ანდა ავტო-  
მატით ჩაცხრილული უნდა იყოს, საავადმყოფოში რომ გააქა-  
ნონ?! როგორ ფიქრობთ, ამგვარ სისულელეს მართლა თვითონ  
ხნიერი, გამობრძმედილი ექიმი წამორმაშავდა?!

\*\*\*

თქვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ქალბატონი, როგორმე  
ქმარი ისევ რომ დაიბრუნოს, რალას არ სჩადის! ეს ქრისტიანი

მანდილოსანი, თავმოსაწონებლად ჯვარსაც რომ ატარებს, სამკითხაოდ ერთხელ თურმე მარნეულის რაიონის რომელილაც სოფელში მოლასაც კი ხლებია!

ვითომ ჯადოს ასახსნელად თუ რაღაც მსგავსი სასწაულის მოსახდენად მოლა ქალს ტახტზე ზურგით გააწვენს და ბუტბუტ-ბუტბუტით დინჯად უსრესს ჯიშიან გულმკერდს, ფაფუკ მუცელს და პროფესიული ხელგაწაფულობით მიუყვება ქვევით და ქვევით!..

მთელი ეს უაზრო, თანაც უხელოვნოდ შეთითხნილი, თითიდან გამონავილი სცენა იმდენად უშედეგოდ არის ჭყეტელა ხიშტაკივით ჩაკერებული ისედაც თვითმიზნური ეპიზოდებით შეკონიქებულ, თავმომაბეზრებელ ტექსტში, რომ მკითხველის გულისწყრომას, აღშფოთებას, განრისსებას თუ ზიზღსაც კი ვერ აღძრავს, როგორც სხვა მსგავს გარემოებაში ხდება ხოლმე.

სამაგიეროდ მკითხველს ე. წ. პროზაიკოსის ენის უცოდინარობა აშფოთებს.

„**მოლა ხელში** ქარვის კრიალოსანს **აწვალებდა** და მშვიდად ეკითხება“.

აბა, მკითხველი როგორ არ გაშტერდება: თუკი ზმნით აღნიშნული კრიალოსნის წვალება **ნამყო** დროთია ნაჩვენები, მაშინ კითხვის დასმაც ამავე დროს უნდა შეესაბამებოდეს. აი, ასე: „**მოლა ხელში** კრიალოსანს **აწვალებდა** და მშვიდად ეკითხებოდა“.

ანდა, პირიქით: ავტორს თუ აწმყო სურდა, მაშინ ზმნით აღნიშნული ორივე პროცესი ერთმანეთისთვის უნდა შეესამებინა. აი, ასე:

„**მოლა ხელში** კრიალოსანს **აწვალებს** და მშვიდად ეკითხება“.

აქ, აღბათ, ზედმეტი არ იქნება, ერთი ესეც ვიკითხოთ: ამ პირველ წინადადებაში რა ფუნქცია აკისრია, რისი ტიკი-ტომარაა ზედმეტად ჩაჩრილი სიტყვა „**ხელში?**“ ადამიანი თუ კრიალოსანს მარცვლავს ანუ როგორც ავტორი ამბობს, „**აწვალებდა**“, თავისითავადაც ცხადია, რომ ხელში ეჭირება, თორემ კაცი კრიალოსანს ნიკაპით, ქეჩოთი, მუხლით, ბეჭით, იდაყვით, ცხვირით, შუბლით, წამნამებით, იღლით თუ ქუსლით ხომ არ დამარცვლავს?!

რა გამოდის? თუ ენაში მაყვალა გონაშვილისეული თხრობის ამგვარ სტილსა და მეთოდს დავამკვიდრებთ, მაშინ აღარ შეიძლება წინადადებების ამგვარად აგება.

„მწერალი მაგიდას მიუჯდა და კალმისტარი აიღო“. „მონადირემ ნაკაფში შველი დაინახა“.

კი მაგრამ, მკითხველმა რა გაიგოს, მწერალმა კალმისტარი რითი აიღო ანდა მონადირემ შველი რანაირად დაინახა?!

ამიტომ ამიერიდან მ. გონაშვილისებურად უნდა ვწეროთ.

„მწერალი მაგიდას მიუჯდა და **ხელით** კალმისტარი აიღო“. „მონადირემ ნაკაფში შველი თვალებით დაინახა“ და ა.შ.

მაყვალა გონაშვილისნაირი მწერალ-მკითხველებისთვის ეს უკვე გასაგები იქნება!

აი, რანაირ უპარო ლაბირინთებში შევყავართ ნებაზე მიშვებული დიდმოხელის „პროზაიკოსულ“ ჩხირკედელაობას!!!

გასაკვირია, რედკოლეგის წევრებმა რატომ არაფერი ჩაასწორეს? ანდა, საერთოდ, ობიექტურობის გრძნობადაკარგული თავმჯდომარე როგორ არ იხსნეს ტუტუცური სურვილისგან – ამგვარი გრაფომანული აბდაუბდით პროზაიკოსთა ანთოლოგიაშიც გამოჭიმულიყო! თუ პროექტის ავტორმა, **ვაჟა ოთარაშვილმა** ეს ტექსტი მხოლოდ თვითონ გასინჯა, რედკოლეგის წევრებს კი თვალითაც არ აჩვენა და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე „თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიაში“ პირდაპირი კოოპტაციის (!) წესით შეიყვანა?!

\*\*\*

ავტორი ხშირად არავითარ ყურადღებას არ აქცევს ობიექტს, სუბიექტს, დროს, ქცევას, ზმნის უღვლილებას, სინტაქს... მოუსმინეთ.

„ჩემი გულივით დამძიმებულან პურის მაღაზიებთან რიგები“. „ფეხებმა თვითონ მიიყვანეს ავლევის ქუჩაზე“.

„გოგონას ცოდვებმა უნიეს“.

„იები იწონებდნენ თაგს“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ წარმოთქმულსა და დაწერილს შორის განსხვავება ყველა ენაში და ცხადია, მათ

შორის ქართულშიც არსებობს. ჰოდა, ჩვენმა ავტორმა თანა-მედროვე ქართული სალიტერატურო მეტყველების მთელი მარაგის მართლწერა ნუთუ მართლა ისე უზადოდ იცის, რომ ორთოგრაფიულ ლექსიკონს არასოდეს ხმარობს! ხოლო თუ იყენებს, მაშინ რას მივაწეროთ ამგვარი ლაფსუსები, არასრული საშუალო სკოლის მოსწავლესაც რომ არ ეპატიება!

„ხომ დააღრჩვე სიცილით“. უნდა იყოს დაახრჩვე.

„შეცივნული კატები“. უნდა იყოს შეციებული.

„ობოლი ცრემლიც არ დაცდნია“. უნდა იყოს დასცდენია.

„კერვა ჭირისდლესავით სძულდა“. უნდა იყოს ჭირის დლე-სავით.

„მამის ცოტა კაცსაა გადაკიდებული“. უნდა იყოს მამის-ტოლა.

„შეეკამათა ვიღაცა გულის გულიდან“. უნდა იყოს გულის-გულიდან.

„როგორ არ სცხვენია“. უნდა იყოს რცხვენია.

„ვინ ყავს ნეტა ახლობელი?“

ეს უკვე მეტისმეტია! ამჯერად მაინც გვერდზე გადა-ვდოთ გრამატიკის სახელმძღვანელო და ყოველნაირი ლექსიკონები! მწერალმა კი არა, ქართველი დედის კალთაში გაზ-რდილმა ნებისმიერმა ნორმალურმა ადამიანმა ნუთუ თავისი ალლოანობით მაინც ვერ უნდა იგრძნოს, რომ ეს „ყავს“ შხამ-იანი გველის ბასრ კბილებში მოხვედრილი განწირული ბაყაყ-ივით საცოდავად ყიყინებს და მას აშკარად აკლია ქართული ანბანის ბოლო ასოს, „ჰაე“-ს ანგელოზის ფრთების მსუბუქი შრიალისებრი ჰაეროვნება?!?

ნუთუ ყური არ უნდა აგვიწივლოს ამ – ყავს, ყავდეს, ყავ-და, ყოლია, ყოლოდეს?!?

სწორი ფორმაა ჰყავს, ჰყავდეს, ჰყავდა, ჰყოლია, ჰყ-ოლოდეს!!!

ავტორისეულ თხრობაში აი, ერთგან რას ვკითხულობთ.

„რამდენი ქალია ჩემს გარშემო“. არადა, უნდა იყოს ჩემ გარშემო!

ეს მეხუთე-მეექვსე კლასელსაც ეცოდინება: მსაზღვრე-

ლად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელს მიცემით ბრუნვაში ყოველთვის „ს“ დაბოლოება უნდა ჰქონდეს. მაგალითად, შენს ძმას, შენს კომპიუტერს, შენს გაზრდას, შენს მტერს, შენს კალამს, შენს მადლს... თქვენს ამხანაგს, თქვენს აზრს, თქვენს ბეჭედს, თქვენს შეხედულებას... ჩვენს რაზმს, ჩვენს სოფლელებს, ჩვენს ვენახებს, ჩვენს ცოდნას და ა.შ.

მაგრამ ცალკე მდგომ თანდებულთან და ზმინისართ-თან ხმარებისას ნაცვალსახელს „ს“ უქრება: ჩემ გარშემო, ჩემ ირგვლივ, ჩემ მიერ, ჩემ ზევით, ჩემ თვალწინ, ჩემ უკან, ჩემ წინ, ჩემ მიმართ, ჩემ გარდა... შენ წინ, შენ მიმართ, შენ გარდა, შენ წინაშე... ჩვენ გარდა, ჩვენ ირგვლივ, ჩვენ შორის, ჩვენ შუაში, ჩვენ შუა, ჩვენ გვერდით, ჩვენ გამო, ჩვენ უკან, ჩვენ მიერ და ა.შ. და ა.შ!

აბა, თავმოსაჭრელი არ არის, საქართველოს მწერალ-თა კავშირის თავმჯდომარესა და ანთოლოგის რედეკოლეგიის წევრებთან ამგვარ გრამატიკულ წვრილმანებზე მსჯელობა?! ხალხურ პოეზიაში დახატული იმ ახმეტელი ქალისა და ნემსის ყუნწის ამბავი წუთუ გაზვიადება კი არა, სრული სიმართლეა და მსგავსი მაგალითები ყველა დარგსა და სფეროში დღესაც მეორდება?!. ო, ღმერთო, ღმერთო!..

ახალბედა პროზაიკოსი აი, ერთგან კიდევ რას გვიწერს.

„გუშინდელი საუბარი სიტყვა-სიტყვით გაიხსენა“.

ამ და მომდევნო ციტატიდანაც დავინახავთ, რომ ავტორმა არ იცის დეფისის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია, მისი თავის დროსა და ადგილას ხმარების წესი: მას იყენებენ შეერთების კომპოზიტივში! მაგალითად, ია-ვარდი, თვალ-მარგალიტი, თვალ-წარბი, რძალ-მული, დედამთილ-მამამთილი, მამა-პაპა, დედ-მამა, ქამარ-ხანჯალი, მეფე-პატარძალი, ნაზ-ნარნარი, ტყე-ველი, ნადირ-ფრინველი, თოვლ-ჭყაპი და ა.შ.

მაგრამ აქ რა იყო შესაერთებელი, როცა ავტორის მიერ უადგილო დეფისით შუაგაპობილი სიტყვა – სიტყვასიტყვით! – ერთ მთლიანს წარმოადგენს და სრულებით არ საჭიროებს ამგვარ ჯალათურ ჩარევას!

ახალმოვლენილი შეუდრეველი „პროზაიკოსი“ ორ-

თოგრაფიულ ლექსიკონს არა და არ ცნობს და თავისებურად მიაშლაპუნებს.

„მესმოდა კვნესა, შეძახილი, უცნაური ბაგა-ბუგი“.

მაყვალა გონაშვილს ეს მთლიან-მონოლითური სიტყვა – **ბაგა-ბუგი** ორი სხვადასხვა სიტყვა: **ბაგა** და **ბუგი** ჰგონია და რეფორმატორული თავდაჯერებით ერთსა და იმავე დროს დე-ფისით თან **შუაზე** აპობს და თან აერთებს კიდეც!!!

რა გამოდის? თუ ავტორის ამგვარ „რეფორმისტულ“ მეთოდს დავამკვიდრებთ, მაშინ უნდა მივაყოლოთ და სულ **შუა-შუა** დავჩეხოთ ისეთი მთლიანი სიტყვა-მარგალიტები, როგორიცაა, მაგალითად, **ბალახბულახი**, **ბინდბუნდი**, **ლადალუ-და**, **კაპაკუპი**, **თქარათქური**, **აურზაური**, **ჭრაჭაჭრუჭი**, **ტლაპატ-ლუპი**, **თხლაშათხლუში**, **წარამარა**, **ლაპალუპი**, **ალთაბალთა(ს)**, **ტკაცატკუცი**, **ჭახაჭუხი**, **კაკაკუკი**, **ოღონიშოღონო**, **ხარახურა**, **რაკარუკი**, **აჭალბუჭულები**, **ნაყარნუყარი**, **ნაჭამნუჭამი**, **ნახ-რავნუხრავი**, **ხაბაკხუბაკი**, **აბდაუბდა**, **შატაბუტა...**

„ერიჲააა!... მე მართლა გამართული ლიტერატორი მეგონა, ის კი თურმე **შატაბუტა** მოქართულე ყოფილა!“.. – ზაფრიანად ამოიხვნება ჯემალ მეხრიშვილმა და საშინელი თავდამცირება მოერია, რადგან მიხვდა – ჩიქორთულად მოაზროვნე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომრის დროშის ქვეშ უპატრონო ცხვარივით ირიცხებოდა.

## პროზის ერთ-ერთი ჩოთავთაგანი

ჩოთემ ცელისა რა იცის,  
რად არ იკითხავს სხვისასა,  
ჩოთემ თუ ცელი აიღო,  
დააგვევინებს ქვიშასა,  
ეძებდე, ვერ პოულობდე  
ნადგომსა ბალახისასა!

**ხალხური**

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, პოეტ **მაყვალა გონაშვილის** არ იყოს, ვერც მეორე ჩინოვნიკ-ფუნქციონერი – გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორის ყოფილი მოადგილე, თანაც პოეზიისა და პროზის ანთოლოგიათა რედკოლეგიის წევრი, პოეტი **ზაზა ქინქლაძე** მორევია საძრახის ცდუნებას – ხასად ესარგებლა თავისი ხელსაყრელი მდგომარეობით და მარტო „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ კი არა, ბარემ „თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიაში“ მოხვედრითაც „უკვდავეყონა“ საკუთარი პერსონა!

შედეგი? ღვთისნიერი კაცი მტერსაც არ უსურვებს ამნაირ შედეგს!

სამგვერდიანი ტექსტი „მტრედები“ მხატვრულობის თვალსაზრისით თავიდან ბოლომდე ისეთი წყალწყალაა, თუგინდ ერთი ოპოლი ციტატის მოყვანასაც აზრი არა აქვს. ხოლო თუ საქმე მაინცდამაინც ციტატის აუცილებლობაზე მიდგება, მაშინ თვალსაჩინოების სრულყოფისთვის მთლიანი ტექსტის გადმოწერა იქნება აუცილებელი!

ნაწარმოების ლექსიკა უკიდურესად დარიბი, მშრალი და კანცელარიულია, თხრობა თვითმიზნურ-ტენდენციური, რაღაც-ნაირად ვალმოსაშორებელი. ავტორი არც ცდილობს ანდა არ ძალუდს სათქმელი მხატვრულად გამოკვეთოს, დალაგმოს, საიმედოდ დაიურვოს და მოსახდენ ფორმაში მოაქციოს. ამიტომ გეჩვენებათ, რომ მას თითქოს ავტოკალამი კი არა, ცელი ეჭ-

იროს და მხარგაშლით ანგარიშგაუწევლად მისთიბავდეს!..

უსისხლხორცო პერსონაჟები სამშენებელო სანაგვეზე ნაპოვნი ფანერის ნატეხებიდან გამოხერხილ ჩიკორებს დამსგავსებიან, ვინაიდან ყველა მათგანის მაგიერ თვითონ ენაგაუჩერებელი ავტორი ლაპარაკობს!

სტილი? ნურც იყითხავთ – საგაზეთო იაფფასიანი სტილი მოხსენებითი ბარათის, კომუნისტებისდროინდელი პარტიული უურნალის მოწინავის, იუმორესკისა და რაღაც რეპორტაჟის უსირცხვილო დომხალს წარმოადგენს!..

ზაზა ქინქლაძის ამ ტექსტს მაინც გააჩნია ერთი სასახელო ღირსება – **ეროვნულ-პატრიოტული იდეა!!!** მაგრამ პროზის ანთოლოგიაში წინდანინვე, თანაც უკონკურსოდ ადგილდაჯავშნით გულმოცემული ავტორის ბორბოშელა სიტყვებისა და ანგარიშმიუცემელი ლაილაის ფონზე ეს იდეაც ისე უაზროდ გაფშევილა, როგორც 1943 წლის ივლის-აგვისტოში კურსკის შვერილზე გამართულ, მსოფლიო ომების ისტორიაში ყველაზე მასშტაბური სატანკო ბრძოლებისას სოფელ პროხოროვკასთან გერმანული მძიმე ტანკის „**სამეფო ვეფხვი**“ (68 ტ.) მიერ აფეთქებული და ნამტვრევებად ქცეული საბჭოთა სახელგანთქმული ტანკის „**T-34**“ შემთხვევით უვნებლად გადარჩენილი, მაგრამ ან უკვე უსარგებლოდ აშვერილი ლულა!!!

წანაკითხით გამტკინარებულმა ჯ. მეხრიშვილმა ენას კბილები დააჭირა, რათა არა წამოსცდენოდა რა. ენას კი შეაკავებთ, მაგრამ აზრი – აზრს რას მოუხერხებთ?!

აზრმა თავის ქალა ლაზერის სხივივით მტკიცნეულად გაბურდა და კოსმოსში გაფრინდა.

**„ეეეჲ, კოლეგა... არც პროზა ყოფილა თქვენი საქმე!“**

## სანატრელი სიზუსტე

ლადო კილასონია თავის პანია მოთხრობაში „სიკვდილი დიდგორის ველზე“ („ლიტერატურული გაზეთი“, 2011 წ. 29 სექტემბერი) მთის პატარა სოფელში მცხოვრებ 12 წლის ბიბოზე გვიამბობს, მალე დიდგორის ბრძოლაში (1121 წ.) გმირული სიკვდილით რომ უნდა დასცეს. მოუსმინეთ.

„ბიბო დედისერთა იყო, მამა მესამე ზაფხული მიდიოდა უკვე, რაც თურქებს მოეკლათ პატარა შეტაკებაში. ახსოვს (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), როგორ მოიყვანეს სოფელში ურემზე გადებული... გორაკის წვერზე, სოფლის სასაფლაოზე დაასაფლავეს და დიდი, რუხი, ჯვარამოტვიფრული ლოდიც დაადეს მკერდზე“.

ავსო მოთმინების ფიალა!!! ჯვარცმულ-დაბეჩავებულმა მკითხველმა ამ უტიფარ ავტორს ბოლოს და ბოლოს როდემდე და სადამდე უნდა უთმინოს ბოლო ხუთიოდე წლის ეს ამდენი გრაფომანული ბუქნაობა და თავაწყვეტილი „მხატვრული“ ცელქობა, ენისა და ჭეშმარიტი მხატვრული ლირებულება-იდეალების თავდაუჭერელი გამასხარავება და გათახსირება, მისი ტექსტების წანაკითხით გაოგნებულ-გაქვავებული მკითხველი საზოგადოებისთვის პირისახეში ცინიკურ-ეპიგონური ფურთხება?!“

ამ ზეგრაფომანული ტექსტის დაპეჭდვის შემდეგ გაივლის რაღაც ექვსიოდე თვე და იგივე გაზეთი 2012 წლის 12 აპრილს სრულებით დილეტანტი, მხატვრული ლიტერატურის იდუმალების, შემოქმედებით პროცესთან და მწერალთან ინტერვიუს აგების ელემენტარული ხელოვნების უცოდინარი, თანაც ამ საქმიანობაში უკვე დაშტამპული ჟურნალისტის იმხელა და ისეთ გატყლარჭულ საუბარს აქვეყნებს ლ. კილასონიასთან, თითქოს იგი თავისი მწერლური დიდების მწვერვალზე მდგომი, ვთქვათ, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია.... იუპან სტრინდბერგი... მარსელ პრუსტი... თომას მანი... ლუის ბორხესი... თუ გიუნთერ გრასი იყოს!

ინტერვიუში ლ. კილასონია გასაკვირი უდარდელობით იუწყება.

„.... მგონი ზედმეტად პროდუქტიულიცა ვარ. მეუბნები-ან, რომ უნდა გავჩერდე, დავლაგდე და უფრო დინჯად მივუდგე საქმეს. ჩემს წიგნებს აჩქარება მართლაც ეტყობა, განსაკუთრებით, (რა საჭირო იყო აქ მძიმე?! ჯ. მ.) პირველს. ხასიათი მაქვს ასეთი – ძალიან ფათი-ფუთა (ეს რაღა სიტყვაა, ან რად უნდოდა დეფისი?! ჯ. მ.) ვარ და სწრაფად ვაკეთებ ყველაფერს, ამიტომ მოცდა მიჭირს“.

ახლა გაიაზრეთ: ნებისმიერ ხალხსა თუ სახელმწიფოში რამდენი „ფათი-ფუთა“, სულწასული, ცელქი, აჩქარებული, ფეხისხმასაყოლილი, ეპიგონი, ზერელე, უცები, ჭკუამხიარული, თავთხელი, გრაფომანი, პლაგიატორი, ზერელე, ნიჭუქონელი, ფეთიანი, წარამარა, ქარიფანტია, გონებაჩლუნგი, ბეცი, ააფრინე, დაუსტვინე, ალალტედა, უპასუხისმგებლო, ქარაფშუტა და მისთ. პირვენება იქნება!!!

მერე, მათი მიზეზით რატომ უნდა დაიტანჯოს სრულებით უდანაშაულო მილიონობით მსმენელი, მაყურებელი, მკითხველი... კლიენტი, პაციენტი... საერთოდ, ნებისმიერი სფეროს, დარგის, ჟანრის თუ დონის მომხმარებელი?!?

პირდაპირ გასაკვირი თუ გასაშტერებელია: ამ ინტერვიუდან გაივლის ზუსტად ერთი წელი და ლ. კილასონიას ამ ხნის მანძილზე მხატვრულ ლიტერატურაში თითქოს გადატრიალება მოეხდინოს, ახლა უურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ აქვეყნებს კატო ჯავახიშვილის მიერ მასთან აღებულ ინტერვიუს, სადაც ისეთი უთავბოლო და დილეტანტურ-დუქნური დომხალია, იმედგაცრუებული და შეურაცხყოფილი მკითხველი ვერ გაერკვევა – რაზე მსჯელობენ ან რისთვის მსჯელობენ! თუმც ეს ცალკე განსჯის საგანია.

ჰოდა, საქმეგამოლეული კ. ჯავახიშვილი აქაც იგივე არაბული ზღაპრებით გართობას გვიპირებს.

„წერა სასაცილო ლექსებით დაიწყო.

პირველი მოთხრობა 2007-ში დაწერა.

ერთი გაბედა და ველარ გაჩერდა.

ფათიფუთა“.

ო, ღმერთო, რა დავაშავეთ?!.. მერე, უბედურ მკითხ-

ველებს ეს ყოველწლივ უნდა გვიჩიჩინონ? ჰოდა, ბარემ ისიც გვითხრან, რა გვევალება: ამისთვის ავტორს ძეგლი დავუდგათ თუ წლის რომელიმე ან რამდენიმე დღე ეროვნულ გლოვად გამოვაცხადოთ?

ამგვარი პიროვნული ნაკლით მეითხველი შეიძლება ჭეშ-მარიტად დიდი შემოქმედის შემთხვევაში დაინტერესდეს, ისიც მხოლოდ გაკვრით, ხოლო თუ გრაფომანზეა ლაპარაკი – როგორც ამ შემთხვევაში! – მაშინ ვისთვის რა მნიშვნელობა ექნება, იგი „ფათიფუთაა“, პუნქტუალური, ყბედი, აკურატული, აზიზი, მსუნავი, უხიაკი თუ თავაზიანი?! საზოგადოებას უპირველესად რამედ ღირებული მხატვრული ნაწარმოები აინტერესებს და არა მისი ავტორის ხასიათი, ადამიანური ჩვევები, თვისებები, ახირება, ნაკლი თუ ღირსება!

ჰოდა, ამავე გაზითის 2010 წლის 13 მაისს გამოქვეყნებულ, თითიდან გამოწვილ ტექსტში „მფრინავი ანგელოზი“ ლ. კილა-სონიაშ თავისი პერსონაჟის ხორხის ყელიდან... კისერზე (!!!) გადანერგვით კაცობრიობის ისტორიაში **ახალხორხიანი არსება** რომ „შექმნა“, მთქნარებისაგან მოთენთილმა ჩვენმა კრიტიკამ კი ყურიც არ შეიძერტყა და სხვა ნაირ-ნაირ სისულელე-აბდაუბდობასთან ერთად ავტორს ესეც ხახვით შერჩა, ეტყობა, ამან საბედისწერო თავდაჯერება შემატა, რის ნაყოფსაც ახლა ვიმკით და მომავალშიც, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოიმკის რედაქციათა უთავური მუშაკების მიერ დამცირება-აბუჩობისთვის გამეტებული უდანაშაულო მკითხველი საზოგადეობა!

ხომ არ გვონიათ, ვაზვიადებდე?! აჲა, თვით ლ. კილასონიას მოუსმინეთ!

„**ახალგაზრდა პოლიციელი წყალს სვამდა. დაეხარა თავი, წაეგრძელებინა ტუჩები და კანქვეშ დამალული ხორხი, როგორც ძველებური კედლის საათის სქელთავიანი ისარი, ისე დაუდიოდა აქეთ-იქით წვრილ კისერზე**“.

აბა, ჯერ მარტო ეს წარმოიდგინეთ: საშიშ დამნაშავესავით თუ დამფრთხებალ ნადირ-ფრინველივით „**კანქვეშ დამალული ხორხი**“ ადამიანს ან ნებისმიერ სულიერ არსებას ყელში კი არა, კისერზე ჰქონდეს!!! თანაც კილასონიასეული ხორხი, როგორც

წესი, ზევით-ქვევით, ხოლო ამ შემთხვევაში პოლიციელი რაკი დახრილია, წინ და უკან კი არა, საკერავი მანქანის მაქოსავით „აქეთ-იქით დაუდიოდეს!!!“ ანდა, რანაირი შედარებაა: სად ადამიანის ხორხი, სად შეუმჩნევლად მოძრავი „კედლის საათის სქელთავიანი ისარი“, რომელსაც წვერი აქვს და არა თავი!!!

აი, რა მოსდევს თავაწყვეტილ გრაფომანულ ბუქნაობას! მართლა და მართლა აღარ არის ღმერთი და სამართალი: ნაწარმოებს თუკი მხატვრული ღირსება-ღირებულების ნატამალიც კი არ ეცხება, მაშ, ეს თავმოსაჭრელ თვითმიზნად როგორ უნდა გაიხადო – ლიტერატურულ პრესაში რაც შეიძლება ხშირ-ხშირად იხილო საკუთარი გრაფომანული ტექსტები და ფოტოსურათი?! მაგრამ, როგორც ჩანს, ლ. კილასონიას ეს არ ესმის ან სხვანაირად უკვე აღარ შეუძლია. ამიტომ მშობლიურ ენას, გრამატიკულ კატეგორიებს თუ მხატვრული ნაწარმოების შექმნის უმარტივეს წეს-კანონებს ისეთი თავდაუჭერელი აღტაცებით აწიოკებს, როგორც სოფლურ ყოფა-ცხოვრებას დანატრებული ქალაქელი თარსი ბიჭუნა თავისი ბებიის საქათმეს!!!

კი მაგრამ, ლიტერატურული გაზეთის რედაქტორი მაინც სად იყურება?! რე-და-ქტო-რი! ის თავის გრაფომან ავტორებზე უარესია და როგორც ჩანს, მთელ ამ კამპანიას კონსულტანტად ერთი რკინისნერვებიანი ანატომიის მასწავლებელი უნდა დაუჭირონ. ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით!

2010 წლის 4 თებერვალს ამავე გაზეთმა რეზო თაბუკაშვილის დაუმთავრებელი რომანის ნაწყვეტი „დღე მეხუთე“ დაბეჭდა. ადამიანის აგებულების ცოდნასთან ეს ავტორიც მწყრალად ყოფილა: საცა აშკარად უნდა იხმაროს „მხარი“, მისდევს და ბეც მოწაფესავით აზრმოუტანებლად იმეორებს „ბეჭი“!

თქვენც მოუსმინეთ.

„ჩემი ბეჭიდან ხელი ჩამოიძო“. „ბიჭს ჭრელი ჰალსტუხი ბეჭზე შემოეგდო“. „თოფი მქონდა ბეჭზე გადაკიდებული“. „თოფი გადმოვიდე ბეჭიდან“.

რ. თაბუკაშვილი თავისი ჭკუით ახლა ბილიარდის მოთამაშეს გვიხატავს.

„როცა კიას (უნდა იყოს კიის. ჯ. მ.) ბეჭზე მიიდებდა“.

წანაკითხით გახეტებულ-გატანჯულო მკითხველო, წარმოდგენით მაინც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ **მხარზე** კი არა, **ბეჭის** (!!!) მიბჯენილი კით ბილიარდის თამაში?!

აი, რანაირი ავტორებისა და რედაქტორების ჰეგემონია ბატონობს დღევანდელ ქართულ მწერლობაში, გამკითხავი კი არავინა ჩანს!... ეეეპ!...

\* \* \*

ისევ ციტატას მივუტრიალდეთ.

რანაირი, სადა და როდის ნასწავლი ქართულით ნათქვამია სამი წლის უკან მტრებთან შეტაკებისას დალუპულ მშობელზე – „**მამა მესამე ზაფხული მიდიოდა უკვე?**..“

დებიუტანტმა იმდენი ქართულიც რომ არ იცის, მკვდარ ადამიანიშვილზე (!), მიცვალებულზე (!!!) რომელი სიტყვა უნდა იხმაროს – „**მოასვენეს**“ თუ „**მოიყვანეს**“, მწერლობას რის იმედით, რა უფლებითა და სინდისით ასტორლიალებია?!

მწერლობა კი არა, გულშემატკივრებმა ამ „**ფათი-ფუთა**“ დებიუტანტს ჯერ თავი უნდა დაანებებინონ ვიღაც გოგუცანების მიერ ტაკიმასხარაობად ქცეული ინტერვიუობანაობისთვის, ისევ სკოლაში მიიყვანონ და ნოლჯგუფიდან დააწყებინონ ანდა გამოცდილი რეპეტიტორები უქირაონ, რათა საყველპურო ქართული მაინც აითვისოს და მწერლობაზე ფიქრი მხოლოდ ამის შემდეგ გაბედოს!!!

მართლა აღარ არის რისამე სამანი: მწერლობის მოლამემ მიცვალებულზე როგორ უნდა წამოროშოს – „**ურემზე გადებული**“-ო?!

გადებული რა, ის სულკურთხეული გომურის თავზე იყო, საბძლის ბოძი, ფარეხის ლატანი, რელსი თუ გზაზე შემთხვევით ნაპოვნი, ვიღაცის დაკარგული ან დანაგდები ვეებერთელა შეშა, ტყეში მიმავალი გლეხები რომ დახარბდნენ და ურემზე სახელდახელოდ „**გადეს?**!“

ნუთუ ავკაცობად ჩამეთვლება ამგვარი განაჩენი: ასეთ ავტორს რამდენიმენლიანი დისკვალიფიკაცია უნდა მიეცეს, რედაქტორს კი სამუდამოდ აეკრძალოს რედაქციაში თუგინდ

რიგით ლიტმუშაკად ყოფნა!!!

კარგი, ენა თუ არ იცი და ვერც მხატვრული სახეებით აზროვნებ, ცხოვრებისეულ ყოფით წვრილმანებში მაინც როგორ ვერ უნდა ერკვეოდე: სად გაგონილა ან ვის უნახავს „გორის წვერზე“(!!!) მდებარე სასაფლაო?! მართალია, ვაჟა-ფშაველას უნერია.

სოფლისა გალმა გორია,  
დამწვარი, ქვიშიანია,  
ბევრი წევს იქა ვაჟკაცი  
გულლომი ჯიშიანია.

მაგრამ აქ პოეტი მაინცდამაინც „გორის წვერს“ კი არ გულისხმობს, არამედ მის მისადგომებს, დამრეც, ხალვათ კალთას, რომელმაც „ბევრი“ მიცვალებული უნდა დაიტიოს! „გორის წვერს“ კი სად უნდა დაეტია იმ ქვეყნის მგზავრი ანდა უამინდობასა თუ თოვლ-ყინვაში იქ მიცვალებული როგორ უნდა აესვენებინათ?!

თუ არ გიყურებია, არ გინახავს და არც გსმენია, შენი ალლოიანობით მაინც როგორ ვერ უნდა იგუმანო: „ჯვარამოტ-ვიფრული“ ლოდი დასაფლავებულს სად დაედება ხოლმე – სამარეზე თუ მკერდზე?!

ასევე სრულებით არადამაჯერებელია და უნაღვლელი ავტორის მიერ იმ ძნელებელობის ბავშვურ წარმოდგენად აღიქმება „თურქებთან“ (უფრო სწორედ თურქ-სელჩუკებთან) „პატარა შეტაკებაში“ დალუპული ბიბოს მამის შინ ურმით მისვენება.

აქ აშკარაზე აშკარაა: ავტორს დაახლოებითი წარმოდგენაც კი არ აპადია, რანაირი ცოდვის ლული ტრიალებდა იმ-დროინდელი საქართველოს თავზე! რის ხარ-ურემი თუ ღმერთ გნამთ: მოწოლილი მტრის ურდოებისგან დარბეულ ქვეყანას ყოფნა-არყოფნის ჟამტიიალი ედგა! გადაბუგული ნაქალაქარ-ნა-სოფლარები დაცარიელებულ-გაუდაბურებული იყო, მშიერ-ტიტველი, დევნილი ერთი მუჭა მოსახლეობა თავს მთა-ხეობებსა და მიუდგომელ ორწოხებს აფარებდა!

ჰოდა, ამგვარ მძიმე ვითარებასა და მაშინდელი უგ-

ზოობის პირობებში სად იქნებოდა მაგის წუთისოფელი ანდა სასწრაფო დახმარების მანქანასავით მზადმყოფი ხარ-ურე-მი, რომ სადღაც შეტაკებისას დაცემული კაცი შინ ურმის ჭრიალ-ჭრიალით გუნებიერად წაესვენებინათ! პმ, შეიძლება შემთხვევით გადაყრილ მტრის მოთარეშე ბრბოს ჭირისუფლე-ბი ადგილზევე ჩაეკაფა და ურემიც თუ არა, ხარები თავისთვის წაერეკა!!! ამიტომ შინ ურმით წაესვენებინათ კი არა, რიცხვმ-რავალ ურდოსთან უთანასწორო შეტაკების შემდეგ თუკი საიმ-ისო დრო, გარემოება და საშუალება კიდევ იქნებოდა, დალუ-პულ(ები) ალახმალას გაჩიჩენილ თრხილში მაინც ჩაეფლოთ, რათა ნადირის ლუკმად ან საყვავყორნედ არ გამხდარიყვნენ, ესეც ნამდვილი ღვთის წყალობა იქნებოდა!

ავტორი კი ეპოქის ძნელბედობას სულ არ ითვალის-წინებს, მტრებთან შეტაკებისას დალუპულ კაცს შინისკენ ურ-მით დარბაისლურად მიასვენებს და თან ლამის ფერენც ლისტის (1811-1986) გმირული მარში „პეტეფის სსოვნაც“ მიაყოლოს!.. მოკლედ, ეს ურმით წაესვენება არადამაჯერებელია, თორემ ჰა – მსოფლიოში ყველაზე გამძლე და ამტანი მასალა, ქალალდი, ამასაც დაიტევს და მოთმენს!..

ერთი სიტყვით, მთელი ეს წრეგადასული ენობრივი და „მხ-ატვურლი“ უსუსურობა ავტორთან პოლემიკის ყოველგვარ სურ-ვილს ძირშივე სპობს. ასეთ კალმოსნებს ეპაექრე, არ ეპაექრე – რაკი სხვანაირად არ შუძლიათ, ამგვარ ჩხირკედელობას კი თავ-ცოცხალი ვერ დათმობენ, ისინი მაინც თავისას გააგრძელებენ!!!

აქ სავალალო და გასაჩერეკი სულ სხვა რამეა: რედაქტო-რი, რომელიც ვერ ამჩნევს ამდენ აბსურდულ წუნს, რაღა ბაჟი აქვს მის რედაქტორობას?! ეს თანამდებობა მართლა მარტო იმისთვის ხომ არ უნდა, საზოგადოებას საპატიო მუნდირით ეჩვენებოდეს, მხოლოდ თავისი ნანდაური ავტორები აბაირამოს და გვარიანი ჯამაგირი ჰქონდეს!

\*\*\*

ლ. კილასონია დიდგორის ბრძოლის წინ დავით ალმაშენ-ებელს გვიხატავს.

„უეცრად ბიბომ თეთრ ცხენზე ამხედრებული მეფე დაინახა – მხარბეჭიანი, დიდი, ღონიერი. უბრალო სამოსი ეცვა, ჯაჭვის პერანგზე მენამული ლაპადა შემოეგდო, წელზე სწორედ ის ხმალი ეკრა, რომელზეც ამბობდნენ, ერთი დარტყმით შეუძლია ცხენი და კაცი შუაში გაჭრასო.“

ესეც ასე: დავით ალმაშენებელს ამხელად ხომ „მენამული ლაპადა“ წამოასხეს, ირაკლი ჯავახაძისა და მისი მსგავსი რედაქტორების მიერ წახალისებული ავტორები საქართველოს უპირველეს მეფეს მალე, ალბათ, კამზოლით, რუსი მუსიკის ხიფთანით თუ მარშალ გიორგი უუკოვის „შინელითაც“ წარმოგვიდგენებ! თანაც ცოტა გაუგებარია: თორმეტიოდე წლის ყმაწვილს როგორ უნდა დაედგინა – მეფეს ჯაჭვის პერანგის ქვეშ „უბრალო სამოსელი ეცვა“ თუ ძვირფასი?!?

გარდა ამისა, ნებისმიერი მამაკაცის მხარბეჭიანოაბა და ტანმსხვილობა იმავდროულად მის უცილობელ სილონივრესაც არ ნიშნავს, მან თავისი ღონივრობა რამეში თუ არ გამოამჟღავნა! ამიტომ ამხედრებული დავით მეფისთვის პირველი თვალმოკვრისთანავე „ღონიერის“ მიკერებაც შიშველი დილეტანტიზმია და მეტი არაფერი!

ცოტა არ იყოს, გაუგებარია: თორმეტი წლის ბიბოს, თავის სიცოცხლეში მეფეს პირველად რომ ხედავდა, საიდან უნდა სცოლნოდა, რომ „წელზე სწორედ ის ხმალი ეკრა?“ ანდა, ამას რაღა ხაზგასმა სჭირდებოდა: მეფეს თუკეი მართლა ამგვარი ზღაპრული სიბასრის ხმალი ექნებოდა, აბა, სხვა რომელი დღისთვისლა შემონახავდა?! თანაც აქ მეტი დაკვირვება იყო საჭირო – როგორი ბასრიც უნდა იყოს, თავისთავად თვითონ ხმალი კი არ ჭრის, არამედ თავისი პატრონის მკლავმაგრობა აჭრევინებს!!!

აქ კი გხიბლავთ არა იმდენად დავით მეფის მკლავლონივრობა, რამდენადაც მისი თვალმახვილობა და მკლავის სისწრაფე! აბა, დაუკვირდით: დიდგორში სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისას, როცა მომხვდურ-დამხვდური, ცხენოსანი და ქვეითი გააფთრებით ტრიალებს და ერთმანეთში თავბრუდამხვევად ირევა, მეფეს მართლაც რანაირი ელვისებული თვალ-

ზომა და მკლავის სისწრაფე უნდა ჰქონოდა, რომ „ცხენი და კაცი“ დურგლის მიერ დაზგაზე შემოდებულ, თავისი დასაკეცი მეტრიანით გაზომილ-გამოზომილ და ფანქრის ნალევით გახა-აზულ ფიცარივით შუაზე კი არა, ზუსტად „შუაში“ გაეჭრა!!!

ო, რა იქნებოდა, თვითეული ჩვენთაგანისთვისაც ღმერთს ამნაირი მხატვრული სიზუსტის უნარი მოემადლებინა!

## პენზე გადარჩენილი კაცობრიობა

თეა თოფურიას ე. წ. მოთხრობის „სახლი“ 2009 წლის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობად გამოცხადება კი არა, საერთოდ, სადმე მისი გამოქვეყნებაც კი („ლიტერატურა“, 2009 წ., №20) უკვე შეთქმულება და აბუჩად ავდებაა მხატვრული ღირებულებების, ქართული მწერლობის, მკითხველი საზოგადოების.

მიუდგომელი ოპონენტებისთვის ამის დამტკიცებაზე იოლი არაფერია.

ავტორი აფხაზეთის ომის შემდეგროინდელ ამბებს ეხება.

„აგრძების ოჯახი სოხუმში ომის შემდეგ ჩამოვიდა და მაშინვე ამ ვეებერთელა სახლში დასახლდა. სახლი დანგრეული ქალაქის ცენტრში იდგა, ორსართულიანი და მიტოვებული. განუკითხაობა იყო. ქართველებმა მაშინ ყველაფერი დატოვეს და აფხაზებს სადაც უნდოდათ, თავისუფლად შედიოდნენ. აგრძები აქ შემოვიდნენ და როგორც აღმოჩნდა, ძალიან ილბლიანადაც, ეს ერთ-ერთი საუკეთესო სახლი იყო სოხუმში.

მათ ეზოში ხუთასკილოგრამიანი ბომბი ჩამოვარდა (უნდა იყოს ჩამოვარდნილიყო. ჯ. მ.). მართალია, არ აფეთქებულა (უნდა იყოს „არ აფეთქებულიყო“. ჯ. მ.) მაგრამ იმხელა ღრმული დატოვა (უნდა იყოს დაეტოვებინა. ჯ. მ.) რომ შემდეგ უფროსმა აგრძამ სწორედ ამ ღრმულში მოაწყო თავშესაფარი, რკინის ოთახი საჭმლისა და წყლის მარაგით. თუ რამე, მთელი ოჯახი იქ უნდა დამალულიყო. მანამდე კი, სანამ საგანგებო კომისია იმას შეისწავლიდა, ეს ძლვენი ჩვეულებრივ ბოსტანში საიდან აღმოჩნდა, მთელი ოჯახი გარეთ გამოყარეს და ერთი თვე საკუთარი სახლის წინ კარავში ცხოვრობდნენ. ეზო წითელი ლენტით იყო შემოლობილი (უნდა იყოს შემოსაზღვრული. ჯ. მ.). ბომბი დაშალეს და ნაწილ-ნაწილ გაიტანეს. თუმცა მოგვინებით ჯეკამ (პატარა გოგონამ. ჯ. მ.) მაინც იპოვა რამდენიმე ნამსხვრევი, ერთ მათგანს ყელზე ჩამოკიდებულს ატარებდა. დიმამ ყველაფერი შეინახა, რაც ბომბისაგან დარჩა, ამბობდა, თუ როდისმე საზღვარგარეთ მოვხვდი, სუვენირებად გავყიდიო.

- ვის რად უნდა დაჭმუჭმული რკინა? – იცინოდა უფროსი აგრძა.

**- როგორ თუ რად უნდათ, ყველას ეზოში კი არ ცვივა ბომბები“.**

ეს ნაწყვეტი გამონაკლისი როდია! საერთოდ, თ. თოფურიას ტექსტების კითხვით სისხლგამშრალი ოპონენტისაგან დამოუკიდებლად პირველ რიგში ჯერ სულ სხვა, თანაც ძალიან დელიკატური კითხვა ტივტივდება. მხატვრულ-ლიტერატურული თვალსაზრისით თ. თოფურიას ნეტავი ჰყავს თუ არა ჭეშმარიტი კეთილმოსურნები და რომელიმე ან რამდენიმე მათგანს პირუთვნელად ურჩევია თუ არა – მწერლობა შენი საქმე არ არის და თუ ღმერთი გნამს, ჩამოეხსენიო!

არავინ იფიქროს, თ. თოფურიას განზრახ მკაცრ პირობებს უყენებდნენ და მისგან უეჭველად ვარსკვლავების მოწყვეტას ითხოვდნენ! რას ვიზამთ, ასეთია ლიტერატურული ცხოვრება და შემოქმედება – ვის არ მოსცარვია ხელი! მაგრამ ხშირად თვით ყველაზე წარუმატებელი ტექსტის სტრიქონებშიც კი იგრძნობა ხოლმე, რომ მისი ავტორი რაღაც მინიმალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, თითქოს ახლოა მხატვრული სახეებით აზროვნების საიდუმლოსთან!

თეა თოფურია? როგორც კი კალმით სუფთა ფურცელს შეეხება, მაშინვე აბსურდის კასკადიც იწყება და მის ტექსტებში აბსოლუტურად ყველაფერი, თვით უმარტივესი და ყველასათვის ისედაც ნათელი ცნება, ცნობა, ცოდნა, აქსიომა, შეხედულება, ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი ყოფითი გამოცდილება თუ ყოვლად ჩვეულებრივი ჭეშმარიტება უეცრად თავდაყირატრიალდება და სულ გაუკულმართებულ, ნორმალური ადამიანისათვის გაუგებარ და შიშის მომგვრელ მნიშვნელობას იძენს!

რაკი ამგვარ ვითარება-პირობებში უმუალოდ ავტორთან პაექრობას ყოველგვარი აზრი ეკარგება, ამიტომ ლიტერატურული პოლემიკის ბარიერთან გამოცხადება მოუწევს ჯერ ჟურნალს, „ლიტერატურა“ – ვინც თ. თოფურიას ეს ტექსტი თავდაპირველად დაბეჭდა და მერე კი „ბაკურ სულაკურის გამომცემლობას“, 2009 წლის ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ მოთხოვნად რომ გამოაცხადა!

თ. თოფურია გულდაარხენებული რომ წერს: მათ ეზო-

ში ხუთასკილოგრამიანი ბომბი ჩამოვარდა. მართალია, არ აფეთქებულა, მაგრამ იმხელა ღრმული დატოვა, რომ შემდეგ უფროსმა აგრძამ სწორედ იმ ღრმულში მოაწყო თავშესაფარიო, გასაკვირია – ბომბი თუკი არ აფეთქდა, აბა, ღრმული რაღას უნდა გაეჩინა, საიდან, სად, როგორ, რანაირად უნდა წარმოშობილიყო?! ანდა, იმ აგრძასაც რომელ „ღრმულში“ უნდა მოეწყო რაღაც სულელური საოჯახო თავშესაფარი?!

ნახევარტონიანი (!) ავიაბომბი (!) თუ არ აფეთქდა, ღრმულს კი არ დატოვებდა, არამედ დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელ შედარებით რბილ ნიადაგში ქვევრივით ისე ჩაეფლობოდა, კაცი თითო ვერ ჩაუტარებდა!!!

ავტორი ისეთ რამეს ირწმუნება, ხოლო რედაქცია-გამომცემლობა ისე ბეცურად უჯერებს, მკითხველს შეიძლება სისხლი გაეყინოს!

„შემდეგ უფროსმა აგრძამ სწორედ იმ ღრმულში მოიწყო თავშესაფარი, რკინის ოთახი საჭმლისა და წყლის მარაგით. თუ რამე, მთელი ოჯახი იქ უნდა დამალულიყო“.

ღმერთო!... თავი დავანებოთ იმ არარსებულ ღრმულზე უაზრო კამათს! ან მართლაც რომ ყოფილიყო რაღაც ღრმული, ნახევარტონიან (!) აუფეთქებელ (!) ავიაბომბთან (!!!) რომელი ჭკუათამყოფელი მოიწყობდა საოჯახო თავშესაფარ-სამალავს, უფრო სწორედ, პოტენციურ სასაკლაოს! თუგინდ დღევანდელობა ავილოთ: აქა-იქ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომიდან შემორჩენილი სხვადასხვა სახეობის ბომბები 50-60 წლის შემდეგაც კი არ კარგავს მოქმედების გასახეტებულ უნარს და თუ უკიდურესი სიფრთხილით არ მოეპყრნენ, სისხლიანი ტრაგედია გარდაუვალი ხდება ხოლმე! ჰოდა, რამდენიმე თვის წინ ეზოში ჩამოვარდნილ-ჩაფლულ აუფეთქებელ ნახევარტონიან ავიაბომბთან რომელი გიჟი მოიწყობდა ბუნაგს?

თანაც სრულ გაუგებრობას იწვევს ავტორის ნათქვამი.

„იმ ღრმულში (ნეტავ რომელ ღრმულში? ჯ. მ.) მოაწყო თავშესაფარი, რკინის ოთახი საჭმლისა და წყლის მარაგით“.

ვის შეუძლია ახსნას, რას წარმოადგენს ან სად უნდა ჩადგმულიყო თ. ოთფურიას ეს „რკინის ოთახი“: არარსე-

ბულ ზღაპრულ ღრმულში იმ აგრძამ სპეციალური რკინის კონსტრუქციები ჩატიდა და დაამონტაჟებინა თუ მიწაში ჩაფლულ(!) ავიაბომბის ფოლადის კორპუსი გადაბერებული ხის ტანივით კავსაფხევით გამოაფულუროვეს?!.. თუმცა კიდევაც რომ გამოეფულუროებინათ, ნახევარტონიანი ავიაბომბის გარს-ში რას დაეტეოდა იმხელა ოჯახი, თანაც „საჭმლისა და წყლის მარაგით“.

ეს სულელურზე სულელური „საგანგებო კომისია?“.

„სანამ საგანგებო კომისია იმას შეისწავლიდა, ეს ძლვენი ჩვეულებრივ ბოსტანში საიდან ალმოჩნდა, მთელი ოჯახი გარეთ გამოყარეს და ერთი თვე საკუთარი სახლის წინ კარავში ცხოვ-რობდნენ“.

ჯერ ერთი, რას ნიშნავს „ეს ძლვენი ჩვეულებრივ ბოსტანში საიდან ალმოჩნდა?“ ნუთუ არსებობს „ჩვეულებრივი“ და „არაჩვეულებრივი“ ბოსტნები?! ჰოდა, ავიაბომბი თუ „არაჩვეუ-ლებრივ“ ბოსტანში ალმოჩნდებოდა, ეს სრულიად ბუნებრივად ჩაითვლებოდა, მაგრამ რაკი „ჩვეულებრივ“ ბოსტანში ჩამოვარდნილა, ეს უკვე სერიოზული გამოძიების საგნად უნდა ქცეულიყო?!

ანდა მიწაში ღრმად ჩაფლულ აუფეთქებელ ავიაბომბზე იდიოტის მეტი ვინ იკითხავს – აქ საიდან გაჩნდაო! ომი იყო და თვითმფრინავიდან გადმოაგდებდნენ, სხვა საიდან და რანაირად უნდა გაჩენილიყო?! თორემ ეს ნახევარტონიანი ბომბი სიგარეტის ნამწვი ხომ არ იყო, ვიღაცას ღობის იქიდან ამათი სათვისეკენ ანუ „ჩვეულებრივ ბოსტანში“ წეიპურტით გადმოესროლა?!?

არა, თ. თოფურიას „საგანგებო კომისიას“ ხელს არავინ უშლის, თავისი საქმე კომპეტენტურად გამოიძიოს, მაგრამ მართლა აღარ არსებობს განსჯადობის მინიმალური ზღვარი და უნარი – ამის გამოძიებას მთელი თვე (!!!) რად უნდოდა: ბომბის სახეობისა და მისი ბოსტანში მოხვედრის უმარტივეს მიზეზის დადგენას რამდენიმე წუთიც ეყოფოდა!!!

ასევე ლამის მკითხველის გონების შეყინვას იწვევს „საგანგებო კომისიის“ მიერ იმ აგრძების სახლიდან მათსავე ეზო-

ში დაცემულ კარავში მთელი თვით გადასახლების ამოუხსნელი მიზეზი, მიზანი, მოტივი, საპაპი, ქვეტექსტი!...

მაგრამ ვინ არის გამკითხავი – ავტორის ზღვარდაუდებელი სისულელები და რედაქცია-გამომცემლობის მუშაკთა გონებადახშულობა მარსისკენ კოსმოსური ხომალდივით მიფრინავს!!!

### **„ბომბი დაშალეს და ნაწილ-ნაწილ გაიტანეს“.**

ბომბი როგორ უნდა დაშალონ: გომია, დედაბრის კაბა, ალაჩოყი, მოფუნჯული ტელევიზორი თუ საკერავი მანქანა?! ანდა ნახევარტონიან ავიაბომბის(!!!) სოხუმში აგერ, როგორც წელან თვითონ ავტორმა გვითხრა, „ქალაქის ცენტრში“ რომელი დამთხვეული მესანგრე დაუწყებდა „დაშლას“? მსგავს შემთხვევაში ბომბს კი არ „შლიან“ თუ დასახლებულ პუნქტში ანდა მატერიალურ-კულტურულ ფასეულობათა შემცველ ტერიტორიაზე აღმოჩნდება, პირველ რიგში მოსახლეობის სასწრაფო და პირწმინდა ევაკუაციას ახდენენ ხოლმე და მისასვლელ-მოსასვლელ გზებს კეტავენ. მერე მესანგრები ბომბ(ებ)ს სპეცტრანსპორტზე უკიდურესი სიფრთხილით ათავსებენ, სადღაც მივარდნილ ადგილას კუს ნაბიჯით მიაქვთ და იქ აფეთქებენ!

კეთილი, რაკი თ. თოფურიას ამ ავიაბომბის ბავშვის სათამაშოსავით დაშლა-აწყობა ეხალისება, ხელს ნუ შევუშლით – დაე, იმდენჯერ დაშალოს და ააწყოს, სანამ არ მოსწყიდნება, მაგრამ ამ „დაშლილი“ ბომბის „ნაწილ-ნაწილ“ გატანა რაღას მივაწეროთ? ავიაბომბის „დაშლა-აწყობით“ თავგართულ ავტორს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ რედაქცია-გამომცემლობის მუშაკებს მართლა ასე სჯერათ: თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებათა პირობებში მესანგრებს (!) ერთი ისეთი ტვირთამწეობის ავტომობილი არ ეყოლებოდათ, რომ ეს ნახევარტონიანი „დაშლილი“ თუ დასაშლელი ბომბი ერთ გზობაზე წაეღოთ და „ნაწილ-ნაწილ“ აღარ ეწვალათ?!

მსგავსი რამ აზრადაც არავის მოსდის და თ. თოფურიას აბსურდული მსჯელობის კასკადი თანდათან მკითხველის ცნობიერების დამანგრეველ ცუნამს ემსგავსება.

### **„ბომბი დაშალეს და ნაწილ-ნაწილ გაიტანეს. თუმც მოგვი-**

**ანებით ჯეკამ მაინც იპოვა რამდენიმე ნამსხვრევი, ერთ მათგანს ყელზე ჩამოკიდებულს ატარებდა“.**

ბომბი თუკი „დაშალეს“ და ვერ აფეთქდა, მაშ, ეს „რამდენ-იმე ნამსხვრევი“ საიდანდა უნდა გაჩენილიყო?! საიდან და ჯერ თ. თოფურიას „გენიალური“ ფანტაზიიდან, მერე კი რედაქცია-გა-მომცემლობის შესაბამის მუშაკთა უტვინობიდან! ან ბომბის მჩხ-ვლეტავ-მკარავ ნამსხვრევს „ყელზე“ ჩვენი გრაფომანი ავტორის სქემატური პერსონაჟის მეტი ვინ ჩამოიკიდებდა?!

შეუჩერებელი თ. თოფურია თავის სტიქიაშია!!!

**„დიმამ ყველაფერი შეინახა, რაც ბომბისგან დარჩა“.**

კი მაგრამ, „დაშლილი“ და „ნაწილ-ნაწილ“ გატანილი ბომბისგან ადგილზე რაღა უნდა დარჩენილიყო ან ვინ რასა და რისთვის დატოვებდა?!

აქ აშეკარაა, ავტორსა და მისი ტექსტების მათაყვანებლებს წარმოდგენაც კი არ აქვთ ავიაბომბის მატერიალურ ნაწილზე და მას მოძველებულ ტრაქტორს, კომბაინს, ამორტიზებულ ზეთსახდელ ქარხანას ანდა თბილისში ნიკოლოზ პირველის დროს აყალოთი ანაგებ უზარმაზარ სასახელს უთანაბრებენ, რომელთა „დაშლისა“ და „ნაწილ-ნაწილ“ გაზიდვის შემდეგაც კი ადგილზე მართლაც კიდევ რაღა არ რჩება ხოლმე!!!

არადა, როგორია ავიაბომბის აგებულება? მსხვრევადი ფოლადის მონოლითური კორპუსი, მასში მოთავსებული ასა-ფეთქებელი მასა, ამ კორპუსს მიღულებული სტაბილიზატორი და ბალისტიკური რგოლი. მეტი არაფერი!

ჰოდა, თ. თოფურიას უმეცრობით ნერვებდაწყვეტილი მისი კარიკატურული პერსონაჟ-მესანგრეები იმ ბომბს კომ-ბაინივით რომ „დაშლიდნენ“, ასაფეთქებელ ნივთიერებას მეტ-ალის კონტეინერში მოათავსებდნენ, მერე ფოლადის მთლიან კორპუსს თავის სტაბილიზატორ-ბალისტიკურრგოლიანად ამ-ნეთი ავტომობილზე დაუდებდნენ და იქაურობას ისე გაეცლე-ბოდნენ, გულითაც რომ ნდომებოდათ, ადგილზე იმ ბომბის რაიმე ნამცეცსაც კი ვერ დატოვებდნენ!!!

დიმა? დიმას რაღად უნდოდა იმ „დაშლილი“ ბომბისგან „დარჩენილი“ ანუ არარსებული „ყველაფერი?“ თურმე ბიზნეს-

მენის ტალანტი ჰქონია: თუ ოდესმე საზღვარგარეთ მოვხვდი, სუვენირებად გავყიდიო!

აბა, როგორ – თუკი ბერლინის კედლის გოხ-ნამსხვრევები კარგ ფასად გადიოდა, თ. თოფურიას აუფეთქებელი(!) და დაშლილი(!) ავიაბომბის ნამსხვრევ-ნარჩენები(?)! რითი იქნებოდა ნაკლებლირებული?! თუმცა დიმას ბიზნესმენურ ნაოცნებარს თვით ავტორმა აგრძას პირით ცივი წყალი გადაავლო.

„ვის რად უნდა დაჭმუჭნული რკინა? – იცინოდა უფროსი აგრძა“.

აფეთქებისას მომაკვდინებელ-დამანგრეველ ნამსხვრევებად ქცევისათვის გათვლილ ავიაბომბის მყიფე სპეცფოლადის მონოლითურ კორპუსს რანაირად შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა „დაჭმუჭნული“ უწოდოს – ზეწარია, ცხვირსახოცი თუ მთის უხეტმახეტ გზებზე მთელი დღე ჯაბახანა ავტობუსით ნამგზავრი ქალის ბატისტის ქვედატანი?

კიდევ კარგი, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიას იოლად გადასატან-მოსახმარი დაჭმუჭნულ-დასაკეცი ბომბების შემქმნელი თეა თოფურიასთანა „გენიალური“ მეიარალე არ გამოუჩნდა, თორემ კაცობრიობის ბედ-ილბალი შეიძლება სულ სხვა გზით ნასულიყო!!!

\* \* \*

თ. თოფურიას ამ ზღვარდაუდებელ გრაფომანულ აბდაუბდას ერთი უდიდესი მნიშვნელობა მაინც გააჩნია. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს თანამედროვე ქართული მწერლობის სავალალო სურათს: ზოგიერთ რედაქცია-გამომცემლობებში მავნებლურად მოკალათებულმა არაკომპეტენტურმა, ალვირმიშვებულმა ჩინოვნიკებმა საიდან სად ჩამოაგდეს ნაწარმოების მხატვრულობის მაჩვენებელი მგრძნობიარე თამასა, რომელზეც მათი კლანის ნებისმიერ მსურველს უკვე უტიფრად შეუძლია გადალაჯება!

## ჭრელი პეკლების მაღავარი

თეონა დოლენჯიშვილის წესისმიერი ნაწარმოების კითხვისას მაშინვე ამგვარი განცდა დამეუფლება ხოლმე: დაკვირვებული ავტორის მწერლური თხრობა კი არ მიმიძლვის, არამედ ჭრელ პეპლებს გამოდევნებულ აბეზარ ბიჭუნას მივდევ არაქათგამოლეული.

ავილოთ თუგინდ „ლიტერატურული გაზეთის“ (2010 წ. თებერვალი) ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი ტექსტი „როგორ დავკარგე სოფელი“, რომელიც გაზეთის ერთ გვერდზე ცოტა წაკლებია.

ავტორი პაპას ასე გვიხასიათებს.

„ბაბუა იყო მოქეიფე და მხიარული. ჰქონდა დიდი ვენახები, ჭურები და საწნახელები. უყვარდა სტუმრები და ყოველ საღამოს საიდანლაც მოჰყავდა მეარლნე. მეარლნე სევერა უკრავდა ულამაზეს არლაზე“.

როგორც მთლიანი ტექსტი, ისე თვით ეს პანია ციტატაც არამნერლური, დილეტანტურ-პოზიორული აზროვნების კლასიკური ნიმუშია!

დააკვირდით, პაპის დასახასიათებლად მაკავშირებელი „და“-თი ავტორი რომელ სიტყვებს აწყვილებს – „მოქეიფე და მხიარული!“. ეს პაპა თუკი მართლა მოქეიფე იყო, მაშინ ისედაც ცხადია, „მხიარულიც“ იქნებოდა! მაშ, რაღა საჭირო იყო, მაშინ ისედაც უაზრო და უადგილო გახაზვა?! „უყვარდა სტუმრები“. – აქ უკვე მხატვრული ჩავარდნა კი არა, ვერ ნებისმიერი ეროვნებისა და მით უმეტეს, ქართული ხასიათისა და სოფლური ტრადიციების გასაკვირი უცოდინარობაა გამუღლებული: ეს ბერიყაცი რაკი „მოქეიფე“ ყოფილა, თან აგერ, „მხიარულიც“, ბუნებრივია, სტუმრებიც ეყვარებოდა, თორემ, აბა, საგანგებოდ მისთვის შეკერილ და სუფრასთან შემორიგებულ კაცის ზომის ძონის თოჯინებთან ხომ არ იქნებდა?!

ერთი სიტყვით, ავტორს აქ გამოუვიდა ქართველი სოფლელი ბერიყაცის წყალწყალა, ტრაფარეტული პორტრეტი, ხოლო თავისი პერსონაჟი პაპის ინდივიდუალური ბუნება-ხა-

სიათის ობოლი შტრიხის გავლებაც კი ვერ მოახერხა! მაგრამ თ. დოლენიშვილი არაფერს უკვირდება და მისთვის დამახას-იათებელი დაუკვირვებლობით მითართვატებს ზერელობისა და აკვიატებული უკიდურესობის ქაოსში.

„ჰქონდა დიდი ვენახები, ჭურები, საწნახელები!“

ყველაფერი დიდი, ყველაფერი ბევრი! უჲ, შენი გულისა, რა კარგია – მაღალმხატვრულობაც ეს არის სწორედ!

დიდი და ბევრი ქვევრები შეიძლება მართლაც ჰქონო-და და ეს სრულებით ბუნებრივია, მაგრამ ეს „საწნახელები?“ როგორც წესი, ერთი გვარიანი საწნახელიც თავისუფლად ჰყ-ოფნით ხოლმე! სხვა რომ არა იყოს რა, „დიდ საწნახელებს“ ადგილი არ უნდა?! და მაინც რამდენი „საწნახელები“ ჰქონდა ან შეიძლება ჰქონოდა პაპას: ორი, ხუთი, ექვსი, ცხრა?! კი მა-გრამ, რად უნდოდა, რაში უნდა გამოეყენებინა ამდენი „დიდი საწნახელები?“ ქვევრების დათვლა-დასახელებას არავინ ითხ-ოვს, ვინაიდან ქვევრი ქვევრია – შეიძლება ზოგი მათგანი წლო-ბით არც დაგჭირდეს, მაგრამ მინაშია ჩაფლული, ადგილსა და კუთხეს ტყუილუბრალოდ არ იკავებს, არავის რას უშლის! „საწ-ნახელები“ კი სულ სხვა რამეა და მხატვრული სიზუსტე-დამა-ჯერებლობისათვის, გამონაკლისის სახით, მათი რიცხვი უნდა დასახელებულიყო!

ავტორის მხატვრული დაუფიქრებლობა და პიროვნული უმეცრების მწვერვალი მაინც ეს „დიდი ვენახებია!“

ხედავთ, თ. დოლენჯიშვილი „პატარა ვენახებსაც“ არ სჯერდება – მაინცდამაინც დიდი უნდა! მაგრამ მწერალი ქალი ანგარიშს აღარ უწევს ტოტალიტალური რეჟიმის სასტიკ რე-ალობას: საბჭოთა გლეხევაცს ვინ მისცემდა ბევრ და თანაც „დიდ ვენახებს“, როცა საკარმიდამზ ნაკვეთები უკიდურესი სიმკაცრით იყო ნორმირებული!!!

კეთილი, დავუშვათ და პაპამისს მართლაც ჰქონოდა „დიდი ვენახები“, მოვლა-გაკეთება არ უნდოდა? ჯერ ერთი, გლეხს სულ კოლმეურნეობაში უნდა ემუშავა და შემთხვევიდან შემთხვევამდე თუდა იცლიდა თავის მოკრძალებულ ნაკვეთშიც სამუშაოდ! ეგეც არ იყოს, „მოქეიფე და მხიარული“, „სტუმრე-

**ბის მოყვარული**“ და ყოველ საღამოს ვიღაც მეარღნის მადევარ პაპას ექნებოდა საიმისო დრო, ხალისი და რაც მთავარია, ჯან-ლონე, თან იმოდენა „დიდი ვენახებიც“ დაემუშავებინა?! საქმეში ჩაუხედავ ჩვენს ავტორს „დიდი ვენახების“ მოვლა-პატრონობაც მოლიანი ეზოს კუთხეში ერთი ხელისდადება ყვავილნარის თავგასართობი შალთვა ხომ არ ჰგონია?!

მკითხველს გულს უწუხებს დაუკვირვებელი ავტორის მხ-ატვრული ზომიერების სრული უქონლობა და მხოლოდ უაზრო უკიდურესობების ზღვარზე ქარაფშუტული რონინი.

**„ყოველ საღამოს საიდანლაც მოჰყავდა მეარღნე“.**

პაპამისი მართლა როგორი „მოქეიფე და მხიარულიც“ უნდა ყოფილიყო, ნეტავი რა ჯანდაბად ენდომებოდა ყოველღამ (!) არღნის თავშესაბეზრებელი ჭყვიტინი?! თუმც ამას ჩვენ ვინ გვეკითხება, როცა ავტორს ასე სურს!!! მაგრამ ვინ დაიჯერებს, იმ კუთხეში მხოლოდ ერთადერთი პაპამისი იყო მომლენი და არღნის ტრფიალი?! ხოლო თუ მისი მსგავსი ანდა მასზე უფრო დარღიმანდი მომლენ-მოქეიფე და „არღანისტები“ სხვებიც იყვნენ – და, ცხადია, იქნებოდნენ! – მაშინ მით უფრო გასაკ-ვირია: ყოველ საღამოს (!!!) ყველას რაღა მაინცდამაინც ეს პაპა ასწრებდა იმ ერთადერთი მეარღნის პოვნა-მოყვანას?! თანაც თუკი პაპამისს არღნის ჭყვიტინის გარეშე ყანწ-შამფურების ტრიალი ვერ წარმოედგინა, რაღად უნდოდა ყოველ საღამოს (!!!) სხვების დასწრებაზე (!!!) მეარღნის საპოვნელად და მო-საყვანად ამდენი წონიალი – ბოლოს და ბოლოს ამდგარიყო და ის მეარღნე სევერა სულაც თავისთან ჩაესახლებინა! ამრიგად, მუდამ თვალქვეშ ეყოლებოდა და რამდენიც სურდა, იმდენი ექეიფა ამ არღნის გულგამანვრილებელ ჭყვიტ... ეე, ამ არ-ღნის გადამკიდებს მთავარი, ის „დიდი ვენახები“ კიდევ რომ სულ გადაგვავინყდა!

იმ „დიდ ვენახებს“ ვინა და როდისღა დაამუშავებდა? პაპა სულ ქეიფ-მხიარულებასა და მეარღნის ძებნას რომ გადაჰყოლოდა, იმოდენა „დიდ ჭურებში“ მოლიცლიცე ღვინოს ვიღა ან როდისღა გადაიღებ-გადმოიღებდა?! ეეეჲ!

ერთი სიტყვით, ავტორის ტენდენციურ, მცდარ წარმო-

სახვაში ცხოვრებისეული სინამდვილე მხოლოდ თვალმახარ ჭრელ პეპელად აღიქმება! ამგვარ პეპელას კი რაც უფრო დიდი ფრთები აქვს და მეტი ფერად-ფერადი კოპლები აყრია, ბავშვიც უფრო მეტად იხიბლება და თავისი ჩოგანბადით თავდავიწყებით გამოენთება ხოლმე!

თ. დოლენჯიშვილსაც სწორედ ასე ემართება! მხოლოდ ფერად-ფერადი, უსარებლო „კოპლებისკენ“ გაურბის მწერლური თვალ-გული: პაპა – მოქეიფე, მხიარული, სტუმართ-მოყვარე!.. ვენახები – დიდი!.. ცხადია, ქვევრებიც ბევრი და დიდი!.. საწნახელმა რაღა დააშავა? დიდი საწნახელებიც ბევრი! უარღნოდ პურის გატეხას რაღა მადლი ექნებოდა – ამიტომ დაუფიქრებელი ავტორი ამ საწყალ ბერიკაცს ყოველ სალამოს მეარღნის მოსაყვანად შეუწყალებლად დაარბენინებს! მაგრამ რას იზამ, თუკი ასეთია მწერლის მხატვრული აზროვნების ყაიდა და მასშტაბი!

არადა განსაცვიფრებელია: ავტორს საყვარელი პაპის ხე-ლშესახები პორტრეტის ხატვისას თუ მოგონებებით აღძრულმა მძღვანელმა ემოციებმა შეუშალა ხელი, ამ უსულო საგნებთან შეხებისასაც რომ ვერ ამჟღავნებს ობიექტურად მსჯელობის მინი-მაღურ უნარს?! აი, როგორ ამთავრებს პაპის დახასიათებას.

### „მეარღნე სევერა უკრავდა ულამაზეს არღანზე“.

ჭრელ პეპელას გამოდევნებული მწერლის მიერ ჩვეული დაუფიქრებლობით წამოსროლილმა სიტყვამ „ულამაზესი“ საპოლონოდ ყველაფერს პროექტორული შუქი მოჰყოინა – აქ საქმე სრულ კატასტროფასთან გვაქვს!!!

ბოლოს და ბოლოს რა არის ეს მექანიკური საკრავი არღანი? სახელურგამოფშეკილი და გაქონილდვედებიანი ყუთი! მაშ, სად გაგონილა არღანს „ულამაზესი“ ეწოდოს?! ულამაზესი შეიძლება იყოს ქალი, ბავშვი, იდეა, ცხენი, ჭაბუკი, ჩანჩქერი, ოცნება, მამაკაცი, ჯიხვი, ცისარტყელა, ჩანაფიქრი, ირემი, შენობა, ხე, იდეა, აგარაკი და ა.შ! არღანი? არა ულამაზესი, არამედ ახალი, ახალთახალი, უხმარი, საკმაოდ ნახმარი, კარგად შენახული, მოვლილი, ძველი, მოძველებული, მოუვლელი, დანჯლრეული, ჯაბახანა, აქა-იქ ნათრევი, ბევრის მნახველი,

ჩამოცვეთილი, გადასაგდები... თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ხანდაზმული ან დაბალპროფესიონალი პატრონის წყალობით ბევრ მათგანს ბურდონი მომლილი ჰქონდა, მაშინ ასეთი არღანი ხდებოდა ხმაჩახლეჩილი, ხრინწიანი, ხმაწასული ან ჭყვიტინა...

აქ ანგარიში უნდა გასწეოდა შემდეგ გარემოებასაც: ის არღანი არამცულ „ულამაზესი“, არამედ ახალიც ვერ იქნებოდა! რატომ? არღანი მეტისმეტად ძვირი, თანაც ძალიან ძნელად ხელმისაწვდომი საკრავი იყო და თავის დროზე თბილისა თუ ამიერკავკასიის დიდ ქალაქებში უმეტესწილად ნახმარი არღნები აღწევდა. მიყრუებულ სოფლებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია – ვინ იცის, იქ რამდენი პატრონის ხელში გამოვლილი დანჯლრეული არღანი ჭყვიტინებდა!!! მაგრამ ნაწარმოების იდეისა და მიზნის მიხედვით კი უმთავრესია არა არღნის სილამაზე ან მისი ძველახლობა, არამედ მგრძნობიარე გოგონაში ოდესლაც არღნის ჰანგებით აღძრული განცდების შეუცდომლად აღდგენა და მისი მხატვრული სიფაქიზით გადმოცემა!

ავტორი კი ამას ვერ მიხვდა ანდა საამისო მხატვრული საფანელი არ ეყო და ამიტომ ისევ „ჭრულებულებიან პეპელას“ გამოეკიდა – არღნის გამოვლინილი „ულამაზესობა“ მკითხველებს თვალებში ნაცარივით შეაყარა და ამით დაკმაყოფილდა!

ბარემ აქ ესეც უნა ითქვას. თავისი პერსონაჟების – მოქეიფე, ყოველ საღამოს მეარღნის მძებნელი პაპისა და არღნის ჰანგებით უსაზღვროდ მოხიბლული თორმეტიოდე წლის გოგონას მეოხებით ფეხისხმასაყოლილი ავტორი ამ მუსიკალურ ინსტრუმენტს სრულებით უსაფუძვლოდ აიდიალებს, მით უმეტეს, მივარდნილი სოფლის ფონზე. მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოება. არღანი – ეს ჭყვიტინა, ორგანის ხელით სატრიალებელი მინიატურული სახეობა პირველად საფრანგეთში, XVII ს. ბოლოს შეიქმნა და რუსეთში მხოლოდ XIX ს. დასაწყისში, მერე იქიდან კი ჩვენშიც შემოაღწია.

არღანი ქალაქური ფოლებულორის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. მაგრამ მას ქართული სოფლის მუსიკალურ თუ ვოკალურ რეპერტუარზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხ-

დენია თუგინდ იმ მიზეზით, რომ ეს თავმომაბეზრებელი საკრა-  
ვი სოფლად იშვიათ ხილს წარმოადგენდა. სოფელში კი არა,  
თვით ქალაქის მოსახლეობაშიც... თუმც ჯობია ფუნდამენტურ  
ნაშრომში „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ  
ლექსიკონში“ ჩავიხედოთ.

„არღანის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არ  
იყო ერთგვაროვანი. მისი ერთი ნაწილი საკმაოდ ნეგატიურდ  
აფასებდა და მასში ქართველების მუსიკალური გემოვნების  
შერყვნის საფრთხეს ხედავდა. ეს განწყობილება აისახა კიდეც  
XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ პრესაში“.

როგორც ხედავთ, არც ამ მოჭყვიტინე არღნის ჭრელ პე-  
პლად გადაქცევა და მერე თავქუდმოგლევით მისი უშედეგო  
დევნა ღირდა!

## ცნობარის საჭიროება

შურნალში „ლიტერატურული პალიტრა“ (2012 წ. №1) დაიბეჭდა მარო ბექაურის ორფურცლიანი მხატვრულ-დოკუ-მენტური ტექსტი „ლიტვური ვოიაჟი.“

ხუთი ქართველი მწერალი ქალი – თვითონ მარო ბექაუ-რი, თეონა დოლენჯიშვილი, მაკა ლდოკონენი, თამთა მელაძე და ნინო სტეფანაძე – ლიტვის მწერალთა კავშირის მიერ ამ ქვეყნის ზღვისპირა ქალაქ პალანგაში რაკი ერთკვირიან მწერალთა სემ-ინარზე ყოფილან მიწვეულნი, მკითხველისთვის გაუგებარი რჩე-ბა, ავტორი ამ ღირსახსირვარ ფორუმზე საპატიო გამგზავრებას რატომ უწოდებს მოძველებულ ტერმინს, „ვოიაჟი,“ რომელსაც დღეს მხოლოდ ირონიული მნიშვნელობით ხმარობენ?!

\* \* \*

თან რა ამაღლებებელი დამთხვევაა: ახალგათხოვილ მარო ბექაურს ქორწილი სწორედ ბალტიისპირეთში გაფრენის წინადღით ჰქონია!

„აბა, მე რა ვიცოდი, რომ მაინცდამაინც ჩემი გათხოვების უამს დაემთხვევოდა ზღვისპირა ქალაქი პალანგა. ამიტომ ბუნე-ბრივად მოხდა, რომ მწერლური კვირეული თაფლობის კვირეულს შეერია. ჰოდა, ვინა თქვა, ერთი გასროლით ორ კურდლელს ვერ მოკლავო.“

ამრიგად, უცხოეთში გასაფრენი ჩვენი დელეგაცია უკვე თბილისის აეროპორტშია.

„თვითმფრინავში ასვლისთანავე მოვიხსენით კალიცოები, რომლებიც აშკარად არ შეესაბამებოდა ჩვენი თითების ზომას.“

ისევე, როგორც ამგვარი ლექსიკა არ შეესაბამება ჭეშ-მარიტ ქართულ პროზას, მაგრამ რაღაც ვიზამთ: ბეჭდები უკვე წაიძრ... უკაცრავად, „კალიცოები“ უხეირო ჩინოვნიკებივით უკვე „მოუხსენიათ,“ ავიალაინერიც შეუკრთომლად მიაპობს სივრცეს!

\* \* \*

უალრესად ყურადღებიანი მასპინძლები რიგიდან ვილნი-უსში ჩაფრენილ ქართველ მწერალ მანდილოსნებს გულთბილად დახვდებიან და ავტომობილებით ქალაქ პალანგაში ჩაიყვანენ.

„სადაც ერთი კვირა უნდა გვეცხოვრა რომელიდაც მწერლის სახელობის სასტუმროში. იმ მწერლის გვარი ვერაფრით დავი-მახსოვრე.“

არადა, საცა სამართალია, კოლეგიური თანაგრძნობა-პატივისცემის ნიშნად ავტორს ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, საქართველოსი არ იყოს, რომანოვების, მერე კი ბოლშევი-კურ-ტოტალიტარული რუსეთის მიერ მრავალტანჯული პატარა ქვეყნის იმ მწერლის ვინაობა თავისი უნდო მესსიერების ანაბარად კი არ უნდა მიეგდო, რათა მერე აგდებული „რომელი-ლაც“-ათი მოეხსენიებინა, არამედ ყველაფერი გამოეკითხა და ჩაეწერა, ვინაიდან დაუოკებელ ინტერესს აღძრავს: ვინ – კაცი თუ ქალი – რომელი ეპოქის, ლიტერატურული მიმდინარეობის და რანაირი ბეჭ-იღბლის მწერალი იქნებოდა და რასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ეს განსაცვიფრებელი შემთხვევა – საურორტო ქალაქის სასტუმროსთვის მწერლის გვარ-სახელის მინიჭება!!!

\* \* \*

ლიტველი მწერლის სახელობის სასტუმროში ახალ-დაბინავებული ჩვენი პროზაიკოსი ქალები მოეწყობიან, მოსულიერდებიან და პალანგის დასათვალიერებლად გამოიშლებიან.

„ჩვეულებრივი ზღვისპირა ქალაქია – აი, ჩვენთან რომ ქობულეთია, ისეთი.“

რა ჰქვია „ჩვენთან?!“ ქალაქი მანანნალა ციბაკი ხომ არ არის, დღეს „ჩვენთან“ იყოს, ზეგ თუ მაზეგ კი, ხორცის ნაფლეთით გადატყუებული, ახლა სხვასთან გაიქცეს და შეიძლება სამუდამოდაც იქ დარჩეს?! საქართველოს ყველა დასახლება, მთა-ბარი, კუთხე-კუნძული, ძეგლი თუ კენჭი „ჩვენთან“ კი არ არის, არამედ ჩვენი!!! ამიტომ უნდა იყოს: „აი, ჩვენი ქობულეთი რომ არის, ისეთი.“ ან „აი, როგორც ჩვენი ქობულეთი“ და ა.შ.

ქ. პალანგის ამგვარ წარდგენას ზედმობმით ლიტველების ფიზიკური დახსიათებაც მოსდევს.

„ხალხიც ჩვეულებრივი – ქერები (უნდა იყოს ქერა. ჯ.მ.) და მკვრივტრაკიანები.“

აბა, როგორ არ გახეტდებით?! ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, მნერალ ქალებს სხვა ეროვნების გარეგნული დახსიათება რაღა მაინცდამაინც აქამდე გაუგონარი და მცდარი მეთოდით – მათი უკანალების შეფასებით უნებებიათ, როცა დიდი ხანია, რაც აქ სულ სხვა კრიტერიუმები ბატონობს: **თავის მოყვანილობა** (მონგოლოიდური, ნეგროიდული, ევროპეიდული); **თმა** (ჟღალი, ქერა, ბაცი წაბლისფერი, მუქი წაბლისფერი, შავი... რბილი, ხეშეში, აბურძგნული, ზღაპრისებრი, სწორი...); **თვალები** (ნუშისმაგვარი, მრგვალი, წაპრალისებრი); **ცხვირი** (უნაგირა, სწორი, არწივის ანუ კეხიანი, რომაული, ბერძნული); **ტუჩქები** (წვრილი, საშუალო, სქელი, შებერილი) და სხვ. ხოლო თუ აღარ დაიშლიდნენ, ფორმითა და ზომებით მაინც შემოფარგლულიყვნენ, თორემ ასე ალახმალახ, თანაც დღისით-მზისით რანაირად დაადგინეს უცხო ქალაქის ზღვისპირა ბულვარზე მიმომავალ აპორიგენთა უკანალების სიმკვრივე – ფეხდაფეხ მისდევდნენ და თითოეულს ტ...ზე ეფათურებოდნენ?! მადლობა უფალს, უფაქიზესი ფორმით სხვა რამის სიმკვრივის კოეფიციენტიც არ დაუდგენიათ!.. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ესეც დააზუსტეს და ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ!..

ერთი სიტყვით, ავტორის ამგვარი აზროვნების ყაიდა მკითხველის გულში ავბედით მოლოდინს ალძრავს. როგორც მალე გაირკვევა, არცთუ უნიშანებოდ.

\* \* \*

საყოველთაოდ ცნობილია, ბალტიისპირეთის ქვეყნები ქარვის სამკაულებით არის განთქმული. ამას მ. ბექაურიც გვიდასტურებს.

„მთავარი ქუჩა, რომლითაც ზღვასთან ჩადიოდი, დახლებით იყო სავსე, სადაც უმეტესწილად ქარვის ნივთები იყიდებოდა. გადავწყვიტე, დედაჩემისთვის ქარვის ბეჭედი მეყიდა, მაგრამ...“

ერთი ჩვეულებრივი ქარვის ბეჭედი ასი ლიტი ღირებულა, საქართველოდან ჩასულ მწერალ მანდილოსანს კი სძვირებია. ამიტომ გამყიდველ ქალს ასე მიმართავს.

**„შენ გიუი ხომ არა ხარ, ქალო!“**

მეორე დღეს მასპინძლები სემინარის მონაწილეებს ახლა ქ. კლაიბედას დასათვალიერებლად წაიყვანენ.

„იქაურობაც ქარვით იყო სავსე. იქაც ასი ლიტი ღირდა პანაწკინტელა ბეჭედი და მე ნამდვილი კურიოზი შემემთხვა, როცა ერთ გამყიდველს ვუთხარი, „ამაში ასი ლიტი როგორ მოგცე, იდი ნახუი-მეთქი!“

„კუსაი ზა ხ...!“ – შეურაცხყოფილი ხშირად მაშინვე ამგვარ ხურდას უბრუნებს ხოლმე თავის უსამართლოდ შეურაცხყოფელს და ელდისგან გულგადაქანებულმა შორეული თავანისცემა გავუგზავნე წესიერად აღზრდილ იმ უცნობ კეთილშობილ ლიტველ მანდილოსანს, სტუმარს მსგავსი რომ არაფერი აკადრა და ქართული მწერლობის ამომავალი თუ უკვე ამოსული შუქურვარსკვლავი, თანაც ახალგათხოვილი ქალი, შეურაცხყოფას გადაურჩა!!!

მკითხველო, იქნებ იფიქროთ, იმ ლიტველმა მანდილოსანმა ენა არ იცოდათ. ახლა ავტორსა და მის ქმარს მოუსმინეთ.

**„ჰოდა, ქალმა გაოცებულმა შემომხედვა და დათომ მითხრა: სულელო, „იდი ნახუი“ რუსულია და ესმითო. შემრცხვა.“**

ერთი შეხედვით აქ პიროვნული უტიფრობისა და მხატვრული უტაქტიბით წარმოშობილი აკუსტიკა იმდენად დამარტინებელია, რომ ტლანქი ჭუკის პატრონი შეიძლება უცებან საერთოდაც ვერაფერს მიხვდეს და ამიტომ ყეყეჩურად იკითხოს: რას ვიზამთ, ეს „კურიოზი“ (კარგი კურიოზია, თქვენ ნუ მომიკვდებით!!!) კი შემთხვევია, მაგრამ რაღა საჭიროა უურნალის სახელგატეხილ ბარიკადაზე ეჟენ დელაკრუას (1798-1863) გმირი ქალივით აჭრილი ავტორი ამ „კურიოზს“ პარიზის კომუნის (1871) დროშასავით გახარებული რომ გვიფრიალებს ანდა თვით რედაქცია ამას როგორ უბეჭდაგსო?!

როგორც ჩანს, ავტორისა და რედაქციის აზრით, ამის შარაზე გამოტანა აუცილებელი იყო: სხვა მანდილოსნებმა რომ

გაითვალისწინონ და მსგავსი „კურიოზი“ მათაც არ შეემთხვათ!!!

მართლაც: სხვები ან იგივე მწერალი ქალები, ვინ იცის, ახლა იქნებ ნობელის პრემიების გადასაცემად დაიბარონ და ენის უცოდინარობით თავისდა უნებურად ვინმე კიდევ რომ არ შერცხვეს, რომელიმე გამომცემლობას ან თუგინდ იგივე „კვირის პალიტრას“ – სახელგანთქმულ მხატვართა ფერად-ფერადი ალბომების დასტამბვით ხელი რომ გაიწაფა! – ამგვარი „კურიოზებისადმი“ მიდრეკილი ქალბატონებისთვის იქნებ კოპნია, ხელჩანთით სატარებელი და უხვად ილუსტრირებული ფერადი ცნობარიც დაესტამბა, რომელშიც მსოფლოს ყველა ენასა და დიალექტზე სინონიმურად იქნებოდა მითითებული რა ჰქვია ფალოსს, პენისს ანუ მის უდიდებულესობა ყ-ს.

## ოთარაშვილის რომანისტი

### შეხმატვილებული უვიცობა

2006 წლის თებერვალში დაარსებული საქართველოს მწერალთა კავშირის უურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ (პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი), რომელმაც 2012 წლის აპრილში არსებობა შეწყვიტა, ერთ-ერთი ასეთი აღმატებულ-დასაგმობი ზადითაც გამოირჩეოდა: მკითხველი საზოგადოებისთვის სრულებით უცნობ მანდილოსანს, აქამდე ციდიანი ეტიუდი თუ მინიატურაც რომ არსად გამოიქვეყნებინა და საერთოდ, არ ძალუძღვა თავისი თუნდაც საყველპურო აზრების უმარტივესი წინადადებებით გადმოცემა, უურნალის ერთპიროვნული თავკაცი, ვაჟა ოთარაშვილი ცამონენდილზე რომანისტ ქალბატონად წარმოგვიდგენდა ხოლმე!

ზოგჯერ საქმე თავის მომჭრელ კურიოზიამდე მიდიოდა: ლიტერატურული მორგისთვის განკუთვნილი მკვდრადშობილი რომანის ენას, ფაქტურასა და მხატვრულ ღირსებას ვიღა დაეძებდა – თვით ამ „რომანის“ ორად ორსიტყვიანი (!!!) სათაურის სწორედ დაწერაც კი არ შეეძლოთ!

2010 წლის პირველ სამ ნომერში დაიბეჭდა თინათინ ბიგანიშვილის ე. წ. რომანი აი, ამგვარი სათაურით: „უკან ითაკაში!“.

რა აზრი დევს, მკითხველმა როგორ გაიგოს ეს ახალწამოსუჟული სველი ალიზივით სათაური: „უკან ითაკაში?“ რა – „უკან ითაკაში?“ როგორ თუ – „უკან ითაკაში?“

ვინც ყრუ არ არის მშობლიური ენის ფაქიზი სუნთქვისადმი, ცხადია, ის უმაღლ მიხვდება, რომ აქ საჭიროა სასვერნი ნიშნები – მძიმე და ძახილის ნიშანი, რათა ცხადი გახდეს, „რომანისტ“ ქალბატონს რის თქმა სურს და მხედრული რიხიანობით საითკენ დაბრუნებას მოგვიწოდებს. აი, ასე!

„უკან, ითაკაში!“

კარგი, მაგრამ ავტორს თუ ინჩიბინჩი არ გაეგება აზრის ჩამოყალიბებისა და გამოკვეთის, ფრაზის „სუნთქვის“, პუნ-

ქტუაციის, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურის, უურნალის ხელმძღვანელი, ვაჟა ოთარაშვილი – ნუთუ სათაური მაინც ვერ უნდა გაესწორებინა?!

ააღლის თავიცა და კუდიც სწორედ აქ მარხია – უურნალის გოროზი გამგებელი თავის მიერ აღმოჩენილ ავტორზე უფრო უვიცია! და ეს ორი შეხმატკბილებული უმეცრობა – ავტორისა და რედაქტორის ფადიშაპისა – ხელიხელჩაკიდებულნი ყელმოლერებით მიაშლაპუნებენ ლიტერატურულ სარბიელზე!

### „უდრტვინველად მოთუხთუხე...“ უნიჭობა

თ. ბიგანიშვილის ამ ტექსტებით გაშტერებული მკითხველი მალე ასეთ წინადადებას აწყდება.

„მაგიდაზე უპატრონოდ მიტოვებული, ოხშივარაქოჩილი, უდრტვინველად მოთუხთუხე ცხელი ჩაის ჭიქა“.

აქ ჯერ ვითარების რანაირი უსუსური გადმოცემა და მხატვრული აზროვნების სიბეჭე აშკარავდება: ავტორმა რისთვის იხმარა ამ წინადადებაში სრულებით უფუნქციო სიტყვა „ცხელი?“ რაღა აზრი შეიძლება ჰქონდეს ჩაის სიცხელის ხაზგასმასაც, თუკი ის უკვე „ოხშივარაქოჩილი, უდრტვინველად მოთუხთუხე?!“ აქ ყველასათვის ისედაც ნათელია: ჭიქაში „მოთუხთუხე“ ჩაი, ცხადია, ამავე დროს, „ცხელიც“ იქნებოდა (ო, მაღალო ღმერთო, ოთარაშვილის მიზეზით რაზე გვიხდება ტვინის დაღლა და დროის კარგვა!), თორემ ჩაი ჯერ თუ არა შეთბა და მერე თანდათან არ „გაცხელდა“, თუხთუხის სტადიაში „სიცხელის“ გამოტოვებით როგორ გადავა?!

მაშ, ბიგანიშვილსა და ოთარაშვილს მკითხველები ნუთუ მართლა ისეთი ცხვრისთავიანები ჰქონიათ, რომ ჩაი ჯერ საგანგებოდ თუ არ „შეგვიცხელეს“ ისე არასდიდებით დავუჯერებთ მის თუხთუხს?!

და რაც არანაკლებ მთავარია: ქსელში ჩართულ ელექტრომადულარაზე რომ იყოს ლაპარაკი, მაშინ სრულებით ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ უკვე ჭიქაში დასხმული, მერე მაგიდაზე მიტანილი და თანაც, აგერ, როგორც თვითონ ავტო-

რი ამბობს „უპატრონოდ მიტოვებული“ (!!!), ეს „ცხელი“ ჩაი ამავე დროს თან როგორდა უნდა ყოფილიყო „მოთუხოვეც?!“

ერთი სიტყვით, აქ მართლა ჩაი კი არა, „უპატრონოდ მიტოვებული“ გრაფომანი ავტორის უნიკალური უნიჭობა და უკადრისი კარიერისტული ფანდების აღზევებული მწერალთა კავშირის დიდმოხელის ყიზილბაშური თაუნებობა თუხთუხებს!

### „უთავბოლო ტყუილი“

სტილი, სტილს არ იკითხავთ? თუმც მეც რას მივედ-მოვედები – უთავბოლო გრაფომანულ აბდაუბდას რა სტილი შეიძლება გააჩნდეს! თუმც ბევრი ვენვალე და ვარჩიე, მისთვის რა-მენაირი შეფასება მაინც მიმესადაგებინა: აბურდული სტილი, დაუხვეწავი სტილი, განუვითარებელი სტილი, კანცელარიული სტილი... მაგრამ რა მექნა, არაფერი გამომივიდა – მკითხველის სისხლის გამშრობი ამ სულებური დომხალისთვის თვით ამგვარი რომელიმე საძრახისი შეფასებაც კი არ გამემეტა და ჰა, მომკალით!

მადლიანო მკითხველო, იქნებ მე გემოვნება და სამართლიანად განსჯის უნარი მღალატობს – ამიტომ, აბა, ერთი თქვენც ჩაუკვირდით, აგრემც ღმერთი გიშველით!

ავტორი საბჭოთა რეჟიმის ზეობისას სამშობიაროებში ახალშობილების დანაშაულებრივი გაცვლა-გამოცვლის მოვლენასაც ეხება და აფასებს.

„თურმე ყოფილა შემთხვევები და არაერთგზის, როცა მშობლის მგრძნობიარე ნატურით შეშფოთებული ნათესავები თადარიგს იმთავითვე იჭერდნენ და თუკი ჩვილი მკვდრად დაიბადებოდა, დედას მის ნაცვლად სხვას (უნდა იყოს სხვისას. ჯ. მ.) მიუყვანდნენ, ნაკლებად მგრძნობიარე და ფინანსურად ნაკლებ ძლიერი დედის მუცლიდან ნაშობს, როგორც წინასწარ თადარიგ-დაჭერილი და ვერ უზრუნველყოფილი სიცოცხლის წართმეულ უფლებას და მის სანაცვლოდ შეძენილ უთავბოლო ტყუილს.“

„უთავბოლო ტყუილი!“ – მამაცური და თან ზუსტი დიაგნოზია – მთელი ეს ტექსტი ერთი „უთავბოლო ტყუილა“, მეტი

არაფერი! ოღონდ ორი მიზეზის გამო მე ავტორთან აღარაფერი მესაქმება. ჯერ ერთი, რედაქციაში მასალის მიტანას ვერავის აუკრძალავთ! მეორეც, შეიძლება ხვალ-ზეგ მე ამაზე უფრო უხეირო რამე დავწერო ანდა იქნებ დაწერილი და დაბეჭდილიც მაქს, მაგრამ თავად ვერაფერს ვხვდები, თქმით კი არავინ მეუბნება! მაგრამ რედაქციის მსაჯული? მან ასეთი მდარე და მით უმეტეს, ჩაუსწორებელი ტექსტის დაბეჭდვით ხომ არამ-არტო თავის პოეტობას და ლიტერატურულ გემოვნებას, არ-ამედ მწერალთა კავშირის ნომენკლატურული თანამშრომლის ლირსებასაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა!

### იჩქარეთ ბილეთების ალება!!!

ანბანური ჭეშმარიტებაა, ნოველისა და მოთხოვნების-აგან განსხვავებით, რომანი ანუ „დიდი ფორმის თხრობითი პროზაული ნაწარმოები ხასიათდება ფართო ასხვეთი კომ-პოზიციური თავისებურებებით: სიუჟეტის მრავალხაზიანობით, მოქმედ პირთა სიმრავლით, საზოგადოებრივი ცხოვრების გან-ვითარების ტენდენციების განსახოვნების მაქსიმალური შესა-ძლებლობებით“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, მწერლის მიერ რომანში განხილული ნებისმიერი პრობლემა – იმის მიუხედავად, იგი მთელ ხალხს, საზოგადოებას, საზოგადოების რომელიმე ფენას თუ სულაც ინდივიდ(ებ)ს ეხება – უეჭველად უნდა იყოს საჭირო პოროტო, აქტუალური, მკითხველს აღლოვებდეს.

რომანი ამგვარ მოთხოვნილებებს თუ ვერ აკმაყოფილებს, მისი ავტორი ზოგადად თხრობის ჯადოქარიც რომ იყოს, ჩა-ვარდნა გარდაუვალია!

მაინც რა იდეები აღელვებს **ოთარაშვილის** მიერ აღ-მოჩენილ „რომანისტს“ – როგორია მისი აზრებისა და იდე-ალების სიმწყობრე, თხრობის სტილი და კულტურა. წინასწარ გადაჭრით რამის თქმა ძნელია, ოღონდ ამ ვრცელი პასაუის შემდეგ მკითხველები იქნებ თავჭუდმოგლეჯით გარბოდნენ... ბილეთების ასალებად!!!

„რატომ ეგონა ამერიკა კოლუმბს ინდოეთი? ოქრო უნდოდა და სულაც არ ადარდებდა შენი „ალმოჩენა“. როგორი მატყუარა სიტყვაა ეს „ალმოჩენა“ და საერთოდ, ამ ბოლო დროს ადამიანებზე მეტად სიტყვები იტყუებიან (ესე იგი, თინიკოს აზრით, მსოფლიოს ყველა ენის თითოეული სიტყვა მატყუარა ყოფილა! რაღაც გეშველება, უბედურო კაცობრიობავ!!! ჯ. მ.) „ალმოჩენა“ კი არა, „გაცნობა“. სხვათა შორის ის ამერიკა ე. წ. ინდიელებსაც მშვენივრად ჰქონდათ ალმოჩენილი და მანამდე იქაურობა მაიას ტომებმაც კარგად გადააქოთეს (მარტო მაიას ტომებმა, ქ-ნო თინათინ? აცტეკებს, ინკებს, მიშტეკებს, საპოტეკებს, ტოლტეკებს და სხვებს ნუ დავუკარგავთ ამ „გადაქოთებისას“ გამოჩენილს დამსახურებას! ანდა, აქ რს ნიშნავს „გადაქოთება?!“ ჯ. მ.).

მერე ესენი წავიდნენ და „ამერიკა ალმოაჩინეს“. როდის ვერცევით თავის მოტყუებას, როცა სიმართლეა ზომაზე მეტად მნარე, თუ როცა სიმართლემდე მისვლა გვეზარება (ეს მძიმე ბრალდება, ალბათ, მე ვერ შემეხება – ღმერთია მოწმე, სისხლი გავიშრე ამგვარი ტექსტების კირკიტით, რათა მხატვრულ სიმართლეს როგორმე მივახლოვებოდი! ჯ. მ.).

ოდესმე კაცობრიობა ისე განვითარდება, ერთადერთ საპროტესტო აქციას ზოოპარკის ბინადრები მოაწყობენ (ეს კარგად დაიმახსოვრეთ, პოლიტპარტიათა ლიდერები და გაუთავებელი მიტინგების უსტყაბაშებო! ჯ. მ.) – ჩვენ თავისუფლება გვწყურია, გალიები თქვენთვის დაიტოვეთ, ჩვენთვის ტყეებია გაჩერილი და ტყეში განაგრძობენ თავიანთ კუთვნილ მხეცურ ცხოვრებას ველური კანონებით. მერე ჩვენც ტყეში (თუ ტყეებში? ჯ. მ.) გადავსახლდებით (ეტყობა, თინიკოს ტყისკენ უამბოდ არ მიუწევს გული! ჯ. მ.) და დემოკრატიას მხეცებისგან ვისწავლით (აპა, ხომ გითხარით!!! ჯ. მ.) გირჩევნიათ ხვალვე შეიძინოთ ზოოპარკის ბილეთები, თადარიგი წინასწარ დაიჭირეთ“.

ამ „რომანში“ წამოყენებული „გენიალური“ იდეით აღფრთვანებული რედაქციის თადარიგიანი თანამშრომლები, მისი საკონსულტაციო საბჭოს წევრები, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მთელი შემადგენლობა, ალბათ, ტექსტის გამოქვეყნებისთანავე ერთმანეთის

დასწრებით დაიტაცებდნენ ქ-ნ თინათინის მიერ შესახელებულ ზოოპარკის ბილეთებს!.. ის კი არა, იქნებ მეგობრებსა და ნათესავებსაც კი აუღეს ანდა ააღებინეს!...

აი, პატივცემულო თანამოქალაქენო, საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული უურნალის მესვეურის უვიცობის, თვითნებობა-უუმურობისა და მავანთა ჩლუნგი მხატვრული აზროვნების მეოხებით რანაირი გრაფომანული სისულელების კითხვა და დამცირება გადატანა გვიხდება!

### „ჩეჩენი ქათმის“ ტრაგედია

თინათინ ბიგანიშვილის მედგარი კალმისტარი თოვლივით უმტვერო ქალალდზე ისე მიზანმიმართულად მისრიალებს, როგორც 1939-43 წლებში მესამე რაიხის წყალქვეშა ნავის მიერ ატლანტის ოკეანეში გზაგადაჭრილი, მოკავშირეთა რომელიმე ჯავშნოსანი გემისკენ გაშვებული თვითმართვადი ტორპედო!!!

„არიული სისხლი, ცისფერი სისხლი. „იაფეტი ეძებს მამას“. ცისფერ სისხლს ეძებს ყველა იაფეტი. არჩევნებში გაიმარჯვეს 1933 წელს. აიმედებდათ ერთი სიტყვა „ვერ გაბედავს“. გაბედა (როგორც ოთარაშვილმა გაბედა ამგვარი და ამაზე უფრო პიტალო სისულელების ბეჭდვა! ჯ. მ.). ცა გაიკვამლა ადამიანის დამწვარი ქონის გამონაპოლქვით. ადამიანებს ზოოპარკის ბინადრების შეშურდათ. მხეცობა სურდათ გალიაში (ო, ღმერთო, ისევ ეს ზოოპარკები და მხეცები!.. რა დავაშავეთ ან რა გვეშველება?!.. ანდა, ეს მხეცობა რაღა მაინცდამაინც მარტო გალიაში სურდათ?!.. ჯ. მ.). მთავრობამ, ეკლესიის დამანგრეველმა, გახსნა ყველა ტაძრის კარები და ქალაქს შემოავლეს დიდი ლიტანია (გაუგებარია, ეკლესიის დამანგრეველ მთავრობას რაღაში სჭირდებოდა რომელიღაც ქალაქისთვის ლიტანიის „შემოვლება?“ ეგეც არ იყოს, ქალაქს თუ ეკლესიას ლიტანია როგორ უნდა „შემოავლონ“ – ტყრუშული ღობეა თუ გალავანი?! ლიტანიას<sup>9</sup> შემოუვლიან ხოლმე და არა შემოავლებენ!

<sup>9</sup> ლიტანია (ეკლ) – საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან; იმართება დიდი დღესასწაულის (ან საერთო განსაცდელის) დროს.

ნეტავი ბიგანიშვილმა ან ოთარაშვილმა დაახლოებით მაინც იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა, ანდა, საერთოდ, აქ რისი თქმა სურთ?! ჯ. მ.). ურჩხულს ნუ მოკლავ, ურჩხული დათოგუნე, თო-რემ ურჩხულად თავად იქცევი. ჩეჩინეთის საქათმიდან ერთ ლამეს ძილში ჩამესმა ქათმის ქვითინი.

კავკასია ალარ ნატრობდა გროზნოს საქათმის ბინადარი ქათმების ბედს (ნუთუ კავკასია როდესმე ნატრობდა ქათმების ბედს ან რისთვის უნდა ენატრა?!). ანდა, რანაირად შეიძლება თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვით მებრძოლი, ერთი მუჭა მამაკი ხალხით დასახლებული, არნივების საბუდარს დამსგავსებული პატარა ქალაქი ასე დამამცირებლად საქათმეს შეუდარო?! ჯ. მ.). ნინილები დარჩათ გამოსაჩეკი და იმიტომ. რა ბეღლინერებაა ჩეჩენ ქათმად (რას ჰქვია ჩეჩენი ქათამი?! ბიგანიშვილი-ოთარაშვილის „რეფორმის“ მიხედვით, გამოდის, რომ ამიერიდან უნდა ვიხმაროთ არა ჩეჩინური ქათამი, რუსული ლორი, ინგლისური ცხენი, ინდური სპილო, ესპანური ვირი და ა.შ., არამედ ჩეჩენი ქათამი, რუსი ლორი, ინგლისელი ცხენი, ინდოელი სპილო, ესპანელი ვირი და ა.შ ?! ჯ.მ.). რომ არ დავიბადე (არც მე ვარ დაბადებული „ჩეჩენ ქათმად“, მაგრამ რა ბედენაა – მაინც არ ამცდა ამგვარ გრაფომანულ წუმბეში ფართხალი! ჯ. მ.) მაშინ ჩემი ქათმური ქვითინი ძილში სხვას ჩაესმებოდა.

მასესხეთ თქვენი კათარზისი (უნდა იყოს კათარსის ჯ. მ.). და ორ კვირაში დაგიბრუნებთ. ტკივილს ლაოკონონს დავესესხები და მერე იმასაც გავისტუმრებ. არ ვიცი, ბანკებში გახსნეს მგონი ტკივილის ანგარიში და შემიძლია გადარიცხვაც გავაკეთო (რაღა „გააკეთოთ“, ქ-ნო თინათინ – პირდაპირ გადარიცხეთ და „გაკეთება“ არ იქნება?! ჯ. მ.). თქვენ გაქვთ ორენვებარათი? გირჩევთ შეიძინოთ. ყოველთვიურად ტკივილს დაამატებთ მცირე პროცენტებით და ალარ მოგიწევთ ლაოკონის შეწუხება ტკივილის სასესხებლად. „მწყურის“ – „ალსრულდა“.

გამოიძინეთ, გამოიძინეთ. თქვენამდე მაინც გამოძინებულია. ისნავლეთ, თქვენამდე მაინც ნასნავლია. იცოცხლეთ, თქვენამდე მაინც ნაცოცხლია. გარდაიცვალეთ, თქვენამდე მაინც გარდანაცვალია.“

მაშ, რა ვქნათ როგორ მოვიქცეთ, რას გვავალდებულებს ავტორი?! ანდა...

თუმც კმარა! ბოლოს და ბოლოს ლიტერატურულ კრიტიკასაც თავისი საზღვრები აქვს და არაეთიკური გამოვა, „უდანაშაულო“ გრაფომანი ავტორი ჩიხში მიმწყვდიოდ და სისხლი გაუშრო – ეს რა სისულელები დაგიჯდაპნიაო!

აქ გასაკვირი და მოსაკითხი სულ სხვა რამეა!

გაუბედურებულ სამშობლოზე ფიქრით ძილგამკრთალი ქართველი მწერლები, დევნა-შევიწროებასა და თვით სიკვდილსაც რომ აღარ ეპულებოდნენ და პოლიტიკურ მიტინგებზე ერთსულოვნად დარაზმულები პრინციპულად გამოდიოდნენ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის თუ რომელიმე ულირსი სახელმწიფო დიდმოხელის გადადგომის კატეგორიული მოთხოვნით, მაშ, მწერლობაშიც რატომ ვერ დავრაზმულვართ, რათა დაკავებულ პოსტებს უპირობოდ მოვაშოროთ მშობლიური ლიტერატურის მაოხრებელი ეს ამოდენა უმეცარი არაპროფესიონალი, შეურიანი და კარიერისტი მედროვე დიდმოხელეები?!

ქართული ენის სინმინდისა და ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულებისთვის ქართველ მწერალთა კორპუსს ნუთუ ა(ღა)რ შესტკივა გული?!

მაშ, რა ხდება?!

### რომელი უფრო გრძელია?

ყოვლად ჩვეულებრივი, ყველასათვის ისედაც ნათელი, უდავო ცნებები თუ განზომილებანი ავტორის დაუფიქრებელი მსჯელობისას უეცრად თავდაყირა დადგება ხოლმე და უდანაშაულო მკითხველს ამცირებს, ახეტებს... შეურაცხყოფს, აღაშფოთებს... აღიზიანებს!

თინათინ ბიგანიშვილი ერთგან აი, რას წერს.

„გზა გრძელია მერის სახლამდე, როგორც საცალფეხო ბილიკი“.

მსჯელობის თვით უმარტივეს უნარს მოკლებული ავტორი თუ ვერ გრძნობს, რა სისულელეს წერს, რეადაქციის მუ-

შაკები მაინც ხომ უნა ერკვეოდნენ, რას სთავაზობენ მკითხველებს?!

კი მაგრამ, **თ. ბიგანიშვილს** და, ცხადია, მასთან ერთად ვ. ოთარაშვილს, მერის სახლამდე არსებული გზა რატომ, რანაირად, რის საფუძველზე მიაჩნიათ ისეთივე გრძელი, „**როგორც საცალფეხო ბილიკი**“ – ვინ თქვა, სად ნახულა ან აქამდე ვის გაეგონა, რომ საცალფეხო ბილიკ(ებ)იც გზებივით გრძელია?!

არადა, პირიქით კი არის: ვენახის ყალთაღში, ბალჩა-ბალებში, ტყის პირას, სათიბ-საძოვარზე, ბოსტნების თავში, წარაფებს შორის, სახნავ-სამკალის საქცევთან, მდელოებზე, კორდსა თუ ფერდობიდან ფერდობზე გადამავალ-გადმომავალი „**საცხალფეხო ბილიკი**“ ზოგჯერ ისეთი მოკლეა, რომ ოლიმპიელი სამხტომელიც კი ერთი გამოქანებით დაფარავს!!!

„**საცალფეხო ბილიკისგან**“ განსხვავებით, ცხადია, გზები გრძელზე უგრძესია, ვინაიდან ისინი ერთმანეთს აკავშირებს სოფლებს, მინდვრებს, ფერმებს, მთა-ბარს, წიაღისეულ საბადოებს, სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებს, სამხედრო პოლიგონებს, კოსმოდრომებს... ადმინისტრაციულ ერთეულებს... რესპუბლიკებს... სახელმწიფოებს... კონტინენტებს!...

**ბიგანიშვილი** და **ოთარაშვილი** ნეტავი ახლა მაინც თუ მიხვდებიან, რომელი უფრო გრძელია – **გზა** თუ „**საცალფეხო ბილიკი**?!”

P.S. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან დროდადრო შემასფოთებელი ცნობები გაისმის: **ვ. ოთარაშვილი** მისთვის დამახასიათებელი ჯაყოსებური შეუსმენლობით, იდაყვების მიქნევ-მოქნევითა და მისგან უსაფუძლოდ ათვალწუნებული ზოგიერთი სახელმწიფო ჩინოვნიკის დაუმსახურებელ-წინდაუხედავი შეურაცხყოფით როგორ ცდილობს „თავისი“ უურნალის „**ლიტერატურა და ხელოვნება**“ ხელახლა ასაღორძინებელი გრანტების მოპოვებას.

ლიტერატურული უურნალის აღდგენა დიახაც რომ კეთილშობილური სურვილია, მაგრამ საამისო გრანტების შმაგი მაძიებელი უმთავრესს აღარ უფიქრდება: გააჩნია კი საიმისო

მხატვრული გემოვნება და პრინციპულობა, უურნალი ერისა და კერძოდ, ქართული მწერლობის უანგარო სამსახურში ჩააყენოს თუ აი, ამგვარი გრაფომანული აბდაუბდის ხელახალი ბეჭდვით მკითხველ საზოგადოებას ისევ თავისებურად სისხლი უნდა გაუშროს?!

ამ საგნისთვის იქნებ თვალი გაესწორებინა როგორ თვით ოთარაშვილს, ისე გრანტების ნებისმიერ განმკარგავს!

# გრაფოგანული ცეცხლთაყვანისმცემლობა

## უაზრო „იყო“ და „მოჩანდა“

უურნალში „ლიტერატურა და ხელოვნება“ დაბეჭდილი ნანა წითელაშვილის ოთხგვერდიანი ტექსტიც „თეთრი ეკლესია გზაზე“ გრაფომანული ძალადობის დასრულებულ ნიმუშს წარმოადგენს.

ავტორმა ხეირიანად არ იცის მშობლიური ენა, გრამატიკა, წერის ელემენტარული ანაბანა, არ შეუძლია თემის პროფესიონალური მიგნება და მერე მისი მხატვრულად გამოკვეთა, მხატვრული სახეებით აზროვნება და ამ ნააზრევის მისაღებ ან თუგინდ მოსათმენ ფორმაში ჩამოყალიბება.

თუმც ამგვარ „ფუფუნებას“ ვიღა დაეძებს, როცა ყოფითი წვრილმანების რაობასა და მათ ურთიერთმიმართებაში ვერ ერკვევა... გამართული წინადადება-სანთელიც კი ვერ ჩამოუქნია. ღრმად ჩაისუნთქეთ და მოუსმინეთ!

„გუშინ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), როცა პაპა ბებიას (უნდა იყოს ბებიის. ჯ. მ.) ცხედარს უკანასკნელად დაემხო, ამირანს ხელები ჩაევლო პაპის მხრებს“.

აბა, ამგვარი წინადადებებით – თუკი შეიძლება ამას საერთოდ, წინადადება ეწოდოს! – როგორ შეიქმნება მხატვრული ნაწარმოები?!

ასეთი „მხატვრულობა“ მხოლოდ მკითხველის აღშფოთება-გაღიზიანებას იწვევს!

ნ. წითელაშვილს რაკი სადღაც ამოუკითხავს და კარგად დამახსოვრებია, დიდი მწერლების ნაწარმოებებშიც საიდანლაც რაღაცეები და ვიღაცეები მოჩანან ხოლმეო, ამდგარა და თავადაც სასაცილო წაბაძულება გამოუჩენია!

„მატარებლის საფეხურზე“ (უნდა იყოს „ვაგონის კიბის საფეხურზე“. ჯ. მ.) შემდგარმა უკან გამოხედა სივრცეს (მატარებლის მგზავრმა თუ წებისმირმა ადამიანმა შეიძლება მართლაც უკან მიიხედოს, უკან გამოიხედოს, მაგრამ თვითონ სივრცის უკან როგორ უნდა გამოვიხედოთ?! ჯ. მ.).

გაღმა გაშლილი ველი (თუკი ველი იყო, ცხადია, გაშლილი

იქნებოდა! ჯ. მ.) ჩანდა უსასრულო.

გამოლმა აგურის ქარხანა ბოლავდა. გზაზე დაგვიანებული მგზავრები მორბოდნენ. შორს (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), მტკვარზე გადებული ხიდი მოჩანდა თეთრად (აქ რაღად უნდოდა ეს ზედმეტი „გადებული“ – ჩვენს თვალმახვილ ავტორს რაკი მტკვარზე თეთრი ხიდიც შეუნიშნავს, ცხადია, „გადებულიც“ იქნებოდა, თორემ ვინმეს მდინარეზე გადებული „გაუდებელი“ ხიდი უნახავს?! ჯ. მ.).

უფრო შორს, სოფლისკენ მიმავალი შარა და იმ შარაგზაზე რაღაც გაურკვეველი მოძრავი წერტილები (ო, რა გენიალურად დაგვაინტერესა – ნეტავი რა ან ვინ უნდა ყოფილიყო ის „მოძრავი წერტილები?“! ჯ. მ.) მოჩანდა.

კიდევ უფრო შორს სოფელი იყო (რაღა საჭირო იყო ამის ხელახლა გადამღერება – წელან ხომ მიგვითითა „სოფლისაკენ მიმავალი შარა“-ო. ჯ. მ.)?“

მეტი არაფერი „მოჩანდა“ იმ „სივრცეში?“ მეტი არაფერი „იყო?“ სულ ეგ იყო?! ჰმ! უბედურ მკითხველს კი ეგონა, ალარ დასრულდებოდა ეს სქემატურ-უმიზნო „იყო“ და „მოჩანდა!“

ავტორს არ ესმის, რომ ნანარმოებში ამგვარ ჩამოთვლას პირველ რიგში აუცილებლად უნდა ჰქონდეს მხატვრული მიზანი, მერე ჭეშმარიტი მწერლის ნიჭის წყალობით მიღწეული მხატვრული ეფექტი, დასასრულ, მხატვრული შედეგ!!! თორემ ასე, უმიზნო, ბეცური ეპიგონურობით რომ მივაყოლოთ, „მატარებლის საფეხურიდან“, სასტუმროს ბოლო სართულის სარკმელ-ავნიდან, მწვერვალის თხემიდან თუ შვეულმფრენის ილუმინატორიდან რას არ დაინახვას კაცი და მით უმეტეს, მწერლის თვალი!!!

ჩვენი ავტორის ამგვარი ალალბედურ-უსაგნო ჩამოთვლა ვერაფერს მატებს ტექსტის მხატვრულობას. პირიქით, დასაწყისშივე მკითხველს თვალს უხელს – საქმე აქვს უფერულ გრაფომანთან, რომელიც მხატვრული ნანარმოების ოსტატურად „ქსოვის“ კი არა, ხელგაჩვეული „ბლანდვის“ ხელოვნებასაც კი ვერ არის დაუფლებული და ამიტომ გარკვეული რაოდენობის ფურცლების შესავსებად გზადაგზა ღობე-ყორეს ედება!

ავტორი თავდაჯერებით რომ გაიძახის: „გალმა გაშლილი ველი მოჩანდა უსასრულო“-ო, ნეტავი სად „გალმა?“ თავი ცენტრალური რუსეთის ტრამალებსა თუ ტეხასის პრერიებში ჰქონია?! მისი მოძველებული მატარებელი ხომ მცხეთასა და მეტებს შორის მიჯაყჯაყებს! ამ მონაკვეთში კი მთა-გორებით გარშემორტყმული ისეთი პატარ-პატარა ველებია, გამართულად თანამედროვე აეროპორტი ან ფეხბურთის სტადიონი ძლივს ჩათავსდება! ავტორს კი რატომღაც სურს, აյ „უსასრულო“ ველები მოგვალანდოს!

### უცვეთელი ბორბლების გამომგონებელი

ნ. წითელაშვილის ამ ტექსტმა იმედგაცრუებულ მკითხველებს შეიძლება ასეთი რამეც კი ავარაუდებინოს. თითქოს ავტორმა ყველაზე უკეთ იცის თავისი მწერლური თავბედისა: საწერ მაგიდას თვეობითაც რომ ჯიუტად უჯდეს და სიცოცხლე გაიმწაროს, ღირებულს მაინც ვერაფერს შექმნის! ვერა და, მაშინ წერას ჩამოეთხოვოს და ეგ იქნება!

ჰო, მაგრამ თან მწერლის სახელის შოგნაც რომ სწყურია! ააა!.. აბა?! ამიტომ რაღა საჭიროა ტვინის უშედეგოდ ჭყლეტა და დროის უქმად კარგვა: დაუდეგარი კალმისტარი თავგამტაც აჯილლასავით თავის ნებაზე მიუმვი და რაც გონებაში ალალბედად წამოგიტივტივდება, ქალალდზე გადაიტანე!

ჰოდა, მხატვრული ნაწარმოებიც ის იქნება!!!

არა გჯერათ?! აპა, თავად დარწმუნდით!

„**მატარებელი მიპეროდა** (უნდა იყოს მიქროდა. ჯ. მ.). **უცვეთელი რკინის ბორბლები ითვლიდნენ** (უნდა იყოს ითვლიდა.. სინტაქსისთვის დრო აღარ რჩება – ხომ ხედავთ, მატარებლით „მივპერივართ!“ ჯ. მ.) **ცხოვრებას. წარსულს ბარდებოდა ყველაფერი, რაც ასე ძვირფასი ყოფილა,** (რად უნდოდა აյ ეს მძიმე? ჯ. მ.) **თურმე.**“

ამგვარი უაზრო პასაუებით გამორეტიანებულ მკითხველს უცებ ველარც კი გადაუწყვეტია, საიდან, რითა და როგორ დაიწყოს. ჯერ ერთი, რა საჭირო იყო ამის ბალდურ-გრაფომანული

გახაზვა, რომ მატარებლის ბორბლები რკინისაა?! ეს ყველამ ისედაც იცის!!! აბა, ვინმეს უნახავს ანდა სმენია, მატარებელს, მაგალითად, ფიცრის, კაუჩუკის, აზბესტის, კერამიკის, ბეტონის, მინის, პლასტმასის, ფაიფურის, თიხის, ტყავის, ქეჩის ან საზამთროს ქერქის ბორბლები ჰქონოდეს?! წელან რომ ვთქვი, ღობე-ყორეს ედება-მეთქი, ეს მანდილოსანი ავტორის დასამცირებლად ანდა პოლემიკის იაფასიან სამკაულად კი არ ვიხმარე – მთელი ეს უთავბოლო ტექსტიც სულ ამგვარი „მხატვრული მიგნებებით“ კონინდება!.. ან ტინგიცის მეტი ვინ წამოისვრის, ხოლო იდიოტის მეტი ვინ დაიჯერებს მატარებლის „რკინის“ ბორბლების უცვეთელობას!

პირიქით, კოლოსალური ტვირთის, გადახურებისა და ხახუნის მაღალი კოეფიციენტისგან მატარებლის როგორც ყველა ნაწილი, განსაკუთრებით კი ბორბლებიცა და რელსებიც ცვდება და თავის დროზე თუ არ გამოცვალეს, კატასტროფა გარდაუვალი ხდება ხოლმე!

ოპონენტებს საშუალო სკოლის ფიზიკიდან წუთუ ალარ ახსოვთ გარეგანი ხახუნის ორი სახეობის – **სრიალისა და გორგის ხახუნის** არსებობა და რაობა?! ან ის მაინც არ იციან, რისთვისაა ვაგონსარემონტო ქარხნები და დეპოები?! ვაგზალზე მოხვედრისას ან მატარებლით მგზავრობისას შემთხვევით ერთხელ თვალი მაინც არ მოუკრავთ დამხმარე ხაზებზე ჩამწკრივებული ახალთახალი ბორბლებისთვის... უკვე გამოცვლილი და ჯართში ჩასაბარებლად დაწყობილი გაცვეთილი რელსების შტაბელებისთვის?! არ ვიცი, არ ვიცი!.. რანაირად შეიძლება ყოვლად უმარტივეს და ყველასათვის ნათელ ჭეშმარიტებაზე ასე აზრჩაუტანებლად წერა და მით უმეტეს, მისი ლიტერატურულ ორგანოში ბეცური ბეჭდვა?!

ავტორი დაუფიქრებლად რომ გვაუწყებს, „**ბორბლები ითვლიდნენ ცხოვრებას**“-ო, ცხოვრება გოჭებია, მარგილები, თეფშები, მძივები, აბები, წინილები თუ სტიქიური უბედურების ზონაში გასაგზავნი ბურდულის ტომრები, ვინმემ რომ დაითვალოს?! ან ეს მართლა შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, მატარებლის „რკინის“ ბორბლებმა ეს რანაირად უნდა განახ-

ორციელოს?! მატარებლის ბორბალმა დიდი-დიდი რელსები ან შპალები „დაითვალოს!..“

ავტორი თავდაჯერებით ფილოსოფიის „ნარსულს ბარდებოდა ყველაფერი, რაც ძვირფასი ყოფილა“: „ნარსულს ბარდებოდა ყველაფერი, რაც ძვირფასი ყოფილა“. ნუთუ იგი ანგარიშს აღარ უწევს, რომ ამ „ყველაფერში“ შედის ჩვენი მოქალაქის მიმართ ტოტალიტარული რეჟიმისა თუ მოძალადე მეორე პირის მიერ მიყენებული უსამართლობა, ტანჯვა-წამება, შევიწროება, დამცირება, შეურაცხყოფა და სხვა ათასგვარი უბედურება! მაშ, რანაირად შეიძლება ესეც „ძვირფასი“ ყოფილიყო?!

ერთი სიტყვით, ზოგადი, ზერელე, უმისამართო, ბუნდოვანი, არაფრიდან გამომდინარე და არაფერთან დაკავშირებული დაუფარავი წყლის ნაყვა!

„გული უხმობდა ადამიანებს... ისინი მოდიოდნენ თავისი ცხოვრებით, უტოვებდნენ თავისას, მიჰქონდათ კიდეც სანაცვლოდ. ასე დაუსრულებლად ავსებდნენ ერთმანეთს“.

ნადით ახლა და იქცლიტეთ ტვინი: გული ვის და სად, რომელ „ადამიანებს“ უხმობდა... ვინ „ისინი?“... ვის უტოვებდნენ „თავისას“ ან რას უტოვებდნენ... ანდა თან რა „მიჰქონდათ კიდეც?“ „ასე დაუსრულებლივ“ ვინ ავსებდნენ ერთმანეთს ან რით ავსებდნენ?! ოოო!..

მოკლედ, თავ-ბოლოს ვერაფერს გაუგებთ, წამლადაც კი ვერსად გადააწყდებით მოსათმენი მხატვრულობის თუგინდ მოჩვენებით გაელვებას – სულ უპასუხისმგებლო გრაფომანული ნისლი და ბურუსი!

### სიყრუის ეპიდემია

ყველა ყრუი.  
ილია

როგორც სმენამახვილი დედა თავისი ჩვილის შენელებული, აჩქარებული თუ საბედისწეროდ არეული სუნთქვის მიხედვით უშეცდომოდ გრძნობს ხოლმე, რა სჭირს მის საყვარელ პა-

წიას და სასწრაფო ღონისძიებასაც ამის მიხედვით ღებულობს, ისე რამედ ღირებულ მწერალსაც უნდა გააჩნდეს მშობლიური ენის სმენადობა, რათა სწორუტყუვრად გრძნობდეს თავისი ღვიძლი წინადადებებისა და მათში შემავალი თითოეული სიტყვის „სუნთქვას“, რათა პუნქტუაციის სწორი ხმარებით უნაკლოდ ანესრიგებდეს! წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორის მიერ ნაგულისხმევი აზრი მახინჯდება, ანდა, საერთოდ, ქრება!

ეს კი წანარმოების მხატვრულობას ისე ანადგურებს, როგორც ცხვრის ინფექციური სენი – მკრეჭავი მუნი მატყლს, მკითხველს კი ტანჯავს, აღიზიანებს და თუგინდ სრულებით უცნობი და „უდანაშაულო“ ავტორისადმი მტრულადაც კი განაწყობს!

საერთოდ, არამარტო ხეირიანი მწერალი ან მწერლობის პრეტენზიის მქონე, არამედ ნებისმიერი რიგითი ქართველიც, ქართველი დედის მადლიან კალთაში გამოზრდილი პიროვნებაც ჭკვაგარკვევით რატომ ვერ უნდა გრძნობდეს მშობლიური ენის ბუნებრივ „სუნთქვას“, მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს?

სამწუხაროდ, ნ. წითელაშვილს არ გააჩნია ენის სმენადობა, რაც თავის მხრივ ტრადიციულ უბედურებას წარმოშობს: ავტორი მისდევს და – ოლონდ ძნელია გავარკვიოთ, აღმაშფოთებელი თავდაჯერებით თუ ეჭვიანი გულის კანკალით! – წინადადებებში სასვენ ნიშნებს განუჭვრეტელ-გამაშეშებელი ვარაუდით ხმარობს, რასაც სავალალო შედეგი მოსდევს!!!

ეს მთელ ტექსტს ეტყობა. აი, ამის ერთი განსაცვიფრებელი ნიმუში.

„ამ ხელებმა, გუშინ, ბებიას (უნდა იყოს ბებიის. ჯ. მ.) საფლავს, ერთი მუჭა თბილი, ნოტიო მიწა მიაყარეს (უნდა იყოს მიაყარა. ჯ. მ.)“.

ვის შეუძლია, მკითხველებს განუმარტოს – რა საჭირო იყო აქ ეს პირველი სამი (!) მძიმე?

ეს წინადადება ასე უნდა აგებულიყო.

„ამ ხელებმა გუშინ ბებიის საფლავს ერთი მუჭა თბილი, ნოტიო მიწა მიაყარა“.

კარგი, ავტორი თავისი ტექსტისადმი „ყრუი“ აღმოჩნდა, რედაქცია?! ნუთუ ერთ თანამშრომელს მაინც არ უნდა ჰქონდეს ფრაზის „ვოკალურობის“ შესაფასებელი საჭირო და აუცილებელი სმენადობა?!

## გრაფომანული ცეცხლთაყვანისმცემლობა

ავტორს ვერ მიუგვნია თხრობის დამაჯერებელი სტილისთვის და ამიტომ იძულებული გამხდარა... თუმცა რატომ იძულებული? ვინ იცის, ეს თავისი ზერელე, იაფთასიან ეროვნულ-პატრიოტულ, ისტორიულ და რაღაც ეთნოგრაფიულ კაუჭებზე პრიმიტიულად ნაბლანდი უსუსური დებულებები იქნებ მართლა ჭეშმარიტი მხატვრული ლიტერატურა ჰქონია და ყელსაც კი იღერებს!

6. წითელაშვილს ცეცხლთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონია.

„ლადარში ინახავდა ცეცხლს ქართველი კაცი ყოველ საღამოს“.

პატივცემულო მეოთხველებო, აქ რომელიდაც მიყრუებული სოფლის რომელიმე ოჯახის ერთი-ორი საღამო არ გეგონით – ქ-ნი ნანა ქართველი კაცის ცეცხლთან დამოკიდებულების მრავალსაუკუნოვან ისტორიას „მხატვრულად“ გვიშუქებს! ოღონდ იმას კი აღარ უკვირდება, ღადარში (!) ცეცხლი (!) როგორ უნდა შევინახოთ, მაგრამ ამგვარი „წვრილმანებისთვის“ სადა სცხელა – წინ ურთულესი საკაცობრიო პრობლემებია ნათელმოსაფენი!

მართლაც! რედაქციის შეგულიანებული ავტორი უფრო მეტი თავდაჯერებით განაგრძობს ცეცხლის გრაფომანულ ჩუჩქერს.

„გიზგიზებს ბუხარში ცეცხლი და, უფრთხილდება ადამიანი ცეცხლს. ინახავს, ახვევს სათუთად, ანთია და ანთია ის ცეცხლი ჩაუქრობლად“.

წარმოგიდგენიათ?!

ცხადია, მიხვდებოდით: ავტორმა წელან თუ მხოლოდ

ქართველი კაცის მრავალსაუკუნოვანი გათბობის საკითხი „გაამხატვრულა“, ახლა კიდევ კანტისებური სილრმითა და ლა-კონურობით ცეცხლის შეხვევა-შენახვისა და მისი „ჩაუქრობლად“ გიზგიზ-ტკრციალის მსოფლიო პრინციპი და მოდელი დაგვისურათა!

ამგვარი სისულეებით გულშეწუხებულ მკითხველებს შეიძლება ესეც მოეთმინათ, ჩვენი ცეცხლთაყვანისმცემელი ავტორი აქ მაინც რომ შეჩერებულიყო! მაგრამ გაგიგონიათ?! აღვირანვეტილმა, თანაც ნაურვალმა გრაფომანულმა აჯილ-ლამ გამოუცდელ ავტორს თუ ერთი წართვა თავი, მერე იმას რაღა შეაჩერებს?!

ბედნიერო მკითხველებო, თქვენ ახლა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიასა და კაცობრიობის ცხოვრებაში ჯერ არსმენილი, კაცის გონებისთვის წარმოუდგენელი შედარების მონმე გახდებით!

„პაპა ახლა ნალვერდალს ჰგავდა, მაკა – ნალვერდალში შეხვეულ ნაკვერჩხალს“.

არადა, რა არის ნალვერდალი? იგივე ნაკვერჩხალი!

აბა, რაღა ნაკვერჩხალი? მწვარი შეშის გავარვარებული ნაწილი, – ნალვერდალი.

მაშასადამე, რა გამოდის? ნალვერდალში შეხვეული... ნალვერდალი!!!

უმეცარ ავტორს თუ არ ესმის, რას გაიძახის, ის პაპა ოთარაშვილს მაინც ექცია ნაცრად, შედარება დამაჯერებელი რომ გამოსულიყო!

ჰოდა, უბედურებაც სწორედ ეგ არის: არავის არაფერი არ ანალვებს, არავინ არაფერს არ უკვირდება – მთავარია, თავიანთი სასურველი აგტორებით დაკომპლექტებული ლიტერატურული ეშელონი თავისი „უცვეთელი რკინის ბორბლებით“ შეუფერხებლად მირახრახებდეს!

## ამბავი რძისგან შეშინებულისა

ნანა წითელაშვილის ეს მოთხოვობა „თეთრი ეკლესია გზაზე“ უურნალმა 2008 წლის აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა. გამოხდა ორიოდე თვე და პირადად ჩემთვის გამაოგნებელი და დაუჯერებელი რამ მოხდა – „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ ნოემბრიდან ამავე ავტორის ახლა რომანის, „ცრემლები კიპაროსზე“ ბეჭდვა დაიწყო და ზედმიყოლებით შვიდ ნომერში გაგრძელდა!!!

ნათვამია, ცხელი რძით შეშინებული დოსაც უბერავდაო! მეც სწორედ ასე დამემართა. მიუხედავად იმისა, პროფესიული ინტერესი მკლავდა: მოთხოვობა რომ ასეთი იყო, ნეტავი რომანი (გესმით, რო-მა-ნი!!!) როგორიღა იქნება – შეიძლება ავტორმა სასწაული მოახდინა და მართლა ღირებული რამ შექმნა-მეთქი, ამ მოთხოვობისგან „ტუჩებისა“ და ტვინის დაფუფქვა ისეთი მტკიცნეული და ჭურის მასწავლებელი გამოდგა, რომ რომანს ბერვა-ბერვითაც ველარ წავეკარე!

დაე, ღმერთმაცა და ავტორმაც მაპატიოს ამგვარი ცხოველური შიში, ხოლო პირუთვნელმა მკითხველებმა – ვისაც 6. წითელაშვილის ხსენებული მოთხოვობაცა და რომანიც წაკითხული აქვს! – თავად განსაჯონ, ჩემი შიში საფუძვლიანი იყო თუ უსაფუძვლო.

## გრაფომანული აისპერგების ხაზანგი

ნიკოლოზ ლეუავას ორმოცდაექსგვერდიანი ტექსტი „პატარა ადამიანი“ უურნალის „ლიტერატურა და ხელოვნება“ ოთხ ნომერშია (2008 წ., №6-9) განელილი. ავტორს მწერლის არაფერი სცხია, მასალას – მხატვრულობის ნატამალი.

ნ. ლეუავას თითქოს ერთადერთი საზარელი მიზანი დაუსახავს – წყლის ნაყვაში გადასული უაზრო, აბსურდული მსჯელობით ხაფანგში შეტყუებული გემოვნებიანი მკითხველი და მით უმეტეს მწერალი, იქნებ როგორმე ჭკუიდან შეშალოს ანდა გრაფომანული სადიზმით ტყინში სისხლი ჩაუქციოს!

თავგადადებულ მკითხველსაც, რაღაც მიზეზით იძულებული რომ გამხდარა, ტექსტს მთლიანად გასცნობოდა, დან-ყებისთანავე, აბზაციდან აბზაცში თვალი ურუანტელმომგვრელი ელდიანობით ეხილება – მოულოდნელად გრაფომანული იდიოტიზმის უზარმაზარ აისბერგებს შორის რომ მოემწყვდა!!! ამიტომ თავგადარჩენის ინსტინქტის ფხიზელი სირენაც ავტომატურად ირთვება და მისი პანიკური წივილი მერე ტექსტის ბოლომდე სულ ყურში უდგა: ახლა მთელი შინაგანი გამძლეობა-ამტანობის რეზისურების თავმოყრა და ამოქმედებაა საჭირო, რათა ამ სადისტურ-გრაფომანულ აისბერგებს როგორმე ისევ სრულ ჭკუაზე მყოფი გამოუძრეს!!!

ამ ტექსტის ერთადერთი „ლირსება“ ეს არის: ავტორის გვარ-სახელსა და ფოტოსურათს მკითხველის ცნობიერებაში პირდაპირ შეანთით ტვილურავს და მტკიცნეულად ამახსოვრებს – მის ნაწარმოებს თუ სადმე კიდევ გადააწყდა, სათოფეზეც აღარ გაეკაროს!!!

ავტორი ვითომ ე. წ. პატარა ადამიანს, თანაც ფსიქიკური ნორმებიდან გადახრილ პიროვნებას გვიხატავს და, როგორც ეტყობა, ჰერნია, რომ ეს ფონს ადვილად გაიყვანს: რაც უნდა აფიქრებინოს, აოცნებოს, ათქმევინოს და ჩაადენინოს, მისი გმირის „სიპატარავე“ და ფსიქიკადარღვეულობა ყველაფერს ბუნებრივად მიიყენებს და დამაჯერებელს გახდის! არადა, პირიქით კი არის: მხატვრულ ლიტერატურაში ამგვარი პერსო-

ნაჟის დახატვას უნიკალური მწერლური ტალანტი, ასეთი კატ-ეგორის პირვენების ფსიქიური ლაბირინთების ზედმინევნით ცოდნა და ენის ვირტუოზული ფლობა სჭირდება!

თუმც რა საჭიროა ასეთ მაღალ ღირებულებებზე მსჯელობა, როცა ავტორმა გამართულად არ იცის ენა, არ გააჩინა ნაწარმოების აგების რამედ ღირებული ტექნიკა. ამასთანავე იგი აპსოლუტურად პროფანია ნაწარმოების ასაგები საჭირო მასალის შერჩევის თვალსაზრისით ანუ ვერ ხვდება, რას უნდა ჩაეჭიდოს და რა გამოტოვოს!

ამას კი სავალალო შედეგი ახლავს: თავისი უსაგნო მსჯელობებით თავგართული ავტორი მისდევს და პროფესიური კრების მდივანივით ყველაფერი პირნმინდად ქალალდზე გადააქვს!.. ამიტომ მთლიანი ტექსტი მზის გულზე მიბმული და უყურადლებოდ მიტოვებული, შემთხვევით გამოჩენილი მაღლიანი მშველელის მომლოდინე მშიერ-მწყურვალი ბებერი ჭავივით გულსაკლავად ფრუტუნებს: თვითონ ავტორმაც არ იცის, ამა თუ იმ აბზაცში რაზე იწყებს მსჯელობას ან რისთვის აგრძელებს... თუმც როგორ არ იცის, ცხადია, „უმთავრესი“ მასაც ძალიან კარგად ეცოდინება, როგორც ეს ყველა დონისა და რანგის მწერალმაც იცის: გარკვეული რაოდენობის ფურცლები თუ არ შეავსე, აბა, ისე რას უნდა ეწოდოს ჩანახატი, ეტიუდი, მინიატურა, მოთხრობა, ნოველა, რომანი!.. რა უნდა მიიტანო რედაქციაში?!

„ხელის სწრაფი მოძრაობით ფარდები გადასწია, ლამის ჩამოგლიჯა – ჰეროს, უფრო მეტად კი სინათლის ხარპად ჩასუნთქვა სურდა (დიდებულია! მწერალთა კავშირის უურნალმა მხატვრულ ლიტერატურაში სინათლით მსუნთქავი პერსონაჟებიც შემოიყვანა! ჯ. მ.).

ქვეცნობიერად ახლა იმედი გარე სამყაროსთან პირველ შეხვედრაზე ჰქონდა დამყარებული – როგორ დახვდებოდა იქაურობა, როგორ მიიღებდა სამყარო თავის ერთ-ერთ შვილს. სხვა თუ არაფერი, არაფრისგან იშვა მისი ბედნიერება და ახლა ისევ არაფერი ემუქრებოდა მის ბედნიერებას. ვერ კიდევ ცოტა ხნის წინ და უფრო ადრეც, ოთახში გამოკეტილს ამინდის ჭირვეულო-

ბისათვის კი არა, შეიძლება არც წარღვნისთვის მიექცია ყურ-ადლება, მაგრამ ახლა თავზარდაცემული იდგა, აზრის მოკრება უჭირდა. მხოლოდ უმწეობას, საკუთარ არარაობას გრძნობდა და ესე იგი, ბედნიერების კოშკების დამსხვრევას!

ცახცახმა აიტანა. ძალა თანდათან ეცლებოდა, მაგრამ უე-ცრად, (რა საჭირო იყო აյ მძიმე? ჯ. მ.) საოცრება მოხდა – შვე-ბად მოევლინა ამომავალი მზის სხივი, რომელიც ეზოს იმ კუთხეს მოეფინა, ბავშვებს რომ ჰქონდათ სათამაშო ადგილად არჩეული. მაშ, არ დაკარგულა მზე (კიდევ კარგი! ჯ. მ.), ცა და სულ მალე, ალბათ, ბავშვების ურიამულიც გამოაცოცხლებდა ქვეყნიერებას (უჰ, ურიამულიც ესა ყოფილა! ჯ. მ.)! შეამჩნია, როგორ იწყო წუმპემ შრობა (თვალმახვილობაც ამას ჰქვია! ჯ. მ.). შეიძლება მოეჩვენა კიდეც (როგორც ვაჟა ოთარაშვილს მოსჩვენებია, რომ ეს უსაგნო ბოდიალი ნამდვილი მოთხრობა იყო! ჯ. მ.), მაგრამ აქ მთავარი სულ სხვა რამ იყო – ის, რაც ყველასათვის არაფერია – არაფერი!“...

„მართალია, წმინდა წიგნები არ ჰქონდა წაკითხული, მა-გრამ გადმოცემით იცოდა იქ მოთხრობილ ადამიანებზე, რომ-ლებიც ქვეყნად მხოლოდ და მხოლოდ სიკეთეს თესდნენ. ჩვე-ნი გმირი მათ, რა თქმა უნდა, ვერ შეედრებოდა, მაგრამ სურდა, თავადაც კეთილი ყოფილიყო – ყველასათვის გადაეშალა გული, დამეგობრებოდა. დაარწმუნებული იყო, იმითივე უპასუხებდნენ. ზოგიერთში მიძინებულ სიკეთეს თავად გააღვიძებდა, გაუცოცხ-ლებდა დაკარგულ რწმენას! დაარწმუნებდა, რომ მეგობრობა შესაძლებელია ყველასთან და ამით კიდევ რაღაც სხვას, ყველაზე მნიშვნელოვანს დაამტკიცებდა, რისი არსებობის შესახებაც ჯერ არავინ არაფერი იცოდა. მაინც რა იყო ის რაღაც, „ყველაზე მნიშ-ვნელოვანი“, ჯერ თვითონაც არ იცოდა (ამას, ალბათ, რედაქტი-ის გამობრძმედილი მუშაკები ხვდებოდნენ, თორემ ისე რას დაუბეჭდავდნენ! ჯ. მ.). ჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტი და დაულაგებე-ლი ჰქონდა აზრები: მარადიულობა... მარადიული ჭეშმარიტება... ყოველივე ამ იდუმალების ფუძე... და ა.შ. თუმცა აზრების დაუ-ლაგებლობა სრულიადაც არ აუფერულებდა ოცნებას (ეტყობა, ეტყობა! ჯ. მ.). პირიქით, როდესაც მათ დალაგებას ცდილობ-

და, უფრო იბნეოდა (ო, ეს კი განსაკუთრებით ეტყობა!!! ჯ. მ.) და თავისდა გასაოცრად კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა თავისი იდეის, იმ რაღაც „ყველაზე მნიშვნელოვანის“ საფუძვლიანობა-ში. მართლაც, წესით, ამგვარი მნიშვნელოვანი რამ ასე იოლად არც უნდა შეემეცებინა ადამიანის გონებას... მიუხედავად ასე-თი რთული აზრებისა, ვერ ვიტყვით, რომ პატარა ადამიანი თავს ფილოსოფისად თვლიდა. მისი ქმედება უფრო გულიდან იყო ნა-კარნახევი და არა გონებით ნაფიქრალი, გონება ყველაფერს ამას შემდეგ აიტაცებდა, თავის სახელს დაარქმევდა, ფილოსოფიად აქცევდა! მანმადე კი, უნდა ეჩქარა, ეჩქარა ადამიანებისკენ! ჩვენი გმირი ნაცნობებსა და უცნობებს არ ანსხვავებდა ერთმანეთის-გან, მას ყველა ერთნაირად უყვარდა. უყვარდა ისინიც, ვისგანაც წყენა ახსოვდა. სასაცილოც კი არის თითოესტოლა ბავშვებზე გა-ნაწყენება, მაგრამ რა წამს სახლიდან გამოსულს (ე.ი. შინიდან. ჯ. მ.) დაინახავდნენ, გარს ეხვეოდნენ და... არა! არ ლირს ამის გახსენება – ისინიც უყვარდა... გამორჩეულად! და ეს იყო ერთად-ერთი გამონაკლისი – ბავშვი ბავშვია!“

კი მაგრამ, რატომ „ერთადერთი გამონაკლისი“ – წელან არ იძახდა, „მას ყველა უყვარდა“-ო?!

ახლა აქ მოუსმინეთ.

„მას მხოლოდ ანშყოში უნდა ეცხოვრა, ეცხოვრა იმ შეგ-ნებით, რაც მრავალ რამეს ითვალისწინებდა. ბავშვები – მერე რა, რომ ისინი ცელექობდნენ: სადარბაზოს ჭვარტლავენ, კედლებს ჩხ-აპინან და კიდევ სხვა ათას ბავშვურ ონავრობასთან ერთად ზოგი-ერთ ადამიანს აპრაზებენ? აპრაზებენ და შემდეგ იცინიან! ისინი ხომ იცინიან, ე.ი. ხუმრობენ – ხუმრობა კი... დღეიდან თავადაც იხუმრებს, იხუმრებს არა ვინმეს გასაბრაზებლად, არამედ ისე, უბრალოდ, სიყვარულით. სხვებსაც აჩვენებს, რომ ასე სჯობია, მისებურად, პატიოსნად, მეგობრულად...“

ავტორი თავისებურად განაერძობს.

„მეზობლის ბავშვის ტირილი მალე შეწყდა. პატარა ადა-მიანი ისევ მეზობელს გადასწვდა ფიქრით. ყველაფერი გაიხსე-ნა. ახლა შორიდან უფრო ესიმპათიურა მეზობელი და სურვილი გაუჩნდა, კიდევ რამდენიმე ხანს დაეყო მასთან, მოეთხო რამე,

რაც, რა თქმა უნდა, თავის ბედნიერებასთან იქნებოდა დაკავ-შირებული. თანდათან ეს სურვილი ისე გაუცხოველდა (უნდა იყოს „ეს სურვილი თანდათან ისე გაუცხოველდა“). ჯ. მ.), რომ კიბისკენაც კი წაიწია, იქით, საითაც, (რად უნდოდა აქ მძიმე? ჯ. მ.) უფროსი მეგობარი მიჰთარებოდა თვალს. მაგრამ, (ეს მძიმეც უადგილოა. ჯ. მ.) სანამ ნაბიჯს გადადგამდა, მუხლები მოეკვეთა (კი მაგრამ, აქ მუხლმოსაკვეთი რა იყო?! ჯ. მ.) – არ დაურცხ-ვენია, არც მორიდებია – საკუთარი თავი შეეზიზლა ასეთი ეგოის-ტური სურვილისათვის. რა სინდისით უნდა მოეცდინა მეზობელი, როცა ბავშვზე ზრუნავდა (ო, აი, თურმე რა!... შემირცვენია ყვე-ლა დროის ყველა დიდი ჰუმანისტი!!! ჯ. მ.), პანიაზე, რომელ-საც სითბო და ყურადღება ყველაზე მეტად (ავტორს აქ ყველაზე აუცილებელი სიტყვები დაგინებია „სწორედ ახლა“. ჯ. მ.) ეს-აჭიროებოდა. ამხელა კაცი იყო და თვითონაც განიცდიდა სითბო-სა და ყურადღების ნაკლებობას (უჰ, ბედნიერი პერსონაჟია, სხვა რამის ნაკლებობას რომ ვერ გრძნობს! ჯ. მ.)... ამას დანაშაული ერქა (კაცი ვერ მიხვდება, აქ ავტორი თავის პერსონაჟს რას უთვლის დანაშაულად? ჯ. მ.). მართალია, წყალივით (უნდა იყოს სწყუროდა. ჯ. მ.) წყუროდა თავისი ესოდენ უზარმაზარი ბედ-ნიერება გამოემზეურებინა (არა უშავს რა – მკითხველებს ხომ გამოგვიმზეურა! ჯ. მ.), მაგრამ – შეგნება (ო, ამას ჩემით კი ვერ მივწვდი, პარდონ! ჯ. მ.)?! შეგნება არ აძლევდა ამის უფლებას!“

მაშ, მივყვეთ ტექსტის მთავარი პერსონაჟის ფიქრებსა და აზრებს. ოღონდ ვისაც თავისი მტკიცე ნებისყოფის, ნერვე-ბისა და ფიზიკური გამძლეობის იმედი არა აქვს (რაც მართა-ლია, ამაზე დასაწყისშივე უნდა გამეფრთხილებინეთ!), ის დამშ-ვიდებული სინდისით ჩამოსცილდეს ტვინის გამომალაყებელ ამ გრაფომანულ გოლგოთას – ღალატად არვის ჩაეთვლება!

„სადარბაზოდან ქუჩაში შურდულივით გამოვარდნილ პა-ტარა ადამიანს თავის შეკავება რომ ვერ მოეხერხებინა, გემივით შეცურდებოდა წვიმის წყლის უზარმაზარ გუბეში (მერე, რომ დამხრჩვალიყო ამ „უზარმაზარ გუბეში“, რაღა ეშველებოდა მსოფლიო ლიტერატურას! ჯ. მ.). წყალისა და დილის მსუბუქი სუსხით (თუკი მსუბუქი სუსხი იყო, წყალი როგორდა იდგებო-

და?! ჯ. მ.) გაულენთილი დედამიწა ზანტად იშუშებდა წუხანდელი ავდრისაგან მიყენებულ ჭრილობებს (ჰმ, ჭრილობები მაშინ უნდა გენახათ, ავდრები რომ არ ანედლებდეს და ასულმდგმულებდეს სამრენველო კვამლისა და გამონაბოლევისაგან ისედაც ტემპერატურაანეულ, სულის მღაფავ დედამიწას – გვალვა უდაბნოდ აქცევდა და სულ ყავარ-ყავარ დახეთქავდა!!! ჯ. მ.) უკვე ძალაგამოცლილ ღრუბლებს შორის ხასხასა სვეტებად გამოლწეული მზის სხივებით (აბა, როგორი სურათია?! ჯ. მ.). რაღაც ნაირად მდორედ (უნდა იყოს მდორედ, ჯ. მ), აუჩქარებლად, თითქოს ეზარებაო, ისე იღვიძებდა არემარე. სიზანტე ყველაზე მეტად ადამიანებს ეტყობოდათ (პირდაპირ გასახეტებელია! დიდ ქალაქში, აბა, ეს ადამიანებს გარდა სხვა კიდევ ვისა და რაღას უნდა დასტყობოდა: უცხოპლანეტებელებს, ხიდებს, ნაბირს, ცხვრის ფარას, ტროტუარებს, გუმბათებს თუ სკვერებში მობალახე კამეჩებს?! ჯ. მ.), ძილისა თუ უამინდობისგან რომ მოთენილიყვნენ (ადამიანს ძილი კი არა, უძილობა თენთავს! აუცილებელი, ჯანსაღი ძილი კი ასვენებს, სასიცოცხლო ენერგიეს აღუდგენს და თავის გასაკეთებელ საქმესთან შესაბმელად განაწყობს!!! ჯ. მ.). თუმცა ქუჩები მაინც შესამჩნევად ავსებულიყო მათი ფუსფუსით (აბა, როგორ მოგწონთ ანდა როგორი წარმოსადგენია, ფუსფუსით გავსებული ქუჩები, მოედნები, თეატრები, რესტორნები, სტადიონები და ა.შ. ჯ. მ.) და ურიამულით – ვინ სამსახურში მიიჩქაროდა, ვინ სასწავლებლად, ვინ – სად და ვინ – სად... და მათ შორის, როგორც ყველა, როგორც ყველა სხვა იქაურობის სრულუფლებიანი მკვიდრი (როგორც ვხედავთ, ავტორი უუფლებო მკვიდრთ კანონგარეშე აცხადებს! ოღონდ გაუგებარია, ქალაქის მოსახლეობას რა პრინციპით ჰყოფს ამგვარ კატეგორიებად? ჯ. მ.) ჩვენი გმირიც ჩართულიყო ქვეყნის ამ სუნთქვაში (ო, რომელი მკითხველი არ ინატრებს „ქვეყნის ამ ერთიან სუნთქვაში“ გლობალურ ჩართვას! ჯ. მ.) მხნედ დააბიჯებდა ქალაქის იმ ქუჩებში, სადაც ხალხმრავლობა იგრძნობოდა და ადამიანებთან დამეგობრების სურვილი სულ უფრო და უფრო უძლიერდებოდა, – შეეძლო პირველივე შემხვედრი გაეჩერებინა, დამეგობრებოდა (აგანგალა-განგალაა! ჯ. მ.)! ოღონდ არ ჩქარობ-

და, მთლიად ასე, ნაუცხათევად აღარ უნდოდა მასასა და სამყაროს შორის (ერიჰაა! ჯ. მ.) აღმართული კედელი დამსხვრეულიყო. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ რადგან ეს დღე მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, აღარ ემეტებოდა ასე უბრალოდ, ერთი ხელის მოსმით. ამ ყოფმანსაც თავისებური ხიბ-ლი ჰქონდა. ეგეც არ იყოს, ერთხელ და სამუდამოდ გამოემუშავებინა ჩვევად სიდინჯე, თავდაჭერა, რომ იტყვიან, ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა.

მერე და მერე, რა თქმა უნდა, თამამად მოუწევდა ადამიანებთან მისვლა, კეთილი ზრახვებით მათ სულში შეჭრა, მათი გათბობა, გაღვიძება, ოლონდ თავდაპირველად საამისოდ უნდა გამოერჩია ადამიანები. მართალია, ყველა უყვარდა, ყველასათვის გული ჰქონდა ლია (ეჭ., მოსაწყენია ამდენი სინტაქსის სწორება! ჯ. მ.), მაგრამ აჩქარება მაინც არ არგებდა (არა, არა! ჯ. მ.). და-საწყისისათვის ნაცნობ ადამიანებთან უნდა ეცადა. დარწმუნებული იყო, ასეთებს მრავლად გადააწყდებოდა ამ ქუჩებში (ო, ეს ქუჩები! ჯ. მ.) – ყოველთვის, როცა შინიდან გამოდიოდა, ეჩვენებოდა, რომ ლამის ყოველ ნაბიჯზე ნაცნობებს აწყდებოდა. გამვლელებს სახეზე არ უყურებდა (გამომვლელებს? ჯ. მ.), ჩვევად ჰქონდა მათოვის თვალის არიდება. უბრალოდ, ინტუიცია კარნახობდა, რომ ისინი ყოველ კუთხე-კუნფულში მიმოფანტულიყვნენ – ელოდებოდნენ, როდის მოიცლიდა მათოვის, ყურადღებას მიაქცევდა, მიესალმებოდა!“

განსაცავიფრებელია ავტორის პედანტური უდრეკობა: ის არც თავის თავს იბრალებს, არც თავის უბედურ პერსონაჟს, არც უდანაშაულო მკითხველს. თუმც ამგვარი „სისუსტე“ რომ გამოეჩინა, როგორლა შეივსებოდა რედაქციაში მისატანი ფურცლების გარკვეული რაოდენობა?!

მაშ, უდრტვინველად ვზიდოთ მძიმე ჯვარი!

„ფიქრებში ჩაძირული ერთ ადგილას შედგა. კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად. ბოლოს, როგორც იქნა, გამოერკვა და ამ-ლვრეული თვალებით ირგვლივ მიმოიხედა. ქუჩა კვლავ ძველებური ცხოვრებით ცხოვრობდა, ხალხი თავისთვის მიმოდიოდა. ბრაზი მოერია – ვინ იცის, რამდენმა ნაცნობმა ჩამიარა და მე კი

ისევ თვალი ავარიდეო. რა თქმა უნდა, ეს ვარაუდი იყო, მაგრამ თავი კი გაიფრთხილა: ფიქრებს ნუ აპყოლიხარ, გულისყური გა-მოიჩინეო და გზა განაგრძო. დიდხანს იარა, ერთი გრძელი ქუჩა და კიდევ რამდენიმე მისახვევ-მოსახვევი უკან მოიტოვა. მზად იყო, ასი ამდენიც გაევლო (რედაქციის უმეცარი მესვეურებისა და გრაფომანი ავტორის მეოხებით ასა კი არა, თუგინდ ათას ამდენსაც გაივლის – ვის რა ენაღვლება!!! ჯ. მ.), მაგრამ ერთმა უცნაურმა გარემოებამ შეაცბუნა: მიუხედავად იმისა, რომ ყურ-ადლება ალარ გაჰფანტვია და ხალხის ტალღაც არ შეთხელებულა, გამვლელ-გამომვლელებში ვერც ერთი ნაცნობი ვერ აღმოჩინა (ეს როგორ, წელან არ გვეუბნებოდა: ყოველთვის, როცა შინი-დან გამოდიოდა, ლამის ყოველ ნაბიჯზე ნაცნობებს აწყდებოდა?! ასე ჩემი მანასეო, ხან ისე და ხან ასეო! ჯ. მ.) შედგა და თავისიდა უნებურად ფიქრს მისცა თავი, უნდოდა, გარკვეულიყო, რა ხდებოდა. ერთი პირობა ეს შემთხვევითობას მიაწერა, მაგრამ იმდენად იყო დარწმუნებული, გუმანი არ ატყუებდა, შემთხვევი-თობა მალევე გამორიცხა. ახლა ეჭვი შეუჩნდა (თუკი დარწ-მუნებული იყო, გუმანი არ ატყუებდა, ეს ეჭვი რაღამ შეუჩინა?! ჯ. მ.): ნუთუ ემალებიან? სამაგიეროს უხდინ – ახლა თვითონ არიდებენ თვალს... ოჰ, არა, ამის გაფიქრებაც კი ზარავდა! არა-და, სინამდვილეს ჰგავდა... პატარა ადამიანს ავისმომასწავებელი (უნდა იყოს ავის მომასწავლებელი. ჯ. მ.) წინათგრძნობა უხ-ეთქავდა სულს (ღმერთმა ყველას გაშოროთ, როგორც გულის, ისე სულის გახეთქვა! ჯ. მ.), გონებას ულრლნიდა. სასწრაფოდ რამე უნდა ელონა, რამე სანუგეშო მოეფიქრებინა, თორეებ მერე და მერე მთლად გადაეწურებოდა გადარჩენის იმედი! გამწარებით დასჩერებოდა ქვაფენილს, ისე ხერეტდა მზერით, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს (ნეტავი აქ რა ბრალეულობაზეა ლაპარაკი?! ჯ. მ.). ქვაფენილი, რა თქმა უნდა, არაფერ შუაში იყო (მადლობა უფალს, თორემ ჩვენი გმირი თითოეულ ქვას სულ მზერით დაა-ფაცხავებდა და ქუჩა ხელახლა მოსაგები გახდებოდა!!! ჯ. მ.). თუმცა ბოლო ნამს, ჩვენს გმირს მთლად გათავებული რომ ეგონა საქმე (ნეტავი, რომელი საქმე? ჯ. მ.). თითქოს ქვამ უკარნახაო (ომო, ეტყობა, „ქვათა ლალადის“ რაღაც უახლეს ვარიანტთან

გვექნება საქმე!!! ჯ. მ.), ერთმა აზრმა გაუნათა გონება (ჯანი გა-ვარდეს, ბარემ ეს აზრიც მოვისმინოთ და ამით დავამთავროთ, თორემ სულ ვალერიანის წვეთებით მოსაბრუნებელი გაგვიხ-დება ამ გრაფომანული მარათონის მონაწილე, გზადაგზა ერთ-მანეთს მიყოლებით დაცვივნული უდანაშაულო მკითხველები!!! ჯ. მ.) იქნებ ისინი, ნაცნობები, არც არასოდეს ყოფილან ქუჩაში ასე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მიმოფანტული? ჰო, ჰო, ნამდვილად ეჩვენებოდა მათი სიახლოვე – სიარულის დროს თავი ხომ ერთ-თავად მიწაში ჰქონდა ჩარგული (აქ მკითხველი შეიძლება შეიძალოს! თავჩაღუნული, თავჩაქინდრული სიარული ვის არ გაუგონია, მაგრამ ადამიანმა სიარულისას თავი მიწაში როგორ უნდა ჩარგოს, ხოლო თუ ჩარგავს, მაშინ როგორდა ივლის ანდა ისე-თი რა ფოლადის თავ-სახნის-საკვეთი უნდა ებას, რომ ქვაფე-ნილიან (!!!) ქუჩაში თავჩარგულმა სიარული შეძლოს?!.. თუმცა ვინ იცის, ტექსტის ავტორი და უურნალის მესვეურები იქნებ მართლა თავგუთნიანი პიროვნებები არიან და მსგავსი რამ მათთვის არავითარ სიძნელეს არ ნარმოადგენს!!! ღმერთო, შენ გადმოგვხედე! ჯ. მ.) ბოლოს და ბოლოს, სად ჰყავდა ამდენი ნაც-ნობი, ყოველ კუთხე-კუნჭულში რომ შეპტეთებოდნენ? რანამს ეს გაიაზრა, გულზე მოეშვა. ისე ამოისუნთქა, გეგონებოდათ, მთელი ცხოვრება ფილტვებში ჰაერი უგროვებია და ახლა უშვებსო“.

აი, ასე: უურნალის ოთხ ნომერშია განელილი ეს ყოვლად უაზრო და არაფრის მთქმელი ტექსტი, რომლის დიდ-პატარა აბზაცები დიდ-პატარა გრაფომანულ აისბერგებს მოგაგონებთ! და ეს მაშინ, როცა ბევრისპევრ ნამდვილ პროზაიკოსს თავის დროზე ამ უურნალში თუგინდ ერთი, ხუთ-ექვსგვერდიანი ნოვ-ელის დაბეჭდვა დანაშაულებრივ ოცნებად უქციეს!..

ვისაც ტვინის ძაფები უმოძრავებს, მას უეჭველად დაე-ბადება ბუნებრივი კითხვა: კი მაგრამ, საქართველოს მწერალთა კავშირის მესვეურებს – პროექტის ავტორსა და ხელმძღვანელს, ვაჟა ოთარაშვილსა და საქართველოს მწერალთა კავშირის თავ-მჯდომარეს, თანაც ამავე უურნალის საკონსულტაციო საბჭოს წევრს (!), მაყვალა გონაშვილს ნუთუ მართლა იმდენი ლიტერ-ატურული გემოვნება არ გააჩნიათ და ვერ ხვდებიან – ამგვარი

იდიოტური მაკულატურის ბეჭდვა მხატვრული ღირებულებები-  
სა და მკითხველი საზოგადოების შეურაცხოფაა?!

საარჩევნო უკადრისი მანიპულაციებით აღზევებულ ამ  
დიდმოხელეებს, ალბათ, მართლაც არ გააჩნიათ მინიმალური  
ლიტერატურულ-მხატვრული გემოვნება და ეს არც ესმით, თო-  
რემ რომ ესმოდეთ, მშობლიური მწერლობის ანდა საკუთარი  
ავტორიტეტის მტრები ხომ არ იქნებიან, მსგავსი ტექსტები  
შეგნებულად ბეჭდონ?!

მაშ, სად არის სამართალი?!

სა-მარ-თა-ლი!.. ჰმ, ქვეყნად სამართალი რომ იყოს, მა-  
შინ ვაჟა ოთარაშვილი ელიავას ბაზრობაზე კუპრსა და კარბიდს  
უნდა ჰყიდდეს, მაყვალა გონაშვილი კი პროვინციული ბაზრის  
კუთხეში გახუნებულ ბრეზენტზე მიმოშლილ, ხმარებიდან გა-  
დავარდნილ საყოფაცხოვრებო ხარახურას უჯდეს!

მაგრამ სად არი სამართალი?!

## პორიდაზე საშინელი

თეა თოფურიას ტექსტის „დილა მთაში“ („ლიტპალიტრა“, 2012წ., №3) ერთადერთი პერსონაჟი, სიკვდილის პირად მივარდნილი ბერივაცი, ყველასგან მიტოვებული პატარა სოფლის უკანასკნელი მკვიდრია.

თვითონ ტექსტს ვეებერთელა ნახატი და ავტორის ფოტოსურათიც რომ გამოვაკლოთ, სრული ერთი ფურცელიც ძლივს გამოვა. თუმც მწერლისთვის ესეც საკმარისი გამომდგარა, წაცდენილი მკითხველი გაოგნებამდე, სასოწარკვეთამდე, აჯანყებამდე... თუ ღმერთმა უწყის, კიდევ სადამდე შეიძლება მიიყვანოს!

ტექსტს არ გააჩნია მხატვრულობის ნატამალი. თუმც გულუბრყვილობა იქნებოდა, მისთვის რიგიან მკითხველს და მით უმეტეს, მწერალს, ამგვარი პრეტენზია წაეყენებინა. აქ სავალალო და გასაჩირეეკი სულ სხვა რამეა. ლოგიკურად დაუკავშირებელი უშინაარსო და აბსურდული აზრის შემცველი წინადადებები ერთმანეთთან ისეთი სადისტურ-უტიფრული შეუბრალებლობითა მიღურსმული, რომ მკითხველის თვალში პიროვნულად სრულებით უცწნობი ავტორი ემსგავსება უცხოურ მძლავრ ბულდოზერს, რომლისთვისაც მებულდოზერეს ტევადი ბაკი საწვავით ბოლომდე გაუცისა, მერე მავთულებით, კაუჭებითა და რაღაც სამაგრებით სამართავი ბერკეტები და პედლები ისე მიუბ-მოუბამს და გაუმაგრებია, რომ ბულდოზერმა მებულდოზერის გარეშეც იმუშაოს!!! ამ წვალებას რომ მორჩინილა, ბულდოზერი მუშაობის დაბალ რეჟიმზე დაუყენებია, მერე თვითონ ძირს გადმომტარა და სადღაც წასულა!

ასე და ამრიგად: რაღაც ბექობს მიყენებული „უპილოტო“ ბულდოზერი შეუპოვრად გუგუნებს, მიწიდან ოდნავ აცილებული შუბლლაპლაპა ციცხვით ხირხატ მიწას აწვება, თხრის, ჩიჩქნის, თხრის!.. ხან მარცხნივ მოცურდება, ხან მარჯვნივ!.. ის მაინც წინ მიხოხავს და ჩიჩქნის, ჩიჩქნის, ჩიჩქნის!... ახლა უკან ცურდება, გაუთავებლად ბუქსაობს, ბარგანაობს, ჯაყჯაყებს, ჯიუტად წვალობს და აშვერილ ციცხვს სადაც კი მოახვედრებს

მიწას, ჩიჩქნის, თხრის, ხვეტავს, ჩიჩქნის, თხრის, ხვეტავს!.

მაგრამ რა აზრი აქვს ამგვარ ბრმა თხრასა და ხვეტას, თუკი მას გამოცდილი მებულდოზერე არ მართავს, რომელსაც ნათლად ეცოდინება შესასრულებელი სამუშაოს მიზანი, მოცულობა, მასშტაბი, საზღვრები, ხარისხი?!.

ავტორი თავის ტექსტს დღედათვლილი ბერიკაცის გამოღვიძებით იწყებს.

„ცოტა ხანს ჭერს უცეირა. ხანდახან წვიმა ჩამოდიოდა ამ ჭერიდან. ერთხელ თოვლიც კი ჩამოვიდა“.

ამ სტრიქონებში ჩატეული ზეგრაფომანული აზროვნების საზარლობას მხოლოდ ის იწვევს მთელი თავისი დამთრგუნველობით, ვინც ტექსტს თავიდან ბოლომდე წაიკითხავს, რომელიც აი, როგორ მთავრდება.

„აივანზე გავიდა. ჩამონგრეული ჭერიდან თოვლი ჩამოდიოდა ოთახში“.

თ. თოფურიამ რაკი დასაწყისშივე გვიხსენა ბერიკაცის ჭერჩამონგრეულ ოთახში წვიმის ჩამოდენა, მკითხველიც მაშინვე მიხვდა ყველაფერს! ახლა კი ავტორის დაბეჯითებული ნათქვამიდან საბოლოოდ და ურყევები დადასტურდა – ბერიკაცის ოთახს თურმე ჩამონგრეული ჭერი ჰქონია!!!

მაშინ როგორდა უნდა გავიგოთ ავტორის წელანდელი რალაც გონიერამიღმური ნათქვამი.

„**ხანდახან წვიმა ჩამოდიოდა ამ ჭერიდან**“.

აბა, აქ მკითხველს როგორ არ დაეწყება თავის ტკივილი: რას ჰქვია **ხანდახან?** როგორ თუ **ხანდახან?**! ჭერი თუკი საერთოდ ჩამონგრეული იყო, მაშასადამე, იქ წვიმა **ხანდახან** კი არა, ყოველი გაწვიმებისასაც ჩამოვიდოდა!!!

მაშ, როგორ უნდა აიხსნას ჭერჩამონგრეულ სახლში წვიმის ჩამოსვლის თოფურიასეული ეს გონიერამიღმური **ხანდახანობა:** უფალი თუ გუნებაზე იქნებოდა, წვიმის დაწყებამდე ამ მიხრნნილი მოხუცის ჭერჩამონგრეულ სამყოფელს უხილავ გუმბათს ჩამოაფარებდა, ხოლო თუ უგუნებოდ ბრძანდებოდა – ბერიკაცს წვიმა მხოლოდ მაშინ ჩამოსდიოდა?!

აგერ, უბედური მკითხველის გონიერის შემრყევი მეორე

გრაფომანულ-ბიზონისებური ნახტომი.

„ერთხელ თოვლიც კი ჩამოვიდა“.

დღედა, რა მომძდარა! ან მწერალმა ეს როგორ შენიშნა – ჭეშმარიტი შემოქმედის გამჭრიახი თვალი ჰქონია!!!

ეტყობა, თეა თოფურიაც იმ მოსარიდებელ ავტორთა ურდოს მიეკუთვნება, რომლის სრულებით ჯანმრთელი, განათლებული, ნორმალური, გონებასალი და პიროვნულად საინტერესო „მეომარი“ როგორც კი ქათქათა ფურცლისა და კალმისტრის პირისპირ აღმოჩნდება ხოლმე, გაბდლვრიალებულ კორიდაზე პირველად შეშვებულ ხამ ხარს ემსგავსება და თვითონაც აღარ ესმის, რას წერს!!!

აგრე, თუნდ ახლაც: ავტორმა რაკი ბერიკაცის ჭერ-ჩამონგრეულ ოთახში თავიდან წვიმა ჩამოიყვანა, მაში, თოვლს წინ რაღა დაუდგებოდა?!?

მწერლობას, რთულ გრამატიკულ კატეგორიებს, სტილსა და მხატვრულ ოსტატობას ერთი წუთით თავი დავანებოთ! მაში, ზრდასრული, განათლებული, ნაკითხი, თანაც მწერლის სახელის მსურველი ინტელიგენტი მანდილოსანი წუთუ ამასაც ვეღარ ხვდება, რომ მის მიერ დახატულ ჭერჩამონგრეულ ოთახში მარტო წვიმა კი არა, ყველაფერი თავისუფლად ჩამოვა, რაც კი რამ ჩამოსასვლელია: წვიმა, მერეხი, თქორი, სეტყვა, კოხშინშეალა, ქარი, მზის, მთვარის, ვარსკელავების, ელვის სხივი და ჩამონაშუქი... გზაარეული ჩიტები და მწერები... სიცივე, სიცხე, ნესტი... თოვლი, თოვლ-ჭყაპი, ქარისგან ჰაერში ატანილი მტვერი, ჩალაბულა, ფოთოლი, ნაგავი... თაგვის ცურცლი... ჭერში მობინადრე ბელურების სკორე, ბუმბული, ბუდეების ნაშალი!..

მაში, რაღა საჭირო იყო თოვლის ასეთი უაზროდ გახაზვა და თან ეს კეკელკური „ც კი?!“

ანდა, ხელახლა გავიხსენოთ ტექსტის დასასრული.

„აივანზე გამოვიდა, ჩამონგრეული ჭერიდან თოვლ ჩადიოდა ოთახში“.

აბა, ახლა ჩავუკვირდეთ: თუკი მართლა ტექსტის მხატვრულობის აუცილებლობიდან გამომდინარეობდა მომაკვდავი ბერიკაციისთვის ოთახში ჩამონადენი თოვლის დანახვება, მა-

შინ ის დღედათვლილი მწოლიარე ამისთვის ოთახიდან აივანზე რაღას გამოაჩანჩალა და იქიდან აყურებინებს, ჩამონგრეული ჭერიდან თოვლი იქ, მის ოთახში როგორ ჩადის – ოთახში მწოლიარე უფრო უკეთ არ დაინახავდა, დააკვირდებოდა და გაიაზრებდა ოთახშივე თოვლის ჩამოდენას და ამის მოსალოდნელ არასასურველ შედეგს?!

ჰო, მაგრამ ავტორმაც რა ქნას, როცა მწერლობა მისთვის კორიდაზე უფრო საშინელია!..

## ორი პატონის მსახური?!

„პრეტენზიებით პროზაზე!“

ცოდვა გამხელილი სჯობს: თავიდან მეგონა, რომ **კატო ჯავახიშვილი** მხოლოდ პარნასის ბინადარი იყო და თავის პარნასელ დობილებთან ერთად პოეზიას ემსახურებოდა! მოგვიანებით და ისიც შემთხვევით შევიტყვე, რომ კალამი თურმე პროზაშიც უტრიალებია!

„ლიტერატურულ პალიტრაში“ გამოქვეყნებული (2010 წ., №1) მისი ტექსტის მარტო სათაურმაც კი, „**ცხვირი**“ ხეირიან პროზას დანატრებულ მკითხველს ასოციაციურად **ნიკოლოზ გოგოლის** ამავე სახელწოდების მოთხოვნა გამახსენა და გული იმედით შემითროოლა! მაგრამ..

მთავარი პერსონაჟი, ახალგაზრდა ქართველი მხატვარი, თავის ქმრიან საყვარელზე, ნატაზე გველაპარაკება.

„**ნატაც ამ დროს გავიცანი:** თავცარიელი, ლამაზი, დიდი, შელებილი ტუჩებით (ეჭ, სად არის ელემენტარული მხატვრული თანამიმდევრობა – ამ ნატას სილამაზე და „ლამაზი, დიდი, შელებილი ტუჩები“. გაცნობის პირველივე ნამიდან იქნებოდა თვალსაჩინო, ხოლო დასაწყისშივე დასახელებული მისი **თავცარიელობა** კი მერე, თანდათან გამომჟღავნდებოდა! ხოლო მხატვარმა ნატას ეს **თავცარიელობა** თუკი მართლა პირველი შეცვედრისთანავე შენიშნა, მაშინ მეტისმეტად სამწუხაროა – შემოქმედ კაცს თავცარიელ მანდილოსანთან რა სულიერი სიახლოვე უნდა ეგრძნო?! ჯ. მ.), ჩინოვნიკი ქმრითა და მოთხოვნილებით სიყვარულზე!“

„**მოთხოვნილებებით სიყვარულზე!**“ – პარნასის ბინადარი მანდილოსანი პროზაში ნუთუ ასეთი ქართულით აპირებს მოღვაწეობას?! არ ვურჩევდი კი ამგვარი „მხატვრულობით“ პროზის ჯოჯოხეთშიც შემობიჯებას! თუმც ჩემი ეს რჩევა ნაგვიანებია, ვინაიდან უანრთამპყრობელი უდრეკი პოეტესა უკვე მოსულია „**პრეტენზიებით პროზაზე!!!**“

## თიბვა, წერა თუ...

კატოს მხატვარი ვაჟბატონი ბალახს თიბავს.

„ალარ და ალარ მთავრდებოდა ბალახის ტყე, პირიქით, თითქოს რაც უფრო მეტს ვთიბავდი (თითქოს კი არა, მართლა ბევრს თიბავდა, მაგრამ ნორჩი პროზაიკოსი ვერ ხვდება, რომ აქ სრულიად ნაადრევად დასკუპული სიტყვა „თითქოს“ მომდევნო წინადადების თავშია დასასმელი!!! ჯ. მ.), უფრო და უფრო მრავლდებოდა, ქარის ხმაზე ადამიანივით ჩურჩულებდა“.

ამ პანია ციტატაშიც კი არამწერლური დომხალი თუხ-თუხებს!

გამოცდილ მთიბავზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია და ამ საქმიანობიდან შორს მდგომსაც არ ეპატიება ბალახს, თუგინდ ხშირ ბალახს ბალახის ტყე უწოდოს: ბალახი ბალახია, ტყე – ტყე!

ეს ნაადრევად და უადგილოდ დასმული „თითქოს“ ნათელს ხდის – ავტორს არ ძალუდს ან ჯერ არ ძალუდს ნააზრევის წინადადებაში სინტაქსური სიზუსტით ჩამოყალიბება და ამიტომ, ალბათ, ვერც გრძნობს, ვარაუდით წერა რომ უხდება!

პირდაპირ სასაცილოა, განათიბზე ბრძანო – „უფრო და უფრო მრავლდებოდა“-ო. მრავლდებოდა რა, გათიბული ბალახი ზღაპრული ქაჯებია, ამირანის სიმარის ლაშქარი თუ ტილები, რაც უფრო მეტს ხოცავენ, მით უფრო მრავლდებიან!.. გათიბულ, დაწვენილ ბალახს რაღა გაამრავლებდა?!

ეს ყველაფერი სხვანაირად – გამართულად და გასაგებად უნდა თქმულიყო!

ავტორი ბალახზე გვეუბნება: „ქარის ხმაზე ადამიანივით ჩურჩულებდა“-ო.

აბა, დავუკვირდეთ, ქარს რანაირი სიძლიერით უნდა ექროლ-ექშუილა, ეს „ბალახის ტყე“ რომ აემოძრავ-აეჩურჩულებინა! და როგორ ფიქრობთ, ამგვარად მბერავი ქარის ქროლა-ქშუილსა და ცელის სისინ-სხაპუნში ვინმე ბალახის ჩურჩულსაც გაიგონებდა?!

და რაც მთავარია, ფსიქოლოგიურ მომენტს ალარ

უნდა გაეწიოს ანგარიში: ხამად თიბვისაგან დაღლილ-მიქან-ცულ, მშეერ-მწყურვალე, მკლავებდაბუჟებულ და უკვე სასო-ნარკვეთილებამდე მისულ მხატვარს რომ ეჩვენება – რამდენი მეტს თიბავს, განათიბი თითქოს „უფრო და უფრო ძევრდებო-და“, როგორ ფიქრობთ, იმ დროს ბალახის ჩურჩულისა თუ ჩიფრიფის ყურისგდების სურვილი, ხალისი, გული და ილაჯი ექნებოდალა?!

მაშ, ავტორმა აქ რისთვის გამოატყვრინა „ბალახის ჩურ-ჩული“ – რა არის ეს? ცხადია, რა: ჩვეულებრივი გრაფომანუ-ლი მოდური „მხატვრულობა“, რომლის მსგავსი აბსურდული ნიმუშებით გადაჭედილია თანამედროვე ქართული ლიტერა-ტურული პრესა და პროზაული წიგნები, მჭადივით რომ ცხვება ამოდენა უკონტროლო გამომცემლობებში!..

ერთი სიტყვით, აქ ან თიბას უნდა დაანებონ თავი, ან – წერას! უმჯობესია კი ერთსაც და მეორესაც!

### მაშინაც და ახლაც!

აფხაზეთის ომის მონაწილე ეს ახალგაზრდა მხატვარი ახლა მაშინდელ განცდებს იგონებს თუ აგონდება.

„... მაშინაც, როცა პატრიოტიზმით გულანთებული სოხ-უმის გზას მივუყვებოდი. არც მაშინ ვიცოდა, რა მინდოდა. თავი-სუფლება, აი რას ვეძებდი! ბორკილებით შეკრულს გაქცევა მინ-დოდა (უჰ, ბორკილებით შეკრული შორს კი გაიქცეოდა!.. ჯერ ბორკილები დაემსხვრია და მერე მაინც გაქცეულიყო, თორემ.. ჯ. მ.), ალბათ, ნებისმიერ ადგილას, სადაც საკუთარ თავს გავექ-ცეოდი (ერიპაა! ამ ვაჟბატონს მართლა თავისუფლება კი არა, თურმე საკუთარი თავისგან გაქცევა სდომებია! ჯ. მ.): ომში, სიყვარულში, სიკვდილში, სადმე, თუგინდ ჯანდაბაშიც კი“.

არადა, ტექსტიდან აშკარად ჩანს, ამ მხატვარმა მაშინ კი არა, დღესაც და საერთოდაც არ იცის, რა უნდა! ისევე, სხვათა შორის, როგორც თანამედროვე ქართული პროზის მკვდრად-შობილი მაკულატურის სქემატურმა პერსონაჟებმა!.. ან რანაი-რი ქართულია „სიყვარულში გაქცევა“, „სიკვდილში გაქცევა?!“

ამგვარ ჩიქორთულობას კი ლიტერატურის ვერც ერთი ჟანრი ვერ იგუებს!

## ომის ფსიქოლოგია და ანატომია

ავტორი თავის მხატვარს აფხაზეთის ომის ქარცეცხლში თავდაყირა გადაუშვებს.

„ცხრაკილოგრამიანი ჯავშანუილეტი და ალქურვილობა საკმაოდ ძძიმე სატარებელი იყო ერთი გაჩხინკული მხატვრისათვის, საკუთარი პრობლემებიც რომ ვერ მოუგვარებია. როგორც იქნა, სროლის ხმა მინელდა.“

ეს უკვე მეტისმეტია!

ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, თანამედროვე ხასიათის სამკვდრო-სასიცოცხლო და თანაც ჩვენთვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით უთანასწორო ბრძოლები რა „საკუთარი პრობლემების“ მოსაგვარებელი ადგილი და დროა?! მძიმე არტილერიის, ავიაბომბების გრუბუნ-გრგვინვაში, ყუმბარმტყორცნების გრიალში, ტყვიამფრქვევა-ავტომატების გაბმულ კაკანსა და სნაიპერთა ტყვიების კრაზნისებურ ბზუილ-ნუილში ვინ რა „საკუთარი პრობლემები“ უნდა მოიგვაროს?! იქ ვინმე რაღაც გრაფომანულად გამოგონილი ბუტაფორულ-კარიკატურული პრობლემები „მოიგვაროს“ ან თუგინდ ამაზე ფიქრი გადაიტანოს კი არა, ფიცხელი ბრძოლების განუჭვრეტელი მსვლელობისას ჭურვის ნამსხვრევებმა იქნებ ნაფლეთებად აქციოს ან სნაიპერმა შუბლში ტყვია გაალოკოს და სიცოცხლეს გამოასალმონ!..

ომს თავისი ჯოჯოხეთური ფსიქოლოგია და ანატომია ოხრია – ამიტომ მის გადმოსაცემად საჭიროა ჭეშმარიტი მწერლის გამორჩეული ტალანტი და არა რედაქციის გულშეუტკივარი მესვეურების მიერ წათამამებული თავიანთი წრის პოეტესას მიერ ჰაიპარად გამოგონილი რაღაც სისულელები...

## ტანჯვიანი დღე დაკვირვების ხელოვნება

თებერვლის სუსტიანი დღეა. თავისი ვიწრო აივნის კუთხეში, ნეჭადაფენილ მუხის ჯორკოზე მოხრუსტული ჯემალ მეხრიშვილი წინადღით შეძენილ უურნალში „ლიტერატურული პალიტრა“ (2011 წ., №1) ერთი საერთო სათაურის „რიტუალი და აიაზმა“ ქვეშ გაერთიანებულ ირაკლი კაკაბაძის (1982 წ.) წვრილ-წვრილ მინიატურებს დაკვირვებით კითხულობს.

ერთ-ერთ მინიატურაში ავტორი თავის პიროვნულ საიდუმლოებას გვიმხელს.

„საკუთარ თავზე ჩემი დაკვირვებით, (გასაკვირია, აქ რად უნდოდა მძიმე? ჯ. მ.) ყველაფერი გამომდის“.

„საკუთარ თავზე ჩემი დაკვირვებით“, ცხადია, ყველაფერი გამოგივათ!“ – გაიფიქრა სახტად დარჩენილმა ქიზიყელმა და კითხვა უფრო მეტი სიფრთხილით განაგრძო.

### „უნიკალური“ თვითდაკვირვება

სხვა მინიატურაში, ენობრივად დამახინჯებული სათაური რომ აქვს „გმირობები“, ი. კაკაბაძე კვლავ საკუთარ თავს გვაცნობს.

„1982 წელს დავიბადე და სკოლა 2000 წელს დავამთავრე, მაგრამ მეც კი ვერ დავალნიერ თავი ამ წარსულსა და მის გავლენას. ახლაც კი უამრავ რამეს ვიჭერ ჩემს თავში!“

„ეპ, ამგვარი ენითა და სინტაქსით იქ რას არ დაიჭერთ!“ – შურით გაიფიქრა ჯ. მეხრიშვილმა და ჩამოცვეთილ პალტოში უფრო მაგრად გაეხვია.

### სატკივრის მარადიულობა

შემდეგ მინიატურაში „პოეზია და პოზიცია“ ავტორი პოეტის მაღალ დანიშნულებაზეც გველაპარაკება.

„მე ილიას პოეტური მოქალაქეობა მნამს და მგონია, რომ

პოეტი, მით უმეტეს ჩვენს დროში, უპირველესად მოქალაქე უნდა იყოს.“

„რატომ „მით უმეტეს ჩვენს დროში?!” – ავტორს გუნებაში შეეკამათა ოზაანელი, – ეს სატკივარი ყველა ეპოქაში იდგა და მომავალშიც, ალბათ, უფრო მეტი სიმწვავით იდგება!“

### უცნაური ურთიერთობა

უცნაური სათაურის მქონე მინიატურაში „არები“ ი. კაკაბაძე ახლა თავის მძიმე მწერლურ ყოფნა-მდგომარეობაზე შემოგვჩივის.

„ხშირად ისეც ვწერ, რომ ერთი ადამიანი კი არა, მთელი ჯგუფი და საზოგადოება გადამიმტერებია (თუკი საზოგადოება გადაგიმტერებია, მაშინ იქ რაღაც ჯგუფი რაღა სახსენებელია?! ჯ. მ.), მაგრამ კითხულობს კი ვინმე?“

„განსაცვიფრებელია! – გუნებაში წამოიძახა მეხრეების ჩამომავალმა, – თუკი არავინ კითხულობს, აბა, წაუკითხავ-გაუცნობიერებლად როგორ უნდა გადაგმტერებოდნენ?“

### ამოუცნობი „მაგრები“

ახლა შემდეგი მინიატურის, „რაც ჯერ ვერ“ ჯერი დგება.

ავტორი აქ თავისი გულდაწყვეტილობის მიზეზს გვიმსელს.

„თუ რამეზე მწყდება გული, მხოლოდ იმაზე, რომ ძალიან მაგარ ადამიანებს ვერ გადავუხადე სათანადო მაღლობა“.

ჯ. მეხრიშვილმა აქ კითხვა ცოტა ხნით შეწყვიტა და ღრმა საფიქრალს მიეცა: დებიუტანტი ნეტავი როგორ პიროვნებებს უწოდებს „ძალიან მაგარ ადამიანებს“-ო.

### ლიტერატურული სურავანდი

თავდაჯერებულ ი. კაკაბაძეს გადაუწყვეტია, ჩაცმა-დახურვასა და კვებასთან დაკავშირებული პირადი წვრილმანებიც გაგვანდოს.

„ტანსაცმლის ამოჩემება ვიცი, კიდევ – საჭმლის.

„თუ რამე მომწონს (უნდა იყოს „თუ რამე მომენტი“. ჯ. მ.), შემიძლია მთელი თვე მხოლოდ ის ვჭამო“.

„უჰ, დიდი რამე გგონიათ თქვენ ეგ მთელი თვე! – ტუ-ჩაკვრით შეეკამათა ნატანჯი მწერალი, – მთელი თვე კი არა, აგრე, მერვე წელი იწურება, რაც „ლიტერატურული პალიტრის“ მესვეურები ამოუნინებული ულიმდამო ავტორების გრაფომანულ სალაფავს გვასვლეპინებენ და ძალნატან მკითხველებს ლიტერატურული სურავანდი გაგვიჩინება! თქვენ კი...“

### ულუფა

ი. კაკაბაძის ერთ-ერთმა მინიატურამ „ხმამალლა“ თვით ხარივით დამთმენი ქიზიყელიც კი მწყობრიდან გამოიყვანა!

„მიყვარს, არ მიყვარს (ამოსუნთქვის გარეშე), მიყვარს ნაილი, ალექსანდრე (ანუ ცოლ-შვილი. ჯ. მ.) და დედაჩემი – ძალუმად!

გემრიელი საჭმელებიც ძალიან მიყვარს!...“

ჯ. მეხრიშვილს აქ კი აევსო მოთმინების ფიალა: უეცარმა ცოფმორევამ გველნაკენივით წამოაგდო, უურნალი ხელუკულ-მა მოისრიალა და ჯარისკაცურად გაიჭიმა!!!

– მე კი ფიროსმანის ლატაკური ლუკა და კინოქრონიკებში ნაყურები ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკთა ჩინჩჩადქ-ცეული ტუსალების ბალანდა მიყვარს! – ნიშნებით შესძახა და უცებ ისეთი სიშმაგე მოაწვა, დებიუტანტი ავტორი ღვიძლი შვილის თაობისა კი არა, თავისივე ხნის რომელიმე თავშეყვა-რებული კრეტინი კალმოსანი რომ ყოფილიყო, უეჭველად დუ-ელში გამოიწვევდა მწველი იმედით: ის თუ სასიკვდილოდ დაჭ-რიდა, ძველი ჯარისკაცისა და მონადირის ხელგანაფულობას უკანასკნელ წამს იქნებ არც მისთვის ემტყუნა!!!

კითხვის გაგრძელება კი არა, მოსროლილი უურნალის სი-ახლოვეს ყოფნა და სუნთქვაც კი შეუძლებელი გახდა!

პალტო ბოლომდე ჩაიღილა, მეექვსე სართულიდან ძირს ჩაქანდა, მაგრამ არ იცოდა, რა ექნა. მერე დიღმის ტყეპარკ-

ის ცერად გადასერვით ბრმად გაუტია და თავი თებერვლის სუსხში გალურსული სოფელ დიღმის უკაცრიელი შემოგარენის ღელე-ღრანტობებსა და ტვინის მწიწვნავ ფიქრებს მისცა.

... ღმერთო!... ალექსანდრე მაკედონელი, ჰანიბალი, სპარტაკი... გიორგი სააკაძე.. ფრიდრიხ დიდი... ერეკლე მეორე... სუვოროვი.. ნაპოლეონი... ბაგრატიონი... ერვინ რომელ... ერიჰ ფონ მანშტეინი და სხვა სახელგანთქმული მხედართმ-თავრები ლაშქრობებში რიგით ჯარისკაცთა მწირ ულუფას ჩვეულებისამებრ ინანილებდნენ და ამით კმაყოფილდებოდნენ!... სიდუშჭირესა და მოუშორებელ შიმშილს, ვინ მოსთვლის, რამდენი დიდი შემოქმედი გაუწამებია და უდროოდ საფლავშიც ჩაუგდია: სერვანტესი... ბალზაკი... ედგარ პო.. კნუტ ჰამსუნი... ვან გოგი... ფიროსმანი... ვაჟა-ფშაველა... მოდილიანი... ყაზბეგი... ნინოშვილი... ეჭ, მათ რა ჩამოთვლის!.. გაძარცულ-გაძვალტყავებული სამშობლო თვალსა და ხელს შუა გვეღუპება, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შიმშილის ზღვარზე ბარბაცებს, თბილისი საგსეა თვალებამოლამებული ნამშევი გოგო-ბიჭებით, ვილაც უიმედო გრაფომანი კი, უშეცდო-მოდ უმარტივესი წინადადებებიც რომ ვერ აუგია და გადაუბამს ერთმანეთისთვის, ათასნაირად გატანჯულ-გაწამებულ საზოგადოებას გონებადაქვეითებულივით უგვანოდ ეკეკლუცება – გემრიელი საჭმელები მიყვარსო!!!

ჰმ! გემრიელი საჭმელები ვის არ ეყვარება, მაგრამ სად გაგონილა – თანაც ამ ძნელებდობის უამს! – ამის ასე საქვეყნოდ ბლავილი!... ვინა ხარ, რას წარმოადგენ, ჯერ რა გირგია გაუბედურებული სამშობლოსთვის, ვინა გგონია თავი?!.. ოოო, ზოგიერთი რედაქციის თანამშრომლები ცხოვრების უმეცარ დოყლაპია დებიუტანტებს როგორ როკაპისებური ბოროტმოხარულობით აცდუნებენ და თავ-თავიანთ აბსურდულ ნაწერებსა თუ ნაადრევ, იდიოტურ ინტერვიუებში რაღანაირ სისულე-ლეებს არ აძახებინებენ!..

თებერვლის მოკლე დღე მიიჩურა და ბინდმაც დაპერა. ყინვამ უფრო მოუჭირა, მაგრამ შინისაკენ გული აღარ მიუნევდა. ესეც ყისმათია – მეუღლე ორიოდე დღით სოფელში,

დასთან იყო წასული და დამლაპარაკებელიც არავინ ჰყავდა!

ბოლოს მაინც მწერლურმა პასუხისმგებლობამ და კოლე-  
გიურობამ გადაწონა: რაკი დაიწყო, კეთილი უნდა ენებებინა,  
შინ დაბრუნებულიყო, ხელუკულმა გადაგდებული ჟურნალი  
ისევ აეღო და ტექსტი თავიდან ბოლომდე წაეკითხა!

საქონლისაგან გაგორახებული ოლროჩოლრო გზით შინი-  
საკენ გაემართა, თუმც ფეხები უკან რჩებოდა.

### ტაქტი

დავყურებ თბილისს  
და მიხარია.

**ტერჯნტი გრანელი**

თავისი ერთოთახიანი ხრუშჩოვულა ბინა ახლა სულ  
გაუცხოებული მოეჩვენა...

ცივი წყლით ხელ-პირი დაიბანა, დამშვიდდა..

შიმშილისთვის ყურადღება არც მიუქცევია – აივნის  
კუთხეში გაფარჩევით მიგდებული ჟურნალი დამნაშავესავით  
აიღო, შუქი აინთო და ისევ წელანდელ ჯორკოზე მოიბლუნდა.  
მერე ღრმად ჩაისუნთქა და ი. კაკაბაძის მინიატურის „**ხმამალ-  
ლა**“ კითხვა სულ თავიდან დაიწყო.

„მიყვარს, არ მიყვარს (ამოსუნთქვის გარეშე), მიყვარს ნაი-  
ლი, ალექსანდრე (ცოლ-შვილი. ჯ. მ.) და დედაჩემი – ძალუმად“.

გემრიელი საჭმელებიც ძალიან მიყვარს, ბაქლავა და ჩაი  
(კი მაგრამ, ჩაი რანაირი საჭმელია?! ჯ. მ.). კიდევ – მოგზაურო-  
ბა, ჩაველა ვარგასი და ტანგო.

მიყვარს ზღვა და საზოგადოებრივი ცენტრები უანატიზმს. არ მიყვარს  
ზეთის ხილი (უნდა იყოს ზეთისხილი. ჯ. მ.) და ხიზილალა, ასევე  
– შავი ფერი. არ მიყვარს თბილისი და რუსთავი (აბა, დალუპულა

მიყვარს პრალა.

არ მიყვარს ბელადები, ვერ ვეგუები ფანატიზმს. არ მიყვარს  
ზეთის ხილი (უნდა იყოს ზეთისხილი. ჯ. მ.) და ხიზილალა, ასევე  
– შავი ფერი. არ მიყვარს თბილისი და რუსთავი (აბა, დალუპულა

ეს ორი ქალაქი, ხოლო მთელ საქართველოს კი შავი ჩაუცვამს და ეგ არი! ჯ. მ.). ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსები მძულს (ჰმ! აბა, ვიღა დარჩა?! ჯ. მ.). თუმცა ეს სიძულვილი ხშირად გაუცნობიერებელია (თქვენც სადღა გეჩქარებოდათ – ყველაფერი ჯერ გაგეცნობიერებინათ და!... ჯ. მ.), მაგრამ მაინც“.

ჯ. მეხრიშვილი მუხის ჯორკოზე დალურსმულს დაემსგავსა.

„ნეტავი ერთი მაცოდინა, ამ დებიუტანტს ადამიანური და მხატვრული ტაქტიანობა სძულს, უყვარს თუ მასზე წარმოდგენაც კი არ აბადია?!” – ესღა გაიფიქრა და შემძიმებულ უურნალზე ქედი უდიერად ნატანჯი ხარივით დაეხარა.

## ბაბნავური ეტიუდები უმიზეზო დაწუნება

გურამ ბათიაშვილის რომანის ფრაგმენტში „სოფელი“ („ლიტერატურული გაზეთი“, 2011 წ., 9-22 დეკემბერი) აღნერილია ადრეული საუკუნეებისდროინდელი ქართული სოფელი ბაბნავი, რომელსაც ყველაფერი ამკობს – მდებარეობა, ჰავა, ტყეები, თევზიანი მდინარე, მაგრამ აი, მინას კი ავტორი ემდურება!

**„ამ კუთხეში მინა არცთუ ხელხვავიანი ჰქონდათ“.**

გასაკვირია სწორედ! მინა შეიძლება იყოს, მაგალითად, კირნარი, ქვიანი, მსუყე, მლაშობი, ლალიანი, ეწერი, უნაყოფო, შემოსავლიანი, ლორლიანი, კაუნარი, ტინიანი, ფიცხი, ხირხატი, წეფხი, კრიახი და სხვა, მაგრამ მას როგორ უნდა წაუყენონ ხელხვავიანობის პრეტენზია?.. თვითონ მინა როგორ იქნება ხელხვავიანი?!

რას ნიშნავს ხელხვავიანი? ლექსიკონი გვეუბნება: **ვინც ხვავიანი, ბარაქიანი მუშაობა იცის!**

მაშ, ბათიაშვილისებურად რა გამოდის? ნებისმიერი მინის ნაკვეთი დროდადრო ანდა უმჯობესია სამუდამოდ გამრჯე გლეხეაცად იქცეს (!) და... თავისივე თავი ხელხვავიანად (!) თავადვე დაამუშაოს ხოლმე!!! არადა, ძაგებით აიკლებენ – ხელხვავიანი ვერა ყოფილხარო!

ეს ხომ იგივეა, შიგჩაუხედავმა მკითხველებმა უშუალოდ თვითონ ლიტერატურულ ჟურნალსა თუ გაზეთს დაუწყონ კილვა-კიცხვა – ხელხვავიანი ვერა ხარო! კი მაგრამ, თუ ულირსი რედაქტორი იქ ხეირიან ნაწარმოებებს არ აჭაჭანებს და მხოლოდ განზრას შერჩეულ წყალწყალა ტექსტებს ბეჭდავს, ასეთი სვეუბედური ლიტერატურული ორგანო თავისთავად როგორ იქნება „ხელხვავიანი?“

## მხვრინავი... მზე?!

გ. ბათიაშვილი ამ თავისი სოფელ ბაბნავის სანახების პედანტური აღწერით გულს რომ იჯერებს, მერე მზესაც მისწვდება და მთელი ნახევარი დღე-ლამით ძილად მიაგდებს!!!

რატომ გელიმებათ – გგონიათ ხუმრულად ვაზვიადებ? აჰა, თავად ავტორს მოუსმინეთ!

„აქ, ამ კუთხეში მზე დიდხანს ვერ სძლებდა (უნდა იყოს „ვერ ძლებდა“. რაც მთავარია, რას ქვია „დიდხანს ვერ სძლებდა?“)“ სამყაროს გაჩენის წამიდან დანარჩენი ციური სხეულების მსგავსად მზესაც ხომ მკაცრად განსაზღვრული თავისი „მარშრუტი“, გრაფიკი და რეჟიმი გააჩნია და ამ ბაბნავის სანახებს ისეთი გაუსაძლისი მაინც რა სჭირდა, რომ მზე იქ თავის „სავალდებულო სამსახურს“ პატიოსნად ვერ იხდიდა და დეზერტირივით ნაადრევად გარბოდა?! ჯ. მ.). მცირე უამით შემობდომურიალდებოდა, ყოველ კუთხე-კუნტულს მადლიან შუქს მოჰქონდა და დასაძინებლად გარბოდა, იქ ამოუშვებდა ხვრინვას“.

კი მაგრამ, ხვრინვას სადღა „იქ“ ამოუშვებდა?! მზე აქ რომ ჩავიდოდა, ახლა „იქ“ ანუ დედამინის მეორე ნახევარსფერო არ უნდა გაეთბო და გაენათებინა?! მერე „იქ“ რომ ჩავიდოდა, ახლა ისევ აქ ამოვიდოდა და ასე უსასრულოდ!!!

მაშ, მზეს სახვრინავადღა ეცლებოდა – როდის ანდა სადღა უნდა ეხვრინა?!“

ამის პასუხი გურამ ბათიაშვილისა და ირაკლი ჯავახაძის გარდა, ალბათ, არავის ექნება!

## დედამინის გადაბუგვის საშიშროება?!

რა დაუძლეველ სევდა-ნაღველს ბადებს ამის ცოდნა-გააზრება: მზეს მხურვალება თანდათან აკლდება, მრავალი მილიონი წლის შემდეგ კი მისი დისკო სულ გაიყინება, ჩვენს პლანეტაზე მარადიული სუსხ-უკუნი დაისადგურებს და სიცოცხლის ყოველებგვარი ფორმაც მოისპობა!!!

ამიტომ დანინაურებული ქვეყნების მეცნიერები თურმე

დაუღალავად მუშაობენ ხელოვნური მზის შესაქმნელად, რათა კატასტროფის მოახლოებისთანავე შესაძლებელი გახდეს ჩვენი ცივილიზაციის გადარჩენა!

ამ მიმართულებით ამერიკელებს გარკვეული წარმატებებისთვის მიუღწევიათ. ამას წინათ ტელევიზორში გამოაცხადეს: ერთ-ერთ ლაპორატორიაში წამის რაღაც მეასედის გაელვებისას მზის ტემპერატურასთან მიახლოებული სიმხურვალის შექმნა მოუხერხებიათ!

როგორც ირკვევა, ამ ურთულესი საკითხის გადაჭრას თურმე „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი და მისი დაუდგრომელი ავტორებიც ცდილობენ. ოღონდ მათ ხელოვნური მზის შექმნის უმარტივესი, თუმც უგენიალურესი მეთოდი გამოუგონებიათ: კრუხ-ჭუჭულის ბუნებრივი მაგალითი-ანალოგი!!!

**აგერ, რას წერს გურამ ბათიაშვილი.**

**„მამალი მზე ამოვიდა“.**

რედაქციის მიერ შეგულიანებული სხვა რომელიმე გენიოსი ავტორ-აინტერესი კიდევ მალე **დედალ მზეს** ამოაქანებს და საქმეც გაიჩარჩება! **მამალ** მზეს **დედალ** მზეს დააპეპლინებენ, კვერცხებს დაადებინებენ, მერე მოკრუხებულ მზეს კრუხად დასვამენ და მზეებს წინილებივით დააჩეკინებენ!!!

ოღონდ აი, აქ რა არის საშიში და საფრთხილო: ვაითუ რედაქციის მესვეურებმა და მათმა უკვდავებამოწყურებულმა ავტორებმა წინდაუხედაობა გამოიჩინონ და მოკრუხებულ მზეს ერთის ნაცვლად, ჩვეულებრივ, როგორც სოფლად იციან ხოლმე, ოცდახუთიოდე კვერცხი დაუდონ, ხოლო ამ მზე-კრუხმა არც ერთი არ გაალაყოს და უკლებლივ ყველა გამოჩეულოს!

აბა, ახლა წარმოიდგინეთ, ჯერ ერთი მზეც რას გვიშვრუბა – დედამინა ლამის სულ უდაბნოდ აქციოს და უცბად ოცდახუთიოდე მზე ერთდოულად რომ გამოიჩეკოს და გაბდლვრიალდეს, ვინ იცის, ამას რა შეიძლება მოჰყვეს!

## დაუდგენელი სიგანე

გ. ბათიაშვილის ამ „სოფელში“ ერთი ვეებერთელა მდინარეც მოტბორავს. მისი სიდიდე ნურვის შეგაშინებთ – მთლიანი ტექსტივით ისიც ისეთი სქემატურია, ცურვაც რომ არ იცოდეთ და მასში ცხვირამდე შეტოპოთ, მაინც ვერაფერს გავნებთ!

ჰოდა, მიუხედავად იმისა, სხვადასხვა მიზეზით ისე-დაც გაბეზრებული მკითხველი ამ მდინარის სიგანით სულაც არ ინტერესდება, წინდახედული ავტორი ამასაც პედანტური თანმიმდევრობით გვაცნობს. ოღონდ სათქმელს პირდაპირ და გასაგებად კი არ გვეუბნება, ისეთი „მხატვრულობით“ გვიარაკებს, რომ ეს ამოუხსნელ თავსატეხს ემსგავსება.

„მდინარეს განიერს ვერ ეტყყოდი, ერთი დღენახევრის (უნდა იყოს დღე-ნახევრის. ჯ. მ.) სახნავ-სათესი მინდვრის სიგანისა თუ იქნებოდა“.

მიდი ახლა და არკვიე – რამსიგანე იქნება დღე-ნახევრის სახნავ-სათესი მინდორი! მით უმეტეს, დღევანდელ პირობებში!

თუმც დაღონებას ნუ მიეცემით: აგერ არ არის მხვნელ-მთესველთა ჩამომავალი ჯემალ მეხრიშვილი! ღმერთს მწერლად თუ არ უქნია, იქნებ ეს მაინც იცოდეს – რამსიგანე იქნება დღე-ნახევრის სახნავ-სათესი მინდორი?

- ეგრე რას გაიგებთ, – სულელურად ეცინება ოზანელს,  
– ეგ იმაზე ჰყიდია, რითი ხნავთ – ტრაქტორით თუ ხარებით!  
თუ მამაპაპური ყაიდითა ხნავთ, მაშინ გააჩნია, გუთნეულში  
რამდენი უღელი ხარ-კამერი გიბიათ და როგორი გუთნისდე-  
და და მეხრები გეყოლებათ!.. თანაც ნაკვეთი თუ მოკლეა,  
ცხადია, მაშინ დღე-ნახევრის სახნავიც განიერი იქნება, ხოლო  
თუ ცხენის გაჭენებაზეა გაჭიაყელავებული, ორიოდე ნაბდის  
გაშლაც ვერ გამოვა!.. თანაც როგორი იქნება სახნავი: კრცხ-  
ალი, უყი, კაჭახუნი, ნარბილი, ძველნახნავი, ნაგდები, ბოძი,  
ხირხატი თუ...

უჰ, იდექით და უსმინეთ ვიღაც ჯემალ მეხრიშვილის  
ლათაიებს!.. არადა, მართლაც რამსიგანე იქნებოდა გურამ ბა-  
თიაშვილის მდინარე?

## ამოხსნილი საიდუმლო

რედაქტორის ლოცვა-კურთხევით გ. ბათიაშვილი ახლა ისეთ რთველსა და ყურძნის დაწურვას გვაცქერინებს, რომლის მსგავსს არამცოუ ვერსად ნახავდით, არამედ ვერც კი წარმოიდგენდით! თუმც რთვლის დარღი ვიღას ექნება! ეტყობა, ავტორმა ეს რთველიცა და ყურძნის თავისებური ჭყლეტაც მხოლოდ ფონად გამოიყენა, რათა უშიშრად გამოემზეურებინა ქალთა ერთ-ერთი ინტიმური საიდუმლო, რისთვისაც 1945 წელს დაარსებულმა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ (ქსდფ) გ. ბათიაშვილს შეიძლება სტრასბურგის სასამართლოში უჩივლოს ანდა პირიქით: საკაცეთის გონიერ მოყვანისთვის ავტორის ძეგლებმა, სტატუეტებმა, ფოტო-სურათებმა და ფერწერულმა პორტრეტებმა ჩვენი პლანეტის მარტო ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში კი არა, იქნებ თითოეული მანდილოსნის საძილეშიც კი საპატიო ადგილი დაიმკვიდროს!

„ყურძენი გოდრებით მოჰქონდათ, ქვევრში ყრიდნენ, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი ზედ შედგებოდა (უნდა იყოს დგებოდა. ჯ. მ.) და ისე ხტუნაობდნენ, ისეთი სიხარული ჰქონდათ, თითქოს ჭიაკოკონას გარს უვლიანო. კაცები ჩენჩჩოს ხელებშუა (ანუ მუჭაში. ჯ. მ.) რომ მოიქცევდნენ, რათა ყურძნისგან უფრო მეტი და მეტი წვენი გამოეწურათ...“

აბა, აქამდე ვინმეს გაეგონა, რომ ქართველები ოდესმე ყურძენს საწნახელის მაგიერ პირდაპირ „ქვევრში ყრიდნენ“ და ისე წურავდნენ?! ან იმ ბაბნაველებს მაინც რამხელა ქვევრები უნდა ჰქონოდათ, რომ „დიდი და პატარა, ქალი და კაცი“ (!!!) ყურძენს ზედ შესდგომოდა და ფერწელი ჩაებათ!.. გარდა ამისა, ყურძნის წურვისას „უწმინდურ“ ქალს საწნახელს ვინ გააკარებდა – ეს მხოლოდ ჯანსაღი, საგანგებოდ ფეხდაბანილი მამაკაცების უფლება-მოვალეობა იყო!

ასევე ტლანქად წარმოსადგენია ჩენჩჩოს ხელებშუა მოქცევა, „რათა ყურძნისგან უფრო მეტი და მეტი წვენი გამოეწურათ“. ყურძენი, მტევანი თუკი უკვე ჩენჩჩოდ იყო ნაქცევი, მაშინ

ავტორი ყურძენს აღარ უნდა ახსენებდეს! ხოლო თუ მუჭით მთელ-მთელ მტევნებს ჭყლეტდნენ, ჩენჩიომდე ჯერ შორია!

მაგრამ აქ ავტორს ჩენჩიოსა და ყურძნის „ხელებშუა“ თვითმიზნური ჭყლეტა იმიტომ სჭირდება, რომ დაკმაყოფილების უინით ატანილ ქალთა ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების აქამდე ამოუხსნელ საიდუმლოებასთან შესაგებებლად შეგვამზადოს! მაშ, ასე!

„კაცები ჩენჩიოს ხელებშუა რომ მოიცევდნენ, რათა ყურძნისაგან უფრო და უფრო მეტი წვენი გამოეწურათ, რამდენ ქალს უნატრია, „ე ჩემი კაცი მეც რომ ძუძუებში ეგრე მავლებდეს ხელს, რა სიამის მომგვრელი იქნებოდაო“. ოცნებობდნენ და აურულებდათ, იმას კი არ ფიქრობდნენ, დასაწური ყურძნის წელიწადში ერთხელ ხელებშუა მოქცევა უფრო საამურია, ვიდრე ყოველ ღამე (უნდა იყოს ყოველლამე. ჯ. მ.) ერთი და იგივე ძუძუსი (უნდა იყოს ძუძუსი. ჯ. მ.)“.

აქ კომენტარებს ვერ ვაკადრებ ვერც მკითხველებს, ვერც მამაკაცებს და მით უმეტეს, ვერც მანდილოსნებს!

### გაუკულმართებული გიორგობისთვე

მიუხედავად იმისა, არც „ლიტერატურული გაზეთის“ უსტაბაშს და არც გურამ პათიაშვილს ყურძნის, რთვლის, საერთოდ, ღვინის დაყენების პროცესისა და თანამიმდევრობის არაფერი გაეგებათ, თავისას მაინც არ იშლია!!!

„რთველი მორჩიებოდა თუ არა, სოფელი ისე გაირინდებოდა, ჭურჭლიდან ჭურჭელში (?! ჯ. მ.) ღვინის გადასხმა-გადალებისას, (აქ რად უნდოდა მძიმე? ჯ. მ.) ღვინის თერიალის ხმასაც გაიგონებით, შუკებში კი მაჭრის სუნი ტრიალებდა“.

ნართვლევ სოფელი ავტორი მეტისმეტი სქემატურ-თვითმიზნურობით ხომ არ არინდებს?! გამორჩეულ-განსხვავებული ხმაურის, ძახილძუხილის, სიმღერისა თუ ყატყატისთვის მაშინ უფრო მეტი მიზეზ-საბაბი გამოჩნდება ხოლმე! კეთილი, სოფელი ამ დროს შეიძლება მართლაც ჩაყუჩდეს, მაგრამ არა ისე, რომ მარნებში „ჭურჭლიდან ჭურჭელში ღვინის“ გადალებ-გადმოლე-

ბისას ჩქაფაჩქუფი გარეთაც ისმოდეს! თანაც თუკი მაჭარი ისე დაწმდა, ლვინოდ იქცა და აგერ, უკვე მისი გადალებ-გადმოლების ვადაც დამდგარა, მაშინ რაღა დროს მაჭარია, თუ ღმერთი გწამთ?! ანდა, მაჭრობაც რომ იდგეს, მისი მაცდურ-წამტყუებელი სუნი ქვევრ-მარანში ტრიალებს ხოლმე და არა „შუკებში?“.

**ლვინის** გადალებ-გადმოლების დროს მაჭრის კი არა, უკვე არყის გამოხდის შემდეგ „შუკებში“ ღორების საქექად გამოტანილი და გადაყრილი გამოქაჯული ჭაჭის მქისე სუნი დგას ხოლმე!

### ყარაჩოხელი... ძროხები

ღმერთმა უწყის, **გ. ბათიაშვილმა** კაცობრიბისთვის დღემდე უცნობი ეს ყარაჩოხელი ძროხები რომელიმე კონტინენტის უღრან ტყებში, სტეპებსა თუ სუბალპურ იალაღებზე აღმოაჩინა, თუ „**ლიტერატურული გაზეთის**“ რედაქტორთან, **ირაკლი ჯავახაძესთან** ერთობლივი ძალისხმევით რედაქციის გასაიდუმლოებულ ჯიშთგამოსაცდელ სადგურში სელექციური შეჯვარების გზით გამოიყვანეს.

ავტორი კვლავ თავის სოფელ ბაბნავს უტრიალებს.

„**ხანდახან ძროხა თუ დაალებდა პირს და დაიბლავლებდა** (ახ-ალებდა მწერლებო, ეს კარგად დაიმახსოვრეთ – საქონელს ჯერ პირი თუ არ დაალებინეთ, უიმისოდ მის დაბლავლებას არავინ დაგიჯერებთ!!! ჯ. მ.). იმასაც ალბათ, მაჭრის მჭახე სუნი ანუხებდა და ის აბლავლებდა. ეს იყო და ეს. მეტი ხმა აქ არც ისმოდა“.

შემირცხვენია ფიროსმანისდროინდელი ტივზე მოქეიფე, დუქან-დუქან მავალი თუ სამიკიტნოს ბინადარი ყარაჩოხელები! დაუკვირდით **გ. ბათიაშვილის ყარაჩოხელ ძროხას:** მას კუჭმოკუპრულ განთქმულ მოქეიფესავით მხოლოდ და მხოლოდ „**მაჭრის მჭახე სუნი**“ დააბლავლებს ხოლმე და არა, ვთქვათ, თავისი მოსხლეტილი ბუჩინას დედური სიყვარული, შიმშილი, წყურვილი, გომურიდან საძოვარზე გაშვების დრო, დაბინდებისას მადლიანი პატრონის მოლოდინი, ტკიპი თუ ბუზანკალი, მავნის უდიერი მოპყრობა, მოძმეებთან გახმიანება, ახურება

და ბულის მოხმობა, ნადირის მოახლოებისა და თავდაცემის შიში, მოწოლილი რძე, რაიმე სატკივრის მოძალება, ხბოს მოგების ჩამოდგომა, ახალშობილის ზმუილ-ბლავილით მოფერება და გალოკვა, რომელიმე დაკლული თანამოძმის სისხლის სუნი, ამინდის უეცარი გაუარესება, პირუტყვული ამაოება... არა და არა! მხოლოდ „**მაჭრის მჭახე სუნი!**“

თუმცა მეც რას ვერჩი ავტორსა და რედაქტორს – ათასნაირი პერსონაჟებით მდიდარ მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას ამიერიდან ყარაჩოხელი ძროხებიც ეყოლება!

## უჰილვართა და ამპიციალუტუროებულთა გეუფება

„ნაპოლეონი ზავზე რომ დაეთანხმებინათ, მეტერნიხი ამ მიზნით 1813 წლის 28 ივლისს დრეზდენში ჩავიდა, სადაც იმ-პერატორი იმყოფებოდა.

დამამცირებელი ზავის პირობები რომ წაუყენეს, ნაპოლეონი სიპრაზისაგან გაფიტრდა და თავისი ქუდი მიწაზე დაანარცა.

– თქვენ არა ხართ მხედრი, თქვენ არა გაქვთ ჯირისკა-ცის სული, როგორიც მე მაქვს. თქვენ არ გიცხოვრით საველე ბანაკებში! თქვენ არ გრევიათ საკუთარი და სხვის სიცოცხ-ლის არაფრად ჩაგდება, როცა ეს საჭიროა!... თქვენს მეუებს, ტახტზე რომ დაბადებულან, არ შეუძლიათ გაიგონ გრძნობები, რომელნიც მე მასულდგმულებენ. ისინი დამარცხებულნიც კი ადვილად უძრუნდებიან თავიანთ ტახტს, მე კი ჯარისკაცი ვარ, მე უნდა მქონდეს ღირსება!...“

ტარლე, „ნაპოლეონი“

ღიტერატურის რიგითი ჯარისკაცის ღირსება მავალ-დებულებს, ხოლო დღევანდელ ქართულ მწერლობაში შექმნი-ლი ვითარება მაიძულებს საკუთარი შეხედულებების პირუთ-ვნელი გამომზეურებით მშობლიური მწერლობის წინაშე მეც მოვიხადო ჩემი ჯარისკაცური ვალი. ამასთან ნათლად მაქვს შეგნებული: მოუსყიდველი დრო თავისი მახვილის წვერით ჩემს წერილსაც კუშტად შეაგდებს ნებესიდას სასწრის პინაზე. ამი-ტომ თუ არ მსურს თანამოკალმეთა, ჩევენი თუ მომავალი თაო-ბების გასაკიცხ-დასაგმობი და მით უმეტეს, დასაცინი გავხ-დე, უკიდურესად კორექტული და სამართლიანი უნდა ვიყო. ხოლო პოლემისტის ეს ორი უმთავრესი თვისება ჩემთვის თუ მიუწვდომელი აღმოჩნდება, მაშინ დაუმსახურებელი კრიტიკით შეურაცხოფილ ოპონენტთა ნებისმიერი ფორმით გამოხატუ-ლი საპასუხო მსჯელობა კოკისპირულად დამატყდება და ვეღ-არაფერი დამიცავს!

\* \* \*

საქართველოს მწერალთა კავშირი თავისი არსებობის მანძილზე – თვით იმ ავადმოსაგონარ ოცდაჩვიდმეტ წელსაც კი! – არ ყოფილა ასეთ მძიმე, გაურკვეველ, სამარცხვინო და

რაც ყველაზე თავმოსაჭრელია, ამგვარად გათიშულ და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებული, როგორმიც დღეს იმყოფება.

საყოველთაოდ ცნობილია მაშინდელი ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის მიერ თვალდადგმული მწერლების მიმართ განხორციელებული სისხლიანი რეპრესიების სავალალო შედეგები.

სამწუხაროდ, დღესაც მსგავსი რამ მეორდება და გრძელდება, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ „გათანამედროვებული“ რეპრესიების მიზანი, არსი, ფორმები და მეთოდები ახლა უფრო „დახვეწილი“, ეპოქისა და კონკრეტული ვითარების შესატყვისი გახადეს.

მხედველობაშია მისაღები შემდეგი სავალალო პარალელებიც: იმ სატანური ოცდაჩედმეტი წლის რეპრესიებისას ფიზიკური განადგურების შიშით თითო-ოროლა თავგადადებული შემოქმედის გარდა მწერალთა უმრავლესობა, მართალია, ახდილად ვერ ბედავდა ერთმანეთისთვის სოლიდარობის გამოცხადებას და ერთსულოვნების საჯაროდ გამოხატვას, მაგრამ სამაგიეროდ ამ ღირსეულ თვისებებს ფარულად ატარებდნენ და სხვადასხვანაირი ფორმითა და საშუალებით ერთმანეთს მაინც უზიარებდნენ და ამხნევებდნენ!

იმ უნდო დროში კი ესეც ნამდვილ გმირობად და ლვთის წყალობად ითვლებოდა!

დღეს? დღეს კი, როცა აღარ არსებობს შემოქმედთა ფიზიკურად განადგურების, გაციმბირების ან მორალური დაშინების ძველებური საშიშროება და თან ხელისუფლების სათავეში მოსული „ქართული ოცნების“ მხრიდანაც არ იგრძნობა შემოქმედებითი კავშირების საქმიანობაში მიუღებელი ჩარევის სურვილი ან მცდელობა, მთელი ქართველი მწერლობა უკვე ისეა გათიშული, კასტებად დაქუცმაცებული და დემორალიზებული, რომ ამგვარ პირობებსა და ვითარებაში აღარც ხერხდება ქართველ მწერალთა შორის სანიმუშო ერთსულოვნების მიღწევა. პირიქით, ქართველი მწერლები ნამდვილ ბაზალეთის ბრძოლის მსგავს ტრაგედიაში ჩააბეს: საქართველოს მწერალთა კავშირისა და ახალშექმნილი საქართველოს მწერალთა

აკადემიის აქტივისტები ერთმანეთის გაანჩხლებული, მაგრამ უშედეგო კრიტიკით არიან თავდავიწყებულნი, ჭეშმარიტების დადგენა და ქართველ მწერალთა ერთსულოვნების მიღწევა კი ჯერჯერობით აუხდენელ ოცნებად რჩება!

საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ თავისი გაზეთის ფურცლებზე მწერალთა აკადემიის პრეზიდენტი **თამაზ წივწივაძე** გიჟად გამოაცხადა! მაგრამ განიწმატებული პოლემისტები ანგარიშს აღარ უწევენ, რომ მათ ამგვარ განცხადებას მედლის მეორე მხარეც გააჩინია!

აბა, დავუფიქრდეთ: როგორი აუტანელი და დამამცირებელი უნდა იყოს საქართველოს მწერალთა კავშირის ამჟამინდელი სახელგატეხილი ხელმძღვანელების დროშის ქვეშ დგომა, რომ ასობით პატიოსანი მწერალი მაინც „გიჟი“ **თამაზ წივწივაძის** მხარეზე გადადიოდეს!!!

არ უნდა დავივიწყოთ სავალალო პარადოქსიც: ოცდაჩიდეტ წელს მაშინდელი რეპრესიების ორგანიზატორი თუ თვითონ სისხლიანი რეჟიმი იყო, ჩვენი სინამდვილისას ამ როლში მოგვევლინა არამარტო ხელისუფლების სათავეში გადატრიალების გზით მოსული ნაცმოძრაობა, არამედ ასევე არჩევნების შულერული გაყალბებით აღზევებული საქართველოს მწერალთა კავშირის კარიერისტულ-ანგარებიანი სენით დაავადებული, მრავალგზის შერცხვენილი და უიმედოდ სახელგატეხილი დღევანდელი ხელმძღვანელობა, რომელსაც მწერალთა კავშირის ღირსეულად წაძლოლის არც უნარი და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, არც ამის სურვილი გააჩინა! თან ამ ხნის მანძილზე საკუთარ პოსტებს ისეთი პარაზიტულ-პათოლოგიური სისხლმოწყურებით ჩაეზარდნენ, რომ მათ მიერ ჩადენილი სხვადასხვა სკანდალური გადაცდომებისა და დანაშაულობათა მიზეზით ხელმძღვანელი პოსტები არამცთუ ვადამდე და უპირობოდ დატოვონ, არამედ ელემენტარული ობიექტურობის გრძნობადაკარგულებსა და ჰაერდახშულ ილუზიურ ბურანში გატვრენილებს, ახლა ისიც კი ვეღარ წარმოუდგენიათ, ეს თუ ოდესმე მართლა შეიძლება მოხდეს!!!

ამ მიზეზით მთელი საქართველოს გასახეტებლად ფსიქიკადარღვეულ დღედათვლილ დიქტატორებივით რაღა ლონესა და საძრახის ხრიკებს არ მიმართავენ, რომ მომავალ ყრილობამდეც როგორმე ისევ ხელმძღვანელთა სტატუსით მიაღწიონ და თავიანთი მრავალნაცადი და უსაყვარლესი დემა-გოგიური დრიბლინგებით იქნებ მეოთხედ (!!!) არჩევასაც გა-მოჰკრან ხელი!

კეთილი და პატიოსანი! დავუშვათ და მწერალთა კა-ვშირის მწერლების მოთვინიერებული, რაიმე ფორმით მო-მადლიერებული, გულჩვილი თუ უნაღვლელი ნაწილისა და ერთგული მუდმივი ჯარის შესაქმნელად დავით ალმაშენებლის მიერ 1118-20 წლებში ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში 40 ათასი ყივჩაყი ოჯახის ჩამოსახლების მაგალითისებრ მწერალ-თა კავშირში მავნებლური მიზნით განევრიანებული ამოდენა ლაშქრის განუსჯელი მხარდაჭერით დღევანდელი ხელმძღვან-ელობა მართლა კიდევ ერთხელ, მეოთხედ (!!!) და, ვინ იცის, შესაძლოა, სამუდამოდაც აირჩიეს იმავე ანდა, პუტინ-მედვე-დევისებურად ერთმანეთში გაცვლილ პოსტებზე, ეს თავლაფი-სა და ახალ-ახალი უბედურების მეტს რას მოუტანს თავიანთი ზეობის პერიოდში მათ მიერ ისედაც ათასნაირად გაუპატიურე-ბულ საქართველოს მწერალთა კავშირს?!

ჯერ საერთოდ და მით უმეტეს შემოქმედებით კავშირში ხელმძღვანელ პოსტზე წლობით ჯდომა და დამუავება ვინმემ პათოლოგიურ თვითმიზნად ხომ არ უნდა გაიხადოს?!

სამწუხაროდ, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას ეს არ ესმის, ანდა, არასდიდებით არ სურს შეიგნოს, რომ ამ ურ-თულეს დროში მწერალთა კავშირის ლირსეულად წაძლოლას სჭირდება უანგარო ახალთაობელთა სპეციაკი სული და უშ-რეტი ენერგია, ეპოქის შესატყვისი ჯანსაღი აზრები, იდეები, კონცეფციები და მოდელები და არა ხელმძღვანელ პოსტებზე კარიერისტულ მაქინაცია-ტექნოლოგიებში გამოცვეთილ გად-აპერებულ და დაკომპლექსებულ დიდმოხელეთა ბიუროკურა-ტიული ჯდომა, მხოლოდ თავ-თავიანთი ყველა ანგარებიანი ჩანაფიქრის მოსწრებასა და საკუთარი საძრახისი ლეგენდის

შეთითხნის მეტი რომ აღარაფერი ახსოვთ და აოცნებებთ – აი, ამდენი და ამდენი წელი მე საქართველოს მწერალთა კავშირის ამა და ამ ხელმძღვანელის პოსტი მეჭირაო!!! და ეს მაშინ, როცა მათ მიერ ჯალათურად გზაგადაკეტილ ახალგაზრდა მწერლების ორგანიზატორული ნიჭი, ტალანტი, ჯანსაღი ამბიციები და უმნიკვლო იდეალები, სამშობლოს სამსახურისთვის მოხასხასე მისწრაფება უსარგებლოდ იწვება, იშრიტება და იფერფლება!!!

\* \* \*

და საერთოდ, საქართველოს მწერალთა კავშირის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ თავისი მოვალეობის შესრულება რა გულის ამრევი დუქწურ-კინტოური ლაზლანდარობითა და ჯაყოსებური დემაგოგით დაიწყო!

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თუგინდ მარტო ეს მოყირჭებული ეპიზოდები გაიხსენეთ!

მწერალთა კავშირის ეგიდით ნებისმიერ დროსა და ადგილას დანიშნულ ლიტერატურულ საღამოსა და შეხვედრაზე, იმის მაგიერ შეზღუდული დრო მთლიანად ქართული მწერლობის ავკარგიანობის, მხატვრული ღირებულებების გარჩევასა და გაუბედურებული სამშობლოს მომავალზე მსჯელობას დათმობოდა, კინოფილმის „ქეთო და კოტე“ მასხარა პერსონაჟების, ნიკოსა და სიკოს მსგავსად სცენაზე ჯერ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყალა გონაშვილი და მისი ერთ-ერთი მოადგილე ვაჟა თოარაშვილი უგვანოდ ფართიფურთობდა, ერთმანეთს დაძმურად ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ეალერსებოდნენ და გაბუცებულ მაყურებლებს ენამოჩილექით თავიანთ დაძმური სიყვარულისა და ერთგულების სიწრფელის გაუთავებელი ხოტბა-ქებით ნალველს უსიებდნენ!!!

არავის ეგონოს, მათ დაძმურ სიყვარულში როდესმე ეჭვი შემეტანა ან ახლა ვუპირებდე აბუჩად აგდებას. არამც და არამც! ამას არც მკითხველ საზოგადოებას ვაკადრებ, არც ოპონენტებს, არც საკუთარ თავს. ეს მათი პირადი ურთიერთობის საკითხი იყო და არის. ვერც ის ამამჩატებს, მოგვიანებით

მათ შორის ფინანსურმა ქეციანმა შავმა კატამ რომ გაირბინა. რას იზამ, ცხოვრებაში რაღა არ ხდება! მე სულ სხვა რამე მაკვირვებდა და მამცირებდა: წმინდა წყლის ლიტერაცურული ღონისძიებები რა მათი დაძმური სიყვარულის დაუსრულებელი აგიტაცია-პროპაგანდის ადგილი იყო ან ამას ვინ ითხოვდა?!

მათთვის საქართველოს მწერალთა კავშირის 500-600 წევრსა და ასევე სხვა, არაწევრ მწერლებსაც რომ წაებაძათ და თავ-თავიანთი დაძმური სიყვარულის ამგვარი უადგილო და ყბადალებული ღალადისი გაებთ, სად წავიდოდა და რას მივიღებდით?!

ასევე არანაკლებ გაკვირვებას იწვევდა შემდეგი გარე-მოებაც: თუკი საერთოდ, მართლა უანგარო დაძმურ სიყ-ვარულს, მეგობრობასა და ერთგულებას ესხმებოდა ხოტბა, მაყვალასა და ოთარაშვილს ნუთუ ერთმანეთის მეტი სხვა „დაია-ძმია“ არავინ ჰყავდათ, მეტი მრავლფეროვნება-თვალ-საჩინოებისთვის ზოგჯერ ისინიც აეყვანათ ხოლმე სცენაზე ან თუგინდ მარტო ეხსენებინათ მაინც – გუგული და მამალივ-ით რაღა მარტო ერთმანეთს აქებ-ადიდებდნენ?! მაგრამ თა-ვიანთი ფარული ზრახვებით გატაცებული ისინი ვერავითარ უხერხულობას ვერ გრძნობდნენ და როგორც თავის დროზე ტოტალიტარულ სახელმწიფოებში ლენინის, სტალინის, დუჩეს, ჰიტლერის თუ მაოს ბიოგრაფიების საფუძვლიანი დასწავლა მთელი ერის სავალდებულო გახადეს, ისე უბედური ქართველი მწერლები მაყვალა გონაშვილისა და ვაჟა ოთარაშვილის დაძმუ-რი სიყვარულის შემსწავლელი პოლიტნერების ძალნატან მსმე-ნელებად აქციეს!!!

ამგვარი დაუსრულებელი სახოტბო ზეპირსიტყვიერების კვალდაკვალ პრესის ფურცლებიდან თან ჯაყოსებური დემა-გოგის ღვარცოფი მოჩქეფდა.

2006 წელს ვ. ოთარაშვილმა თავის უურნალში „ლიტერა-ტურა და ხელოვნება“ გამოაქვეყნა უხელოვნოდ გადალებული და ასევე უხეიროდ დამზადებული ოთხი ვებგვერთელა, ჩამაცე-ბულ-ჩაბნელებული ფოტოსურათით დამანიჯებული, მაყვალა გონაშვილისადმი მიძღვნილი სახოტბო წერილი „ჩემს ერთად-

**ერთ დაიას“, სადაც ერთგან აი რას გვიმხედს.**

„ამას წინათ, (რად უნდოდა აქ მძიმე? ჯ. მ.) **შენმა (ჩვენმა) ბაბომ – 90 წელს გადაცილებულმა დედილამ** (90 წელს გადაცილებული ბებია უცებ როგორ გადაიქცეოდა ოთარაშვილისთვის დედად მისაჩინევ „დედილამ“-ად? ჯ. მ.) **რომელმაც ჩვენი და-ძმობის ისტორია კარგად იცის, შენთან სტუმრობისას მითხრა.**

„ – შენ და ჩემმა მაყომ მშვიდობიანი ცხოვრება ვერა ნახეთ, სულ რევოლუციებში და ომებში ხართ – ასოციაცია „გულანიდან“ დაწყებული, ვერ დაისვენეთ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), რა ვი...“

- რა დაგვასვენებს (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), დედილა (აქ უნდა იყოს დედილამ ან დედილას, ვინაიდან ეს სიტყვა მხოლოდ მოთხობითსა და მიცემით ბრუნვაში იხმარება. ჯ. მ.), როცა ქართულ სიტყვას, ქართულ ბგერას, ქართულ ჰანგს, ქართულ ფერს, ქართულ ორნამენტს, ქართულ სულს ერმებიან შინაური თუ გარეული (უნდა იყოს გარეშე. ჯ. მ.) ურჯულოები“.

აი, თურმე როგორი სამოქმედო პროგრამა ჰქონია მაყოსა და ჯაყოს!

დღეს კი ამის წამკითხველ მწერალს, აბა, როგორ არ აელანდება პირის კანი?!?

\* \* \*

2010 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ გამომცემლობა „**ეროვნული მწერლობის“ დირექტორი ვაჟა ოთარაშვილი დაკავებული** თანამდებობიდან ფარული კენჭისყრით გაათავისუფლა. ამის მიზეზად „**მწერლის გაზეთის“ 2011 წლის იანვარ-თებერვლის ნომრის პირველ ცხრა (!) გვერდზე მწერალთა კავშირის ანგარებიანი წაყრუებითა და მუშაობის მანკიერი სტილით წათამამებული ვ. ოთარაშვილის ისეთ-ისეთი დანაშაულებები და აღვირანყვეტილი გადაცდომებია ჩამოთვლილი, წამკითხველს გონება ებინდება: მწერალთა კავშირის უძრავ-მოძრავი ქონებისა და იმდენი მილიონი დოლარ-ლარის ჯაყო ჯივაშვილისებური მიტაცება, რომლის მარტო მცირე ნაწილიც კი მიზნობრივად რომ გახარჯულიყო, როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე,**

პოეტი ბალათურ არაბული წერს „შევძლებდით მწერლების წიგნების გამოცემას, მათთვის სტიპენდიების, დახმარებების გაცემას, რადგანაც დღეს მწერალთა კავშირს სახელმწიფოსგან 1 ლარის დახმარებაც არ იძლევა და ეს იქნებოდა გაჭირვებული, უპენსიონ, უპონორარო მწერლების გადარჩენა“.

გაგონილა მწერლებისადმი განხორციელებული უფრო უმოწყალო და მასშტაბური რეპრესიები?! იძულებული ვარ, ჩამოთვლა განვაგრძო: ერთი მუჭა თანამოძმე-თანამშრომლების მორალურად დათრგუნვის მიზნით ქამარში გაჩრილი პისტოლეტით ტრიალი, სამუშაოზე საყვარლის აყვანა, მაღალპროფესიონალური მუშაკების დევნა-შევიწროება და სამსახურიდან გაშვება, ხელქვეითთა ზნეობრივი ტანჯვა-წვალება, სტამბის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი იძულებითი მძიმე ფიზიკური შრომა, პოეზიისა და პროზის ანთოლოგიებში შესაყვანი ავტორების მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ შერჩევა, ყველასთან ბოლომოუღებელი უუმურობა-უხეშობა. ანდა, მთლად ამაზრზენი: დირექტორს თავისი სადისტური მოთხოვნილებები რომ დაეამტინა, უხეირო ყოფა-ცხოვრებით ისედაც გატანჯულ თანამშრომლებს გაუსაძლისი თბილისური პაპანაქებისას მაცი-ვარში წყლის ბოთლებსაც არ აჭაჭანებდა და გარეთ უყრიდა!!!

ერთი სიტყვით, მწერალთა კავშირის გაფართოაშებული თავმჯდომარის, **მაყვალა გონაშვილის** სანაქებო „ძმაიას“, ვ. ოთარაშვილს მხატვრის ქუჩაზე გამომცემლობის საფარველით წლების განმავლობაში თურმე მინიატურული საკონცენტრაციო ბანაკი ჰქონია მოწყობილი! თუმცალა არსად დასტურდება, ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში ტუსაღებისათვის წყლის დალევა მაინც აკრძალული ანდა ნორმირებული ყოფილიყო!

და ყოველივე ეს რა არის, თუ არა მწერლებისადმი განხორციელებული ეკონომიკური, მორალური, ზნეობრივი და ეთიკური რეპრესიები! ანდა, რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ ამის შესახებ არც კავშირის თავმჯდომარემ და არც გამგეობის წევრებმა საერთოდ, არაფერი იცოდნენ და ყველა მათგანმა მხოლოდ 2010 წლის 28 დეკემბრის ღამით სიზმარში ნახა, მეორე დღეს კი სასწრაფოდ შეიკრიბნენ, რათა ვ. ოთარაშვი-

ლის მიერ გათელილი სამართლიანობა უცებ ისევ აღედგინათ! ო, ეს ყველაფერი როგორი თეთრი და თანაც დამპალი ძაფით არის ნაკერი!..

მოკლედ, მსგავსი დანაშაულების შემთხვევისას თანამდებობიდან გათავისუფლებას ვიღა ჩივის – ბრალდებულს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში აძლევენ ხოლმე!

კეთილი, სისხლის სამართლის პასუხისმგებას თავი დავანებოთ! დავუშვათ და, კარს მომდგარი მწერალთა კავშირის ახალ ყრილობამდე რაღაც ხუთიოდე დღეც რომ ყოფილიყო დარჩენილი, საცა სამართალია, მთელი მწერალთა კავშირის ღირსების გადასარჩენად და თავისი ფოლადისებური პრინციპების შეუბლალველობის ნათელსაყოფად მწერალთა კავშირის ერთსულვან გამგეობას ვ. ოთარაშვილი მარტო გამომცემლობის დირექტორის თანამდებობიდან კი არა, რაც მთავარია, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილობიდანაც უდნა გაეთავისუფლებინა და თან მისი აღმზევებელ-მფარველი „დაია“, ყველა ამ უბედურებათა თავი და ბოლო, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მაყვალა გონაშვილიც ზედ მიეყოლებინა და რიგგარეშე ყრილობა დანიშნულიყო.

მართლა ასე რომ მომხდარიყო, საქართველოს მწერალთა კავშირი კიდევ რამდენ თავლაფს აიცდენდა: სამარცხვინოდ გამართული ლიტერატურული კონკურსი „ალავერდა“.. ამ კონკურსზე სახელგანთქმული არგენტინული მწერლის, ალვარო იუნკეს აბუჩად აგდება... მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ყარაბახში ბეცური „გასეირნება“. მომავალი საარჩევნო ბატალიებისთვის პირადი გვარდიის შესაქმნელად მწერალთა კავშირში ლენინური გაწვევა და სხვა და სხვა!

თვითნაბადი პროვინციელი დემაგოგ-ავანტურისტის ანუ მაყოს მიერ ჰიპნოზირებული გამგეობა კი როგორ მოიქცა? ამგვარი სამარცხვინო და აღმაშფოთებელი კატასტროფის მიუხედავად, კავშირის თავმჯდომარეს ბუზიც არ აუფრინა და თავისი „ძამია“ – მერე თურმე გაშმაგებით რომ გაჰყვირდა: მწერალთა კავშირი კომუნისტური გადმონაშთიაო! – მთელი სამწლიანახევრით (!) ისევ... მოადგილედ დაუტოვა! აი, მისი გა-

მომცემლობის დირექტორის პოსტზე დარჩენა კი მიუტევებლად მიიჩნია და გაათავისუფლა!!!

შეუძლებელია, ადამიანური იდიოტიზმი ამაზე უფრო შორს წავიდეს!

აბა, დაუკვირდით ვითარებას: საკონცენტრაციო ბანაკის ჩამოყალიბებული კომენდანტის მოსახდენი თვისებებით „შემ-კული“ პიროვნება ჩვეულებრივი გამომცემლობის რაღაც ოცკაციანი კოლექტივის თავკაცად თუკი შეუფერებელი იყო, ეხუმრებით, ხუთას-ექვსასკაციანი შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე მისი დატოვება უფრო მიუღებლად, აღმაშფოთებლად, სამარცხვინოდ და დაუშვებლად არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული?!?

გამგეობის ამგვარმა გონებამიღმურმა გადაწყვეტილებამ – საქართველოს მწერალთა კავშირი ავტომატურად უზნეობის ბუნაგას რომ დაამსგავსა! – საქართველოს მწერალთა კავშირის ნებისმიერი დიდმოხელისთვის ხომ ოფიციალურ დონეზე ნებადართული გახადა იარაღით თანამშრომლების დაშინება, სამსახურში ჰარამხანებისა თუ საროსკიპოების მოწყობა, სასელმნითო სახსრების ფლანგვა-დატაცება, ხელქვეითებთან ყიზილბაშური მედიდურობა, ყველა საკითხის ერთპიროვნული გადაწყვეტა, ლიტერატურის ბუნებრივი პროცესების გრაფომანული ეგოისტურობით შეფერხება...

აბა, ახლა დავუფიქრდეთ: ინფორმაციის მოპოვება-გავრცელების დღევანდელი პირობებში მავანთაგან გათახ-სირებული ჩვენი მწერალთა კავშირი, ვინ იცის, სადამდე და რა დონეზე იქნება თავლაფდასხმული!...

\* \* \*

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დროდადრო კვლავ გრძელდება საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, **მაყვალა გონაშვილის** კრიტიკა. მაგრამ ამ კრიტიკასა თუ შეგონებას რაღა აზრი ან შედეგი შეიძლება ჰქონდეს, როცა პათოლოგიურმა კარიერისტმა, უდრეკმა და უტიფარმა თავმჯდომარემ დასაბუთებული კრიტიკა, დამსახურებული ლანდ-

ღვა-გინება თუ კოლექტიური შეგონება ბარტერულ გაცვლად გადაქცია!!!

რა არის ბარტერი? სპეც. პირდაპირი საქონელგაცვლა ფულადი ანგარიშსნორების გარეშე.

**ბარტერული გაცვლის გაცვლა ბარტერის სახით.**

ჰოდა, მაყვალა გონაშვილის ზერელე პასუხების, ტენ-დენციური განცხადება-გამოსვლების, ვირეშმაკური დუმილისა თუ გაუგებარი საქციელის ქვეტექსტებიც ზუსტად ბარტერული გაცვლის ანალოგია! იპ, რამდენი მწიკვლიც უნდა შემომაშეფოთ, ცხვირსახოცების მეტი რა მაქვა!.. არა, მე თქვენიც მესმის, ამიტომ გულმოსაფხანად რამდენიც გინდათ, იმდენი მლანძლეთ და მაკრიტიკეთ, ოლონდ ერთი პირობით – მე ისევ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ უნდა ვიჯდე! მე კვლავ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვიქნები – თქვენ კი იდექით და მაკრიტიკეთ! შევთანხმდით?!.. თქვენ მლანძლეთ და მაკრიტიკეთ – მე მაინც თავმჯდომარე უნდა ვიყო! როგორც თავმჯდომარეს, ხელი არ მახლოთ – კრიტიკით კი, თავშიც ქვა გიხლიათ, მაკრიტიკეთ, სანამ ყბები არ მოგეღლებათ! რა სისულელებს მიგონებთ და მაპრალებთ – ახალმიღებული წევრები დღედაღამ მირეკავენ და მეხვენებიან: თავმჯდომარე ისევ თქვენ უნდა იყოთო! კი ბატონო, მლანძლეთ და მაკრიტიკეთ, მაგასაც ვნახავთმ ერთი რას დამაკლებთ – მე მაინც თავმჯდომარე ვიყავი, ვარ და ვიქნები!.. და ასე უსასრულოდ!..

რა იყო თუვინდ პოლიტიკურ ანაბანაში სრულებით გაუთვითცნობიერებული მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ყარაბალის ცერცეტული ვოიაჟი, რასაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ბუნებრივი დიპლომატიური სკანდალი მოჰყვა. ეს საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ხიფათიანი წამი იყო, რომელსაც შეეძლო ქვეყანა გარეშე ძალების მიერ მზაკვრულად დაგეგმილ ომში ჩაეთრია და ჩვენთვის ფატალურად დამთავრებულიყო!

ომებისა და დიპლომატიის პირქუშმა ისტორიამ ამის არაერთი მაგალითი იცის.

ვინმეს რომ არ ეგონოს, ამ ინციდენტს განზრახ ვაზ-

ვიადებდე, დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ, მაგალითი-სათვის ქართული ენციკლოპედიის მე-9 ტომის 169-ე გვერდზე დაკვირვებით წაიკითხოს სტატია „**საფრანგეთ-პრუსიის 1870-71 მომი**“, ხოლო ვისაც საამისო დრო ან საშუალება არ ექნება, მოკლედ მე მოვახსენებ.

საფრანგეთ-პრუსიის 1870-71 წ. ომის საბაბად იქცა ერთი შეხედვით ყოვლად უმნიშვნელო, ლამის სასაცილო წერილმანი, ოღონდ უკვე სასტიკი ისტორიის კუთვნილება – ემსის დეპეშა, რომელსაც პრუსიის შორსმჭვრეტელმა კანცლერმა, ოტო ბის-მარკმა (1815-1898) განზრას მისცა საფრანგეთისათვის შეურა-ცხმყოფელი ხასიათი. ანკესზე წამოგებულმა იმპერატორმა, **ნაპოლეონ III-მ** (1808-1873) ეს იწყინა და პრუსიას მაშინვე ომი გამოიცხადა. პრუსიასაც სწორედ ეს უნდოდა!!!

ამ ომში საფრანგეთის სწრაფი დამარცხების კვალდაკვალ 1871 წ. 18 იანვარს ვერსალში გამოცხადდა გერმანიის იმპერიის შექმნა. საფრანგეთმა დაკარგა ელზასი და ლოთარინგიის დიდი ნაწილი. ამასთან დაეკისრა კონტრიბუცია 5 მლრდ. ფრანკის ოდენობით და მის გადახდამდე ქვეყანაში უნდა დარჩენილიყო გერმანიის საოკუპაციო ჯარები.

დენთით სავსე კასრს დამსგავსებული საქართველო? აფხაზეთი, კოდორის ხეობა და სამარაბლო ჩამოგვაგლიჯეს, 2008 წლის რუსული აგრესის ჭრილობები ჯერაც არ მოგვ-შუშებია, ოკუპანტებმა მავთულხლართები ლამის სვეტიცხოვ-ელთან გაგვიძან, ქართული ტელეარხები აღმაშფოთებელ ინ-ფორმაციას ავრცელებენ: სომხეთში პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიისას ერთ-ერთი კანდიდატი მოურიდებლად რომ გაიძახოდა – უდიდესი შეცდომა დავუშვით, 2008 წლის რუსეთ-საქა-რთველოს ომის დროს ჯავახეთში ჩვენი ჯარები რომ არ შე-ვიყვანეთო! ატყობთ, პოლიტიკური ატმოსფერო სადამდეა გავარვარებული?!.. კრემლიდან წარამარა გაისმის – საქართ-ველოს სამხედრო გზისა და სამარაბლოს გადაჭრით სომხეთ-თან ტერიტორიული მეზობლობა უნდა დავამყაროთო!.. ჩვენი დიპლომატია წემსის ყუნწში ძვრება, რათა როგორმე აღვკვე-თოთ აფხაზეთსა და სამარაბლოში საქართველოს მთავრობის

ნებართვის გარეშე რუსი დიდმოხელეების გამომწვევი ვიზიტები.. რომელი ერთი „ქართლის ჭირი“ დავასახელო?!

ყარაბალთან დაკავშირებულმა სკანდალმა მთელი ამიერკავკასია შეძრა, საქმე ლამის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტაზე მივიდა და პოლიტიკოსებს რომ არ ემარჯვათ, ღმერთმა უწყის, ეს როგორ შეიძლება გაგრძელებულიყო ანდა რითი დამთავრებულიყო..

ამგვარ სიტუაციაში კეთილგონიური პიროვნება არამარტო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტიდან უჩამიჩუმოდ გადადგებოდა, არამედ სკანდალის ჩაცხომამდე დედაქალაქსაც მოშორდებოდა!

მაყვალა გონაშვილი? ჭკუანაკლული ქალის ღიმილითა და ყელმოლერებით ტელეეკრანიდან ყველას უტიფრად პირში ბურთს სჩრიდა: თქვენ რას ლაპარაკობთ, რის დიპლომატიური სკანდალი, რა სკანდალი – მე იქ პოეზიის საღამოზე ლექსების სათქმელად ჩავედიო!

ო, გაუხუნარო ცერცვო და კედელო!.. რა სხვაობაა, იქ ასეთი ფირალური თვითნებობით რისთვის ჩახვედი: შაირების სათქმელად, ტერორისტული აქტის განსახორციელებლად თუ საბჭოთა ეპოქაში მოსკოვის პოეზიის ფესტივალზე გაცნობილი დაქალის, სუსანას მოსანაზულებლად – კონფლიქტის ზონასა და დიპლომატიურ ურთიერთობებს თავისი ნორმები და კანონები აქვს, რომელთა დაცვა-პატივისცემა ყველას მოეთხოვება!

მაყვალა გონაშვილის ამგვარი მიუტევებელი უმეცრობა თუ სანუკვარი პოსტის ცოტა ხნით კიდევ შესანარჩუნებლად შეგნებული თავმოაჯმება აღმაშფოთებელი და დასაგმობია, მაგრამ ამავე დროს თავისებურად გასაგებიც არის: ეს განსაცვიფრებელი თავგასართობი ინსტრუმენტი – მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტი ჯადონსურ ოქროს ფლეიტასავით ჩაუვარდა ხელში და მისი მრავალფეროვანი შესაძლებლობები მხოლოდ გონებაშეზღუდული მეშჩანი ქალისთვის დამახასიათებელი ისეთი ფუქსავატურ-ანგარებიანი სიხარბით დაიგემოვნა და ბრმა შეუპოვრობით დაისაბლუჯა, რომ ახლა ვეღარც კი ნარმოუდგენია ნებაყოფლობით მისი ხელიდან გაშვება და უიმ-

ისოდ ყოფნა-ცხოვრება!

აქ მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება უპრინციპო გამ-გეობას, საზღვარს გადამცდარ მწერალთა კავშირის ნებისმიერი დიდმოხელისთვის **მუნდშტუკი<sup>10</sup>** რომ ვერ ამოუდვია.

\* \* \*

როგორც საქართველოს მრავალეროვანი მწერლობა, ისე მთელი საზოგადოება მღელვარებით ელის საქართველოს მწერ-ალთა კავშირის კარს მომდგარ, 24-ე ყრილობას. თუმც არავინ იცის, გაიმართება თუ არა, ანდა რანაირად წარიმართება და როგორი დასასრული ექნება.

ამგვარი ეჭვის საფუძველს შემდეგი გარემოება იძლევა. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პირველ-მა მოადგილემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ქართული პროზის რაინდმა, მწერალმა **რევაზ მიშველაძემ** „მწერლის გაზეთში“ (2013 წ. 1-31 ივნისი, გვ. 2) ერთი იმისთანა განცხა-დება გააკეთა, რომ ამას თვით პირნავარდნილი დიქტატორიც კი ვერ გაძედავდა და, ალბათ, მსგავს გამონათქვამს ვერც რო-მელიმე დიდმოხელეს ვუპოვით ფარული კენჭისყრის მრავალ-საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

სერიოზული პოლემიკისას **რევაზ მიშველაძე** თავის ოპო-ნენტს, ახალშექმნილ მწერალთა აკადემიის პრეზიდენტს, **თამაზ წივწივაძეს** აი, რას ეუბნება.

„დაწერე განცხადება, აღგადგენთ მწერალთა კავშირის წევრად და როცა ყრილობა გვექნება (არა უადრეს 2014 წლის 15 ივნისისა), იყარე კენჭი თავმჯდომარეობაზე.“

ვინ იცის, მაშინ რა ხასიათზე ვიქნები, იქნებ მხარიც დაგი-ჭირო“.

მოულოდნელობისაგან კაცი შეიძლება დაბლუვდეს! აქ რას ეხდება ფარდა? **რევაზ მიშველაძისთვის** ფარული კენჭისყრის პრინციპი და კრიტერიუმი თურმე სამართლიანი განსჯა, საღი-გონების კარნახი, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობა და თა-

<sup>10</sup> **მუნდშტუკი** (გერმ.) – 3. ერთგვარი წვეტიანი ლაგამი თავლორი ცხენის დასაო-კებლად.

ვისი მოქალაქეობრივი ვალდებულების პირნათლად მოხდა კი არ ყოფილა, არამედ ფეხმძიმე ქალის ცვალებადი ორგუნებობა – თუ გუნებაზე ანუ როგორც თვითონ გვეუბნება დამახინჯებით, ხასიათზე იქნება, ნებისმიერ კანდიდატსა თუ საკითხს მხარს დაუჭერს, ხოლო თუ გუნებაზე (ანუ ხასიათზე) არ (ან ვერ) იქნება, ყველასა და ყველაფერს ჯანდაბამდეც გზა პქონია!

მაყვალა გონაშვილისა და ყარაბალის სკანდალისა არ იყოს, წადით ახლა და უჩივლეთ მიშველაძეს! ან თუნდაც უჩივლოთ, რას დააკლებთ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, საარჩევნო ტექნოლოგიაში გამოწვრთნილ ამომრჩეველს, ცოცხალ კლასიკოსად შერაცხულ მწერალს?!

აი, მწერალთა კავშირის დიდმოხელე და პოპულარული მწერალი რანაირ მაგალითს აძლევს მოსახლეობას, თანაც როცა სამიოდე თვედა იყო დარჩენილი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებამდე და საარჩევნო ვნებათაღელვა ზღვრამდე მიღიოდა: ვაითუ საქმე მეორე ტურამდე მისულიყო და ისედაც გატანჯული სამშობლოს ბედი ისევ უკულმა წატრიალებულიყო!

საინტერესოა, რ. მიშველაძე საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას როგორ „ხასიათზე“ იყო – მონაწილეობდა თუ არა? ეეჲ!..

მე ღრმად მწამს, ამას მწერალი რევაზ მიშველაძე არას-დიდებით არ იტყყოდა!

ამას არც მრავალ ჭირვარამგამოვლილი მოქალაქე რევაზ მიშველაძე ამოუშვებდა პირიდან!

ჩემი აზრით, ამგვარ არსათქმელს ამბობს მწერალთა კავშირის ამბიციადაფუტუროებული სტაჟიანი ჩინოვნიკი, უკვე ყელში რომ აქვს ამოსული ამდენი წლის თავშესაწყენი დიდ-მოხელეობა და ველარ გადაუწყვეტია – წავიდეს თუ დარჩეს და ერთი საფეხურით კიდევ უფრო ზევით აინიოს?!.. თან ამდენი ხოტბა-ქებისგან თავგაზვიადებულს, ცა ქუდად აღარ მიაჩნია, დედამინა – ქალამნად! ამიტომ ზოგჯერ აღარც ანგარიშს უწევს, რას გაიძახის – ის ხომ რევაზ მიშველაძეა და ყველაფერი თუ არა, სხვებისგან განსხვავებით მას ბევრი რამ მიეტევება!..

აგერ, უკვე ათ თვეზე მეტი გავიდა და რაკი საქართ-

ველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ან გამგეობას რ. მიშველაძის ამგვარი განცხადებისთვის არანაირი შეფასება არ მიუცია, გამოდის, რომ ერთ-ერთი დიდმოხელის მუქარა თუ გაფრთხილება ძალაში რჩება!..

ასე და ამრიგად, სულგანაბულმა მწერლებმა მოთმინებით უნდა ვუცადოთ რ. მიშველაძის ხასიათის ცვალებადობას და აქედან გამომდინარე, საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობისა და საერთოდ, საქართველოს მწერალთა კავშირის მომავლის გარკვევას.

აი, ასეა, როცა გაუბედურებულ მწერალთა კავშირს უტიფართა და ამბიციადაფუტუროებულთა ზეობა უდგას!..

## მძიმე შოგადლე

– კამეჩო, ილარიონო,  
ეგენი ვინ არიანო?  
– მცემენ და მიტყაპუნებენ, -  
არ ვიცი, ვინ არიანო!

ხალხური

### განცდიანი დასაწყისი

რაკი შენგელი ტელეფონით რამდენიმე დღით ადრე შემოეხვეწა, მოუცლელმა ჯემალ მეხრიშვილმაც თავის ერთა-დერთ უმცროს ძმას ამჯერად ხათრი აღარ გაუტეხა და 2011 წლის შობადლის მის ოჯახში გასატარებლად მეულლითურთ დედოფლისწყაროს გაემგზავრა.

თბილისიდან გასვლა, მგზავრებით სავსე, სუფთა „მერ-სედეს-ბენცის“ მიკროვტობუსის აკვინისებურად დარწევა და ოკეანის ტალღისებური განცდების მოზღვავებაც ერთი იყო: წინ მღელვარე შეხვედრის სიხარული და გარდასულ დღეთა ტკბილ-მწარე მოგონებები ელოდა – ის ხომ 1969-76 წლებში იქ მუშაობდა!..

უკვე მეორე წელი იწურებოდა, რაც აღარ ენახა 20-20 წელს გადაშორებული თავისი ძმისწულები – ზურაბი და დავითი, შენგელის ცოლისძმის, ჭაბუკის ერთმანეთზე მიყოლებული ყმაწვილები – გიორგი, ფარნაოზი, ბაჩანა, მათი მშობლები და პაპა-ბებია... თან მძიმე განცდა გულს უნაღვლავდა: თავის დედასთან ცალკე მცხოვრები ერთადერთი შვილი, გიორგი – რაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო – ძველებურად ვეღარ იცლიდა მშობლიურ რაიონში ჩასასვლელად და მწერალს ეს საწუხარს უსამმაგებდა, ასე ნელნელაობით ბიძაშვილები ერთმანეთს არ გაუცხოებოდნენ! თან... ჰოდა, ეხლა გულდაწყვეტილები რომ შემოეკითხებოდნენ – რატო გიორგიც არ წამოიყვანეო, რა ეპასუხა?!

მალე მაინც გაფრინდეს ეს ორი საათი!.. ო, როდის გამოჩინდება დედოფლისწყაროსპირა აწეულ-დაწეული მინდვრები,

იანვრის თხელ ბინდში მოჩინარი ელიას უნაგირა მთა, შორს, ალაზნის ველისკენ გადაყუდებული, ვერცხლისებრ ბზინვარე კირქვის უთანაბროდ დამუშავებული კარიერები!...

ცხადია, დაუდგრომელი, მწერალთან ყოფნას მონატრებული ახალგაზრდები არ მოუსვენებენ და ერთ-ერთ დღეს ისიც უეჭველად წაჰყვება ხორნაბუჯზე, თორემ ვინ იცის, განგება კიდევ ალირსებს თუ არა თამარის ციხის ქონგურებიდან ალაზნის ველისა და შემორკალული კავკასიონის ცქერას?! ქოჩების გორიდან შირაქის ველ-მინდვრებისა და ივრისპირეთის დაბორცვილი სანახების შორიდან ყურებითაც თვალ-გულს აისრულებს!.. მირზაანი, ფიროსმანის საუფლო?!. ო, არა, არა, ეს უკვე მეტისმეტი იქნება – მისი წარმომსახველობა ერთბაშად ამდენს ველარ აიტანს!.. თანაც წლინახევრის უკან გამოსცა ფიროსმანისადმი მიძღვნილი წიგნი „გათავისუფლება“ და ჯერ ისევ იმ შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფება! ჰოდა, ახლა უცებ რაღაც ახალმა აზრმა თუ იდეამ რომ უელვოს და მწარედ ინანოს: ეს მაშინ როგორ ვერ მომაფიქრდა, რატო ამასაც არ შევეხეო... არა, არა! მირზაანისა და ფიროსმანისთვის ახლა მზად არ არის! ეს მერე, მერე, სხვა დროს!... ცალკე... მარტოდმარტო... გულდამშვიდებით... განსაკუთრებულად და გამორჩეულად!..

ან იქნებ მირზაანს ალარასოდესაც აღარ გაეკაროს და საფლავში იმ ოდინდელი, გაუხუნარი შთაბეჭდილებებით ჩავიდეს?! მაგრამ უმირზაანოდაც რა გააძლებინებს?! თუმც რაღას იძლევა ხოლმე მისი ყოველი ახალ-ახალი სულასწრაფებული მონახულება – ერთი და იგივე, უკვე სისხლ-ხორცში გამჯდარი ნუგეშმნველი განცდები და გრძნობები!

პირდაპირ ორ ცეცხლშუა ინვის: ცა უნითლდება ხოლმე, ფიროსმანის წაფუძარს თვალი კიდევ ერთხელ შეავლოს – ჰერნია, იქ რაღაც ახალს აღმოაჩენს და შეიმეცნებს! გულატოკებული შეაბიჯებს სახლ-მუზეუმის ეზო-ყურეში და ოციოდე წუთის შემდეგ ელდა თანგავს – ახლა ეჩვენება, რომ ის აქ ზედმეტია, უცხოა, გენიოსის საუფლოში ტრიალის ღირსი არ არის! ამიტომ ისევ უკან მიეშურება! მაგრამ სამიოდე გაჭენებაც არ იქნება

ხოლმე გავლილი, რომ წელანდელი მტანჯველი ეჭვი შარშანდელი თოვლივით უქრება და ისევ უკან, ფიროსმანის საუფლოში მიტრიალება და მირზაანის გორების თვალმოუშორებელი ცქერა მოეწყურება ხოლმე!... ღმერთო, ეს რა დღეშია!... ბოლოს და ბოლოს რა ქნას, რა წყალს მიეცეს?!

რაკი ეგრეა, მაშინ ოზანში, თავიანთ კვალნაშლილ ნასახლარზე ერთი ოთახი აიშ... მაგრამ რაკი საამისო სახსარი არ აპადია, წნული ქოხი მაინც ჩაიდგას, თიხაბზით შელესოს ანდა სულაც ვიღაცის სადმე დანაგდები ჯაბახანა ფარდული მიითრიოს, მოეწყოს და ბავშვობიდანვე თვალშეჩვეული, ერთმანეთში ჯადოსნურად ჩაკუმშულ მირზაანის გორებს გედიქის ხევგამოლმიდან მთელი სიცოცხლე გაუნდრევლად უცქიროს და უცქიროს!

ჰო, მაგრამ სულ იმ გორებს რომ უყუროს, თავისი საქმე როდისდა აკეთოს?! არადა, რა მოუხერხოს მირზაანის შემოგარენის ანდამატს?!

სულიერი სიფოლადე გამოიჩინოს და იქით აღარც გაიაროს, აღარც გაიხედოს – რაც იქ აქამდე უვლია, ის იქმაროს და მხოლოდ გულით ატაროს მისი ხატება?!.. მართლა და მართლა, როდემდე და სადამდე?! ან ასე ან ისე!.. არ ვიცი, არ ვიცი! ვნახოთ, მომავალში როგორი იქნება გულის კარნახი!... მანმადე კი... მაგრამ ამჯერად...

ამ ორი-სამი დღის განმავლობაში კი ერთხელ, ნარიურაუევს, ქუჩებში ფეხის არევამდე, მარტოკა დაივლის ჩამდუმარებულ, ან უკევ სანახევროდ დაცლილ და მიუსაფარ დედოფლისწყაროს, რათა როგორმე დაიურვოს თუ გაიხელახლოს აქ ყოველი ჩამოსვლისთანავე აღძრული ჭკუის შემშლელი იდუმალი ცდუნება-მოთხოვნილება – გულგაჩერებულმა თვალი კიდევ ერთხელ გაუშტეროს ხსოვნაში ამოუშლელად ჩარჩენილ ქუჩა-ჩიხებს... დამასევდიანებელ კერძო ბალებს... რკინის იმ მძიმე ჭიშკარს, ლ... ძლივს რომ შეაღებდა ხოლმე!... ნ-ს გადასავლელ-გადმოსავლელ წელმოკლე ხიდს, მაშინ ყველაზე ლამაზ ხიდად რომ ეჩვენებოდა!... პროვინციული სევდისგან შემძიმებულ ტანდაკორძილ ჭადრებს... გაპარტახებულ ნააბა-

ნოებს! ო, ღმერთო, ჯერ რიგიანი აბანოც როგორი დასანახი და წარმოსადგენია და რალა იქნება სახურავგადაგლეჭილი, კარ-სარკმლებამოღებული და შამბნარში ქუჩურად გატიტვ-ლებული კედლებდაკანრული შენობის ფარდალალა ნომრები, რომლებმიც იდესლაც... მუსიკალური სკოლა, მეორე სართულის ოვალურთალიან სარკმლიდან უ... რომ დაენახვებოდა ხოლმე!.. თ-ს მივარდნილ ქუჩაზე ნალვლიანად გადმოხრილ, ერთმანეთში ტოტებგადაკვანძილ ცაცხვებს, ტკივილისმომ-გვრელ სანიშნო მოგონებებს ასეთი შტერული ერთგულებით რომ ინახავდა!.. დიდმოხელეთა თვალდადგმულ სრა-სასახ-ლებს, მაშინდელი გულუბრყვილო წარმოდგენით რომელიმე მათგანში ცხოვრება და შედევრების წერაც ერთი რომ ეგონა! ჰმ!!! ახლა? მიტოვებული, გამოხუნებული ფარდებით საგულ-დაგულოდ დასუდრული, სამარისებურად ჩამყუდროებული და არსებობის აზრდაკარგული ამხელა სასახლეთა უმრავლესობა ახლა ისეთ ცხოველურ ნადარდს ინახავდა, რომ იქ ეცხოვრა და რამე ეწერა კი არა, რომელიმე მათგანის ეზოში ქუდი რომ შეეგდოთ, მის გამოსატანადაც ვეღარ შებედავდა!..

### კალენდარი ჩვენი მლელვარებისა

ახლობლები საშობაო სუფრასთან ერთად რომ მოხვდნენ, ჯემალ მეხრიშვილის სატანჯველად და საუბედუროდ იარა, იარა და დავა-კამათი იმ ახალგამოცემულ „თანამედროვე ქარ-თული პროზის ანთოლოგიაზე“ ჩამოუვარდათ! გასაღელდევი-ბულ მნერალს გასაქანს აღარ აძლევდნენ: შენც რატო არა ხარ შეყვანილი, ასე უდიერად რატომ გექცევიან, ის მაინც გვითხ-არი, ვინ არიანო!

აბა, აქ მწერალს რა უნდა ეპასუხა?! და რაკი თვალებად-ქცეულ შემკითხველებს ვერავის უსახელებდა, ამიტომ იძულე-ბული იყო, ყველანი მიკიბულ-მოკიბული პასუხებით ჩაეყუჩე-ბინა.

- ეჰ, ჯემალ მეხრიშვილის ფოტოსურათს 2010 წლის კედ-ლის კალენდარში უეჭველად ვნახავ-მეთქი! – გულდაიმედებით

წამოიწყო შენგელის ცოლისძმამ, გამრჯე მხვნელ-მთესველმა, ჭაბუკმა, თუმც მაშინვე ხმა გაუმცრთალდა, – როგორც კი ვი-ყიდე, იქვე გადავფურცლე, მაგრამ საქმეში ხარ – კაცო, ვერც იქ გნახე!

სუფრაზე უხერხული დუმილი ჩამოწვა.

- თუ ღმერთი გწამთ, – შენგელის გულიანად ჩაეცინა, – ჩემი ძმის დარდი ვის ექნებოდა, როცა იმ კალენდარში ერეკლე მეორის პორტრეტისთვისაც კი აღარ დარჩენიათ ადგილი!

### შთაგონების ნაკლი

კვლავ კამათი ატყდა.

- კარგი, ვთქვათ, მოშურნეებმა ანთოლოგიაში არ შეიგყვანეს, არ შეგიყვანეს, – თავისებურ მსჯელობას მოჰყვა მწერლის რძალი, ქეთი ალულიშვილი, – ეს თამაზ ჩადუნელი მაინც რაღას გერჩოდა?

- ეგ ვიღაა?
- როგორ, არ იცოდი – კედლის კალენდრის მთავარი რე-დაქტორია!.. თან პოეტიც ყოფილა!

- ჩვენ კედლის კალენდარს არ ვხმარობთ, – ნირშეცვლით შენიშნა ჯ. მეხრიშვილმა და მდუმარედ მჯდომ მეუღლეს ალ-მაცერად გადახედა, – რაც შეეხება თამაზ ჩადუნელის პოეტობას... დრო აღარ მრჩება... რა ვქნა, ძველებურად ვეღარ ვკითხულობ ამოდენა ზღვამასალას!

წინა დღეებში ჩამოხსნილი 2010 წლის კედლის ფერნაქცევი კალენდარი ქეთიმ თაროდან გადმოიღო და მაზლს 26 მაისზე გადაუფურცლა.

- ა!

ჯ. მეხრიშვილი დაკვირვებით დააცქერდა პოეტისა და კალენდრის მთავარი რედაქტორის, თამაზ ჩადუნელის ფოტოსურათსა და დაბადების თარიღს.

- აბა, დახედეთ ჩემზე ოცდასამი წლით ახალგაზრდა, ამ მშვენიერი ვაჟუაცის პოეტური შთაგონებით გაცისკროვნებულ სახეს – საეჭვოა, მას ვიღაც ჯემალ მეხრიშვილის ვინაობა

სცოდნოდა! ანდა, შემთხვევით ოდესმე ყურიც რომ ჰქონოდა მოკრული, რა გასაკვირია, კალენდრის შედგენის შთაგონებიან წუთებში არც გახსენებოდა!

### განმანათლებელი კალენდარი

ამგვარი პასუხით დაეჭვებულმა მსმენელებმა მწერალს უფრო დაუცადებელი კამათი გაუჩაღეს.

- აბა, სხვები როგორ გაახსენდათ?! – ფიცხად წამოიყივ-ლა ჭაბუკის უფროსმა ვაჟმა, მეორე კურსის სტუდენტმა, გო-ორგიმ. მამიდას ხელიდან კალენდარი გამოსტაცა, ფურცვლა დაუწყო და რამდენიმე შემოქმედი გვარ-სახელით ჩამომარცვ-ლა, – მაშ, ესენი როგორ შეიყვანეს?

- აჲ, მე მაგათან მადრით?! – შორს დაიჭირა ჯ. მეხრიშ-ვილმა, – ეგენი დიდი მწერლები და პოეტები არიან.

- ვინა, ეგენი? – გაკვირვებით შენიშნა ჭაბუკის მეუღ-ლემ, მაიკომ, – კარგი მაგრამ, აქ ბევრი ისეთი მწერალი, პოეტი თუ უურნალისტია შეყვანილი, რომ აქამდე საერთოდ, არცა მს-მენოდა და მათი არსებობა ამ კალენდრით გავიგე!

- ო, მაშინ მადლობელიც უნდა იყოთ, – წინდახედულად მოუქრა ოზაანელმა, – კედლის ენციკლოპედიურ კალენდარს რომ გაუნათლებიხართ!

- არა, მართლაც ვიღა არ არის შეყვანილი, – ტკრცი-ალა სიცილ-კისკისი რომ ჩაცხრა, ჩვეული სიმშვიდით შენიშ-ნა შენგელის სიდედრმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბ-ლიოთეკარმა, ცირა ალადაშვილმა, – თანამედროვე ქართველი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, უურნალისტები, შენ კი...

- ჰო, მაგრამ ბევრი მათგანი ცნობილი შემოქმედია, – ტკეპნით დაიწყო ჯ. მეხრიშვილმა, – ბევრიც ნაკლებად ცნობი-ლი... ან ახალბედა... იმედის მომცემი დებიუტანტი, ამიტომ...

ახალგაზრდებმა სიცილი ვერ შეიკავეს.

- ბიძავ, მიკიბულ-მოკიბულად როდემდე უნდა გველაპა-რაკო?! – მოუთმენლად შეუძახა ზურამ და ბიძას მხარზე სიყ-ვარულით გადასდო მკლავი, – ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინე,

შენ თუ არც ცნობილი მწერალი ხარ, არც ნაკლებად ცნობილი და არც ახალგებდა, იმათ თვალში, მაშ, ვიღა ხარ?!

- როგორ გითხრა, ძმისწულო, – ენის ბორძიკით ისევ თავისებურად წამოიწყო მწერალმა, – ძნელია გაერკვე, დღეს რახდება ქართულ მწერლობაში! ამიტომ...

ახალგაზრდები რომ მიხვდნენ, მწერალი პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა, მოთმინების ძაფი ისევ გაუწყდათ და სუფრაზე კვლავ წაირხმიანი სიცილ-კისკისი და არეული კამათი ატყდა.

### მთავარი დამნაშავე: გრაფიკა და კომბინაცია!

И известность моя не хуже,-  
От Москвы по парижскую рвань  
Мое имя наводит ужас,  
Как заборная, громкая брань.

Сергей Есенин

- მოიცათ, მოიცათ! – მოულოდნელად ხმა გაიკორძა აქამდე უბრად მჯდომამა შენგელის სიმამრმა – ძველმა მხვნელ-მთესველმა და მესაქონლემ, წარმოშობით მირზაანელმა, 87 წლის ბერძუსამ, ქართული მწერლობის ტრფიალმა და რაიონში თითით საჩვენებელმა მკითხველმა, ფარნაოზ ალულიშვილმა, – გაჩუმდით-მეტქი!

სუფრაზე სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ფარნაოზმა ჯემალ მეხრიშვილს თვალი გაუმართა.

- ეგე, წელან თვითონვე გვიამბე: ფიროსმანზე დაწერილი შენი წიგნი ინტერნეტშიც თუ რას ეძახით... წაუკითხავთ და თურმე იგრე მოსწონებიათ, საშოვარზე გადაცვენილმა ქართველებმა ნიუ-იორკიდან და პარიჟიდან დამირეკეს მადლობის სათქმელადო!.. მაშ, ესენი რატო გექცევიან ეგრე?!. ერთი ჩვენებურად გაგვაგებინე, რა ცოდვის ლულს ატრიალებენ შენს თავზე?!. კაცო, ვნახეთ და ქართული პროზის საგანძურში არ შეუყვანისართ!.. მაგ ანთოლოგიაშიც არ გაგაჭაჭანეს!.. ამის

ლმერთი არ იყოს, ე კედლის კალენდარი მაინც რა გამიხდა  
იმისთანა, რო მთელი ალია და მუსია შიგ არის თავმოყრილი,  
შენ კი მანდედანაც გამოგსხლიტეს!

სუფრაზე ეკლესიური მდუმარება დაეშვა. ჯემალ მეხ-  
რიშვილმა სამარაგო ჰაერი მოთმინებით შეისუნთქა.

- ფარნაოზ, ქართული პროზის საგანძურო, თანამედროვე  
ქართული პროზის ანთოლოგია, რომელიმე წლის საუკეთე-  
სო მოთხრობა თუ კედლის კალენდარი კი არა, - მწერალმა  
გამოთქმით დაინყო, - მაგალითად, რაღაცასთან დაკავშირე-  
ბით საჭირო რომ გახდეს რომელიმე თანამდებობისა და ხე-  
ლობა-საქმიანობის მიმანიშნებელი გვარის მქონე მწერლების  
უბრალო ცნობარის შედგენა, მაგათი წყალობით იქ ყველა  
მოხვდება: მეზვრიშვილი, ბალაშვილი, ბალიშვილი, კვალიაშვი-  
ლი, ბოსტანაშვილი... რთველიაშვილი, მაჭარაშვილი, მაჭარაძე,  
ჭაჭიაშვილი, ღვინიაშვილი, ღვინაძე, ღვინიანიძე, ღვინეფაძე,  
არაყიშვილი, მეარყიშვილი, არყუშვილი, მეძმარიაშვილი...  
მეღვინეულებულესი, სირაჯიშვილი<sup>1</sup>, ხამარაშვილი<sup>2</sup>, ქილიფთარი<sup>3</sup>,  
თუშმალიშვილი<sup>4</sup>, მუჯირი<sup>5</sup>, ალაფიშვილი<sup>6</sup>, ყასაბაშვილი<sup>7</sup>,  
სალახაშვილი<sup>8</sup>, მეჭურჭლიშვილი, ჭურჭლეაური, კასრაძე, ჩა-  
ფიაშვილი, ჩაფიძე, ჭურაძე, მეყანიშვილი, შამფურაშვილი, მე-  
კოკიშვილი, სადლობელაშვილი, მექაბიშვილი, მექოთნიშვილი,  
კოვზირიძე, ჩანგალაშვილი, მესაცრიშვილი... ხაბაზი, ხაბაზაშ-  
ვილი, მეხაშიშვლი, მზარეულაშვილი, ხმიადაშვილი, კერძაძე,  
კერძევაძე, ფაფიაშვილი, ცომაშვილი, ცომაია, ყველიაშვილი,  
ყველაშვილი... ძიძიშვილი, გამდლიშვილი, ფარეშაშვილი<sup>9</sup>... მლ-  
ვდელიაშვილი, ღვდელიაშვილი, მლვდელაძე, ღეკანოზიშვილი<sup>10</sup>,  
მნათიშვილი<sup>11</sup>, დიაკვნიშვილი<sup>12</sup>, ტერტერაშვილი<sup>13</sup>, პრისტავიშ-  
ვილი<sup>14</sup>, გზირიშვილი<sup>15</sup>, ნაცვლიშვილი<sup>16</sup>, ნაცვალაძე, მამასახ-  
ლისი<sup>17</sup>, ბატონისაშვილი... ყეინიშვილი<sup>18</sup>, ხონთქარიშვილი<sup>19</sup>,  
სულთანიშვილი<sup>20</sup>, ნაიბაშვილი<sup>21</sup>, ბეგიაშვილი<sup>22</sup>, ბეგაშვილი, ბე-  
გიშვილი, ალიბეგაშვილი, ყორჩიშვილი<sup>23</sup>, ემირიძე<sup>24</sup>, ამირიძე<sup>25</sup>,  
ხანიშვილი<sup>26</sup>, დემურსანაშვილი, ამირხანაშვილი, ბაირამაშვილი,  
ჩაფარაშვილი<sup>27</sup>... მგალობლიშვილი, ლოტბარიშვილი<sup>28</sup>, მებუკე,  
ბუკია, ებანოიძე<sup>29</sup>, თარიშვილი<sup>30</sup>, თარაშვილი, მეთარიშვილი,

ჩონგურაშვილი, სალამურაშვილი, ჰარალაშვილი, თარალაშვილი, მესტვირე, მესტვირიშვილი, მენაღარიშვილი, დოლიაშვილი, დოლაშვილი, დოლაბერიძე, დოლიძე... მკერვალიშვილი, კერვალიძე, თერძიშვილი<sup>31</sup>, დაბლიშვილი<sup>32</sup>, ჭონიშვილი<sup>33</sup>... კალატოზიშვილი, კედელაშვილი, ქვათაძე, კენჭაძე, კენჭოშვილი, კირვალიძე, დუღაბაშვილი, გომურაშვილი, გომიაშვილი, ფარეხაშვილი<sup>34</sup>, საბქელაშვილი<sup>35</sup>, დურგლიშვილი, ხუროშვილი, ხუროძე, მჭედლიშვილი, მჭედლური, მჭედლიძე, ოქრომჭედლიშვილი, ხარატიშვილი, ზეინკლიშვილი, ხათბანდიშვილი<sup>36</sup>, ჩილინგარაშვილი<sup>37</sup>... ხარაზი, ხარაზიშვილი... დასტაქრიშვილი<sup>38</sup>, ბეითლიშვილი<sup>39</sup>, აქიმაძე, წამალაშვილი, წამალაიძე, ჯანაოზიშვილი<sup>40</sup>... ქლიბაძე, თოხაძე, ფოცხიშვილი, ხერხაძე, კავაძე, ნემსაძე, მახათაძე, ზარიძე, ლურსმანაშვილი... ლვედაშვილი...

მთხოობელმა სული ამოიბრუნა, თან ახლობლებს დააკვირდა, ხომ არ გადამეღალნენო.

სულგანაბულმა მსმენელებმა მიმიკურად ანიშნეს – რატომ შეჩერდი, ჩვენ გისმენთ, განაგრძეო.

მწერალიც წელში გასწორდა და განაგრძო.

- ფეიქრიშვილი, მენაბდე, ჩალახეშაშვილი<sup>41</sup>, ტომარაძე, პარკაძე, ტოპრაკაშვილი, ბარდანაშვილი<sup>42</sup>, გოდორაშვილი, ბადურაშვილი, მესაბლიშვილი, მაზმანიშვილი<sup>43</sup>, გიდელაშვილი... მეკურტნიშვილი, ქევანიშვილი<sup>44</sup>, სარაჯიშვილი<sup>45</sup>... გამგებელი, ციხისთავი, ციხელაშვილი, ყალაბეგაშვილი<sup>46</sup>, ქეშიკაშვილი<sup>47</sup>, სადუნიშვილი<sup>48</sup>... თევზაძე, კალმახელიძე, ვეშაპიძე, მებადური, მებადურიშვილი... სარქალაშვილი<sup>49</sup>, ჩიბანაშვილი<sup>50</sup>, ცხვარიაშვილი, მეცხვარიშვილი, ცხვარაძე, ვერძაძე, თიკანაძე, ყოჩიაშვილი, ბართიშვილი<sup>51</sup>... ფუტკარაძე... წიგნაძე, დავთარაშვილი, კალამაშვილი, ფურცელაძე, მელანანაშვილი, მელანია... ტივაძე, მეტივიშვილი, მენავიშვილი, ნავაძე, ბარჯაძე... მლებრიშვილი, მხატვარი... დალალიშვილი<sup>52</sup>, დალაქიშვილი, ვარსამიშვილი<sup>53</sup>, ზარაფულიშვილი<sup>54</sup>, ბაზაზიშვილი<sup>55</sup>, აბაზაძე, თუქმანიშვილი, შაურაშვილი, ჩოდრიშვილი<sup>56</sup>, ვაჭარაძე, სოვდაგრიშვილი<sup>57</sup>... ასასაშვილი<sup>58</sup>, ყარაულაშვილი, ბადრაგიშვილი<sup>59</sup>, ჯოხაძე, არგანაშვილი<sup>60</sup>, ბაზიერაშვილი<sup>61</sup>, მზირიშვილი<sup>62</sup>, შათირიშვილი<sup>63</sup>,

ფარნადიშვილი<sup>64</sup>... ჯარიაშვილი, ჯარიაული, ლაშქარაშვილი, ლაშქარაძე, სარდალაშვილი, მოძღვრიშვილი, წინამძღვრიშვილი, მოურავიძე, თარხნიშვილი<sup>65</sup>, თარხან-მოურავი, რაზმაძე, ომიაძე, ჯაბადარინი, ჯოლბორდი<sup>67</sup>, ჩუბინიშვილი<sup>68</sup>, ჩუბინიძე, თორაძე, ჯაჭვაძე, ჯაჭვლიანი, ჯავშანაშვილი, მეფარიშვილი, მეფარიძე, შუბაშვილი, შუბითიძე, ისარაძე, ისარლიშვილი, მშვილდაძე, ბებუთაშვილი, ხანჯალაშვილი, გორდაძე, ხმალაძე, თოფაძე, თოფურიძე, თოფჩიშვილი, სიათაშვილი<sup>69</sup>... რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

მწერალი მსმენელების გამომეტყველებას დააკვირდა და იმავე სიმშვიდით განაგრძო.

- ხვნა-თესვასა და გუთნეულზეც რომ მიუდგეთ საქმე, იქაც ყველა გვარს მოახვედრებენ: კოკორაშვილი, მარცვალ-აშვილი, მარცვალაძე, ხორბალაშვილი, ხორბალაძე, ცერცვაძე, ფეტვიაშვილი, ნაფეტვარიძე, ქერაშვილი, ქერელაშვილი, ჩითილაშვილი, ჭარხალაშვილი, ქინძაძე, ზაფრანაშვილი, ფხალაძე, კვახაძე, ბოლოკაშვილი... მზომელაშვილი, ნაკვეთური, მინდორაშვილი, ყორლანიშვილი<sup>70</sup>, ველიაშვილი, ველიჯანაშვილი, კორდაძე, ბალახაშვილი, სამყურაშვილი, ქონდარაშვილი... ნამგალაძე, ნამგალაშვილი, ნამგალაური, მთიბელაშვილი... ცისკარიშვილი, ცისკარაული, ცისკარაძე, მნათობიშვილი, მთვარელაშვილი... ტოროლაშვილი... ხარაშვილი, ხარებაშვილი, ხარაძე, ხარებაძე, ხარიაული... ნალბანდიშვილი<sup>71</sup>, მეურმიშვილი, დანდლიშვილი<sup>72</sup>, ჯამბარაშვილი, ტაბიკაშვილი, ულელაშვილი, ცალულელაშვილი, მეგუთნიშვილი, ოროველაშვილი<sup>73</sup>... მაგრამ... მაგრამ...

მწერალი ერთი წამით დადუმდა, გაშტერებულ მსმენელთა სახეებს მზერა მოავლო.

- გეუბნებით და დამიჯერეთ: მაგრამ ეგენი და მაგათნაირები იქ მეხრიშვილის გვარს მაინც არ გააჭაჭანებენ!

ხალვათი სასტუმრო ოთახი წუხილიანი დუმილის უხილავმა აისბერგმა გამოჭედა. ხმის ამოლებას ველარავინ ბედავდა.

- მერედა, რა მიზეზით?! – ფარნაოზმა გაკვირვებით გაიპო ნატანჯი ბაგე, – ნუთუ მეხრიშვილის გვარი ეგეთი სამარცხ-

ვინო ან დასაცინია: ის ხომ უფლისგან დადგენილ საქმიანობას-თან – მიწის მადლთან, ადამიანის მარჩენალ ხენა-თესვასთან და ხარის კურთხეულ ქედთან არის დაკავშირებული! მაშ, რას ერჩიან მეხრიშვილის გვარს?

- არა, – განმარტა მწერალმა, – ისინი თავისთავად მეხრიშვილის გვარს კი არ ემტერებიან, არამედ ჩემი გვარ-სახელის კომპინაცია და მისი გრაფიკული გამოსახულება – **ჯემალ მახრიშვილი** – არის მათვის აუტანელი, არსად სახსენებელი და ყველგან ამოსაფხერე!

ფარნაოზს ბებრული პირისახე ლოცვამოწყურებულივით შეულბა.

- რადა, კაცო, რადა?

ჯემალ მეხრიშვილს აქ კი კრინტი ჩაუწყდა, მზერა იღიოტურად გაეყინა და მხრები რობოტივით აეჩერა.

- 
1. **სირაფი** – ღვინით მოვაჭრე.
  2. **ხამარი** – ძვ. ღვინის გამყიდველი.
  3. **ქილიფთარი** – ძვ. ღვინისა და საერთოდ, სასმელების მნე; პირის მეღვინე. (მეფეთა და დიდებულთა სასახლეებში).
  4. **თუშმალი** – ისტ. (სამეფო) სამზარეულოს მოხელე.
  5. **მუჯირი** – 1. ძვ. ხორბლის მნე. 2. სამხ. ფურაჟის გამგე.
  6. **ალაფი** – მარცვლეულითა და ფქვილით მოვაჭრე.
  7. **ყასაბი** – საქონლის დამკვლელი და ხორცის გამყიდველი.
  8. **სალახი** – საქონლის (ან ფრინველის) დამკვლელი.
  9. **ფარეში** – ისტ. თავად-აზნაურთა ხელზე მოსამსახურე.
  10. **დეკანოზი** – 1. ეკლ. ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი.
    2. ისტ. ეკლესიის მთავარი, მღვდელთა და მგალობელთა უფროსი.
    3. ქუთხ. (მთ.) ძვ. ეთნ. ხატის მსახური, რომელიც სახატე რიტუალს ასრულებს და ხატის ქონებას განაგებს.
  11. **მნათე** – ეკლ. ეკლესიის მსახური, რომლის მოვალეობას შეადგენს სანთლების ანთება, ზარების რეკა და სხვა.

12. დიაკვანი, დიაკონი – ეკლ. მღვდლის თანაშემწე. მედავითნე.
13. ტერტერა – სომქეთა მღვდელი.
14. პრისტავი – ძვ. პოლიციის მოხელე.
15. გზირი – ისტ. სოფულის მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი.
16. ნაცვალი – ისტ. მამასახლისის მოადგილე, თანაშემწე.
17. მამასახლისი – რევოლუც. არჩევითი მოხელე სოფულად, რომელიც ასრულებდა ადმინისტრაციულ-პოლიციურ მოვალეობას.
18. ყეინი, ყაენი – (თურქ.) ისტ. მეფის ტიტული ზოგ აღმოსავლეთ ქვეყანაში.
19. ხონთქარი – (სპარს.) ძვ. ოსმალეთის მეფე – სულთანი.
20. სულთანი – (არაბ.) ხელმწიფის ტიტული ზოგიერთ მაჰმადიანურ ქვეყანაში.
21. ნაიბი – საერო ან სასულიერო ხელისუფალთა მოადგილე ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში; მხარის უფროსი ამიერკავკასიის სახანოებში.
22. ბეგი – (თურქ.) ძვ. ფეოდალი, ბატონი, მემამულე (თურქეთში, აზერბაიჯანში).
23. ყორჩი – ძვ. მეფის... პირადი მცველი, შეიარაღებული მხედარი.
24. ემირი – (არაბ.) 1. უმაღლესი ტიტული მმართველისა მუსულმინურ ქვეყნებში.  
2. ისტ. საქართველოში არაბთა ბატონობის დროს – მმართველი.
25. ამირა – ----
26. ხანი (თურქ.) – მეფე, მთავარი, ზოგიერთ თურქი და მონღოლი ხალხისა.
27. ჩაფარი – რევოლუციამდ. დაბალი ჩინის პოლიციელი (სოფულად).
28. ლოტპარი – მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი.
29. ებანი – 1. სიმებიანი (ძალებიანი) საკრავი, – ქნარი, არფა. 2. დაფი, დაირა.
30. თარი – აღმოსავლური სიმებიანი საკრავი.
31. თერძი – მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი.
32. დაბლი – ძვ. ტყავის გამომყენი, ტყავის დამამუშავებელი.
33. ჭონი – ტყავის, ბენვის ქუდის (აგრეთვე ტანსაცმლის) მკერავი.
34. ფარქები – ცხვრის საზამთრო სადგომი.
35. საბქელი – 1. ბზის, აგრეთვე საქონლის სხვა საკვების (თივის, ფუჩეჩის) შესანახი ნაგებობა, ჩი. წნული ან ფიცრული.  
2. გადატ. ქათმის ასო – ზურგი გვერდებიანად კრუტუმსა და კისერს შუა.
36. ხათბანდი – ძვ. ინკუსტაციის ოსტატი – დოხორი.
37. ჩილინგარი – ძვ. იგივეა, რაც ზეინკალი.

38. **დასტაქარი** – „წყლულის მკურნალი“ (საბა); ქირურგის სპეციალისტი ექიმი, – ქირურგი.
39. **ბეითალი** – მოძვ. საქონლის ექიმი, – ექიმი-ვეტერინარი.
40. **ჯანაოზი** – ძვ. განთქმული ექიმი.
41. **ჩალახეში** – ბავშვის აკვანში ჩასაგები ლეიბი.
42. **ბარდანა** – დიდი ტომარა.
43. **მაზმანი** – ძვ. ბალნის თოკის მგრეხელი.
44. **ქვევინი** – ვირის ზურგზე კურტნის ქვეშ დასადები საფენი.
45. **სარაჯი** – უნაგირისა და ცხენის სხვა საკაზმის ოსტატი, – მეუნაგირე.
46. **ყალაბეგი** – (სპარ.) ცახისთავი.
47. **ქეშიკი** – ძვ. წარჩინებული პირის (მეფის...) მცველი.
48. **სადუნი** – „სხვადასხვა ენის მცოდნე კაცი“ (საბა).
49. **სარქალი** – უფროოს მწყემსი.
50. **ჩობანი** – ცხვრის მწყემსი, – მეცხვარე.
51. **ბართი** – ცხვრის ჩლიქით ნაზელი და გამხმარი ცხვრის კურკლი.
52. **დალალი** – 1. საქონლის მყიდველ-გამყიდველის მომრიგებელი ფასში,  
– მაკლერი. 2. ფეხზე მოვაჭრე.
53. **ვარსამი** – ძვ. დალაქი.
54. **ზარალი** – 1. საფასურით ფულის დამზურდავებელი.  
2. საფასურით ფულის გამსესხებელი.
55. **ბაზაზი** – ძვ. ფართლებულის, ქსოვილების ვაჭარი.
56. **ჩოდარი** – პირუტყვით მოვაჭრე.
57. **სოვდაგარი** – ძვ. დიდი ვაჭარი.
58. **ასასი** – ღამის დარაჯი; საერთოდ, დარაჯი, ყარაული; 2. მზეერავი, მოთვალთვალე.
59. **ბალრაგი** – 1. შეიარაღებული რაზმი, რომელიც ადგილზე  
იცავს ან აცილებს რაიმე დასაცავ ობიექტს. 2. ასეთი რაზმის წევრი.
60. **არგანი** – გრძელი ჯოხი საბჯენად.
61. **ბაზიერი** – ძვ. ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშავი.
62. **მზირი** – ძვ. დამზეერავი, მოთვალთვალე; მსტოვარი, ჯაშუში.
63. **შათირი** – ძვ. შიკრიკი.
64. **ფარნადი** – ძვ. მალემსრბოლი.
65. **თარხანი** – ისტ. თავისუფალი, გათავისუფლებული ყმა.
66. **ჯაბადარი** – ძვ. ჯავშან-საჭურველის მნე, ჯაბახანის გამგე.

67. **ჯოლბორდი** – ძვ. „ისრის მთლელი“ (საბა).
68. **ჩუბინი** – ძვ. ნიშანში კარგად მსროლელი, ვინც არ ააცდენს.
69. **სიათა** – ერთგვარი ძველებური თოფი.
70. **ყორლანი** – 1. მეზობელთა სასაზღვრო ნიშანი, – მიწაში ქვების გროვა.  
2. ძველი დროის საფლავზე გაკეთებული მაღალი ბორცვი.
71. **ნალბანდი** – მჭედელი, რომელიც მუშა საქონელს (ცხენს, ხარს..)  
ნალებს აკრავს, ნალების დამკვრელი ხელოსანი.
72. **დანდალი** – ხელნაში გაყრილი ოთხკუთხედი ლარტყი ურმის შესაკრავად.
73. **ოროველა** – გუთნისდედისა და მეზრეების სიმღერა აღმოსავლეთ საქართველოში.

## ღია ცერილი

საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას,  
ლიტერატურული პრემიების გამგებლებს

„ძალოვან, მაშტავისან ორ სიტყვასა და გამარჯვებ, ესე უთხარი  
შენ გვაცევალუ გიგოჯან, როგორც ის ხალხს ჩემი სახელი უწევნე  
და გადამიღე, ისე მომაშორე. მაგათა არც ქება-დიდება მინდა,  
არც არაუერი! გაზეთში გამომიშვეს, გამლანდეს!.. როგორც აქა-  
მდე მიხნავდა მითესავს, ისე უნდა ვხნა და ვთქვო!“

ნიკო ფიროსმანაშვილი  
1916 წელი, ივლისი.

2013 წლის 11 იანვრის სალამოს საქართველოს მწერალ-  
თა კავშირის აპარატის ერთ-ერთმა მუშაკმა მოულოდნელად  
ბინაზე დამირეკა და ამისნა: 2012 წლის თებერვალში 70  
წლის რომ ხდებოდით, წინასწარ არც თქვენ შეგვატყობინეთ,  
ჩვენც გამოგვპარვია და თქვენი ფოტოსურათი, წიგნები და  
ბიოგრაფიული მონაცემები ახლა მაინც მოგვიტანეთ, „სიტყ-  
ვამადლიანი“ იუბილარისადმი ერთი მშვენიერი მისალმება რომ  
გამოვაქვეყნოთო.

ამან გრძელ საგონებელში ჩამაგდო. ცხადია, ადვილზე  
ადვილია მისალმების ტრადიციული დაწყება.

„საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება  
გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ჩვენო ძვირფასო მეგობარო  
და კოლეგავ!“

მაგრამ მერე? მერე რა უნდა უთხრან იმ „ძვირფას მეგო-  
ბარსა და კოლეგას“ რომელსაც 2010 წელს გამოცემულ „უახლე-  
სი ქართული პოეზიისა და პროზის ანთოლოგიაში“ – საქართვე-  
ლოს მწერალთა კავშირის ტერორისტულმა ხელმძღვანელობამ  
არასასურველი მწერლებისადმი ჯერ იპტიკურსამიზნიან შაშხ-  
ანად რომ გამოიყენა, ლამის საოჯახო და ნაცნობ-თანამეონ-  
ახეთა ალბომებს დაამსგავსა, მერე თვალასახვევი ზარზეიმი-

ანი პრეზენტაცია გამართა, ბოლოს კი მოულოდნელად მწარე სიმართლე რომ გაქვეყნდა, თვითონ ხელები მონდომებით დაიბანა, ხოლო ყველაფერი ფარისევლური უტიფრობით ორიოდე დამნაშავეს გადააბრალ! – პანია მოთხრობაც კი არ დაუბეჭდეს და თავიანთი ჭკუით, სულ ამოშანთეს მწერალთა საძმოდან! თუმც მერე უურნალის „ქართული მწერლობა“ რედაქტორმა, ბატონიმა ლევან ბრეგაძემ – ამ აბუჩადაგდებული მოთხრობის ასავალ-დასავალი შეგნებულად რომ არ ეცნობა, რათა მავან-თაგან დაწიხლული ავტორისადმი ჭეშმარიტების საზიანო სიბრალურ-თანაგრძნობა არ გამოეჩინა – „ნამიერ შურს“ ხუთ გვერდში ჩატეული შედევრი უწოდა და უურნალის მომდევნო ნომერშივე (2010 წ. №12) გამოაქვეყნა.

პროზის ანთოლოგიაში რომ ვერ მოვხვდი, მიზეზს იმდენი გაკვირვებული მეკითხებოდა, იძულებული გავხდი, „მწერლის გაზეთის“ რედაქციაში „მცირე განმარტება“ მიმეტანა. აი, ისიც!

„საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ახლასან გა-მოცემულ „უახლესი ქართული პროზის ანთოლოგიის“ ორტო-მეულში რაკი მეც არ ვარ შეყვანილი, ნაცნობი მწერლები, ჩემი მკითხველები და ნათესავ-ახლობლები სადმე შეხვედრისას თუ ტელეფონით წამდაუწუმ მეკითხებიან: არ შემატყობინეს, ანთო-ლოგია რომ მზადდებოდა თუ მე თვითონ არ ვისურვე მასში მოხ-ვედრა.

მწერალთა კავშირის გამომცემლობიდან თავის დროზე შემატყობინეს, მეც დროულად წარვადგინე ხუთგვერდიანი მოთხ-რობა, მაგრამ სარეადაქციო საბჭოს შვილივე წევრს დაეწუნებინა, რის გამოც, ცხადია, ანთოლოგიაში ვერ მოვხვდებოდი.

იმედია, ჩემი გულშემატკიცერები ამ განმარტების შემდეგ თვითონაც მოისვენებენ და მეც მომასვენებენ“.

ყველა მიხვდება: ამ განმარტებაში არავის რას ვერჩი და მხოლოდ სინამდვილეს ვამზეურებ. მაგრამ გაზეთის თავკაცმა რევაზ მიშველაძემ ესეც კი არ დამიბეჭდა – „მაყვალას ეწყინება“-ო!

2010 წლის ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი ფიროს-მანის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ წიგნზე

„გათავისუფლება“ მუშაობით ისე ვიყავი შთანთქმული, სხვა ველარაფრისთვის ვიცლიდი და არ ვიცოდი, ირგვლივ რა ხდებოდა. ერთხელ ავტობუსში შემთხვევით შეხვედრილი მწერალ ელგუჯა ლებანიძისგან შევიტყვე – იმ მწერალს, ვისაც 70 წელი უსრულდებოდა, მწერალთა კავშირი თურმე ათფორმიან წიგნს უსასყიდლოდ გამოუცემდა! მისივე გულთბილი რჩევითა და გაფრთხილებით – გეგმაში აქედანვე თუ არ შეგიტანეს, მერე გვიანი იქნებაო, ჩემდა სამასხროდ და სავალალოდ 27 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სახელზე დაწერილი ასეთი განცხადება სამდივნოს მეც ჩავაბარე.

„2012 წლის თებერვალში მისრულდება დაბადების 70 წელი. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, მიღებული დადგენილების ფარგლებში უსასყიდლოდ გამომიცეთ მოთხრობების წიგნი“.

ბედის ირონიით ორიოდე დღის მერელა გავიგე, რომ ცოტა ხნის უკან გამოცემულ პროზის ანთოლოგიაში თურმე არ ვიყავი შეყვანილი! მაგრამ ანთოლოგის ჯავრი ვიღს ჰქონდა: იქ ჩემი ხუთგვერდიანი მოთხრობაც კი არ გააჭაჭანეს, მე კიდევ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს „მიღებული დადგენილების ფარგლებში“ ათთაბახიანი წიგნის გამოცემას ვეღრიჯებოდი – გაგონილა მეტი სიბეცე თუ უტიფრობა?!

მწერალთა კავშირში სასწრაფოდ მივედი, რათა ის თავის მომქრელი განცხადება უკანვე გამომეტხოვა, სანამ ადრესატამდე მიაღწევდა! მაგრამ დამაგვიანდა: სამდივნოს გაკვირვებულმა თანამშრომელმა, ქ-ნმა ნინო ვარდიაშვილმა, რაკი ეგონა, ასე სულსწრაფად „საიუბილეო“ წიგნის ბეჭ-ილბლის შესატყობად მივადექი, სათქმელი არც მათქმევინა და წრფელი თანაგრძნობით მომისამძიმრა – მაყვალამ ნახა, მაგრამ... არავითარი საშუალება არ გვაქვს... დიდ მწერლებსაც ძლივს ვუხერხებთო და... ურეზოლუციო ჩემი განცხადება უკანვე შემომაჩერა.

და, ახლა მაღალმა ღმერთმა განსაჯოს – ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენებულ მწერალს რა შეიძლება ჰქონდეს მისალოცი?! ნუთუ მხოლოდ ის, რომ სამოცდაათ წლამდეც ვერ მოახერხა ჩაძალლება და ჯერ ისევ სჩრია სული?!

„იუბილე“ მიულოცონ კი არა, ჩემისთანა მაჩანჩალა მწერალი – პროზის ანთოლოგიის სარედაქციო საბჭოს წევრების მოსაწონი ხუთგვერდიანი მოთხრობაც რომ ვერ მოაცოდ-ვილა, ორგოჯიანი „განმარტებაც“ არ გამოუქვეყნეს და არც ათაბახიანი წიგნაკის გამოცემის ღირსი აღმოჩნდა!!! – იმაზეც მადლობელი უნდა იყოს, თავის ჭაბუკობისდროინდელი ნაოც-ნებარი წმიდათაშიძა ტაძრიდან, საქართველოს მწერალთა კა-ვშირიდან რომ არ რიცხავენ!

ყველაფერს გულწრფელად რომ ვამბობ და მე მილოცვ-მოლოცვის, ჩინ-მედლებისა და ლიტერატურული პრემიების მოტრ-ფიალ-მადევარი კაცი არა ვარ, ამას თვით მოვლენებიც ამონმებს მთელი თავისი თანამიმდევრული მშვენიერებით. თუკინდ მარტო ბოლო ათიოდე წლის ლიტერატურულ პრესას გადაჰკარით თვალი – რამდენ კალმოსანს გულთბილად ულოცავენ დაბადების 50, 55, 60, 65 და ა.შ. წლისთავს! მაგრამ სადმე გინახავთ ჩემ მომართ ვინმეს მსგავსი სტრიქონი დასცდენოდეს?! ანდა მიპოვეთ ისეთი დიდმოხელე, ოდესმე ჩემდამი რომელიმე თარიღის მოლოცვის თადარიგისთვის ვხლებოდე ანდა იგნორირებისთვის ნართაული უკმაყოფილება გამომეხატა?!

მაშ, მე რაღა დავაშავე – ნუთუ მართლა ასეთი გადასაგ-დები მწერალი ვარ?

გადასაგდები მწერალიო?! გადასაგდებ მწერლად მაინც რომ მთვლიდნენ, რაღა მიჭირდა – ესეც ხომ რაღაცას ნიშ-ნავს! მაგრამ ამგვარ „საპატიო“ რანგს მე ვინ მაღირსებს, როცა ლიტერატურის ფეოდალ-დიდმოხელეთათვის ბუნებაში საერ-თოდ არ არსებობს ჩემი გვარ-სახელის მქონე მწერალი! ჰოდა, დანარჩენი კი კრიალოსნისებურად იკინძება: თუ არ არსებობს ამ გვარ-სახელის მწერალი, მაშ, პროზაიკოსთა ანთოლოგიაში ვინ შევიყვანოთ ანდა ვის მივულოცოთ რომელიმე თარიღი!!!

ბარემ ვისარგებლებ შემთხვევით და ამგვარი „სამსახ-ურისათვის“ ყველას მინამდე თავდახრით გადავუხდი მად-ლობას, ვინაიდან მათ მიერ გამოჩენილი ამგვარი რეგვნული შურ-ბოროტისგან მე ღმერთმა მწერლისთვის გამოსადეგი უმა-ლლესი ხარისხის საავიაციო საწვავის გამოხდა მასწავლა!!!

ჰოდა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას არც ჩემი დაბადების 70 წლისთავის „საიუბილეო მილოცვის“ თადარიგისთვის გავკარებივარ და არც მერე და მერე, მიზეზის გასარკვევად – პროზის ანთოლოგისა არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, რატომ გგონივართ მწერალთა საძმოდან ამოსაშლელი-მეთქი, ვინაიდან მათი ეს დუმილიც ჩემი მწერლობაში გამოჩენის დღიდან მავანთაგან ჩემ საწინააღმდეგოდ შემუშავებული გრძელვადიანი ზეპირი პროგრამის ბუნებრივ გაგრძელებად წარმოვიდგინე! ის კი არა, გულში მიხაროდა კიდეც – ამ „საიუბილეო მილოცვას“ რომ გადამარჩინეს, ვინაიდან მე ასე მნამს: ამდენი გრაფომანული, მდარე, უნიჭო და უხამისი, აღვირანწყვეტილი მაკულატურის ღვარცოფისაგან გატანჯულ-გაღიზიანებულ მეითხველ საზოგადოებას ნიჭითცხებული მხატვრული ნაწარმოებების ხილვა ენატრება და არა მწერალთა კავშირის შაბლონურ-დაშაქრული „საიუბილეო მილოცვების“ კითხვა და ჩვენი ფოტოსურათების ცქერა!

ჰოდა, საკითხავია, მწერალთა კავშირმა რა პირით ან რანაირი ფრაზებით უნდა მომილოცოს?! ანდა, თვით ღირსებადაკორტნილმა უბედურმა „იუბილარმა“ რა სინდისით უნდა მოისმინოს და შეიმუშნოს საახალწლო ნამცხვარივით დამტკბარი „საიუბილეო მილოცვა“, რომელიც, ღმერთმა უწყის, რანაირი ფორმის, კილოსი და შინაარსის იქნება!!!

ამრიგად, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას ვთხოვ, თავი შეიკავოს ჩემდამი ამ ტრადიციული „საიუბილეო მილოცვისაგან“, ვინაიდან ეს თავისთავად ბუნებრივ-ჰუმანური ფორმა ჩემს შემთხვევაში გადაიქცევა მოურიდებელ ტაკიმასხარაობად და ჩემზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მკითხველი საზოგადოების დაცინვაც გამოვა.

უფრო პირდაპირი ვიქნები: საქართველოს მწერალთა კავშირისგან, რომელსაც ასეთი სახელგატეხილი ხელმძღვანელობა და უმეცარი, პროვინციული დემაგოგი თავმჯდომარის მიერ გაცვეთილი ფანდებით მოთვინიერებული გამგეობის დოყლაპია შემადგენლობა ჰყავს, მე ვერანაირ მილოცვას, ჯილდოს, სარგოს თუ პრემიას ვერ მივიღებ!

\*\*\*

აქ პრემია შემთხვევით არ მიხსენებია. ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო და თან შიშსაც დიდი თვალები აქვს. რა მაშინებს? თავადაც კარგად მაქვს გასიგრძეგანებული, რომ ჩემი მოკრძალებული მწერლური წვალება არანაირ ლიტერატურულ პრემიას არ იმსახურებს და, ცხადია, ამის არც პრეტენზია გამარჩია. მაგრამ მართლა ღირსიც რომ ვიყო და მისი მიღების მოლოდინი მკლავდეს, პრემიების კასტურ-დედოფლურ განაწილების მანკიერებაზე დღეს ისეთ-ისეთი მამხილებელი სტატიები ქვეყნდება, რომ მისი ქონა ჩემში შიშს იწვევს.

პრემიების ფეტვივით ბნევა-ხეჭამ ქართულ მწერლობაში ნამდვილი სპორტული შეჯიბრის ხასიათი მიიღო. ხოლო ჯაყო-სებრი მედროვე კალმოსნები ისეთი ურცხვი ონარით ზრდიან თავ-თავიანთი ლიტერატურული პრემიების კოლექციას, გეგონება, გინესის რეკორდების წიგნში მოსახვედრად ემზადებიან!!!

საკუთარ თავს კი არა, მტერსაც არ ვუსურვებდი ამგვარ კოლექციონერობას და გინესის რეკორდსმენობას, მით უმეტეს, თუკი დრო მალევე ფარდას გადახდის დალაბრა ცულით ნაჩორქნ მათ გრაფომანულ ნაცოდვილარს და ხარკამეჩურ-ფურკამეჩური მიწოლით მოხვეტილი პრემიები უკანვე ჩასაბარებელი გაუხდებათ!!!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლო წლებში ფეხმოკიდებულ ამ საზარელ მოვლენას მაინც ჩაუკვირდით!

დიდმოხელე მწერლები ცამონმენდილზე ერთმანეთს რაღაცაზე თუ გაუნაწყენდნენ, პრესის ფურცლებიდან განიწმატებულ დედაკაცუნებივით როგორ წამოაძახებენ ხოლმე: შენ რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის თუ მავნის პრემიის ლირი სულაც არ იყავი, მაგრამ ცრემლის ფრქვევით ფეხებს რომ მიღოკავდი და იხვეწებოდი, მეც ვიღა არ შევაწუხე და რაღაც არ ჩავიდინე, შენისთანა მათხოვრისთვის ის საოცნებო პრემია რომ მოეშავებანათ, შენ კი უმაღლური გამოდექიო.

აბა, მოდი და ნუ გაშემდები! ფეოდალის გოროზობით გონდაბინდული მაყვედრებელი ასეთი დიდმოხელე აქ იმასაც კი ვერ ხვდება, რომ ამით პირველ რიგში საკუთარი თავის, უპ-

რინციპო ჟიურისა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელების ყბადალებული კომპრომეტირება გამოსდის: შე დალოცვილო, ის კარდაკარ მავალი უთავმოყვარეო მწერალი თუკი მართლა არ იყო რომელილაც აკვიატებული პრემიის მინიჭების ღირსი, ქვეყანა ასე ხელმწიფურად შენ რა სინდისითა და უფლებით შეაღონე და შეცდომაში შეიყვანე როგორც მთელი მწერალთა კორპუსი, ისე საზოგადოებრივი აზრი?!

ჰოდა, ახლა ამოდენა ლიტერატურული პრემიების უსტ-აბაშთაგან რომელიმე მიამიტმა მართლა თავისი არაპროფესიული უცოდველობით ან სულაც გასაკითხავი მათხოვრისადმი გამოჩენილი ბიუროკრატიული გულმონ्यალებით – ზოგიერთები პრემიებით სავსე ხურჯინებს დაათრუვენ, მაშ, ამ საწყალმა რაღა დააშავაო და – როგორც უპატრონო კატას ფილტვის ანათალი, მეც ისე გადმომიგდეს რომელიმე პრემია, ამას რა აზრი ექნება?!

ანდა, მთლად უარესი: გაბოროტებულმა ლიტერატურულმა კუკლუქსკლანელებმა დამცირების მიზნით მავნებლურად შექმნილ ლაურეატთა ნახირში გასათქვეფად „მრგვალი თარიღის“ ამოსაფრებით რომელიმე პრემია „მაუზერის“ ტყვიასავით რომ მომაჯედონ, ცხადია, უკვე თვალახელილი საზოგადოება მაშინვე ამას გაიფიქრებს ან წამოიძახებს: ეს უთავმოყვარეო ჯემალ მეხრიშვილიც, ალბათ, ვიღაცას მტვრიან ჩექმებს ულოკავდა ანდა შეჭუჭყული კაბის კალთას უკოცნიდა, თორემ ისე ვინ რას მისცემდაო!!!

მერე მიდი და იფიცე – პრემიისთვის არამცათუ არ იბრძოდი, არამედ ჭირივით უფრთხოდი კიდეც!

აქედან გამომდინარე, ყველანაირი ლიტერატურული პრემიის გამგებლებს ადამიანურად ვუხსნი, ვთხოვ და ვაფრთხილებ: მე არანაირ პრემიას არ ვიმსახურებ, არც მოველი და, ცხადია, ვერც მივიღებ! ამიტომ თავს ტყუილუბრალოდ ნურვინ გაიწილებს!

საზენიტო-სარაკეტო პოლქში სამი წელი სულ რიგით ჯარისკაცად ვირიცხებოდი. მერე სხვადასხვა სამსახურშიც მხოლოდ უბრალო თანამშრომელი ვიყავი ხოლმე და სრულებით

ბუნებრივად შემსისხლხორცდა უჩინმედლებო, რიგითი მუშაკის საჭიროება, მოვალეობა, მიმზიდველობა, ლირსება და ბევრისთვის მიუწვდომელი მშვენიერება!

ქართულ მწერლობაშიც ერთი რიგითი, სუფთასამხრეებიანი ჯარისკაცი ვარ და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ასეთივე სუფთასამხრეებიან რიგით ჯარისკაცად დავრჩე როგორ სიცოცხლის ბოლომდე, ისე სიკვდილის შემდეგაც.

19.01.2013 წ.

## ს ა რჩე ვ ი

- ლია წერილი გიორგი (იური) ბიბილეიშვილს 3  
ერთი იდეის ისტორია 117  
პირველი და უკანასკნელი შეხვედრა მომავალ...  
„უოზეფ ფუშესთან“ 132
- ფარაონობანას თამაში 138  
ლმერთისთვის მაინც გაეგონებინა! 150  
გზასაცდენილი კინოვარსკვლავი 159  
ლევან ბრეგაძის გენიალური გაელვება 165  
ასები და სტალინური შევარდნები 167  
იაგოსა და ოტელოს სინდრომი 175  
გრაფომანული იდიოტიზმი 178  
ნომენკლატურული დაბუაშვილი 184  
პროზის ერთ-ერთი ჩრთეთაგანი 199  
სანატრელი სიზუსტე 201  
ბენვზე გადარჩენილი კაცობრიობა 210  
ჭრელი პეპლების მადევარი 217  
ცნობარის საჭიროება 223  
ოთარაშვილის რომანისტი 228  
გრაფომანული ცეცხლთაყვანისმცემლობა 238  
გრაფომანული აისბერგების ხაფანგი 247  
კორიდაზე საშინელი 257  
ორი ბატონის მსახური?! 261  
ტანჯვიანი დღე 265  
ბაბნავური ეტიუდები 271  
უტიფართა და ამბიციადაფუტუროებულთა მეუფება 279  
მძიმე შობადღე 295  
ლია წერილი, საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას, ლიტერატურული პრემიების გამგებლებს 309



saungeo@gmail.com  
[www.facebook.com/saunje publishing](https://www.facebook.com/saunje.publishing)  
Tel.: 214 1 214; 239 55 87; 239 71 88